



675  
1965

675

# მეცნე

56

# 4

# 1965



# მეცნე

საქართველოს სსრ  
მეცნიერებათა აკადემიის  
საზოგადოებრივ მეცნიერებათა  
ბუნებისმეტყველების  
თარგმანი

\*

МАЦНЕ  
(ВЕСТНИК)  
ОРГАН

ОТДЕЛЕНИЯ ОБЩЕСТВЕННЫХ НАУК  
АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

4  
25



0508

0802  
9863

ს ა რ ა მ ა მ ც ი მ კ ო ლ ე გ ი ა

**ბ. ბერძენიშვილი,** ა. ბოჭორიშვილი (მთავარი რედაქტორი), პ. გუგუშვილი,  
ი. დოლიძე, გ. ლეონიძე, ვ. ფანჩვიძე, ე. ქვათაძე (პასუხისმგებელი მდივანი),  
გ. ჩუბინაშვილი, გ. წერეთელი, ს. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

**ბერძენიშვილი ნ. ა.,** ბოჭორიშვილი ა. თ. (главный редактор), Гугушвили П. Б.,  
Доллидзе И. С., Кватაძე Э. Г. (ответственный секретарь), Леонидзе Г. Н.,  
Панчвидзе В. Н., Чубинашვილი Г. Н., Цертели Г. В., Цертели С. Б.,

## საქართველოს სსრ პათობოლივი საზოგადოებრივი პროლეტისა და ნაციონალური შრომისაგან აღმართვის საქითხისათვის

პარ. თეთრაული

(წარმოდგინა საქ. სსრ მეც. აკადემიის ეკონომიკისა და სანარტლის ინსტიტუტმა)

საზოგადოებრივი აღწარმოება, უპირველეს ყოვლისა, ერთობლივი საზოგადოებრივი პროლეტის აღწარმოების პროცესია. ადამიანთა საზოგადოება, არსებობისა და განვითარებისათვის, აუცილებელია განუწყვეტლივ აწარმოებდეს მატერიალურ დოვლათს.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროლეტი წარმოგვიდგება, როგორც საზოგადოების მთლიანი პროლეტი. კ. მარქსის განსაზღვრით, „მთლიანი ამონაგები ანუ ბრუტო პროლეტი მთელი კლავწარმოებული პროლეტია“<sup>1</sup>. ერთობლივი საზოგადოებრივი პროლეტის წარმოება ყოველთვის მიმდინარეობს ისტორიულად განსაზღვრულ წარმოებრივ ურთიერთობათა პირობებში და იგი გარკვეული სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება.

სოციალიზმის დროს ერთობლივი საზოგადოებრივი პროლეტი დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (ერთ წელიწადში) მატერიალური წარმოების დარგებში გეგმაზომიერად წარმოებული მატერიალური დოვლათის მთელი მასის—წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების ერთობლიობაა. ერთობლივი საზოგადოებრივი პროლეტი წარმოდგენს სოციალიზმის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც გამოხატავს სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობებს. სწორედ ეს კატეგორია გვიჩვენებს ღირებულების მოძრაობის იმ შინაგან კანონზომიერებას და მის ფორმათა ცვლილებებს, ძირითადი და საბრუნავი წარმოებრივი ფონდების მოძრაობის და ფორმათა ცვლის სპეციფიკას, რომელიც დამახასიათებელია სოციალიზმისათვის.

ერთობლივ საზოგადოებრივ პროლეტში კონკრეტული შრომის მეოხებით გადაიტანება წარსული შრომით შექმნილი მოხმარებული წარმოების საშუალებათა ღირებულება და მიემატება აბსტრაქტული შრომით შექმნილი ახალი ღირებულება. ერთობლივი საზოგადოებრივი პროლეტის ის ნაწილი, რომელშიც განითვებულა ახლად შექმნილი ღირებულება, შეადგენს სოციალისტურ საზოგადოების ნაციონალურ შემოსავალს.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროლეტის აღწარმოების არსის გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი პროლეტის დაყოფას ღირებულებისა და ნატურალურ-ნივთობრივი შედგენილობის მიხედვით. ერთობლივი საზოგადოებრივი პროლეტის შედგენილობა ღირებულების მი-

ხედვით მოიცავს მატერიალური წარმოების პროცესში მომხარებელი წარმოების საშუალებათა ღირებულებასა და ახალ ღირებულებას, რომელიც წარმოგიდგება აუცილებელი პროდუქტის ღირებულებისა და ზედმეტი პროდუქტის ღირებულების ფორმით.

საზოგადოებრივი წარმოება პროდუქტის ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით იყოფა ორ ქვედანაყოფად: წარმოების საშუალებათა წარმოებად (I ქვედანაყოფად) და მოხმარების საგნების წარმოებად (II ქვედანაყოფად). საზოგადოებრივი წარმოების აღნიშნულ ორ ქვედანაყოფად დაყოფა სავსებით ინარჩუნებს თავის ძალას სოციალიზმისა და კომუნისმის პირობებში, მას ფრიად დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის დროს სახალხო მფურნეობრივი პროპორციების დადგენისა და გაფართოებულ სოციალისტური აღწარმოების შეუფერხებელი განხორციელებისათვის.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და ნაციონალური შემოსავალი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების განმაზოგადებელი მაჩვენებლებია. სსრ კავშირში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის აღწარმოება ხორციელდება განუწყვეტლივ და მაღალი ტემპებით.

თანამედროვე პირობებში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გაფართოების, სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი მძლავრი აღმავლობის შედეგად, უდიდეს აქტუალობას იძენს მოკავშირე რესპუბლიკებში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის აღწარმოების საკითხების გამოკვლევა.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშება მოკავშირე რესპუბლიკებში საშუალებას იძლევა განისაზღვროს თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის როლი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნაში მთლიანად ქვეყნის მასშტაბით და ნაჩვენები იქნეს მისი ადგილი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში. მოკავშირე რესპუბლიკებში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია კონკრეტულად გამოვიკვლიოთ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის აღწარმოების კანონზომიერებანი, საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის სტრუქტურისა და ზრდის ფაქტორების საკითხები.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის აღწარმოების პრობლემის დამუშავება მოითხოვს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის სტრუქტურის და, უწინარეს ყოვლისა, მისი დარგობლივი და სოციალური სტრუქტურის სპეციფიკის გამოკვლევას, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებითი სტრუქტურის და საერთოდ საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის მოძრაობის შესწავლას საქართველოს სინამდვილეში. საქართველოს ნაციონალური შემოსავლის აღწარმოების პროცესის გამოკვლევისათვის აუცილებელია მატერიალური წარმოების დარგთა წმინდა პროდუქციის ზრდის ფაქტორების მოქმედების თავისებურებათა ჩვენება, რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავლის განაწილებისა და გამოყენების პროცესის ანალიზი.

მოკავშირე რესპუბლიკების ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების არსებული მეთოდიკა საჭიროებს შემდგომ დამუშავებასა და სრულყოფას. ამ-

ქამად ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშება მოკავშირე რესპუბლიკებში მიმდინარეობს ორი ძირითადი მეთოდის საფუძველზე. მოკავშირე რესპუბლიკებში ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშებისას სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მეთოდისა ამოსავალ საფუძველად იღებს აღწარმოების პროცესის ძირითად სტადიას—საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის წარმოებას. ხოლო ბრუნვის გადასახადის საერთო თანხა ამ მეთოდის მიხედვით, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ნაწილდება ცენტრალიზებული წესით დასაბეგრი პროდუქტის წარმოების პროპორციულად. მეორე მეთოდით გაანგარიშების დროს ნაციონალურ შემოსავალს უმატებენ მოცემული მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამოღებულ (რეალიზებულ) ბრუნვის გადასახადს. ამ მეთოდით გაანგარიშების დროს ირღვევა ნაციონალური შემოსავლის განსაზღვრის წარმოებრივი პრინციპი, რის გამოც ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების ეს მეთოდისა სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების ამ ორი მეთოდიდან უფრო მართებულად უნდა მივიჩნიოთ სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ მიღებული მეთოდი, რამდენადაც იგი სათანადო საფუძველს და მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევა მოკავშირე რესპუბლიკებში ნაციონალური შემოსავლის წარმოების, განაწილებისა და გამოყენების დაგეგმვისა და მისი მეცნიერული ანალიზისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკებში ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ბრუნვის გადასახადის გაანგარიშებას და მის განაწილებას.

ზოგიერთ ეკონომისტს მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ბრუნვის გადასახადის განაწილება მოხდეს მატერიალური წარმოების სფეროში მომუშავეთა საერთო რეკორდობის ხვედრიწონის მიხედვით. ეკონომისტების ნაწილი წინადადებას იძლევა, ბრუნვის გადასახადი განაწილდეს მატერიალური წარმოების მუშაკთა ხელფასის ფონდის პროპორციულად. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბრუნვის გადასახადის მატერიალური წარმოების სფეროში მომუშავეთა ხვედრიწონის მიხედვით განაწილებისას, მხედველობის გარეშე რჩება შრომის მწარმოებლობისა და მუშაკთა კვალიფიკაციის, წარმოების დარგობრივი სტრუქტურის განსხვავებულობანი მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით. ბრუნვის გადასახადის ხელფასის ფონდის პროპორციულად განაწილების პირობებში კი ვათვალისწინებული არ იქნებოდა ის გარემოება, რომ ხელფასის დონე მატერიალური წარმოების დარგებში განსხვავებულია და იგი სრულად ვერ ასახავს აუცილებელი შრომის ოდენობას.

ამყამად, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად გამართლებულია, რათა ბრუნვის გადასახადი ამოღებული და აღრიცხული იქნეს მისი წარმოების ადგილის მიხედვით. ეს გარემოება, სხვა დადებთან მხარეებთან ერთად, ხელს შეუწყობს მოკავშირე რესპუბლიკების ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების მეთოდის შემდგომ სრულყოფას, მოკავშირე რესპუბლიკებში წარმოებული ნაციონალური შემოსავლის მოცულობის უფრო ზუსტად დადგენას. ამასთან, ბუნებრივია, რომ ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკაში წარმოებული ნაციონალური შემოსავლის ნამდვილი მოცულობის განსაზღვრისათვის აუცილებელია მისი გაანგარიშება ღირებულებასთან მაქსიმალურად მიახლოებულ ფასებით.

მოკავშირე რესპუბლიკებში წარმოებული ნაციონალური შემოსავლის ნამდვილი მოცულობის განსაზღვრა უშუალოდ დაკავშირებულია საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯების ოდენობის განსაზღვრასთან.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში შექმნილი და მის ტერიტორიაზე განაწილებული ნაციონალური შემოსავლის ოდენობა არ ემთხვევა ერთმანეთს. ეს გარემოება გამოწვეულია ფაქტობრივად არსებული სისტემით. ფაქტობრივად არსებულ პირობებში მიმდინარეობს ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება. საკმე ისაა, რომ საზოგადოებრივი წარმოების I ქვედანაყოფში შექმნილი ღირებულების ნაწილის რეალიზაცია ხდება არა I ქვედანაყოფში წარმოებული საქონლის ფასებში, არამედ პირადი მოხმარების საგნების ფასებში.

მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით ერთმანეთს არ ემთხვევა, აგრეთვე, რესპუბლიკაში წარმოებული ნაციონალური შემოსავლისა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოყენებული ნაციონალური შემოსავლის მოცულობა. ეს გარემოება აიხსნება შემდეგი მიზეზებით: ა) რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავლის ნაწილი გადაეცემა საერთო-საკავშირო ფონდში შესაბამისი დანახარჯების დასაფარავად, ხოლო საერთო-საკავშირო ფონდიდან რესპუბლიკა ღებულობს შევსებას თავისი დანახარჯების დასაფარავად, ბ) შემოსავლის ნაწილი, რომელსაც მოსახლეობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ღებულობს, გამოიყენება მის ფარგლებს გარეთ, გ) რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოყენებული შემოსავლის ნაწილი მიღებულია მისი ტერიტორიის გარედან<sup>2</sup>.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი მატერიალური წარმოების დარგთა მთლიანი პროდუქციის ერთობლიობაა. იგი წარმოადგენს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების დიდმნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებელს. საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია დავადგინოთ მატერიალური წარმოების თითოეული დარგის ხვედრიწონა ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტსა და ნაციონალურ შემოსავალში, განვსაზღვროთ ძირითადი დარგები, რომლებიც ქმნიან რესპუბლიკაში წარმოებული მატერიალური დოვლათის ძირითად მასას და, ამგვარად, გამოვარკვიოთ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და მისი შემადგენელი ნაწილის—ნაციონალური შემოსავლის დარგობრივი სტრუქტურა.

რეკონსტრუქციამდელ საქართველოში მრეწველობა შედარებით სუსტად იყო განვითარებული და ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის წარმოებაში გადამწყვეტი ხვედრიწონა სოფლის მეურნეობას ეკავა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, უკვე პირველი ხუთწლეულის პერიოდში სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში კაპიტალდამანდებათა ზრდისა და გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების განხორციელების შედეგად განუხრელად იზრდებოდა მრეწველობისა და, უპირველეს ყოვლისა, წარმოების საშუალებათა მწარმოებელი დარგების პროდუქცია.

სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგის დაჩქარებული განვითარება და განსაკუთრებით მრეწველობის პროდუქციის განუხრელი გადი-

<sup>2</sup> И. С. Микеладзе, Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР, 1964, М., гл. 20—21.



დება განაპირობებდა შესაბამისად მატერიალური წარმოების დარგთა ხვედრიწონის ცვლილებებს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის წარმოებაში. მრეწველობის ხვედრიწონა საქართველოს სსრ ნაციონალურ შემოსავალში გაიზარდა 1932 წელს 37,3 პროცენტამდე ნაცვლად 19,4 პროცენტისა 1929 წელს, სოფლის მეურნეობის ხვედრიწონა კი შემცირდა შესაბამისად 23 პროცენტამდე წინააღმდეგ 44 პროცენტისა 1929 წელს<sup>3</sup>. მაგრამ, ბუნებრივია, ეს სრულიადაც არ ნიშნავდა ნაციონალურ შემოსავალში სოფლის მეურნეობის წმინდა პროდუქციის აბსოლუტურ შემცირებას, პირიქით, იგი თანდათანობით იზრდებოდა.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის წარმოებაში ამჟამად გადამწყვეტ როლს ასრულებს მრეწველობა და მისი ხვედრიწონა თანდათანობით იზრდება, რაც გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარება მაღალი ინდუსტრიული დონით ხასიათდება. მატერიალური წარმოების დარგების ხვედრიწონა საქართველოს ნაციონალურ შემოსავალში 1956—1963 წწ. შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 1).

ც ხ რ ი ლ ი 1

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის დარგობლივი სტრუქტურა<sup>4</sup>.  
(პროცენტობით ჯამთან, შესაბამისი წლების დასებით, ბრუნვის გადასახადის ჩათვლით)

მატერიალური წარმოების დარგები	ნაციონალური შემოსავალი							
	1956 წ.	1957 წ.	1958 წ.	1959 წ.	1960 წ.	1961 წ.	1962 წ.	1963 წ.
სულ	100	100	100	100	100	100	100	100
მათ შორის:								
მრეწველობა	46,1	44,8	41,9	44,1	41,5	41,5	40,9	45,5
მშენებლობა	7,9	7,8	7,4	8,2	10,2	9,5	9,0	9,8
სოფლის მეურნეობა	33,4	35,1	37,0	33,1	31,7	32,1	32,2	30,7
ტრანსპორტი და კავშირ-გაბმულობა	1,0	1,3	1,5	1,7	2,3	2,4	2,5	3,1
ვაჭრობა, დამზადებები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სხვ.	11,6	11,0	12,2	12,9	14,3	14,5	13,4	10,9

მოტანილი მონაცემები მკაფიოდ მეტყველებს, რომ საქართველო, რომელიც რევოლუციამდე აგარარულ ქვეყანას წარმოადგენდა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში მეურნეობრივი აღორძინების, სოციალისტური ინდუსტრიულიზაციის წარმატებითი განხორციელების შედეგად გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად. აღნიშნულ ძირეულ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა პროცესი აისახა საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის დარგობლივ სტრუქტურაში.

<sup>3</sup> ა. კაკაბაძე, საქართველოს სსრ სახალხო შემოსავლის შესწავლისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბ., 1946, გვ. 240.

<sup>4</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე და „Народное хозяйство Грузинской ССР в 1962 году“ (стат. ежегод., 1963, გვ. 19) მიხედვით.



სსრ კავშირის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის დარგობლივი სტრუქტურის შესაბამისი მაჩვენებლები ხასიათდებოდა შემდეგი მონაცემებით: 1961 წელს მრეწველობის ხვედრიწონა ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში შეადგენდა (ფაქტიურ ფასებში)—63,1%, ნაციონალურ შემოსავალში—52,1%, სოფლის მეურნეობის წილი შესაბამისად—16,1% და 21,0%, მშენებლობისა 10,2% და 9,8%, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის—4,2% და 5,6%, ვაჭრობის, დამზადებების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და სხვ.—6,4% და 11,5%<sup>5</sup>.

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის დარგობლივი სტრუქტურის შედარება საშუალო, საერთო-საკავშირო და ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის შესაბამის მაჩვენებლებთან გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობაში, საერთო-საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით, დაბალია მრეწველობის ხვედრიწონა და მაღალია სოფლის მეურნეობის ხვედრიწონა. 1961 წ. სსრკ ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობაში მრეწველობის ხვედრიწონა (ფაქტიური ფასებით) შეადგენდა 52.1%, სოფლის მეურნეობისა—21,0%, უკრაინის სსრ ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობაში შესაბამისად—47,7% და 27,1%, ლატვიის სსრ ნაციონალურ შემოსავალში—55,2% და 22,9%, ესტონეთის სსრ ნაციონალურ შემოსავალში—50,2% და 24,8%, სომხეთის სსრ ნაციონალურ შემოსავალში—56,4% და 19,5%, აზერბაიჯანის სსრ ნაციონალურ შემოსავალში შესაბამისად—52,8% და 16,9%, ხოლო საქართველოს ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობაში მრეწველობის ხვედრიწონა—41,5%, სოფლის მეურნეობის—32,1% შეადგენდა.

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის დარგობლივი სტრუქტურის ეს დამახასიათებელი თავისებურება საერთოდ განპირობებულია თვით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებებით, კერძოდ, იგი განპირობებულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით: ჯერ ერთი, საქართველოს სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციფიკით, რამდენადაც რესპუბლიკის სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში დიდი ხვედრიწონითაა წარმოდგენილი ისეთი მრავალწლიანი, შრომატევადი და მაღალშემოსავლიანი კულტურები, როგორცაა ყურძენი, ხილი, ჩაი და აგრეთვე ზოგიერთი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურები. ეს კულტურები მოითხოვენ მაღალკვალიფიციურ შრომას, რაც მეტ ღირებულებას ქმნის. მეორე, ამ მიზეზთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრეთვე საქართველოს სსრ მრეწველური წარმოების განვითარების ტემპების რამდენადმე ჩამორჩენა შესაბამის საერთო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით. ასე, მაგალითად, მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1962 წ., 1940 წელთან შედარებით, გაიზარდა საქართველოს სსრ-ში 4,5-ჯერ, ხოლო სსრკ-ში—6,2-ჯერ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან საქართველო მრავალწლიან ნარგავთა კლასიკური ქვეყანაა, მრავალწლიან ნარგავებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების მეოხებით მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და შემდგომში განვითარების დიდი პერსპექტივები აქვს; ამიტომ საქართველოს ნაციონალურ შემოსავალში სოფლის მეურ-

<sup>5</sup> Народное хозяйство СССР в 1962 году. Статистический ежегодник, М., 1963, 33. 64, 482.



ხეობის ხვედრიწონა შემდგომშიც შედარებით მაღალი იქნება იმ მოქმედებებთან შედარებით, სადაც მსგავსი მომენტები არ მოქმედებენ.

საქართველოს მრეწველობის მთლიანი და წმინდა პროდუქციის ზრდის ტემპების დაჩქარებისას, რაც გათვალისწინებულია შემდგომ წლებში, შესაბამისად გაიზარდება მრეწველობის ხვედრიწონა საზოგადოებრივ პროდუქტსა და ნაციონალურ შემოსავალში და ამ მხრივ იგი გარკვეულად მიუახლოვდება საერთო-საკავშირო მაჩვენებელს.

საქართველოს ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობაში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხვედრიწონის ცვლილებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს, აგრეთვე, მატერიალური წარმოების დანარჩენი დარგების მშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, დამზადებების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და სხვ. წმინდა პროდუქციის ზრდის ტემპების დაჩქარება ან შენელება და შესაბამისად ამ დარგების ხვედრიწონის ცვლილება ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობაში.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის დარგობლივი და სოციალური სტრუქტურის ანალიზისას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ფასებსა და ფასქმნადობის მომენტს, რაც ამ საკითხების კვლევისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის პროცესი 1955—1964 წლების განმავლობაში ხასიათდებოდა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის როგორც აბსოლუტური, ისე ხვედრიწონის შეფარდებითი ზრდის, ხოლო სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის აბსოლუტური ზრდისა და გარკვეული ზომით ხვედრიწონის შეფარდებითი შემცირების ტენდენციით. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის აბსოლუტური ზრდის მონაცემების განხილვიდან ჩანს, რომ მრეწველობის მთლიანი პროდუქცია საქართველოში 1961 წელს, 1940 წელთან შედარებით გაიზარდა 4.1-ჯერ, სოფლის მეურნეობას—1.7-ჯერ, 1961 წელს, 1953 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 27%-ით, მათ შორის მემცენარეობის პროდუქცია—26%-ით, ხოლო მეცხოველეობისა—30%-ით<sup>6</sup>. სოფლის მეურნეობის ხვედრიწონა საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებაში შეადგენდა (ფაქტიური ფასებით) 1956 წ.—24,5%, 1957 წ.—25,7%, 1958 წ.—26,4%, 1959 წ.—22,4%, 1960 წ.—21,0%, 1961 წ.—21,0%<sup>7</sup>; ზემოთ მოტანილი მონაცემების (იხ. ცხრ. 1, გვ. 7); ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქართველოს სსრ ნაციონალურ შემოსავალში მრეწველობის წმინდა პროდუქციის ხვედრიწონის ცვლილება უკანასკნელი წლების განმავლობაში (მიუხედავად რიგი წლების მიხედვით (ცალკეული გადახრებისა წმინდა პროდუქციის ხვედრიწონის შეფარდებითი ზრდის მიხედვით) ძირითადად ამყლავნებდა შეფარდებითი ზრდის ტენდენციას და ხასიათდებოდა პროდუქციის აბსოლუტური ზრდით, ხოლო სოფლის მეურნეობის წმინდა პროდუქციის აბსოლუტური ზრდის პირობებში შეფარდებითი მცირდებოდა მისი ხვედრიწონა ნაციონალურ შემოსავალში. ეს გარემო-

<sup>6</sup> Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году. Стат. ежегодник, Тб., 1963, გვ. 92. საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტაზ. კრებული, თბ., 1961, გვ. 23.

<sup>7</sup> საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების მიხედვით.

ება განაპირობებდა საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის დარგობლივი სტრუქტურის შესაბამის შეცვლას და წარმოადგენდა საერთოდ ამ სტრუქტურის ერთ-ერთ თავისებურებას.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის დარგობლივი სტრუქტურის ანალიზი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ამა თუ იმ დარგის ხვედრიწონის შემცირება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის წარმოებაში სრულიადაც არ ნიშნავს მოცემული დარგის მთლიანი პროდუქციის ან წმინდა პროდუქციის აბსოლუტური სიდიდის შემცირებას, არამედ შესაძლებელია მოცემული დარგის მთლიანი პროდუქციის აბსოლუტური სიდიდე მნიშვნელოვნადაც იზრდებოდეს. მაგრამ სხვა დარგების უფრო გამსწრები ტემპებით განვითარების შედეგად შესაბამისად შემცირდეს მისი ხვედრიწონა. სწორედ ასეთ ვითარებას შეესაბამება სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ხვედრიწონის ცვლილება საქართველოს ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში, ხოლო წმინდა პროდუქციის ხვედრიწონის ცვლილება ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობაში. აღნიშნული პროცესი საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის დარგობლივი სტრუქტურის ცვლილებებში გაგრძელდება შემდგომშიც სახალხო მეურნეობის დარგებს შორის რაციონალური პროპორციების დამყარებისა და გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის სტრუქტურის საკითხის კონკრეტული გამოკვლევისათვის საჭიროა მისი განხილვა მატერიალური წარმოების დარგების და, უწინარეს ყოვლისა, ძირითადი დარგების მიხედვით. მატერიალური წარმოების ძირითადი და წამყვანი დარგია მრეწველობა, რომელიც ისეთი ქვედარგების ერთობლიობაა, სადაც ბუნების ძალები წარმოების პროცესის მხოლოდ პირობას წარმოადგენენ და მისი მზა პროდუქტად გარდაქმნის პროცესში შრომის საგანზე არ მოქმედებს.

მრეწველობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურის გამოკვლევა შესაძლებლობას იძლევა, დადგინდეს სათანადო პროპორციები ცალკეულ დარგებს შორის და მათ შორის არსებული თანაფარდობა გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების პროცესში. მწარმოებლური ძალებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარების შედეგად მატერიალური წარმოების დარგებისა და, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობის ქვედარგებად დანაწილება მიმდინარეობს განუწყვეტილად, წარმოიშობა ახალი დარგები, ზღვება ძველი დარგების დაყოფა და სხვ. ამ პროცესის შესაბამისად მიმდინარეობს მრეწველობის დარგობლივი სტრუქტურის ცვლილება და იცვლება ცალკეული დარგების ხვედრიწონა მთლიანი პროდუქციის წარმოებაში.

საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობლივ სტრუქტურას მთლიანი პროდუქციის მიხედვით, საერთო-საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით, გარკვეული სპეციფიკური თავისებურებანი გააჩნია. საქართველოს მრეწველობის დარგობლივი სტრუქტურის დამახასიათებელი თავისებურება ის გარემოებაა, რომ მრეწველობის მთლიან პროდუქტში შედარებით დაბალია წარმოების საშუალებათა მწარმოებელი რიგი

დარგების ხვედრიწონა<sup>8</sup>. საქართველოს მრეწველობის დარგობლივი სტრუქტურის სპეციფიკური თავისებურებაა კვების მრეწველობის პროდუქციის ძალიან ხვედრიწონა, რაც მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 39,8% შეადგენს (1961 წ.). ეს თავისებურება უნდა აიხსნას, როგორც რესპუბლიკაში კვების მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო მდიდარი სოფლისმეურნეობრივი სანედლეულო ბაზის არსებობით, ისე გარკვეული ზომით წარმოების საშუალებათა მწარმოებელი რიგი დარგების განვითარების შედარებით დაბალ დონით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კვების მრეწველობის (ჩაის, ღვინის, საკონსერვო, თამბაქოს და სხვ.) ხვედრიწონა საქართველოს მრეწველობის მთლიან პროდუქციაში მისი აბსოლუტური ზრდის პირობებში, 1950 წლის 47,0%-დან შემცირდა 39,8%-მდე<sup>9</sup> 1961 წლისათვის, რაც რესპუბლიკის მრეწველობის ინდუსტრიული განვითარების დონის შემდგომი ზრდის შედეგია.

საქართველოს მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის ზრდასთან ერთად ომისშემდგომ პერიოდში განსაკუთრებით მაღალი ტემპით იზრდება მძიმე მრეწველობის პროდუქციის ისეთ სახეობათა წარმოება, როგორიცაა ფოლადი, თუჯი, ნაგლინი, ელექტროენერგია, ლითონსაპრელი ჩარხები, სამაგისტრალო ელმავლები, ცემენტი, სატვირთო ავტომობილები და სხვ. მრეწველობის დასახელებული პროდუქციის წარმოების განუხრელი ზრდის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა საქართველოს მრეწველობის ხვედრიწონა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით აღნიშნული პროდუქციის საერთო-საკავშირო წარმოებაში.

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნატურალური ერთობრივმა სტრუქტურამ განაპირობა რესპუბლიკის ფართო მეურნეობრივი კავშირურთიერთობა ქვეყნის თითქმის ყველა ეკონომიკურ რაიონთან<sup>10</sup>. ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქცია იზრუნება მსოფლიოს ორმოცდაათზე მეტ ქვეყანაში.

ზრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და მწარმოებლურ ძალთა სოციალისტური გაადგილების პრინციპების შესაბამისად საქართველოს ეკონომიკურ რაიონს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი პროდუქციის წარმოების მიხედვით უკავია წამყვანი ადგილი საბჭოთა კავშირში<sup>11</sup>. საქართველო პირველ ადგილზეა ჩაის წარმოებით და უკავია წამყვანი მდგომარეობა მარგანეცის მადნის, ბარიტის, მარმარილოს, ჩაისა და ღვინის მრეწველობისათვის საჭირო გაწყობილობის, მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინოების, მინერალური წყლების, კონსერვებისა და ზოგიერთი სხვა პროდუქციის წარმოებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია რესპუბლიკის საზოგადოებრივი პროდუქტის 21—22 პროცენტს, ხოლო წმინდა პროდუქცია ნაციონალური შემოსავლის 30—31 პროცენტს შეადგენს.

<sup>8</sup> И. С. Микеладзе, Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР, Тб., 1959, гл. 100.

<sup>9</sup> Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году, гл. 51.

<sup>10</sup> С. С. Инцкирвели, Общественный продукт и национальный доход союзной республики (на примере Грузинской ССР), Межреспубликанская научная конференция по теме „Закономерности воспроизводства общественного продукта и национально-го дохода в союзных республиках“ (Тезисы докладов), Киев, 1963, гл. 134.

<sup>11</sup> П. В. Гугушвили, Некоторые вопросы координации и планирования Закавказского экономического района, Вестник отделения общественных наук Академии наук Грузинской ССР, 1962, № 1, гл. 69, 73.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურის ანალიზიდან ჩანს, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგია მემცენარეობა, რომლის წილად 1962 წ. მოდიოდა (შესადარისი ფასებით) სოფლის მეურნეობის მთელი წარმოებული პროდუქციის 71%, მათ შორის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით—80%. საქართველოს სოფლის მეურნეობა, რაიონთაშორისი შრომის დანაწილების მიხედვით. საერთო-საკავშირო მასშტაბით სპეციალიზებულია ისეთი მრავალწლიანი ძვირფასი კულტურების წარმოებაზე, როგორცაა ჩაი, ციტრუსები, დაფნა, ტუნგო და სხვ., რომელთა წარმოებით ჩვენი რესპუბლიკის ხვედრიწონა ამ პროდუქტების საერთო-საკავშირო წარმოებაში მერყეობს 90—100%-ის უარგულეში. გარდა ამისა, საქართველოს სოფლის მეურნეობა ხასიათდება მაღალგანვითარებული მემცენარეობის ისეთი დარგებით, როგორცაა მევენახეობა, მეხილეობა, მეთამბაქოეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა ძვირფასი კულტურები და დარგები, რომელთა პროდუქციის წარმოებით საქართველოს ხვედრიწონა ამ პროდუქტების საერთო-საკავშირო წარმოებაში დაახლოებით 10—15%-ს შეადგენს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი და წმინდა პროდუქციის დარგობლივი სტრუქტურის განმასხვავებელი სპეციფიკური თავისებურებაა მრავალწლიანი კულტურების დიდი ხვედრიწონა სოფლის მეურნეობის პროდუქციაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის დარგობლივი სტრუქტურა 1962 წელს შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა (ფაქტიური ფასებით): მარცვლეულის ხვედრიწონა მთლიან პროდუქციაში შეადგენდა (პროცენტობით)—10,6, ტექნიკური კულტურების—16,5 (მათ შორის ჩაის—12,5), ყურძნის—17,3, ხილს 8,3, ციტრუსებს—2,7, ბოსტნეულის—3,7, ხორცის—16,6, რძის—6,9<sup>12</sup>. 1962 წელს მრავალწლიანი კულტურების ხვედრიწონა რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პროდუქციაში 53,8% შეადგენდა.

სათანადო მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1955—1964 წლებში ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, დამზადებების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და სხვ. დარგების მთლიანი პროდუქციისა და წმინდა პროდუქციის აბსოლუტური სიდიდე გარკვეულად იზრდება, ხოლო მათი ხვედრიწონა ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში და ნაციონალურ შემოსავალში უმნიშვნელოდ იცვლება. ამ მხრივ დამახასიათებელია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მთლიანი პროდუქცია (უმეტესად კი საკუთრივ ტრანსპორტის პროდუქცია), რომელიც ამჟღავნებს როგორც აბსოლუტური ზრდის, ისე გარკვეული ზომით ზოგჯერ შეფარდებითი ზრდის ტენდენციას. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მთლიანი პროდუქციის ხვედრიწონა (ფაქტიური ფასებით) საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებაში შეადგენდა 1956 წ.—1,3%, 1957 წ.—1,4%, 1958 წ.—1,6%; 1959 წ.—1,8%, 1960 წ.—2,4%, 1961 წ.—2,3%, 1962 წ.—2,3%, 1963 წ.—2,6%. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის წმინდა პროდუქციის ცვლილება სა-

<sup>12</sup> საქართველოს სსრ მიხისტრია, საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების მიხედვით.

ქართველოს ნაციონალურ შემოსავალში ხასიათდებოდა აბსოლუტური ზრდა და ვარკვეული ზომით ზვედრიწონის შეფარდებითი ვადიდებით. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის წმინდა პროდუქციის ზვედრიწონა (ფაქტური ფასებით) საქართველოს ნაციონალურ შემოსავალში შეადგენდა 1956 წ. — 1,0%, 1957 წ. — 1,3%, 1958 წ. — 1,5%, 1959 წ. — 1,7%, 1960 წ. — 2,3%, 1961 წ. — 2,4%-ს, 1962 წ. — 2,4%-ს, 1963 წ. — 3,1%<sup>13</sup>.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის სოციალური სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ, ისევე როგორც მთლიანად სსრ კავშირში, საქართველოშიც საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის უდიდეს ნაწილს აწარმოებენ სახელმწიფოებრივი საწარმოები, შემდეგ მოდის კოლმეურნეობები და კოოპერაციული საწარმოები, ხოლო კოლმეურნეთა დამხმარე მეურნეობები, მუშა-მოსამსახურეთა დამხმარე მეურნეობები, არაკოოპერირებულ ხელოსანთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობები ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის შექმნაში მცირე ზვედრიწონით არიან წარმოდგენილი. 1963 წელს საქართველოს საზოგადოებრივი პროდუქტის დაახლოებით 86% წარმოებული იქნა სახელმწიფოებრივ და კოოპერაციულ საწარმოებსა და კოლმეურნეობებში. ამასთან წლიდან წლამდე თანდათანობით მცირდება მოსახლეობის მეურნეობათა ზვედრიწონა რესპუბლიკის საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის წარმოებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთიან ფასებში გაანგარიშებისას მოსახლეობის მეურნეობათა ზვედრიწონა სოფლის მეურნეობის წმინდა პროდუქტიაში მნიშვნელოვნად შემცირდება.

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებითა სტრუქტურის ანალიზისას ირკვევა თანაფარდობა მატერიალურ დანახარჯებსა და ახლად შექმნილ ღირებულებას შორის. სათანადო გაანგარიშებანი გვიჩვენებს, რომ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მიმდინარე ფასებში შეფასების დროს ახლად შექმნილი ღირებულებების წილი ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტის ღირებულებაში, შრომის მწარმოებლურობის ზრდის პირობებში, ეცემა, ხოლო მატერიალური დანახარჯების ზვედრიწონა იზრდება. მატერიალური დანახარჯების ზვედრიწონა ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში 1958 წლის 46,8%-დან გაიზარდა 50,8%-მდე 1961 წლისთვის, ხოლო ახლად შექმნილი ღირებულებების ზვედრიწონა შესაბამისად შემცირდა 1958 წლის 53,2%-დან 1961 წლის 49,2%-მდე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისათვის დამახასიათებელი საერთო ტენდენცია — ნაციონალური შემოსავლის უფრო მაღალი ტემპებით ზრდა ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტთან შედარებით, საქართველოს სახალხო მეურნეობის პირობებისთვის ვარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. უკანასკნელი წლების მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი იზრდება (შესადარისი ფასებით) უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე ნაციონალური შემოსავალი. 1963 წ., 1958 წ. შედარებით, საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი გაიზარდა 28%-ით, ხოლო ნაციონა-

<sup>13</sup> Народное хозяйство Грузинской ССР в 1962 году. გვ. 11.



ლური შემოსავალი 27%-ით; 1961 წელს, 1956 წელთან შედარებით, საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 38,7%, ნაციონალური შემოსავალი კი 37,8%-ით გადიდდა. ეს გარემოება ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ საქართველოში 1958—1963 წლებში უფრო მეტად განვითარდა ის დარგები, რომლებშიც დიდია განვითარებული შრომის ხვედრძონა.

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორებია: შრომის მწარმოებლურობის ამაღლება (მათ შორის მატერიალური დანახარჯების ეკონომია) და მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის გადიდება. შრომის მწარმოებლურობის უცვლელი დონის პირობებში ნაციონალური შემოსავლის ღირებულებითი და ფიზიკური მოცულობა პირდაპირ პროპორციულ დამოკიდებულებაშია მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის გადიდების მიმართ. საქართველოს ნაციონალური შემოსავლის აღწარმოების პროცესის გამოკვლევისას აუცილებელია აღინიშნული ფაქტორების მოქმედების საერთო კანონზომიერების ჩვენება და იმ თავისებურებათა დადგენა, რომელიც ახასიათებს ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორების მოქმედებას საქართველოს მატერიალური წარმოების დარგებში.

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და ნაციონალური შემოსავალი განუხრელი და სწრაფი ტემპებით იზრდება, რაც შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისა და მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებული მუშაკების რაოდენობის გადიდების შედეგად ხდება. საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპი 1958—1963 წწ. ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (იხ. ცხრილი 2):

## ც ხ რ ი ლ ი 2

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის დინამიკა<sup>14</sup>

მაჩვენებლები	1958 წ.	1959 წ.	1960 წ.	1961 წ.	1963 წ.
ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი	100,0	106	111	117	128
ნაციონალური შემოსავალი	100,0	103	108	113	127

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 1956 წელთან შედარებით, 1957 წელს 103,5% შეადგენდა, 1958 წ. 1957 წ. მიმართ—114,8%-ს, 1959 წ. 1958 წ. მიმართ—105,8%, 1960 წ. 1959 წ. მიმართ—105%, 1961 წ. 1960 წ. მიმართ—105%, 1962 წ. 1961 წ. მიმართ—107%. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მაღალი ტემპების ზრდასთან ერთად განუხრელად იზრდებოდა საქართველოს ნაციონალური შემოსავალი. საქართველოს ნაციონალური შემოსავალი 1956 წელთან შედარებით, 1957 წელს შეადგენდა 103%, 1958 წ. 1957 წელთან შესაბამისად—118,3%, 1959 წ. 1958 წელთან—103%, 1960 წ. 1959 წელთან—105%, 1961 წ. 1960 წ. მიმართ—105%-ს, 1962 წ. 1961 წ. მიმართ—108%-ს, 1961 წ., 1956 წ. შედარებით, საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 38,7%-ით, ხოლო

<sup>14</sup> Народное хозяйство грузинской ССР в 1963 году, გვ. 15.

ნაციონალური შემოსავალი 37,8%-ით გაიზარდა. საქართველოს ნაციონალური შემოსავლის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 1956—1960 წწ. 7,1%, 1956—1961 წწ. კი 6,6%-ს შეადგენდა, ხოლო საზოგადოებრივი პროდუქტის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 1956—1960 წწ.—7,3%, 1956—1961 წწ. კი—6,8% უდრიდა.

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორების ანალიზისას საჭიროა დადგინდეს, თუ თითოეული ფაქტორის წილად რამდენად იზრდება პროდუქცია, ე. ი. განისაზღვროს შრომის მწარმოებლურობისა და მატერიალური წარმოების დარგებში ჩაბმული მუშაკების რიცხოვნობის ზრდის ფაქტორების გავლენა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის წარმოებაზე.

სათანადო გაანგარიშებანი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის გადაწყვეტი ფაქტორია შრომის მწარმოებლურობის გადიდება და მის წილად მოდის მატერიალური წარმოების მთლიანი და წმინდა პროდუქციის ზრდის დიდი ნაწილი.

საქართველოს მატერიალური წარმოების დარგებში ახალი ტექნიკის დანერგვისა და მუშაკთა ტექნიკური შეიარაღებულობის ზრდის, პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენებისა და სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმების წარმოშობისა და განვითარების, წარმოების და შრომის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ბაზაზე განუხრელად იზრდება შრომის მწარმოებლურობა, რაც მატერიალური წარმოების დარგთა მთლიანი და წმინდა პროდუქციის წარმოების განუხრელ გადიდებას განაპირობებს. ჩვენი გაანგარიშებით, 1959—1961 წწ. შრომის მწარმოებლურობის გადიდების წილად მიღებულია საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნამატის დაახლოებით 61%, მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის ზრდის ხარჯზე 3%, ხოლო ნაციონალური შემოსავლის ნამატის დაახლოებით 60% მიღებულია შრომის მწარმოებლურობის გადიდების ხარჯზე, 40%—მუშაკთა რიცხოვნობის ზრდის ხარჯზე. 1960 წ. ნაციონალური შემოსავლის ნამატის დაახლოებით 40% მიღებულია შრომის მწარმოებლურობის გადიდებით, ხოლო 60% მუშაკთა რიცხოვნობის ზრდის მეოხებით. სათანადო გაანგარიშებანი გვიჩვენებს, რომ საქართველოს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ნამატიდან 1953 წ. შრომის მწარმოებლურობის გადიდების ხარჯზე მიღებულია 60%, ხოლო მუშაკთა რიცხოვნობის ზრდის ხარჯზე—40%. 1954 წელს შესაბამისად—46% და 54%, 1955 წელს წარმოებული პროდუქციის ნამატი მთლიანად მიღებულია შრომის მწარმოებლურობის გადიდების ხარჯზე, 1956 წ. შრომის მწარმოებლურობის ამაღლებით მიღებულია დაახლოებით 14%, მუშაკთა რიცხოვნობის ზრდის შედეგად—86%, 1957 წ. შესაბამისად—29% და 71%, 1958 წ.—73% და 27%, 1959 წ.—48% და 52%, 1960 წელს მრეწველობის პროდუქციის ნამატი მთლიანად მიღებულია მუშაკთა რიცხოვნობის ზრდის შედეგად, 1961 წ. მთლიანი პროდუქციის ნამატიდან შრომის მწარმოებლურობის ხარჯზე მიღებულია დაახლოებით 33%, ხოლო მუშაკთა რიცხოვნობის ზრდის ხარჯზე—67%, 1962 წ. შესაბამისად დაახლოებით—79% და 21%. 1952—1962 წწ. მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ნამატიდან შრომის მწარმოებლურობის ხარჯზე მიღებულია დაახლოებით 54%, ხოლო





პლუშაკთა რიცხოვნობის შედეგად—46%. შრომის მწარმოებლურობის ხარჯზე 1958 — 1962 წწ. მიღებულია მრეწველობის პროდუქციის საერთო ნამატის დაახლოებით 31%, ხოლო მუშაკების რაოდენობის გადიდებით—69%. საქართველოს მრეწველობის წმინდა პროდუქციის ნამატდან შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად 1958 წ. მიღებულია დაახლოებით 85%, ხოლო პლუშაკთა რიცხოვნობის ზრდით—15%, 1961 წ. შესაბამისად—44% და 56%<sup>15</sup>. საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი და წმინდა პროდუქციის ნამატი უმეტესი წლების მიხედვით მთლიანად შრომის მწარმოებლურობის გადიდების მეხეზებით მიიღება. 1962 წ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის დაახლოებით 95% მიღებულია შრომის მწარმოებლურობის გადიდებით, ხოლო სოფლის მეურნეობის წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის ზრდით—5%.

მოტანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის გადამწყვეტი ფაქტორია შრომის მწარმოებლურობის გადიდება და მის წილად მოდის მატერიალური წარმოების დარგთა მთლიანი და წმინდა პროდუქციის ხამატის მნიშვნელოვანი ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპები რამდენადმე ჩამორჩება. როგორც საერთო-საკავშირო, ისე მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებლებს. ასე მაგალითად, 1962 წელს, 1958 წელთან შედარებით, ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა სსრკ-ში — 31%-ით, რსფსრ-ში შესაბამისად—32%-ით, უკრაინაში—29%-ით, ბელორუსიაში—29%-ით, უზბეკეთში—33%-ით, ყაზახეთში—28%-ით, აზერბაიჯანში—27%-ით, ლიტვაში—30%-ით, ძოლდავეთში—39%-ით, ლატვიაში—21%-ით, ყირგიზეთში—26%-ით, ტაჯიკეთში—38%-ით, სომხეთში—40%-ით, თურქმენეთში—13%-ით, ესტონეთში—35%-ით, ხოლო საქართველოში ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა 23%-ით<sup>16</sup>.

საქართველოს ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების რამდენადმე ჩამორჩენა, როგორც საერთო-საკავშირო, ისე ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურით და აგრეთვე შემდეგი მიზეზებით: 1. საქართველოს მატერიალური წარმოების დარგებში და განსაკუთრებით მრეწველობაში, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედარებით ნელი ტემპით, 2. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალბაზანდებათა ზრდის შედარებითი ჩამორჩენით, 3. საქართველოს სსრ შრომითი რესურსების გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებით და სხვ. საქართველოს მრეწველურ-განვითარების ტემპების ჩამორჩენის ანალიზის დროს ზოგიერთი ავტორი მხედველობის გარეშე ტოვებს ჩვენს მიერ აღნიშნულ პირველ და მესამე ფაქტორს, რაც არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ. საქართველოს მატერიალური წარმოების ზრდა-განვითარების, წარმოების ზრდის ტემპების გამოკვლევისას საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, შრომის მწარმოებლურობის გადიდებისა და მატერიალური წარმოების სფეროში და-

<sup>15</sup> მონაცემები გაანგარიშებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

<sup>16</sup> Народное хозяйство СССР в 1962 году, გვ. 484.

საქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის ზრდის ფაქტორების მოქმედების შესწავლა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს სსრ მატერიალური წარმოების დარგებში და კერძოდ, მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობის ზრდის ფაქტორების გამოკვლევა, შრომის მწარმოებლურობის არსებულ დონისა და ზრდის ტემპების ანალიზი. საჭიროა საქართველოს მატერიალური წარმოების დარგებში შრომის მწარმოებლურობის გამოკვლევა მისი გადიდების ცალკეული ფაქტორების—ტექნიკური პროგრესის, წარმოების და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვ. ფაქტორების მოქმედების კონკრეტული ანალიზის საფუძველზე, რაც შრომის მწარმოებლურობის ზრდის რეზერვების გამოვლენის საშუალებას იძლევა. მიზანშეწონილია, რათა მოკავშირე რესპუბლიკებში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის და ნაციონალური შემოსავლის წარმოების დაგეგმვისას ცალ-ცალკე იქნეს გათვალისწინებული შრომის მწარმოებლურობის გადიდებისა და წარმოების მუშაკთა რიცხოვნობის ზრდის ხარჯზე მიღებული წმინდა პროდუქტის ოდენობა მატერიალური წარმოების დარგების და ქვედარგების მიხედვით.

საქართველოს მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპების შედარება საბჭოთა კავშირის შესაბამის მაჩვენებელთან გვიჩვენებს, რომ შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპი შედარებით დაბალია რესპუბლიკის მრეწველობაში: შრომის მწარმოებლურობა სსრკ მრეწველობაში 1962 წ., 1952 წ. შედარებით, გაიზარდა 91%, ხოლო საქართველოს მრეწველობაში—62%-ით<sup>17</sup>. საქართველოს მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპების დაჩქარებისათვის საჭიროა მრეწველობაში ახალი ტექნიკის დანერგვა და შრომის ტექნიკურ შეიარაღებულობაში ერთგვარი ჩამორჩენის დაძლევა, აგრეთვე, წარმოებრივი სიმძლავრეების უფრო რაციონალური გამოყენება; მრეწველობის რიგი პროგრესული დარგების, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომი განვითარება; წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება. ამჟამად საქართველოს მრეწველობის მთელი რიგი პროგრესული დარგების განვითარება ჯერ კიდევ არასაკმარისია. მრეწველობის ასეთ პროგრესულ დარგებს, რომლებიც 1966—1970 წლებში განსაკუთრებით უნდა განვითარდნენ ჩვენს რესპუბლიკაში, მიეკუთვნება ქიმიური, რადიოელექტრონული, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობა და სხვ.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის ზრდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს ომისშემდგომი ეკონომიკური განვითარებისათვის დამახასიათებელია მრეწველობის მუშაკთა რიცხვის რამდენადმე უფრო სწრაფი ტემპებით ზრდა სსრ კავშირის მრეწველობის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგებში დასაქმებულ მუშაკთა

<sup>17</sup> Народное хозяйство СССР в 1962 году, гл. 67; Народное хозяйство Грузинской ССР в 1962 году, гл. 62.



ხვედრიწონის ცვლილების პროცესში ომის შემდგომი პერიოდის მანძილზე მიმდინარეობდა მუშაძალის როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი ზრდა მატერიალური წარმოების დარგებში, ხოლო აბსოლუტური ზრდა და შეფარდებითი შემცირება არაწარმოებრივ სფეროში<sup>18</sup>. უკანასკნელი წლების (1958—1963 წწ.) განმავლობაში აღნიშნული ტენდენცია გარკვეულ ცვლილებას განიცდის. 1958 — 1963 წლების განმავლობაში საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგებში დასაქმებულ მუშაკთა ხვედრიწონის ცვლილების პროცესისთვის დამახასიათებელია მუშაძალის აბსოლუტური ზრდა და ხვედრიწონის შეფარდებითი შემცირება მატერიალური წარმოების დარგებში. ხოლო მუშაძალის აბსოლუტური ზრდა და ხვედრიწონის შეფარდებითი გადიდება არაწარმოებრივ სფეროში. საქართველოს მატერიალურ წარმოების სფეროში დასაქმებულთა ხვედრიწონა 1958 წლის 82,6%-დან შემცირდა 80,2%-მდე 1962 წლისთვის და ამავე პერიოდში არაწარმოებრივ სფეროში დასაქმებულთა ხვედრიწონა შესაბამისად გაიზარდა 1958 წლის 17,4%-დან 19,8%-მდე 1962 წლისათვის.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პროცესში 1952—1959 წწ. შრომითი რესურსების აღწარმოებისათვის დამახასიათებელია არაწარმოებრივი სფეროს დარგებიდან—ჯანმრთელობის დაცვასა და განათლებაში დასაქმებულთა რიცხოვნობის უფრო სწრაფი ზრდა, ვიდრე მატერიალური წარმოების სფეროს ისეთ დარგებში, როგორცაა ვაჭრობა, დამზადებები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, ხოლო თავის მხრივ არაწარმოებრივი სფეროს დარგებიდან განსაკუთრებით განათლების, ჯანმრთელობის დაცვასა და მეცნიერებაში დასაქმებულთა ხვედრიწონის სწრაფი ზრდა. 1958 წელს საქართველოს განათლებისა და ჯანმრთელობის დარგში დასაქმებულთა ხვედრიწონა 12%-დან 1962 წლისათვის 13,8%-მდე გაიზარდა, ხოლო არაწარმოებრივი სფეროს დანარჩენ დარგებში დასაქმებულთა ხვედრიწონა შესაბამისად 5,4%-დან 6,0%-მდე გადიდა.

საქართველოს ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების დაჩქარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებული შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, წარმოებრივ და არაწარმოებრივ სფეროებს შორის მათი განაწილების სრულყოფა. რესპუბლიკის შრომითი რესურსების გამოყენება მოითხოვს შემდგომ გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მატერიალური წარმოების დარგების და განსაკუთრებით გადამმუშავებელი მრეწველობის წამყვანი და პროგრესული დარგების — ქიმიური, ელექტროტექნიკური, ხელსაწყობთმშენებელი, რადიოელექტრონული და სხვა. შემდგომი დაჩქარებული ტემპებით განვითარებას. შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის განვითარებას, ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების ამაღლებას.

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავალი თავის მოძრაობაში გაივლის წარმოების, განაწილების და გამოყენების სტადიებს. ნაციონალური შემოსავლის განაწილება მოიცავს პირველადი განაწილებისა და გადანაწილების პროცესს. პირველადი განაწილების შედეგად წარმოიქმნება მატერიალური

<sup>18</sup> А. Л. Гуния, Воспроизводство рабочей силы в промышленности Грузинской ССР, Тб., 1961, гл. 419.

წარმოების სფეროს მუშაკთა შემოსავლები, სახელმწიფოს, სახელმწიფოებრივ და კოოპერაციულ საწარმოთა შემოსავლები. სათანადო მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამჟამად საქართველოს ნაციონალური შემოსავლის დაახლოებით ნახევარს, ისევე როგორც მთლიანად სსრ კავშირის მასშტაბით, ღებულობენ მუშები, მოსამსახურეები და გლეხები, რომლებიც მატერიალური წარმოების დარგებში მუშაობენ.

ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება მოკავშირე რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, ძირითადად ხდება სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის საშუალებით, აგრეთვე არაწარმოებრივი სფეროს დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მეშვეობით, სხვადასხვა ფონდების წარმოქმნის გზით და სხვ. უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ ბიუჯეტის ზრდა ნაციონალურ შემოსავალთან შედარებით მიმდინარეობს უფრო სწრაფი ტემპით, რაც გვიჩვენებს, რომ გაიზარდა მისი როლი ნაციონალური შემოსავლის გადანაწილებაში. 1962 წელს, 1958 წელთან შედარებით, საქართველოს ნაციონალური შემოსავალი 22 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ბიუჯეტი—41 პროცენტით.

საქართველოს ნაციონალური შემოსავლის გამოყენების სტადიაში წარმოიქმნება დაგროვებისა და მოხმარების ფონდი. მოკავშირე რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოში დაგროვებისა და მოხმარების ფონდის წარმოქმნის თავისებურება ის, რომ თუ მთლიანად სსრ კავშირის მასშტაბით წლის განმავლობაში წარმოებული ნაციონალური შემოსავალი (დანაკარგის გამოკლებით) დაგროვებისა და მოხმარების ფონდის ტოლია, ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკის მიხედვით ეს თანაფარდობა განსხვავებულია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკის წინაშე მდგარი კონკრეტული პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, ხდება ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

დაგროვების ფონდსა და მოხმარების ფონდს შორის თანაცარდობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სახალხო მეურნეობრივ პროპორციას. წარმოების

ც ხ რ ი ლ ი 3

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის განაწილება დაგროვების ფონდად და მოხმარების ფონდად (ფაქტური ფასებით, პროცენტობით ჩამოთხ) <sup>19</sup>

დასახელება	1961 წ.	1962 წ.
გამოყენებული ნაციონალური შემოსავალი—სულ	100	100
1. მოხმარება—სულ	78,5	77,1
მათ შორის:		
პირადი მოხმარება	69,6	70,1
2. დაგროვება - სულ	21,5	22,9
მათ შორის:		
ძირითადი ფონდების მატება	10,2	12,6
აქედან:		
ა) ძირითადი წარმოებრივი ფონდების მატება	5,3	8,2
ბ) ძირითადი არაწარმოებრივი ფონდ. მატება.	5,0	4,4
მატერიალური საბრუნავი საშუალებებისა და რეზერვების მატება	11,2	10,2

<sup>19</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფა გულისხმობს დაგროვების მაღალ ტემპებს. სსრ კავშირში დაგროვების ფონდი (რეზერვებს ჩათვლით) შთელი ნაციონალური შემოსავლის დაახლოებით 25% შეადგენს. ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში, ამ მხრივ, განსხვავებული მდგომარეობაა. დაგროვებისა და მოხმარების ფონდს შორის თანათარდობა ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით მნიშვნელოვნად იხრება საერთო-საკავშირო პროპორციიდან. საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის განაწილება დაგროვების ფონდად და მოხმარების ფონდად შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი № 3).

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს სსრ გამოყენებულ ნაციონალურ შემოსავალში დაგროვების ფონდის ხვედრიწონა გარკვეულად იზრდებოდა და შეადგენდა 1961 წ.—21,5%, 1962 წ.—22,9%. უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის გამოყენებულ ნაციონალურ შემოსავალში დაგროვების ფონდის წილი დაბალია შესაბამის საერთო-საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით. დაგროვების ფონდის ხვედრიწონა სსრ კავშირის ნაციონალურ შემოსავალში შეადგენდა 1959 წ.—26,8%, 1960 წ.—26,6%, 1961 წ.—28,2%, 1962 წ.—28,2%<sup>20</sup>. ნაციონალურ შემოსავალში დაგროვების ფონდის წილის ეს განსხვავებულობა ძირითადად განპირობებულია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების თავისებურებებით და დარგობლივი სტრუქტურით, მწარმოებლური ძალების განვითარების დონით. ამავე დროს აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საჭიროა შემდგომ გაიზარდოს დაგროვების ფონდის წილი რესპუბლიკის გამოყენებულ ნაციონალურ შემოსავალში. ეს გარემოება ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ტემპების დაჩქარებას, დაგროვების ფონდსა და მოხმარების ფონდს შორის ოპტიმალური პროპორციების დამყარებას.

<sup>20</sup> Народное хозяйство СССР в 1962 году, გვ. 483—484.

## საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მუშათა მდგომარეობა და საგაუიფხვო მოძრაობა

(1900—1917 წწ.)

### 3. ჰიქია

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიას, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში)

მეფის მთავრობა განზრახ აფერხებდა რუსეთის განაპირა მხარეებში, მათ შორის საქართველოში, მსხვილი მრეწველობის განვითარებას, რადგან საერთოდ სამრეწველო კერების გაჩენა მოასწავებდა მუშათა კლასის—საზოგადოების „ყველაზე თანმიმდევრული რევოლუციური კლასის“<sup>1</sup> რაოდენობრივ და თვისებრივ ზრდას, ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ავანგარდის გაძლიერებას. განაპირა ქვეყნებში სამრეწველო პროლეტარიატის აღმოცენება და მისი გამრავლება უფრო მეტად გაძლიერებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას. მაგრამ ცარიზმს არ შეეძლო და ვერც შესძლო დიდი ხნით შეეფერხებინა ისტორიული პროცესებით შეპირობებული მოვლენები. იგი ზოგჯერ იძულებული ხდებოდა დროებით გადაეხვია თავისი ძირითადი ეკონომიური პოლიტიკიდან. იცავდა რა მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესებს, ცარიზმი მისწრაფოდა მეტრაბოლის მრეწველობისათვის ფართოდ გამოყენებინა განაპირა ქვეყნები, როგორც ნედლეულისა და პროდუქციის გასაღების ბაზები, აქეთაქენ აქეზებდა და ხელს უწყობდა მრეწველო კაპიტალისტებს; ეს კი ობიექტურად იწვევდა მოპოვებითი მრეწველობის განვითარებასა და, მასთან დაკავშირებით, პროლეტარიატის თანდათანობით ზრდას. ასე, მაგალითად, ბაქოს ნავთობის მდიდარი საბადოების ექსპლოატაციამ დასაბამი მისცა ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრის წარმოშობას მრავალათასიანი პროლეტარიატით; ტყიბულის ქვანახშირისა და ჭიათურის მანგანუმის მადნის საბადოთა დამუშავებამ შექმნა საქართველოს სამთო მრეწველობის პროლეტარიატის რიცხვმრავალი და ერთ-ერთი ძლიერი რაზმი, რომელიც ცარიზმისა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ სისტემატურად იწრთობდა და მტკიცდებოდა.

სტატის მოცულობის შეზღუდულობა შესაძლებლობას არ იძლევა მთელი სისავსით გავაშუქოთ საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მუშათა კლასის განვითარების პროცესი. ამჯერად ვკმაყოფილდებით მხოლოდ მისი ორი ძირითადი და მთავარი დარგის—ქვანახშირისა და მანგანუმის მრეწველობის<sup>2</sup> მუშათა მდგომარეობის განხილვით. ამ დარგის მუშები შეადგენდნენ საქართველოს მუშათა კლასის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელმაც რუსეთის პროლეტა-

<sup>1</sup> სკვპ პროგრამა, თბილისი, 1961, გვ. 9.

<sup>2</sup> ჭიათურის მანგანუმის მადნის მოპოვება იყო არა მარტო საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მთავარი დარგი ცარიზმის დროს, არამედ ამჟამადაც ჭიათურა წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის დედაბაძს (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 1964, გვ. 19).

რიატთან ერთად თვალსაჩინო როლი შეასრულა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

\* \* \*

ძიუხედავად იმისა, რომ ქვანახშირისა და მარგანეცის მოპოვება წარმოადგენდა საკვლევი პერიოდის საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მთავარ დარგს, აქ დასაქმებულ მუშათა შემადგენლობა და მდგომარეობა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ-ჯერობით არ არის სათანადოდ შესწავლილ და გაშუქებული; დადგენილი არ არის მუშათა საერთო რაოდენობაც, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეულია შემონახული ცნობების უზუსტობით—აღრიცხვის დროს სიძნელეს იწვევდა მუშათა მრავალი კატეგორიის არსებობა და, ამასთან დაქირავების ვადის მიხედვით მათი დანაწილება; ზუსტ აღრიცხვაში არანაკლებ სირთულეს ქმნიდა, აგრეთვე, მუშათა მეტი ნაწილის კავშირი სოფლის მეურნეობასთან; ამ კატეგორიის მუშების ერთი ჯგუფი სეზონურად მიდიოდა მადარობებში სამუშაოდ და ხშირად აღრიცხვის გარეშე რჩებოდა. ამიტომ რამდენადმე უურაღლებას იმსახურებს, ოფიციალური ანგარიშების გარდა, თანამედროვეთა მიერ მოცემული ზოგიერთი ცნობაც.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში ჩაბმული მუშები შემდეგ ძირითად კატეგორიად იყოფოდნენ: მაღაროში მომუშავენი, ჩალადრები, მეურმეები და მტვირთავეები; თვით მაღაროს მუშებში არჩევდნენ სამ ჯგუფს—მნგრეველებს, გადაშიდგელებს (მათ შავი ქვა გამოჰქონდათ გვირაბიდან მაღაროს პირზე) და გადამრჩეველებს (უმთავრესად გამოყენებული იყვნენ ქალები და ბავშვები), ესენი ახარისხებდნენ მადანს; იყვნენ აგრეთვე ე. წ. „მეფუთეებიც“, რომლებიც ურიგდებოდნენ მეწარმეებს რკინიგზის ბაქანზე ფუთი გაწმენდილი მანგანუმის მადნის ან ქვანახშირის გამოტანის პირობით; მუშების ასეთივე კატეგორია იყო ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობაშიც.

სად. შორაპანში, ფოთსა და ბათუმში მომუშავე მტვირთავი მუშების ერთი ნაწილი მადანს ჭიათურის ვაგონებიდან ფართო ლიანდაგიანი რკინიგზების ღია ვაგონში გადმოტვირთავდა (სად. შორაპანი), მეორენი ამ ვაგონებიდან მარგანეცს ნავსადგურის ბაქანზე ყრიდნენ, ხოლო მესამე ჯგუფი კი გემებს ტვირთავდა.

ჭიათურის მანგანუმის ამოღება, მუშათა რაოდენობისა და ექსპორტის ცვლილება 1899—1917 წწ. ოფიციალური ანგარიშების მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება (ცხრილი 1)<sup>3</sup>:

<sup>3</sup> Статистика марганцевого дела. Кутаис, 1907, გვ. 7, 37; статистика марганцевого дела 1914—1917 годы, გვ. 8, 20, 236, 246, 252; ქს. კვანტრე, საქართველოს სამთამადნო მუშათა მოძრაობის ისტორია, თბ., 1926, გვ. 104—105; სტატისტიკური კრებული 1909—1921, თბ., 1923, გვ. 53; ქს. კვანტრე თავის წიგნში 1914 წელს ჭიათურის მუშათა რაოდენობას აღნიშნავს 8000 კაცით (იხ. მისი წიგნი, გვ. 155).

ცხრილში (1) მუშათა რაოდენობა 1912—1915 წლებში დაზუსტებულია ჩვენს მიერ (იხ. საქართველოს სსრ ცსია, ფ. 264, ს. 5328, ფურც. 118).

ა. გავაშელიის ცნობით, ჭიათურაში ყველა კატეგორიის მუშათა რაოდენობა 1900 წელს შეადგენდა 7702 კაცს (იხ. მისი წიგნი — ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ისტორიად, თბ., 1957, გვ. 13).

ცხრილი 1

წლები	მუშათა რაოდენობა	მანგანუმის ამოღება ფუთობით	მანგანუმის ექსპორტი ფოთით და ბათუმით (ფუთობით)
1899	3250	34052432	250734 19
1900	3702	40363492	28698357
1901	1975	22904535	21648575
1902	2212	25925115	31177892
1903	2004	22974603	29952646
1904	2995	20256309	33215067
1905	3172	20876487	21466494
1906	5085	50170000	30895905
1907	4004	40833000	33530547
1908	671	6955000	24683212
1909	3123	36060000	35088672
1910	3213	33805000	39635677
1911	2072	28635000	37510747
1912	2380	35325000	55834409
1913	3580	59188000	65827266
1914	3107	40446000	43652902
1915	1264	15737000	540000
1916	1059	14677000	1862448
1917	986	12488000	359160

როგორც ცხრილიდან<sup>3</sup> ჩანს, მუშათა და ამოღებული მანგანუმის რაოდენობა 1900 წლიდან მსოფლიო ეკონომიური კრიზისის დაწყებასთან დაკავშირებით თანდათან კლებულობს, ხოლო 1904 წელს მუშათა რაოდენობა საგრძნობლად მატულობს. გაიზარდა ამოღებული და გატანილი მანგანუმის რაოდენობაც; მაგრამ 1907—1908 წლების კრიზისმა კვლავ მკვეთრად დასცა მოპოვება. 1907 წლის მაჩვენებლები უმთავრესად ეხება პირველ ნახევარს, ხოლო იმავე წლის მეორე ნახევარში, კრიზისის დაწყებასთან დაკავშირებით, რომლის მთავარი მიზეზი გახდა მსოფლიო ბაზარზე ინდოეთისა და ნიკოპოლის იაფფასიანი მარგანეცის მადნის დიდი რაოდენობით გატანა და რუსეთის მეტალურგიულ ქარხნებში ნიკოპოლის მანგანუმის ფართოდ გამოყენება, კლებულობს როგორც მუშათა, ისე ამოღებული მანგანუმის რაოდენობაც; ხოლო 1908 წელს<sup>4</sup> ჩანს, რომ მდგომარეობა კატასტროფული შეიქმნა, როდესაც 1907 წელს მოქმედი 395 მალაროდან 281 დაიკეტა და ათასობით მუშა უმუშევრად დარჩა, თუმცა ამ პერიოდში, მიუხედავად მანგანუმის ამოღების მკვეთრი დაკლებისა, ექსპორტის შემცირება უმნიშვნელოა, რაც უნდა აიხსნას წინა წლებში უკვე დაგროვილი მანგანუმის გატანით.

1909 წლიდან მანგანუმის ამოღება და გატანა მკვეთრ აღმავლობას განიცდის და უმაღლეს წერტილს აღწევს 1913 წლის პირველ ნახევარში, რის შემ-

<sup>3</sup> „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში“ (გვ. 263, თბ., 1957). ნათქვამია, რომ 1910 წლიდან ქიათურის მანგანუმის მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა რაოდენობა მატულობს. სინამდვილეში 1912 წელს მუშათა რაოდენობა შემცირდა 833 კაცით 1910 წელთან შედარებით.

<sup>4</sup> ქუთაისის გუბერნიის სამთამადნო მრეწველობის 1908 წლის მიმოხილვიდან ჩანს, რომ ამ წელს მანგანუმის მადანი ამოღებული იქნა 6955 ათასი, არამედ 7713 ათასი ფუთის რაოდენობით (იხ. საქართველოს სსრ ცსია, ფ. 19, ს. 127, ფურც. 12).



დეგ ჭიათურის მანგანუმის ამოღებასა და ექსპორტს ამ დონისათვის საბჭოთა პერიოდამდე არასოდეს აღარ მიუღწევია.

ამ მონაცემებიდან ირკვევა, აგრეთვე, მანგანუმის მადნის ექსპორტის დაქვეითება პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით. თუ ომამდე ჭიათურის მანგანუმის მადნის დიდი მომხმარებლები იყვნენ ბელგია, ჰოლანდია, ინგლისი, გერმანია; საფრანგეთი, აშშ, ომმა შეწყვიტა მანგანუმის მადნის საზღვარგარეთ გატანა. იგი უმნიშვნელო რაოდენობით გაქონდათ მხოლოდ რუსეთში, ამიტომ ცხრილში (1) 1915, 1916 და 1917 წლების ცნობები აღნიშნავს მხოლოდ რუსეთში გატანილი მანგანუმის მადნის რაოდენობას.

ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობაში 1899—1917 წლებში შემდეგი სურათი გვაქვს. (ცხრილი 2)<sup>5</sup>:

ცხრილი 2

წლები	მუშათა რაოდენობა	ქვანახშირის ამოღება ფუთობით
1899	310	2182115
1900	700	3862499
1901	376	3358900
1902	184	2941458
1903	245	2855700
1904	376	2914570
1905	498	1796330
1906	400	2300000
1907	400	2800000
1908	390	3111463
1909	385	2439475
1910	390	2807579
1911	600	3884861
1912	576	4216237
1913	579	4308806
1914	644	4014401
1915	653	4595621
1916	766	4054000
1917	700	3379000

როგორც ცხრილიდან ჩანს, მუშებისა და ამოღებული ქვანახშირის რაოდენობა 1901 წლიდან თანდათან კლებულობს; 1908 წელს ქვანახშირის, ხოლო 1910 წელს მუშათა რაოდენობა იწყებს მატებას. ომამდელი პერიოდიდან 1913 წელი ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობისათვის წინა წლებთან შედარებით ყველაზე ნაყოფიერი იყო; ომის დროს ტყიბულის ქვანახშირზე მოთხოვნილება ქვეყნის შიგნით გაიზარდა, ამიტომ მისი ამოღება არ შემცირებულა, მუშათა რიცხვი კი რყევას განიცდიდა. ხოლო 1916 წელს, ჩვენს მიერ მიგნებული მასალების მიხედვით, მუშათა საშუალო რაოდენობამ მიაღწია 766 კაცს.

სამთამადნო მრეწველობის მუშათა რაოდენობის დადგენაში საერთოდ, როგორც აღვნიშნეთ, სიძნელეს ქმნის დღიური მუშების სწორი აღრიცხვის უქონლობა, მანგანუმის მრეწველთა ანგარიშებში მხედველობაში მიღებულია ზოგჯერ მხოლოდ მალაროების შიგნით მომუშავეები და ყურადღების გარეშეა

<sup>5</sup> ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ ქვემოთ მოთხილი მასალების მიხედვით: ქს. კვანტრე, დასახ. ნაშრ., გვ. 26, 110, 153, 155; სტატისტიკური კრებული 1909—1921, თბ., 1923, გვ. 50; საქართველოს სსრ ცხია, ფ. 264, ს. 3158, ფურც. 27—28; ს. 2912, ფურც. 37; ს. 3308, ფურც. 46, 200; ს. 3531, ფურც. 105; ს. 3910 ფურც. 6—7; ს. 3958; ფურც. 19—20, 24; ს. 4990, ფურც. 36; ს. 5328, ფურც. 41, 102, 118.

დარჩენილი ზედაპირზე დასაქმებული მუშები. არ იყო ჩალვადრებისა და მტვირთავების ზუსტი აღრიცხვა. „მათი (ე. ი. ჩალვადრების—ვ. ჯ.) სათვალავიც კი არავენ იცის“—წერდა ფ. მახარაძე გაზ. „კვალში“, მ. მარილაძის ფსევდონიმით<sup>6</sup>. ასევე დღიური მუშების რაოდენობის გარკვევა მოუხერხებელი ხდებოდა მათი ხშირი დენადობის გამო<sup>7</sup>.

მანგანუმისა და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა რიგები ივსებოდა მახლობელი სოფლების გლეხებით, რომლებიც მკიდროდ იყვნენ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული და „საშოვარზე“ მიდიოდნენ სეზონურად—გვიან ვაზაფხულზე, ან ზამთარში, ე. ი. სავაზაფხულო სამუშაოების დამთავრებისა და მოსავლის აღების შემდეგ. განსაკუთრებით ასეთი მუშებისაგან ივსებოდნენ ჩალვადრები, მეურმეები, მტვირთავები, გადამზიდველები, მრეცხავ-დამხარისხებლები—უფრო მეტად დღიური მუშები. ისინი მუშაობდნენ მალარობის შიგნითაც მხგრეველებად, მაგრამ, როგორც ირკვევა, აქ უფრო საქმეს დაუფლებული მუშები უნდა ყოფილიყვნენ ჩაბმულნი, რადგანაც მუშაობის სპეციფიკური ხასიათის გამო, ფიზიკურ ძალასთან ერთად, საჭირო იყო მოხერხება, სათანადო კვალიფიკაცია და ჩვევა.

სამთამადნო მრეწველობაში ძირითადად გამოყენებული იყო მამაკაცთა შრომა, ხოლო ქალების, არასრულწლოვანებისა და მცირეწლოვანთა შრომა კი შედარებით ნაკლებად. მაგრამ ამ უცნასკნელთა მონაწილეობას მაინც გარკვეული წვლილი ჰქონდა განსაკუთრებით მალაროს ზედაპირზე სხვადასხვა სახის სამუშაოს შესრულებაში. ქალებისა და ბავშვების შრომას ფართოდ იყენებდნენ მანგანუმის სარეცხ ქარხნებში, გადარჩევასა და დამხმარე სამუშაოებზე. ისინი შრომობდნენ იმდენხანს, რამდენსაც მოზრდილი მამაკაცები, მაგრამ ლბულობდნენ ნაკლებ გასამრჯელოს.

მიუხედავად იმისა, რომ 1882 წლის 1 ივნისის კანონით იკრძალებოდა მალარობაში ე. ი. მიწისქვეშა სამუშაოებზე ორივე სქესის მცირეწლოვანთა შრომა, მრეწველები უგულებელყოფდნენ აღნიშნულ კანონს და იყენებდნენ

<sup>6</sup> „კვალი“, 1902 წ., 8 დეკემბერი, № 50

<sup>7</sup> პროფ. ნ. ჩახვაშვილის გაანგარიშებით, საქართველოს მთელ სამთამადნო მრეწველობაში მე-19 ს. ბოლოს სულ ჩაბმული იყო 8 ათასი მუშა, აქედან ყველაზე მეტი კიათურის მარგანეცის მრეწველობაზე მოდიოდა (იხ. **И. Ч а х в а ш в и л и, Рабочее движение Грузии.** თბ., 1958, გვ. 51); სხვა ცნობით, მარტო კიათურაში 1900 წელს ყველა კატეგორიის მუშათა რაოდენობა 20 ათასს შეადგენდა, აქედან 7—8 ათასი ჩალვადარი იყო („კვალი“, 1909 წ., 1 ივნისი, № 23; 24 სექტემბერი, № 39); 1908 წლის 4 აპრილს მარგანეცის მრეწველთა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარის გ. ზდანოვიჩის (მაიაშვილის) სახელზე პეტერბურგში გაგზავნილ დეპეშაში თავმჯდომარის მოადგილე აბაშიძე წერდა, რომ კიათურაში 500 წვრილი და მსხვილი მრეწველი და 12 ათასამდე შავი მუშა არისო. (საქართველოს სსრ ცსია. ფ. 417, ანწ. 1, ხ. 26, ფურც. 6). ჩვენ ვთვლით, რომ ყრილობის საბჭოს ექნებოდა მარგანეცის წარმოების მუშათა ზუსტი ცნობა და თუ 1908 წელს, კრიზისის პერიოდში, მუშათა რაოდენობა 12 ათასი იყო, ეს გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ ზემოაღნიშნული ოფიციალური ანგარიშებიდან მოტანილი ცნობა კიათურის მანგანუმის მუშათა შესახებ ასახავს მხოლოდ ძირითადს და არა დამხმარე მუშებს.

საზუსტეს მოკლებულია ე. კ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ცნობები 1914 წელს კიათურის მალარობაში დასაქმებულ მუშების შესახებ, როცა ნაშრომის ერთ ადგილას უჩვენებს 3095, ხოლო მეორეში —7950 მუშას (იხ. მისი წიგნი—მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარება საქართველოში, თბ., 1960, გვ. 299 და 306).

მათ, როგორც ნაკლებად ღირებულ სამუშაო ძალას და, უფრო მეტად, საგაფიცო მოძრაობის დროს დათხოვნილა მუშების ადგილებზე<sup>75</sup>.

საქართველოს სამთამადნო პრეწველობაში ჩაბმული მუშათა ასაკობრივი შემადგენლობა ზუსტად დადგენილი არაა. საარქივო მასალებიდან (განსაკუთრებით, კავკასიის I სამთო ოკრუგის ანგარიშებიდან) ირკვევა, რომ შრომით საქმიანობაში მონაწილეობდნენ მცირეწლოვანები (12—15 წ.), არასრულწლოვანები (15—17 წ.) და სრულწლოვანები 17 წლის შემდეგ. განსაკუთრებით, მადაროს შიგნით დასაქმებული მუშების დიდი ნაწილი 16—40 წლამდე ასაკის იყო. მაგ., 1910 წელს, ჭიათურის მანგანუმის პრეწველობაში, კავკასიის I სამთო ოკრუგის ინჟ. ა. ცეიტლინის ცნობით, მუშაობდა სულ 3213 მუშა, აქედან ძირითად სამუშაოებზე იყო სრულწლოვანი 1776 და არასრულწლოვანი—71, ზოლო დამხმარე სამუშაოებზე—1074 სრულწლოვანი, 253 არასრულწლოვანი და 59 მცირეწლოვანი<sup>8</sup>.

ტყიბულის მადაროებში არასრულწლოვანთა შრომის გამოყენების ნათელურათს გვაძლევს ქვემოთ მოტანილი ცხრილი, რომელიც ასახავს 1916 წლის მდგომარეობას<sup>9</sup> (ცხრილი 3).

ცხრილი 3

თევები	დასაქმებული მუშების რიცხვი		სულ
	1916		
	სრულწლოვანი 17 წლის შემდეგ	არასრულწლოვანი 15—17 წ.	
იანვარი	586	36	622
თებერვალი	604	40	644
მარტი	552	42	594
აპრილი	536	31	567
მაისი	650	40	690
ივნისი	675	42	717
ივლისი	725	50	775
აგვისტო	1010	70	1110
სექტემბერი	801	30	831
ოქტომბერი	936	50	986
ნოემბერი	835	40	875
დეკემბერი	838	51	889

მიწისქვეშა შრომის მძიმე პირობების გამო მუშების სიცოცხლე ხანმოკლე იყო და საშუალოდ 40 წლის ასაკის შემდეგ ისინი ნაწილობრივ მაინც კარგავდნენ შრომის უნარს.

მადაროებში სამუშაოდ იყენებდნენ 7 წლის ასაკის ბავშვებსაც, განსაკუთრებით მადნის დამხარისხებლად; „მადაროებში სამუშაოდ გლეხებს თავიანთი მცირეწლოვანი შვილებიც მოჰყავდათ, ან აგზავნიდნენ. ძველი მუშის ს. ლ. ბუხრაშვილის ვადმოცემით ჭიათურის პრეწველობაში მუშაობა მან 7 წლასამ დაიწყო მადნის დამხარისხებელ მუშად. ს. პ. კუპატაძის მოგონებით მამამისი ვაკირვებამ აიძულა ის მადაროებში სამუშაოდ გაეგზავნა ჯერ მადნის დამხა-

<sup>75</sup> Полное собрание законов Российской империи (ПСЗРИ). 1882, т. 2, ст. 951, стр. 265—266.

<sup>8</sup> საქართველოს სსრ ცსია, ფ. 264, ს. 4580, ფურტ. 84.

<sup>9</sup> ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საარქივო დოკუმენტების მიხედვით (იხ. საქ. სსრ ცსია, ფ. 264, ს. 5328, ფურტ. 74, 83, 85, 92, 99, 112, 131).

რისხებლად, როდესაც სულ 10 წლის იყო, ხოლო შემდეგ მაღაროდან ზედაპირზე მადნის მზიდავად. მრეწველობის აღნიშნულ დარგში გამოიყენებოდა აგრეთვე ქალთა შრომა, უმთავრესად მადნის გარჩევა-გაცხრილვაზე. ინე. გ. დევანოზიშვილის გადმოცემით, ადგილობრივი ქალებისა და მცირეწლოვანი ბავშვების რაოდენობა მაღაროს ზედაპირზე მომუშავეთა შორის მცირე არ იყო<sup>10</sup>.

მუშების უმრავლესობამ წერა-კითხვა არ იცოდა და ეს უცოდინარობა მათ არანაკლებ ჩაგრაავდა. ამით სარგებლობდნენ მრეწველები, ექსპორტიორები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და მწონავეები. უკანასკნელი ატყუებდნენ ჰუშებს წონასა და ზომამი. „რამდენადაც მწონელი მეტად გაკრავს-გამოკრავს, ერთი ხელის დაკვრით სასწორის თავს დაბლა დახრის, იმდენი სარგებლობაა თავის პატრონისა და ამისათვის პატრონიც გულწრფელად და უხვად აჯილდოვებს თავის ერთგულ მოსამსახურეს ასეთი შრომისათვის. ისეთი მწონელები, რომლებიც სხვა ადგილზე და სხვა სამსახურში ვერ ელიოსება 10—15 მან. მეტს, აქ (ჭიათურაში, ვ. ჯ.) 80—100 მან. იოვლიან თვიურ ჯამაგირად“<sup>11</sup>.

მუშებს ატყუებდნენ ხელფასის გაცემისას. ოუ მუშა აღძრავდა საჩივარს უსამართლო მოპყრობის შესახებ, თავის მართლებას ვერ ახერხებდა, ჯერ ერთი, იმიტომ რომ ძვირი უჯდებოდა საქმიანი ქალაქების შედგენა, რისთვისაც პოხელისათვის უნდა მიემართა, მეორე, მას არ ჰქონდა მოსამართლეებისათვის ქრთამის მიცემის საშუალება და, მესამეც, საქმის გაჩივრა ხდებოდა მისთვის გაუგებარ ენაზე. რაც დიდ სიძნელეს უქმნიდა მუშას სიმართლის დადგენისათვის ბრძოლაში.

ცნობილია, რომ მანგანუმის მრეწველთა ყრილობისა და თვით საბჭოს მუშაობა რუსულ ენაზე წარმოებდა — ეს გაუგებარსა და უცხოის ხდიდა მათი საქმის წარმოებას მუშებისათვის. ამიტომ ადგილობრივი მრეწველები მუშათა ზეგავლენით სამართლიანად მოითხოვდნენ ყრილობის სამუშაო ენად ქართული ენის შემოღებას. მრეწველთა V ყრილობამ (1903 წ. იანვარი) განიხილა ეს საკითხი და აღძრა სათანადო შუამდგომლობაც, მაგრამ მთავრობამ იგი უარყო.

მუშები მოკლებული იყვნენ ელემენტარულ უფლებას, მათი წარმომადგენელი არ მონაწილეობდა მრეწველთა ყრილობისა და ადმინისტრაციის მიერ მოწვეულ თათბირებზე, სადაც იხილებოდა მუშებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები.

1905—1907 წლების რევოლუციის ბობოქარ დღეებში მანგანუმის მრეწველთა VIII და IX ყრილობებზე განხილულ იქნა საკითხები ქართული ენის ოფიციალურ სამუშაო ენად გამოცხადებისა და ყრილობის მუშაობაში მუშების წარმომადგენელთა დაშვების შესახებ, მაგრამ პირველ საკითხი უშედეგოდ დარჩა, ხოლო მეორე დადებითად გადაწყდა იმ მხრივ, რომ მუშების წარმომადგენელი დაშვებულ იქნა ყრილობაზე, თუმცა სათათბირო ხმის უფლებით.

ამრიგად, საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ძირითად დარგებში მუშათა რაოდენობა წარმოების ზრდასთან ერთად საგრძნობლად მატულობდა. სასულწლოვან მამაკაცებთან ერთად მომქანცველი შრომის მძიმე ტვირთს ეწეოდნენ ქალები და ბავშვებიც; მუშების უდიდესი ნაწილი წერა-

<sup>10</sup> ა. კოკლავეშვილი, საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში, თბ., 1962, გვ. 312—313.

<sup>11</sup> „კვალი“, 1901 წ., 2 სექტემბერი, № 36.



კითხვის უცოდინარი იყო, ისინი უმთავრესად შედგებოდნენ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული გლეხებისაგან, რომელთაგან ერთი ნაწილი ეკონომიური გაპირვების გამო სეზონურად მიდიოდა „საშოვარზე“, ხოლო მეორე ნაწილი სავსებით მოწყდა მიწათმოქმედებას, რადგან სოფელი მათთვის დედინაცვლად იქცა<sup>12</sup> და თავისი ბედი მრეწველობას დაუკავშირა.

\*  
\*  
\*

მუშათა მატერიალურ მდგომარეობაში, როგორც ცნობილია, იგულისხმება უპირველეს ყოვლისა მუშათა ხელფასი, საბინაო და შრომის პირობები.

მრეწველები არ ზრუნავდნენ მუშების საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. მათ ანტერესებად მხოლოდ მოგება, რომელსაც მიიღებდნენ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციით. ისინი პირუტყვს (ცხენს, ჯორს, ხარს და სხვ.) უფრო უვლიდნენ და აფასებდნენ, ვიდრე მუშას, რადგან პირუტყვი მათ სრულ საკუთრებას შეადგენდა. ხოლო მუშების ძალას დღიურად ან თვიურად ყიდულობდნენ: „თუ მუშა გახდა ავად, — წერდა „კვალი“, — ამით მწარმოებელი არას ჰკარგავს, ავადყოფი მუშის მაგიერ სხვა მუშას ჰქირაობს ბაზარში, რომელთა რიცხვი უთვალავია“<sup>13</sup>. აქედან ნათელია, რომ მუშა-ძალის სიჭარბე ყოველთვის აუარესებდა თვით მუშათა მდგომარეობას.

მუშათა საბინაო საკითხი საქართველოში მწვავედ იდგა როგორც 900-იან წლებამდე<sup>14</sup>, ისე შემდეგაც—1921 წლამდე. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დაიწყო ჩვენში მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

ამიტომ სწორად არ მიგვაჩნია ქს. კვანტრეს დასკვნა 900-იანი წლებიდან მუშათა საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ტყიბულის მალაროების მუშათა საცხოვრებელი პირობების განხილვისას, იგი წერდა, რომ მათ „ბინებზე, აბანოებზე და სხვა მოწყობილობაზე ზედმეტი იყო ლაპარაკი, ასეთები 900 წლამდე არ არსებობდა. მუშები აუშვებდნენ თუ არა ხელს სამუშევარს, მიდიოდნენ თავიანთ სახლებში (სოფელში), ცუდი ამინდის დროს თავს აფარებდნენ დროებით დადგმულ ფაცხებს, იქვე მალაროებში“<sup>14</sup>.

<sup>12</sup> ა. წულუკიძე, თხზულებანი, თბ., 1943, გვ. 73—74. პროფ. ი. ჯაჭარაძის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულ პირობათა შორის ერთ-ერთი დიდი მნიშვნელობის ფაქტორად მიაჩნია საქართველოს მუშათა კლასის გარკვეული ნაწილის „ორი მისამართიანა“ ცხოვრება, რაც განაპირობებდა გლეხობაში მუშათა რევოლუციური გავლენის ზრდას და საზოგადოების ამ ორ ძირითად ნაგრულ კლასებს შორის კავშირის განმტკიცებას. (იხ. ი. ჯაჭარაძე ა. სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში, თბ., 1959, გვ. 39—40).

<sup>13</sup> „კვალი“, 1900 წ. 21 მაისი, № 21.

<sup>14</sup> ა რუსეთში ფართოდ გავრცელებული მოძრაობის გავლენით, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზნები იყო აუტანელი საბინაო და შრომის პირობები, 1897 წ. 12 მარტს კავკასიის სამთო სამმართველომ მიიღო დადგენილება მუშათა სამუშაო და საცხოვრებელი შენობის მოწყობის წესების შესახებ, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მაქსიმალური დაცვა და ამასთან ეკრძალებოდა მუშებს სარდაფებსა და მიწურებში შრომა და ცხოვრება (იხ. საქ. ცსიპ, გვ. 265, ს. 35, ფურც. 6—10).

<sup>14</sup> ქს. კვანტრე, საქართველოს სამთამაძნო მუშათა მოძრაობის ისტორია, თბ., 1926, გვ. 26.

მაგრამ 900-იანი წლების შემდეგაც მდგომარეობა თითქმის უცვლელია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ „...900-იან წლებამდე მუშათა ბინების, სამრეცხაოებისა და წარმოების ხასიათის შესაბამის აუცილებლად საქარო სხვადასხვა კეთილმოწყობაზე მეწარმენი თითქმის სრულებით არ ფიქრობდნენ“<sup>15</sup>, გვიან, განსაკუთრებით 1901—1903 წლების ეკონომიური კრიზისის შემდეგ, მეწარმენი იწყებენ ერთგვარ „ზრუნვას“—წყობენ ღამის გასათევ ყაზარმებსა და ბარაკებს<sup>16</sup> მხოლოდ იმისათვის, რომ ადგილობრივი მუშები არ მოწყვეტილიყვნენ სამუშაოს სოფლებში წასვლით და ამასთან შეენარჩუნებინათ შორეულ ადგილებიდან ჩამოსული მუშებიც—მიზანი კი ერთი იყო: რაც შეიძლება მეტი ექსპლოატაცია გაეწიათ დაქირავებული შრომისათვის.

900-იან წლებამდე ჭიათურის მრეწველობის მუშა-მისამასხურეთა საბინაო პირობებზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ცნობილი ქართველი მწერლის ე. ნინოშვილის პირადი წერილები.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ე. ნინოშვილი მუშაობდა მანგანუმის ერთ-ერთ მრეწველ ნ. ლოლობერიძის კანტორაში ზესტაღონსა და შემდეგ ვოშში. წერილში, რომელიც მას 1892 წლის 7 მაისს გომიდან გაუგზავნია თედო სახოკაასათვის, თავისი საცხოვრებელი ბინის შესახებ წერდა: „ათასნაირი გარყვნილი ხალხის სამიჯიტნოს გვერდზე არის მიკეთებული ბუღდესავით ერთი ოთახი. რომელსაც სიგარძე 5 არშინი აქვს, სიგანე—3½ არშინი, იატაკი დამპალი, ოღრო-ხოღრო, უხეირო ჭერს ქვემოდან ისეთი დვირბები აკრავს, რომ კაცს თავი უწვდება ქვეშიდან. ერთი ხელისგულისოდენა ფანჯარა, ამკუბო-ოთახს სამიჯიტნოსაგან ამორებას კარდონივით თხელი ფიცრის კედელი. დუქნიდან ისე შემოდის მთვრალი ხალხის ყაყანი, ჩხუბი, ლანძღვა და აყალ-მაცალის ხმა, თითქო შიგ ჩვენთან იყვეს. ასეთი მორთული ჩვენი ოთახი ისეა გავსილი (განსოვდეს, რომ ამ ოთახში 2 კაცი ვცხოვრობთ) უხეირო სტოლით, უხეირო ლოგინით, ნიჩბებით, წალკატებით, რალაც ჩვენი ზაბაკ-ხუბაკით, რომ ვერც კი გაინძრევი შიგ. ჯერ სიცხეები არც კი დაწყებულა და სულის შეხუთვას ვგრძნობთ შიგ. რალა იქნება შემდეგ...“<sup>17</sup> იმავე მისამართით გაგზავნილი მეორე წერილშიც საბინაო მდგომარეობის მძიმე სურათი იყო მოცემული—„გარეშემო შავი ქვის მტკრისაგან გამურული ჰაერია, მთვრალი ხალხის ყაყანი, საშინელი ლანძღვა-გინება, ყვირილი და ჩხუბი, სულის შემხუთავი სიცხე, კუბოს ოდენა სხვადასხვა ხურდა-მურღით გატენილი ოთახი, რომელსაც ერთი ხელისგულისოდენა „ფორტოჩკას“ გარდა, ფანჯარა არსად აქვს გასაღები“<sup>18</sup>. ძნელი გასაგები არაა, რომ ჭიათურის მუშების საბინაო პირობები უფრო უარესი იქნებოდა.

XX საუკუნის პირველ წლებში სამთამადნო, ისე როგორც მრეწველობის სხვა დარგების, მუშების საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება საქართველოში არ მომხდარა. ორიოდენ ყაზარმა—ბარაკი, თუ ქოხმახი, რომლებიც სრულებით არ პასუხობდა საცხოვრებელი ბინისათვის წყაყენებულ ელემენტარულ მოთხოვნებს, ვერ აკმაყოფილებდა მუშათა მდგომარეობას, რასაც ნათლად გვიჩვენებს ქვემოთ მოტანილი ფაქტები.

15 ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958, გვ. 216.

16 ყაზარმები და ბარაკები პირუტყვის სადგომებდაც არ გამოდგებოდნენ.

17 ე. ნინოშვილი, თხზ., ტ. 2, თბ., 1950, გვ. 64.

18 იქვე, გვ. 353.

ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში, როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა კატეგორიისა და კვალიფიკაციის მუშები შრომობდნენ, მაგრამ მათი საბინაო პირობები განურჩევლად აუტანელი იყო. „ცხოვრება კი ყველასი ერთნაირად მიდის,—წერდა „კვალი“—გვირახში მომუშავეთა საცხოვრებელ სახლს შეადგენდა, ისევე გვირახში, ჩალგადრისათვის—თავლა, მერუმისათვის მინდორი და სხვა. ხოლო თუ ასში ერთს არგუნა წილად ზედმა იმისთანა კაცთან მუშაობა, ვისაც სახლი სამუშაოს ახლოს უდგია, ეს მისთვის საუკეთესო ჯილდოს შეადგენს. მარა რის სახლი. უბრალო „შილოპკისაგან“ არის გაკეთებული, იატაკი მიწის არის, კედლებშიც თავისუფლად ნავარდობს ქარი“<sup>19</sup>.

1902 წლის ოქტომბერში იგივე გაზეთის კორესპონდენტი, აღნიშნავდა რა მრეწველთა უსულგულო დამოკიდებულებას ჭიათურის მუშების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების საქმისადმი, მიუთითებდა: „არა მგონია სადმე ასეთ არასასურველ მდგომარეობაში იმყოფებოდეს შრომის წარმომადგენელი, როგორც ჭიათურაში... მუშების მეტი ნაწილი ზაფხულში გარეთ. ცისქვეშ ათენებენ, ხოლო ზამთრობით—შიგ მაღაროებში, რაც კანონით სასტიკად აკრძალულია და დიდათაც მავნებელია მათი ჯანმრთელობისათვის“<sup>20</sup>.

ფ. მახარაძე 1902 წლის 8 დეკემბერს გაზ. „კვალი“ში წერდა: „რომ იცოდეთ, სად ატარებენ ღამეს ჭიათურელი მუშები, ან როგორ იკვებებიან ისინი. რამდენ საათს მუშაობენ დღე და ღამეში, გაცოდებიან. მაგრამ თქვენთვის წარმოუდგენელია ის ბნელი, ნესტიანი, მიწური ქოხმახები, რომლებიც ყველაფერს ჰგვანან, გარდა ადამიანის სადგომისა. აი რაში ცხოვრობენ ჭიათურაში მომუშავენი! როცა უყურებ აქ ცხოვრებას, ძალაუნებურად გააფიქრებ, რომ ადამიანის პიროვნებას ისე მდაბლად არსად არ უნდა აფასებდნენ, როგორც ჭიათურის მადნებში“<sup>21</sup>.

მომდევნო წელსაც არსებულ პირობებს გაუმჯობესება არ დატყობია. პირიქით, კრიზისის წლებში ჭიათურის მუშები შემხარავ პირობებში ცხოვრობდნენ: მათ ან სრულიად არ გააჩნდათ თავშესაფარი დასაძინებლად, ხშირად გარეთ წვებოდნენ პირდაპირ მიწაზე, ანდა თავსდებოდნენ ბნელ, ნოტიო და ვიწრო ბუნაგებში, სადაც 20 კაცზე ძლივს 9 კუბური საყენი ჰაერი მოდიოდა<sup>22</sup>.

მარგანეცის მრეწველთა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი 1903 წლის 27 აგვისტოს მოხსენებაში აცნობებდა ქუთაისის გუბერნატორს, რომ მუშებს არა აქვთ საცხოვრებელი ბინები და ამან სხვა მიზეზებთან ერთად გამოიწვიაო ივლისის გაფიცვაში მათი მონაწილეობა<sup>23</sup>.

ცუდი საბინაო პირობები, მძიმე, არაქათგამომცლელი შრომა და უსუფთაობა, ჭიათურის პირობებში, რომელსაც გეოგრაფიულად „ქვაბის მსგავსი მდგომარეობა“ ჰქონდა, ცუდად მოქმედებდა ადამიანის ჯანმრთელობაზე. განსაკუთრებით ჰაერის გაბინძურებას იწვევდა შედარებით პატარა ტერიტორიაზე ხუთ ათასზე მეტი სული ადამიანისა და ათი ათასამდე პირუტყვის თავმოყრა<sup>24</sup>, რასაც ემატებოდა „ზავი მტვერი ქარის დროს, მუხლამდე ტალახი ავდრის შემდეგ... მყარალი სუნი ზამთარ-ზაფხულ, უწმინდური სადგომები“<sup>25</sup>, ყვე-

19 „კვალი“, 1900 წ., 4 ივნისი, № 23.

20 „კვალი“, 1902, 13 ოქტომბერი, № 42.

21 „კვალი“, 1902, 8 დეკემბერი, № 50.

22 „კვალი“, 1903, 2 თებერვალი, № 6.

23 საქართველოს სსრ ცხია. ფ. 264, ს. 3605, ფურც. 9—10.

24 იხ. „კვალი“, 1900, 21 მაისი, № 21.

25 „კვალი“, 1902, 13 ოქტომბერი, № 42.



ლაფერი ეს მიიშვე შრომასთან ერთად არყევდა მუშების ჯანმრთელობას. ხსენებოდა სხვადასხვა ინფექციური დაავადება; პროფილაქტიკურ საშუალებათა და საექიმო დახმარების უქონლობის გამო სწრაფად ვრცელდებოდა სენი. მუშები კარგავდნენ შრომის უნარსა და სიკვდილიანობაც ხშირი იყო. 1900 წლის I ნახევარში ავადმყოფობა ისე მოდებულა მანგანუმის მუშებში, რომ მთავრობას ეგონა შავი ჭირი გაჩნდაო და მდგომარეობის გამოსარკვევად სპეციალურად გაუგზავნია მოხელე ალიხანოვი, რომელსაც რამდენიმე ხნის მუშაობის შემდეგ მუშათა ხშირი სიკვდილიანობის მიზეზად უცნია „ქიათურის სრული უსუფთაობა და ანტისანქტარული მდგომარეობა“. ალიხანოვს მიუმართავს შეწარმეებისათვის, რომ მოეწყით მუშებისათვის საცხოვრებელი ბინები. რათა მათ ღამე არ ვაეთიათ მალარობებში, ამასთან არ დაეშვათ სამუშაოზე ავადმყოფი მუშები და დაღლილ-დაწვებული პირუტყვი<sup>26</sup>. მაგრამ ალიხანოვის მისიას წარმატება არ მოჰყოლია, მუშები დარჩნენ წინანდელ პირობებში; არც მანგანუმის მრეწველთა ყრილობის საბჭოს გაუყეთებია რამე მუშების აუტანელი მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ამიტომ სწორად არ მიგვაჩინა ვ. ჭანიშვილის დასკვნა იმის შესახებ, რომ მანგანუმის მრეწველთა საბჭოს საქმიანობა წარიმართა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით<sup>27</sup>. რაე მარგანეცის მრეწველთა საბჭოს მოღვაწეობიდან არ ჩანს. ფაქტები კი ასეთია: 1900 წლის ივლისში ქიათურის მრეწველთა საბჭოს III ყრილობამ განიხილა საკითხი მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ კონკრეტული ღონისძიება არ ყოფილა დასახული; მუშათა მდგომარეობას შეეხო მრეწველთა V ყრილობაც (1903 წ.), მაგრამ საქმე დამთავრდა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღებით აღნიშნული საკითხის უკეთ შესწავლის შესახებ.

მრეწველთა VI და VIII ყრილობებზეც განხილული იქნა მუშათა ყოფაცხოვრების საკითხები, კერძოდ, VIII ყრილობამ (1905 წ. სექტემბერ-ოქტომბერი), რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით, მიიღო დადგენილება მუშათა მდგომარეობის შემსწავლელი სპეციალური კომიტეტის შექმნის შესახებ. მაგრამ პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა.

ჩვენი აზრით, მანგანუმის მრეწველთა ყრილობის საბჭოს უშედეგო მოქმედება აიხსნება უმთავრესად იმით, რომ ის სავსებით იცავდა მრეწველთა ინტერესებს და ამიტომ არ იღებდა ეფექტურ ზომებს მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. უფრო მეტიც, თუ მრეწველთა ყრილობა ზოგჯერ იხილავდა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს, ეს იყო მხოლოდ იძულებითი გზით, ქვეყნად გაშლილი რევოლუციური მოძრაობის გავლენით; სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას ის, რომ მანგანუმის მრეწველთა 19 ყრილობიდან, მხოლოდ ოთხმა განიხილა საკმაო სიმწვავეით მუშათა საკითხი და მაშინაც დადებითი გადაწყვეტილება არ მიუღია.

აუტანელი იყო შორაპანში, ფოთსა და ბათუმში მუშა-მტვირთავების საბინაო პირობებიც. ბათუმის მუშათა საბინაო პირობების ნათელ სურათს იძლევა ვაზ. „Черноморский вестник“-ში<sup>28</sup> გამოქვეყნებული სეგალის კორეს-

26 „კვალი“, 1900 წ., 4 ივნისი, № 23.

27 ვ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12—13.

28 ვაზ. „Черноморский вестник“-ი იბეჭდებოდა ბათუმში გურსკაიას სტამბაში. მიუხედავად იმისა, რომ ის წარმოადგენდა თვითმპყრობელობის ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალურ და ამდენად „სახელმწიფო ვაჭრის“ რეპუტაციას ჰქონდა, ზოგჯერ ფაქტებს ობიექტურად გამოსცემდა.





პონდენცია, რომელიც შემდეგ გაზ. „კვალში“ გადაიბეჭდა: „კარგები (ე. ი. მუშების საცხოვრებლები—ვ. ჯ.) მეტად სადა შენობებია: ფიცრებისაგან შეკრული, დაბალი, ბნელი, პაწაწინა თვლებად დანაწილებული, ისინი უფრო საჩინიბეს მოგაგონებენ, ვიდრე ადამიანის ბინას. იატაკი უმეტესად ასეთ კარგებში პირდაპირ მიწაზეა დაგებული, ქერი ჩამონგრეული, კედელი დაძველებული. ყველგან საშინელი სიღამპლე, დიდი ქუჭრუტანებია. ზოგ სახლში იატაკი მიწისაა, ანდა რამდენიმე გოჯით დაბალია ეზოზე, ასე რომ სახლში შემოდის წყალი. არც ქვის შენობებია უკეთეს მდგომარეობაში. ხშირად უფანჯროა. ასე რომ ისინი უფრო ყუთებს მოგაგონებენ“<sup>29</sup> და იქ, სადაც ორი ადამიანი ძლივს ეტეოდნენ, ცხოვრობდა ხუთი-შვიდი, ზოგჯერ ცხრა კაცამდე, რომლებსაც პირდაპირ იატაკზე ეძინათ. მსგავს მდგომარეობაში იყვნენ მტვირთავი მუშები ფლოსა და შორაპანში. მაგრამ ამ კატეგორიის მუშების საბინაო მდგომარეობას ერთგვარად ამსუბუქებდა ის გარემოება, რომ მათ უმრავლესობას ძირითადად ახლო-მახლო სოფლებიდან მოსული გლეხები შეადგენდნენ, რომლებსაც შეეძლოთ სამუშაოს დამთავრების შემდეგ წასულიყვნენ თავიანთ სახლებში, მაგრამ ძალიან უჭირდათ შორი ადგილებიდან ჩამოსულ მუშებს და განსაკუთრებით ცოლშვილიანებს.

1905—1907 წლების რევოლუციისა და შემდეგ რეაქციის პერიოდში, მუშათა საბინაო პირობები არ გაუმჯობესებულა, პირიქით, რეპრესიების შედეგად მუშებს ხელიდან აცილდნენ რევოლუციის აღმავლობის პერიოდში მიღწეულ ზოგიერთ მონაპოვარსაც. ამ დროს „ტყიბულელ და ჭიათურელ მუშათა მეტი წილი შახტებშიც კი ათევედა ღამეს. ხშირად ერთ ოთახში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა“<sup>30</sup>.

სამთამადნო მრეწველობის მუშათა ნაწილის საბინაო პირობებს საქართველოში ერთგვარი გაუმჯობესება დაეტყო მხოლოდ ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში მრეწველობის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით და ისიც მხოლოდ და მხოლოდ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კვალიფიცირებული მუშახელის შენარჩუნების მიზნით. მაგ. „1913 წელს საზოგადოება „ნახშირამ“ მუშებისათვის ააგო სამი სტანდარტული ერთსართულიანი ყაზარმა. იმავე მიზნით შეკეთებულ იქნა მუშათა 8 ყაზარმა 160 უცოლშვილო და მარტოხელა მუშისათვის, მაგრამ ეს წარმოადგენდა საბინაო პირობების ერთგვარ გაუმჯობესებას მუშათა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილისათვის და არა მუშათა საბინაო პირობების საერთო გაუმჯობესებას“<sup>31</sup>.

პირველი მსოფლიო ომის დროს მდგომარეობა უფრო დაიძაბა. ომით გამოწვეული სიძნელების გამო, არა თუ არ აშენებულა მუშებისათვის ახალ საცხოვრებელი სახლები, არამედ წლების განმავლობაში არ შეკეთებულა არსებული ყაზარმებიც, რომელთა ნაწილი დროთა განმავლობაში სრულიად გამოუსადეგარი გახდა საცხოვრებლად.

ომის მთელი სიმძიმე მშრომელებს დააწვა მხრებზე. თავდაცვით მრეწველობაში დაკავებული მუშების გარდა, ფრონტზე გაიწვიეს ყველა ჯანსაღი მუშა, რომელთა შრომა შეცვალეს ქალებისა და მცირეწლოვანთა იაფი შრომით.

<sup>29</sup> „კვალ“, 1902 წ., 23 ივლისი, № 26.

<sup>30</sup> საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, თბ., 1957, გვ. 223.

<sup>31</sup> ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958, გვ. 117.

ზოლო მათი საბინაო პირობების გაუმჯობესებაზე არავინ ზრუნავდა; ამიტომ მთელ პერიოდში მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ჩვენში კვლავ საბინაო პირობები დარჩა. ამრიგად, XX საუკუნის პირველ ათწლეულში სამთამადნო მრეწველობის მუშათა საბინაო პირობებში რაიმე გაუმჯობესება არ მომხდარა.

\*  
\*  
\*

მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით სამთამადნო მუშების შრომის პირობები უფრო მძიმე იყო. შრომის პირობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტს ყოველთვის სამუშაო დროის ხანგრძლიობის საკითხი შეადგენდა; 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღება წარმოადგენდა მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად პოლიტიკურ ლოზუნგს ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი იყო მარქსისტულ-ლენინური პარტიის ერთ-ერთი ამოცანა, რომლის განხორციელებასაც ისახავდა მიზნად რსდმპ II ყრილობის მიერ მიღებული ლენინური ისკრული პროგრამა-მინიმუმი<sup>32</sup>.

ვ. ი. ლენინი ნაშრომში „რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა“, დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად ბრძოლაში ექვეს მთავარ პუნქტს შორის ასახელებდა 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღების საჭიროებას<sup>33</sup>, 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში იგი წამოყენებულ იქნა მუშათა კლასის არა მარტო როგორც ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად ლოზუნგად.

1890 წლის 24 აპრილს გამოიცა კანონი ქალთა და მცირეწლოვანთა სამუშაო დღის ხანგრძლიობის შემცირების შესახებ<sup>34</sup>. მაგრამ ეს კანონი მხოლოდ ფორმალურად არსებობდა, განსაკუთრებით ჩვენში. ამიტომ როგორც რუსეთში, ისე საქართველოს სამრეწველო საწარმოებში ქალები და ბავშვები მუშაობდნენ იმდენხანს, რამდენსაც სრულწლოვანი მამაკაცები და ხანდახან ზედმეტ სამუშაოსაც ასრულებდნენ.

XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრამდე რუსეთის იმპერიის სამრეწველო საწარმოებში სამუშაო დროის ხანგრძლიობა საერთოდ არ ყოფილა განსაზღვრული, მუშებს ამუშავებდნენ იმდენხანს, რამდენიც მის დაქირავებულს სურდა. მუშათა შესახებ მანამდე გამოცემული არც ერთი კანონი არ ეხებოდა სამუშაო დღის საკითხს, მაგრამ მდგომარეობა მკვეთრად იცვლება 1894—1895 წლების გაფიცვების შემდეგ. კერძოდ, პეტერბურგში 1896 წლის გაფიცებმა, რომელშიც 30 ათასზე მეტი მუშა მონაწილეობდა, აიძულეს თვითმპყრობელობა, გამოეცა კანონი თერთმეტნახევარი საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ. „საგაფიცო ბრძოლის გაქანებით შეშინებული მეფის მთავრობა, — ნათქვამია სკკპ ისტორიაში, — იძულებული იყო 1897 წელს კანონმდებლობით შეეზღუდა სამუშაო დღე თერთმეტნახევარ საათამდე<sup>35</sup>, მაგრამ ეს მხოლოდ ქალაქებში იყო აღნიშნული, ცხოვრებაში იგი ნაკლებად ტარდებოდა.

<sup>32</sup> სკკპ ისტორია, თბ., 1961, გვ. 73.

<sup>33</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 673.

<sup>34</sup> ПСЗР, 1890 г., т. 10, ст. 6742, стр. 309—310.

<sup>35</sup> სკკპ ისტორია, გვ. 46.



საქართველოს სამთამადნო მრეწველობაში სამუშაო დღის შესახებ წელს გამოცემულ კანონს არაეინ ასრულებდა და იგი 14—16 საათსა და ხანდა-ხან უფრო მეტსაც გრძელდებოდა. განუსაზღვრელი იყო, აგრეთვე, მტვირთავი მუშების სამუშაო დრო შორაპანში, ფოთსა და ბათუმში. ფოთის მუშებს, გაზ. „კვალი“ ცნობით, მხოლოდ პურის ჭამისა და ძილისათვის რჩებოდათ მცირე-ოდენი დრო, ხოლო დანარჩენს მუშაობაში ატარებდნენ და ზოგჯერ 16 საათსაც მუშაობდნენ<sup>35</sup>. ასეთივე მდგომარეობა იყო შორაპანსა და ბათუმში. აქედან ცხადია, რომ ჩვენში მუშების საფაფიკო მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სამუშაო დღის ხანგრძლიობა იყო, რამაც აიძულა ადგილობრივი ხელისუფლება—დაეწყო 1897 წლის კანონის გატარება კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში. ამას ისახავდა მიზნად თბილისის ვაჭრობა-მრეწველობის კომიტეტი, როცა შეუდგა გუბერნიის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში სამუშაო დღის მოწესრიგების საკითხის გამორკვევას. მუშაობის დამთავრების შემდეგ კომიტეტს განზრახული ჰქონდა სამრეწველო საწარმოთა მეპატრონეების გაფართოებული სხდომის მოწვევა, სადაც მიღებული იქნებოდა სათანადო ღონისძიება<sup>36</sup>, მაგრამ მასალებიდან არ ჩანს, როგორ დასრულდა აღნიშნული კომიტეტის საქმიანობა.

ქუთაისის გუბერნიაშიც არ ყოფილა სამუშაო დრო განსაზღვრული და არც არაეინ ზრუნავდა ამისათვის. მუშები პირდაპირ დაშვრავებელთა თვითნებობაზე იყვნენ დამოკიდებული, რაც ყველაზე მეტად იგრძნობოდა ტყიბულსა და ჭიათურაში. ამ უკანასკნელში კი მუშები შრომობდნენ „განუსაზღვრელად მეტად შემავიწროებელ პირობებში...“<sup>37</sup> მუშების შრომისა და ცხოვრების პირობები დიდად იყო დამოკიდებული მრეწველებზე, რომლებიც უსაზღვრო ექსპლოატაციას უწევდნენ მათ.

1905—1907 წლების რევოლუციის დროს საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მუშებმა მიაღწიეს სამუშაო დღის შემცირებას 8—9 საათამდე; მაგრამ იგი ხანმოკლე გამოდგა, რეაქციამ წაართვა მუშებს ეს გამარჯვება. მომდევნო წლებში კვლავ ფართოდ გაიშალა ბრძოლა მის აღსადგენად და საბოლოოდ დამკვიდრდა 8 საათიანი სამუშაო დღე მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილად დამთავრების შედეგად.



შრომის პირობები გულისხმობს შრომის ხასიათს, შრომით საქმიანობაში მუშათა მონაწილეობის მდგომარეობას, ე. ი. როგორ სრულდება ამა თუ იმ სახის სამუშაო, რა ენერჯიას ხარჯავს ადამიანი ამისათვის, რამდენად ეხმარება მას და უმსუბუქებს შრომას ტექნიკა.

სამთამადნო მრეწველობაში ტექნიკური სიახლე ძნელად და გვიან იწერებოდა, რადგანაც მრეწველ-კაპიტალისტები გაუზრბოდნენ ტექნიკურ გაუმჯობესებას ხარჯების თავიდან აცილების მიზნით; ამიტომ ქვანახშირისა და მანგანუ-

<sup>35</sup> „კვალი“, 1902 წ. 13 ოქტომბერი, № 42; ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში თავიდანვე სანარდო სისტემა იყო შემოღებული და მუშები მუშაობდნენ 16—18 საათს (იხ. ა. კიკიძე, საქართველოს ისტორია, XIX—XX სს., წიგნი II, თბ., 1959, გვ. 122).

<sup>36</sup> „კვალი“, 1901, 10 ივნისი, № 24.

<sup>37</sup> „კვალი“, 1903, 2 თებერვალი, № 24.

მის მადნის გამოწვრევა ძირითადად წერაქვით წარმოებდა, თუმცა იყენებდნენ ფეთქებად ნივთიერებასაც<sup>38</sup>, მადნის გადაზიდვა კი მეტად მძიმე შრომატევადი სამუშაო იყო და იგი სრულდებოდა მაღაროს შიგნით უმთავრესად ადამიანის ფიზიკური ძალის გამოყენებით.

კავკასიის სამთო სამმართველოს 1888 წლის ანგარიშში მითითებულია ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში მზიდავი მუშების აუტანელი შრომა. აქ „ნახშირის გამოტანაზე მიწის ზედაპირზე ცალკე მუშები იყვნენ, ამასთან უკუგორება მოფიცრულ გზაზე უბრალო ხელის ხოფებით წარმოებდა. აღმართულ შტოხვრებიდან ნახშირის უშვებდნენ ჰორიზონტალურ შტოხვრებში, აქედან გვირახბით მიწის ზედაპირზე გამოქონდათ“<sup>39</sup>.

ვიწროლიანდაგიანი გზის გაყვანამ მნიშვნელოვნად შეამსუბუქა ამ კატეგორიის მუშების მძიმე შრომა, მაგრამ ასეთი გზა ჭიათურის მაღაროს მხოლოდ ერთ უბანში (რგანში) გაიყვანეს, და ისიც 1886 წელს. შემდეგ კი თანდათან გაფართოვდა ლიანდაგის ქსელი, მაგრამ იგი მაინც ვაზრდილ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. „1913 წელს მოქმედი მაღაროებიდან 130 მაღარო, ე. ი. 42,9% უზრუნველყოფილ იყო ვიწროლიანდაგიანი გზებით 22 293 საყენი სიგრძით მაღაროს შიგნით და 7675 საყენი მიწის ზედაპირზე, ხოლო მოქმედი მაღაროების საერთო რაოდენობიდან (303) 173 მაღაროს, ე. ი. 57,1%-ს არ ჰქონდა ვიწროლიანდაგიანი გზები. ამასთან 437 მოქმედ წოლხვრელში სრულიად არ იყო მოწყობილი ტრანსპორტირების ასეთი საშუალება მიწის ზედაპირზე მარგანეცის მადნის გასატანად“<sup>40</sup>.

მიწის ქვეშ მუშაობა არყვედა მუშის ჯანმრთელობას. მაგალითად, ძირულის, ან „შრომის“ ცეცხლგამძლე თიხის მოპოვებისათვის „მუშაობა მეტად ცუდ პირობებში მიმდინარეობდა, გვირაბების სიმაღლე 1,5 არშინს არ აღემატებოდა, რის გამო მუშას ნახევრად წაწოლილს, ნესტიან გვირაბებში უხდებოდა თიხის ამოღება...“<sup>41</sup> უფრო უარეს პირობებში მუშაობდნენ ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროებში, სადაც მუშის სიცოცხლეს ყოველ წუთს საფრთხე ელოდა.

ჭიათურის მაღაროში მუშაობის პროცესს შემდეგნაირად აღწერს „კვალის“ კორესპონდენტი:— „ზევიდან წვეთდა წყალი, მეტად გრილოდა, უცებ ვიგრძენი სინოტივე. აქა-იქ დადგმული იყო ჭრაქები, რომლებიც გზას უნათებდნენ ქვის ვარეთ გამომზიდველებს, ჭრაქის კვამლი სინათლეს აბნელებდა, რაც უფრო შიგნით მივდიოდი, უფრო და უფრო ვგრძნობდი დასშულ ჰაერს. 40 საყენამდე რომ ვავიარე, მუშა ურტყამდა წერაქვს კედელზე და არღვდა ქვას. პერანგის ამბარა, ფეხშიშველა მთლიანად გაშავებული იდგა ტალახში, სახეზე წყალივით მოდიოდა ოფლი, გვერდზე ჭრაქი ედგა, რომელსაც მთლიანად გაემურა ადგილი ბოლით. აუტანელად ხდიდა ისეც დასშულ ჰაერს ეს ჭრაქი...“<sup>42</sup>.

ჩვენი საყვარელი და საყოველთაოდ ცნობილი პოეტი აკაკი წერეთელი სავსებით სწორად გადმოგვცემს მანგანუმის მოპოვებასთან დაკავშირებულ მძიმე და აუტანელი შრომის სურათს. ჭიათურაში, მისი სიტყვებით, მუშები

<sup>38</sup> სამთავროდო მრეწველობის სამუშაოებში ფეთქებადი ნივთიერების გამოყენების წესება დაამტკიცა სახელმწიფო ქონების სამინისტრომ 1887 წლის 2 მაისს, ხოლო მასში ზოგიერთი ცვლილება და დამატება შეტანილ იქნა 1892 წლის 13 აგვისტოს (იხ. საქართველოს სსრ ცსიკა, ფ. 264, ს. 4430, ფურც. 36).

<sup>39</sup> ქს. კვანტრე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 28.

<sup>40</sup> ნ. ტყეშელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

<sup>41</sup> ქს. კვანტრე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

<sup>42</sup> „კვალი“, 1900 წ. 30 ივლისი, № 31.

„უაზროდ და უნაყოფოდ დაღვრილ საკუთარ ოფლში იღუპებიან. უმეტესი მათგანი სნეულდება ტონელ-გვირაბებში, სადაც ქარმკვალა სხვადასხვა სერელებიდან ყოველი კუთხით სტვირივით უბერავს, სტატისტიკური ცნობა რომ შეეკრიბოთ, ორი წილი მაინც თუ არ მეტი, ველარ იტანს სახიფათო შრომას და წყდება“<sup>43</sup>.

ცხადია, მაღაროებში მომქანცველი შრომა მით უფრო დამლუპველად მოქმედებდა მუშების ჯანმრთელობაზე, რამდენადაც ისინი მოკლებული იყვნენ შრომისა და დასვენების ელემენტარულ საშუალებას და განიცდიდნენ მრეწველთა მიერ უსაზღვრო ექსპლუატაციას.

გარდა ამისა, სამთო მრეწველობაში მიწის ზედაპირზე მომუშავეთა, კერძოდ, ჩალვადრებისა და მეურმეების შრომას ხშირად თან სდევდა უბედური შემთხვევაც „...მანებში მომუშავეთა კიდევ უფრო უარეს ყოფაში,—მიუთითებდა ფ. მახარაძე,—ჩალანდრებია, ე. ი. ისინი, ვისაც ხარკამებით, თუ ცხენით მადანი რკინიგზის ბაქანზე ჩამოაქვთ... ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ჩალანდარი თავისი ცხენით ან ხარკამებით რკინიგზის ბაქანის მაგიერ ხრამში გადავარდება და საშულამოდ იკარგება, მაგრამ ეს არავის აწუხებს და ამას შველის ის გარემოებაც, რომ მათი სათვალავიც კი არავინ იცის, რომ დაკლება მაინც შენიშნოს! ერთი სიტყვით საკვირველი არსებაა ეს შავი ქვის მუშა“<sup>44</sup>.

გამონაკლისი არ იყო უბედური შემთხვევები მტვირთავ მუშებშიც, რის შესახებ წერდა ვაზ. „კვალი“—„ნავსადგურზე გემების დაცლისა და დატვირთვის დროს იშვიათი არ არის მუშების სიკვდილი. მაგალ., ამასწინად ერთმა მძიმედ დატვირთულმა მუშამ ლიანდაგს ფეხი წამოკრა, წაიქცა და იქვე სული განუტევა. არავინ ასეთ შემთხვევებს ყურადღებას არ აქცევს, თითქოს ადამიანები კი არა, ქათმები იხოცებოდნენ“<sup>45</sup>.

მიუხედავად ხშირი უბედური შემთხვევისა, მუშათა შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის საკითხებს ცარიზმის დროს სრულებით არ ექცეოდა ყურადღება და ყველაზე მეტად ეს თავს იჩენდა სამთამადნო მრეწველობაში. კერძოდ, ჭიათურის მაღაროებში არ წარმოებდა გასამაგრებელი სამუშაოები, გვირაბებს არ უკეთებოდა მტკიცე საყრდენები, რასაც მოსდევდა ჭერის ჩამონგრევა და ხშირი უბედური შემთხვევა. მრეწველები არ ზრუნავდნენ უსაფრთხოების ტექნიკის დასაცავად, პირიქით, ისინი მატერიალური პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით მალავდნენ უბედურ შემთხვევებს, ამიტომ შემონახული ცნობები, ჩვენი აზრით, სრულებით არ ასახავს სინამდვილეს. მაგალითად, ჭიათურის მაღაროებში 1907—1914 წლებში მომხდარი უბედური შემთხვევები ოფიციალური ცნობებით ასე წარმოგვიდგება<sup>46</sup> (ცხრილი 4).

ამ ცნობებში ეჭვს იწვევს ის, რომ უბედურ შემთხვევათა და დაშავებულთა რაოდენობა თითქმის ხშირად ერთმანეთს ემთხვევა, რაც ყოველთვის სინამდვილეს არ შეესაბამებოდა; მით უმეტეს, მაღაროებში აფეთქების, ჭერის ჩამონგრევის და სხვა მსგავს შემთხვევაში ცალკეული მუშა კი არ დაშავდებოდა, არამედ რამდენიმე, რაც ნათლად ჩანს 1912 წლის მონაცემებიდან, როდესაც 193 უბედური შემთხვევის დროს დაშავებულა 359 მუშა. გარდა ამისა, ცხრილ-

<sup>43</sup> „კვალი“, 1902 წ., 8 დეკემბერი, № 50.

<sup>44</sup> იქვე.

<sup>45</sup> „კვალი“, 1902 წ., 13 ოქტომბერი, № 42.

<sup>46</sup> ქ. ს. ვ ა ნ ტ რ ე, დასახ. წიგნი, გვ. 120.

ში სიკვდილიანობის შემთხვევაც, ძალიან მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი, მაშინ როცა ადგილებზე კვალიფიცირებული საექიმო დახმარების უქონლობის გამო მალაროში ბევრი მძიმედ დაშავებული იღუპებოდა, ქუთაისში კვალდიციურ ექიმთან დაშავებულის წაყვანაც ძნელი იყო<sup>47</sup>.

ცხრილი 4

წლები	უბედურ შემთხვევათა რაოდენობა	დაშავებულთა რაოდენობა	დაშავების შედეგად სიკვდილიანობა
1907	120	120	7
1908	83	89	4
1909	105	105	10
1910	164	164	8
1911	161	161	8
1912	193	359	11
1913	450	450	11
1914	376	376	9

დასახიჩრებისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში დაზღვევის საქმე დიდხანს გადაუწყვეტელი დარჩა, რაც მუშათა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა; ამიტომ საგნებით ბუნებრივი იყო ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა III ყრილობის მიერ (1900 წ. ივლისი) მუშათა დაზღვევის საკითხის განხილვა და სათანადო დადგენილების გამოტანაც, მაგრამ იგი განხორციელდა უფრო გვიან, კერძო საზოგადოება „როსსიას“ მიერ მუშათა დაზღვევით. საზოგადოებამ შეიმუშავა დაზღვევის პირობები და ინვალიდობა სამი ჯგუფით განსაზღვრა: პირველი ჯგუფის ინვალიდად ითვლებოდა მუშა, რომელიც დაბრმავდებოდა, ან დაკარგავდა ორივე ხელს, ორივე ფეხს, ან ცალკე რომელიმე კიდურს, ან ჭკუაზე შეიშლებოდა. პირველი ჯგუფის ინვალიდს შრომა არ შეეძლო და მას დაენიშნებოდა პენსია საზოგადოების შეხედულებით.

მეორე ჯგუფის ინვალიდს მიაკუთვნებდნენ მუშებს, რომლებმაც შრომის უნარი ნახევრად დაკარგეს, ამ შემთხვევაში დაზარალებული მიიღებდა იმის ნახევარ პენსიას, რასაც სრული ინვალიდობისას.

მესამე ჯგუფის ინვალიდი კი ნაწილობრივ, ან დროებით ჰკარგავდა შრომისუნარს და მას მიეცემოდა პირველი ჯგუფის ინვალიდისათვის განკუთვნილი პენსიის 10 ან 25%<sup>48</sup>; პენსიის ოდენობა მთლიანად დამოკიდებული იყო მუშის წინანდელ დამსახურებასა და დამზღვევი საზოგადოების შეხედულებაზე.

დაზღვევის დროს აშკარად იგრძნობოდა საზოგადოება „როსსიას“ თვითნებობა, რაც გამოიხატა დაშავებულთა ინვალიდობის დადგენისა და პენსიების დანიშვნის არასწორ შემთხვევებში. ამიტომ დაზღვევით სარგებლობდა მუშების მცირე ნაწილი და ისიც უმნიშვნელო დახმარების სახით<sup>49</sup>, მუშები მოითხოვდნენ ასეთი დაზღვევის გაუქმებას და, ბუნებრივია, რომ მარგანეცის მრეწველთა V ყრილობაც (1903 წ. იანვარი) იძულებული გახდა მოესმინა სპეციალური მოხსენება მუშათა დაზღვევის შესახებ, საკითხის განხილვამ ნათელი გახადა,

47 ვახ. „თანამედროვე აზრი“, 1916 წ., 15 იანვარი.

48 „კვალი“, 1903 წ., 12 აპრილი, № 16.

49 პროფ. ი. ხუციშვილი აღნიშნავს, რომ მუშის სიკვდილის შემთხვევაში ოჯახს ეძლეოდა არა პენსია, არამედ ერთდროული დახმარება 1000 მან, რაოდენობით (იხ. მისი წიგნი—1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955, გვ. 61).

რომ დაზღვევის ზემოაღნიშნული წესები არ იყო ხელსაყრელი და მას სარგებლობა არ მოჰქონდა მუშებისათვის. ყრილობაზე მრეწველთა ერთმა ნაწილმა მხარი დაუჭირა მუშების მოთხოვნას დაზღვევის სხვა გზის გამოხაზვის შესახებ, მაგრამ ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ მრეწველთა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი და ექსპერტიორი ემერიკი, რომელთა აზრი გაიზიარეს მსხვილმა მრეწველებმა და ექსპორტიორთა უმრავლესობამ. ამიტომ ყრილობამ მუშათა დაზღვევის საქმე დადებითად ვერ გადაწყვიტა და მიიღო დადგენილება მუშათა დაზღვევის საქმის დაწვრილებით შესწავლისა და მორიგ ყრილობაზე განხილვის თაობაზე.

რამდენიმე თვის შემდეგ, 1903 წლის 2 ივნისს გამოიცა კანონი საფაბრიკოსამთო და სამთო-საქარხნო საწარმოებში უბედური შემთხვევისაგან დაშავებულ მუშათა, მოსამსახურეთა და აგრეთვე მათი ოჯახის წევრთათვის სასყიდლის დანიშვნის შესახებ<sup>50</sup>, რომელიც 1904 წლის პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში, მაგრამ მას მრეწველ კაპიტალისტთა უმრავლესობის უკმაყოფილება გამოუწვევია და ცხოვრებაში სრული განხორციელება არ ღირსებია.

თანხმად აღნიშნული კანონისა, სამრეწველო საწარმოთა პატრონები ვალდებულნი იყვნენ უბედური შემთხვევისას სასყიდელი მიეცათ მუშისათვის განუზრჩევლად სქესისა და წლოვანებისა, თუ სხეულის დაზიანების გამო მუშაობის განახლებას სამი დღის განმავლობაში ვერ შესძლებდა, ხოლო მუშის სიკვდილის შემთხვევაში სასყიდელი ეძლეოდა დაღუპულის ოჯახს. თუ უბედური შემთხვევა ბოროტი განზრახვით, ან დაშავებულის აშკარა გაუფრთხილებლობით მოხდებოდა, მაშინ დამჭირავებელი თავისუფლდებოდა შემწეობის ან პენსიის გაცემისაგან. პენსია და შემწეობა განისაზღვრებოდა ხელფასის ნახევრით, ხოლო სრული ინვალიდობის შემთხვევაში მუშას დაენიშნებოდა ხელფასის  $\frac{2}{3}$ . შემწეობა იყო ერთდროული, ხოლო პენსია გაიცემოდა შემდეგ, ამასთან დასახიჩრებული მუშის მკურნალობა მეპატრონის ხარჯზე ხდებოდა.

თუ მუშა უბედური შემთხვევის გამო გარდაიცვლებოდა, მისი დამარხვის ხარჯები უნდა გაეღო სამრეწველო საწარმოს მეპატრონეს. პენსიას მიიღებდა გარდაცვალებულის ოჯახი შემდეგნაირად: ქვრივს ეძლეოდა მუშის წლიური ხელფასის  $\frac{1}{3}$ , შვილებს 15 წლის ასაკამდე, თუ ღედა ჰყავდათ, წლიური ხელფასის  $\frac{1}{6}$ ; სრული ობლობის შემთხვევაში შვილები მიიღებდნენ მარჩნალის ხელფასის  $\frac{1}{4}$ -ს.

ამ კანონის გამოცემა პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ პრაქტიკაში მის გატარებას დიდი წინააღმდეგობა შეეჯდა.

1903 წლის ივნისში მრეწველთა საგანგებო VI ყრილობამ შეიმუშავა უბედური შემთხვევის დროს მუშებისათვის დაჩმარების აღმოჩენის ახალი წესები, რომლის თანახმად, გასაცემი თანხის  $\frac{1}{10}$  უნდა გადაეხადა იმ მრეწველს. სადაც მოხდებოდა უბედური შემთხვევა, ხოლო თანხის დანარჩენ  $\frac{9}{10}$  ნაწილს მრეწველთა ყრილობის საბჭო დაფარავდა მუშებისაგან აღებული 0,5 კაპ. გადასახადით შეტანილი ფონდიდან. მაგრამ მრეწველთა უმრავლესობამ არ შეასრულა ყრილობის ეს გადაწყვეტილება და 1905 წლის შემოდგომაზე მრეწველთა VIII ყრილობაზე საჭირო შეიქმნა ამ საკითხის განმეორებით განხილვა; ამჯერად ყრილობამ მუშათა დაზღვევის შესახებ მოისმინა გ. ზდანოვიჩის სპე-

<sup>50</sup> „კვალე“, 1904 წ., 25 იანვარი, № 4; ПСЗРИ, 1903 г., т. 23, ст. 23060, стр. 595—

ცილოური მოხსენება და მიიღო გადაწყვეტილება—მუშებზე დადებული 0,5 კაპ. სავალდებულო გადასახადის  $\frac{1}{4}$  კაპ. გადიდების შესახებ. როგორც ჩანს, ამ ყრილობაზე მრეწველებმა სრულებით გაითავისუფლეს თავი მატერიალური პასუხისმგებლობისაგან; ხოლო 1915 წლიდან კი საზღვარგარეთ მარგანეცის ექსპორტის შეწყვეტისთან დაკავშირებით დაზავებულ მუშებსა და მათ ოჯახებს შეუჩერეს მცირეოდენი პენსიის გაცემა.

1912 წლის 23 ივნისს გამოიცა ახალი კანონი მუშათა დაზღვევის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა საავადმყოფო სალაროების დაარსებას. ამ კანონის თანახმად, დაზღვევა ეხებოდა მხოლოდ ავადმყოფებსა და ბავშვებს, იგი არ ვრცელდებოდა უმუშევრებზე, ქვრივ-ობლებზე, დასახიჩრებულებზე.<sup>1</sup> გარდა ამისა, დაზღვევა მუშათა მცირე ნაწილს მოიცავდა და არ იყო სავალდებულო-საყოველთაო; უფრო მეტიც, თანხა მუშების ხელფასიდან გროვდებოდა და სახელმწიფოს ან მრეწველს მასში არაფერი შექონდა.

სავადმყოფო სალაროების ხელშეწყობის ადგილობრივი ხელისუფლების ან სამრეწველო საწარმოების ადმინისტრაციის წარმომადგენელს ეკისრებოდა და ამდენად იგი მუშების ინტერესებს არ ემსახურებოდა. აქედან ნათელია, თუ რატომ შეხვდნენ მუშები 23 ივნისის კანონს უკმაყოფილოდ. თუ საავადმყოფო სალაროებში მუშები მაინც იღებდნენ მცირეოდენ მონაწილეობას, ეს იმიტომ, რომ გამოეყენებინათ სალაროები, როგორც გავრთიანებისა და ურთიერთშორის კავშირის დამყარების ლეგალური საშუალება.

ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, რომ სამთამადნო მრეწველობის მუშების შრომისა და ცხოვრების პირობები აუტანლად მძიმე იყო. მატერიალური მოსახრებით მრეწველები გაუბობდნენ ტექნიკურ გაუმჯობესებათა დანერგვას. არ ექცეოდა ყურადღება შრომის უსაფრთხოების საქმეს და, რაც მთავარია, უბედურ შემთხვევათა დროს მუშა და მისი ოჯახი არ იღებდა საჭირო დანაშარებას; დაზღვევა მხოლოდ მუშათა უმნიშვნელო ნაწილს ეხებოდა, და ისიც მუშათა შრომის ხარჯზე წარმოებდა.

\* \* \*

ეკონომიურ ცხოვრებაში ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელფასს, მაგრამ მუშების სამუშაო ქირის ოდენობა და მისი გაცემის ორგანიზაცია მრეწველ-კაპიტალისტების თვითნებობაზე იყო დამოკიდებული. ვ. ი. ლენინი წერდა „...მეპატრონენი ყოველთვის ცდილობენ დაუკლონ მუშებს ხელფასი; რაც უფრო ნაკლებს მისცემენ ისინი მუშებს, მით უფრო მეტი მოგება დარჩებათ“<sup>51</sup>.

მუშათა საშუალო დღიურ ხელფასს გუბერნატორთან ერთად პერიოდულად აწესებდა საფაბრიკო და სამთო-საქარხნო საქმის წარმომადგენელთა თათბირი, რომელსაც ამტკიცებდა კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსი.

შავი მუშების საშუალო დღიური ხელფასი 1907—1909 წლებისათვის ქუთაისის გუბერნიაში (შორაპნის მაზრის გარდა) დადგენილ იქნა შემდეგი რაოდენობით: სრულწლოვანი მამაკაცებისათვის—1 მან., არასრულწლოვანისათვის—55 კაპ., მცირეწლოვანისათვის—30 კაპ.; შორაპნის მაზრისათვის (აქ ქიათურის

<sup>51</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 379.



მარგანეცის წარმოება იყო) კი მეტი საშუალო დღიური ხელფასი იყო გათვალისწინებული; კერძოდ, სრულწლოვანი მამაკაცი მიიღებდა 1 მან. და 20 კაპ., არასრულწლოვანი—90 კაპ., მცირეწლოვანი—55 კაპ. (ქალების შრომის ანაზღაურება არ იყო მოცემული).

1909 წლის ნოემბერში ქუთაისის გუბერნიის საფაბრიკო-საქარხნო სამთამადნო მრეწველობის წარმომადგენელთა თათბირმა გუბერნატორ სლავოჩინსკის თავმჯდომარეობით მოისმინა ბათუმის ოლქის, ქუთაისის გუბერნიისა და სოხუმის ოკრუგის საფაბრიკო ინსპექტორის წინადადება შავი მუშების სამუშაო დღიური ხელფასის განსაზღვრის შესახებ და მიღებული დადგენილების თანახმად, 1910—1912 წლებისათვის დამტკიცებულ იქნა ქუთაისის გუბერნიის შავი მუშების საშუალო დღიური ხელფასი—ქ. ფოთის, შორაპნისა და ოზურგეთის მაზრებში: სრულწლოვანი მამაკაცებისათვის—1 მან., ქალებისათვის—80 კაპ., არასრულწლოვანებისათვის შესაბამისად 70 და 50 კაპ. და მცირეწლოვანებისათვის—40 კაპ.<sup>52</sup>

იმვე წლის დეკემბერში კავკასიის სამთო ოლქის მიერ დასამტკიცებლად წარდგენილ იქნა თბილისის გუბერნიის სამთამადნო საწარმოებში დასაქმებული მუშების საშუალო დღიური ხელფასის ნუსხა, რომლის მიხედვით, თბილისის, ბორჩალოს, თელავის, დუშეთისა და სიღნაღის მაზრებში ნავარაუდვე იყო სრულწლოვანი მამაკაცებისათვის—90 კაპ., არასრულწლოვანისათვის—60 კაპ., მცირეწლოვანებისათვის—40 კაპ., ხოლო გორის, თიანეთის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებისათვის შესაბამისად 80 კაპ. და 30 კაპ. ნუსხის განმარტებით ბარათში ქალების შესახებ მითითებული იყო, რომ ისინი არ დაწვევებიან სამუშაოდ როგორც მალაროებში, ისე სამადნო ქარხნებში, ამიტომ სამთო ოლქმა მათი ხელფასი არ განსაზღვრა<sup>53</sup>; 1913—1915 წლებში კი შავი მუშების სამუშაო დღიური ხელფასი იგივე დარჩა, რაც წინა სამ წელს (ე. ი. 1910—1912 წწ.)<sup>54</sup>.

მაგრამ დადგენილი სამუშაო დღიური ხელფასის რაოდენობა ხშირად ირღვეოდა და ფაქტიურად იგი მეწარმის თვითნებობაზე იყო დამოკიდებული. მრეწველს შეეძლო წინასწარ გაფრთხილების გარეშე, სრულიად უმიზეზოდაც მუშის დათხოვნა. ხელფასის შემცირებას იწვევდა სხვადასხვა სახის ჯარიმა და „დაქვითვები“, თითქოს წარმოების საჭიროებისათვის და სხვ.

გარდა ამისა, მუშის ექსპლოატაციის თავისებურ სახეს წარმოადგენდა ვ. წ. „ბრაკის“ არსებობა, რაც გულისხმობდა მუშის მიერ დამზადებული მდინიდან ნაწილის დაწუნებას და წონაში ჩაუთვლელობას. მაგალითად, ათასი ან ორი ათასი ფუტიდან 100 ან 200 ფუტს არ ჩაუთვლიდნენ წონაში და მუშა ამის ფულს არ მიიღებდა. „აქ (ჭიათურაში—ვ. ჯ.) ერთი ახალი კანონია,— წერდა „კვალი“,—„ბრაკის“ სახელით წოდებული და ეს ერთი უძლიერესი იარაღია სხვათა მწარმოებლის ჯიბის გასასქელებლად. დღეში, რომ ათასი ან ორი ათასი ფუტი ქვა ჩააბაროთ, უეჭველად უნდა იცოდეთ, რომ თუ მეტს არა, 100 ან 200 ფუტს მაინც უსარგებლოდ ჩაგივლიან, რომლის ფასადაც ერთ კაპიკს ვერ მიიღებთ...“<sup>55</sup>

<sup>52</sup> საქართველოს სსრ ცსია, ფ. 265, ს. 106, ფურც. 7—15; ფ. 39; ს. 16, ფურც. 1;

<sup>53</sup> საქართველოს სსრ ცსია, ფ. 276, ს. 38, ფურც. 7.

<sup>54</sup> იქვე, ფ. 265, ს. 106, ფურც. 7—15.

<sup>55</sup> „კვალი“, 1900 წ. 30 აპრილი, № 18.

ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის მუშათა ხელფასი არ იყო მყარი. მაგალითად, 1905 წლამდე ჭიათურის მალაროებში იყო დღიური ხელფასი, რომელიც მუშათა კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად იყო განაწილებული: 1905 წლის იანვარ-თებერვლის გაფიცვებამდე ჭიათურის მალაროებში მნგრეველი მუშა დღეულობდა 1 მან., გადამზიდველი—80 კაპ., მადნის დამხარისხებელი (გადამრჩეველი) 60—70 კაპ., გაფიცვის შემდეგ კი მუშების ხელფასი შესამჩნევად გადიდდა: სახელდობრ, მნგრეველის დღიური ხელფასი გახდა 1 მან. და 60 კაპ., გადამზიდველის—1 მან და 40 კაპ., ხოლო დამხარისხებლის 1 მან.; მუშებს ასეთი ხელფასი ეძლეოდათ 1906 წლის ივლისამდე, მაგრამ გაფიცვის შემდეგ მეწარმენი იძულებულნი გახდნენ, კვლავ მოემატებინათ მუშის დღიური ხელფასისათვის 20 კაპ.

მტკირთავ მუშებს, რომლებიც ნარდად მუშაობდნენ, 1906 წლის ივლისის გაფიცვის შემდეგ 8 საათიან სამუშაო დღეში 2 მან. დაუნიშნეს<sup>56</sup>, თუმცა მუშების ეს გამარჯვება ხანმოკლე გამოდგა და, როცა 1907 წლის მეორე ნახევარში ჭიათურაში დაწყებულმა კრიზისმა სამუშაოს ძლიერ შემცირება გამოიწვია, მრეწველებმა მუშებს ხელფასი შეუმცირეს, სამუშაო დრო კი გაუდიდეს; მუშებმა ამ ღონისძიების შემოსებას გაფიცვებით უპასუხეს; სამაგიეროდ მრეწველებმა ლოკაუტი გამოაცხადეს. მუშებმა მრეწველთა ამ შემოტევას გაერთიანებული ძალა დაუპირისპირეს. მაგ. როცა „ფორჯულის“ ფირმამ სამუშაოდან 207 მუშა დაითხოვა, მუშებმა თავიანთ ადგილზე სხვები არ დაუშვეს და აღნიშნული ფირმაც იძულებული გახდა 93 მუშა ისევ აღედგინა სამუშაოზე<sup>57</sup>.

1909 წლის მეორე ნახევარში ჭიათურის მანგანუმის წარმოებას გამოცოცხლება დაეტყო და დიდძალი მუშახელი მოაწყდა მას; მრეწველებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით, დაიწყეს მუშებისათვის ხელფასის დაკლება და უმიზეზოდ დათხოვნაც. ფართოდ შემოიღეს სამუშაოს ე. წ. აკორდით (ნარდად) გაცემა, რაც მუშათა ექსპლოატაციის საზიზღარ ფორმას წარმოადგენდა. ჭიათურის მალაროში იმავე „ფორჯულის“ ფირმამ მუშების ხელფასს 1909 წლის აგვისტოდან დაუკლო 25 პროცენტი, ვასცა სამუშაო ნარდად და შეცვალა ძველი მუშები რუსეთის შორეულ გუბერნიებიდან ჩამოსული მუშებით<sup>58</sup>.

მტკირთავი მუშები შორაპანში, ფოთსა და ბათუმში სამუშაოს ძირითადად ნარდად ასრულებდნენ. ერთი ვაკონის დაცლაში ბაქანზე მუშებს აძლევდნენ 2 მან. და 50 კაპ.; იმავე რაოდენობის მარგანეცის ან ქვანახშირის გემში ჩატვირთვისათვის კი ეძლეოდათ 4 მანეთიდან 6 მანეთამდე<sup>59</sup>; ეს დამოკიდებული იყო ბაქნიდან გემამდე არსებულ მანძილზე.

ძალზე დაბალი იყო ტყიბულის ქვანახშირის მალაროების მუშების ხელფასიც. 1903 წელს ტყიბულის მალაროს მუშა იღებდა 10 საათიან სამუშაო დღეში 1 მან. და 20 კაპ.; ხოლო 1905 წელს, რევოლუციის დღეებში, მუშებს მოუმატეს 30 კაპ. და ძირითადად ასეთი დარჩა ტყიბულის მუშათა ხელფასი 1911 წლამდე, როცა მუშებმა გაფიცვების შემდეგ მიადწიეს ხელფასის კიდევ 15 კაპ. გადიდებას და 9 საათიან სამუშაო დროში იღებდნენ 1 მან. და 65 კაპ<sup>60</sup>.

<sup>56</sup> ქს. კვანტრე, საქართველოს სამთამადნო მუშათა მოძრაობის ისტორია, გვ. 81

<sup>57</sup> საქართველოს სსრ ცნობა, ფ. 29, ს. 488, ფურც. 97.

<sup>58</sup> გაზ. „მომაგალი“, 1909 წ., № 97.

<sup>59</sup> ქს. კვანტრე, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

<sup>60</sup> ქს. კვანტრე, დასახ. ნაშრომი, გვ. III; პროფ. ნ. ტყეშელაშვილის მიხედვით, ტყიბულში 1905 წლის იანვრის გაფიცვის შემდეგ 12 საათიან სამუშაო დროში (საუზმისა და სა-



1915 წელს ტყიბულის მალარობის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცვის გამო მრეწველები იძულებული გახდნენ, შემოეღოთ 8 და 9 საათიანი სამუშაო დღე შესაბამისად მიწისქვეშა და მიწისზედა სამუშაოებისათვის; ხელფასი კი მუშების ყველა კატეგორიას გაუდიდდა 30 პროცენტით<sup>61</sup>.

1909—1917 წლებში ჭიათურის მანგანუმის მუშების ხელფასი წარმოგვიდგება შემდეგნაირად (ცხრილი 5)<sup>62</sup>.

ცხრილი 5

წლები	მუშათა კატეგორიები					
	მნგრეველები		უკუშემგორებლები		გადამრჩეველები	
	მან.	კაბ.	მან.	კაბ.	მან.	კაბ.
1909	1	3	1	20	—	50
1910	1	20	—	80	—	50
1911	1	10	—	80	—	50
1912	1	20	—	80	—	50
1913	1	70	1	50	1	20
1914	1	70	1	40	1	20
1915	1	88	1	88	1	35
1916	2	30	1	88	1	35
1917	2	60	2	20	1	90

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველა კატეგორიის მუშის ხელფასი შესამჩნევ რყევას განიცდის და 1912 წლის გაფიცვის შემდეგ უკვე პერიოდულად იზრდება, მაგრამ ომიანობის პირობების სიძნელეებთან დაკავშირებით მუშის ნომინალური ხელფასი არ გაზრდილა. უფრო მეტიც, ჭიათურის ზოგიერთ საწარმოში, მაგალითად ბუაძისა და კომპ. მარგანეცის საარტეხ ქარხანაში მუშებს (მრეცხავი დღეში ლებულობდა 1 მან. და 60 კაბ., ხოლო ვარცხნილი ქვის ბაქანზე გადამტანი მუშა—1 მან. და 40 კაბ.), პირიქით, ომის პერიოდში შეუმცირეს ხელფასი 30 კაბ-ით<sup>63</sup>.

ამრიგად, მუშების ხელფასის ოდენობა მრეწველ კაპიტალისტთა თვითნებობაზე იყო დამოკიდებული; ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ გუბერნიებისა და მაზრების მიხედვით საშუალო დღიური ხელფასის დაწესება მხოლოდ ფორმალურად ხდებოდა და მუშები სინამდვილეში უფრო ნაკლებ განამრჯელოს იღებდნენ. პირველ მსოფლიო ომში ხელფასის ერთგვარი მომატება ზოგიერთ საწარმოში ოდნავად არ აუმჯობესებდა მუშათა ეკონომიურ მდგომარეობას პირველი მოთხოვნების საგნებზე ფასების არაჩვეულებრივი ზრდის გამო; მუშათა სყიდვითუნარიანობაც ამ დროს უფრო დაბალი ჩანს, ვიდრე წინა პერიოდში. ამიტომ საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მუშები სხვა საწარმოების მუშებთან ერთად სისტემატურად ებრძოდნენ უსამართლო წყობილებას პოლიტიკური უფლებების მოპოვებისა და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

დღის დროის ჩათვლით) მნგრეველებს და გამოშგორებლებს დაენიშნათ ხელფასი 1 მან. და 60 კაბ. მტვირთველს—1 მან. და 40 კაბ., გადამზიდველებს—1 მან. და 20 კაბ. და დამხარისხებლებს—20 კაბ. (იხ. ნ. ტყეშელაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 145);

<sup>61</sup> ნ. ტყეშელაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 146.

<sup>62</sup> ქს. კვანტრე, დასახ. ნაშრ., გვ. 103, 155.

<sup>63</sup> გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1916 წ. 1 აპრილი.

რუსეთის მუშათა კლასმა, უუფლებობით, აუტანელი შრომისა და ცხოვრების პირობებით განაწამებმა, დაიწყო ორგანიზებული გამოსვლები მხაკვარელთა წინააღმდეგ, რაც XIX საუკუნის 90-იან წლებში ფართო საგაფიცო მოძრაობაში გამოიხატა. „თვით მუშათა ცხოვრების პირობები ხდის მათ ბრძოლისუნარიანს და უბიძგებს საბრძოლველად“<sup>64</sup>—მითითებდა ვ. ი. ლენინი. რევოლუციის ბელადი ვაფიცვებს უწოდებდა მუშათა კლასის განთავისუფლებასთვის ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას<sup>65</sup>.

მუშები თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მიმართავდნენ როკორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ვაფიცვებს, რომლებიც ძალიან ხშირად გადაიზრდებოდა ხოლმე მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციად, ხოლო ეს უკანასკნელი, რაც გინდ მშვიდობიანი ყოფილიყო, პოლიციასა და მეფის ჯარებთან შეიარაღებული შეტაკებით მთავრდებოდა.

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მუშათა საგაფიცო მოძრაობას. ეხებოდა რა მუშათა კლასის ბრძოლის ფორმებსა და საშუალებებს, იგი წერდა: „ვაფიცვები აჩვენებს მუშებს გაერთიანებას, ვაფიცვები უჩვენებს მათ, რომ მხოლოდ ერთად შეუძლიათ მათ იბრძოლონ კაპიტალისტების წინააღმდეგ. ვაფიცვები ასწავლის მუშებს, იფიქრონ მთელი მუშათა კლასის ბრძოლაზე მთელ მეფაბრიკეთა კლასისა და თვითმპყრობელური, პოლიციური მთავრობის წინააღმდეგ. ამიტომაცაა სწორედ, რომ სოციალისტები ვაფიცვებს უწოდებენ „ომის სკოლას“, სკოლას, სადაც მუშები სწავლობენ როგორ აწარმოონ ბრძოლა თავიანთი მტრების წინააღმდეგ მთელი ხალხისა და მთელი მშრომელების გასათავისუფლებლად მოხელეებისა და კაპიტალის მხრივ ჩაგვრისაგან“<sup>66</sup>.

საგაფიცო მოძრაობის უმაღლეს ფორმას საყოველთაო პოლიტიკური ვაფიცვა წარმოადგენს. საქართველოში მუშათა ასეთ პირველ გამოსვლას ადგილი ჰქონდა 1903 წლის ივლისში<sup>67</sup>.

საყოველთაო ვაფიცვა დაიწყო ბაქოს ნავთის სარეწებში. რსდმპ კავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტების მოწოდებით 14 ივლისს ბაქოელ მუშებს მხარი დაუჭირეს თბილისელმა კოლეგებმა. ვაფიცვა სწრაფად ვავრცელდა მთელ საქართველოში; 17 ივლისს მუშაობა შეწყვიტეს ჭიათურისა და ტყიბულის მუშებმა, რომლებსაც გამოეხმაურა სხვა საწარმოებიც. მარტო ბათუმსა და ფოთში ვაფიცული იყო 10 ათასი მუშა, ხოლო მთელ საქართველოში—50 ათას კაცზე მეტი<sup>68</sup>.

64 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 376—377.

65 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 388.

66 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 387.

67 ჩვენ აქ ვეხებით საქართველოს ქვანახშირისა და მანგანუმის მრეწველობის მუშათა საგაფიცო მოძრაობის მთავარ მომენტებს და გვერდს ვუვლით ვაფიცვების მომზადებისა და მიმდინარეობის დეტალურ გაშუქებას.

68 საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. 1, თბ., 1957, გვ. 82. ჭიათურის მუშათა მღელვარებას აშკარა ბრძოლის ხასიათი მიეცა მხოლოდ 1903 წლის ივლისის ვაფიცვის დროს, რომელიც ორ კვირაზე მეტი გავრძელდა და დამთავრდა მუშათა მოთხოვნების ნაწილობრივ დაკმაყოფილებით (ზ. გ. გ. შ. ი. ძ. ძ., 1905 წელი ჭიათურაში, იხ. სტატიების კრებული, 1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955, გვ. 252—253).

ჭიათურის მუშათა გაფიცვა მოაწყო რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა, რომელიც კავკასიის კავშირის კომიტეტის დავალებით მუშაობდა; ჭიათურის მუშებმა ივლისის დღეებში იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის დახმარებით შეიმუშავეს რამდენიმე პუნქტისაგან შემდგარი მოთხოვნა. რაც შემდეგ პროკლამაციის სახით გაავრცელეს. აქედან მთავარი იყო 8 საათიანი სამუშაო დღე, ხელფასის მომატება ყველა კატეგორიის მუშისათვის ისეთი რაოდენობით, რომ დღიური ნამუშევარი 1 მან. ნაკლები არ ყოფილიყო, სანარდო სამუშაოთა გაუქმება, მცირეწლოვანთა და არასრულწლოვანთა შრომის გამოყენების აკრძალვა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, აბანოების, საავადმყოფოს მოწყობა და სხვ.

გაფიცვამ საშიში ხასიათი მიიღო და მანგანუმის მრეწველობის 50 ფერმას 35 ათასი მან. ზარალი მიყენა<sup>69</sup>. მაგრამ მთავრობამ იგი მალე ჩააჭრო, ბევრი მოწინავე მუშა დააპატიმრა და გადაასახლა.

ტყიბულსა და ჭიათურაში გაფიცვები განსაკუთრებით გაძლიერდა 1905—1907 წლების რევოლუციის დროს. რევოლუცია, როგორც ცნობილია, დაიწყო პეტერბურგის 9 იანვრის ამბებით. 18 იანვარს კი თბილისში გამოცხადდა გაფიცვა, რომელიც დღითიდღე იზრდებოდა და საყოველთაო ხასიათი მიიღო. იგი მოედო ბათუმსა და ჭიათურას, ტყიბულსა და ფოთს და შემდეგ მთელი ქუთაისის გუბერნია ამ მოძრაობამ მოიცვა. ჭიათურაში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით 22 იანვარს დაწყებული გაფიცვა გაგრძელდა 10 დღეს და მუშების გამარჯვებით დამთავრდა<sup>70</sup>. 26 იანვარს ტყიბულის მუშებმა სამუშაო მიატოვეს. გაფიცულებმა მოითხოვეს ხელფასის მომატება, რაც ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ იქნა, და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

რუსეთის მუშათა კლასის 1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოში. საყოველთაო გაფიცვა დაიწყო 7 ოქტომბერს მოსკოვში. 14 ოქტომბერს მოსკოველ ამხანაგებს მხარი დაუჭირეს რკინიგზის თბილისის მთავარსახელოსნოების მუშებმა, 15—17 ოქტომბერს კი გაფიცვა გავრცელდა ქუთაისის გუბერნიაში, სადაც აქტიურად გამოვიდნენ ჭიათურისა და ტყიბულის მუშები<sup>71</sup> და მიაღწიეს გამარჯვებას—მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნებიდან მრეწველებმა მიიღეს კვირა და უქმე დღეებში მუშაობის აკრძალვა და ხელფასის გაცემა სამუშაო საათებში.

თბილისში 1905 წლის 12 დეკემბრის საყოველთაო გაფიცვას ერთსულრვნად დაუჭირეს მხარი მანგანუმისა და ქვანახშირის მრეწველობის მუშებმა, რომლებმაც ტყიბულში, შორაპანსა და ჭიათურაში შექმნეს მეტროლი რაზმები; ჭიათურელი რაზმების დახმარებით ყვირილის საპატამროდან გაათავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები, ხოლო ტყიბულის მუშებისაგან შემდგარ 150 რაზმელს შეტაკება მოუხდა ბესარაბიის 29-ე ქვეითი პოლკის ასეულთან<sup>71</sup>.

<sup>69</sup> ქს. კვანტრე, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

<sup>70</sup> ი. ხუციშვილი, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, გვ. 132—133.

<sup>71</sup> ჭიათურის ბოლშევიკების მიერ 21 ოქტომბერს გამოცემულ პროკლამაციაში იყო აშკარა მოწოდება შეიარაღებული ანჯანუებისაკენ (იხ. რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები, თბ., 1955, გვ. 499—501).

<sup>72</sup> საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, გვ. 191; ჭიათურის მუშათა რევოლუციური ბრძოლის ძირითადი მომენტები გაშუქებულია მ. ჯიქიას ვილის სტატიაში „ჭიათურის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან (1901—1921 წწ.)—იხ. „მაცნე“ № 1, 1965 წ.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ სტოლიპინის შავბნელი ძალების თარეშმა ვეღარ შესძლო, ჩაეკლა თავისუფლებისაგან მისწრაფება მშრომლებში. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ჭიათურისა და ტყიბულის მუშები საქართველოს მთელ მუშათა კლასთან ერთად არალეგალობის მიმე პირობებში ამაღლებდნენ ძალებს ახალი რევოლუციური ბრძოლებისათვის.

1912 წლის ივნისში ჭიათურელმა მუშებმა გამოავლინეს თავიანთი მზადყოფნა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში პოლიტიკური ხასიათის გაფიცვის მოწყობით, რამაც მოამზადა ნიადაგი მომავალი გამოსვლების წარმატებისათვის.

მანგანუმის მრეწველობის მუშათა მორიგი დიდი მნიშვნელობის გაფიცვა დაიწყო 1913 წლის ივნისში და გაგრძელდა 56 დღეს<sup>72</sup>. მას მხარს უჭერდნენ ტყიბულელი მაღაროელები, ფოთისა და ბათუმის მტვირთავი მუშები. ამ გაფიცვის დღეებში ჭიათურის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ნათლად დაამტკიცა თავისი ბრძოლისუნარიანობა, იგი ხელმძღვანელობდა მუშების გამოსვლას და მენშევიკების ცდები, მიეცათ მისთვის წმინდა ეკონომიური ხასიათი, ჩაიფუშა. გაფიცვა თავიდანვე პოლიტიკური ხასიათის იყო და მუშების გამარჯვებით დამთავრდა<sup>73</sup>.

1914 წლის მაის-ივლისში გაფიცვებს ადგილი ჰქონდა ჭიათურაში, ფოთსა და ბათუმში; 1915 წლის 27—31 აგვისტოს ტყიბულის მუშების გაფიცვა დამთავრდა გამარჯვებით: შემოღებულ იქნა 8 საათიანი სამუშაო დღე მიწისქვეშა, ხოლო 9 საათიანი მიწისზედა სამუშაოებისათვის. დღიური ხელფასი კი გადიდდა 30 პროცენტით<sup>74</sup>.

1916 წლის 26 თებერვალს კვლავ გაფიცნენ ტყიბულის მუშები, 3 მაისს მუშაობა შეწყდა ჭიათურის მაღაროებში. ამჯერად მეწარმენი ისევ დათმობაზე წავიდნენ — ტყიბულის მუშების დღიურ ხელფასს მოუმატეს 15, ხოლო ჭიათურის მუშების ხელფასს—35—40 პროცენტი<sup>75</sup>.

1917 წლის თებერვლის დამდეგს რამდენიმე დღის გაფიცვის შემდეგ ტყიბულის მუშებმა მიადწიეს ხელფასის ახალ მომატებას 1 მან. და 50 კაპ. რაოდენობით.

აქედან ცხადად ჩანს, რომ საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით თანმიმდევრულად იბრძოდა მრეწველობის სხვა დარგების მუშებთან ერთად მჩაგვრელთა წინააღმდეგ, რაც გამოიხატა საგაფიცო მოძრაობის გაფართოებითა და საყოველთაო პოლიტიკური გამოსვლების მოწყობით, მეგრძოლი რაზმების შედგენითა და დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობით.

რეაქციის მიმე წლებში ბოლშევიკების მიერ ლეგალური და არალეგალური მუშაობის მოხერხებული შეხამების შედეგად საქართველოს მუშათა კლასმა დარაზმა თავისი ძალები მომავალი ახალი ბრძოლებისათვის და მათი საბრძოლო შემართება რევოლუციური აღმავლობისა და მსოფლიო ომის წლებში აშკარად დადასტურდა.

<sup>72</sup> Г. А. Арутюнов, 56 дневная стачка чнатурскии рабочих в 1913 г. (См. „Исторические записки“ №58, 1956).

<sup>73</sup> საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, გვ. 365.

<sup>74</sup> ქს. კ ვ ა ნ ტ რ ე, დასახ. ნაწ., გვ. 151.

<sup>75</sup> საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, გვ. 365.

## «სისხლის» და სასჯელის მწიგნობრის უპროტესტული აღმშენებლობა ქართულ საპარტიალო XI—XII საუკუნეებში

### ბ. ნაღარკველი

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

ტერმინ „სისხლის“ მნიშვნელობის გარკვევასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „მე-XIV—XV საუკუნეების ძეგლებში ამ ტერმინის მნიშვნელობის გასაგებად სრულებით გარკვეული დებულება მოიპოვება და იქათგან ჩანს, რომ „სისხლი“ ნამდვილად „სისხლთა ფასს“ ჰნიშნავდა და იმ ქონებრივ საზღაურს წარმოადგენდა, რომელსაც დამნაშავეს თავისი დანაშაულისათვის კანონით განსაზღვრული სასჯელის გარდა დაზარალებულს, ან მისი მემკვიდრეებისათვის უნდა გადაეხადა“<sup>1</sup>.

სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ სახელოვანი მეცნიერის ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული განმარტება „სისხლისა“ სწორი არ არის.

XIV საუკუნის ქართული საკანონმდებლო ძეგლის მიხედვით (ბეჭა აღბუღას სამართლის წიგნი), „სისხლი“ ქონებრივ სასჯელს წარმოადგენდა, რომელიც დამნაშავეს უნდა გადაეხადა დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულის გვარის, მამულისა და საპატიო ხელის მიხედვით.

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ „სისხლი“ მხოლოდ მკვლელობისა და დაჭრილობისათვის დაწესებული საზღაურის აღმნიშვნელი იყო. პარვისათვის დაწესებულ გადასახდელს კი „საზღაო“ ეწოდებოდა. აკად. ი. დოლიძის აზრით, „სისხლი“, როგორც სასჯელი, მართო მკვლელობისა და ჭრილობის საზღაურს კი არ წარმოადგენდა, არამედ სასჯელის საყოველთაო სახე იყო. ავტორი მიუთითებს, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილი ცდებდა, როდესაც ამბობს: სისხლი „სასჯელს კი არ წარმოადგენდა, არამედ მხოლოდ მიყენებული ზარალის ქონებრივად ანაზღაურებასაო“. „სისხლი კანონით დაწესებული ქონებრივი საზღაურია და სწორედ ამიტომ წარმოადგენს სასჯელს, სახელოდობრ ქონებრივ სასჯელს“<sup>2</sup>. ნაშრომისთვის დართულ ლექსიკონშიც ავტორი „სისხლს“ განმარტავს, როგორც სასჯელს, ფულად ან ქონებრივ საზღაურს სისხლის სამართლის დანაშაულისათვის. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სისხლი და შუარისძიება ქართულ სისხლის სამართალს ბოროტმოქმედებად ჰქონდა მიჩნეული და მას სასტიკად სჯიდა. „ქონებრივი საზღაურის სახითაც „სისხლი“ მკვლე-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წიგ. II, ტფ., 1929, გვ. 505.

<sup>2</sup> ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, გვ. 190.



ლობისა, თუ დაჭრილობისათვის სასჯელს კი არ წარმოადგენდა, არამედ მხოლოდ მაყენებელი ზარალის ქონებრივად ანაზღაურებას. თვით დანაშაულებისათვის დამნაშავეს კანონით თავისი სასჯელი ჰქონდა დანიშნული. რომელიც უნდა უცილებლივ მოეხადნა<sup>3</sup>.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, „სისხლის“ სამართლებრივი ცნების ირგვლივ ორი სხვადასხვა აზრი არის გამოთქმული. რომელი მათგანია სწორი და მისაღები? XIV—XV საუკუნეებისათვის და უფრო მოგვიანო პერიოდისათვის, მთელი გვიანი შუასაუკუნეებისათვის აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული დებულება არ უნდა იყოს სწორი და უფრო მისაღები ჩანს. აკად. ი. დოლიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება „სისხლის“ მნიშვნელობის შესახებ. ავტორი მიუთითებს, აგრეთვე, იმ გარემოებაზეც, რომ ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა „სისხლს“ ყველა უძველეს ხალხთა სამართლის ძეგლებით. გათვალისწინებული კომპოზიციით, ვერგელდი ისეთივე ქონებრივი ხასიათის სასჯელი იყო, როგორც „სისხლი“ ქართული სამართლის მიხედვით.

თავდაპირველად, ადრეკლასობრივი საზოგადოების პირობებში სისხლის სამართალში დიდი ადგილი უნდა სჭეროდა კერძო ანაზღაურების იდეას, როგორც ტრადიციულად ჩვეულებათა სამართლიდან მომდინარეს და საჯარო ხელისუფლების სისუსტითაც განპირობებულს. დანაშაული განიხილებოდა, როგორც კერძო უფლების დარღვევა, ხოლო სასჯელი, როგორც ამ დარღვევისათვის გასამრჯელო. ვისაც კი შეეძლო ფულით ან ნატურით გადახდა, იგი თავისი პიროვნებით იხდიდა მას—მონად იქცეოდა. ამასთანავე, ხსენებული იდეის გვერდით და მასთან ერთად ახალი სამართლებრივი შეხედულებაც გამოვლინდა; ამ უკანასკნელის მიხედვით, დანაშაული საერთო მშვიდობის, საზოგადოებრივი მყუდროების დარღვევა და ამიტომაც დამნაშავეს სახელმწიფომ უნდა შეუფარდოს სასჯელი. დიდხანს ორივე ერთიმეორის გვერდით თანაარსებობდა კლასობრივი საზოგადოების პირობებში, სანამ საბოლოოდ უკანასკნელმა არ გაიმარჯვა. არის ცნობები, რომ ძველი გერმანული სამართლის მიხედვით, ზოგიერთი ძალიან მნიშვნელოვანი დანაშაულისათვის გამოსასყიდის მიღება შეიძლებოდა მხოლოდ მეფის ბრძანებით ან და სავსებით იყო იგი აკრძალული<sup>4</sup>.

საინტერესოა, ვაირკვეს საკითხი, მოიცავდა თუ არა ყოველთვის (განსაკუთრებით კი XI—XII საუკუნეებში) „სისხლის“ ცნება სასჯელის ცნებას და ყოველთვის იდენტურ ცნებებს წარმოადგენდნენ თუ არა სისხლი და სასჯელი? ამოიწურებოდა თუ არა „სისხლი“ გადახდით სასჯელის ღონისძიება?

მივმართოთ ანალოგიას საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი ხალხის ისტორიიდან. როგორც ცნობილია, XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის დასაწყისში სომხეთი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შემოდიოდა. სწორედ ამ ეპოქაში შედგენილ მხოთარ გომის სამართლის წიგნში ამა თუ იმ ზომით უთუოდ ქართულ იურიდიულ ყოფას თავისი ასახვა უნდა ეპოვნა.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრ., იქვე.

<sup>4</sup> W. Wilda, Das Strafrecht der Germanen. Halle. 1841, გვ. 282-283; აგრეთვე, J. Grimm. Deutsche Rechtalterthumer. Göttingen, 1854, გვ. 739.





იცნობს თუ არა მხითარ გოშის სამართლის წიგნი „სისხლის“ ცნებას? რა თქმა უნდა, იცნობს. კანონმდებელი სამართლის წიგნის მეორე ნაწილში, 126-ე მუხლში „სისხლის“ ფასზედაც ლაპარაკობს.

„როდესაც მკვლელობაში ან სხვა ბოროტმოქმედებაში დამნაშავეს კანონი ორმაგ სასჯელს განუსაზღვრავს, ხომ არ შეიძლება სისხლის ფასის გადახდამისჯილს შევეუფარდოთ მსუბუქი ეპიტიმიაც?“ სვამს კითხვას კანონმდებელი. იქვე ლაპარაკია იმაზე, რომ ზოგიერთი დამნაშავეს მიმართ სისხლის ფასის გადახდევინების გარდა სასჯელის ზომილ სხეულებრივი სასჯელიც უნდა გამოეყენებინათ: „დაე საქმარისი იყოს ეს სასჯელი იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე ბუნებით ბოროტმოქმედი არ არის; თუ კი განმეორებითი დანაშაულის გულვება არსებობს, მაშინ დამნაშავეს უნდა შეუფარდონ აგრეთვე სასჯელად ხელის მოკვეთა. თუ დამნაშავე ღარიბია, მის მიმართ მხოლოდ სხეულებრივი სასჯელის შეფარდება საქმარისია“<sup>5</sup>.

როგორც ვხედავთ, სომხური სამართლის წიგნი „სისხლის“ ანუ ქონებრივი ხსიათის სასჯელის გვერდით განსაკუთრებით საშიში დამნაშავეების მიმართ სხეულებრივი სასჯელის სახით ხელის მოკვეთასაც აწევს. გარდა ამისა, როგორც ეს ცხადი ხდება თვით მხითარ გოშის სამართლის წიგნის ზემოთ მოტანილი ადგილიდან, ღარიბი დამნაშავეების მიმართ, რომელთაც ქონება არ გააჩნდათ, იყენებს მხოლოდ არაქონებრივ, სხეულებრივ სასჯელს.

ბექასა და ალბუღას სამართლის წიგნები, აგრეთვე ვახტანგის სამართლის წიგნი, გვიანი შუა საუკუნეების ქართული იურიდიული დოკუმენტები თითქოს იმის სასრგებლოდ მეტყველებენ, რომ ამ პერიოდში „სისხლი“ და სასჯელი სავსებით ინდენტური ცნებები უნდა ყოფილიყვნენ. ხსენებულთან დაკავშირებით ი. დოლიძე წერს, რომ „...ბექა-ალბუღას სამართალი განსაზღვრავს სისხლის ოდენობას დაზარალებული პირის სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით. როცა დამნაშავე, ან მისი ნათესავები, დაზარალებულს, ან მის ნათესავებს, კანონით გათვალისწინებულ სისხლს დაუფრებენ, სასჯელი მოხდოლია და საქმეც დამთავრებულად ითვლება. ამრიგად, „სისხლი“ ქართულ სამართალშიაც სასჯელის ძირითადი სახეა. ბექა-ალბუღას სამართლიდან არ ჩანს, რომ სისხლის დაურეების გარდა „თვით დანაშაულებსათვის დამნაშავეს კანონით თავისი სასჯელი ჰქონდა დანიშნული, რომელიც უნდა აუცილებლივ მოეხადნა“<sup>6</sup>.

ქართული სამართლის უცხოელი მკვლევრები ფ. ჰოლდაკი და ი. კარსტი უიჭრობდნენ, რომ ქართული სამართლის კომპოზიციების სისტემა არ იცნობდა სისხლის სამართლის საჯარო ხსიათის ჯარბმასაც კი და რომ სისხლის დაურეებას მთლიანად კერძო საზღაურის ხსიათი ჰქონდა<sup>7</sup>.

რა თქმა უნდა, ფ. ჰოლდაკისა და ი. კარსტის შემოსენებული შეხედულება არ არის სწორი და ამ ვარემოებაზე სათანადოდ არის გამაზვილებული ყურადღება სპეციალურ მეცნიერულ ლიტერატურაში. ქართული სამართლისათვის უცხო არ ყოფილა სასჯელის საჯარო ელემენტი. „სისხლის“, როგორც ქონებრივი სასჯელის, განსაზღვრული ნაწილი, რომელიც ჯარიმის სახით ხელისუფლების წარმომადგენლებს ეძლეოდათ, ცნობილი იყო ქართული სამართლისათ-

<sup>5</sup> Армянский судебник Мхитара Гоша. 1954, Ереван.

<sup>6</sup> ი. დოლიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

<sup>7</sup> F. HOLLACK. Zwei Grundsteine zu einer grusinischen Staats und Rechtsgeschichte, Leipzig, 1907, გვ. 245-246. J. K a r s t. Code d'Aghbougha. ტ. II, წ. II, 1838, გვ. 28.

ვის, ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტების მიხედვით, საუკუნეში მაინც. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს გრიგოლ ქართლის ერისთავთ-ერისთავის ანდერძი, რომელიც XIII საუკუნის შუა წლების საბუთს წარმოადგენს.

სისხლის ცნების განმარტებასთან დაკავშირებით არ იქნება ზედმეტი ვახტანგ ერეკლეს ძე ბაგრატიონის „ისტორიებრი აღწერაც“ გამოვიყენოთ საკითხის გამოსარკვევად. იგი წერს: „სისხლსა უწოდებდენ, ოდეს აწორმა მოკლის ვინმე სწორი. მეფისაგან შეირისხებოდა ანუ სასჯელით ანუ პატიმრობით ანუ სხვითა რაითამე პატივით და გარდა ამისა მკვლელი იგი თანამკუებ იყო, რათა დაეურვა მკვდრის პატრონისათვის თეთრითა ანუ სხვითა ქონებითა რაითამე პატივისამებრ მკვდრისა მისისათა სისხლი. ხოლო თუ უდიდესმან მოკლის უმციურესი, დაეურვის სისხლი და თვით განიძის მამულსაგან რაოდენსამე ხანსა. ეგრეთვე სასძლოთა წართმისა ანუ დატყვევისათვის ჩინებულებისამებრ დაუურვიან სისხლი“.

იმევე თხზულებაში ვახტანგ ბატონიშვილი წერს: „ხოლო ავაზაკთა და ქუროთა ერთისა წილ შვიდი მიაცემიან და უკეთუ ვინმე შესამედცა ჰყვის, მამუნა აღმოხდიდინ თვალთა ანუ მოკვეთიან ფერხნი და უკეთუ ვინმე იხადის მახვლი მსაჯულსა ზედა ანუ წარჩინებულთა გვაგმათ, მოკვეთიან ხელნი“<sup>8</sup>.

ჩვენთვის ვახტანგ ერეკლეს ძის მიერ მოწოდებული ცნობა მრავალმხრივ არის საინტერესო. პირველყოვლისა გვარკვიოთ, სანდო არის თუ არა ბატონიშვილის მიერ მოწოდებული ცნობები?

ერთი რამ აქვე შეიძლება ითქვას: ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორი სასჯელების სახეობანი არსებობდნენ ძველ საქართველოში და მას არავითარი განზრახვა და ინტერესი არ უნდა ქონოდა მკითხველის შეცდომაში შესაყვანად. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ვახტანგ ერეკლეს ძის მოსაზრებას სხვა ცნობები და მონაცემებიც ამარგებენ.

ვახტანგ ბატონიშვილის მიერ მოწოდებული ცნობებიდან გამომდინარეობს:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც „სწორი“ „სწორს“ კლავდა, მაშინ დამნაშავეს მარტო „სისხლის“ გადახდა როდი შეეფარდებოდა სასჯელად. პირველყოვლისა, მკვლელს მეფე აპატიმრებდა, „შერისხავდა“ ანუ „სხვითა რაითამე პატივით“ დასჯიდა. დამნაშავე რომ ძირითად, საჯარო ხასიათის სასჯელს მოიხდიდა, ამის შემდეგ იყო იგი ვალდებული („თანამდებ იყო“) „რათა დაეურვა მკვდრის პატრონისათვის თეთრითა ანუ სხვითა ქონებითა რაითამე პატივისამებრ მკვდრისა მისითა სისხლი“. ამ შემთხვევაში „სისხლის“ გადახდა თითქმის არაძირითად, არამედ დამატებითი ხასიათის სასჯელად გვევლინება.

ავტორი გვარწმუნებს, რომ „სისხლსა უწოდებენ, ოდეს სწორმან მოკლის ვინმე სწორი“-ო. ეს გამოთქმა შემდგომ განმარტებას საჭიროებს, ჩვენ მას ქვემოთ ისევე დავუბრუნდებით.

2. ამავე დროს ჩანს, რომ როდესაც „უდიდესი“ კლავს „უმცირესს“, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, „სისხლის“ დაურვებაც გვევლინება სასჯელის ღონისძიებად. მაგრამ გაურკვეველი რჩება, ძირითადი იყო თუ დამატებითი სასჯელი ამ შემთხვევაში „სისხლის“ დაურვება. ამასთან დაკავშირებით, ავტორი ამბობს, რომ დამნაშავემ დაზარალებულის ოჯახს უნდა „დაუურვის სის-

<sup>8</sup> იხ. ისტორიებრი აღწერა, ს. კაკაბაძის გამოცემა, ტფილისი, 1914.



ხლი და თვით განძის მამულისაგან რაოდენსამე ხანსა“—ო. ყოველ შემთხვევაში, იმდენად ძლიერი ჩანან საჯარო საწყისები, რომ მაშინაც კი, როდესაც „უდიდესი კლავს უმცირესს“, სისხლის გადახდასთან ერთად დამნაშავეს „რაოდენსამე ხანსა“ მამულისაგან გაძევებაც უნდა შეეფარდოს სასჯელის ღონისძიებად.

3. ავტორი ასახელებს მხოლოდ ერთი კატეგორიის დანაშაულს, რომლის ჩამდენსაც სასჯელის ღონისძიებად მხოლოდ „სისხლის“ გადახდა შეეფარდებოდა. იგი წერს, რომ სხვისთვის საცოლეს წართმევისათვის ან საკუთარი საცოლეს დატოვებისათვის დამნაშავეს სასჯელის ღონისძიებად „სისხლის“ გადახდა შეეფარდებოდაო მხოლოდ („ეგრეთვე სასძლოთა წართმისა ანუ დატევისათვის ჩინებულებისამებრ დაუფრვიან სისხლი“).

აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ ხსენებული მოსაზრების სისწორეს ჩვეამდე მოღწეული იურიდიული დოკუმენტებიც ადასტურებენ.

4. ვახტანგ ბატონიშვილი მოგვითხრობს, რომ ქურდებსა და ავაზაკებს სასჯელის ღონისძიებად ნაქურდალ-ნაძარცვის შვიდმაგად გადახდა შეეფარდებოდათ სასჯელის ღონისძიებად. მაგრამ დანაშაულის სამჯერ განმეორების შემთხვევაში, დამნაშავე არა მარტო ქონებრივი სასჯელით შეიძლება დასჯილიყო, არამედ ხსენებულ დანაშაულს შეეფარდებოდა საჯარო ხასიათის ისეთი სხეულებრივი სასჯელები, როგორცაა თვალების „აღმობდა“ ან ფეხების მოკვეთა. ბატონიშვილის მიერ მოწოდებული ეს ცნობაც სანდო ჩანს. ყოველ შემთხვევაში ქურდებს რომ ნაქურდალის შვიდმაგად გადახდით სჯიდნენ, ამის შესახებ ჩვენ საკმაო ცნობები მოგვეპოვება. ამასთან დაკავშირებით ცნობები დაცულია როგორც იურიდიულ დოკუმენტებში, ასევე საკანონმდებლო ძეგლებშიც (გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“).

ცნობილია, რომ ძველი მონათმფლობელური სახელმწიფოებრიობის კლასიკურ ქვეყანაში—რომში, ქურდობა ჯერ კიდევ *Privata delicta*-დ, კერძო პირის ინტერესთა დარღვევად ითვლებოდა მხოლოდ და საჯარო საწყისებს არ ექვემდებარებოდა.

ფეოდალურ ბიზანტიაშიც დიდხანს ამავე თვალსაზრისზე იდგა კანონმდებლობა. ქურდობა საჯარო ხასიათის დარღვევად თვით იმპერატორ იუსტინიანეს კანონმდებლობის მიხედვითაც კი არ ითვლებოდა. ქურდობა ამ უკანასკნელის მიხედვით, კერძო ხასიათის გადაცდომაა; საკმარისია ნაქურდალის დაბრუნება უბრალოდ ან მისი ორმაგი ფასის გადახდა დარღვეული უფლების აღსადგენად და ქურდიც ამით თავისუფალი, სასჯელმოსხილი ხდება. ამ შეხედულების გადმონაშთები დიდხანს შემორჩა კანონმდებლობას. იგი მომდინარეობდა სისხლის აღების ჩვეულების გამოსასყიდებით შეცვლის ეპოქიდან. დამის ქურდის მოკვლის უფლება, აგრეთვე, მრუშობაზე წასწრებული ცოლის მოკვლის უფლება უფრო არქაული ჩანს თავისი წარმოშობით. იგი იმ დროის ნაყოფია, როდესაც თვითნებური ანგარიშსწორება დამნაშავეების მიმართ ძალაში იყო<sup>9</sup>. მხოლოდ გაცილებით უფრო გვიან, ცნობილი საკანონმდებლო ძეგლის—ეკლოგის (740

<sup>9</sup> S. Bar. Geschichte der Deutschen Strafrechts Berlin, 1882, გვ. გვ. 9—10; Fr. Miklositsch, Die Blutrache bei den Slaven, Wien, 1887, გვ. 41-52.

წ.) მიხედვით, ქურდობა იწვევს არა მარტო სამოქალაქო, არამედ, აგრეთვე, სისხლის სამართლის სასჯელსაც, ხელის მოკვეთასა და სხვ.<sup>10</sup>

ქურდობისათვის სასჯელის ღონისძიებებზე შრომის სხვა ადგილას გვექნება სპეციალურად საუბარი, ახლა კი შევნიშნოთ, რომ ფეხის მოკვეთა, როგორც სასჯელი ქურდობისათვის აღნიშნული აქვს არქანჯელო ლამბერტის XVII საუკუნის სამეცნიერლოსათვის.

ვახტანგ ბატონიშვილის ცნობით, ის ვინც მახვილს ამოიღებდა მსაჯულისა ანუ „წარჩინებულთა გვამთა“ ზედა, მას ხელს მოკვეთდნენ. მაშასადამე ხსენებულ შემთხვევაში მხოლოდ ასოთდამაზიანებელი სასჯელი შეეფარდებოდა დამნაშავეს.

უფრო საყურადღებო ჩანს ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი დანაშაულის სამჯერ ჩადენის შემთხვევაში დასჯის ღონისძიება ქონებრივი ან შეიძლება იქცეს ასოთდამაზიანებელ სასჯელად.

მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ რეციდივისტების მიმართ სასჯელის ღონისძიებად ისევ „სისხლი“ გამოეყენებინათ.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს როგორც გიორგი III-ის ცნობილი სიგელი, ასევე, თუ აქ ანალოგიას მივმართავთ, მხითარ გოშის სამართლის წიგნიც.

ვახტანგ ერეკლეს ძე ბატონიშვილის მიერ მოწოდებული აზრისგან ოდნავ განსხვავდება ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, სადაც იგი წერს ძველი საქართველოს მისამართით: „ხოლო წესნი სამართლისა და შერისხვისათვის აქუნდათ: სისხლი, ხრმალი, შანთი, მღულარე და ფიცი. სისხლს უწოდებდენ ოდეს სწორმან მოკლის ვინმე სწორი. მეფისგან შერისხვა იყო ანუ სიკვდილი, ანუ გვემა და პატიმრობა, ხოლო მკულელისა მის თანამღე იყო, რათა დაეურვა თეთრითა და საქონლითა პატივისა და წესისა მისი სისხლი. ხოლო უკეთუ უმადლესმან მოკლის უმცირესი, დაუურვის სისხლი, ხოლო უმდაბლესმან თუ მოკლის უმადლესი, დაუურვის სისხლი და განიძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა, ეგრეთვე დაწინდულთა ქალთა წართმისა ანუ დატევებისათვის ჩინებისა მიერვე დაუურვის სისხლი. ხოლო სულიერთაგან ამის მოქმედთა ზედა სხვა იყო შერისხეანი“<sup>11</sup>.

ვახუშტიც ისე, როგორც ვახტანგ ბატონიშვილი, მიუთითებს, რომ „სისხლს“ უწოდებენ—„ოდეს სწორმან მოკლის ვინმე სწორიო“. ამვე დროს ვახუშტიც არ უარყოფს, რომ დამნაშავეს შეეფარდებოდა სასჯელის ღონისძიებად შესაბამისად დანაშაულისა „მეფისაგან შერისხვა“, „გვემა“. „სიკვდილი“, „პატიმრობა“. ასეთი სასჯელის შეფარდება მას „სისხლისაგან“—ქონებრივი ხასიათის სასჯელისაგან არ ათავისუფლებდა. ვთქვათ, როდესაც დამნაშავე სასჯელს პატიმრობის სახით მოიხდიდა, იგი არ თავისუფლდებოდა „სისხლის“ გადახდისაგან,—პირიქით „თანამღე იყო, რათა დაეურვა თეთრითა და საქონლითა პატივისა და წესისა მისი სისხლი“. ვახუშტი დიდი ნდობის ღირსი მეცნიერია და მის მიერ მოწოდებული ცნობების ხელალებით უარყოფა შეუძლებელია. ეს

<sup>10</sup> М. Г. Васильевский, Законодательство иконоборцев, Труды, т. IV, Л., 1930, გვ. 176.

აგრ., Bernard Sinogowifz, Studien zum Strafrecht der Ekloga, Athenen, 1956, გვ. 13-17.

<sup>11</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 40.

გარემოება, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ იქ სადაც საჭიროა, კრიტიკულად არ შეეხედოთ მის მოსაზრებებს.

მამასადამე, როგორც ვხედავთ, ვახტანგ ბატონიშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის აზრით, ძველ საქართველოში თუ „სწორი სწორს“ მოკლავდა, სასჯელის ღონისძიებად „სისხლის“ დაურება სრულიადაც არ იყო საკმარისი. ამ უკანასკნელს წინ უძღოდა, როგორც ძირითადი სასჯელი—„მერისხვა“, „პატიმრობა“ და სხვ.

ვახტანგის და ვახუშტის ცნობები ერთიმეორეს შორდებიან, როდესაც „უდიდესი უმცირესს“, „უმაღლესი უმცირესს“ კლავს. ვახტანგ ბატონიშვილის აზრით, ამ შემთხვევაშიაც სასჯელის ღონისძიებად „სისხლის“ გადახდა არ იყო საკმარისი. გარდა ქონებრივი ხასიათის სასჯელის შეფარდებისა, დამნაშავე „მამულისაგან“ უნდა გაეძევებინათ „რაოდენსამე“ ხანსა. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით კი ამ შემთხვევაში „უმაღლესი“, რომელმაც მოკლა „უმცირესი“, მხოლოდ „სისხლის“ დაურებით ისჯებოდა. ვახუშტი ბაგრატიონის ეს ცნობა, ყოველ შემთხვევაში გვიანი საუკუნეების საქართველოსათვის, უფრო ხანდო ჩანს.

არ უნდა იყოს უმართებულო, აგრეთვე, ვახუშტის აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ „უმაღლესმან თუ მოკლის უმაღლესი, დააურვის სისხლი და განიძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა“.

ვახუშტის აზრით, მხოლოდ სისხლის გადახდა იყო დაწესებული ისეთი დანაშაულისათვის, როგორიც იყო დაწინდულ ქალთა წართმევა და დატყვეობა. ეს მოსაზრებაც გვიანი შუა საუკუნეების იურიდიული დოკუმენტების გამოხატულების მიხედვით სწორი ჩანს. ბექა-აღბულას სამართლის წიგნის ბოლოს დართულ ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტში (მუხლი 150) ვკითხულობთ: „თუ აზნაურმან აზნაური მოკლას, სამსა წელიწადსა მამული-საგან გააყენოს და მამული მკვიდრსა ძმასა აქუნდეს, ნუ ამოსწყუედენ; მეოთხესა წელიწადსა შემოუშვან, მამული მისცენ და სისხლი ზღოს, ტაძრობილი იყოს, თუ უტაძრო“.

ფიქრობენ, რომ სამართლის წიგნის ზემოთ მოტანილი მუხლი XI საუკუნეს მიეკუთვნება. არ შეიძლება ჩვენს ყურადღებას არ აპყრობდეს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში კანონმდებელი აღნუსხავს სწორედ სწორის მიერ სწორის მკვლელობას, რაზედაც ვახტანგ ბატონიშვილი და ვახუშტიც მოგვითხრობენ. სასჯელის როგორც ღონისძიებას უფარდებს ამ შემთხვევაში კანონმდებელი დამნაშავეს? კმაყოფილება თუ არა იგი მართოდენ „სისხლით“? როგორც ვხედავთ, ლეგალური მასალებითაც დასტურდება, რომ ვახტანგ ბატონიშვილის და ვახუშტის მიერ მოწოდებული ცნობები ძირითადად სწორია. ყოველ შემთხვევაში, სწორის მიერ სწორის, ამ შემთხვევაში აზნაურის მიერ აზნაურის მკვლელობისას, სასჯელის ღონისძიებად მართო „სისხლის“ გადახდით არ კმაყოფილდებოდნენ. მით უფრო საგულვეტელია ანალოგიური მდგომარეობა, როდესაც საქმე ეხებოდა „უმაღლესის“ მიერ „უმაღლესის“ მოკლას. გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“ მხარს უჭერს ვერსიას, რომ რიგ შემთხვევებში „სისხლის“ გადახდაც ვერცა წმინდა საჯარო ხასიათის სასჯელის ღონისძიებაც შეეფარდებოდა დამნაშავეს.

სამართლის წიგნში ერისთავის სიკვდილთან დაკავშირებით ნათქვამია: „ერისთავის სიკუდილი ვით აროდეს კადრებულა, ავრე ნუმცა ვისგან იკადრების. და თუ ვის ღმერთი შერისხდეს და შეცოდება აზომ ღიდი დაემართოს

და მოკლას ერისთავი, ვითა უმსგავსო არის და უსაზომო შეცოდება, აგრეთვე დამატებული დიდი პატიჟი და გარდახდევინება დარბაზით ეკითხოს; გარდახუეწა, მამულის წაღება და სისხლი მის გუარსა ზედა დაიურვოს და გარდახუეწოს.

და მამულისა, რაზომ წლამდის დაიჭირვის, ამად არ გავაჩინეთ, რომე უზომო იყო და არაოდეს ქნილიყო და არცა ჩუენ წესადვე ვდებდით.

და თუ რადმე იქმნას, მის ქამსა მეფემან იკითხოს, რაჟამცა უფრო ძნელად იკითხებოდეს“ (მუხლი 1).

კანონმდებელი ამ შემთხვევაში „უმაბლესის“ მიერ „უმალესის“ მოკვლის განიხილავს სწორედ. სასჯელის ღონისძიება დამნაშავესათვის მარტო „სისხლის“ გადახდევინებით არ ამოიწურება. „დიდი პატიჟი და გარდახდევინება“ დამნაშავეს მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ „სისხლის დაურევების გარდა მას შეეფარდება „მამულის წაღება“, „გარდახუეწა“ და სხვა.

ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სხნებული სამართლის წიგნის სხვა მუხლების მიხედვითაც.

„განმგებელი თუ ქვეყანამ მოკლას, ერთმან სოფელმან, გინა ერთმან პირმან ჳევმან, მსახური იყოს განმგებლად, ექუსი ათასი თეთრი დაიურვოს სისხლთა ფასად და თვითო კაცი დაიპიროს სოფლისა და სოფლისა თავადი, კდა. რაზღონიცა კაცი იყოს თავადი, თეთო გაიპაროს“... (მუხლი 2).

იმ შემთხვევაშიაც, როდესაც განმგებელს მთელი სოფელი ან ხევი კლავს სისხლის გადახდის გარდა დამნაშავეებს სახელმწიფო ხელისუფლება წმინდა საჯარო ხასიათის სასჯელებსაც უფარდებს. მაგ., „გაპარესას“ და სხვ.

სწორის მიერ სწორის ლიკვდელს ითვალისწინებს გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნის მე-6 მუხლი. კანონმდებელი ამბობს: „ხევისბერი თუ მოკლას ხევისბერმან, სამს წელიწადს მამულისაგან გაიძოს. ერისთავისა და განმგებლისაგან თავადი სახლი დაეწინდნენ, მამული სამს წლამდის სასეფოდ დაეჭიროს.

მესამეს წელიწადს ერისთავსა და განმგებლის შემოეხუეწნენ და მათ ვეზირს მოახსენონ, ვეზირთ დარბაზთ იურვონ და მამული ხელთ უბოძონ და სისხლთა ფასად ექვისი ათასი თეთრი დაეურვოს“.

ხევისბერს ხევისბერის მოკვლისათვის სასჯელის ღონისძიებად შეეფარდება სამი წლით მამულისგან გაძევება.—მამულის „სამს წლამდის სასეფოდ დაეჭირვა“ და ბოლოს „სისხლის“ გადახდაც.

ასევე სისხლის გადახდის გვერდით „მამულისაგან“ ორ წელიწადს გაძებაზე ლაპარაკობს სამართლის წიგნის მე-7 მუხლიც. მე-9 მუხლის მიხედვით ხევისბერის ვანაყოფისა და მისი გვარის კაცის მოკვლისათვის დამნაშავეს სასჯელის ღონისძიებად შეეფარდება სისხლის გადახდის გარდა ორი წლით გაძევება. „და თუ ქვეყანამ მოკლას ხევისბერი, განმგებლის სიკუდილის სწორი პატიჟი, ბეგარი და სისხლი დაეურვოს და დაედვას ბეგარი საუკუნოდ“ (მუხლი 8). პატიჟი აქ წმინდა საჯარო ხასიათის სასჯელის ღონისძიებას აღნიშნავს. როგორც ვხედავთ, დამნაშავეს ერთსადიამვე დროს შეიძლება სასჯელის ღონისძიებად შეეფარდოს როგორც „პატიჟი“, ასევე „სისხლი“—ც.

კანონმდებელი ადგენს: „ვინც ჳეროვანი კაცი მოკლას ჳეროვანმამე კაცმან, სამს წლამდის გარდახუეწოს და სისხლი ორასი დრაჰკანი დაეურვოს—ათას ორასი თეთრი და მამული სასეფოდ დაედვას“ (მუხ. 11).

ამ შემთხვევაშიც სწორის მხრივ სწორის მკვლევლობასთან გვაქვს საქმე. აქაც დანაშაულის ჩამდენის მიმართ სასჯელის ღონისძიებად სისხლის დაურევების გვერდით გვევლინება „გარდახუეწა“ გარკვეული ვადით და მამულის სასეფოდ დადება.

თუ ხევისბერი „ჰეროვანს“ მოკლავს „მამულის ნდომისათვის“, კანონმდებელი დამნაშავეს სასჯელის ღონისძიებად ერთ წელიწადს მამულისაგან გაძევებას უწესებს (მუხლი 12). იქვე ნათქვამია, რომ „თუ ეფუათერაკოს, დაიურვოს ისრე, ვით ზემოთ გაგვიჩენია“-ო, ზემოთ სასჯელის ღონისძიებად (მუხ. 11) სისხლის გადახდასთან ერთად დაწესებულია „გარდახუეწა“ და სხვ. ციხისთავის მოკვლისათვის დამნაშავეს მიმართ სასჯელის ღონისძიებად გათვალისწინებულია სამს წელიწადს მამულისაგან გაძევება, მამულის სასეფოდ დაქვერა და სამი ათას ხუთასი თეთრის სისხლის დაურვება (მუხლი 13).

სხვა ადგილას (მუხლი 14) კანონმდებელი ამბობს: „თუ უციხისთაო ხადელი კაცი მოკლას ვინმე, თუ ციხისთავადაც დგომილიყოს, დაეგდოს და აღარ იყოს ციხისთავად, ჰეროვანის სისხლი დაეურვოს და მამულისაგან განეძოს ეზომსა ხანსა, ვითა ზემოთ ჰეროვანისათვის გაგვიჩენია. იმავე წესით შემოუშვას“ (მუხ. 11).

აქაც, როგორც ვხედავთ, მარტო „სისხლის“ გადახდით არ ამოიწურება სასჯელის ღონისძიება.

სამართლის წიგნის მიხედვით, ასეთი რიგია დაწესებული: „ვისაც ღმერთი შერისხდეს და ძმამ ძმა მოკლას, იგი მკულელი ათს წელიწადს მამულიდამ გაიძოს და მამული სასეფოდ დაადგას.

და მეათეს წელიწადს ერისთავსა და განმგებელს შემოეხუწოს, მათ ვეზირთ მოახსენონ, ვეზირთ დარბაზს ჰკადრონ და ესეთი შემოუშვან, რასაც რამ გუარისა იყოს, იმ წესით სისხლი დაეურვოს და მამული ებოძოს“ (მუხლი 17).

ძმის მკვლელს კანონმდებელი ათი წლით მამულიდან აძევებს და მის მამულს „სასეფოდ“ სდებს. ათი წლის შემდეგ ვეზირთა და დარბაზის ნებართვით სისხლის გადახდის შემდეგ, მას, დამნაშავეს, შეიძლება ისევ თავისი „მამული“ ებოძოს.

საჯარო ხასიათის ისეთ სასჯელებს, როგორიცაა „მამულის სასეფოდ დაქირვა“, „ხარის სასეფოდ წართმევა“ და სხვ. იხსენიებს სამართლის წიგნის მე-19 მუხლი. „დარბაზი მამულის წაღებას“ და ციხის დაქცევას—42 მუხლი და სხვ.

გარდა ამისა, არის რიგი ისეთი დანაშაულებები, რომელთა სასჯელად კანონმდებელი მხოლოდ „სისხლის“ გადახდას იხსენიებს (მმ. 21, 23, 24, 31 და სხვ.). ამრიგად, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ შედარება ვახტანგ ბატონიშვილისა და ვახუშტის მიერ მოწოდებულ ცნობებთან, აგრეთვე სხვა მონაცემებს გათვალისწინებითაც, ნათლად წარმოგვიდგენს, რომ ქართული სისხლის სამართალში საჯარო საწყისები არ ყოფილა სუსტი. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“-ში, რომელიც ბარის საქართველოსთან შედარებით ჩამორჩენილი არაგვის ხეობისთვის განკუთვნილი პარტიკულარული კანონმდებლობაა, მთელი სიგრძე-სიგანით ვერ ჰპოვა ასახვა ქართული სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელმა საჯარო საწყისებმა.\* სამწუხაროდ, XI—XIII საუკუნეების ქართული იურიდიული ძეგლებს დიდი უმრავლესობა დაიღუპა და ჩვენამდე არ არის მოღწეული. თორემ ქართულ სისხლის სამართალში საჯარო საწყისების არსებობის ჩვენება გა-

ცილებით უფრო ადვილი იქნებოდა. ისეთი ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, როგორც ბაგრატ III-დან მოყოლებული ვიდრე დავით აღმაშენებლამდე და თამარ მეფემდე არსებობდა. ცხადია, გულისხმიობს სისხლის სამართალში საჯარო საწყისების სიძლიერეს.

იმასთან დაკავშირებით, რომ რიგი მკვლევრებისა არ იცნობდა XI—XIII სს. ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის დონეს, მათ ეგონათ, რომ ხსენებულ საუკუნეებში საქართველოს სამართლებრივი განვითარება გაცილებით ჩამორჩებოდა მისივე ლიტერატურული განვითარების დონეს.

ამ მხრივ, რ. დარესტის, ი. კარსტის და ფ. ჰოლდაკის შეხედულებანი არ შეიძლება დღეს გავიზიაროთ. დარესტი, მართალია, საკმაოდ მომზადებული მკვლევარი იყო საერთოდ, მაგრამ მისი ცოდნა საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სფეროში ვახტანგის სამართლის წიგნის ცუდი რუსული თარგმანით ამოიწურებოდა<sup>12</sup>.

ცხადია, ასეთი ცოდნის მარაგით შეუძლებელია სწორი დასკვნებს გაკეთება ქართული სამართლის ინსტიტუტების შესახებ. გარდა ამისა, ყოველ შემთხვევაში სისხლის სამართლის თვალსაზრისით ვახტანგის სამართლის წიგნი უკანსვლას წარმოადგენს XI—XII საუკუნეებში მიღწეულ სამართლებრივ დონესთან შედარებით.

ზოგიერთ არასწორ შეხედულებებს გამოთქვამს ქართული სამართლის კულტურული დონის შესახებ მკვლევარი ი. კარსტიც. რ. დარესტისაგან განსხვავებით, ი. კარსტი ასე თუ ისე ფლობდა ქართულ ენასა და იცნობდა ნაწილობრივ მაინც ქართულ ისტორიულ და იურიდიულ ძეგლებს და მის შესახებ არსებულ ლიტერატურას.

ი. კარსტის აზრით, საქართველოში დიდ მეფეთა ხანაში უნდა არსებულიყო სისხლის სამართლის კანონმდებლობის „ძლიერი ჩანასახები“ და, მართლაც, ამ დროს სისხლის სამართალი აკეთებს „სერიოზულ დაწყებით ნაბიჯებს“<sup>13</sup>. მისი აზრით, ქართული სისხლის სამართალი მისი არსებობის არც ერთ საფეხურზე არ ყოფილა აგებული საჯარო პრინციპზე ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ქართულ სამართალში ი. კარსტი ხედავს მხოლოდ საჯარო პრინციპის „ჩანასახებს“ და „დაწყებით ნაბიჯებს“. ზოგჯერ იგი ლაპარაკობს ქართულ სამართალში საჯარო საწყისების „ძლიერ ჩანასახებზე“ ან მეტად სერიოზულ „დაწყებით ნაბიჯებზე“ და სხვ.

ასევე ამცირებდა საჯარო საწყისის მნიშვნელობას ძველ ქართულ სამართალში საერთოდ სხვა საკითხებში მეტად სერიოზული და ნიჭიერი მკვლევარი—ფელქს ჰოლდაკიც. ამ უკანასკნელის აზრით, „ქართულ სამართალში კომპოზიციების სისტემის გვერდით არსებობდა მხოლოდ ზოგიერთი, ისიც ნაწილობრივად ბუნდოვანი დადგენილება, რომელშიც საჯარო საწყისების სიცოცხლე გამოისახებოდა—ო“<sup>14</sup>.

<sup>12</sup> М. Р. Дарест, Исследования по истории права, перевод с французского, СПб. 83. 122.

დარესტის მოსაზრების შესახებ იხ. ჩვენი: ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI—XIII სს., თბილისი, 1959, გვ. 6—7.

<sup>13</sup> J. Karst, Codes medievauux de la Georgie. t. II<sup>e</sup>. livre premier, 1938, გვ. 197

<sup>14</sup> F. Holdaek, დასახ. ნაშრ., გვ. 247.



XI—XII საუკუნეებში, როდესაც საქართველოში ძლიერი სამეფო ხელისუფლება არსებობდა, არა თუ კომპოზიციების სისტემა და კერძო საწყისები არ ბატონობდა, არამედ მტკიცე ხაზით ტარდებოდა საჯარო საწყისები. ხსენებულ ეპოქაში ჩვენს წინაშეა არა მარტო საჯარო საწყისების „ძლიერი ჩანასახები“ ან „მეტად სერიოზული დაწყებითი ნაბიჯები“, არამედ განვითარებული ფეოდალური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სასჯელთა სისტემა.<sup>15</sup>

„სისხლის სამართლის განვითარება მტკიცედ და დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტებასა და გაძლიერებასთან. მთავრების სუვერენიტეტის წარმოშობასა და ქალაქების აყვავებასთან ერთად მიმდინარეობს წინარე ეპოქის განმავლობაში შეწყვეტილი შეხედულების—დანაშაულისა და სასჯელის, როგორც საზოგადოებრივი მშვიდობის დარღვევის და საზოგადოებრივი სასჯელის, განმტკიცება“<sup>15</sup>. იგივე შეიძლება ითქვას სასჯელთა სისტემის მისამართთაც. საჯარო საწყისების სიძლიერეც სახელმწიფო ხელისუფლების სიძლიერესთანაა პირდაპირ დაკავშირებული. ეს გარემოება მხედველობიდან არ უნდა იქნეს გაშვებული, როდესაც ქართული სამართლის სასჯელთა სისტემაზე ვსაუბრობთ. ამასვე უკავშირდება სისხლის სამართლის შედარებითი განუვითარებლობა (სამოქალაქო სამართალთან შედარებითაც კი) გვიანი შუა-საუკუნეების საქართველოში, მაგრამ მიუხედავად ამისა, თვით გვიან შუა-საუკუნეებშიაც, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობა დაცემა მრავალრიცხოვანი მტრების შემოსევების შედეგად, დასუსტდა სახელმწიფო ხელისუფლება და მასთან ერთად საჯარო საწყისებიც, გაძლიერდა კომპოზიციების სისტემა, მაგრამ ხსენებულ ეპოქაშიც კი საჯარო საწყისებს შეიცავდნენ თვით კომპოზიციები.

პირველყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ საჯარო საწყისების სიძლიერე ამა თუ იმ სამართლის სისტემაში იმდენად საერთო კულტურის დონეზე არ არის დამოკიდებული, რამდენადაც სახელმწიფო ხელისუფლების სიძლიერეზე. გარდა ამისა, თვით ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემის პერიოდში—გვიანი შუა საუკუნეების ეპოქაშიაც კომპოზიციების სისტემის გვერდით ქართული სამართალი ცნობდა და ადგენდა საჯარო ელემენტების არსებობას. საკმარისია ვადავთავალიეროთ დასტურლამალი, ვახტანგის სამართლის წიგნი (მუხ. 154 და სხვ.), რომ ამაში დავრწმუნდეთ.

ვახტანგის სამართლის წიგნი საჯარო ხასიათის სასჯელებს ითვალისწინებს ისეთი მნიშვნელოვანი დანაშაულებისათვის, როგორიცაა სამშობლოს დალაცა, სახელმწიფო სალაროს გატეხვა და სხვ. საჯარო საწყისების საფუძველზე ისჯებოდა აგრეთვე მეფისა და კათალიკოსის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობანიც. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ ცხოვრებაში მტკიცედ ტარდებოდა უმთავრეს დანაშაულობებთან საჯარო საწყისების მიხედვით სასჯელთა შეფარდების პრაქტიკა.

არა კომპოზიციების სისტემის, არამედ საჯარო საწყისების მიხედვით დასაჯეს გიორგი ბრწყინვალემ, ვახტანგ მეექვსემ, ერეკლე მეორემ და სხვებმა მოღალატე ფეოდალები. უფრო ადრე, პოლიტიკური ძლიერების ხანაში, საჯარო საწყისები უფრო მკვიდრად და მეთოდურად ტარდებოდა. 1170 წელს გიორგი III-ის მიერ მოწვეულმა საკანონმდებლო კრებამ მანამდეც არსებული

<sup>15</sup> იხ. Франц фон Лист, Учебник уголовного права. Общая часть, М., 1903.



„სამპარავთმეძებლოს სასამართლოს“ ფუნქციები გააფართოვა. ამერიდან ამ სასამართლოს დაექვემდებარა ქურდობის საქმეთა გარდა მეკობრეთა და ავაზაკთა საქმეებიც.

ასეთ დროს და საერთოდ XI—XII საუკუნეებში შეუძლებელია, რომ სასჯელთა მთელ სისტემაში „სისხლი“ ყოფილიყო ძირითადი სასჯელი.

მზითარ გოშის სამართლის წიგნიც მიგვიჩივებს, რომ ამ დროს „სისხლი“ და წმინდა საჯარო ხასიათის სასჯელი შეიძლებოდა ერთსადამიანზე პირს, ერთდამიანზე დანაშაულისათვის შეფარდებოდა (ნაწილი მეორე, მუხლი 126). კანონმდებელი ამბობს: „სასამართლოს მხრივ სასჯელები ჩვენ ასე უნდა გვესმოდეს.“

როდესაც მკვლელობაში ან სხვა რაიმე ბოროტმოქმედებაში დამნაშავეს კანონი ორმაგ სასჯელს განუსაზღვრავს, უნდა, გადაწყდეს, შეიძლება თუ არა სისხლის ფასის გადახდამისჯილს დაუფინანსოთ მსუბუქი ეპიტიმიაც.

თუმცა სისხლის ფასის გადახდით იგულისხმება, რომ დამნაშავემ ამით თავი გამოისყიდა, მაგრამ ეპიტიმიაც საჭიროა, ვინაიდან დამნაშავესათვის ადამიანის ფასი არ არსებობს, მოსეს კანონების და საეკლესიო კანონების (გამოსვლათა XX I, 12, ლევიტ. XXIV, 17) მიხედვით, სიკვდილისათვის სიკვდილია დაწესებული. ვინაიდან, თუმცა გამოისყიდინა რა საკუთარ სისხლს, იგულისხმება, რომ მკვლეელი ამით მოკლულის სისხლს ყიდულობს, მაგრამ ეს სასჯელი ეპიტიმით უნდა იყოს დამძიმებული, ვინაიდან ფასი აუცილებლობით ინიშნება და არა მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით.

დაე, საკმარისი იყოს ეს სასჯელი იმ შემთხვევაში, თუ კი მხოლოდ დამნაშავე თავისი ბუნებით არ არის ბოროტმოქმედი. თუ კი დანაშაულის განმეორებითი ჩადენის გულეება არსებობს, მაშინ დამნაშავეს დამატებით უნდა შეეფარდოს სასჯელის ღონისძიებად ხელის მოჭრა.

თუ დამნაშავე ღარიბთაგანია. მისთვის საკმარისია მხოლოდ სხეულებრივი სასჯელი.

ჯარიმა დაწესებულია ხაზინის სასარგებლოდ და დამნაშავეს გადახდება მისი ქონებრივი მდგომარეობის შესაბამისად.

კონფისკაცია—ჯარიმის სანაცვლოდ.

სისხლის ფასი კი მოკლულის ნათესავებს ეკუთვნით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სასჯელს სასამართლო უფარდებს ისეთ დამნაშავეს, რომლის დანაშაულიც გახსნილია.

იმ დამნაშავეებმა კი, რომელთა დანაშაულიც არ არის გამომყვანებული, გამოისწორონ თავი აღსარებაზე ამ უკანასკნელის წესის მიხედვით.

ყოველნაირი სასამართლო უნდა მოხდეს საქმის გარემოებათა შესაბამისად. სასჯელი უნდა დაინიშნოს მიყენებული ზიანის შესაბამისად, ღვთის კანონის შესაბამისად, მაგალითად, ბოროტმოქმედისათვის იმ ასოს მოკვეთით, რომლითაც მან ჩაიდინა ბოროტმოქმედება. დანაშაულისა და სასჯელის შესაბამისობა დატული უნდა იქნას ყოველ საქმეში, როგორც ჩვენ იგი ვნახეთ სახარებაში, მაგალითად, მდიდრისათვის წყურვილით დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, იმისათვის რომ მან ადრე უარი თქვა ღარიბი გამოეკვება (ლუკა, XVIII, 19—31), ცეცხლის გეგნია—ბოროტის მსურველს (მათე, V, 22; XIII, 40—42,

XVIII, 8, 9, XXV, 41), მარადიული ტანჯვა—უმოწყალოთ (მათე, XXV, 46); სიბნელე—ცოდნის სინათლე მოძულეებულებს (იოანე, III, 19) და მისი მსგავსი. ჩვენი სასამართლოც მისი მსგავსი უნდა იყოს“.

როგორც ვხედავთ, მხითარ გოშის მიხედვით, რიგ შემთხვევებში სისხლის გადახდა სრულიადაც არ არის ერთადერთი სასჯელი. თუ დამნაშავეს მიმართ არსებობს გულგება, რომ იგი ბუნებით ბოროტმოქმედია და შესაძლოა დანაშაული მისი მხრივ ხელშეორედ იქნას ჩადენილი, მაშინ „სისხლის“ გადახდასთან ერთად შეიძლება მას ხელის მოკვეთაც შეეფარდოს. ამავე დროს სისხლის ფასი ეკუთვნის მოკლულის ნათესავეებს, ხაზინას კი სპეციალური ჯარიმა.

რუსულ-ბერძნული სამართლის შესწავლისათვის ერთ-ერთი ძვირფასი წყარო—იგორის ხელშეკრულება ბერძნებთან (მუხლი 6) შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ ქურდობისათვის დამნაშავე იხდის ნაქურდალის ორმაგ საფასურს და გარდა ამისა ბერძნული სამართლის მიხედვით უნდა დაისაჯოს კიდევ საჯარო ხასიათის სასჯელებით.

ბეჟა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 22-ე მუხლში ვკითხულობთ: „თუ ძმამან ძმა მოკლას,—ერთ სახლი, თუ გაუყოფელი იყოს, ორკეცი სისხლი არის, რომლისაცა გუარისა არს, ამად რომე ვით საღმთოდ ბრალია და საკანონო ასკეცი. ეგრევე ამა სოფელსა ძლითლა ინახვის კაცთაგან, ვინაცა გავლენილი იყოს (შმართებს) ქედთა გარეთ ყოფა, გარდახვეწა, ღარიბობა, არავისგან უნდა მოჰსენებად, ეპისკოპოზმან მისი წესი იცის, რაც მართებს, მან უყოს“ როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ძმის მოკვლისათვის სასჯელად აწესებს ორკეც სისხლს „რომლისაცა გუარისა არს“, იმიტომ რომ ასეთი მოქმედება „საღმრთოდ ბრალია“—ღვთის წინაშეც ცოდვაა და ასკეცი ეპიტომის ღირსია. იგი ამ ქვეყნად კაცთაგან ნახვის ღირსიც არ არის („ძლით-ლა ინახვის კაცთაგან“). ამიტომაც გარდა ორკეცი „სისხლის“ გადახდისა, მას გააძევენ. მთებში გადახვეწენ; მისი ხევდრია „ღარიბობა“, მაგრამ ესეც საკმარისი სასჯელი არაა მისთვის. კანონმდებელი მისი მისამართით შენიშნავს: „არავისგან უნდა მოხსენებად“—ო. ამ მრავალრიცხოვანი სასჯელების მოხდის შემდეგ დამნაშავეს სასულიერო სასჯელი უტდის: „ეპისკოპოზმან მისი წესი იცის, რაც მართებს, მან უყოს“—ო.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვხედავთ, რომ „სისხლის“ გადახდის გვერდით ერთდროიანვე დანაშაულისათვის დამნაშავეს სასჯელის ღონისძიებად შეეფარდება „გავლენილად“ ყოფნა, „ქედთა ყოფა“, „გარდახვეწა“, „ღარიბობა“, არავისგან მოხსენება და ამასთან საეკლესიო სასჯელიც. ხსენებული მუხლის სხვა ვარიანტით (ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის № 3683 ხელნაწერი), ზემოხსენებული სასჯელის ღონისძიებათა გარდა დაწესებულია, აგრეთვე, უმძიმესო საუბატიო სასჯელი „ლაშქართა შიგან არ შეშვება“.

ცხადია, რომ „სისხლი“ ვერ ამოწურავდა სასჯელის სამართლებრივ ცნებას და სისხლის გვერდით წმინდა სახელმწიფო ხასიათის სასჯელებიც არსებობდა.

## ჯვაროსნულ ლაშქრობასა და ანგილოსაღურ კოალიციებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ

ი. ბერაძე

(წარმოდგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)

როგორც ცნობილია, საქართველოს მეფემ რუსუდანმა და მხედართმთავარმა ივანე მხარგრძელმა რომის პაპს ჰონორიუს მესამეს (1216—1227 წწ.) წერილებით მიმართეს და აცნობეს, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად მზად იყვნენ. ეს იყო პასუხი იმ „რჩევასა და ბრძანებაზე“, რომელიც ჯერ კიდევ ლაშა გიორგიმ ქ. დამიეტაში მყოფი პაპის ელჩისაგან მიიღო. პაპი „ქრისტიანების შესაწევნელად“ მოუწოდებდა საქართველოს მეფეს. ახლა რუსუდანი აუწყებდა ჰონორიუსს, რომ მისმა ძმამ ეს საქმე ვერ განახორციელა, რადგან ვარდაიცივალა, თვითონ კი მზად იყო და წმინდა ადგილების დასახსნელად ჯარების გამოყვანას კისრულობდა!

საჭიროა გაირკვეს, თუ როდის უნდა გამოეგზავნა პაპის ლეგატი წერილი ლაშა გიორგისათვის. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავეცნოთ ჯვაროსანთა V ლაშქრობის ისტორიის ზოგიერთ მომენტს.

V ლაშქრობა 1217 წ. შემოდგომაზე დაიწყო და ეგვიპტის წინააღმდეგ წარიმართა. 1218 წლის მაისში ჯვაროსნები ქ. დამიეტას მიადგნენ. ამავე წლის შემოდგომაზე ჯვაროსნებს გამოეცხადა პაპის ლეგატი პელაგიუსი, რომელიც სარდლად აირჩიეს. 1219 წ. დამიეტა აღებულ იქნა და პელაგიუსი ყოველ ზომებს იღებდა ეგვიპტის სრული დაუფლებისათვის, მაგრამ უშედეგოდ. 1221 წლის 30 აგვისტოს ზავის საფუძველზე ჯვაროსნებმა დამიეტა დაცალეს (7 სექტემბერს).

ამრიგად, საფიქრებელია, რომ პელაგიუსს გიორგი ლაშასადმი პაპის წერილი 1219—1221 წლებში უნდა გავგზავნა

როგორც ჩანს, პაპის ლეგატისათვის უცნობი არ იყო ის ურთიერთდახმარება, რომელსაც საქართველო და ჯვაროსნები ჯერ კიდევ ადრე უწყევდნენ ერთმანეთს. მას ისიც უნდა სცოდნოდა, რომ საქართველოს თურქ-სელჩუკებთან გამუდმებული ომი ჰქონდა და მათი საბოლოო დამარცხებით დაინტერესებული იყო. არა კათოლიკური სარწმუნოება, როგორც მ. თამარაშვილი ფიქრობდა, არამედ საერთო მტერი—თურქ-სელჩუკები, იყო ის მიზეზი, რის ძალითაც საქართველო დასავლეთს უკავშირდებოდა. თურქების წარმატება ორივე მხარეს უქმნიდა საფრთხეს.

ცნობილია, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოსა და დასავლეთ ევროპას შორის სამხედრო კავშირი ვერ განხორციელდა, იგი ხვარაზმელმა და მონღოლმა დამპყრობლებმა ჩაშალეს.

დასავლეთის სახელმწიფოებისა და საქართველოს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარების ცდებს შემდეგშია ცხვენილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით XV ს. შუა წლები, როცა ოსმალთა თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და ბიზანტიის იმპერია საბოლოოდ დაინგრა (1453 წ. 29 მაისი).

ამან გამოიწვია თავისებური გამოძახილი როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთშიც. კერძოდ, საქართველოსათვის აღნიშნულ მოვლენას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. აი, რას წერდა ამის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი: „ეხლა ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენი უნდა იყოს ის საზარელი შთაბეჭდილება, რომელიც კონსტანტინეპოლის ოსმალთა მიერ დაპყრობისა და ოდესღაც უქლიერესი და უბრწყინვალესი საქრისტიანო სახელმწიფოს მოსპობის ამბავს უნდა მოეხდინა“<sup>2</sup>. იგივე ავტორი, ავითარებს რა თავის აზრს, აღნიშნავს: „ბიზანტიის მოსპობა და ოსმალთა გაბატონება კონსტანტინეპოლში საქართველოს დასავლეთისაკენ მიმავალ მთავარ და უმოკლეს გზას უკრავდა და მაჰმადიანთა ძლიერი საბრძანებლის რკალს არტყამდა“<sup>3</sup>.

სწორედ ამან განაპირობა საქართველოსა და მის მეზობელთა მონაწილეობა თურქ-ოსმანთა საწინააღმდეგო კოალიციაში.

ბიზანტიის დაცემით საქართველოს უშუალო მეზობლად იქცა ოსმანთა იმპერია, ძლიერი სახელმწიფო, რომელიც მიზნად მეზობელთა დაპყრობას ისახავდა. მეორე მხრივ, საქართველო აღმოჩნდა მოწყვეტილი დასავლეთი ევროპიდან და სავაჭრო გზა, რომელიც შავი ზღვით კონსტანტინოპოლზე ვადიოდა, საქართველოსათვის დაკარგული იყო. გარდა ამისა, საქართველომ დაკარგა ისეთი კულტურული მეზობელი, როგორიც ბიზანტია იყო. ამ ორ ქვეყანას შორის ახლო ურთიერთობა არსებობდა. თურქთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებით ჩაყვდა ძველი ელიზორი კულტურა. საქართველოს ამის შედეგად, თითქმის, არ ჰქონია საშუალება დასავლეთ ევროპასთან პირდაპირი გზით დაკავშირებისა.

ზემოთ დახასიათებულმა მდგომარეობამ გამოიწვია ის რეაქცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთშიც. უწინარეს ყოვლისა, ამ მეტად მნიშვნელოვანმა ისტორიულმა ნოვლენამ გამოხმაურება პპოვა რომის პაპ პიუს მეორის (1458—1464 წწ.) ღონისძიებებში.

პიუს მეორე მიუხედავად თავის წინამორბედთა გეგმების დამსხვრევისა, შეუდგა ჯვაროსანთა ლაშქრობის ფართო და რთული გეგმის შემუშავებას. აღსანიშნავია, რომ მას სწორად გაუგია საქმის ვითარება და განუზრახავს მთელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ამოძრავება ოსმანთა წინააღმდეგ. მართლაც, კონსტანტინოპოლის დასაბრუნებლად საჭირო იყო თურქ-ოსმანთა ძლიერების მოსპობა არა მარტო ევროპაში, არამედ აზიაშიც. ეს კი შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ მთელი ქრისტიანული სამყაროს ამხედრებით თურქთა წინააღმდეგ. ამით ოსმალეთის იმპერიას მოუხდებოდა ბრძოლა ორ ფრონტზე, რაც უდავოდ ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიდა მის ზოწინააღმდეგეებს.

საქმის ორგანიზაციისათვის პაპს სპეციალური ლეგატი ლუი ბოლონელი გაუგზავნია მახლობელი აღმოსავლეთში. საქმე იმაშია, რომ ლუი ბოლონელი

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, თბილისი, 1948, გვ. 65.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 56.

ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში პიუს II-ზე ადრე, სხვისი დავალებით იმყოფებოდა. ეს ნათლად ჩანს ლუი ბოლონელისთვის პაპი პიუს II-ის მიწერილი წერილიდან<sup>4</sup>, სადაც ჩამოთვლილია მისი დამსახურება კათოლიკური ეკლესიის წინაშე. მას დიდხანს უცხოვრია იერუსალიმში და ოსმანთა ბევრი საიდუმლოება შეუტყვიან<sup>5</sup>. ალბათ, ამით აიხსნება ის, რომ ენეა სილვიო პიკოლომინი არჩეულ იქნა თუ არა პაპად, მას მაშინვე განუახლებია უფლებანი და პრივილეგიები ბოლონელისა და განსაკუთრებული დავალებით გამოუგზავნია საქართველოში. ეს მოხდა ახალი პაპის არჩევის პირველ წელს, ე. ი. 1458 წელს. ლუი ბოლონელს, როგორც მისი მოგზაურობიდან ჩანს, დავალებული ჰქონდა აღმოსავლეთში თურქთა საწინააღმდეგო კოალიციის შექმნა. იგი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ სომხეთსა და სპარსეთში, სადაც ამ დროს უზუნ-ჰასანი იყო გაბატონებული.

პაპის ლეგატს საქართველოში მეტად მძიმე სურათი დახვედრია—„გიორგი მეფე, ყვარყვარე ათაბაგი და იმერეთის მეფე ბაგრატ ერთმანეთის დაღუპვის ცდლობდნენ, ერთმანეთის შურით თავიანთ მოძმეთა სისხლს ღვრიდნენ განუწყვეტლად“<sup>6</sup>. ასეთ პირობებში ჩამოვიდა პაპის ლეგატი საქართველოში. ის უდავოდ შეეცდებოდა შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას, რათა გაერთიანებული ძალით გაეკლავებოდნენ საერთო მტერს—ოსმალეთს, რასაც კიდევ მიაღწია ლუი ბოლონელმა.

პაპი პიუს II ამ საქმიანობით არ დაკმაყოფილდა. როგორც აღვნიშნეთ, მას სურდა ოსმანთა წინააღმდეგ ომში არა მარტო აღმოსავლეთი, არამედ დასავლეთიც ჩაება. პაპი შეუდგა ჯვაროსანთა ახალი ლაშქრობის მოწყობას. ამ მიზნით მან 1459 წელს მოიწვია დასავლეთ ევროპის ხელმძღვანელთა კონგრესი მანტუაში, რაც უშედეგოდ დამთავრდა. მონაწილენი ლაშქრობაზე დათანხმდნენ, მაგრამ პრაქტიკულად არავითარი ღონისძიება არ მიიღეს. ასე რომ, დასავლეთ ევროპამ XV საუკუნის მე-2 ნახევრის დასაწყისში ვერავითარი რეალური ძალა ვერ გამოიხატა ჯვაროსანთა ლაშქრობის მოსაწყობად ოსმანთა წინააღმდეგ და ბიზანტია საბოლოოდ დარჩა თურქებს.

ისტორიის მოვლენათა ამგვარი განვითარება არ აწყობდა არა მარტო დასავლეთს, არამედ მახლობელ აღმოსავლეთსაც, განსაკუთრებით საქართველოს, რომელიც ინიციატორი ვახდა ოსმანთა წინააღმდეგ მიმართული ახალი კოალიციისა. ამას ადასტურებს ორი წერილი, დათარიღებული 1459 წლის 1 ნოემბრით, დაწერილი გიორგი მეფისა და ყვარყვარე ათაბაგის მიერ და გაგზავნილი ბურგუნდიის დუკას სახელზე.

ამ შეტად კრიტიკულ მომენტში საქართველოს მოკავშირედ გამოდიოდა თამარის ინიციატივით ჩამოყალიბებული ტრაპიზონის იმპერია. თორმეტწლიანი შეფოხა იოანე IV (1446—1458 წწ.)—ესაა ტრაპიზონის იმპერიის დასუსტება-დაცემის პერიოდი.

იოანე IV-ის მემკვიდრე დავითი ფიქრობდა, რომ ოსმალთა ძალადობისაგან თავის ხსნა დაინტერესებული ქვეყნების გაერთიანებული გამოსვლით შეიძლებოდა. დავით მეფემაც წერილით მიმართა ბურგუნდიის დუკას.

საქიროა გაირკვეს, თუ რატომ მიინც და მიინც ბურგუნდიის დუკას მიმართავდნენ მეფე-მთავრები ანტიოსმალური კოალიციის მოსაწყობად.

4 მ. თამარაშვილი, იქვე, გვ. 51—52.

5 იქვე, გვ. 56.

6 იქვე.



ბურგუნდიის საჰერცოგოს, როგორც საფრანგეთის ერთ-ერთი პროვინციის გაძლიერება XIV ს. მიწურულიდან დაიწყო, როცა საფრანგეთის მეფემ კარლოს V-მ იგი თავის ძმას—ფილიპე „მამაცს“ გადასცა. ამავე დროიდან ეს ჰერცოგი საფრანგეთის ტახტის პრეტენდენტად გამოდიოდა. იგი დაუპირისპირდა თავის ძმისშვილს—ლუი ორლენელს; ამას კი შედეგად მოჰყვა ხანგრძლივი ბრძოლა არმანიაკებსა და ბურგუნდიელებს შორის.

XIV ს. მიწურულსა და XV ს. დასაწყისში ბურგუნდიის ჰერცოგი საფრანგეთისაგან გამოყოფასა და დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდა. 1415 წ., როცა ასწლიანი ომი განახლდა, ბურგუნდია ინგლისთან ერთად იბრძოდა საფრანგეთის წინააღმდეგ. 1418 წ. ინგლისელები პარიზშიაც გაბატონდნენ.

1420 წ. დადებული ზავის თანახმად, მართალია, კარლოს VI საფრანგეთის მეფედ აღიარეს, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ტახტი ინგლისის მეფე ჰენრიხ V-ის მემკვიდრეს უნდა დაეკავებინა. ასეთ ვითარებაში ბურგუნდიის ახალი ჰერცოგი ფილიპე კეთილი (1419—1459) კვლავ ინგლისის მხარეზე იყო.

მომდევნო პერიოდში ბურგუნდიის საჰერცოგოს მნიშვნელობა ევროპაში კიდევ უფრო გაიზარდა. 1435 წ. საფრანგეთის მეფემ კარლოს მეშვიდემ ფილიპე „კეთილის“ დამოუკიდებლობა აღიარა. მალე ამ უკანასკნელმა ნიდერლანდების მნიშვნელოვანი პროვინციებიც შეიერთა. ბურგუნდია ევროპის ძლიერ სახელმწიფოდ იქცა და მას უკვე ადვილად შეეძლო დაქუცმაცებული გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობის დაძლევა. სწორედ ამ მომენტში დაიპყრეს ოსმალეებმა კონსტანტინოპოლი, რამაც მთელი ევროპა შეაშფოთა.

ამრიგად, ევროპის დიდ სახელმწიფოთა გულისყური „აღმოსავლეთის საიკითხმა“ მოიცვა. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანები ურწმუნოთა წინააღმდეგ გაერთიანებას აპირებდნენ.

კონსტანტინოპოლის აღება ოსმალთა მიერ და ასწლიანი ომის (1337—1453 წწ.) დასრულება ერთმანეთს დაემთხვა. თითქოს ევროპას ხელები გაეხსნა ახალი ასპარეზობისათვის—ოსმალთა წინააღმდეგ საომრად.

ევროპა ოსმალთა აგრესიის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ევროპაზე უფრო მეტად ოსმალეთი საქართველოსა და მის მეზობელ სახელმწიფოებს ემუქრებოდა—ტრაპიზონის იმპერია, სპარსეთი, მცირე სომხეთი და სხვ. თავდასაცავად ემზადებოდნენ.

აღნიშნულ ვითარებაში ევროპის პირველი ჰერცოგი ფილიპე ბურგუნდიელი ანტიოსმალური კოალიციის თაოსნობას ჩემულობდა. მანვე მიიღო დადგენილება თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ. სწორედ ამით აიხსნება, რომ საქართველოს მეფე-მთავრები ფილიპე „კეთილს“ დაუკავშირდნენ. მათი წერილები მოჰყავს ცნობილ მ. თამარაშვილს. იგივე ავტორის მიერ მოცემულია მოკავშირეთა ვინაობა, მითითებულია ამა თუ იმ ქვეყნის მიერ სალაშქროდ გამოზადებული ჯარების რაოდენობა და სხვ.<sup>7</sup> კერძოდ, საბედნიანოს ჯარის რაოდენობა მითითებულია ტრაპიზონის იმპერატორ დავითის ეპისტოლეში ფილიპე III-სადმი, რომელიც მოცემულია მილერის და ფინლაის ხაშრომში<sup>8</sup>.

ზემოხსენებულ ავტორებზე დაყრდნობით თ. უსპენსკიც გვაწვდის ცნობებს

<sup>7</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 57—60.

<sup>8</sup> W. Miller, Trebizond, The last Greek Empire, London, 1926, 26, Finlay, The History of Greece, 481.



მოკავშირეთა ჯარების რაოდენობის შესახებ<sup>9</sup>. ტ. ევანგელი აქვეყნებს ტრაპეზუნდის მეთაურის ფილიპე მესამის მიხედვით, რომელიც დათარიღებულია 1459 წ. 22 აპრილით<sup>10</sup>. უსპენსკი შეცდომით მიუთითებს ამ წერილის თარიღს (29 აპრ.).

მოგვყავს ამ წერილის ქართული თარგმანი (ბერძნულიდან):

ბ უ რ გ უ ნ დ ი ის ყ ო ვ ლ ა დ ღ ი რ ს ე უ ლ ო ჰ ე რ ც ო გ ო !

...უბირველეს ყოვლისა მე მზად ვარ (როგორც ვთქვი) 30 ტრიერთ და 20.000 კაცით. სპარსთა მეფე გიორგი მზადაა 60.000 კაცით, ხოლო საქართველოს მეფე ყვარყვარე მზად არის ოცი ათასი ცხენოსნით, ბერდიანი (იგივე დადიანი) კი მთავარი მინგრელიისა თავის ძესთან ერთად შემძლეა 60.000 კაცის (გამოყვანისა), ეს მისთვის სრულიადაც არაა ძნელი, ხოლო რაბიას თავის ძმასთან ერთად და თავის ბარონებთან ერთად ძალუძს (გამოიყვანოს) 30.000 კაცი გეტებისა და არაწილის ტომი პირობას იძლევა გამოილაშქროს სპარსთა მეფის გიორგის წინამძღოლობით. ხოლო მცირე არმენიის გამგებელი დარდევესი კი (მზადაა) 10.000 კაცით. ასაბეესი, ჩვენ სისხლთაგანი (როგორც ვთქვით) ჩვენ— ურწმუნოთ მოგვცემს გასასვლელს და პირადად გამოვა 40.000 კაცით. ასევე ჩვენთანვეა ორი არა სანდო მოკავშირე—კურიაჩხები (გამგებლები), კარამანოსი და სინოპის მბრძანებელი, რომლებიც მუდამ იმის ძიებაში არიან, რომ როგორმე შური იძიონ თურქზე კონსტანტინეპოლისათვის და დაიბრუნონ მათი მხარეები. შენს სამფლობელოზე აღარას გწერ, რაკი წარმოვიდგენ შენ მიქაელ დეალგეორგიისს (გიორგის-ძეს), ჩემს თავადსა და ელჩს, რომელსაც შენს წინაშე ვაგზავნი და რომელსაც უნდა უბოძო სრული ნდობა ამ საქმის გამო და რომელიც სიტყვიერად გადმოგვცემს შენ მთელ ჩემ აზრს და გადაწყვეტილებას. სხვაფერე გთხოვ, ნუ დაუშვებ, რომ ამოდ ჩაიაროს ამ ჩვენმა წმინდა საზღურუნავმა და წამოწყებამ; ვინაიდან ვფიქრობთ, რომ ღვთისგანაა იგი წარმოდგარი. იმ დროიდან საიდანაც მეგობრობა შეეკარ შენ ხალხთან, ვინც ამ მხარეში გამოჩნდა, შენ ჩემთვის მუდამ ცნობილი ხარ: მე კეთილ განწყობილი ვიყავ შენი პატივისა და ღირსების წინაშე და მომავალშიაც ვიქნები.

გწყალობდეს ქრისტე.

გაიცა ტრაპეზუნტში, ჩვენს სამკვიდრებელ სასახლეში, უფლისა წელსა 1459 წელს, აპრილის დღესა 22-ს<sup>11</sup>.

ჩვენთვის მეტად საინტერესო საკითხს წარმოადგენს აღმოსავლეთში ჩამოყალიბებული და გაფორმებული კოალიციის მებრძოლთა რაოდენობა. მისი გამოთვლა მოგვცემდა არა მარტო სურათს აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობისა, არამედ იმ რეალური შესაძლებლობისა, რომელიც გააჩნდათ მოკავშირეებს თურქ-ოსმანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხადია, ამ მხრივ არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს გიორგი მეფისა და ყვარყვარეს წერილები, რომელთა მიხედვით ქართველთა მეფეს გამოყავდა 40000, ათაბაგ ყვარყვარეს—20000 ცხენოსანი, ტრაპიზონის მეფეს 20000 მებრძოლი 30 გემით. უზუნ-ჰასანს—20000, ხოლო მცირე არმენიის (სომხეთის) გამგებელი დარდევესი, საბედიანო-

<sup>9</sup> Ф. И. Успенский, Очерки из истории Трапезундской империи, Ленинград, 1929, გვ. 135.

<sup>10</sup> Τρουφύας: Εβδόμητος Ιστορία των ποσειτων Τραπεζυ, თბესა, 1898, გვ. 199. 50.

<sup>11</sup> ტ რ ი ფ ო ნ ე ვ ა ნ გ ე ლ დ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 149—150.





სა და აფხაზეთის მთავრები ერთად გამოიყვანდნენ 20000, რაც სულ 120000 მეომარს შეადგენდა. ამის შესახებ ელჩებმა რომის პაპ პიუს II-ს აცნობეს.

ტრაპიზონის ხელმწიფის წერილში მოკავშირეთა ჯარის სულ სხვა რაოდენობაა ნაჩვენები. საქართველოს მეფეს, თანახმად ამ ცნობისა, ნაცვლად 40000-სა გამოყავს 60000, უზუნ-პასანს 50000 მეომარი (ნაცვლად 20000-სა); დავითისა და ყვარყვარეს ჯარის რაოდენობა უცვლელი რჩება (20000 თითოეული მხრიდან). ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: ბენდიანი (იგივე ბენდიანი) შემძლეა 60000 კაცის გამოყვანისა, „ხოლო რაბიას თავის ძმასთან“ და სხვებთან ერთად ძალუძს გამოიყვანოს 30000 კაცი<sup>12</sup>.

დავითის ეს წერილი და ჯარის რაოდენობა გარჩეული აქვს აკად. კ. კეკელიძეს („ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. III, გვ. 93), რომელსაც ჯარის საერთო რაოდენობა ვადაჭარბებულად მიაჩნია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, კერძოდ, მაშინდელი სპარსეთის მფლობელ უზუნ-პასანისათვის 50000 მეომარს გამოყვანა ძნელი არ უნდა ყოფილიყო; არც ისაა გასაკვირი, რომ მცირე სომხეთის მფლობელს, ამ წერილის თანახმად, 10 000 მეომარი გამოყავდა.

1470—1475 წლებში საბედიანოს საკმაოდ ფართოდ ტერიტორია ეჭირა. მისი საზღვრები სამხრეთით ბათუმს წვდებოდა, ჩრდილოეთით კი კავკასიონის ქედამდის აღწევდა. გარდა ამისა, მას გურიაც სჭერია<sup>13</sup>. ცხადია, ეს არ შეესაბამება XV საუკუნის ორმოცდაათიანი წლების სინამდვილეს, როცა საბედიანოს შედარებით ნაკლები ტერიტორია ეჭირა და მას, მოსახლეობაც შედარებით ნაკლები ყავდა. აქ ერთი საინტერესო საკითხი იბადება. შედიოდა თუ არა ამ დროს გურია საბედიანოში? გურიის საკითხს სპეციალურად იხილავს დოკ. ო. სოსელია შრომაში „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან“<sup>14</sup>. აქ ზუსტად არ ჩანს, თუ როდის გამოეყო გურია საბედიანოს, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ შამანდავლას სამეგრელოში ბატონობის დროს (1470—1474 წწ.) მას, მართლაც, გურიაც სჭერია<sup>15</sup>.

აღმოსავლეთში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის პერიოდში, კერძოდ, საბედიანო მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებდა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მას ჯარის დიდი რაოდენობით გამოყვანა შეეძლო, ზემოდ დამოწმებული წერილის ავტორი—დავით მეფე აღნიშნავს: „ეს მისთვის სრულიადაც არაა ძნელი“. აქედან გამომდინარე, ტრაპიზონის მეფის წერილში აღნიშნული 60 000 მეომარი რეალობას მოკლებული არ უნდა იყოს. რაც შეეხება მთავარ რაბიას (აფხაზეთის?) ჯარის რაოდენობას, ეს შეიძლება, მართლაც, საეჭვო იყოს.

კოალიციაში შემავალ მოკავშირეთა ძალები ჩვენ შემდეგნაირად წარმოგვიდგება: საქართველოს მეფე გიორგის გამოყავდა 60 000 მეომარი, ბედიანს—60000, აფხაზეთს—30 000, უზუნ-პასანს—50 000 და მცირე სომხეთის მბრძანებელს—10 000, რაც საერთო ჯამში 210 000 მეომარს იძლევა. რომის პაპისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში აღნიშნულ მოკავშირეთა ჯარის რაოდენ-

12 ტ რ ი ფ ო ნ ე ვ ა ნ გ ე ლ დ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 149—150.

13 ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, თბილისი, 1948, გვ. 106.

14 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1954, ნაკ. XXX.

15 ი. ვ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 108.

ნობა გაცილებით ნაკლებია. ვფიქრობთ, ოფიციალურ დოკუმენტში ჯარისკაცთა რაოდენობის მცირე რაოდენობის ჩვენება დიპლომატიური ხერხი შეიძლება ყოფილიყო, რათა დასავლეთის სახელმწიფოებს უფრო მეტი აქტივობა გამოეჩინათ.

გაერთიანებული ძალით თურქთა წინააღმდეგ ჯვაროსანთა ლაშქრობის მოწყობის შესახებ აღმოსავლეთის წარმომადგენლებმა პაპს საქმოდ ფართო გეგმა წარუდგინეს და მისთვის საჭირო რეალური ძალაც დაუსახელეს 120 000 მეომრის რაოდენობით. საჭირო იყო დასავლეთიდანაც ასეთივე ძალის მებრძოლთა გამოყვანა და საერთო ფრონტით თურქთა წინააღმდეგ ამოქმედება, რაც უდაოდ სამიწროებაში ჩაადგებდა თურქების მონაპოვარს.

ელჩთა მოგზაურობა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ეს იყო დიპლომატიური მოლაპარაკება აღნიშნული ქვეყნების მმართველ წრეებთან, მაგრამ, როგორც ჩანს, ევროპის მეფეებსა და მთავრებს ამ დროს ამისათვის არ ეცალათ. ევროპის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ დროს ადგილი ჰქონდა დიდ მნიშვნელოვან ძვრებს. „დასავლეთ ევროპის ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ინაცვლებდა“<sup>16</sup>.

პაპი პიუს II-თან მოლაპარაკებამ სასურველ შედეგს, როგორც ჩანს ვერ მიაღწია. პაპის რჩევითა და ფინანსური დახმარებით დესპანები საფრანგეთს მიემგზავრებიან. 1461 წ. ელჩები წარუდგენენ საფრანგეთის მეფე კარლოს VII-ს. ობიექტური მიზეზების გამო ბრძოლა წარმოებდა კარლოს VII-სა და მის შვილ ლუის (მომავალ მეფეს) შორის. კარლოსს დახმარების გაწევა არ შეეძლო. ეს უკანასკნელი იმავე წელს გარდაიცვალა და სამეფო ტახტზე ავიდა შემდეგში საქმოდ ცნობილი მეფე ლუი XI. საფრანგეთის ახალი მეფის კურთხევას ესწრებოდნენ საქართველოს პატრიარქი, მცირე სომხეთისა და ტრაპიზონის ელჩები.

ახალი მეფე ამ დროს ნაკლებად იყო დანტერესებული სავარგო საქმეებით. მისი პოლიტიკის არსი საფრანგეთის გაერთიანებაში მდგომარეობდა. ამ საქმეში მის ხელშეშლელ ძალას წარმოადგენდა ბურგუნდია, რომელსაც განაგებდა ჩვენთვის უკვე ცნობილი ევროპის პირველი ჰერცოგი, ფილიპე III, რომელთანაც ერთ დროს მამისაგან გამოქცეული ლუი იმალეობდა.

აღნიშნულ პირობებში ელჩებმა ლუისაგან დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღეს და ბურგუნდიაში, ფილიპე III-თან გაემგზავრნენ. ამ უკვირგვინო მეფეს აზიელი ელჩებისათვის უკვე აღარ ეცალა. იგი ახლაც მკვეთრად დაუპირისპირდა საფრანგეთის მეფეს. ასე ჩაიშალა დასავლეთისა და აღმოსავლეთის „ჯვაროსნული ლაშქრობა“. კონსტანტინოპოლი თურქ-ოსმალებს დარჩათ.

უნდა ვიფიქროთ, თურქებისათვის უცნობი არ იყო კოალიციის წევრთა საქმიანობა და მისი შედეგები. მუჰამედ II გაითვალისწინა ყოველივე ეს და 1460 წელს დაიწყო ბრძოლა ჯერ უზუნ-პასანთან, შემდეგ ტრაპიზონის მეფესთან. რამდენიმე შეტაკების შემდეგ უზუნ-პასანსა და მუჰამედს შორის ზავი დაიდო. 1461 წლის შემოდგომაზე თურქებმა მთელი თავიანთი სახმელეთო და საზ-

<sup>16</sup> Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феод. отнош. в Грузии, (XIII—XVI), თბილისი, 1938, გვ. 27.

დგომი ძალებით ტრაპიზონს შეუტეეს ამას თან დაერთო შეთქმულება ქვეყნის შაჰნით<sup>17</sup>, რომელსაც ხელმძღვანელობდა ტრაპიზონის ხაზინდარი გიორგი ამირუხი. თურქებმა აამოქმედეს 100 ხომალდი დაახლოებით 150000 მეზობლით. ტრაპიზონის იმპერია გადამწყვეტი ბრძოლისათვის მომზადებული არ აღმოჩნდა. ვერც საქართველომ, ვერც უზუნ-ჰასანმა და კოალიციის სხვა წევრებმა მას დახმარება ვერ აღმოუჩინეს. ასე გადაწყდა ტრაპიზონის საკითხი. 1461 წლის 26 ოქტომბერს ტრაპიზონი თურქებმა დაიკავეს. მეფე თავისი ოჯახით, ქალაქის სიმდიდრე დამპყრობლებს ჩაუჭარდათ ხელთ.

ასე დაიშალა ის კოალიცია, რომელიც ძალზე შორს მიმავალ მიზნებს ისახავდა. თურქთა წინააღმდეგ კოალიციის შედგენის ცდებს შემდგომშიაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოყოლია. „აღმოსავლეთის საკითხი“ გადაუწყვეტელი დარჩა.

<sup>17</sup> Ф. И. Успенский, Очерки из истории Трапезундской империи. Ленинград, 88. 929.

## თუშეთის ისტორიიდან

(XVII—XVIII სს.)

### 3. ლაბაზიძე

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)

მთათუშეთი მდებარეობს შუაულ კავკასიონის ქედზე და წარმოადგენს ამიერ და იმიერ კავკასიონის გამყოფს. იგი მდებარეობს  $41^{\circ}-51',5$  და  $42^{\circ}-41',5$  ჩრდილოეთ მერიდიანზე და  $62^{\circ}-30'$  და  $63^{\circ}-30'$  აღმოსავლეთ პარალელზე. მთათუშეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება დაღესტანი, ჩრდილოეთიდან—ჩაჩნეთ-ინგუშეთი<sup>1</sup>, დასავლეთიდან—ფშავე-ხევსურეთი, ხოლო სამხრეთით ებჯინება ცხეთ-ინგუშეთის შესახებ განსაკუთრებით საყურადღებო და საინტერესო ცნობებს გვაწოდის ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: „...ხოლო თუშეთი არს ლოპოტისა, თორღისა და პანკისის აღმოსავლეთით, კავკასიის მთის ჩრდილოთ კერძოთა შინა, და არს ორს კვეად და მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთის შუადამ აღმოსავლეთს-სამკრეთს შორის, და უდის შორის მდინარე თვისი, და მიერთვის სონა მდინარეს რომელიც განვლის ჩაჩანს და მიერთვის ბორღანს თერგის მდინარეს“<sup>1</sup>.

ვახუშტი ბატონიშვილს მიერ მთათუშეთის გეოგრაფიული მდებარეობა დახასიათებულია სწორად, მაგრამ მისი გამოთქმები ზოგ შემთხვევაში არა-ზუსტია. მაგალითად, როცა ავტორი წერს „...დასავლეთის შუადამ აღმოსავლეთს-სამკრეთს შორის, და უდის შორის მდინარე თვისი, და მიერთვის სონა მდინარეს, რომელიც განვლის ჩაჩანს და მიერთვის ბორღანს თერგის მდინარეს“<sup>2</sup>, ცნობა არ უნდა იყოს ზუსტი, რადგან მთათუშეთის ყველა ზეობა და მდინარე მიიმართება დასავლეთიდან აღმოსავლეთით, პირიქითისა და ჩაღმის ალაზნების შეერთებით იქმნება მთათუშეთის ალაზანი, ჩაღმის ტერიტორიიდან თუშეთის ალაზანი გაივლის დაღესტნის ტერიტორიას, იქ კი მდინარე იცვლის სახელს და ანდიის ყოისუს სახელწოდებით კასპიის ზღვას უერთდება.

თუშეთის მდებარეობის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა, აგრეთვე, მე-18 საუკუნის რუსეთის საიმპერიო აკადემიის აკადემიკოსი ი. ა. გიულდენშტედტი, რომელმაც თავის წიგნში—„მოგზაურობა საქართველოში“ თუშების შესახებ მოგვცა საინტერესო ცნობა: „ზემო ალაზნის მარცხენა მხარეს, მდინარე სტორზე ზემოთ და სუნჯის დოკონ (დიდ)-არღუნზე, მთაში, არის თუშების მიერ დასახლებული მხარე თუში (თუშეთი), მთავარი ქედის ძირიდან  $1\frac{1}{2}$  დღის სავალზე, კახეთის მხარეში. ქიზიყში, სტორზე, ზემოთ. ამას უჭირავს სამხრეთის ფიქალიანი მთის მწვერვალები, წყაროებთან და მდინარეებთან.

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941,

რომლებიც ნაწილობრივ სამხრეთით ალაზნისაკენ მიედინებიან, ნაწილობრივ ჩრდილოეთით—არღუნისაკენ, ან აქსაისკენ; ამიტომ აქ ხშირია ჭეირანი<sup>3</sup>.

ტერიტორიული მდებარეობა და გეოგრაფიული გარემო თავისებურ დღას ვამდა თუში ტომის ეკონომიურ განვითარებას. მართალია, მათთვის სამხრეთიდან დაკავშირებული იყო ერთმორწმუნე და თანამოძმე კახეთთან, მაგრამ მასთან ინტენსიურ ურთიერთობას ხელს უშლიდა ტერიტორიული სიშორე და უგზოობა. კავკასიონის მთებზე თუშეთისაკენ გადასასვლელი ბილიკებით მოგზაურობა მხოლოდ ზაფხულში თუ შეიძლებოდა. სატრანსპორტო საშუალებად კი მხოლოდ ცხენი და სახედარი გამოიყენებოდა. ასეთ პირობებში XVII—XVIII სს. უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ გამუდმებული ბრძოლებით ილაგაწყვეტილი კახეთი, რა თქმა უნდა, ვერ გაუწევდა სათანადო დახმარებას მათთვის მცხოვრებთ კულტურული და ეკონომიური განვითარების საქმეში.

საქართველოს მთიანეთში მიმოსვლის საშუალებათა შესახებ, მართალია, გვიან, მაგრამ შედარებით კარგი დახასიათება მოგვცა თიანეთის მაზრის სახაზინო გლეხთა ერთ-ერთმა მკვლევარმა მ. ვ. მაჩაბელმა: „Здесь передвижение возможно только верхом и пешком. Зимой сообщение между обеими частями уезды прекращается во все“<sup>4</sup>.

მათთვის მისახლეობა ძირითადად განლაგებული იყო მდინარეთა ხეობებზე და შესაბამისად ქმნიდა თუშეთის საზოგადოებებს, როგორც უწოდებდნენ ცალკეულ ხეობათა მცხოვრებთ მეცხრამეტე საუკუნის მკვლევარნი (ა. ზისერმანი, დუბროვინი, ი. ცისკარიშვილი, რ. ერისთავი, ა. ხახანაშვილი და სხვები). ეს საზოგადოებები: წოვათის, პირიქითის, გომეწარისა და ჩაღმისა. წოვათა დასახლებული იყო წოვა თუშებით (*resp.* ბაცებებით)—ნახური წარმოშობის ტომით, ხოლო დანარჩენი სამი საზოგადოება (ჩაღმის, გომეწარისა და პირიქითის) ქართული ტომია. მათთვის ამ ტომთა ცხოვრებას აქვს შორეული წარსული.

\* \* \*

მათთვის თუში ტომის თავდაპირველი დასახლების დამახასიათებელი ნიშნები მოსპობილია და არა გვაქვს საშუალება მის წარსულს დრმად ჩავწვდეთ, მაგრამ დღემდე შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები —ციხესახლები და უძველესი აკლამა-სამარხები აშკარად მეტყველებენ, რომ თუშებს მათთვის უძველესი პერიოდიდან უნდა ეცხოვრათ და ეწარმოებინათ შეუპოვარი ბრძოლები შემოსეული მტრების წინააღმდეგ. თუშეთის მცხოვრებთა თავდაცვითი და სამეურნეო ხასიათის ნაგებობათა შესწავლა გვარწმუნებს, რომ მათთვის უძველესი პერიოდიდანვე მშენებლობის ტექნიკა უაღრესად განვითარებული უნდა ყოფილიყო. ადამიანის უბრალო ხელით მიუვალ

<sup>3</sup> ვიულენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი 1, გერმანული ტექსტი ქართულ თარგმანით გამოცემა და გამოკვლევა დაურთო გ. ველაშვილმა, თბილისი, 1962, გვ. 263.

<sup>4</sup> М. В. Ма ча б е л и, Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. V, Тифлис, 1887, гв. 325.

მთის მწვერვალებზე მშრალი წყობით სიბი ქვისაგან ნაშენ ციხე-სიმაგრეებს ისტორიულ ჟამთა სიავისათვის გაუძლია და დღემდე შეუნახავს თავისი სახე. აღნიშნულზე თავის ყურადღებას აჩერებს მ. ვ. მაჩაბელიც, როდესაც ახასიათებს თიანეთის მახრის თუშ-ფშავ-ხევსურეთის ყოფისა და ცხოვრების პირობებს. იგი წერს:

„Дома лепятся друг возле друга, как гнезда ласточек... Кладка стен, как башен, так и домов, совершенно сухая из шиферных черных плит. Удивительно, как такая кладка сохраняется несколько столетий“<sup>5</sup>.

მთათუშეთში არსებული ნაგებობანი თავისი ხასიათით იყოფა სამ ჯგუფად: თავდაცვითი, სამეურნეო და რელიგიური მნიშვნელობის ნაგებობანი.

მთათუშეთის ხუთ-ექვს სართულიანი ოთხკუთხედად ნაგები ციხე-სიმაგრეები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: შეწვერილი ანუ გუმბათიანი და მოკვეთილი ანუ ბანიანი. შეწვერილი (გუმბათიანი) ციხე-სიმაგრეები გვხვდება პირიქითის ხეობებში, ხოლო მოკვეთილი (ბანიანი)—ჩაღმის, გომეწრისა და წოვათის ხეობებში. მთათუშეთში ციხეები, რომლებსაც აშენებდნენ ცალკეული თემები, საგვარეულოები და ცალკეული ოჯახები, ერთი-მეორეს უთვალთვალვებდნენ და ნახევარ საათში მთელი მთათუშეთისათვის ცნობილი ხდებოდა, თუ საიდან შემოესია მტერი და სად იყო საჭირო დახმარება.

მთათუშეთის ციხე-სიმაგრეები თავისი სტრუქტურით იძლევა შემდეგ სურათს. პირველი სართული უკარო და უსარკალო, გამოყენებული იყო ტყვეების დასამწყვდედად; აქ ჩადიოდნენ მეორე სართულიდან ჩასადგმელი კიბით. მეორე სართულს აქვს კარები და კიბე. ასვლისთანავე კიბეს შეიტანდნენ შიგნით და ხის ან რკინის კარებს ჩაკეტავდნენ. მეორე სართული უმთავრესად თაღიანი და ერდო აქვს დატანებული მესამე სართულზე ასასვლელად. მესამე სართულზე ოთხკუთხა მოყვანილობის ოთახია, რომელსაც დატანებული აქვს სინათლის სარკმელი, მას იყენებდნენ ბავშვებისა და ქალების სადგომად. მესამე სართულიდან მეოთხე სართულზე გაჭრილია ჭერი და მისადგმელი კიბით შეიძლება ასვლა; აქ მოწყობილია რამდენიმე სათოფე და სათვალთვალო-საჭვრეტი. მეხუთე სართულსაც ოთხივე მხრიდან ჩარდახები ჰქონდა და საბრძოლველად იყო გამოყენებული. ბანიანი ციხეების ბანზე აგროვებდნენ დიდ ქვებს და სპეციალურად შერჩეული ადგილებიდან უშენდნენ მტერს. მთათუშეთის ზოგიერთი ციხე ექვს სართულიანია და მეექვსე სართულსაც საბრძოლო დანიშნულება ჰქონდა. ვახუშტი ბატონიშვილი, ახასიათებს რა თუშთა ბრძოლისუნარიანობას, წერს: „...ხოლო ესენი მორჩილნი, მოლაშქრენი და მესარკენი არიან; და არიან ბრძოლასა შემმართველნი, მკენნი, ძლიერნი, მკედარნი წარმატებულნი და უსაქციელონი, ბრიყუნი... ხოლო უკეთუ ვინ მდედრი იყოს გულითა კაცთავანი და ივლტოდეს ბრძოლასა შინა, ამას აჰმევენ ძაღლთა თანა გობასა შინა ძაღლთასა და არღარა კაცთა თანა“<sup>6</sup>.

თუშეთის მცხოვრებთა ასეთი დახასიათება იმ პერიოდის თუშეთის ყოფის სრული ასახვაა. თუშეთის მცხოვრებთა საქმიანობას ვახუშტი ბატონიშვილი დაწვრილებით არ ეხება, მაგრამ რამდენიმე სიტყვით მის მიერ თუშეთის მეზო-

<sup>5</sup> Ма ча бе ли М. В., Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. V, Тифлис, 1887, гл. 323.

<sup>6</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა, საქართველოსა, თბილისი. 1941, გვ. 104.

ბელ ტომზე—ოსებზე გამოთქმული აზრით, თუშეთის საქმიანობაც ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც „ვითარცა აღწერეთ ოსეთი სიმაგრით, მოსავლით, პირუტყვით. ნაყოფიერებით და კელოვნებით“<sup>7</sup>. იქ კი შინამრეწველობა, ე. ი, ნატურალური მეურნეობა განვითარებული ყოფილა და საკუთარი ნაწარმით იკმაყოფილებდნენ თავს. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუშეთში ძლიერ ყოფილა განვითარებული მეცხვარეობა.

თუში ტომის შესახებ, აგრეთვე, საინტერესო ცნობებია რუსულ წყაროებში. ჩვენ ვიცით, რომ თეიმურაზ პირველის მიერ რუსეთთან დამყარებული ურთიერთობის საფუძველზე საქართველოში 1638 წელს გამოაგზავნეს რუსეთის ელჩები ვოლკონსკის მეთაურობით; იმ დროს ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოსაკენ მომავალი გზები თეიმურაზ პირველის მოწინააღმდეგეთა ხელში იყო; საქართველოში ელჩების გადმოსაყვანი გზა აღმოუჩენიათ თუშეთზე და რუსეთიდან მომავალი ელჩების კახეთში გადმოყვანა გადაუწყვეტიათ თუშეთის გზით. თუშეთში მოსულ ელჩებს აქვთ თუშეთის ყოფის დამახასიათებელი ასეთი ჩანაწერი: „... А в той туской земле мужики ходят волосы подстриганы и бороды бриты. А жонки ходят в черном платье с того обычая, что чернищи“<sup>8</sup>.

როგორც ჩანაწერებიდან ჩანს, თუში მამაკაცები თამაყკრეკილი და წვერ-მოპარსული ყოფილან, ეს კი იმ დროისათვის თუშთა მაღალ კულტურაზე მეტყველებს. ელჩების აღწერით, თუშ ქალებს შავი ფერის ტანსაცმელი ეცვათ. ეს ჩვევა თუშეთში დღემდეა შემორჩენილი. რუსეთის ელჩების ჩანაწერებიდან ჩვენ, აგრეთვე, ვტყობილობთ თუში მებრძოლის შეიარაღებაზე, რაც უაღრესად საინტერესო უნდა იყოს: „... А ней (ნიჲ— ვ. ლ.) у горских и у туских людей пишали и луки и сабли и конье“<sup>9</sup>.

თუშეთის ყოფის დამახასიათებელ ზოგიერთ მონაცემს იძლევა XVIII საუკუნის რუსეთის საიმპერიო აკადემიის აკადემიკოსი ი. გიულდენშტედტიც. იმოგზაურა რა საქართველოში, მან თუშეთის შესახებ დაგვიტოვა საინტერესო მასალები. იგი აღნიშნავს, რომ თუშეთში, „პირთა სახელები უფრო შერეულია, უფრო მეტად ქართული მამაკაცთა სახელებია, მაგალითად: მამუკა, უტი, ცისკარა, ციკა, ებზე (ვეფხია—გ. გ.), ნადერენტი, დარკის, ივანე, ქათარი და სხვა. ქალთა სახელებია: თამარი, ბაი, საბრო, სიმო, ნანა, მერცხე, მარია, ანნა, მათაო, სიო და სხვ.“<sup>10</sup>. ი. გიულდენშტედტი საინტერესო მასალებს იძლევა თუშების ჩაცმასა და მათ გარეგნულ ფორმაზე; „მამაკაცები ქართულად ეცვამენ; ქალებიც ქისტურ რქისმავარ ჩაფხუტს კი არ იხურავენ, არამედ, ქართული წესით, თავშალი აქვთ მოხვეული თავზე“<sup>11</sup>.

თუში ტომის ყოფის ასახვასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება რამდენადმე დავახასიათოთ მათ თუშეთში თუშების დასახლების ზოგიერთი მონაცემები.

<sup>7</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 105.

<sup>8</sup> М. Полиевктов, Материалы по истории Грузино-русских взаимоотношений, Тбилиси, 1937, გვ. 254.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი 1, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი, 1962, გვ. 263.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 263.

საქართველოს ჩრდილო მთიანეთში თუშების თავდაპირველი დასახლების შესახებ ხალხში მრავალადა შემონახული თქმულებები, გადმოცემები და ლეგენდები.

გოი წვერაიძის (89 წლის მოხუცია)<sup>12</sup> გადმოცემით, მათუშეთი, თურმე წინათ წარმოადგენდა „ციმბირს“, ქართველი მეფეები ამ მიუვალ მთებში ასახლებდნენ სხვადასხვა დანაშაულის მქონე მსჯავრდადებულ ქვეშევრდომებს; უკაცრიელი და მიუვალი ადგილები თანდათან დასახლებულა და შექმნილა სოფლები. ძიულებით გადმოსახლებულთა გარდა, აქვე თავს იყრიდა, რა თქმა უნდა, უფრო გვიან წამოსული ბარის ქართველობაც; აქვე გამოიბოძნენ, აგრეთვე, სისხლის აღების ნიადაგზე თემიდან განდევნილი მთიელი ქართველებიც: ფშავლები, ხევსურები, მოხევეები; მათუშეთში სახლდებოდნენ მეზობლად მცხოვრები კავკასიელებიც: დიდოელები, ლეკები, ქისტები და სხვ.

არსენ ხეციოძის განმარტებით<sup>13</sup>, ქართველ მეფეებს აქ დაუსახლებიათ მეომრები—ყარაულები, ამის შემდეგ აქეთვე დაუწყიათ დენა სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლებს. როცა ხალხი მომრავლებულა, აუშენებიათ სოფლები და ციხეებით გაუმაგრებიათ; ციხე-სიმაგრეებიდან მტრის წინააღმდეგ დაუწყიათ ბრძოლა და მალე თურმე ისე გაძლიერდნენ, რომ მტრებს შიშის ზარსა სცემდნენ.

სოფელ დიკლოს მცხოვრები ხაბრო ბუწუნაიძის თქმით (98 წლის მოხუცია), მათუშეთი დასახლებულია სხვადასხვა ტომის ხალხით. ერთმანეთში შერეულან ბარის ქართველები, მთიელი ქართველები (ფშავლები, ხევსურები, მოხევეები) და კავკასიელები (დიდოელები, ლეკები და ქისტები).

ბარის ქართველები აქეთ გამოიბოძნენ ან ბატონყმობისაგან, ანდა სპარსელებისა და თურქებისაგან თავის დასაღწევად. სხვადასხვა ტომის წარმომადგენლების დასახლება<sup>14</sup> მათუშეთის სოფლებში სხვადასხვაგვარად ხდებოდა. მათუშეთის აღმოსავლეთ ნაწილში (სოფლებში: დიკლოში, შენაქოში, ომალოში) და სამხრეთით მდებარე სოფლებში (ხისოში, ეველურთაში, შტროლთაში) უფრო ხშირად გვხვდებიან ბარის ქართველები. ხოლო დასავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთ ნაწილში (სოფლებში: დართლოში, ფარსმაში, გირევიში) უფრო ჩრდილო კავკასიის ტომების წარმომადგენლები სახლობენ. ეს გამოწვეულია აღნიშნული სოფლების სიახლოვეთ მეზობლად მოსახლე ტომებთან.

თუშში ხალხის სსოვნაში დარჩენილი ზეპირი გადმოცემა მათუშეთში თავდაპირველად დასახლების შესახებ ნაწილობრივ არის სინამდვილესთან ახლოს, უმრავლეს შემთხვევაში კი არაა სწორი. ეს ადვილი მოსალოდნელიცაა—თაობიდან თაობაზე გადმოცემული ზეპირი ცნობები დროთა განმავლობაში განიცდიდა ცვლილებას და სინამდვილეს სცილდებოდა.

ფაქტია, რომ ქართველ მეფეებს მათუშეთში არავითარ შემთხვევაში არ შეეძლოთ დაესახლებინათ მსჯავრდადებული ქვეშევრდომები, რადგან მათუშეთი მდებარეობს ჩრდილოეთ კავკასიის საზღვარზე, სადაც სახლობდნენ საქართველოს მოწინააღმდეგე ტომები, რომელთაც ყოველ წუთს შეეძლოთ შეეკრათ კავშირი გადასახლებულებთან, გაერთიანებული ძალით ემოქმედათ ქარ-

<sup>12</sup> გ. წვერაიძე ჩაღმის საზოგადოების სოფელ შტროლთის მცხოვრები იყო.

<sup>13</sup> ა. ხეციოძე ჩრდილოეთ კავკასიის საზოგადოებიდან იყო და ქვემო ალვანში ცხოვრობდა.

<sup>14</sup> ეს და სხვა გადმოცემებიც, რომელთაც სქოლიოში სპეციალური მითითება არ ახლავს, ჩვენ მიერ არის შეკრებილი ალვანსა და მათუშეთში 1952-53 წლებში.



თველი ხალხის წინააღმდეგ და მათათუშეთი საქართველოზე მუდმივი თავდასმების პლაცდარმად ექციათ. საქართველოს მეფეები კი ყოველთვის იმის ცდაში იყვნენ, რომ მათათუშეთის მცხოვრებთა სახით ჰყოლოდათ ერთგული და საიმედო დასაყრდენი ძალა ჩრდილოეთის საზღვრებზე. სინამდვილეში ეს ასეც იყო—ჩრდილოეთიდან მოზღვავებული მტერი ხვდებოდა მედგარ წინააღმდეგობას და არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა, რომ მტრის ჭარბი ძალეზე უკუუქცევიათ გულად და მამაც თუშებს ქართველების დახმარებით, მაგ., ასე იყო XVIII ს. ავარიის ხანის ნუცალის შემოსევის დროს და XVIII ს. ქისტ (resp ჩაჩან) ფეოდალთა წინამძღოლის მურთაზის თავდასხმისას. რაც შეეხება თუშების ზეპირსიტყვიერებაში შემონახულ თქმულებებს მათათუშეთში ბარის ქართველების ნებაყოფლობით დასახლებაზე. იგი სინამდვილესთან უნდა იყოს დაკავშირებული—აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან შემოსეულ მტერს ქართველები ფიზიკურ განადგურებამდე მიჰყავდა და სიცოცხლის გადასარჩენად ლტოლვილნი თავშესაფარს ყოველთვის ტყეებსა და მთაში პოულობდნენ; ცოტა არ იქნებოდა ისეთი შემთხვევა, როცა ქართველები თავშესაფარად მათათუშეთს მიაშურებდნენ.

ასევე, თუშების ზეპირსიტყვიერებაში შემონახული თქმულებები მათათუშეთის თავდაპირველად დასახლების შესახებ ბარიდან გამოქცეული ქართველებით ქეშმარიტად მიგვაჩინა; ადვილი შესაძლებელია, რომ ბატონყმობას თავარიდებული ქართველი ბარელი გლეხი თავშესაფარს მიუვალ მთებში პოულობდა, ბატონის რისხვას გადარჩენილი მათათუშეთში სახლდებოდა და რჩებოდა იქ თუშის სახელწოდებით.

ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი ფაქტი; მაგალითად, მოზაიქები დიდი საგვარეულოა. მათ შესახებ არსებობს ასეთი გადმოცემა: მოზაიქების წინაპრები, ოთხნი ძმანი, მკხეთის ერთ-ერთი მებატონის ყმები ყოფილან. მოურავისგან შეწუხებულთ გადუწყვეტიათ კახეთისაკენ წასვლა. ერთ დღეს მათ თხოვნით მიმართეს ბატონს, რომ სალოცავად გაეშვა ისინი კახეთში. დიდი ვედრების შემდეგ ბატონმა დააკმაყოფილა ყმა-გლეხების თხოვნა და გაუშვა ერთი კვირით. ძმებს შეუბამთ ურმები, დაუტვირთავთ ბარგი და ოჯახებით წამოსულან კახეთისაკენ ვითომდა სალოცავად. ოჯახები რომ გადმოუცილებიათ ცივგომბორის ქედზე, სამი ძმა უკან დაბრუნებულა, სხვა გლეხებთან ერთად მოუკლავთ თავგასული მოურავი და ბატონი და კახეთში დაბრუნებულან. ამ ოთხ ძმათაგან ერთი სოფ. ფშაველში (კახეთში) დარჩენილა. მისგან მომრავლებულა სოფ. ფშაველის მცხოვრები ციხისთავების გვარი. მეორე ძმა მათათუშეთის სოფელ ეველურთაში დასახლებულა და აქ მომრავლებულა 7—8 კომლი მოზაიქებისა. მესამე ძმა სოფელ ომალოში დამკვიდრებულა; მისი შთამომავალი არის 11 კომლი მოზაიქებისა. ხოლო მეოთხე ძმა დართოლში დასახლებულა და საფუძველი ჩაუყარა საკმაოდ დიდი გვარისათვის (ილიძეები)<sup>15</sup>.

მათათუშეთში ასეთი დასახლება მრავალგზის მომხდარა. თითქმის მთელ მათათუშეთში არ არის არც ერთი სოფელი, რომ აქ არ ცხოვრობდეს ან არ ეცხოვროს რომელიმე მეზობელი, მთის ან ბარის. მხრიდან მოსულ ქართველებს, ან ჩრდილო კავკასიელ მთიელებს. მოყვანილიც საკმარისი იქნება იმის დასამტკიცებლად, რომ თუშეთი ყოველთვის წარმოადგენდა თავშესაფარს სხვა ტომის წარმომადგენელთათვის.

<sup>15</sup> შედგენილა სოფ. ფშაველის მცხოვრებ გიო მოზაიძის გადმოცემით, 1954 წელი.

\* \* \*

საქართველოს ჩრდილო მთიანეთში თუშების დასახლებასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება რამდენადმე შევეხოთ ტერმინ **თუშის** რაობას. ამ მხრივ საყურადღებოა აკად. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი. ბიბლიურ სახელთა ანალოზის შედეგად იგი აკეთებს ასეთ დასკვნას: „დაბადების“ სახელი „**მათუშაელ**“, ანუ „**მათუსალა**“ შეიძლება თუშების სატომო სახელს უღრიდეს. ამ სახელთა აფიქსები აკად. ივ. ჯავახიშვილს ქართულ გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად მიაჩნდა. კერძოდ, ცნობილია, რომ ძველ ქართულ გეოგრაფიულ სახელთაგან ნაწარმოებ წარმომავლობის ფორმებში გამოიყოფა პრეფიქსი **მ-** და სუფიქსი **-ელ**; მაგალითად, ეგრისის მკვიდრი იქნებოდა **მ-ეგრ-ელ-ი**, აჩაბეთისა—**მ-აჩაბ-ელ-ი** და სხვა.

მეგრულში **ელ-**ს ცვლის **ალ-**სუფიქსი, ქართულ ფორმას მეგრულში შეესიტყვება **მ-ა-რ-გ-ალ**. ამის მიხედვით აკად. ივ. ჯავახიშვილმა **მათუსალა** და **მათუშაელ** სახელებიდან ძირად გამოყო **თუს**, **თუშ**, ხოლო **მე-ალ**, **მე-ელ** მაწარმოებლად მიიჩნია. ებრაულში **თუს** და **თუშ**, მართლაც, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ფონეტიკურ ანალოგიად (ებრ. მოსე-მოშე, მესია-მეშია).

აღამ და ევას შთამომავლობის ნუსხის სახელები სატომო სახელები ჩანს: „ყველა მეცნიერები თანახმანი არიან, რომ ზემოთ აღნიშნული სახელები სხვადასხვა ტომთა სახელებია, რომელთა წინაპრებად ვითომც ისინი უნდა ყოფილიყვნენ“<sup>16</sup>. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი უთუოდ დამაფიქრებელია. აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ და თუში ტომის სახელს თუ მივუმატებთ **მა**-ს, მივიღებთ მათათუშეთს. უძველესი ქართველური მოდგომის ტომის მიუვალ მთებში ცალკე თუშ ტომად ჩამოყალიბება სწორედ შორეულ წარსულს მიეწერება.

მაგრამ ისმის კითხვა, როდის ჩამოყალიბდა ეს უძველესი ქართველური ტომი მწირ და მიუვალ მთებში. ამ საკითხის ზუსტად დამტკიცება კავკასიის ხალხთა ისტორიის განვითარების დღევანდელ საფეხურზე ძნელია. ამ საკითხის გაშუქებაში ჩვენ ერთგვარად დაგვეხმარება გიორგი მელიქიშვილის შრომა „Наири-Урарту“, სადაც იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართველები, დანარჩენ ხალხებთან ერთად კავკასიის ერთ-ერთი ავტოქთონური ხალხია და აქვთ უძველესი წარსული: „*В продолжение нескольких тысячелетий можем мы проследить историческую жизнь современных народов Закавказья. Несомненно, что задолго до нашей эры, еще в древневосточную эпоху, те этнические группы, которые легли в основу образования, например, грузинского и армянского народов, уже имели свою языковую и этническую индивидуальность*“<sup>17</sup>.

თუშებს, როგორც ერთ-ერთ უძველეს ქართველურ ტომს, შორეულ წარსულშივე უნდა ჰქონოდა თავისი ენობრივი და ეთნიკური თავისებურება. ზემოთ გამოთქმული აზრი სხვა გარემოებითაც მტკიცდება. 1912 წელს ნ. მოლჩანოვის მიერ მათათუშეთში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნნი ნივთების, რომლებიც დაცულია საქართველოს სსრ აკად. ს., ჯანა-

<sup>16</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბილისი, 1960, გვ. 410.

<sup>17</sup> Г. Меликишвили, Наири-Урарту, Тбилиси, 1934, გვ. 5.

შიას სახელობის მუზეუმში (ორნამენტური სარკე, საყურეები, სამაჭურები და სხვ.). შესწავლით დადგენილია, რომ იქ ადამიანს უნდა ეცხოვრა გვიან ბრინჯაოს და უახლოეს რკინის ხანაში XII—IX სს. ჩვ. წ., მაგრამ ალბათ თუშეთში ადამიანის ბინადრობას უფრო შორეული წარსული აქვს. აი, რას წერს ამის შესახებ პროფ. ს. მაკალათია თავის ერთ-ერთ ადრინდელ შრომაში თუშეთში უძველესი პერიოდიდან ადამიანთა ბინადრობის შესახებ: „...ერთი სიტყვით, ამ ნიკოროდენი არქეოლოგიური აღმოჩენიდან ირკვევა, რომ მათუშეთის ტერიტორიაზე ადამიანს პრეისტორიულ ხანიდან უცხოვრია და კულტურულად უმოღვაწია. ეს კუთხე თავისი გეოგრაფიულ მდგომარეობით ჩრდილოეთ კავკასიას ეკვრის და აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთებიც კულტურის ამ წრის ნიშნების მატარებელია“<sup>18</sup>. ასევე მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა და მოგზაურთა დიდი ჯგუფი (მ. ბროსე, ი. დუბროვინი, ა. ზისერმანი, ვ. გენკო, ა. შიფნერი, ი. ცისკარიშვილი, რ. ერისთავი, ნ. ვოლკონსკი, რ. მაგომედოვი, .. ხახანაშვილი, გ. პოლევოი, ანისიშოვი და სხვები) ამტკიცებენ, რომ თუშები ქათუშეთის უძველესი მკვიდრი მცხოვრებნი და უძველესი ქართველური ტომიაო. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მათუშეთის მცხოვრებნი ორ ეთნიკურ ჯგუფად იყოფიან: წოვა და ჩაღმა თუშებად. წოვა თუშების ცლაკე ეთნიკურ თუშ ტომად გამოყოფა მკვლევართა შორის თავიდანვე იწვევდა დიდ ინტერესს და აზრთა სხვადასხვაობას. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ წოვა თუშები ქისტების მოდგმის დილევებისაგან არიან წარმოშობილნი, ხოლო მეორეთა აზრით, წოვა თუშები ქისტთა და ქართველ ტომთა შიგნით, შერევით მიღებული მოდგმაა. წოვა თუშების, კერძოდ, მათი ენის შესახებ აზრი აქვს გამოთქმული აკად. გიულდენშტედტს: „პირველ ოთხ სოფელში ლაპარაკობენ ქართულ-ნარკვე ქისტურად. მცხოვრებლები შესაძლებელია, უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან, ქისტური შთამომავლობისა იყვნენ“<sup>19</sup>. დასახელებული ოთხი სოფელი წოვათუშების სოფლები უნდა იყოს. მან მხოლოდ წოვური ენის ქისტურთან მსგავსებით ივარაუდა წოვა-თუშების ქისტური წარმომავლობა. საინტერესო ცნობებს იძლევა კახუშტი ბატონიშვილი წოვური ენის შესახებ საქართველოს გეოგრაფიაში: „ხოლო რომელნი არიან მჭარეთა ქისტთა და დლიღვთა, უწყიან ენანი უფროს მათნი. გარნა ფარსმანის კევისანი სარწმუნეობით, და ენით შერეულნი არიან, ვითარც ქისტნი“<sup>20</sup>.

მართალია, აქ წოვა თუშების ენის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ მის მიერ დასახელებული ორი საზოგადოება „მდებარე მხარეთა ქისტთა და დილღვთა“ წოვათა და პირიქითი უნდა ყოფილიყო, რომლებიც, მართლაც, კახუშტი ბატონიშვილის დროს და შემდეგაც ქისტურ-ქართული ენით ლაპარაკობდნენ, რაც წოვათუშების (resp. ბაცების) კავკასიონის ჩრდილო კალთებიდან სამხრეთ კალთებზე ანუ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლებაზე უნდა მიგვივითებდეს. შეიძლება გამართლებულად მივიჩნიოთ ქართლის ცხოვრების შემატინანის მითითება საურმაგ მეფის მიერ ჩრდილოეთ კავკასიიდან დურაძეკთა ტომების საქართველოში გადმოყვანაზე და ამის შედეგად ვივარაუდოთ წოვა-თუშების ტომის ჩამოყალიბება. ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „...დასხ-

<sup>18</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, თბილისი, 1933, გვ. 14.

<sup>19</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი 1. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკლევა დაურთო ვ. გელაშვალმა, თბილისი, 1962, გვ. 263.

<sup>20</sup> ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 105.

ნა მთიულეთს დიდოეთიდან ვიდრე ეგრისამდე (დურძუქანი—ვ. ლ.) და ესენი დაიპყრნა მისანდომლად თვსად<sup>21</sup>, და შემდეგ უნდა მომხდარიყო დურძუქათა ტომების შერწყმა ქართველ ტომებთან, ხოლო გარკვეულმა ნაწილმა, როგორც ჩანს, შეინარჩუნა დამოუკიდებლობა კავკასიის მაღალ მთიან ზონაში და შესაძლებელია, ეს ნაწილი წარმოადგენდეს წოვათუშების წინაპარს.

წოვათუშები კავკასიის ქედის სამხრეთ კალთებზე მცხოვრები ხალხია, როგორც ძალიან ბევრი რამ აქვს საერთო მეზობელ ქისტურ-ჩაჩხურ და ინგუშურ ტომებთან და წარმოადგენს იბერიულ-კავკასიურ ტომს. წოვა თუშების დასახლების ტერიტორია უფრო ვრცელი და დიდი უნდა ყოფილიყო უძველეს პერიოდში, ვიდრე XVII—XVIII სს. ცნობებშია (ვახუშტი ბატონიშვილი, ი. გიულდენშტედტი) ნაჩვენები. წოვათუშების შესახებ საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული აკად. ივ. ჯავახიშვილს „ქართველი ერის ისტორიის შესავალში“<sup>22</sup>.

ხოლო წოვათუშების ქართველებთან მიმართების შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილს თავის კავიტალურ შრომაში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით დასაბუთებული აქვს, რომ ისინი კავკასიის სხვა დანარჩენ ხალხებთან ერთად წარმოადგენენ კავკასიის მკვიდრ მოსახლეობას, მათი ენაც იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში ერთიანდება<sup>23</sup>. ივ. ჯავახიშვილის უახლოესი პერიოდის ნარკვევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წოვათუშების თავდაპირველი საცხოვრისი უნდა ყოფილიყო იორ-არაგვისა და ლეხურა-ქსნის ხეობებში.

ჩვენ ასეთი შეხედულება დასაშვებად მიგვაჩნია; ალბათ, წოვათუშებიც უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ მათეთუშეთში. რაც შეეხება აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრს წოვას, წობონის, წირდალის, წუბენის, ნოჯას და ნოჯიკეთის შესახებ, ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია: წოვა თუშები ერთ დროს შეიძლება ხალხმრავალნი იყვნენ და დასახლების მხრივ თავიანთ ტერიტორიას, მართლაც, აგრელებდნენ ლიახვ-ქსნისა და იორ-არაგვის ხეობებამდე, რომლებიც წოვათიდან დაშორებულია წყალგამყოფი ბორბალოსა და საყორნის მთებით. შეიძლება წოვათუშებმა, მართლაც, ადრევე დაკარგეს ვრცელი მიდამოები და დაკმაყოფილდნენ მტრისათვის მიუვალ ინდურთისა და მის ახლო-მახლო მდებარე მიდამოების. ეგრეთწოდებული წოვათის, გამაგრებით.

მაშასადამე, როგორც აღვნიშნეთ, „თუში“ არის სახელწოდება ერთ-ერთი ქართველური ტომისა. „წოვაც“ სატომო სახელია, მაგრამ მისი წარმომავლობის ზუსტად დადგენა ძნელია. ივანე ცისკარიშვილის, რაფიელ ერისთავისა და არნოლდ ზისერმანის აზრი, თითქოს ტერმინი „წოვა“ სიტყვა წა-დან (რაც წოვურად ნიშნავს სახლს) მომდინარეობდეს, ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია თუნდაც იმიტომ, რომ სატომო სახელის წარმოშობა წინ უნდა უსწრებდეს სიტყვა „სახლის“ წარმოშობას. ძნელია, აგრეთვე, დავუშვათ ისიც, რომ სახლის აღმნიშვნელი ტერმინი, „წა“ გახდეს სატომო სახელად. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათათუთუ იმ დასახლებული ეს ტომი სახლების აშენებამდე უსა-

<sup>21</sup> ქართლის ცხოვრება, ნაწილი პირველი, ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით. თბილისი, 1955, გვ. 27.

<sup>22</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ენოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950, გვ. 48.

<sup>23</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937.

ხელოდ ხომ არ იყო და, ბუნებრივია, რომ ის თავის ძველ სახელწოდებას დაკარგავდა.

ჩვენ შესაძლებლად გვეჩვენება წარო-ს დაკავშირება ძველ ეთნონიმ წანარ-თან. უკანასკნელი ხნის ძიებანი ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა<sup>24</sup>. ჩვენი აზრით, წანარ დაიშლება წან-არ, სადაც-არ სუფიქსი ნახურ ენებში გავრცელებული მრავლობითი რიცხვის ნიშანი უნდა იყოს. რაც შეეხება წან ძირს, იგი ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს წარისა, ე. ი. წარ-არ > წან-არ ძირში ნ მიღებულია დისიმილაციის გზით: სუფიქსისეული რ განიმსგავსებს ძირულ რ-ს და ამ უკანასკნელს აქცევს ნ-დ. ტომონიმ წარ-ისა და ეთნონიმ წანარ-ის საერთო გენეზისს უნდა ადასტურებდეს პტოლომაიოსის ჩვენებაც: მას წანარები (ძვ. ქართულით წანარნი) მოხსენებული ჰყავს ტუსკთა (თუშთა) და დიდურთა (დიდოელთა) გვერდით.

როგორც ცნობილია, მათაუშეთში სატომო სახელწოდება „წოვას“ ენაცვლება „წოვათუში“. ეს შენაცვლება შეიძლება ასე მომხდარიყო: წოვების დასახლების უკანასკნელი პუნქტი „წოვათა“ მათაუშეთში მდებარეობს. აქ დასახლებულ წოვებს მკიდრო ურთიერთობა ჰქონდათ თუშ ტომთან. ამ ურთიერთობამ (რომელსაც ძალიან ხანგრძლივი ისტორია აქვს) თავისი შედეგი გამოიღო. ეს ორი ტომი ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდა, რამაც დიდი გასაქანი მისცა მათ შემდგომ დაახლოებასა და მეგობრობას. ორივე ტომში გამომუშავდა საერთო ზნე-ჩვეულებანი როგორც რელიგიური, ისე საყოფაცხოვრებო; მაგრამ წოვა თუშები განსხვავდებოდნენ დანარჩენი თუშებისაგან სალაპარაკო ენით. ეს განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშანიც იჩრდილებოდა იმით, რომ ყველა წოვამ იცოდა ქართული ენა და ურთიერთობის საშუალებად ამ უკანასკნელს იყენებდა. ამან მოამზადა საფუძველი იმისათვის, რომ წოვები წარმოდგენილი ყოფილიყვნენ, როგორც შემადგენელი ნაწილი თუში ტომისა. ამის საშუალო გამოვლენა ის უნდა იყოს, რომ სატომო სახელი „წოვა“ შემდეგ „წოვათუშიად“ იქცა.

თუშეთი იყოფოდა ოთხ საზოგადოებად, თითოეულს საკუთარი სახელი ჰქონდა: პირიქითი, ჩაღმა, გომეწარი და წოვათა. მათი საერთო სახელია „თუშში“, ერთმანეთისაგან განსხვავებისათვის აღნიშნული საკუთარი სათემო სახელწოდების მიხედვით ყალიბდება საერთო სათემო სახელწოდებიდან გამომდინარე ქვეტერმინები: პირიქითელი თუში, გომეწარელი თუში, ჩაღმა-თუში და წოვათუში

\* \*  
\*

თუშეთი და თუშები ოდითგანვე იპყრობდნენ მკვლევართა ყურადღებას. თუში ტომის წარმოშობისა და იქ მათი დასახლების შესწავლა დღემდე სრულყოფილად ვერ მოხერხდა. თუშების შესახებ მოიპოვება ცნობები უძველეს ბერძნულ, სომხურ და ქართულ წყაროებში; არსებობს, აგრეთვე, ქართველ მეცნიერთა და მკვლევართა, უცხოელ და რუს მოგზაურთა, ისტორიკოსთა შეხედულებები; მოიპოვება, აგრეთვე, ქართველ მეფეთა სიგელ-გუჯარები, არის მცირეოდენი მატერიალური კულტურის ნაშთები—მათაუშეთში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მინაკვლევი, მაგრამ ყოველივე ეს მოითხოვს მეცნი-

<sup>24</sup> В. Н. Гамрекели, Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э., 1961.

ერულ გაანალიზებას, რის შედეგადაც ჩამოყალიბდება ჩვენში ნათელი წარმოდგენა თუშეთისა და თუშეთის ისტორიის შესახებ.

როგორც ცნობილია, პირველი ცნობა თუშეთის შესახებ ოფიციალურ ლიტერატურაში მოცემული აქვს ბერძენ მოგზაურს პტოლომაიოსს. იგი თავის გეოგრაფიაში წერს: „კავკასიისა და კერავის მთების შორის ცხოვრობენ ტუსკები და დიდურები“. Τουσχοι: αα: Διδουροι<sup>25</sup>. ტუსკების ხსენება დიდურების გვერდით გვაპარაუდებინებს, რომ აქ ლაპარაკია კავკასიის ორ მეზობელ ტომზე—თუშებსა და დიდურებზე, რომლებიც დღემდე ერთმანეთის მეზობლად დარჩნენ. ტუსკებად რომ თუშებია ნაგულისხმები, ამაზე, ჩვენი აზრით, მიგვიოთობებს მე-17 საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში არსებული დოკუმენტი: 1638 წელს საქართველოში გამოგზავნილ მოსკოვის სახელმწიფოს ელჩებს თუშეთზე უხდებოდათ გამოვლა, თუშეთისაკენ მომავალ რუსეთის ელჩთა და მათ შესახებდრად გაგზავნილი თეიმურაზ პირველის წარმომადგენლის საუბარში თუშები იხსენიებიან ტუსკებად: „Да приставов же Дмитрия да Ивана спрашивали послы про Тускую землх, почему та земля, слово Туская, и кто ею преж сего владел и ныне владеет. И приставы сказали послом, что та земля слово Туская изстари; а владели до се мест владельцы тое Туские земли, горские мужики. Только ныне тою землею учел владеть государь их Теимураз царь“<sup>26</sup>.

რა თქმა უნდა, მოსკოვის სახელმწიფოს ელჩებისათვის პტოლომაიოსის ზემოთ აღნიშნული გეოგრაფია უცნობი იყო და ამდენად ამ საბუთში ტუსკი არ არის ნახმარი აღნიშნულ ცნობის გავლენით. თუ ეს ასეა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამ დოკუმენტში დაცული ცნობა ადასტურებს იმ ვარაუდს, რომ პტოლომაიოსის გეოგრაფიაში მოხსენებული ტუსკები თუშებს ვარაუდობს.

თუშების შესახებ საინტერესო ცნობებია მოცემული სომხურ წყაროებში „Анонимная география“-ში (XVII ს.), რომელშიც კავკასიაში მცხოვრებ ტომთა ჩამოთვლისას იხსენიებიან თუშები: „Туши, Хуши, Кусты, Антропофаги, Шхаваты, Гуламакары“<sup>27</sup>.

აქ დასახლებული ტუში უნდა გულისხმობდეს თუშებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩამოთვლილი ტომების მეზობლად.

ქართლის ცხოვრების მემკვიდრე ე. მროველი IV საუკუნიდან იხსენიებს თუშეთს, რომელიც თუშების უძველესი სამშობლო კუთხე უნდა ყოფილიყო. მემკვიდრე საქართველოს გაქრისტიანების დაწყებასთან დაკავშირებით წერს: „...მაშინ ჰრქუა მეფემან წმიდასა ნინოს და ეპისკოპოსსა: „მნებავს ესრეთ, რათა იძულებით მახვლითა მოვაქციენეთ მთელნი და სიძე ჩემი ფეროზ“... და წარვიდა წმინდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა წარატანა მეფემან ერისთავი ერთი. გარდამოვიდეს მუნით და დადგეს ქალთეს, და უქადაგეს ერ-

<sup>25</sup> В. В. Латисhev, соч., т. I, вып. 1, 1893. г.г. 239 (Географическое руководство, Клавдия Птолемея).

<sup>26</sup> М. Полиевктов, Материалы по истории Грузино-русских взаимоотношений Тбилиси, 1937. г.г. 254.

<sup>27</sup> К. Н. Патканов, Армянская география (приписываемая М. Хоренскому, С.-Пете рбург, 1887, г.г. 317, примеч. 133.

წო-თიანელთა, ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ-იღეს. ხოლო ფხოველთა და უტევეს ქვეყანა მათი, და გარდავიდეს თუშეთს. და სხუანიცა მთელნი უმრავლესნი არა მოაქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი“<sup>28</sup>. ლ. მროველის ეს ცნობა საინტერესოა იმით, რომ ქართულ წყაროებში პირველადაა მოხსენიებული ადგილმდებარეობა თუშეთი, საითაც მიიღტვიან ფხოველები ქრისტიანობისაგან თავის ასარიდებლად. მოხსენიებული ფხოველები ფშავლები და ხევსურები არიან, რომელთაც თუშებთან ერთად, უნდა ვივარაუდოთ, ქრისტიანობამდე სარწმუნოება ერთნაირი ჰქონდათ—ეკრპთაყვანისმცემლობა; თუშეთი ფშავთან და ხევსურეთთან შედარებით უფრო მიუვალი იყო და ბუნებრივია, რომ მოძალადე გამქრისტიანებელთაგან გაქცეული მთიელები თუშეთს შეადარებდნენ თავს.

„ქართლის ცხოვრებაში“ ლ. მროველი თუშებს იხსენიებს VII ს. ამბებთან დაკავშირებით, როდესაც არჩილ კახთა მეფეს დაუპყრია კახეთი და დაუწყია მეფობა: „...ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყვნა იგინი. აღაშენა ეკლესია სამამორს, შეირთო ცოლი ასული გუარამ კურაპალატისა... და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოდა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მამინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნძთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი“<sup>29</sup>. დგება კითხვა, ამ დროისათვის ხომ არ არის დაწყებული თუშთა და ხუნძთა გაქრისტიანება, რამდენადაც მემატიაანემ ისინი ცალკე გამოყო „ყოველთა წარმართთაგან მთისათა“<sup>30</sup>. ასეთი ვარაუდი ბუნებრივი ჩანს, რადგანაც საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებიდან გასულა თითქმის სამი საუკუნე. არაბთა ბატონობა კახეთში ისე მძიმე არ იყო, როგორც ქართლში. ამ დროს კახეთი მხოლოდ ხარკს იხდის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროს ქრისტიანობის გავრცელება ხდება ამ სამეფოში შემავალ მთიანეთშიც, კერძოდ, თუშეთში. თუ რომელ წელს დაიპყრო არჩილმა კახეთი, მემატიაანე არაფერს ამბობს, მაგრამ ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორიაში“<sup>31</sup>. არჩილის მეფობის პერიოდი განსაზღვრულია 668—718 წლებით, მაშასადამე, თუშეთი ხუნძახთან ერთად წუქეთის საერისთაოში ყოფილა VII—VIII სს-ში. ხუნძახი თანამედროვე დაღესტნის ნაწილია და ესაზღვრება თუშეთს აღმოსავლეთიდან.

შემდგომი პერიოდის თუშების შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ვახუშტი ბატონიშვილი; იგი თავის წიგნში „საქართველოს ცხოვრება“<sup>32</sup> აღნიშნავს, რომ დავითის სიკვდილის შემდეგ, კახეთის ქორიკოზად დამჯდარა კვირიკე, ხოლო შემდგომ ბაგრატს კვირიკე შეუპყრია და კახეთი თვით დაუპყრია. ბაგრატი მალე მომკვდარა და კვირიკე კახეთში კვლავ გამეფებულა, დაუპყრია ჰერეთიც და იწოდებოდა კახეთის მეფედ<sup>32</sup>. მას თავისი ხელისუფლება განუმტკიცებია და საერისთავოები დაუარსებია, კახეთი და ჰერეთი შვიდ საერისთაოდ დაუყვია და თავისი ერის-

<sup>28</sup> ქართლის ცხოვრება, ნაწილი პირველი, ს. ყ ა უ ხ ჩ ი ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბილისი, 1955, გვ. 125—126.

<sup>29</sup> ი ქ ვ ე, გვ. 243.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1885, გვ. 116.

<sup>32</sup> შ ი ს ი ვ ე. საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 151.

თავები დაუსხამს: „მესამე პანკისისა ანუ მარლისისა და მისცა ჰერეთის სპს-ლურის—ზეითი კავკასამდე და კახეთის მთამდე თუშეთითურთ“<sup>33</sup>. როგორც ამ ცნობიდან ჩანს, თუშეთი წუქეთის საერისთაოდან პანკისის საერისთაოშია გადმოტანილი. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მიხედვით, „1010 წლის ახლო ხანებში ბაგრატი კახეთში გადავიდა და მისი მეფე დაჰქირა და თვით კახეთ-ჰერეთში კი თავისი მოხელე აზნაურები ჩააყენა“<sup>34</sup>. გასაგებია, რომ კვირიკე კახეთში გამეფებულა ბაგრატის სკვდილის შემდეგ, 1014 წელს. დგება კითხვა: რატომ უნდა მომხდარიყო თუშეთის წუქეთის საერისთაოდან პანკისის საერისთაოში შეყვანა. აქ ორგვარ გარემოებას უნდა ჰქონოდა ადგილი. ერთი, რომ კახეთსა და თუშეთს შორის ურთიერთობის განმტკიცება უნდა მომხდარიყო, მეორეც — მესაქონლე თუშები საჭიროებენ საზამთროდ ბარის საძოვრებს და კახეთთან მტკიცე ეკონომიურ ურთიერთობას ამყარებენ.

დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობის დროს თუშები არ ჩანან. ცნობილი არის ფხოველთა და დიდოელთა აჯანყება თამარის მეფობის დროს; თამარის ისტორიკოსი თუშებს არ იხსენიებს არც აჯანყებულთა და არც აჯანყების ჩამქრობთა შორის. უნდა ვივარაუდოთ, რომ თუშები აჯანყებაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ, რადგან ისინი ბართან სასიცოცხლოდ იყვნენ დაკავშირებულნი, ბარის დაკარგვა თუშებისათვის ეკონომიურ განადგურებას უდრიდა. საქართველოს ისტორიის შემდგომ მნიშვნელოვან პერიოდში, XIII—XIV სს., თუშების შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება; როგორც ვიცით, ეს პერიოდი ხასიათდება საქართველოზე თათარ-მონგოლთა ურდოების ბატონობით და, საერთოდ, საქართველოს ისტორიოგრაფიას ამ პერიოდის წყაროება ხაკლუბად მოეპოვება.

თუშების შესახებ ცნობები მხოლოდ მეთხოთმეტე საუკუნიდან გვხვდება. აკად. ივანე ჭავჭავაძის მიხედვით, ახასიათებს რა დაქუცმაცებული საქართველოს ცალკეულ კუთხეებს, თავის კაპიტალურ შრომაში „ქართველი ერის ისტორია“, წერს: „კახთ ბატონების საბრძანებელი, მათი სიტყვით, ასე ყოფილა შემოფარგლული „კახთ ბატონთა მას ეამსა ეპყრა—გადმოდმართი ლეკის მთისა ეპყრა თუშეთი, ხოლო დიდონი არ მორჩილობდნენ ნებისაებრ მისისა“<sup>35</sup>. როგორც ვხედავთ, საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცების პირველ პერიოდში თუშეთი კახეთთან კვლავ მტკიცედ ყოფილა დაკავშირებული; საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცების შემდგომ ხანაში თუშეთის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი სხვაგვარ ცნობას იძლევა: 1444 წ. კახეთის მეფე ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ კახეთში გამეფდა გიორგი VIII, ხოლო ქართლი ბაგრატმა დაიპყრო. გიორგი VIII-ს (1446—1476) კახეთში მანამდე არსებული საერისთაოები გაუქმებია და დაუწესებია სამოურაოები. ვახუშტი ბატონიშვილი კახეთის ადმინისტრაციული სტრუქტურის ამგვარ შეცვლას ასე აგვიწერს: „შემდგომად დავითისა დაჯდა ძე მისი გიორგი მეფედ კახთა (ანუ ვითარცა სხუანი იტყვიან ლევან) და ეკურთხა ბოდბეს, ხოლო ესე გიორგი, ვინაღ-გან მცდელობდა მეფე კონსტანტინე ჰერ-კახთა ერისთავთა-თანა კვალად შეერთებასა და ერთმეფობისა. ამის-თჳს მიერთო იმერთა მეფესა ბაგრატს და დაეპყრა სრულიად კახეთი: მაშინ მოისპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი

<sup>33</sup> იქვე.

<sup>34</sup> ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჭავჭავაძის შრომა, ს. ჭანაშია, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1950, გვ. 162.

<sup>35</sup> ივ. ჭავჭავაძის შრომა, ქართველი ერის ისტორია, ტომი IV, თბილისი, 1948, გვ. 152





დიდთა და მცირეთა ადვილთა, ვითარცა არიან დღემდე. მოურავი ქისრქმნა. ელისენისა, წუქეთისა, დიდოეთისა... კვალად-ჰყო გრემი ქალაქი და ტახტი ჰერკახთა და შენობა დიდი... ამათ არ მორჩილებდენ თუშნი და ფშავ-ხევსურნი<sup>36</sup>. პართალია, განდგომის მიზეზს ვ. ბატონიშვილი არ ასახელებს, მაგრამ, ჩვენი შეხედულებით, თუშები, ფშაველები და ხევსურები კახეთისა და საერთოდ საქართველოს ცენტრალიზებულ ხელისუფლებასთან ორმხრივ დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ: პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოკიდებულებაში. პოლიტიკური დამოკიდებულება მტკიცდებოდა მაშინ, როდესაც საქართველოს მეფეთა ძალაუფლება ძლიერი იყო და სხვა მეზობელი ტომებისაგან საქართველოს მთიანეთის დაცვა შეეძლო. როდესაც საქართველოს მეფეთა ძალაუფლება სუსტდებოდა, მაშინ საქართველოს მთიანეთი იძულებული იყო წასულიყო კომპრომისზე და ეძლია ხარკი თავისი მეზობელი, შედარებით ძლიერი ტომებისათვის, რათა შეენარჩუნებინა თავისი არსებობა; მაგალითად, თუშები ასეთ შემთხვევაში ხარკს აძლევდნენ ქიტს-ჩაჩანთა ტომებს და ზოგჯერ დაღესტნელ ფეოდალებსაც. საქართველოს მთიანეთს ბართან ყოველთვის ჰქონდა ეკონომიური ურთიერთობა, თუმც ზოგიერთ შემთხვევაში ეს ურთიერთობა იცვლებოდა. ჩვენი აზრით, თუშნი და ფშავ-ხევსურნი მეფე გიორგი VIII-ის დროს კახეთისაგან განდგომილნი სწორედ ამ მიზეზით უნდა ყოფილიყვნენ; მაგრამ XVI საუკუნეში მდგომარეობა იცვლება. ვ. ბატონიშვილი ამ პერიოდის თუშების შესახებ წერს: „...მეფე ლევან ა (I—ვ. ლ.) ნდ (54—ვ. ლ.) ჰმეფა“<sup>37</sup>, ამ პერიოდში კახეთი, მოძალადე მტრებზე გამარჯვებული, მოღონიერებული და აღორძინების გზაზე დამდგარი, შიშის ზარსა სცემდა მოწინააღმდეგეებს: „...ამის მხილველი ლევან ეზრახა მშვიდობასა და არა ინება მშვიდობა ასან-ბეგ“<sup>38</sup>. ასან-ბეგთან ბრძოლაში გზიმარჯვა ლევან კახთა მეფემ: „აღიღო ალაფი დიდი და მოვიდა გრემს ლევან: არამედ ამას წინათთა კახთა მეფეთა არღარა მორჩილებდენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი და ამან ლევან დაიპყრნა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ-იყუნენ კახეთს და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთს შინა და მიერთგან მოსცემდენ ლაშქარსა და ბეგარას“<sup>39</sup>. როგორც ვ. ბატონიშვილის ამ ცნობიდან ჩანს, კახეთში საერთო წესრიგის დამყარებისა და აღმოსვლეთიდან მოწინააღმდეგეების დამარცხების შემდეგ ლევან კახეთის მეფეს თუშ-ფშავ-ხევსურეთი შემოუმტკიცებია. მთიელები დათანხმებულან, საძოვრების სანაცვლოდ ეძლიათ ჯარი და ბეგარა. ამ ისტორიული წყაროს მიხედვით, თუშებისათვის საზამთრო საძოვრად ლევან მეფის მიერ დამტკიცებული კახეთის დაბლობი ალვანის მინდორი უნდა ყოფილიყო. თუშებში ხალხური გადმოცემაც შეიქმნა, თითქოს ალვანი ლევან მეფემ აჩუქა თუშებს. ამ პერიოდიდან იწყება თუშების მისწრაფება საქართველოს ბარისაკენ—ალვანის მიდამოებისაკენ.

თუშეთის ისტორიისათვის არანაკლებ ინტერესს იწვევს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით არსებული საარქივო მასალები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ ამ ურთიერთობის საქმეში თუშების მონაწილეობას. კახეთის მეფეების ლევანისა და ალექსანდრეს დროს რუ-

36 ვახუშტი ვ. ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება, თბილისი, 1913, გვ. 158.

37 იქვე, გვ. 161.

38 იქვე, გვ. 163.

39 იქვე.

სეთთან დამყარებული ურთიერთობა თურქ-სპარსთა გაძლიერებული აგრესიის ვაშლად წყდება 1604 წელს; ეს ურთიერთობა აღდგენილ იქნა თეიმურაზ პირველის მიერ მხოლოდ 1635 წელს.

როგორც მ. ბროსე აღნიშნავს<sup>40</sup>, თეიმურაზ პირველი 1635 წელს რუსეთში გზავნის ელჩებს ნიკიფორე არქიმანდრიტის მეთაურობით. 1636 წ. 17 სექტემბერს მოსკოვში ჩასულ ნიკიფორე არქიმანდრიტს რუსეთის მეფისათვის გადაუცია თეიმურაზ პირველის წერილი, სადაც თეიმურაზი რუსეთის მეფეს სთხოვდა—აღედგინა ძველად არსებული ურთიერთობა და ქრისტიანული ივერია მიეღო თავის ქვეშევრდომად, ამავე დროს თეიმურაზი ითხოვდა, მიეცათ მისთვის ჯარი, სხვადასხვა პროფესიის ხელოსნები, დაებრუნებინათ საქართველოში რუსეთში მყოფი ქართველები და სხვა.

თავის მხრივ ნიკიფორე არქიმანდრიტი ცდილობდა, საქართველოში დაეინტერესებინა მოსკოვის სამეფო კარი და რუსეთ-საქართველოს შორის ქმედითი პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა დაემყარებინა. 1637 წლის 25 აპრილს ქართველი ელჩები გამოაგზავნეს უკან და თან გამოაყოლეს საპასუხო ვიზიტით რუსეთის ელჩები თავად თევდორე ვოლკონსკის მეთაურობით; საელჩოს ძირითადი მიზანი მ. პოლიევქტოვს ასე აქვს განსაზღვრული „...во главе посольства был поставлен представитель старой феодальной аристократии Князь Федор Волконский; деловая сторона посольства возлагалась на дьяка, Артемия Хватова. На посольство, кроме главново задания —оформить отношения царя Теимураса к Москве, возлагалось обследование положения дел в Грузии и состояния этой страны“<sup>41</sup>.

XVII საუკუნის 40-იან წლებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოეწყო რუსთა პირველი ელჩობა კახეთში. ამ პერიოდიდან თუშეთი პირველად გვხვდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დოკუმენტებში. რუსეთის ელჩებთან ჩრდილოეთ კავკასიაში შესახვედრად იგზავნებიან თეიმურაზის წარმომადგენლები. თეიმურაზ პირველის მიერ რუსი ელჩებისადმი მიწერილი წერილს შინაარსი, მ. პოლიევქტოვის მიხედვით, ასეთია:

„...Июля в 8 де Грузинского Теимураса царя Азнауры Димитрей и Ивана да дьяк Нафанайло да Сотник Григорией были у послов, и послом правили от Теймураза царя Челобитье да подали от царя грамоту. А говорили, что Государь их Теимураз царь прислал их Азнауров да дьяка к вам Ц-ого в-во к послам. А велел вам говорить, чтоб шли к нему в Грузи. А шли б на мундара да хавсу да на Туси: а от хавсы—де в трех днишах Теимураса Царь стоит сам и дожидаетца вас ц-ого в-ва послов и дорогу очистил“<sup>42</sup>.

<sup>40</sup> М. Броссе. Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государями от 1659 г. по 1770 г., С.-Петербург. 1861, гл. XXIX.

<sup>41</sup> М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, Тбилиси, 1937, предисловие, гл. XXVIII.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 244—245.

აქვე ვიგებთ, რომ თეიმურაზ პირველის წარმომადგენლები რუსეთის ელჩებს ხვდებიან „ხავსაში“— „Они ехали от Теимуразы царя на Туси, а с тусией на хавсу“<sup>43</sup>, ხოლო თეიმურაზი ხავსის ტერიტორიიდან სამი დღის სავალზე მდგარა. უნდა ვივარაუდოთ, რომ თეიმურაზი თუშეთში ან მის ახლომასლო ტერიტორიაზე უნდა მდგარიყო.

ამ წერილში ოფიციალურად მოხსენიებულია თუშეთის მიწაც; „А план б на мундара да на Хавсу да на Туси“<sup>44</sup>. Тусი იგივე თუშეთია, რომელიც 1638 წელს თეიმურაზ პირველის სამფლობელოში შედის. რუსეთის ელჩების მოლოდინში თეიმურაზ მეფეს მათ თუშეთში მათ შესახვედრად მოსამზადებელი მუშაობა ჩაუტარებია; განუახლებია ეკლესიები, ჩაუტარებია ქრისტიანული რიტუალები და სხვა. წერილში ნახსენები „ხავსა“, როგორც პოლიეკტოვი განმარტავს, ჩერქეზთა ტერიტორია ყოფილა და კახეთის მეფესთან მის მფლობელს მეგობრული ურთიერთობა ჰქონია. ეს მეგობრული ურთიერთობა გამომდინარეობდა მოსკოვის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკიდან. „... Наоборот, отношения Кахетии с Черкесией, в частности с кабардинскими феодалами, были, по-видимому, скорее добрососедские“<sup>45</sup>.

ხავსას ტერიტორიიდან წამოსული რუსეთის ელჩები 1638 წლის 6 აგვისტოს თუშეთში მოსულან და აქ საქართველოს მიწა-წყალზე მათ პირველად მიუღიათ თეიმურაზ პირველის გამოგზავნილი მისართმევი. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თუშეთში მოსული ელჩები დაინტერესებულან, თუ ვის მფლობელობაში იყო თუშეთის ეს სასაზღვრო მიწები და ვინ იყო მისი პატრონი.

როგორც თეიმურაზ პირველის წარმომადგენლის პასუხიდან ჩანს (იხ. ზემოთ 81-ე გვერდზე, ციტატი პოლიეკტოვის შრომიდან—Материалы по истории грузино-русских взаимоотношений), თუშეთში იმ დროს თეიმურაზ პირველის სრული ძალაუფლება ყოფილა დამკვიდრებული. მართალია, საქართველოს მთიანეთი, კერძოდ თუშეთი, დაკავშირებული იყო კახეთის ცენტრალიზებულ ხელისუფლებასთან, მაგრამ კახეთის დაბლობში ირანელების გაბატონებისა და კახეთიდან თეიმურაზ პირველის წასვლის შემდეგ თეიმურაზსა და თუშებს შორის ურთიერთობა უფრო განმტკიცებულა; რადგან საქართველოს მთიანეთი თეიმურაზ პირველის მეთაურობით იკრებს ძალებს და იწყებს გზების ძიებას გარედან დახმარებით საქართველოს დამპყრობთაგან განთავისუფლებისათვის.

თეიმურაზ პირველის მეფობის დროს აღდგენილმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობამ ვერ გამოიღო ქმედითი შედეგები. მაშინ რუსეთს ჯერ კიდევ არ შეეძლო საქართველოსათვის დახმარების აღმოჩენა. სამაგიეროდ, რუსეთ-საქარ-

<sup>43</sup> М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений. Тбилиси, 1937, гл. 244.

<sup>44</sup> იქვე, предисловие, гл. IX.

<sup>45</sup> იქვე.

თველოს ურთიერთობით გაშმაგებულმა ირანის შაჰმა სცადა აღმოსავლეთ საქართველოს სრული მოსპობა ან გამაჰმადიანება.

1648 წელს თეიმურაზის დამარცხების შემდეგ კახეთი ქართლის მეფე როსტომს გადასცეს საგანმგებლოდ.

მართალია, როსტომის საშინაო პოლიტიკა საქართველოს გამაჰმადიანებისაკენ იყო მიმართული, მაგრამ, ალბათ, შემდგომ არც როსტომი აღმოჩნდა ირანისათვის საიმედო—1656 წელს კახეთი ჩამოაცილეს მის მმართველობას და განჯის ხანს სელიმს გადასცეს. ამის შემდეგ საქართველო კვლავ განსაცდელში ვარდებოდა. „სელიმ-ხანმა ორი წლის განმავლობაში ჩამოასახლა თურქმანთა დიდი ურდოები ბახტრიონს, ალავერდსა და კახეთის სხვა მნიშვნელოვან ადგილებში“<sup>46</sup>. 1657-58 წლებში სელიმ-ხანის ბრძანებით, ბახტრიონში ააშენეს ციხე-სიმაგრე და შიგ ყოზილბაში მეციხოვნენი ჩაყენეს. ამ ღონისძიების გატარებით ირანი მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ საქართველოს ერთადერთი თავისუფალი კუთხის, საქართველოს მთიანეთის. ხელში ჩაგდებას, ქართლ-კახეთის მთლიანად დამორჩილების საქმეში ირანს ხელს უშლიდა საქართველოს მთიანეთი, კერძოდ, თუშ-ფშავ-ხევსურეთის მცხოვრებნი, რომელნიც ბართან სასიკოტნლოდ იყვნენ დაკავშირებულნი; ბარს დაკარგვა მთიანეთს დაღუპვას უქადდა; ამასთანავე ერთობრწმუნე ქართველები ირანის საგარეო პოლიტიკის მეოხებით ან უნდა განადგურებულიყვნენ ანდა გამაჰმადიანების შემდეგ ეს კუთხე ირანის პროვინციად უნდა ქცეულიყო. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მთიანეთი აღმოსავლეთ საქართველოს მძიმე და განსაცდელის ჟამს ბრძოლისათვის გზებს ეძიებს და თეიმურაზ პირველს უშუალო ხელმძღვანელობით იწყებს რუსეთთან ურთიერთობის დამყარებას ირანის წინააღმდეგ. 1656 წლიდან ირანი ღებულობს საგანგებო ზომებს საქართველოს მთიანეთის ხელში ჩასაგდებად. საქართველოს ბარის განსაცდელი მთიანეთის განსაცდელიც იყო.

ჩვენთვის საინტერესო მასალებს იძლევა მოსკოვის ძველი აქტების არქივში დაცული დოკუმენტები, რომლებიც ეხება საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) ურთიერთობას მოსკოვის სამეფო კართან. თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან 1657 წელს მოსკოვის სამეფო კარზე გაგზავნილ დელეგაციას (სამი კაცის შემადგენლობით) წარუდგენია პირველი წერილობითი თხოვნა<sup>47</sup>, რომ: თუშები, ხევსურები და ფშავლები მიიღონ რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომებად და აღმოუჩინონ მათ დახმარება ურჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლაში. წერილი რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების სურვილითაა გამსჭვალული, წერილის შედგენაში, ალბათ, იმ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი მეფე თეიმურაზ პირველის ხელი უნდა ერიოს ან უშუალოდ მისი წარმომადგენლის მიერ უნდა იყოს შედგენილი. მოსკოვში ჩასული თუშების, ხევსურების და ფშავლების წარმომადგენლებს მოსკოვის მეფისათვის მიუციათ „საღიკარი წიგნი“ ანუ ფიცის წიგნი<sup>48</sup>, რომელიც შედგე-

<sup>46</sup> საქართველოს ისტორია. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. ლუმაბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატციანი, თბილისი, 1958, გვ. 303.

<sup>47</sup> Московский государственный архив феодально-крепостнической эпохи. Архив древних актов, фонд Грузинских трактатов, № 10, часть III, дело 339, лист 19—20.

<sup>48</sup> იქვე. გვ. 17—18.

ხილია რუსულ ენაზე; თუშები, ხევსურები და ფშავლები ფიცს დებენ, რომ არ იმეგობრებენ და არ დადებენ ხელშეკრულებას არავისთან, რომელთანაც რუსეთს უთანხმოება ექნება. შემდეგ ფიცს აძლევენ, რომ თუ მისი (რუსეთის) მოწინააღმდეგე თათრები, ყირიმის ხანი ან სხვა ვინმე გადაწყვეტს, იმოქმედოს მეფის მაღალი ხელისუფლების წინააღმდეგ, ისინი, ე. ი. თუშები, ფშავლები და ხევსურები, უმაღვე მიიღებენ ზომებს—შეატყობინონ რუსეთის მეფეს.

მეფე ალექსი მიხეილის ძემ, ალბათ, ფიცის მიღების შემდეგ მოითხოვა აღნიშნული ადგილებიდან მძევლები, რომლის ძალითაც 1658 წელს მოეწყო მეორე ელჩობა<sup>49</sup>. დოკუმენტებიდან ვტყობილობთ, რომ მოსკოვის მეფის კარზე გაუგზავნიათ არა სამი, არამედ ცხრა წარმომადგენელი. მეორე ელჩობის შემადგენლობის ვინაობის გარკვევა ძნელია, ძნელია იმის დადგენაც, თუ რომელმა ტომმა ჩამდენი წარმომადგენელი გაგზავნა, მაგრამ სავარაუდოა, რომ სამივე ტომი წარმომადგენლებს გაგზავნიდა თანატოლად.

ჩვენ ვიცით, რომ 1658 წელი აღმოსავლეთ საქართველოსათვის უაღრესად დაძაბული პერიოდი და ამ პერიოდში საქართველოს მთიანეთის წარმომადგენლები მოსკოვის მეფეს აძლევენ მეორე მიმართვას. ისინი ამ მიმართვაში დაჟინებით მოითხოვდნენ დახმარების აღმოჩენას ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მეორე მიმართვის შესავალ ნაწილში ქება-დიდებას ასხამენ მეფეს, როგორც მთელი საქრისტიანოს მფარველს. შემდეგ საქართველოს წარგზავნილები აღნიშნავენ, რომ მათ ერთობლივად თავი დაუკრეს და აღიარეს რუსეთის მეფის მფარველობა საქართველოს მიწა-წყალზე და მზად არიან ემსახურონ მას, ოღონდ რუსეთის მეფემ მისცეს ჭარი და იარაღი საქართველოდან ურწმუნოთა გასადევნად. თუშ-ფშავ-ხევსურეთის წარმომადგენლების ეს მეორე მიმართვაც, უნდა ვიფიქროთ, რომ თეიმურაზ პირველის ანდა მისი წარმომადგენლის უშუალო მონაწილეობით იქნებოდა შედგენილი; ამ პატარა კუთხის დელეგაცია მთელი საქართველოს სახელით უმაღლესი მეფის ხელისუფლების წარმომადგენლის გარეშე ვერ გამოვიდოდა.

მაგრამ, მიუხედავად დიდი ცდისა და მეცადინეობისა, ვერც ქართველმა მოწინავე ადამიანებმა თეიმურაზ მეფის მეთაურობით და ვერც საქართველოს მთიანეთის წარმომადგენლებმა იმ დროს რუსეთიდან დახმარების მიღების სასურველ შედეგებს ვერ მიაღწიეს. ქართველ მოწინავე ადამიანთა ოცნება რუსეთთან ურთიერთობის მტკიცე საფუძვლების შესახებ განხორციელებულ იქნა მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს.

<sup>49</sup> Московский государственный архив, феодально-крепостнической эпохи. Архив древних Актов. фонд Грузинских трактатов, № 10, часть III, дело № 339, лист. 17—18.

# საქართველოში ვენეციური ოქროს ღუგუნიის მიმოხილვის საქითხისათვის

## 6. ქვეპირობა

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. წერეთელმა)

საქართველოს მიწა-წყალზე აღმოჩენილი ნუმიზმატიკური ძეგლებით დასტურდება, რომ ადგილობრივი ქართული ფულის გვერდით ჩვენში მუდმივად ტრიალებდა უცხო ქვეყნებიდან შემოსული მონეტებიც. ხშირად ყოფილა, რომ საქართველოში უცხო ქვეყნის მონეტები მასობრივად გავრცელებულა და ბრუნვაში დაკანონებულა. ადგილობრივ მონეტებთან უცხო ფულის მიმოქცევა არ არის დამახასიათებელი მართო ქართული ნუმიზმატიკისათვის. უცხო სახელმწიფოების ნუმიზმატიკასაც რომ მივმართოთ, აქაც მსგავს მოვლენას დავინახავთ. როგორც ირკვევა, წარსულში სახელმწიფო არავითარ დაბრკოლებას არ უქმნიდა თავის ტერიტორიაზე უცხო ფულის შემოსვლასა და ბრუნვაში დაკანონებას. ეს ვრცელდებოდა ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც მათ შორის განუწყვეტელი უთანხმოება და ომიანობა იყო. მაგალითად, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, ოსმალეთსა და ვენეციას შორის შეიღწერა ჰქონდა ადგილი საომარ მოქმედებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვენეციური დუკატები ალთუნების თანაბრად ბრუნვადნენ ოსმალეთის ფულად მიმოქცევაში.

უცხო მონეტებიდან, ჩვეულებრივ, შემოდის და ვრცელდება ის, რომელიც უბირატეს მდგომარეობას იხვეჭს საერთაშორისო ბაზარზე. მონეტების ასეთ ჯგუფს ეკუთვნოდა ვენეციური ოქროს დუკატები. ამ მონეტებს საერთაშორისო ბაზარზე ხალისით ღებულობდნენ, რადგან მისი მომჭრელი ქვეყანა დიდი სავაჭრო სახელმწიფო იყო და თვით მონეტებიც ტექნიკურად კარგად იყო შესრულებული.

ცალკეული ცალებისა და განძების სახით საქართველოს მიწა-წყალზე ვენეციური ოქროს დუკატების აღმოჩენის მხოლოდ ხუთი შემთხვევაა დღეისათვის ფიქსირებული. მაგრამ ჩვენ მაინც შევეცდებით, ამ მცირე ნუმიზმატიკური მასალისა და წერილობითი წყაროების ანალიზის საშუალებით ნაწილობრივ მაინც წარმოვადგინოთ საქართველოში ამ მონეტების მიმოქცევის სურათი.

გვაროსნული ლაშქრობიდან მოყოლებული ქალაქი ვენეცია ევროპის უძლიერეს საზღვაო სავაჭრო რესპუბლიკად გადაიქცა. ვენეციის ამალღების საფუძველს საშუამავლო ვაჭრობა წარმოადგენდა. ვენეციური ხომალდები დაცურავდნენ ხმელთაშუა და შავი ზღვის რაიონებში და იქ შეძენილი აღმოსავლური საქონელი გიბრალტარის სრუტით ევროპის სახელმწიფოებში გაჰქონდათ. ვენეციის რესპუბლიკის სულ უფრო და უფრო მზარდი ვაჭრობა მახლობელი და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან და სავაჭრო ბაზრებიდან კონკურენტების განდევნის სურვილი მყარი ვალუტის შექმნას მოითხოვდა, მიო

უმეტეს, რომ მის მოქიშე სახელმწიფოებში, ვენუასა და ფლორენციაში ასეთი ვალუტა ოქროს მონეტების სახით უკვე არსებობდა: XII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჯენოვანი დორო ვენუაში<sup>1</sup> და 1252 წლიდან ფლორინები ფლორენციაში<sup>2</sup>.

1284 წელს ვენეციაში პირველად მოჭრეს ოქროს მონეტები, რომლებიც ძაბზე მოთავსებული ზედწერილის შემადგენელი ერთ-ერთი სიტყვის დუკატის (ducatus) სახელითაა ცნობილი<sup>3</sup>. აღსანიშნავია, რომ ამ მონეტებს საკუთრივ ვენეციაში ცეხინებსაც (zecchino) ეძახდნენ. ოქროს მონეტების სახელწოდებას დუკატს პირველად XI საუკუნეში ვზედებით ბიზანტიის იმპერატორების კონსტანტინე X (1059—1067 წწ.) და მიხეილ VII (1071—1078 წწ.) დუკას საგვარეულო სახელთან დაკავშირებით<sup>4</sup>. მაგრამ ვენეციური ოქროს მონეტების სახელწოდება ლათინური წარმოშობის უნდა იყოს. იგი წარმოდგა სიტყვისაგან *dux* (ბელადი, ჰერცოგი) და ჯერ ჰერცოგს, ხოლო შემდეგ საჰერცოგოს აღნიშნავდა<sup>5</sup>. ფეოდალური იერარქიული კიბის ეს ტიტული დასავლეთ ევროპაში მონეტებზე პირველად აღბეჭდა სიცილიის ორივე სამეფოს მმართველმა როჟერ II 1135 წელს, რომლის მონეტებზე, მეფის სახელის გვერდით, ვკითხულობთ „ducatus Apuliae“ (აპულიის ჰერცოგი)<sup>6</sup>. დროთა განმავლობაში ეს ტიტული, შემოკლებული სახით ხალხურ მეტყველებაში შევიდა მონეტის აღმნიშვნელ ტერმინად. რაც შეეხება ვენეციური ოქროს მონეტების მეორე სახელწოდებას—ცეხინს, იგი წარმოსდგა სიტყვიდან *zecca*—ზარაფხანა<sup>7</sup>.

ვენეციური ოქროს დუკატი, წონით 3,559 გრამი, ბრუნვაში შემოიღო ვენეციის დოჟმა ჯოვანი დანდოლომ (1280—1289 წწ.). მონეტის ტიპი მისი არსებობის მანძილზე ძირითადად უცვლელი დარჩა. ვენეციური დუკატები სწრაფად გავრცელდა ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში და XIV საუკუნიდან საერთაშორისო ვალუტის როლში გვევლინება. ამავე საუკუნიდან ვენეციური დუკატების მიზაძვით ოქროს მონეტების მოჭრას იტალიის სხვა ქალაქებიც იწყებენ: ნეაპოლი, რომი, ბოლონია და სხვები. იტალიის ქალაქების მაგალითს მალე ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებმაც წაბადეს. მათგან პირველი იყო უნგრეთი. სადაც 1325 წლიდან დაიწყო ჯერ წმინდა-ვლადისლავის ფლორინების, ხოლო ცოტა გვიან დუკატების მოჭრა<sup>8</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ უნგრულ დუკატებს საქართველომდეც მიუღწევია. არქანჯელო ლამბერტი „სამეგრელოს აღწერაში“ მათ უნგრულს უწოდებს<sup>9</sup>.

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოში ჯერ ბიზანტიურს, ხოლო შემდეგ ვენეციურ დუკატებს გაეცვენ. ბიზანტიურს თითქმის მისი მოჭრისთანავე, ხოლო ვენეციურს შედარებით გვიან, რაც დასტურდება, როგორც ნუმისმატიკური ძეგლებით, ისე წერილობითი წყაროებითაც.

<sup>1</sup> С. А. Розанов. Золотые „Лобанчики“. Труды отдела нумизматики государственного Эрмитажа, т. I. Ленинград, 1945, гл. 147.

<sup>2</sup> Дж. Луцатто, Экономическая история Италии, Москва, 1954, гл. 410.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 411.

<sup>4</sup> С. А. Розанов, მითითებული ნაშრომი, გვ. 246.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 147.

<sup>6</sup> C. Vengara, Moneta del regno di Napoli, Roma, 1716, гл. 7.

<sup>7</sup> Fr. Schrötter. Handwörterbuch der Münzkunde, Berlin, 1930, гл. 754.

<sup>8</sup> С. А. Розанов, მითითებული ნაშრომი, გვ. 148.

<sup>9</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938, გვ. 156.

XI საუკუნის ნიკორწმინდის სიგელში ვკითხულობთ: „ვიყიდე ვლენი და ძივეც ფასად ცხენიაა: დრაჰკანი დაუკატი (დუკატი—რ. ქ.) :ზ: და ფური<sup>10</sup>. ამავე საუკუნის ათონის მონასტრის № 43 აღაპში: „...მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი დუკად მიხაილატი“<sup>11</sup>.

დუკატი ნახსენებია დავით აღმაშენებლის ანდერძშიც (XII საუკუნის პირველი ნახევარი) „ხოლო დრაჰკანი კონსტანტი... დუკატი და პოტინატი (პოტინატი—რ. ქ.)... თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღვარსა ჩემსა“<sup>12</sup>.

დუკატი შემდეგი საუკუნეების საბუთებშიც იხსენიება. მაგალითად 1227—1230 წლების საბუთში „...ოცი დუკატი მისთა ყმათა მოურავსა და მიმიცემია“<sup>13</sup>. შიო მღვიმის 1376 წლის ეტრატში „...გაგიმართეთ ალაბი ტრაპეზსა ზედა და ამისად საფასოდ ავიღეთ ფასი სრული ას და ათ დრაჰკანი დუკატი, ... ესე ლუმლად იქნების სამასისა პოტინატისა“<sup>14</sup>.

ამ წყაროებში მოხსენებული დუკატები მიხეილ VII დუკას უნდა ეკუთვნოდეს. მართალია, ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვექონდა, რომ ბიზანტიურმა დუკატებმა თავისი სახელწოდება კონსტანტინე X და მიხეილ VII დუკასაგან მიიღეს, მაგრამ საქართველოში, როგორც ეს წერილობით ცნობებიდან ირკვევა, დუკატს მხოლოდ მიხეილ VII მონეტებს უწოდებდნენ<sup>15</sup>. ზოგჯერ საბუთებში პირდაპირაა აღნიშნული „დუკატ მიხაილატი“, ხოლო კონსტანტინე X მონეტები კი „დრაჰკანი კონსტანტინატისა და კონსტანტის“ სახელწოდებით იხსენიება.

ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ბიზანტიური ფულის ტერმინები და ნუმიზმატიკური განძების აღმოჩენის შემთხვევები მიუთითებენ იმაზე, რომ XI—XIV საუკუნეებში ბიზანტიური ოქროს მონეტები დიდი მნიშვნელობის ფაქტორი ყოფილა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში. ამრიგად, XI საუკუნეში შემოსული ბიზანტიური დუკატები კიდევ სამი საუკუნე განაგრძობენ მოქმედებას საქართველოს ფულად მიმოქცევაში, ვიდრე მათი ადგილი XV საუკუნიდან ვენეციურმა ოქროს დუკატებმა არ დაიკავეს.

XVI საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ძვრები მოხდა—1329 წელს საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა. მან თავიდან მოიცილა მონღოლთა ბატონობის უღელი და ქვეყნად მშვიდობიანობა და წესრიგი დამყარდა. საქართველომ ეკონომიური ურთიერთობა დაამყარა ოქროს ურდოსთან, მცირე აზიის ქვეყნებთან და ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან, კერძოდ ვენეციასა და გენუასთან. საქართველოსა და იტალიის ამ ქალაქების ეკონომიური ურთიერთობა ხორციელდებოდა შავი ზღვის ჩრდილო და აღმოსავლეთ სანაპიროებზე იტალიელთა მიერ დაარსებული სავაჭრო ფაქტორების მეოხებით.

მონღოლთა დაპყრობების შედეგად, რომლებმაც გააერთიანეს მახლობელი და შორეული აღმოსავლეთი, უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა ცენტრალური და შუა აზიიდან შავი ზღვისაკენ გამავალმა ჩრდილოეთის სატრან-

10 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, ტფილისი, 1897, გვ. 47.

11 ათონის ივერიის მონასტრის 1075 წ. აღაპები, თბილისი, 1901, გვ. 226.

12 თ. ჟორდანიას, მითითებული ნაშრომი, გვ. 51.

13 იქვე, გვ. 102.

14 იქვე, გვ. 189.

15 თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, შოთა რუსთაველის ეპოქის ბატონიშვილი კულტურა, თბილისი, 1938, გვ. 300.



ზიტო გზებმა. იტალიის ქალაქების სავაჭრო კაპიტალს, შავ ზღვაში ნებისა და მონღოლებთან ურთიერთობის დამყარების შემთხვევაში, ფართო სამოქმედო ასპარეზი ეხსენებოდა. ამით აიხსნება იტალიის ქალაქების განსაკუთრებული ყურადღება შავი ზღვის ჩრდილო და აღმოსავლეთ სანაპიროებისადმი, რომლებიც XIII საუკუნიდან ვენეციისა და, განსაკუთრებით კი გენუის სავაჭრო ფაქტორიების დაარსების უმნიშვნელოვანეს ობიექტად გადაიქცა.

შავი ზღვის სანაპიროები აღრიდანვე იქცევა იტალიელი ვაჭრების ყურადღებას. ჯვაროსნული ლაშქრობების დროს იტალიის ქალაქ-სახელმწიფოების სავაჭრო კაპიტალმა ისარგებლა ბიზანტიის დაცემით, განდევნა იგი ხმელთაშუა ზღვის ბაზრებიდან და ფეხი მოიკრია შავი ზღვის რაიონებშიც.

ჯერ კიდევ 1170 წელს გენუელმა ვაჭრებმა შავი ზღვის სანაპიროებზე „თავისუფალი ვაჭრობის“ ხელშეკრულება დადეს ბიზანტიის იმპერატორ მანუილთან<sup>16</sup>, ხოლო 1204 წელს, როცა ჯვაროსნებმა ვენეციის წაქეზებით დაამხეს ბიზანტიის იმპერია, ვენეციელმა ვაჭრებმა ხმელთაშუა და შავი ზღვის რაიონებში მონაპოლიური ვაჭრობის უფლება მიიღეს. თავდაპირველად ვენეციის გავლენა შავი ზღვის სანაპიროებზე განუხრელად იზრდებოდა. მისი მუდმივი კონკურენტები გენუა და პიზა ურთიერთშორის ბრძოლით იყვნენ გართულნი. მაგრამ ბრძოლის დამთავრებისთანავე პიზამ ლათინთა იმპერატორებისაგან მიიღო შავ ზღვაში შემოსვლის უფლება და ახლანდელი ტაგანროგის მახლობლად დააარსა სავაჭრო ფაქტორია *Portus Pisanus*<sup>17</sup>. ხოლო გენუელები, შავ ზღვაში შემოსვლაზე უარის მიღების შემდეგ, დაუკავშირდნენ ნიკეის იმპერატორს მიხეილ პალეოლოგს, რომელმაც 1261 წელს მათი დახმარებით აიღო კონსტანტინოპოლი და აღადგინა ბიზანტიის იმპერია. დახმარების გაწევისათვის გენუელებს გადაეცათ ის პრივილეგიები და უფლებები, რომლებითაც აქამდე სარგებლობდნენ ვენეციელები.

თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით, გენუელებმა შავი ზღვის ჩრდილო და აღმოსავლეთ სანაპიროებზე 41 სავაჭრო ფაქტორია და სადგომი პუნქტი დააარსეს: კაფა, ტანა, ბალაკლავა, სოლდაია, კოპა, შატრევა და სხვა<sup>18</sup>. ამთავან უპირატესი მდგომარეობა მიიღო შავი ზღვის სანაპიროების გენუელთა ფაქტორიების მმართველობისა და ვაჭრობის ცენტრმა კაფამ (ახლანდელმა ფეოდოსიამ), რომელზე გავლითაც წარმოებდა ვაჭრობა რუსეთთან, ირანთან, ცენტრალურ აზიასა და ჩინეთთან. კაფამ, როგორც დიდმნიშვნელოვანმა სავაჭრო ცენტრმა, მრავალი ქვეყნის და მათ შორის საქართველოს ვაჭართა წრეებიც მიიზიდა. აღნიშნულს ის ფაქტი ადასტურებს, რომ 1475 წელს, როდესაც ოსმალებმა აიღეს კაფა, მის მოსახლეობას იტალიელი, ბერძენი, ფრანგი, რუსი, სომეხი და ზოგიერთი სხვა ეროვნების ვაჭრების გვერდით ქართველებიც შეადგენდნენ<sup>19</sup>.

შავი ზღვის სანაპიროებზე გენუელთა ფაქტორიების გვერდით, ვენეციური ფაქტორიებიც აღმოცენდა. მიხეილ პალეოლოგმა, ბიზანტიის იმპერიის აღდგე-

<sup>16</sup> А. Фадеев, Краткий очерк истории Абхазии, часть первая, Сухуми, 1934, 83-109.

<sup>17</sup> Е. С. Зевакин и Н. А. Пенчко, Очерки по истории генуэзских колоний на Западном Кавказе, Исторические записки № 3, Ленинград, 1938, 83. 76.

<sup>18</sup> იქვე, 83. 79.

<sup>19</sup> Е. Д. Фелицын, Некоторые сведения о средневековых генуэзских поселениях в Крыму и кубанской обл., Кубанский сбор., т. IX, Екатеринодар, 1899, 83. 7.

სიდან ოთხი წლის შემდეგ, ვენეციელებს შავიზღვისპირეთთან ძველი ურთიერთობის აღდგენის უფლება დართო. ვენეციელები დაუყოვნებლივ შემოვიდნენ შავ ზღვაში და სოლდაიაში დამკვიდრდნენ, რომელსაც ისინი 1365 წლამდე ფლობდნენ<sup>20</sup>. 1332 წელს ვენეციელებმა უზბეკ ხანის ნებართვით ტანაში, გენუელების გვერდით, საკუთარი ფაქტორია დააარსეს<sup>21</sup>. ამ ფაქტორიამ თითქმის ისეთივე მნიშვნელობა მიიღო, რაც კავთამ. ტანაში მთავრდებოდა ჩინეთიდან და ინდოეთიდან შავი ზღვის სანაპიროებისაკენ გამავალი ჩრდილოეთის სატრანზიტო გზები. რომლებზეც ისე უშიშრად შეიძლებოდა მგზავრობა, როგორც საკუთარ სახლში<sup>22</sup>. ვენეციელმა ვაჭრებმა შავ ზღვაში შემოსვლისთანავე მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს ყირიმსა და კავკასიასთან. უკვე 1263 წელს ისინი ყირიმში ყიდულობდნენ ხორბლფულსა და ტყვეებს. შავიზღვისპირეთთან ვენეციელთა სავაჭრო ურთიერთობაზე მეტყველებს XIII საუკუნის დასასრულს ყირიმში ვენეციური დუკატების გავრცელების ფაქტი<sup>23</sup>.

შავი ზღვის სანაპიროებზე გენუისა და ვენეციის დამკვიდრების შედეგად დიდმნიშვნელოვანი ძვრები მოხდა საქართველოსა და იტალიის ამ ქალაქების სვაჭრო ურთიერთობის დამყარების საქმეში. XVI საუკუნის პირველ მეოთხედში დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა რაიონებში დაარსდა გენუელთა შემდეგი ფაქტორიები:

ჰაკარი (Hacar) გაგრაში

სანტა-სოფია (Santa-Soffia) სოფელ ალახაძის მახლობლად.

პეკონდა (Peconda) ბიჭვინტის ყურეში

კავო დი ბუქსო (Cavo di Buxo) გულდაუთის მახლობლად

ნიკოფა (Nicoffa) ახალ ათონში

სევასტოპოლი (Sevastopoli) სოხუმში

სანტ-ანჯელო (Sant-Angelo) შიონარე ენგურის შესართავის მახლობლად<sup>24</sup>.

ამ ფაქტორიებიდან თავისი გეოგრაფიული მდებარეობით გარკვეული მნიშვნელობა მოიპოვა სევასტოპოლმა, რომელაც ერთ დროს კავკასიაში გენუელთა ფაქტორიების პროტექტორის რეზიდენციას წარმოადგენდა. სევასტოპოლში თავს იყრიდა შავი ზღვის სანაპიროებთან ცენტრალური კავკასიისა და იმერეთ-გურიის დამაკავშირებელი უძველესი სავაჭრო გზები<sup>25</sup>. დასავლეთ საქართველოში გენუელების მიერ სავაჭრო ფაქტორიების დაარსება, ცხადია, მიზნად ისახავდა საერთოდ საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას. როგორც ირკვევა, იტალიელი ვაჭრები ზღვიდან არც თუ ისე მცირე მანძილით დაცილებული იმერეთისა და გურიის ხშირი სტუმრები ყოფილან<sup>26</sup>. საისტორიო ლიტერატურაში დაცულია ცნობები ქუთაისში გენუელთა ფაქტო-

<sup>20</sup> Ф. Брун, Черноморье, ч. II, Одесса, 1880, გვ. 142.

<sup>21</sup> Е. С. Зевакин и Н. А. Пенчко, Митითებული ნაშრომი, გვ. 76.

<sup>22</sup> შუა საუკუნეების ისტორია, ტ. II, თბილისი, 1949, გვ. 19.

<sup>23</sup> Е. С. Зевакин и Н. А. Пенчко, Митითებული ნაშრომი, გვ. 76.

<sup>24</sup> З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.), Сухуми, 1950, გვ. 244.

<sup>25</sup> Ф. Брун, Черноморье, ч. I, Одесса, 1879, გვ. 293.

<sup>26</sup> იქვე.

რის დაარსებისა<sup>27</sup> და თბილისში იტალიელი ვაჭრების ხშირი მიმოსვლის შე-  
სახებ<sup>28</sup>.

საქართველოში იტალიელ ვაჭრებს, პირველი მოხმარების საგნების—მა-  
რილისა და ხმელი თევზის გვერდით, შემოჰქონდათ საერო და საეკლესიო ფე-  
ოდალური არისტოკრატისათვის განკუთვნილი მრავალი სახეობის ძვირფასი  
საქონელი: იარაღი, ქსოვილები, სამკაულები, სანელებლები და სხვა. ხოლო  
გაჰქონდათ ხე-ტყე (ბზა), თაფლი, ცვილი, მიწათმოქმედების პროდუქტები და,  
რაც მთავარია, მიჰყავდათ ტყვეები.

აღნიშნულ პირობებში საქართველოსა და იტალიის ქალაქების ეკონომი-  
ური ურთიერთობის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი იყო, რომ  
ჩვენში მიმოქცევაში ყოფილიყო ის მონეტები, რომლებიც საკვლევი პერიოდის  
საერთაშორისო ანგარიშსწორების საშუალებას წარმოადგენდა.

ასეთ მონეტებს, როგორც ეს საისტორიო და სპეციალური ნუმიზმატიკე-  
ური ლიტერატურიდან ირკვევა, წარმოადგენდა ასპრები და ღუკატები. ასპ-  
რები XIII—XV საუკუნეებში ვერცხლის ფულის აღმნიშვნელ ზოგად ტერმი-  
ნად იხმარებოდა. იტალიის საარქივო მასალების მიხედვით, შავი ზღვის ფაქ-  
ტორიებში მიმოქცევაში ყოფილა ბერძნული (ე. ი., ტრაპიზონული) ასპრები,  
aspri danga (თანგა), ქ. კაფის ასპრები, რომლებიც bariceti-ის<sup>29</sup> სა-  
ხელწოდებითაც იხსენიება და sommi (სხვადასხვა წონისა და ღირებულების  
ვერცხლის ნაჭრები)<sup>30</sup>.

ამ მონეტებიდან საქართველოში გავრცელებული იყო ტრაპიზონული ას-  
პრი, თანგა და სომი<sup>31</sup>. XIII—XV საუკუნეებში საქართველოში მიმოქცევაში  
ყოფი ზემოთ ჩამოთვლილი მონეტების გარდა უნდა დაეახსახლოთ დასავლურ  
ქართული კირმანეული თეთრი, რომელთა პირველი ცალები XIII საუკუნის  
ტრაპიზონული ასპრების ანალოგიასა და გამეორებას წარმოადგენდნენ. მათსა-  
დამე, ქართული კირმანეული და ტრაპიზონული ასპრები ერთიან სამონეტო  
სისტემას შეადგენდნენ და თანაბრად მონაწილეობდნენ შავი ზღვის იტალიელ-  
თა ფაქტორიების ფულად მიმოქცევაში. ამიტომ იტალიის საარქივო მასალებ-  
ში აღნიშნულ „ბერძნულ ასპრებში“ ტრაპიზონული ასპრების გვერდით ქარ-  
თული კირმანეულიც უნდა ვიგულისხმოთ.

ზემოთ აღნიშნული გვექონდა, რომ უცხო მონეტებიდან უპირატესობა ჩვენ-  
ულებრივ ეძლეოდა საერთაშორისო ბაზარზე გავრცელებულსა და ნდობა მოხ-  
ვეპილ მონეტას. საკვლევი პერიოდის ასეთ მონეტებს ეკუთვნოდა ვენეციური  
ოქროს ღუკატები, რომლებსაც, ასპრებთან ერთად, XIV საუკუნის დასაწყისი-  
დან შავი ზღვის სანაპიროების იტალიელთა ფაქტორიების ყოველდღიურ  
ცხოვრებაში ხმარობდნენ. ვენეციური ღუკატებით ხდებოდა ფულადი ანგა-  
რიშსწორება საქონლის ყიდვა-გაყიდვის დროს, ღუკატებით ანგარიშობდნენ

<sup>27</sup> E. Д. Фелицын. Митиот ნაშრომი, ტ. V, გვ. 295.

<sup>28</sup> შ. შექხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბი-  
ლისის ისტორია, თბილისი, 1958, გვ. 130.

<sup>29</sup> ყირიმის ხანის ბერკეს სახელით მოჭრილი მონეტა.

<sup>30</sup> О. Ретовский, Генуэзско-татарские монеты, ИИАК. вып. 18, 1906, გვ. 9;  
E. С. Зевакин и Н. А. Пенчко, Митითებული ნაშრომი, გვ. 96—97.

<sup>31</sup> ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საწომომცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა მეტ-  
როლოგია, ტფილისი, 1925, გვ. 21.

ომებითა და მეკობრეების თავდასხმით მიყენებულ ზარალს და ბოლოს ჰაერში  
დუკატებით ხდებოდა სუბსიდების გაცემა და კონტრიბუციების გადახდა.

საქართველოში ვენეციური დუკატების გავრცელების თარიღად, ნუმისმატიკური მასალისა და წერილობითი წყაროების მიხედვით, XV საუკუნის მეორე ხახვეარი უნდა მივიჩნიოთ. ამის დოკუმენტურ დადასტურებას იძლევა 1460 წლის სიგელი, სადაც იხსენიება „ვენეტიკური და ფლური ოცდაათი“<sup>32</sup>, აკად. ივ. ჭავჭავაძის გამოკვლევით, XV საუკუნეში ოქროს ფულის ერთეულის აღსანიშნავად შემოდის ახალი ტერმინი ფლური, რომელიც შემდეგ საუკუნეებში ოქროს მონეტების აღმნიშვნელ ჩვეულებრივ ტერმინად იხმარება<sup>33</sup>. ფლური, როგორც ვენეციური ოქროს დუკატის აღმნიშვნელი ტერმინი, ნუმისმატიკურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, წარმოიშვა ქალაქ ფლორენციის ოქროს მონეტის ფლორინის სახელწოდებისაგან<sup>34</sup>, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ჩვენში ამ მონეტების გავრცელებასთან. მაგრამ საქართველოში ფლორინების გავრცელება წერილობითი ცნობებითა და ფაქტური ნუმისმატიკური მასალით არ დასტურდება და ჩვენ თეორიული მსჯელობით უნდა დავკმაყოფილდეთ.

XIII—XV საუკუნეებში ფლორენცია წარმოადგენდა 9<sup>1/2</sup> ლიის უმსხვილეს სამრეწველო და საბანკო საქმის ცენტრს, რომლის სავაზმო კაპიტალი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. ფლორენციის რესპუბლიკის ოქროს მონეტები, წონით 3,53 გრამი, რომლებიც პირველად 1252 წელს მოიჭრა, სწრაფად გავრცელდა ევროპის სახელმწიფოებში და საერთაშორისო ფულად მიმოქცევაში საყოველთაო აღიარება დაიმსახურა<sup>35</sup>. ეს ჩანს თუნდაც იმ ურთიერთობიდან, რომელიც დამყარდა ფლორენციულ ფირმებსა და ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის. ფლორენციელი ბანკირები მონაწილეობას ღებულობდნენ რომის კურიის ფინანსურ საქმეებში და პაპის შემოსავლის შემფასებლებისა და შემკრებთა როლს ასრულებდნენ. ცნობილია, აგრეთვე, რომ ინგლისის მეფემ ედუარდ III ასწლიანი ომი ფლორენციელი ბანკირების ფულთი წამოიწყა და იმ დროის კვალობაზე უზარმაზარი თანხა, 1,3 მილიონზე მეტი ფლორინი, ისესხა<sup>36</sup>. მაგრამ ფლორენციის ძლიერების საფუძველს მართო სავაჭრო პერაქციები არ წარმოადგენდა. აქ ადრე განვითარდა შალის, ხოლო შემდეგ აბრეჯუების მრეწველობა. ფლორენციის შალის მრეწველობა მუშაობდა ევროპის, ხოლო აბრეჯუების კი აღმოსავლური ნედლეულის საფუძველზე, რომელიც დამუშავების შემდეგ იგზავნებოდა ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ბაზრებზე<sup>37</sup>.

ფლორენციისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიურ ურთიერთობასთან დაკავშირებით, ევროპის სახელმწიფოების გარდა, ფლორინები გავრცელებული იყო მანკობელი და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. ამიტომ შესაძლებელია, რომ ფლორინების ასეთი საყოველთაო აღიარების გამო ჩვენ-

<sup>32</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები, წიგნი III, ტფილისი, 1913, გვ. 36.

<sup>33</sup> ი. ვ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მითითებული ნაშრომი, გვ. 15.

<sup>34</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, წიგნი II, ტფილისი, 1924, გვ. 81.

<sup>35</sup> Дж. Луццатто, митითებული ნაშრომი, გვ. 410.

<sup>36</sup> შუა საუკუნეების ისტორია, თბილისი, 1948, გვ. 438.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 15.

მა წინაპრებმა ეს ტერმინი, ფლურის სახით, ვენეციურ ოქროს დუკატებზე გაავრცელეს.

ფლურის შესახებ ბევრი ცნობაა დაცული სხვადასხვა მონასტრების სულთა მართიანებში. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში ფლური იხსენიება, როგორც სპეციფიკური—ვენეციური დუკატების აღსანიშნავად, ასევე ზოგადი მნიშვნელობითაც, ე. ი. სადაურობის აღუნიშვნელადაც. მაგალითად: „მოგუივიდა ას ოცი ფლორი ვენეტიკური ხურსოძისა სულაყოფილისა სერაპიონისაგან“<sup>38</sup>, „მე აღდგომელმან მახარობელმან წიგნი გავგზავნე საქართველოს ზეთისთვის ხელის წინაშე და მას გამოეგზავნა ასი ფლური ქრისტეს საფლავისათვის“<sup>39</sup>.

ფლურის სპეციფიკური მნიშვნელობის დადგენის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ათონის მონასტრის ბაჰადურისა და ქაიხოსრო ათაბაგის აღაპები. აქაც ფლურის სადაურობის აღსანიშნავად იხმარება ახალი დასახელება—ოთმანური. ყვარყვარე ათაბაგმა 1474 წელს თავისი გარდაცვლილი შვილის ბაჰადურის<sup>40</sup> სულის მოსახსენებლად ათონის მონასტრს შესწირა „ოცი ათასი ოთმანურისა, რომელიმე ფლურად და რომელიმე თეთრად“<sup>41</sup>. ათაბაგმა მშეჰაბუკმა იმავე საჯანს 1500 წელს გარდაცვლილი ქაიხოსრო ათაბაგის<sup>42</sup> ხსოვნისათვის შესწირა „ოც-და-ხუთი-ათას ხუთასის ოთმანურისა ზოგი ფლურად და ზოგი თეთრად“<sup>43</sup>.

ოთმანურის სადაურობის დასადგენად მიეპართოთ ქართლის მეფის სიმონ I წერილს რომის პაპთან და „ქართლის ცხოვრებას“. მ. თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ამ წერილში ვკითხულობთ: „რა ბრძოლა, შეწყუხება და გაჭირვება არ გამოვიარეთ ქრისტეს სიყვარულისათვის; დაწყლულდით ომში, ტყვედ დაგვიჭირეს საჩრებებმა და ჩავგავადეს საყრობილეთში: ვავთავისუფლდით ტყვეობისაგან და კვალად ავედით ჩვენს ტახტზე და ხელახლავ დავიწყეთ ომი. მრავალჯგის შევებით ოთმანებს“<sup>44</sup>.

ცნობილია, რომ ოსმალებთან ბრძოლაში დამარცხებულმა ერანის შაჰმა 1578 წელს სიმონ I ტყვეობიდან გაათავისუფლა და ქართლში გამოსიტუმრა. სიმონ I სამშობლოში დაბრუნებისთანავე სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ. მრავალი გმირული ეპიზოდით აღსავსე ეს ბრძოლა ოც წელიწადს გაგრძელდა<sup>45</sup>. ამიტომ, როდესაც სახელოვანი მეფე წერდა „მრავალჯგის შევებით ოთმანებსო“, აქ უდავოდ ოსმალები უნდა ვიგულისხმეთ. ჩვენი წინაპრები ოსმალებს რომ, მართლაც, ოთმანებს ეძახდნენ, ეს ნათლად ჩანს „ქართლის ცხოვრებიდანაც“, რომლის ბაკუთარ სახელთა საძიებელში ოთმანიანნი ოსმალებად იწოდებიან<sup>46</sup>.

ზემოთაღნიშნულიდან ცხადი ხდება, რომ ათონის მონასტერში ბაჰადური-

<sup>38</sup> ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 15.

<sup>39</sup> თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, მითითებული ნაშრომი, გვ. 525.

<sup>40</sup> ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVII სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის იტორიისათვის, თბილისი, 1954, გვ. 203.

<sup>41</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. აღაპები, ტფილისი, 1901, გვ. 269.

<sup>42</sup> ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, მითითებული ნაშრომი, გვ. 198.

<sup>43</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. აღაპები, გვ. 266—267.

<sup>44</sup> მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 77.

<sup>45</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, შ. მ ე ლ ხ ი ა, პ. რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1958, გვ. 285.

<sup>46</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 676.

სა და ქაიხოსრო ათაბაგების სულის მოსახსენებლად შეწირული ოთმანური ფლური, ოსმალური ოქროს ფული უნდა იყოს, მაგრამ ქაიხოსრო ათაბაგი ბაჰადურის სულის მოსახსენებლად 1477 წელს ათონის მონასტერს ოსმალური ოქროს მონეტებს—ალთუნებს ვერ შესწირავდა, რადგან სპეციალური ნუმისმატიკური ლიტერატურის მიხედვით, ოსმალეთში ასეთი მონეტების მოჭრა მხოლოდ ბაჰადურის გარდაცვალების შემდეგ, კერძოდ ჰაჯრის 882 წელს (1477—1478 წწ.) დაუწყიათ<sup>47</sup>. ხოლო 1500 წელს იმავე მონასტერში მუქაბაუკის მიერ ქაიხოსრო ათაბაგის სულის მოსახსენებლად ალთუნების შეწირვა ჩვენ საესვებით დასაშვებად მიგვაჩნია.

აღსანიშნავია, რომ ოსმალეთში ალთუნების გამოშვებამდე ადგილობრივი ოქროს ფულის არსებობის ცნობებს იძლევა ოსმალური და მოლდავური წერილობითი წყაროები. მაგალითად, მოლდავეთის სამთავროს 1449—1465 წლების ერთ-ერთ დოკუმენტში მოხსენიებულია ოსმალური ოქრო<sup>48</sup>.

აღნიშნული წერილობითი წყაროების საფუძველზე უახლეს ნუმისმატიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ოსმალეთში ოქროს მონეტები ვენეციური დუკატების მინაბაძების სახით, ალთუნებზე ადრე იჭრებოდა<sup>49</sup>.

ცნობილია, რომ ოსმალეთში ალთუნებს წინ უსწრებდა ვენეციური დუკატების მიმოქცევა, რომლებიც ალთუნ ფუნდუკლის სახელწოდებით, თითქმის ერთი საუკუნე ადგილობრივი ოქროს მონეტების მაგივრობას ეწოდნენ<sup>50</sup>. როგორც ჩანს, ვენეციური დუკატები იმდენად გაშინაურებულან ამ სახელმწიფოს ფულად მიმოქცევაში, რომ პირველი ოსმალური ოქროს მონეტები მათი მიბაძვით მოუჭრიათ. ფ. ბაბინგერის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება ჩვენთვის მით უფროა მისაღები, რომ ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონია სხვა სახელმწიფოების, ყირიმისა და მოლდავეთის, სამონეტო საქმიანობის ისტორიაშიც<sup>51</sup>. აღნიშნულს ადასტურებს მოლდავეთისა და გენუის წერილობითი წყაროები და მოლდავეთში აღმოჩენილი ბრიეშტისა და კირპიცის ფულადი განძები<sup>52</sup>. ბრიეშტის განძში აღმოჩნდა 49 ვენეციური დუკატი და მისი 19 მინაბაძი, ხოლო კირპიცის განძში გენუელების მიერ მოჭრილი ვენეციური დუკატების 4 მინაბაძი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ ბაჰადურის აღაპში საუბარია ოსმალეთში მოჭრილი ვენეციური ოქროს დუკატების მინაბაძებზე, ხოლო ქაიხოსრო ათაბაგის აღაპში კი ალთუნებზე.

ამრიგად, წერილობითი ცნობებიდან ირკვევა, რომ ფლური ვენეციური დუკატების გარდა, საქართველოში ოსმალური ოქროს მონეტების გავრცელებასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელს მნიშვნელობითაც იზმარებოდა, აქედან იმ დასკვნას დავადგებით, რომ XV საუკუნის დასასრულიდან ფლურმა, რო-

<sup>47</sup> А. А. Быков, Монеты турции XIV-XVII веков, Ленинград, 1939, гл. 9.

<sup>48</sup> აქ და შემდეგ ფ. ბაბინგერის ნაშრომი Südosteuropäische Handels münzen am Ausgang des Mittelalters, in Vierteljahrsschrift für Sozial-und Wirtschaftsgeschichte და მოწმებულია ეურნალ Studii si ceretari de Numismatica, Bucuresti, 1960, vol. III, მოთავსებულია ო. ილიესკუს რეცენზიის მიხედვით, გვ. 583.

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> А. А. Быков, მითითებული ნაშრომი, გვ. 6-7.

<sup>51</sup> F. Babinger, მითითებული ნაშრომი, გვ. 583.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 585.

გორც ვენეციური ოქროს დუკატის აღმნიშვნელმა ტერმინმა დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. შეინარჩუნა მხოლოდ მეტროლოგიური შინაარსი და დუკატის თანაბარი წონის ოქროს მონეტის აღმნიშვნელ ტერმინად გადაიქცა.

XV საუკუნის დასასრულიდან ფლურის სპეციფიკური მნიშვნელობის დაკარგვა ქართულ წერილობით წყაროებში ართულებს ამ უკანასკნელის სადაურობის დადგენის შესაძლებლობას. ამ მხრივ, ერთგვარი უპირატესობა ეძლევა უცხოელი ავტორების, კერძოდ, ევროპელი დიპლომატების, მისიონერების, სავაჭრო აგენტებისა და მოგზაურების ცნობებს, რომლებიც ზოგჯერ დაწვრილებით ეხებიან საქართველოში ადგილობრივი და შემოტანილი მონეტების მიმოქცევის საკითხებს.

უცხოელი ავტორებიდან, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ შევჩერდებით ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის კონსტანტინე XI პალეოლოგის ისტორიკოსზე გიორგი ფრანძესზე. მისი ცნობა ქართველ სეფე-ქალზე კონსტანტინე XI დანიშნვის შესახებ საკმაოდ ცნობილი ფაქტია როგორც უცხოურ, ისე ქართულ ისტორიოგრაფიაში. ბიზანტიელი ისტორიკოსის ეს ცნობა გამოყენებული აქვთ: ე. ჰიბონს, ლებოს და აკად. ივ. ჯავახიშვილს<sup>53</sup>.

ფრანძესის გადმოცემით, კონსტანტინე XI-ის ტახტზე ასვლის შემდეგ ბიზანტიის სამეფო კარი შეუდგა სადედოფლოს ძებნას. არჩევანი შეაჩერეს სერბიის სულთანის ამურატის ქვრივზე და ვენეციის დოჟის ფრანჩესკო ფოსკარის ქალიშვილზე. მაგრამ ამურატის ქვრივმა უარი განაცხადა ბიზანტიის დედოფლობაზე, ხოლო, რაც შეეხება მეორე პარტიას, აქ თვით კონსტანტინე XI და მისმა კარმა შეიკავა თავი. მათ შეუფერებლად ცნეს იმპერატორის დანათესაებობა ვენეციის დოჟთან, როგორც არჩევით მაგისტრატთან. ამის შემდეგ, იმპერატორისათვის შესაფერი საცოლოს შერჩევის მიზნით 1451 წელს ტრაპიზონსა და საქართველოში გამოემგზავრა კონსტანტინე XI კარისკაცი პროტოვეტიარი გიორგი ფრანძესი. მან ინახულა ორივე მეფის ქალიშვილი და უკან დაბრუნების შემდეგ იმპერატორმა საცოლედ საქართველოს მეფის გიორგი VIII ქალიშვილი აირჩია. წინასწარი საქორწინო მოლაპარაკების დროს გიორგი VIII ბიზანტიის იმპერატორის დესპანს ფრანძესს განუცხადა: „ქართველთა ჩვეულებისაჲებრ მე ჩემს ასულს მზითვეს არ გამოვატან (ამ დროს საქართველოში საქმროს მოპქონდა ქონება საცოლესათვის), მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ მე მოსურნე ვარ ამ ქორწინების, ჩემს ქალიშვილს საჩუქრად ვაძლევ 50.000 ოქროს და ვკისრულობ უგზავნო მას 5000 ოქრო ყოველწლიურად“<sup>54</sup>. ხოლო ამ საქმის შუამავალს გიორგი მეფე დაჰპირდა საუკეთესო ღირსების აბრეშუმის ოთხ შუ-

<sup>53</sup> Dedouard Gibbon, Histoire de la decadence et de chute de l'empire Romain, Paris, 1812, p. XIII. 43—48; Lebeau, Histoire du Bas-Empire, nouvelle edition p. XX, Paris, M. OCCCXXXVI, გვ. 219—221; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, თბილისი, 1948, გვ. 50.

<sup>54</sup> ე. ჰიბონს, ლებოს და ივ. ჯავახიშვილს ეს თანხა სხვა რიცხვებში აქვთ მოცემული: პირველს 56000 და 5000 (D. Gibbon, მითითებული ნაშრომი გვ. 48), ხოლო ლებოს და ივ. ჯავახიშვილს 56000 და 3000 (Lebeau, მითითებული ნაშრომი გვ. 221; ივ. ჯავახიშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ. 50). მართალია, ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ სიზუსტის დაცვის მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია ვიხელმძღვანელოთ გიორგი ფრანძესის ქრონიკებით (Georgii Pranzae protovestiarii, chronicon, გვ. 157); ვარდა ამისა, ივ. ჯავახიშვილს ერთ შემთხვევაში სწორედ არა აქვს ციტრებული ფულადი ერთეულის ტერმინი — ოქროს ნაცვლად ნახშირი აქვს ფლური.

ლოს, თითოს 500 ოქროდ ღირებულს. მაგრამ 1453 წელს ბიზანტიის იმპერიის დაცემისა და იმპერატორ კონსტანტინეს დაღუპვის გამო ეს ქორწინება ჩაიშალა.

ზემომოყვანილი ცნობიდან ყურადღებას იქცევს გიორგი VIII მიერ ერთდროულად 50.000 და ყოველწლიურად 5000 ოქროს ფულის დაპირების ფაქტი. ჩვენს წინაშე ბუნებრივად იბადება კითხვა. რა მონეტებით უნდა გადაეხადა გიორგი VIII იმ დროის კვალობაზე ეს საკმაოდ მოზრდილი თანხა? აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მოქმედებდა ვერცხლის მონომეტალიზმის სისტემა, რომლის დროს ღირებულების საზომისა და გადახდის კანონიერი საშუალების როლს ვერცხლის მონეტები ასრულებდნენ. თავის მხრივ ვერცხლის მონომეტალიზმი არ გამოირიცხავს ოქროს მონეტების მოქრას. ვერცხლის მონეტების გვერდით საქართველოში, მართლაც, იშვიათ შემთხვევაში ოქროც იჭრებოდა. მაგრამ, XV საუკუნეში დაქანებული ქართული ვერცხლის მონეტების გვერდით, ადგილობრივი ოქროს ფულის გამოშვება სამართლიან ექვს იწვევს, მით უფრო, რომ XV საუკუნეში ქართული ოქროს ფულის არსებობის შესახებ ფაქტიური მასალა არ მოგვეპოვება. მაშასადამე, გიორგი VIII-ს დანაპირები თანხა საქართველოში მიმოქცევაში მყოფი უცხო ქვეყნის ოქროს მონეტებით უნდა გადაესადა.

ვინაიდან XIII საუკუნიდან ბიზანტიურმა ოქროს მონეტებმა დაკარგეს ის უპირატესობა, რომელსაც ადრე ასრულებდნენ საერთაშორისო ფულად მიმოქცევაში, ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ ეს ოქრო ბიზანტიური ყოფილიყო.

აღმოსავლეთის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში ბიზანტიური ოქროს ფულის ფართო მიმოქცევა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ამ ქვეყნების გარდა ბიზანტიური ოქროს მონეტები, პერპერისა და ბიზანტიელების სახელწოდებით, გავრცელებული იყო ევროპაშიც. ევროპის სახელმწიფოებში ზემოთ ხსენებული მონეტების საყოველთაო აღიარებაზე მეტყველებს გენუაში ბიზანტიური მონეტების მიბაძვით ადგილობრივი ოქროს ფულის გამოშვება<sup>55</sup>. მაგრამ XIII საუკუნეში მთელი რიგი პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზების გამო დაიწყო ბიზანტიური ოქროს მონეტების გაუფასურება. საერთაშორისო ფულად მიმოქცევაში მათი ადგილი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ოქროს მონეტებმა, ფლორინებმა და დუკატებმა დაიკავეს.

საფიქრებელია, რომ საქართველოსა და ჩრდილოეთ იტალიის ქალაქების ეკონომიურ ურთიერთობასთან დაკავშირებით, XV საუკუნეში მსგავს მოვლენას აქაც ექნებოდა ადგილი, ამიტომ გიორგი VIII დანაპირები თანხა, ჩვენი ვარაუდით, ვენეციური დუკატებით უნდა გადაეხადა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში დაცულია ადგილობრივ აღმოჩენილი ვენეციელი დოყების: ფრანჩესკო ფოსკარის (1425—1457 წწ.), პასკუალე მალიპიეროსა (1457—1462 წწ.) და ქრისტოფორო მოროს (1462—1471 წწ.) დუკატები<sup>56</sup>.

XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში დუკატების გავრცელების ცნობებს იძლევიან იტალიელი დიპლომატები იოსაფა ბარბარო და ამბროჯიო კონტარინი. ამავე ცნობებს შეიცავს ჯიოვანი მარია ანჯიოლელოს მიერ შედგენილი უზუნ-ჰასანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია.

<sup>55</sup> Дж. Луццато, Митითებული ნაშრომი გვ. 410.

<sup>56</sup> საინვენტარო №№ 5116, 5114, 5118.



1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემამ და შავ ზღვაზე თურქ-ოსმალთა გაბატონებამ დიდი ზიანი მიაყენა იტალიის ქალაქების პოლიტიკურ და ეკონომიურ ძლიერებას. თურქ-ოსმალთა კეთილდღეობა დამოკიდებული იყო ახალი ტერიტორიების ძარცვასა და დაპყრობილი ხალხების ექსპლოატაციაზე. ბიზანტიის იმპერიის განადგურების შემდეგ, თავისი დაპყრობითი პოლიტიკა მათ შავი ზღვის სანაპიროებისაკენ მიმართეს. განსაკუთრებით იპყრობდა მათ ყურადღებას ტრაპიზონის იმპერია და ყირიმის ნახევარკუნძულზე განლაგებული იტალიელთა მდიდარი ფაქტორიები, რომლებიც, იმის გარდა, რომ ინდოეთისაკენ მიმავალ სავაჭრო გზებზე მდებარეობდნენ, ძარცვის შესანიშნავ ობიექტსაც წარმოადგენდნენ. 1461 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ტრაპიზონის იმპერია და თავის სამფლობელოებს შეუერთეს. სამი წლის შემდეგ მათ ყირმი და შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროს მნიშვნელოვანი ნაწილი ვასალურ მორჩილებაში ოიყვანეს, ხოლო 1475 წელს აიღეს და სასტიკად გაძარცვეს გენუელთა შავიზღვისპირა ფაქტორიების მმართველობისა და ვაჭრობის ცენტრი კათა. ამის შემდეგ დაეცა იტალიელთა სხვა ფაქტორიებიც: ტანა, მატრეგა, კოპა და სხვა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს ფაქტორიებს, კერძოდ სევასტოპოლს, აქ გენუელთა ფაქტორიის ლიკვიდაცია კათას დაცემამდე, სახელდობრ 1473 წელს, მოხდა<sup>57</sup>.

ამრიგად, XV საუკუნის მეორე ნახევარში თურქ-ოსმალებმა გადაჭრეს ტანასა და ტრაპიზონ-სომხეთით ინდოეთისაკენ მიმავალი ჩრდილოეთის სავაჭრო გზები. ამასთან ერთად ხმელთაშუა ზღვაზე გაჩნდნენ თურქი მეკობრეები; ოსმალები იწყებენ წინსვლას სამხრეთითაც, სირიის სანაპიროს გასწვრივ, რითაც საფრთხეში აყენებენ სამხრეთის გზებაც, რომლებიც სირიასა და მესოპოტამიაზე გავლით ინდოეთში მიდიოდა.

თურქ-ოსმალთა აგრესიის მოსალოდნელი საფრთხე ვენეციის პოლიტიკურმა წრეებმა კონსტანტინოპოლის აღებად შეიგრძნეს. ალყაშემორტყმულ კონსტანტინოპოლს მათ ათი სამხედრო ხომალდი მიაშველეს. ვენეცია აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ყველა ანტიოსმალურ კოალიციაში და ზოგჯერ ამ კოალიციების ინიციატორის როლში გამოდის.

1473—1475 წლებში ვენეციის რესპუბლიკის ელჩები მთელ თავიანთ ღონისძიებას იქითკენ მიმართავდნენ, რომ თეთრბატკინანთა ირანის ძლევამოსილი იმბრძანებელი უზენ-პასანი ოსმალების წინააღმდეგ გამოსვლაზე დაეთანხმებინათ<sup>58</sup>. საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი საომარი მოქმედების დაწყების შესათანხმებლად 1471 წელს ვენეციამ იქ ელჩად მიავლინა იოსაფა ბარბარო<sup>59</sup>. 1477 წელს უზენ-პასანმა მას, ჯიოვანი მარია ანჯიოლელოსთან ერთად, საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება შესთავაზა<sup>60</sup>.

იოსაფა ბარბაროს მოგზაურობის აღწერილობა და ჯიოვანი მარია ანჯიოლელოს თხზულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოში უზუნ-

<sup>57</sup> З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв), Сухуми, 1959 г. გვ. 248.

<sup>58</sup> М. Полиевктов, Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1937, გვ. 80.

<sup>59</sup> იქვე.

<sup>60</sup> ჯიოვანი მარია ანჯიოლელი პირველად ოსმალების სამსახურში იყო, მაგრამ ერთ-ერთი პრძოლის დროს ტყვედ ჩაუვარდა ირანელებს და მათ მხარეზე გადავიდა

ჰასანის შემოსევის ისტორიისათვის. მათი გადმოცემით, 1477 წელს უზუნ-ჰასანი სრულიად მოულოდნელად და ფარულად დიდი ჯარით შემოიჭრა საქართველოში. მტრის შემოსევას ქართველები მოუმზადებლნი შეხვდნენ. მან თბილისი და გორი უბრძოლველად ჩაიგდო ხელში. საქართველოს მეფე-მთავრებმა გადაწყვიტეს, მტერს დაზავებოდნენ. უზუნ-ჰასანმა მათ 16 000 დუკატი და თბილისის დათმობა მოსთხოვა. მოწინააღმდეგენი შეთანხმდნენ, მაგრამ ბაგრატ VI 16 000 დუკატის ნაცვლად ოთხი მონღოლური ოქროს დიდი ბალიში გაუგზავნა უზუნ-ჰასანს, რაც ამ უკანასკნელმა არ მიიღო. ერთ-ნელებმა საომარი მოქმედება განაახლეს და სამცხეს შეესივნენ. ბაგრატ VI და ყვარყვარე ათაბაგმა ისევ დაზავება არჩიეს ძველი პირობით. უზუნ-ჰასანმა მიიღო 16 000 დუკატი, თბილისი და ლორეს ველი. გარდა ამისა მან 5000 ტყვე წაიყვანა საქართველოდან<sup>61</sup>.

იოსაფა ბარბაროსა და ჯიოვანი მარია ანჯიოლილოს ცნობა უზუნ-ჰასანისათვის კონტრაბუციის სახით 16000 დუკატის გადახდის შესახებ ნათლად მეტყველებს საქართველოში XV საუკუნის მეორე ნახევარში ვენეციური დუკატების მიმოქცევაზე.

ვეროპელ მოგზაურთა მიერ ჩვენში დუკატების შემოტანის დადასტურებას იძლევა ამბროზიო კონტარინის მოგზაურობის აღწერილობა, ავტორი დაწვრილებით ჩერდება საქართველოში მგზავრობასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების აღრიცხვაზე. ასე მავალითადაც ნათქვამი კარგად მიძილო და კიდევ მეგვართვისამოცდათი დუკატი<sup>62</sup>, „23 იგლის თავს დაგვეცა რამდენიმე სოფელი და იძულებული შევიქმენით ოცი დუკატი მიგვეცა“<sup>63</sup>, „ბედიელის დამ მარიკამ თითო ცხენში ორი დუკატი მოგვთხოვა“<sup>64</sup>, ამბროზიო კონტარინის ერთ-ში მოგზაურობიდან საყურადღებოა მისი მარშრუტი, საიდანაც ჩანს, რომ 1473 წელს მას უკვლია ოსმალეთისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოების გერმანიის, პოლონეთისა და საქართველოს, გავლით<sup>65</sup>, ვენეციელი დიპლომატის ელჩობა ემთხვევა თურქთან უზუნ-ჰასანის დამარცხებასა და ოსმალეთსა და ერთან შორის საზავო ხელშეკრულების დადებას. ამიტომ საფიქრებელია, რომ ამბროზიო კონტარინის ელჩობა ახალი მოკავშირეების შექმნასთანაც ექნებოდა დაკავშირებული. ჩვენი ვარაუდით, ვენეციელ დესპანს გერმანიის, პოლონეთისა და საქართველოს ტერიტორიებზე უმინოდ არ უვლია, მას, ალბათ, ვარკვეული დავალებები ექნებოდა ადგილობრივ მეფე-მთავრებთან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამბროზიო კონტარინი, როგორც ვენეციის დიპლომატიური სკოლის ჰუმანიტარი წარმომადგენელი, თავისი დიპლომატიური მისიის შესახებ „მოგზაურობაში“ თითქმის არაფერს არ ლაპარაკობს<sup>66</sup>.

საქართველოსა და ვენეციის რესპუბლიკას შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ იტყობინება ვენეციელი დიპლომატის კატერინო

<sup>61</sup> Ramusio, Delle navigazioni et viaggi. Breve naratione della vita et fatti del signor Ussuncassano, Fattaper Gioan Maria Angiolello, V. II, Venetia, 1583, გვ. 66-112. იქვე, Die Josafa Barbaro gentil'huimo venetiano, II, viaggio della Tana, nella Persia გვ. 109; საქართველოში უზუნ-ჰასანის შემოსევის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ივ. ჯავახიშვილის მითითებული ნაშრომი, გვ. 120-125.

<sup>62</sup> იტალიელი მოგზაურები საქართველოში, მოამბე, № 11, ტფილისი, 1894, გვ. 54.

<sup>63</sup> იქვე.

<sup>64</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>65</sup> М. А. Полиевктов, митითებულ ნაშრომი, გვ. 97.

<sup>66</sup> იქვე, გვ. 80.



ზენოს ძმისწული ნიკოლო ზენო. ავტორი დაწვრილებით ჩერდება უზუსტესად ნის კარზე კატერინო ზენოს დიპლომატიურ მოღვაწეობაზე და აღნიშნავს, რომ ტოკატთან ოსმალების გამარჯვების შემდეგ. იგი ვენეციისა და ირანის ირგვლივ ახალი ანტიოსმალური ძალების შემოკრების მიზნით ევროპაში გაემგზავრა. ევროპისაკენ მიმავალმა ვენეციელმა დიპლომატმა გაიარა საქართველო, კავდა და პოლონეთი. პოლონეთში ის შეხვდა ირანში მიმავალ ვენეციელ ელჩს პაოლო აქნიბენეს. მათ აქ შეადგინეს საქართველოსა და სამეგრელოს „მეფეებისადმი“ განკუთვნილი წერილები. მაგრამ, როგორც ამ წერილების, ისე პაოლო აქნიბენეს ელჩობის შესახებ სხვა დამატებითი ცნობები, სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება<sup>67</sup>.

საქართველოსა და ვენეციის რესპუბლიკის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიისათვის აღსანიშნავია XV საუკუნის 60-იან წლებში, ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობის მიღების მიზნით საქართველოდან ელჩების გაგზავნა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოებში საქართველო თავის მოკავშირეებს ხედავდა. მაჰმადიანურ გარემოცვაში მოყოლილი საქართველო 1460 წელს შეეცადა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან საკუთარ ძალთა გაერთიანებით გაერღვია ეს მტრული გარემოცვა. 1459 წელს საქართველოს ესტუმრნენ თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზატორის რომის პაპის პიუს II ელჩები. მათთან შეთანხმების შემდეგ საქართველოს მეფე-მთავრებმაც ვააგზავნეს ევროპაში თავისი ელჩები, რომლებიც უზგრეთისა და გერმანიის გავლით ვენეციაში ჩავიდნენ. ვენეციის სენატმა ისინი დიდი პატივით მიიღო. აქედან ქართველი ელჩები რომში, ხოლო შემდეგ საფრანგეთსა და ბურგუნდიაში გაემგზავრნენ<sup>68</sup>. მაგრამ ამ ანტიოსმალურმა კოალიციამ ვერ გაამართლა საქართველოს პოლიტიკური წრეების იმედები. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ანტიოსმალურ კოალიციებში შემავალი სახელმწიფოების პოლიტიკური ინტერესები იმდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ტერიტორიულად ისინი იმდენად იყვნენ ერთიმეორისაგან დაშორებულნი, რომ შეუძლებელი იყო საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი გეგმით საომარი მოქმედების წარმოება<sup>69</sup>.

ამ მიზეზების გამო წარუმატებლობა ხვდა წილად ყველა შემდგომ ანტიოსმალურ კოალიციებსაც.

XV საუკუნის მეორე ნახევარში კონსტანტინოპოლის აღებისა და შავი ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდებათ. თურქ-ოსმალებმა გადასტრეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი უძველესი სავაჭრო გზები და დაარღვიეს საქართველოსა და ევროპის სახელმწიფოებს შორის მანამდე არსებული ეკონომიური ურთიერთობა. ევროპის კაპიტალს სხვა მიმართულება მიეცა ახალი სავაჭრო ბაზრების მოსაპოვებლად. ერანსა, ინდოეთსა და ჩინეთისაკენ ახალი გზები უკვე სხვა მიმართულებით იხსნება. აფრიკის გარშემო და თეთრი ზღვით რუსეთის მიწა-წყალზე გავლით. ამ სავაჭრო გზებიდან საქართველო მოწყვეტილი აღმოჩნდა, რამაც მეტად ცუდი გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყ-

<sup>67</sup> Г. Казбек, митითებული ნაშრომი, გვ. 230.

<sup>68</sup> ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მითითებული ნაშრომი, გვ. 75.

<sup>69</sup> Н. Б. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. Петрушевский, Л. В. Строева, Л. М. Беленицкий, История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Ленинград, 1958, გვ. 227.

ნის ეკონომიურ ვითარებაზე. მაგრამ, მიუხედავად ასეთი დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ცვლილებებისა, ვენეციური დუკატები კვლავაც შემოდიან საქართველოში და ძველებურად მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის ფულად მიმოქცევაში. ამიერიდან ეს მონეტები, ძირითადად, ოსმალეთიდან და ერანიდან შემოდიან საერთაშორისო ფულის ფუნქციის შესრულების პროცესში.

ცნობილია, რომ ვენეციური დუკატები, როგორც საერთაშორისო ვალუტა, მიმოქცევაში იყო ერანსა და ოსმალეთში. ფრანგი მოგზაური ტავერნიე პირდაპირ ამბობს, რომ „ერანში სხვა ოქროს ფული არ არის, გარდა ევროპიდან შემოსული გერმანული, პოლანდიური და ვენეციური დუკატებისა“<sup>70</sup>. ხოლო, რაც შეეხება ვენეციური დუკატების მიმოქცევას ოსმალეთში, ცნობილია, რომ მურად I (1359—1389 წწ.) საკუთარი ქვეყნის სამონეტო სისტემაში ხარვეზების შევსების მიზნით, გროშის ტიპის ვერცხლის ევროპულ მონეტებთან ერთად მიმოქცევაში დაუშვა ვენეციური ოქროს დუკატებიც<sup>71</sup>.

XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოსა და ვენეციის პოლიტიკური ურთიერთობა, ზემოაღნიშნული წერილობითი ცნობების გარდა, დასტურდება, აგრეთვე, ფაქტიური მასალით, კერძოდ, ჩვენ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნუმიზმატიკური ძეგლებით. ამ მხრივ აღსანიშნავია 1947 წლის გაზაფხულზე ლეხურის ხეობაში, ახალგორსა და მეჯვრისხევს შუა, მინდვრის დამუშავების დროს აღმოჩენილი ოქროს მონეტების განძი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ამ განძიდან პროფ. ლ. კარბელაშვილის დახმარებით, 23 მონეტა შემოვიდა, მაგრამ მისივე განმარტებით ამ განძის მეტი ნაწილი მოსახლეობაში გაიბნა.

ლეხურის ხეობის განძი სამ ნაწილად იყოფა,—იგი შედგება ვენეციური დუკატების (13 ცალი), ოსმალური ალთუნების (8 ცალი) და ირანული ნახევარ შრეფებისაგან. ვენეციური მონეტები წარმოდგენილია XV—XVI საუკუნეების ვენეციული დოქების დუკატებით. ოსმალური ალთუნები სულთან სულეიმან I (1520—1566 წწ.) ეკუთვნის და ოსმალეთის სხვადასხვა ზარაფხანების (კონსტანტინეპოლის, სუღრე-კაისის, ჰალეზის, ამიდისა და მისრის) პროდუქციას წარმოადგენს. რაც შეეხება მესამე ნაწილს, ერანული ოქროს მცირე ნომინალებს, ესენია თახმას I (1524—1576 წწ.) სახელით გამოშვებული ნახევარშრეფები. მოგვყავს ლეხურის ხეობის განძის მონეტების სია წამყვანი ტიპების აღწერილობით:

ფრანჩესკო ფოსკარი (1423—1457 წწ.)

1. ოქრო, წონა 3,47 მ

საინვენტარო № 5116.

ტაბულა I, სურათი 1.

შუბლი: გამოსახულია ვენეციის რესპუბლიკის მფარველი წმინდა მარკოზი, რომელიც მუხლმოყრილი დოჟს გადასცემს ალამს<sup>72</sup>.

გამოსახულების გარშემო განლაგებულია ლათინური ზედწერილი: მარჯვნივ **FRAC FOSCARI** (Franciscus Foscarius—ფრანჩესკო ფოსკარი) მარცხნივ **S. M. VENETI** (Sanctus marcus Venetiarum—წმინდა მარკოზი ვენეციისა).

<sup>70</sup> ს. კაკაბაძე, საფასის ისტორიისათვის, საისტორიო შოამბე, წიგნი I, ტფილისი, 1925, გვ. 12.

<sup>71</sup> А. А. Быков, Монеты Турции XIV-XVII вв., Ленинград, 1939, гв. 6-7.

<sup>72</sup> ინვესტიტურის ეს სიმბოლოური გამოსახულება ვენეციის რესპუბლიკის მართვის უფლების მინიჭებას გულისხმობს.

ალამის ტარის გასწვრივ ვერტიკალურად *dux* (პერცოგი). ზედწერილი გარშე-  
პოვლებულია წერტილოვანი რკალით.

ზურგი: წერტილოვან ოვალში იესო ქრისტეს გამოსახულება გარშემოვლენ-  
იული ვარსკვლავებით. გარშემო ლათინური ზედწერილი *SIT. T. XPE. DAT.*  
*Q. TV REGISISTE DVCAT* (*Sit tibi, Christe datus quem tu regis, isti*  
*ducatus* — ქრისტო! საპერცოგო, რომელსაც განგებ, დეე გებოძოს შენ.). ირგ-  
ვლივ წერტილოვანი რკალი<sup>73</sup>.

პასკუალე მალიპიერო (1457—1462 წწ.)

2. ოქრო, წონა 3,50 გ.

ზომა 22 მმ.

საინვენტარო № 5114,

ტაბულა I სურათი 2.

შუბლი: როგორც № 5116. მხოლოდ ზედწერილში *PAM ARIPAT* (*Pasch-*  
*alis Malipiero* — პასკუალე მალიპიერო) და *V.*

ზურგი: როგორც № 5116<sup>74</sup>

ქრისტოფორო მორო (1462—1472 წწ.)

3. ოქრო, წონა 3,47 გ.

ზომა 22 მმ.

საინვენტარო № 5118,

ტაბულა I, სურათი 3.

შუბლი: როგორც № 116, მხოლოდ ზედწერილში *CRISTOF. Mavro*  
*Cristoforus mavro* — ქრისტოფორო მორო).

ზურგი: როგორც № 5116<sup>75</sup>.

ანდრეა გრიტი (1523—1539 წწ.)

4. ოქრო, წონა 3,44 გ.

ზომა 22 მმ.

საინვენტარო № 5117,

ტაბულა I, სურათი 4.

შუბლი: როგორც № 5116, მხოლოდ ზედწერილში *AND.GRITI* (*Andre-*  
*as Griti* — ანდრეა გრიტი).

ზურგი: როგორც № 5116<sup>76</sup>.

ანდრეა გრიტის ზემოაღწერილი მონეტის გარდა განძში აღმოჩნდა მისივე  
ხუთი ღუკატი (საინვენტარო № 5115, 5119, 5120, 5123, 5124).

პიეტრო ლანდო (1539—1545 წწ.)

10. ოქრო, წონა 3,51 გრ

ზომა 22 მმ

საინვენტარო № 5125,

ტაბულა I, სურათი 5.

შუბლი: როგორც № 5116, მხოლოდ ზედწერილში *PET LANDO* (*Petru*  
*Lando* — პიეტრო ლანდო) და *VENET.*

ზურგი: როგორც № 5116<sup>77</sup>.

განძში პიეტრო ლანდოს ასეთივე სამი ღუკატი აღმოჩნდა (საინვენტარო  
№№ 5121, 5122, 5126).

სულეიმან I (1520—1566 წწ.)

<sup>73</sup> Corpus Numorum italicorum, ტ. VII 1915, ტაბულა IV, სურ. 28.

<sup>74</sup> იქვე, ტაბულა V, სურ. 12.

<sup>75</sup> იქვე, ტაბულა V, სურ. 15.

<sup>76</sup> იქვე, ტაბ. IX, სურ. 9.

<sup>77</sup> იქვე, ტაბ. X, სურ. 18.

14. ოქრო, წონა 3,52 გ. ზომა 21—22 მმ  
საინვენტარო № 5104 ტაბულა I, სურათი 6.

შუბლი: წერტილოვან რკალში ექვსტრიჭონიანი არაბული ზედწერილი:

سليمان	სულეიმანი
سلطان شاه	სულთან შაჰი
بن عز نصر	ბენ დიდებული გამარჯვებული
سليم شاه ضرب	სელიმ შაჰისა, მოიჭრა
قسطنطينية	კონსტანტინაში
في سنة ٩٢٦	926 წელს

შურგი: წერტილოვან რკალში ოთხსტრიჭონიანი არაბული ზედწერილი  
ლექსად<sup>78</sup>:

ضارب النصر	მოიჭრა ბრწყინვალე
صاحب العز النصر	მბრძანებლის ძღვევამოსილის
و في البر	გამარჯვებულმა
و البحر	ხმელეთსა და ზღვაზე <sup>79</sup>

შემოდწერილი ალთუნის გარდა ამ განაშში აღმოჩნდა სხვადასხვა ქალაქებში და წლებში მოჭრილი ამავე ტიპის შემდეგი ვარიანტები.

15. საინვენტარო № 5105, სუდრე-კაისი, 926 წელი ჰიჯრით  
ტაბულა I, სურ. 7.

16. საინვენტარო № 5106, ჰალეები, 926 წელი ჰიჯრით  
ტაბულა I, სურათი 8.

17, 18. საინვენტარო №№ 5107, 5109, ამიდი, 926 წელი ჰიჯრით, ტაბულა I, სურათი 9.

19, 20. საინვენტარო №№ 5108, 5110, მისრი, 942 წელი ჰიჯრით, ტაბულა I, სურათი 10.

21. საინვენტარო № 5111, ქალაქი და თარიღი არ იკითხება, ტაბულა II, სურათი II.

ამ ალთუნების წონა მერყეობს 3,47 გრამიდან 3,54 გრამამდე, თანმასპ I (1524—1576 წწ.)

22. ოქრო, წონა 2,32 გ. ზომა 10—12 მმ.  
საინვენტარო № 5112 ტაბულა II, სურათი 12.

შუბლი: არაბული ზედწერილი, რომლიდანაც ნათლად იკითხება კარტუშში მოთავსებული მოჭრის ადგილი და მის გარეთ თარიღი:

ضرب اصبان	მოიჭრა ისპაჰანში
٩٥٥	955 წელს

შურგი: მუსლიმანური შიიტური სარწმუნოებრივი სიმბოლო მოთავსებული კარტუშში და გარეთა სეგმენტებში 12 იმამის სახელი, რომელთაგან იკითხება: ჰასანი, ჰუსეინი.

<sup>78</sup> A. Марков, Инвентарный каталог мусульманских монет Императорского Эрмитажа, С.-Петербург, 1896, გვ. 626, № 74.

<sup>79</sup> ოსმალური და ირანული მონეტების განსაზღვრა-აღწერისათვის მადლობას მთავსებენ ლენინგრადის ეროვნული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელს ნ. ლობრთოვსკისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მ. ბნაძეს.

محمد  
 رسول الله  
 على ولي اله

მუჰამედი  
 მოციქული ალაჰისა  
 ალი მახლობელი ალაჰისა<sup>79</sup>.

ზემოაღწერილი მონეტის გარდა ამ განძში აღმოჩნდა 953 წელს ჰიჯრით მოჭრილი ამავე ტიპის კიდევ ერთი ნახევარაშრევი: წონა 2.07 გრ. ზომა 13—14 მმ. საინვენტარო № 5113.

ტაბულა II, სურათი 14.

ლესურის ხეობის განძში თავმოყრილი მონეტების გარდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში დაცულია სხვადასხვა დროს და ადგილზე ნაპოვნი ანალოგიური მასალა. 1933—35 წწ. თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ირაგაში აღმოჩნდა XVI საუკუნის მეორე ნახევრის ვენეციური ღუკატი, რომელიც ეკუთვნის ჯეროლამო პრიულის (1559—1567 წწ.).

ოქრო, წონა 3,47 გ.

ზომა 20-21 მმ.

საინვენტარო № 5084,

ტაბულა II, სურათი 16.

შუბლი: როგორც № 5116, მხოლოდ ზედწერილში MIE.PRIOL (Hieronimus Priulus—ჯეროლამო პრიული) და VENET.

ზურგი: როგორც № 5116<sup>80</sup>.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი XVI საუკუნის ევროპული ოქროს მონეტებიდან, ვენეციური ღუკატების გვერდით უნდა დავასახელოთ ჰოლანდიური ღუკატებიც. ჰოლანდიაში ოქროს ღუკატების მოჭრა დაიწყო XVI საუკუნის დასასრულიდან, სახელდობრ 1583 წელს, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ. პირველად გამოშვებულ ღუკატებზე ერთ მხარეზე გამოსახულია გვირგვინოსანი მეომარი, ხოლო მეორეზე ორი ლომი. ჰოლანდიური ღუკატის შემდგომ ტიპებზე ჩნდება მისთვის დამახასიათებელი აბჯარასხმული მეომრის გამოსახულება, რომელიც მას ბოლომდე შერჩა<sup>81</sup>.

ევროპისა და აზიის ქვეყნებში ჰოლანდიური ღუკატები წარმატებით უწევდა კონკურენციას ვენეციურ ღუკატებს. ეს მონეტები XVII—XVIII საუკუნეებში საერთაშორისო ვალუტის როლში გვევლინებიან და ქართული და უცხო წერილობითი წყაროების მიხედვით ვენეციური ღუკატების თანაბრად მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ფულად მიმოქცევაში.

1961 წელს მოქალაქე ე. გურასაშვილმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოიტანა ვესტ-ფრიზიის პროვინციის 1588 წლის ჰოლანდიური ოქროს ღუკატი. ერთი წლის შემდეგ მისივე საშუალებით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა 1646 წელს ქალაქ ზვოლუში მოჭრილი მეორე ჰოლანდიური ღუკატი. ე. გურასაშვილის ცნობით, ეს მონეტები წარმოადგენენ 1920-იან წლებში გორის რაიონის სოფელ ატენის მიდამოებში აღმოჩენილი ოქროს მონეტების განძის ნაწილს, რომლის ცალ-ცალკე გასაღება ჯერ კიდევ დიდდაპისის დაუწყია. მოგვყავს ამ ორი მონეტის აღწერილობა:

1. ოქრო, წონა 3,49 გ.

ზომა 22 მმ.

საინვენტარო № 10515,

ტაბულა II, სურათი 15.

შუბლი: მონეტის ცენტრში გამოსახულია გვირგვინოსანი მეომარი. რომელსაც ერთ ხელში უჭირავს მახვილი, ხოლო მეორეში—შუბი. გამოსახულ-

<sup>80</sup> Corpus Numorum italicorum, ტ. XII, ტაბულა XIV, სურ. 4.

<sup>81</sup> С. А. Розанов, Митითებული ნაშრომი, გვ. 149.

ბა სამ ადგილზე წყვეტს წერტილოვან რკალს. ირგვლივ ლათინური ზედწერილი **DEVS. FORTITVDO ET SPESNOS** (*Deus fortitudo et spes nostra* — ძალა ღვთისა და იმედი ჩვენი) და ჯვარედინად განლაგებული ოთხი წერტილი. ზედწერილი გარშემოვლებულია წერტილოვანი რკალით.

ზურგი: მონეტის ცენტრში გამოსახულია ვესტ-ფრიზიის პროვინციის ღერბი. ირგვლივ წერტილოვანი რკალი, რომლის გარშემო განლაგებულია ლათინური ზედწერილი: **MO. NO. AVR. DOMI. WESTFRI** (*moneta nova aurea dominum West-Frisiae* (ვესტ-ფრიზიის სამფლობელოს ახალი ოქროს მონეტა) და თარიღი 1588, რომელსაც შუაზე ჰყოფს გაურკვეველი ნიშანი. ზედწერილი გარშემოვლებულია წერტილოვანი რკალით<sup>82</sup>.

2. ოქრო, წონა 3,5 გ  
საინვენტარო № 11071.

ზომა 23 მმ

ტაბულა II, სურათი 16.

შუბლი: წერტილოვან რკალში შეიარაღებული მეომრის გამოსახულება მარჯვნივ. მეომარს მარჯვენა ხელში უჭირავს მხარზე ვადებული კვერთხი, მარცხენა ხელში — გაურკვეველი საგანი, გამოსახულების ორივე მხარეს თარიღი 16—46. რკალი სამ ადგილზე გაწყვეტილია გამოსახულებით. მეომრის ფეხებს შორის გაურკვეველი ნიშანი. რკალის გარეთ ლათინური ზედწერილი: **FARDINA III D: G: I: H. BO:** (*Ferdinandus III dei gratia imperator Hungariae. Bohemiae* — ფერდინანდ III ღვთის წყალობით იმპერატორი უნგრეთის, ბოჰემიის).

ზურგი: ფიგუროვან კარტუში ოთხსტრიქონიანი ლათინური ზედწერილი: **MONE AVRIA CIVIT ZWOL** (*moneta aurea civitatis Zwollis* — ქალაქ ზვოლეს ოქროს მონეტა)<sup>83</sup>.

XVI საუკუნეში საქართველოში ვენეციური ოქროს დუკატების მიმოქცევის შესახებ, რამდენადაც ეს ჩვენთვის ცნობილია, წერილობითი ცნობები არ მოიპოვება. მაგრამ წყაროების უქონლობას ავსებს ფაქტიური ნუმიზმატიკური მასალა და კერძოდ, ზემოთ განხილული ლეხურის ხეობის განძში შემავალი დუკატები, რომლებიც ანდრეა გრიტისა (1523—1540 წწ.) და პიეტრო ლანდოს მიეკუთვნება. რაც შეეხება XVII საუკუნეს, აქ საწინააღმდეგო მდგომარეობასთან — წერილობითი წყაროების სიჭარბესა და ფაქტიური მასალის უქონლობასთან გვაქვს საქმე.

XVII საუკუნის უცხოურ წყაროებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია არქანჯელო ლამბერტის ნაშრომს<sup>84</sup>. არქანჯელო ლამბერტის სამისიონერო მოღვაწეობა საქართველოში ემთხვევა იმ ხანას, როდესაც რომის კათოლიკურმა ეკლესიამ განსაკუთრებით გააცხოველა თავისი პროპაგანდა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ევროპის რიგ სახელმწიფოებში XVI საუკუნეში რეფორმაციული მოძრაობის გამარჯვებამ კათოლიკურ ეკლესიას დიდი ზარალი მიყენა. რომის პაპის გავლენის სფეროს ჩამოცილდა ევროპის სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ დანაკლისის ანაზღაურებას კათოლიკური ეკლესია

<sup>82</sup> P. Verkaede, Muntboek, bevattende de namen en afbeeldingen van munten geslagen in de zeven voormalig vereenigde Nederlandsche provincien, schiedam, 1848, გვ. 117, ტაბ. 59, სურ. 1.

<sup>83</sup> P. Verkaede, მითითებული ნაშრომი, გვ. 117, ტაბ. 59, სურ. I

<sup>84</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938.



აღმოსავლეთის ქვეყნების ხარჯზე ცდილობდა. ამიტომ რომი ინტენსიურად გზავნიდა აქ და კერძოდ, საქართველოში კათოლიკე მისიონერებს. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი საქართველოში 1631 წელს ჩამოვიდა, თავდაპირველად იგი გორში ცხოვრობდა, მაგრამ ორი წლის შემდეგ სამისიონეროდ სამეგრელოში გადავიდა, სადაც მან 16 წელი დაჰყო. არქანჯელო ლამბერტი აგვიწერს სამეგრელოს ბუნებას, ფრინველთა და ცხოველთა სამყაროს, სამეურნეო საქმიანობას და რაც მთავარია, იგი ეხება, ჩვენთვის საინტერესო ადგილობრივი და უცხო ფულის მიმოქცევის საკითხებსაც. მისი გადმოცემით, სამეგრელოში ლევან II დადიანამდე (1611—1657 წწ.) ფულს არ ხმარობდნენ და ნატურალური მეურნეობა იმდენად ყოფილა გაბატონებული, რომ ძირითადად ვაჭრობა საქონლის უშუალო გაცვლა-გამოცვლით ხდებოდა. მაგრამ XVII საუკუნის პირველ ნახევარში ლევან II ზარაფხანა დაუარესებია და სომეხი ვაჭრებისათვის, რომლებსაც ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ ერანში, აბაზიანების ყაიდის მონეტების გამოშვება დაუწყია. ადგილობრივი მისახლეობა კი, როგორც ამას ავტორი გადმოგვცემს, „უფრო აფასებდა უცხო ფულს, მაგალითად, უნგრულს (უნგრულ ლუკატებს — რ. ქ.), ცეციოს (ვენეციურ ლუკატებს — რ. ქ.) და ესპანურ რეალებს“; ვიდრე ადგილობრივ მოჭრილ აბაზიანებს<sup>85</sup>.

როგორც ვხედავთ, არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოში მიმოქცევაში მყოფი ვენეციურ და უნგრულ ლუკატებს გვეჩივრება უნგრულ ლუკატებსაც ისახელებს. მაგრამ არც უნგრული ლუკატები და არც აბაზიანი, რომელსაც იტალიელ მისიონერი აქვე მოჭრილ ნიმუშად იხსენიებს, ჯერ აღმოჩენილი არ არის.

იმერეთის სამონეტო მიმოქცევისათვის XVII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში საყურადღებო ცნობებია შემორჩენილი რუსეთის ელჩების ტალოჩანოვისა და იევლევის დიპლომატიური მისიის მუხლობრივ აღწერილობებში. იმერეთში მიმოქცევაში მყოფ ოქროს მონეტებიდან ტოლოჩანოვმა ასახელებს უნგრულ ოქროს. მაგრამ სახელწოდება უნგრული ანუ როგორც მას რუსეთში უწოდებენ „чирокое“, ამ დროს რეპეტროლოგიური მნიშვნელობით იხმარებოდა და დაახლოებით 3,5 გრამი წონის შქონე ოქროს მონეტას აღნიშნავდა<sup>86</sup>. ამიტომ ტოლოჩანოვის ცნობა იმერეთში უნგრულ ოქროს მიმოქცევის შესახებ, ალბათ, ვენეციური და პოლანდური ლუკატების მიმოქცევასაც გულისხმობს.

რუსეთის ელჩების მიხედვით, 1651 წელს იმერეთში ოქროს ლუკატებთან ერთად ბრუნვაში ყოფილა შემდეგი ვერცხლის მონეტები: ტალერები, აბაზიანები, ნახევარაბაზიანები და ბისტიანები. იმერეთში გავრცელებული მონეტები ტოლოჩანოვსა და იევლევს, თითოეულს ცალცალკე, ნაჩვენები აქვთ რუსულ საფასებზე გადატანით. მოგვეყავს ზემოთ ჩამოთვლილი მონეტების რუსულ საფასებზე გადაყვანის ამონაწერი:

	ტოლოჩანოვი:
უნგრული ოქრო	= 40 ალტინს (ანუ 120 კაპ)
ეფიშკა (ე. ი. ტალერი)	= 20 ალტინს (ანუ 60 კაპ.)
აბაზი	= 6 ალტინსა და 4 დენგას (ანუ 20 კაპ.)
ნახევარი აბაზი	= 3 ალტინსა და 2 დენგას (ანუ 10 კაპ.)

<sup>85</sup> არქანჯელო ლამბერტი, მითითებული ნაშრომი, გვ. 156.

<sup>86</sup> И. Г. Спасский, Денежное хозяйство русского государства, Ленинград, 1901, გვ. 28.

ბისტი = 5 დენგას (2,5 კაპ.)<sup>87</sup>.

იველვეი = 1 მანეთი (ანუ 100 კაპ.)

ოქრო = 1 პოლტიკას (ანუ 50 კაპ.)

ფემკა (ე. ი. ტალერი) = 2 გრინას (20 კაპ.)

აბაზი = 1 გროშს (2 კაპ.)<sup>88</sup>.

ასტი

როგორც ვხედავთ, ტოლოჩანოვისა და იველვეის ეროვნული მონეტების თანაფარდობის საკითხში ერთმანეთს არ ემთხვევა. განსაკუთრებით ეს იგრძნობა რუსული მონეტების წონის ჩვენებისას: თუ პირველ შემთხვევაში ოქრო ნაჩვენებია 57,6 გრამი ვერცხლის ექვივალენტად, მეორეში ის უკვე 48 გრამია<sup>89</sup>. ტალერი ხან 28,8 გრამია, ხან 24 გრამი; მიუხედავად იმისა, რომ აბაზი ასეთი დიდი წონის არც ერთსა და არც საქართველოში არსდროს არ მოუჭრიათ, ორივე შემთხვევაში 9,6 გრამი არის ნაჩვენები, ხოლო ბისტი 1,2 გრამი და 0,96 გრამია. ამრიგად, აქ სრულ შეუსაბამობას აქვს ადგილი და ამიტომ ტოლოჩანოვისა და იველვეის მიერ გამოყვანილი მონეტების ურთიერთ შეფარდება ნდობას არ იმსახურებს<sup>90</sup>.

XVII საუკუნის მეორე ნახევრისა და XVIII საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში ვენეციური ოქროს ღუკატების მიმოქცევის ცნობებს იძლევიან ფრანგი მოგზაურები: შარდენი და პროფესორი ტურნეფორი.

მიუხედავად იმისა, რომ XV საუკუნის მეორე ნახევარში იტალიელთა შეზღვევისპირა ფაქტორები გაუქმდა, დასაყრდენი ვეროის სავაჭრო კაპიტალი არ კარგავდა აქ ბაზრების ხელახლა დაუფლების იმედს. ამ მხრივ აღსანიშნავია 1535 წელს საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადება და შავ ზღვაში საფრანგეთის ხომალდების შემოსვლის ფაქტი<sup>91</sup>. XVII საუკუნის დასასრულისათვის საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა დაცემის გზაზე მდგარ ოსმალეთის სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებას ემყარებოდა, რაც თავის მხრივ, მახლობელ აღმოსავლეთში საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად<sup>92</sup>. თუ შარდენის მოგზაურობა კერძოდ კომერციულ მიზნებს ემსახურებოდა, ტურნეფორის ექსპედიცია დაკავშირებული იყო მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში საფრანგეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაინტერესებასთან<sup>93</sup>.

<sup>87</sup> М. Полневков, Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию 1650—1652. Тифлис, 1926, гл. 119.

<sup>88</sup> იქვე, გვ. 188.

<sup>89</sup> რუსული კაპიკი ამ დროს 0,48 გრ. იწონდა. И. Г. Спасский, Русская монетная система, Ленинград, 1962, гл. 106.

<sup>90</sup> ამ გარემოებას, თავის დროზე, ყურადღება მიაქცია პროფ. ს. კაიბაძემ (ს. კაიბაძე, საფრანგ ისტორიისათვის საქართველოში, სოცისტორიო მოამბე, წიგნი I, ტფილისი, 1925, გვ. 26). რუსული მონეტების წონის გამოანგარიშებისას იგი ეყრდნობა კაუფმანის ნაშრომს (И. И. Кауфман, Серебряный рубль в России от его возникновения до конца XIX века. С.—Петербург, 1910, гл. 102); სადაც კაპიკის წონა 0,48 გრამის ნაცვლად, 0,474 გრამია ნაჩვენები, ამის გამო ჩვენ პროფ. ს. კაიბაძისაგან განსხვავებული შეფარდება მივიღეთ.

<sup>91</sup> А. Фадеев, Митითებული ნაშრომი, გვ. 110.

<sup>92</sup> М. А. Полневков, Европейские путешественники XIII-XVIII в. по Кавказу, Тифлис, 1935, гл. 12.

<sup>93</sup> М. А. Полневков, Митითებული ნაშრომი, გვ. 186.

1672—1673 წლებში საქართველოში იმოგზაურა ფრანგმა კომერსანტმა შარდენმა. მისი გადმოცემით, ამ დროს სამეგრელოში მიმოქცევაში ყოფილა ეკიუ, პიასტრები და ქართლში მოჭრილი აბაზიანები<sup>94</sup>, ხოლო XVII საუკუნის 50-იან წლებში, მისივე ცნობით, სამეგრელოში უცხო ფულის გვერდით ბრუნვაში ყოფილა ადგილობრივი მონეტებიც. ავტორი აღნიშნავს, რომ სამეგრელოს მთავარი, რომელიც უკვე ოცი წელია, რაც გარდაიცვალა, საკუთარ ფულს ქრიდა<sup>95</sup>. შარდენის ჩამოსვლამდე ოცი წლით ადრე სამეგრელოში მთავრად იყო ლევან II დადიანი (1611—1667), რომელიც, არქანჯელო ლამბერტის ცნობით, ერანული ყაიდის აბაზიანებს ქრიდა<sup>96</sup>. ორივე ეს ცნობა, სამეგრელოში ადგილობრივი ფულის გამოშვების შესახებ, ქრონოლოგიურად კარგად უდგება ერთმანეთს. ამიტომ შარდენს, ჩვენი აზრით, ლევან II დადიანის მიერ დაარსებულ ზარაფხანაში მოჭრილი აბაზიანები უნდა ჰქონდეს მხედველობაში. რაც შეეხება დუკატებს, ავტორი ამ მონეტებს მხოლოდ საგზაო ხარჯებთან დაკავშირებით იხსენიებს, მაგალითად: „ყველა ქრისტიანი, რომელიც გონიოზე გაივლის, ორასი დუკატი უნდა მისცეს გონიოს მმართველს“<sup>97</sup>, „...მე ნებას გაძლევ, ამისათვის გაიღო რაღაც დუკატი“<sup>98</sup>, „ოთხი დუკატი იანიჩარებს დაეუთვალე“<sup>99</sup>.

1700—1702 წლებში საფრანგეთის მთავრობის დავალებით მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში იმოგზაურა ცნობილმა ფრანგმა ბოტანიკოსმა პროფესორმა ტურნეფორმა. მისი ცნობით, 1701 წელს თბილისში მიმოქცევაში ყოფილა პოლანდიური დუკატი, ვენეციური ცეხინი, პიასტრი, აბაზი და კაზბეკი<sup>100</sup>. ფრანგი მოგზაურის ცნობა საქართველოში ვენეციური დუკატების მიმოქცევის შესახებ, ჩვენთვის იმითაცაა საყურადღებო, რომ იგი ამ მონეტების ღირებულებასაც იძლევა. ავტორი აღნიშნავს, რომ „ვენეციური ცეხინები, რომლებიც მიმოქცევაშია მთელს აღმოსავლეთში, თბილისში 6 აბაზად და 3 შაურად ფასობენ“<sup>101</sup>.

XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოში ოქროს ფულის მიმოქცევის შესახებ საყურადღებო განმარტებას იძლევა ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნი“. ქართული კანონმდებლობის ძეგლში ფულადი ერთეულების რეალური ღირებულებისა და მათი ურთიერთშეფარდების შეტანა განპირობებული იყო სსსჯელის ფულადი დაურევებით. „თეთრის გარიგების კარში“ ვახტანგ მეფე ჩამოთვლის საქართველოში მიმოქცევაში მყოფ ვერცხლისა და ოქროს შემდეგ მონეტებს: შაურს, უზალთუნს, აბაზს, მარჩილს, მინალთუნს, ფლურს, ასლანს<sup>102</sup> და აქვე ქართული წონის სისტემასაც იძლევა.

<sup>94</sup> Chardin, Voyages du chevalier Chardin en Perse et aux Indes orientales, I, Paris, 1811, გვ. 186.

<sup>95</sup> იქვე.

<sup>96</sup> არქანჯელო ლამბერტი, მითითებული ნაშრომი, გვ. 156.

<sup>97</sup> ე. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, ვ. ბარნოვის თარგმანი, თბილისი, 1935, გვ. 46.

<sup>98</sup> იქვე, გვ. 47.

<sup>99</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>100</sup> Par M. de Tournafort. Relation d'un voyage du Levant. Lyon. DCCXVI გვ. 165—166.

<sup>101</sup> იქვე, გვ. 166.

<sup>102</sup> ვახტანგ VI სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის გამოცემა, თბილისი, 1955, გვ. 53.

ოქროს მონეტებიდან „სამართლის წიგნი“ დასახელებულია ასლანი და ფლური. აღმოსავლეთის ქვეყნებში ჰოლანდიურ ოქროს დუკატებს ასლანს ეძახდნენ<sup>103</sup>. ეს სახელწოდება მომდინარეობს ჰოლანდიის პროვინციის ვესტ-ფრიზიის დუკატებიდან, რომლებზედაც გამოსახული იყო ორი ლომი, ხოლო ასლანი ოსმალურად ნიშნავს ლომს. როგორც ჩანს, XVIII საუკუნის დასაწყისში ჰოლანდიურ დუკატებს საქართველოში იმდენად დიდი გავრცელება მიუღიათ, რომ ვახტანგ VI საჭიროდ მიუჩნევია ამ მონეტების შეტანა „სამართლის წიგნი“. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სამართლის წიგნი“ არ იძლევა ასლანის ღირებულებასა და წონას<sup>104</sup>. სამაგიეროდ, ვახტანგ VI დაწვრილებით ჩერდება ფლურის შინაარსზე. ადრე უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ XV საუკუნის დასასრულიდან ფლურმა, როგორც ვენეციური დუკატების აღმნიშვნელმა ტერმინმა, დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, შეინარჩუნა ძველი მეტროლოგიური შინაარსი და დუკატების თანაბარი წონის ყველა ოქროს მონეტის აღმნიშვნელ ტერმინად გადაიქცა. ფლურის წონის შესახებ საყურადღებო ცნობას იძლევა ვახტანგ VI სამართლის წიგნი. „თეთრის გარიგების კარში“ ვკითხულობთ: „ორი შაურის წონა ოქროს, რომ მისი დალი აჯდეს ერთი ფლური არის“<sup>105</sup>. მაშასადამე, ფლური ორი შაურის წონას შეიცავდა. ორშაურნახევარი, ვახტანგ VI სამართლის მიხედვით, ერთ მისხალს შეადგენდა<sup>106</sup>. ხოლო, რადგან მისხალი 4,436 გრამს უდრიდა<sup>107</sup>, ჩვენთვის საინტერესო ფლურის წონის დადგენაც სულ ადვილია: თუ ერთი მისხალი, ანუ 4,436 გრამი 2,5 შაურს უდრის, ხოლო ფლურის წონა ორი შაურის წონას, მაშინ ფლურის წონა 3.548 გრამი ყოფილა, რაც კარგად უდგება ჩვენში გავრცელებულ ოსმალური ალთუნების, ერანული აშრეფების, ვენეციური, ჰოლანდიური და უნგრული დუკატების წონას. მაგრამ XVII საუკუნის შუა წლების ქართულ წყაროებში ფლური დუკატებთან შედარებით მცირე ოქროს მონეტების აღმნიშვნელ ტერმინადაც იხმარება. ამრიგად, XVII საუკუნის შუა წლებში ფლური კარგავს მეტროლოგიურ შინაარსსაც და საერთოდ ოქროს მონეტის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად იხმარება.

ფლურის მეტროლოგიური შინაარსის სრული სურათის აღსადგენად საჭიროა ამ უკანასკნელის ღირებულებების დადგენა. ამასთან დაკავშირებით მოგვყავს ჩვენთვის ხელმისაწვდომი ქართული და უცხო წერილობითი წყაროებიდან ფლურის ღირებულებების შემცველი ცნობები: ტურნეფორის ცნობით, 1701 წელს ვენეციური ცეხინი (ანუ იგავე ფლურა) 6 აბაზად და 3 შაურად ფასობდა<sup>108</sup>, ვახტანგ VI სამართლის მიხედვით. 1705—1709 წლებში ფლური ხან 7 აბაზია, ხან 7 აბაზი და 1 შაური და ხან 7 აბაზი და 2 შაური<sup>109</sup>. პაპუნა ორბელიანის ცნობით, 1748 წელს თბილისში მოჭრილი ფლური 30 შაურის, ე. ი. 7 აბაზისა და ორი შაურის ღირებულებას შეიცავდა<sup>110</sup>, 1764 წლის ქართლ-კა-

<sup>103</sup> Tournafort, მითითებული ნაშრომი, გვ. 165.

<sup>104</sup> ჰოლანდიური დუკატი იწონიდა დაახლოებით 3,5 გრამს.

<sup>105</sup> ვახტანგ VI სამართლის წიგნი, გვ. 54.

<sup>106</sup> იქვე.

<sup>107</sup> ი. ე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ნუმისმატიკა-მეტროლოგია, გვ. 99.

<sup>108</sup> Tournafort, მითითებული ნაშრომი, გვ. 166.

<sup>109</sup> ვახტანგ VI სამართლის წიგნი, გვ. 54.

<sup>110</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, საქართველოს ცხოვრება, მეორე გამოცემა ზ. კვიციანიძის მიერ, ტფილისი, 1913, გვ. 158.

სეთის მონასტრებისა და ეკლესიების ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, ფლურის 8 აბაზს უდრიდა<sup>111</sup>, ხოლო 1760—1780 წლების ერთ-ერთი მობარების წიგნში ფლური 2 მინალთუნს ე. ი. 10 აბაზის ექვივალენტად იხსენიება<sup>112</sup>. ჩამოვყალიბოთ ეს მონაცემები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით:

1701 წ. ფლური = 6 აბაზსა და 3 შაურს.

1705—1709 წწ. = ხან 7 აბაზს, ხან 7 აბაზსა და 1 შაურს და ზოგჯერ 7 აბაზსა და 2 შაურს.

1748 წ. = 7 აბაზსა და 2 შაურს.

1764 წ. = 8 აბაზს.

1760—1780 წწ. = 10 აბაზს.

როგორც ვხედავთ, ფლურის ღირებულება ცვალებადი იყო და ფლურსა და აბაზს შორის სხვადასხვა დროს სხვადასხვა რიცხვითი დამოკიდებულება არსებობდა. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, აბაზის წონის თანდათანობითი შემცირებით აიხსნება. ცნობილია, რომ შემოსავლის გადიდების მიზნით, ხელისუფლება ხშირად მონეტის წონის შემცირების ან სინჯის გაუარესების გზას ადგებოდა ხოლმე. შაჰ-აბას I დროიდან რუსეთთან შეერთებამდე ქართული აბაზიანების წონა 7,8 გრამიდან 3 გრამზე ქვემოთ დეცა. ხოლო, რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო პერიოდის აბაზიანების წონით ცვალებადობას, იგი შემდეგნაირად გამოიყურება:

1705—1709 წწ. 7,096 გრ.<sup>113</sup>

1748 წ. 4,590 გრ.<sup>114</sup>

1764 წ. 3,820 გრ.<sup>115</sup>

1780 წ. 3,00 გრ.<sup>116</sup> (უმნიშვნელო დამრგვალებით).

ამრიგად, საუკუნის მანძილზე აბაზის წონა 2,365-ჯერ შემცირდა, ხოლო ფლურის ღირებულება კი მხოლოდ 1,47-ჯერ გაიზარდა. იქნება შთაბეჭდილება, რომ XVIII საუკუნეში დაირღვა ოქროსა და ვერცხლის მონეტებს შორის აღრე დაკანონებული შეფარდების ნორმა. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოვვარჩევ, რომ რიგ სახელმწიფოებში, სინქრონულ ხანებში ეცემა ლუკატების ექვივალენტური ოქროს მონეტების წონა. ვინაიდან ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე მიმოიქცეოდა სხვადასხვა ქვეყნის სიქით მოჭრილი ოქროს მონეტები, ხოლო მათი აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი ფლური იყო, ამ მოვლენასაც სათანადო ახსნა ეძლევა.

გიულდენშტედტი იუწყება, რომ 1772 წელს იმერეთში გავრცელებული, ჰიჯრის 1171 წელს (1757 წ.) ქ. მისრში მოჭრილი ოსმალური ოქროს მონეტა

<sup>111</sup> ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. თორდანიას მიერ, ფოთი, 1909, გვ. 361.

<sup>112</sup> ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფილისი, 1909, გვ. 361. ამ საბუთს პროფ. ს. კაკაბაძე 1760—1780 წწ. ათარიღებს. ს. კაკაბაძე, „ჩვენი შეცნობები“, № 1—2, ტფილისი, 1924, გვ. 282.

<sup>113</sup> გამოანგარიშებულია ვახტანგ VI სამართლის წიგნიდან.

<sup>114</sup> საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილების განძების ფონდი, №№ 176—1184, 2496—2502.

<sup>115</sup> იქვე, № 2512.

<sup>116</sup> იქვე, №№ 2767—2774.





წიგნის შედგენაზე 4—8 წლით ადრე იყო. ამ პერიოდში ოქროსა და ვერცხლის მონეტების წონაში ცვლილებები არ უნდა მომხდარიყო. მიუხედავად იმისა, 1701 წელს ფლური შედარებით იაფი ჩანს. პროფ. ნ. ქოიავა ამ განსხვავებას კონიუქტურული ცვლილებებით ე. ი. ფულის კურსის მოძრაობით ხსნის<sup>124</sup>, რასაც, ჩვენი აზრით, უნდა დაემატათ ერთიდაიგივე ფულადი ერთეულების წონითი სხვადასხვაობაც. ზემოთ აღნიშნული გვექონდა, რომ 1701—1709 წლებში ფულის წონაში ცვლილებები არ მომხდარა და სამართლის წიგნის მიხედვით აბაზის წონა 7,08 გრამი იყო. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამ აბაზიანებთან ერთად მიმოქცევაში იქნებოდა ძველი, ე. ი. შედარებით მეტი წონისა და, მაშასადამე, მეტი ღირებულების აბაზებიც. ამიტომ ტურნეფორისა და ვახტანგ VI მიერ ნაჩვენები ფლურის სხვადასხვა ღირებულების მიზეზი კონიუქტურული ცვლილებებისა და ერთიდაიგივე ფულადი ერთეულების წონით სხვადასხვაობაში უნდა მდგომარეობდეს.

XVIII საუკუნის წერილობით წყაროებში არსებული ცნობების გარდა, საქართველოში ვენეციური ოქროს დუკატების მიმოქცევის შესახებ არსებობს ამავე პერიოდის ფაქტური მასალაც. 1941 წლის ნოემბერში, ქ. ქუთაისში კათოლიკური ეკლესიის ეზოში თხრილის გაყვანის დროს იპოვეს 21 ოქროს მონეტა. ლეხურის ხეობის განძის ანალოგიურად, ეს განძი შერეული შემადგენლობისაა და შეიცავს: ვენეციურ დუკატებს (8 ცალი) და ოსმალურ ალთუნებს (13 ცალი). განძის ნაწილი, რომელიც ვენეციური დუკატებისაგან შედგება, წარმოდგენილია XVIII საუკუნის შემდეგი დოკების მონეტებით: ჯოვანი კორნელის (1709—1722 წწ. 4 ცალი), სებასტიანო მოჩენიგოსი (1722—1731 წწ., 2 ცალი) და კარლო რუცინოს (1731—1735 წწ. 2 ცალი) დუკატებით; ხოლო მეორე ნაწილი სულთან აჰმედ III (1703—1730 წწ.) სახელით, გამოშვებული კონსტანტინეპოლის (11 ცალი), მისრისა (1 ცალი) და თბილისის (1 ცალი) ხარაფხანების ალთუნებით; ქ. ქუთაისის განძიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მხოლოდ თბილისში მოჭრილი ალთუნი შემოვიდა (საინვენტარო № 5086)<sup>125</sup>, ხოლო დანარჩენი ნაწილი მოსკოვის სახელმწიფო ბანაკს გადაეგზავნა.

საქართველოში აღმოჩენილი XVIII საუკუნის ვენეციური დუკატებიდან ზემოხსენებულის გარდა შეგვიძლია დავასახელოთ თითო ცალეების აღმოჩენების კიდევ ორი შემთხვევა. 1927 წელს აფხაზეთის ასსრ სუხუმის რაიონის სოფელ ნეიდორფში იპოვეს ალფინე მოჩენიგოს (1763—1779 წწ.) დუკატი<sup>126</sup>. 1939 წელს დუშეთის რაიონის სოფელ ანანურში ძველი ციხის მთავარი კოშკის გასუფთავებისას იპოვეს ჯოვანი კორნელის (1709—1722 წწ.) დუკატის ნატიეხი, რომელიც სიძველეთა დაცვის კომიტეტს გადაეცა<sup>127</sup>.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში შეიქმნა შედარებით გელსაყრელი პირობები მშვიდობიანი ცხოვრებისა და ქვეყნის ეკონომიური აღორძინებისათვის. ამ დროს საქართველო ფართო ვაჭრობას აწარმოებდა მე-

<sup>124</sup> ნ. ქოიავა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართულ-კახეთში, თბილისი, 1963, გვ. 66—67.

<sup>125</sup> ლ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1950, გვ. 93, № 150.

<sup>126</sup> Е. А. Пахомов, Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа, выпуск II, Баку, 1938, გვ. 66, № 590.

<sup>127</sup> Е. А. Пахомов, Итоги археологических исследований в Грузии, выпуск IV, Баку, 1949, გვ. 71. № 1201.



ზობელ სახელმწიფოებთან. ქართველი ვაჭრები დადიოდნენ როგორც აზიის, ისე ევროპის ქვეყნებშიც; თუმცა საქართველოს ურთიერთობა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ჯერ კიდევ სუსტი იყო და შემთხვევით ხასიათს ატარებდა. მართალია, თბილისში XVIII საუკუნის მიწურულს შემოქონდათ ამსტერდამიდან მაუდი, შაქარი, ვენეციიდან—აბრუმუმის ქსოვილები და სხვა, მაგრამ ეს ევროპული საქონელი უმთავრესად აღმოსავლეთის ქალაქების მეშვეობით შემოდიოდა<sup>128</sup>.

ჯერ კიდევ XVII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც საქართველოში აკლავ გამოჩნდნენ ევროპელი ვაჭრები და ევროპული სავაჭრო კაპიტალია სხვა აგენტები, ქართლის მეფე ვახტანგ V (1658—1675 წწ.) შეეცადა ეკონომიური ურთიერთობა დაემყარებინა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. მას კარგად ესმოდა ევროპის სავაჭრო კაპიტალთან დაახლოების დიდი მნიშვნელობა. ამიტომ პირდებოდა იგი შარდენს, რომ „თუ ევროპელები აღებ-მიცემობისათვის მოვლენ, მათ გავანთავისუფლებ ყველა გადასახადებისაგან და მივანიჭებ ყოველგვარ უპირატესობას, რასაც ეს სურვებენო“<sup>129</sup>.

ასეთი განწყობილება ევროპელთა მიმართ ახასიათებდა საქართველოს სხვა მეფეებსაც. 1713 წელს ვახტანგ VI საფრანგეთთან პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის დამყარების მიზნით ელჩად მიავლინა სულხან-საბა ორბელიანი. საქართველოსა და საფრანგეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის დამყარების შემთხვევაში, ვახტანგ VI ლუი XIV პირდებოდა თბილისიდან შავ ზღვაზე სამეფო ხარჯით გზის გაყვანას, გზაზე ფოსტების მოწყობას, საფოსტო ცხენების დაყენებას, საყარაულო პუნქტების დაარსებას და სხვას<sup>130</sup>.

საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის აგენტის პესიონელის ცნობით, ერეკლე II ევროპელებს სავაჭრო ურთიერთობის დამყარებასა და გაძლიერებაში დიდი დახმარების იმედს აძლევდა<sup>131</sup>. თანამედროვეთა გადმოცემით, „ერეკლე არაფრისაკენ ისე არ მიისწრაფვის, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ“<sup>132</sup>. ამ მიზნით იგი ქართლ-კახეთიდან გზავნიდა ახალგაზრდებს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქალაქებში.

ამრიგად, XVIII საუკუნის საქართველოში მრავალი ისეთი საერთაშორისო ურთიერთობა არსებობდა, საგარეო ვაჭრობა, მისიების გაგზავნა უცხოეთში, მოგზაურების ჩამოსვლა საქართველოში, რაც იწვევდა უცხო ფულის შემოსვლას ჩვენ ქვეყანაში.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ადგილობრივი და უცხო ფულის მიმოქცევის შესახებ ამომწურავ ცნობებს იძლევა აკად. გიულდენშტედტი. საქართველოში მიმოქცევაში მყოფი ოქროს მონეტებიდან ავტორი ასახელებს დუკატებს, რუსულ იმპერიალებს და ოსმალურ ოქროს მონეტებს.

ქართული და უცხოური მონეტების ღირებულებისა და შეფარდების გარკვევის დროს ის ზოგჯერ შეცდომებს უშვებს. შემცირებული ოსმალური ოქროს მონეტის სარმამიდის ფასი გიულდენშტედტს სხვადასხვანაირად აქვს ნაჩვენები. მისი გადმოცემით, „სარმამიდი არის თურქული ოქროს ფული არაბუ-

128 თბილისის ისტორია, გვ. 237.

129 ე. შარდენი, მითითებული ნაშრომი, გვ. 106.

130 ზ. კიკინაძე, საქართველოს შესახებ ევროპელ მოძღვართა და მოგზაურთა ცხობები, თბილისი, 1895, გვ. 33.

131 თბილისის ისტორია, გვ. 136.

132 საქართველოს ისტორია, ტ. I, გვ. 365.





ლი წარწერით... ის იწონის 42 გრანს (2,62 გრ.) და უდრის 2 მარჩილს 104 ფარას<sup>133</sup>. მაგრამ 104 ფარა მისივე განმარტებით უდრის 6 აბაზსა და 1 უზალთუნს<sup>134</sup>. მაშასადამე, ერთ შემთხვევაში სარამიდიის ფასი 6, ხოლო მეორეში 6,5 აბაზია ნაჩვენები.

შემცირებული ოსმალური ოქროს მონეტის სარამიდიის გვერდით გიულდენშტედტი იხსენიებს 1696 წელს კონსტანტინეპოლში მოჭრილ სრულფასიან ალთუნსაც და აღნიშნავს, რომ „თურქული დუკატი წმინდა ოქროსი, 1 დრაქმის სიძიმის 120 ფარა ღირს“<sup>135</sup>. 1 დრაქმა გრამებზე გადაყვანით 3,75 გრამს უდრის<sup>136</sup>, ხოლო 120 ფარა კი 7,5 აბაზს. ჩვენი აზრით, გიულდენშტედტი ამ შემთხვევაში ალთუნის ღირებულებას სწორად არ იძლევა, ვინაიდან ასეთი ფასი ალთუნს გაცილებით ადრე, კერძოდ XVIII საუკუნის პირველ წლებში, ჰქონდა და XVIII საუკუნის დასასრულისათვის, აბაზის წონის შემცირებასთან დაკავშირებით, უდაოდ 7,5 აბაზზე მეტი იქნებოდა.

რუსული ოქროს მონეტის, იმპერიალის, შეფარდება ადგილობრივ მონეტებთან გიულდენშტედტს ზუსტად გამოყავს და იმპერიალის ექვივალენტად 1 თუმანს ანუ 50 აბაზს ასახელებს<sup>137</sup>. იმპერიალი, რომ, მართლაც, 1 თუმანს უდრიდა, ამას ადასტურებს 1770 წელს ერეკლე II მიერ რუსეთის საქმეთა რწმუნებულის მოურავოვისადმი მიწერილი წერილი, რომელიც საქართველოსა და რუსეთის მონეტების ურთიერთშეფარდების საკითხს ეხება. მოგვყავს სათანადო შინაარსის ამონაწერი: „შენ ბრწყინვალეებას ჩვენთვის ეკითხა მისი დიდებულების ოქრო და ვერცხლი როგორც ეხარჯება გამომიცხადეთო ჩვენ ასე განვაცხადეთ: იმპერიალი ერთ თუმანად იხარჯება“<sup>138</sup>.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში იმპერიალის წონა დაახლოებით 13 გრამს უდრიდა<sup>139</sup> და, ამრიგად, 13 გრამ ოქროში 50 აბაზს იძლეოდნენ, აქედან 0,260 გრამში—1 აბაზს. ამ შეფარდებიდან ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ ოსმალური ოქროს მონეტების სარამიდიისა და ალთუნის ღირებულება. თუ 1,260 გრამი ოქრო 1 აბაზს უდრიდა, მაშინ სარამიდიის ფასი 10 აბაზი ( $2,62 : 0,260 = 10$ ), ხოლო ალთუნის კი 14,5 აბაზი ( $3,75 : 0,260 = 14,42$ ) იქნებოდა.

დუკატების შესახებ გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ ქართველები დუკატას ოქროს ეძახიან<sup>140</sup>. მაგრამ ოქრო ქართულ წერილობით წყაროებში დუ-

<sup>133</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს თარგმანი, თბილისი, 1962, გვ. 285.

<sup>134</sup> იქვე, გვ. 287.

<sup>135</sup> იქვე.

<sup>136</sup> გიულდენშტედტი ალთუნის წონას მცირე გადაჭარბებით იძლევა. მისი ცნობით, დრაქმა 60 გრანს უდრის (გვ. 137), 1 გრანი, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, 0,0625 გრ უდრის (ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ნუმისმატიკა და მეტროლოგია, გვ. 25). მაშასადამე, 1 დრაქმა უდრის 3,75 გრამს ( $0,0625 \cdot 60 = 3,75$ ).

<sup>137</sup> გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, მითითებული ნაშრომი, გვ. 273.

<sup>138</sup> А. Сагарели, Грамоты и другие исторически документы, относящиеся к Грузии, т. II, вып. I, გვ. 37.

<sup>139</sup> საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფ. ფონდებში დაცული XVIII საუკუნის 70-იანი წლების იმპერიალები (სინვენტარო №№ 2498, 2499) 12,95 და 13 გრამს იწონის. დაახლოებით ასეთსავე წონას (1,064 გრ) იძლევა დ. მ. გიორგი მიხეილის ძე В. К. Георгий Михайлович, Монеты царствования императрицы Екатерины II. т. I. С.-Петербург, 1894, გვ. II.

<sup>140</sup> გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, მითითებული ნაშრომი, გვ. 237.

კატებზე მცირე წონის ოქროს მონეტების აღმნიშვნელ ტერმინადაც იხმარებოდა<sup>141</sup>. 10 აბაზის ექვივალენტად იხსენიება<sup>141</sup>. 10 აბაზი კი, როგორც აღვნიშნეთ 2,62 გრამიანი ოქროს მონეტის ღირებულებას შეადგენდა. მასასადამე, ოქრო სპეციალურ ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ფლურთან ერთად ოქროს მონეტის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად გვევლინება<sup>142</sup>.

გიულდენშტედტის ცნობებს, საქართველოში უცხო ქვეყნების ოქროს მონეტების მიმოქცევის შესახებ, ასევე თეიმურაზ ბატონიშვილის წერილი ქართული საფასის შესახებ: „ოქრო ჩვენში სრულიად გოლანდიისა მუშაობდა, ვენეციისა და ოსმალისა და უფრო ცოტა, მაგრამ ოსმალის ოქრო წმინდა არ არის და ამისთვის არ უყვართ ქართველებს<sup>143</sup>“.

ჰოლანდიური დუკატები, როგორც ირკვევა, ჩვენში XIX საუკუნის პირველ მეოთხედშიც ე. ი. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც იყო მიმოქცევაში<sup>144</sup>. კავკასიაში მდგარი ჯარის ნაწილებს რუსეთის მთავრობა ჯამაგირს ნაწილობრივ ჰოლანდიური დუკატებით უხდიდა<sup>145</sup>. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს რუსეთში მოჭრილ ჰოლანდიურ დუკატებთან ანუ ჰოლანდიურ ჩერვონეცებთან, ან კიდევ, როგორც მას რუსეთში უწოდებდნენ, ლობანჩიკებთან. ცნობილია, რომ XVIII საუკუნეში რუსეთში დაიწვეს, ორიგინალებისაგან ძნელად გასარჩევი, ჰოლანდიური დუკატების გამოშვება<sup>146</sup>. ეს მონეტები მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის მიზნით იჭრებოდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთის მთავრობა პირველ ხანებში იძულებული იყო ჯარის შესანახი თანხა იმ მონეტებით გაეღო, რომლებიც მიმოქცევაში იყო ორივე სახელმწიფოში. ასეთ მონეტებს წარმოადგენდა ჰოლანდიური დუკატები, რომლებიც ერთნაირად იყო გავრცელებული საქართველოსა და რუსეთში.

XIX საუკუნის პირველ წლებში ქართლ-კახეთში ჰოლანდიური დუკატების კურსი ვერცხლისა და სპილენძის მონეტებზე გადაყვანილ მეტად მერყევი იყო. 1801 წელს ერთ ჰოლანდიურ დუკატში დახურდავეების დროს სპილენძის ფულით 4 მანეთსა და 70-78 კაპიკს იღლეოდნენ, 1802 წელს კი 4 მანეთსა და 38 კაპიკს სპილენძით, ხოლო 13 აბაზს ვერცხლით<sup>147</sup>. იმავე წელს ჰოლანდიური დუკატების კურსი უფრო მეტად დაეცა. ერთ დუკატში 13 აბაზის ნაცვლად 12 აბაზსა და 2 შაურს იღლეოდნენ, მაშინ, როდესაც ამ მონეტების ღირებულება რუსეთში სპილენძის ფულზე 4 მანეთსა და 80 კაპიკს, ხოლო ვერცხლის მონეტებზე 2 მანეთსა და 80 კაპიკს შეადგენდა<sup>148</sup>.

<sup>141</sup> ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფილისი, 1909, გვ. 525, 529.

<sup>142</sup> ივ. ჯავახიშვილი, მითით. ნაშრომი, გვ. 58.

<sup>143</sup> საისტორიო მთაბმე, წიგნი 1, ტფილისი, 1925, გვ. 34.

<sup>144</sup> E. A. Пахомов, მითითებული ნაშრომი, вып. 3, Баку, 1926, გვ. 34.

<sup>145</sup> И. М. Холодковский, Лобанчики, журнал „Старая монета“, 1911, №3, გვ. 36.

<sup>146</sup> С. А. Розанов, მითითებული ნაშრომი, გვ. 155.

<sup>147</sup> Акты собранные Кавказской Археографической Комиссией, т. I, Тифлис, 1866, გვ. 503.

<sup>148</sup> იქვე, გვ. 505.

XIX საუკუნეში საქართველოში ჰოლანდიური დეკატების მიმოქცევას ადასტურებს ჩვენში ამ პერიოდის დუკატის აღმოჩენის ფაქტი. 1940 წელს თბილისში, ბოტანიკურ ბაღში მოსწავლეებმა იპოვეს ოქროს მონეტა, რომელიც, ნუმიზმატ დ. კაპანაძის განსაზღვრით, XIX საუკუნის ჰოლანდიური დუკატი აღმოჩნდა.

რაც შეეხება რუსეთთან შეერთების შემდეგ ვენეციური დუკატების მიმოქცევას საქართველოში, ამის შესახებ წერილობითი ცნობები და ფაქტიური მასალა აღარ მოგვეპოვება.

ამრიგად, ფაქტიური ნუმიზმატიკური მასალისა და წერილობითი წყაროების მიხედვით, XV საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ვენეციური ოქროს დუკატები ინტენსიურად შემოდის საქართველოში და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენი ქვეყნის ფულად მიმოქცევაში.



1



2




3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16

## ამიერკავკასიული გვირგვინიან-ერდოიანი სახლის კლასიფიკაციისა და მის ვერტიკალურ ზონალობაში გავრცელების შესახებ

თ. ჩიქოვანი

(წარმოდგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში)

გვირგვინიან-ერდოიანი საცხოვრებელი ნაგებობის გენეზისის გარკვევისათვის სხვასთან ერთად უპირატესად მნიშვნელოვანია მისი გავრცელების არეალის დაზუსტება, რასაკვირველია, პირველ რიგში ამიერკავკასიის მასშტაბით. ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მის ვარიანტულ კლასიფიკაციას, რაც გარკვეულად დაგვეხმარება ამ რიგის ნაგებობების ნაციონალურ-კუთხურ თავისებულებათა სწორ გაგებაში.

სხენებული ტიპის საცხოვრებლის გავრცელებისა და კლასიფიკაციის საკითხს ამიერკავკასიის მასშტაბით ეთნოგრაფებიდან პირველად ვ. კობიჩევი შეეხო თავის საკანდიდატო დისერტაციაში<sup>1</sup>, აღნიშნული ნაშრომი, როგორც თვითონ ავტორი შენიშნავს, ლიტერატურულ მონაცემებზეა აგებული<sup>2</sup> და ამის გამო იგი სავსე ეთნოგრაფიულ მასალას მოკლებულია. მიუხედავად ამისა ვ. კობიჩევის მკვლელობა ზემოხსენებული საკითხის გარკვევის საქმეში ინტერესს მოკლებული არ არის.

ვ. კობიჩევის ნაშრომის მიხედვით, ამიერკავკასიაში XIX ს. გავრცელებული ყოფილა ორი სახესხვაობისა ერდოიან-გვირგვინიანი რიგის საცხოვრებელი სახლი: ერთელემენტისანი და კომპლექსური<sup>3</sup>. აქედან პირველი, რომელშიაც უშუალოდ გვირგვინისებური გადახურვით მომთავრებული საცხოვრებელი ოთახი და მის წინ არსებული კარაპანი შედიოდა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიისათვის, კერძოდ აზერბაიჯანისათვის, ქართლისა, მესხეთისა და ცენტრალური სომხეთისათვის ყოფილა დამახასიათებელი<sup>4</sup>. ხოლო რთული, ანუ კომპლექსური, სადაც ადამიანის საცხოვრებელთან ერთად წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო სათავსოები—სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიისათვის<sup>5</sup>. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვ. კობიჩევი, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, აღარ ასახელებს სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის იმ რაიონებს, სადაც გავრცელებული უნდა ყოფილიყო მეორე სახესხვაობის აღნიშნული ტიპის სახლები.

<sup>1</sup> В. П. Кобычев, Жилище народов Восточного Закавказья в XIX в. (кандидатская диссертация). Сокращенный вариант этой работы напечатан в Кавказском Этнографическом сборнике под названием „Крестьянское жилище народов Азербайджана в XIX в., т. III. М.—Л. 1962 г.

<sup>2</sup> В. П. Кобычев, Крестьянское жилище народов Азербайджана в XIX в.

<sup>3</sup> მისივე, სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 223

<sup>4</sup> მისივე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 222.

<sup>5</sup> В. Кобычев, სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 224.

ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაციის მიხედვით, აზერბაიჯანის საყარადამო ზონაში, რომელშიაც სომხებით დასახლებულ მთიან ყარაბაღსაც ვგულისხმობთ, მხოლოდ ერთელემენტური დარბაზული რიგის სახლი უნდა ყოფილიყო გავრცელებული. მიემართოთ ფაქტებს. თუ მხოლოდ ს. ლისიციანის „ყარაბაღული ყარადამის“ მიხედვით ვიმსჯელებთ. მაშინ ვ. კობიჩევი სწორია, რადგანაც სომხებით დასახლებულ მთიან ყარაბაღში ს. ლისიციანს, მართლაც, მხოლოდ ერთელემენტური ერდოიან-გვირგვინიანი ყარადამი აქვს დაფიქსირებული<sup>6</sup>. მაგრამ, როგორც ცნობილია, აზერბაიჯანული საყარადამო ზონა მხოლოდ სომხებით დასახლებული მთიანი ყარაბაღით არ შემოიფარგლება. იგი ყაზახიდან მოყოლებული, მთიან ყარაბაღზე გადავლით, გადაჭიმულია ირანის აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრამდე და XIX ს. თითქმის მთლიანად მოიცავდა ყაზახ-ქედაბეკ-დაშქესან-შამქორ-ქელბაჯარ-ლანჩინ-ყუბათლი-ზანგინალ-ჯემბრაილის მხარეს. ჩვენს მიერ სავლეთ ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად მოპოვებული მასალების მიხედვით ცხადი ხდება, რომ გარდა ერთელემენტური გვირგვინიან-ერდოიანი სახლისა, აზერბაიჯანში გავრცელებული ყოფილა, აგრეთვე, ორელემენტური ყარადამიც. სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს ის, რომ სხვებისა და ჩვენს მიერ სხვადასხვა რაიონებში დაფიქსირებული აზერბაიჯანელების, ქურთებისა და აირუმების ყარადამი, გარდა ადამიანის საცხოვრისისა—„ევ დამ“, საქონლის სადგომისა—„მალ დამ“ და მათი დამხმარე-გამაერთიანებელ სათავსო კარაპისაგან—„სეივანისაგან“ შედგებოდა<sup>7</sup>. მაშასადამე, გარდა ერთელემენტური სახლისა აზერბაიჯანისათვის დამახასიათებელი ყოფილა, აგრეთვე, გვირგვინიან-ერდოიანი ტიპის ორელემენტური ყარადამიც. ეს რაც შეეხება აზერბაიჯანს. განვიხილოთ როგორია ვითარება ქართლსა და მესხეთში.

როგორც ცნობილია, მესხური ფორმის დარბაზული სახლი, გარდა სხვა უაღრესად საინტერესო ელემენტებისა, იმითაც არის საყურადღებო, რომ იგი გრანდიოზული ხასიათის, რთულ კომპლექსურ ნაგებობას წარმოადგენს<sup>8</sup>. მესხურ დარბაზულ სახლში, გარდა უშუალოდ ადამიანის მოგვირგვინებული საცხოვრისისა, ჰორიზონტალურ განზომილებაში, ერთმანეთის გვერდზე წარმოდგენილია სხვადასხვა დანიშნულების ოთახები: სახელამბრე, საციო, საფურნე, საბძელი, ბოსელი, საჯალაბო ანუ თაკარებიანი ოდა და კარაპანი. გვაქვს მაგალითები, როცა ოთახთა რაოდენობა უფრო მეტია. მეტნაკლებად ასეთივე ხასიათის მატარებელია ჯავახეთსა და თრიალეთში გავრცელებული დარბაზული რიგის სახლები<sup>9</sup>. მესხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთში, გარდა რთული კომპლექსებისა, აქა-ქე შეიმჩნეოდა შედარებით მარტივი კომპლექსები, სადაც დარბაზთან ერთად წარმოდგენილი იყო ბოსელი, საბძელი და კარაპანი. მაგრამ, როგორც სველე ეთნოგრაფიულმა კვლევამ დაგვარწმუნა, საქართველოს ამ მხარეში, XIX საუკუნისათვის რთული კომპლექსები ჯერ კიდევ წარმოადგენდნენ დარ-

<sup>6</sup> С. Лисициан, Карабахский карадам, გვ. 105.

<sup>7</sup> Г. Ализаде, Народное зодчество Азербайджана и его прогрессивные традиции., А. Измаилова, К вопросу о карадах на территории Азербайджанской ССР в XIX-нач. XX в., К. Т. Каракашлы, Материальная культура Азербайджанцев, იბ. სურ. 13, 14, 15, 16.

<sup>8</sup> გ. ჩიქოვანი, გლეხის სახლი ქვაბლიანში; Л. Сумбадзе, Грузинские дарбази, თ. ჩიქოვანი, მესხურ-ჯავახური დარბაზული სახლი.

<sup>9</sup> თ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური საცხოვრებელი, გვ. 41—42, მისივე, მესხურ-ჯავახური დარბაზული სახლი, 209.

ბაზული სახლის გაბატონებულ ფორმას<sup>10</sup>. რაც შეეხება შიდა ქართლში გვერდულ და რბილულ სახლებს, ისინი მესხურ-ჯავახური და თრიალეთურისაგან განსხვავებით უფრო ნაკლებ სათავსოებს შეიცავდნენ, მაგრამ ქართლში დარბაზთან ერთად არსებული მარანი, სათონე, კარაპანი, ბოსელი და ზოგჯერ საბძელიც განა მის კომპლექსურობაზე არ მიუთითებს? ამგვარი დარბაზები გრაფიკულად დაფიქსირებული აქვთ გ. ჩუბინაშვილს<sup>11</sup>, ლ. სუმბაძეს<sup>12</sup> და სხვ. ვ. კობიჩევს მიაჩნია, რომ ცენტრალურ სომხეთშიც ერთელემენტური დარბაზული რიგის სახლი უნდა ყოფილიყო გავრცელებული<sup>13</sup>. აზერბაიჯანში, ყარაბაღში გავრცელებული სომხური ყარადამის აღწერილობის გადმოცემისას იგი ყოველთვის ს. ლისიციანის სათანადო ნაშრომს იმეორებს. მაგრამ სინტერესოა, რატომ გამოჩნა მას ს. ლისიციანის მეორე ნაშრომი, რომელიც სწორედ ცენტრალური სომხეთის, ნორ-ბაიაზეთის რაიონში (დღევანდელი კამოს რაიონი) გავრცელებული დარბაზული რიგის სახლებისადმი მიძღვნილი? ერთი რამ ცხადია, რომ ნორ-ბაიაზეთში და მის ახლო-მასლო გავრცელებული დარბაზული რიგის სახლები, ს. ლისიციანის აღწერით, კომპლექსური ხასიათის არიან<sup>14</sup>. ნორ-ბაიაზეთულ სახლებში ერთ ჭერ ქვეშ, პორაზონტალურ განზომილებაში, ერთმანეთს გვერდზე წარმოდგენილი იყო ადამიანის საცხოვრისი—„ტუნ“, პურის საცხოვი ოთახი „პაცატუნ“, საქონლის სადგომი—„თოვლა“, პრიდუქტების შესანახი—„ქილარ“, „თოვლა ოდა“ ანუ „გომი ოდა“ და კარაპანი—„სრახ“<sup>15</sup>.

ს. ლისიციანზე გაცილებით ადრე, ვასული საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულს ნორ-ბაიაზეთის რაიონი მოინახულა ა. ტერ-მარქაროვმა, რომელმაც აღწერა მისი ერთ-ერთი სოფლის ეკონომიური ცხოვრება, კერძოდ სომხებით დასახლებული გეოზალდარი<sup>16</sup>. გეოზალდარელთა ყოფიანობის გადმოცემასთან ერთად ა. ტერ-მარქაროვი თავის წერილში ვადაცხობს ამ სოფელში არსებულ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებსაც, რომლებიც აღწერილობის მიხედვით, ერთ მთლიან კომპლექსებად არიან წარმოდგენილი. ასეთ სახლებში ერთ საერთო სახურავქვეშ თავმოყრილი იყო სხვადასხვა დანიშნულების სათავსოები—კარაპანი, საკუქნაო, ბოსელი და მათი გამაერთიანებელი პირამიდული გვირგვინით მომთავრებული ადამიანის საცხოვრებელი<sup>17</sup>, ასეთივე ხასიათის კომპლექსებთან გვაქვს საქმე ალავერდ-ლორის მხარეში<sup>18</sup>, რომელიც გეოგრაფიულად ცენტრალურ ამიერკავკასიაში მდებარეობს.

ზემოთ განხილული ლიტერატურული და ჩვენს მიერ სომხეთში შეკრებილი სავსე ეთნოგრაფიული მასალა ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ არა თუ XIX ს. არამედ XVIII ს. მიწურულშიაც კი ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთისათვის, რომელიც გეოგრაფიულად ცენტრალურ ამიერკავკასიაში შე-

<sup>10</sup> თ. ჩიკოვანი, მესხურ-ჯავახური დარბაზული სახლი, გვ. 209.

<sup>11</sup> გ. ჩუბინაშვილი, ქართლის დარბაზები. იმ. სათანადო ტაბულები.

<sup>12</sup> ლ. სუმბაძე, *Грузинские дарбазы*, Смол. т. 24, 29, 31.

<sup>13</sup> В. Кобычев, დასახ. სადი სურტაციო ნაშრომი, გვ. 223.

<sup>14</sup> С. Лисициан, *Нор-Баязетский Назарашенк и заметки о крестьянских жилищах соседних районов—Памбакского и Даралагязского*.

<sup>15</sup> С. Лисициан, *Нор-Баязетский Назарашенк...* გვ. 134.

<sup>16</sup> А. Тер-Маркаров, *Село Геоалдара, Ново-Баязетского уезда. Эриванской губернии*.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 106—108.

<sup>18</sup> Народы Кавказа. т. II: Народы Армянской ССР, გვ. 496—495, Д. Вардумян, *Характеристика основных этнографических районов Армении в XIX веке*, გვ. 3, 4, 5.



დის, ძირითადად კომპლექსური ხასიათის გვირგვინიან-ერდოიანი სახლები იყო დამახასიათებელი.

მაშასადამე, როგორც ზემოთ მოტანილი მასალით დაინახეთ, კომბინევი-სეული კლასიფიკაცია არ შეეფარდება სინამდვილეს; იგი ზედაპირულია თუ გინდ იმიტომაც, რომ მასში გათვალისწინებული არ არის ის მცირე, მაგრამ ხელმისაწვდომი ლიტერატურული მონაცემები, რომლებიც ჩვენს მიერ იქი-სა წარმოდგენილი.

ჩვენი კლასიფიკაციის მიხედვით, რომელსაც საფუძვლად ვუდებთ სათავ-სოთა სეგმენტაციას, ამიერკავკასიაში XIX ს. მიწურულისათვის ჯერ კიდევ გავრცელებული იყო ერდოიან-გვირგვინიან საცხოვრებელ ნაგებობათა შემდე-ვი სახეობანი: ერთეულე მენტიანი სახლი, ანუ მარტო დგმული ყარა-დაში ძირითადად დამახასიათებელი იყო ყარაბაღელი სომხებისა (ს. ლისიცი-ანის მიხედვით) და ნაწილობრივ აირუმებისათვის (კ. ყარაყაშლის მი-ხედვით). ორეულე მენტიანი გვირგვინიან-ერდოიანი სახ-ლი—სეგმენტირებული სახლი, რომელშიაც წარმოდგენილ-გავრთიანებუ-ლი იყო უშუალოდ ადამიანის საცხოვრისი, ბოსელი და კარაპანი, აღ-ნიშნული პერიოდისათვის გავრცელებული იყო ყარაბაღელ აზერბაიჯანელებში, ქურთებში, აირუმებში და ნაწილობრივ ქართველებსა და სომხებში. მარტი-ვი კომპლექსი, სადაც ერთ ჭერქვეშ თავმოყრილი იყო ადამიანის სა-ცხოვრისი, მარანი, სათონე, კარაპანი და ზოგჯერ ბოსელი, დამახასიათებელი იყო შიდა და ქვემო ქართლისათვის, აგრეთვე, ყაზახელი და ნაწილობრივ ლო-რელი სომეხი მოსახლეობისათვის. გვირგვინიან-ერდოიანი სახლის მარტივი კომპლექსი XIX ს. ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთშიაც შეიმჩნეოდა. რთული კომპლექსი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ადამიანის საცხოვრისი, თაკარებინი საჯალაბო ოდა, სახელამბრე, სათონე-საფურნე ოთახი, მარანი ანუ პროდუქტების შესანახი ოთახი, ბოსელი, საბძელი და კარაპანი, გავრცე-ლებული იყო საქართველოში—თრიალეთი, მესხეთ-ჯავახეთი, ტაო-კლარჯეთი, და სომხეთში—დასავლეთი სომხეთი ანუ ბარც აიკი, ჩრდილო-აღმოსავლეთი სომხეთი ანუ გელარქუნი, შირაკი, ნაწილობრივ პამბაკ-ლორეში და ვანის ვი-ლაიეთის სომხებში.

აზერბაიჯანული, კერძოდ ყარაბაღულ-ყაზახური და XIX ს. ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთის საცხოვრებელი სახლები, ქართლისა და მალაღი სომხურისაგან განსხვავებით, ყოველთვის ერთსახოვანი. ოთხკუთხოვანი პარა-ლელური წყობის პირამიდული ფორმის გვირგვინით იყო დახურული. რაც შე-ეხება სომხეთსა და განსაკუთრებით საქართველოს, ამავე პერიოდისათვის უმე-ტესად რთული და ნაწილობრივ ორელემენტინი სახლი იყო წარმოდგენილი, სადაც უშუალოდ ადამიანის საცხოვრებელი დარბაზი— საქართველოში და ტუ-ნი—მალაღ სომხეთში ნაირსახოვანი გვირგვინოვანი გადახურვით ხასიათდებო-და. ვარდა აღნიშნულისა, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შემორჩინი-ლი გვირგვინიან-ერდოიანი საცხოვრებელი, არქიტექტურული აღნაგობისა და უშუალოდ საცხოვრებელ ფართში არსებული შიდა სამეურნეო დაგეგმარება-მოწყობილობის მიხედვით, ქართულ დარბაზთან შედარებით, განვითარების დაბალ დონეზე დგას და ტიპოლოგიურად მის შორეულ წინაპარს უნდა წარმო-ადგენდეს. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ იგი დაგეგმარებისა და შიდა სამე-ურნეო სეგმენტაციის მიხედვით ზედმიწევნით იმეორებს ქართულ განათხარ მა-სალას ქვაცხელების დარბაზების სხნით, რომლებიც გენეტიკურ კავშირში

არიან ქართულ დარბაზებთან. მეურნეობრივ-სოციალური განვითარების თვალსაზრისით, აზერბაიჯანში გავრცელებული ასევე მტკიცე კავშირშია ამიერკავკასიის სხვა თანამომქმებთან, რომელთა წარმოშობა-არსებობა შეპირობებული იყო ისეთი საოჯახო ურთიერთობით, როგორცაა ბინადარ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე დამყარებული საერთო წარმოებისა და მოხმარების პრინციპზე აგებული დიდი ოჯახი.

ერდოიან-გვირგვინიან საცხოვრებელს თუ ვერტიკალურ ზონალობაში გავრცელების თვალსაზრისით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ იგი მეტად ელასტიურად შეგუებული იყო როგორც რელიეფთან, ასევე სამეურნეო პირობების თავისებურებებთან. აღნიშნული ტიპის სახლის რაციონალური შინაგანი დაგეგმარება ამიერკავკასიის პირობებში საშუალებას იძლეოდა ფართის გეგმაშეწონილი გადანაწილების გზით მოხერხებულად შეგუებოდა ამ მხარისათვის ისტორიულადვე არსებულ ყველა ხასიათის მეურნეობას. სწორედ ამ ვითარების გამო ხსენებული ტიპის სახლი ერთნაირად იყო შეგუებული ცენტრალური, სამხრეთი, სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ბარს, გარდამავალ ზოლს თუ მთას. მის ვერტიკალურ ზონალობაში გავრცელებაში მხოლოდ ის თავისებურება შეიმჩნეოდა, რომ გვირგვინიან-ერდოიანი სახლი რამდენადაც მაღლა იწევდა, იმდენად არქიტექტურულად უფრო მარტივი ხდებოდა, რაც სრულად გარკვეული ობიექტური მიზეზებით იყო შეპირობებული.

როგორც ცნობილია, კულტურულ-ეკონომიური განვითარების მხრივ ბარი მთას ყოველთვის წინ უსწრებდა. ასე რომ, ბარში საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით უკვე მოძველებული ბინათმშენებლობა იმავე პერიოდის მთაში ჯერ კიდევ შეესატყვისებოდა ადგილობრივ სამეურნეო და საოჯახო ყოფას. ასეთი კანონზომიერების შედეგად მთისა და ბარის ერთი და იგივე ტიპის საცხოვრებლების ურთიერთ შედარება საშუალებას იძლევა დადგინდეს ხსენებული სახლის განვითარების გარკვეული ეტაპები, მისი აღრინდელი ფორმები.

ამიერკავკასიაში XVIII—XIX სს. მონაცემებით, ვერტიკალურ ზონალობაში გავრცელების მიხედვით ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებლის ქვედა საზღვრად ქვემო ქართლისა და განჯის ვაკე, 200—250 მ ზღვის დონიდან, უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება მისი გავრცელების ზედა საზღვარს, იგი 2500 მ აღწევს. ამაში შედის დაშქესან-ქელბაჯარის მაღალმთიანი დასახლებები და გელამ-სიუნქის მთების ზოგიერთი სოფლები. როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიაში მისი ვერტიკალურ ზონალობაში გავრცელების დიაპაზონი თითქმის 2300 მ უდრის.

ამიერკავკასიის ქვეყნებიდან გვირგვინიან-ერდოიანი საცხოვრებლის გავრცელების ქვედა და ზედა საზღვარი ერთმანეთს ყველაზე მეტად ჯერ აზერბაიჯანში იყო დაშორებული, ხოლო შემდეგ საქართველოში. მაგალითად, საქართველოში მისი ქვედა საზღვარი ზღვის დონიდან 250 მ იწყებოდა, ხოლო ზედა კი 1700—1750 მ (თრიალეთის სოფ. ხანდო და რეხა) თავდებოდა. ე. ი. საქართველოში მისი ვერტიკალურ ზონალობაში გავრცელების დიაპაზონი დაახლოებით 1300—1400 მ შორის მერყეობდა. რაც შეეხება სომხეთს, იგი ამ მხრივ ორივე ქვეყანას, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანს, ჩამორჩება. აქ გვირგვინიან-ერდოიანი სახლების გავრცელების დიაპაზონის სიგრძე ვერტიკალში საშუალოდ დაახლოებით 800 მ უდრის. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ამგვარი ტი-



პის საცხოვრებელი სომხეთის ბარისათვის არ იყო დამახასიათებელი<sup>19</sup>. სომხეთში გვირგვინიან-ერდოიანი სახლის გავრცელების ქვედა საზღვარი დაახლოებით 900 მ იწყებოდა, ხოლო ზედა კი, როგორც აღნიშნეთ ზოგიერთი სოფლის მაგალითზე, ზოგჯერ 2500 მ აღწევდა.

აზერბაიჯანისა და სომხეთისაგან განსხვავებით, ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებელი საქართველოს ბარში. გარდამავალ ზოლსა და მთიანეთში ერთნაირი სისწირით იყო გავრცელებული. აქვე უნდა დავუმატოთ ისიც, რომ თუ აზერბაიჯან-სომხეთში მისი გავრცელების მაღალმთიანი ზოლი ზღვის დონიდან 2000—2500 მ წარმოადგენდა, საქართველოსათვის დარბაზის გავრცელების მაღალმთიანი ზონა 1700—1750 მ არა სცილდებოდა. ასე, რომ საქართველოში გვირგვინიანი-ერდოიანი სახლების გავრცელების დონე ვერტიკალური ზონალობის უმაღლესი საზღვრების მიხედვით სომხეთ-აზერბაიჯანისგან რამდენადმე ვაჩვენებდებოდა. მაგალითად, მისი გავრცელების ქვედა საზღვარი ანუ ბარის ზოლი საქართველოში 250—650 მ შორის მერყეობს. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ქვემო ქართლისა—სამუშალოდ (250 მ ზღვის დ.) და შიდა ქართლის ვაკე—სამუშალოდ (600 მ ზღვის დ.). მეორე ანუ გარდამავალი ზოლი საქართველოში 700—800 მ-დან იწყებოდა და 1300—1400 მ აღწევდა. ამ ზოლშია წარმოდგენილი ქსნის, ხრამის და მაშვერას ხეობების შუა წელი და მესხეთ-ჯავახეთის პლატო. რაც შეეხება გვირგვინიან-ერდოიანი საცხოვრებლის ზედა საზღვარს, ანუ მისი გავრცელების მთიან ზოლს, იგი 1700—1750 მ შორის მერყეობს და მასში შედის თრიალეთისა და მესხეთ-ჯავახეთის მთიანეთის სოფლები.

კონკრეტულად აღებულ ადგილობრივ სამეურნეო ვითარებას თუ ვერტიკალური ზონალობის თვალსაზრისით შევხედავთ, დავინახავთ, რომ ამიერკავკასიაში გვირგვინიან-ერდოიანი საცხოვრებლის გავრცელების არეში მეურნეობა თანდათანობით იცვლის თავის ხასიათს. როგორც ცნობილია, ბარში სოფლის მეურნეობაში წამყვანი იყო მიწათმოქმედება. გარდამავალ ზოლში იგი სიმბიოზურ ხასიათს ატარებდა, ხოლო მთაში პრიმატი მესაქონლეობას ქონდა მინიჭებული. ასე იყო აზერბაიჯანის საყარადამო ზონაში, სომხეთისა და საქართველოს ერდოიან-გვირგვინიანი სახლების გავრცელების რაიონებში. მეურნეობის ხასიათის, მისი წამყვანობის თანდათანობითი ცვლადობა აღნიშნული ტიპის საცხოვრებლის შიგნით თვალნათლივ შეიმჩნევა, როგორც მისი ფართის განაწილებაში, ასევე შინაგან მოწყობილობასა და არქიტექტურულ ფორმებში. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ თანმიმდევრულად შევეხებით ზემოსხენებულ მხარეს.

ამიერკავკასიაში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ხსენებული ვითარება ყველაზე რელიეფურად საქართველოში შეიმჩნეოდა, რადგანაც აქ ერდოიან-გვირგვინიანმა სახლმა XVIII—XIX სს. მიჯნაზე თავისი განვითარების უმაღლეს დონეს უკვე მიაღწია და საბოლოოდ ჩამოყალიბდა.

<sup>19</sup> თუმცა ზოგიერთი ავტორის მიხედვით გვირგვინიან-ერდოიანი სახლი დაბლობ სომხეთშიაც უნდა ყოფილიყო გავრცელებული. მაგალითად, ე. აკოპიანი წერს, რომ XIX საუკ. დასაწყისში აშტარაკის სოფლებისათვის დამახასიათებელ სახლებში შემავალი ფურნე ანუ პურის ოთახი—ჰაკატუნე გვირგვინიან-ერდოიანი სახურავით ყოფილა მომთავრებული. სამწუხაროდ, ავტორი არას ამბობს, თუ საიდან ამოიღო ეს ცნობა, ანდა ვის ეყრდნობა იგი. იმ. ა. აკოპიანი. Архитектура жилищ аштаракского района Армянской ССР в XIX—XX вв. (Автореферат на кандидата архитектуры), გვ. 5.

პირველი მაგალითისათვის ჩვენ ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებლის გავრცელების ქვედა ზოლში, შიდა და ქვემო ქართლის სოფლებში არსებულ სახლებზე გვექნება ლაპარაკი.

როგორც ცნობილია, შიდა და ქვემო ქართლის ვაკეში სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს ძველთაგანვე გუთნური მიწათმოქმედება წარმოადგენდა. ჩვენს მიერ უკვე განხილული მასალის მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ ქართლის ვაკეში გავრცელებული დარბაზული საცხოვრებლის კომპლექსებში, უშუალოდ ადამიანისათვის განკუთვნილი ფართის შემდეგ, ყველაზე დიდი ადგილი მიწათმოქმედების პროდუქტებისათვის აუცილებლად დამახასიათებელ სათავსოებსა და ჭურჭელს ეკავა. შიდა და ქვემო ქართლის ერდოიან-გვირგვინიანი სახლის კომპლექსში, გარდა დარბაზისა, წარმოდგენილი იყო, აგრეთვე, ბედელი, მარანი, ხარო, კიღობან-ამბრები და ზოგჯერ ფურნე, რომლებზედაც მთელი კომპლექსის ფართის თითქმის 80% მოდიოდა. ამ უკანასკნელში ჩვენ უშუალოდ დარბაზში მდგარ კიღობან-ამბრების მიერ დაკავებულ ადგილ-ფართსაც ვგულისხმობთ. რაც შეეხება საქონლის სადგომს—ბოსელს, იგი XIX საუკუნის მასალების მიხედვით, ქართლის ვაკის სოფლებში უმეტესად ცალკე მდგარ არც თუ ისე დიდი ზომის სათავსოს წარმოადგენდა. მესაქონლეობა ბარში მიწათმოქმედების დამატარებელ გამოიყურებოდა. ასეთი ვითარების გამო, ქართლის ვაკეში მესაქონლეობადან მაინცდამაინც უხვი პროდუქტი არ მიიღებოდა, ხორცისა და რძისაგან მიღებულ პროდუქტებს სხვაგვარად ერთად მარანსა და ზოგჯერ საბძელშიაც ინახავდნენ. ასე რომ მათთვის დარბაზულის კომპლექსში ცალკე სათავსო არ იყო გამოყოფილი.

თუ ქართლის ვაკეში გავრცელებულ დარბაზებს სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით შევხედავთ, დავინახავთ, რომ ისინი ერდოიან-გვირგვინიანი სახლების უბრწყინვალეს ნიმუშებს წარმოადგენენ. ეს შეეხება როგორც მათ არქიტექტურულ ფორმებს, ისე საყოფაცხოვრებო მხარეებს (შიდა დაგეგმარება, დგამ-ჭურჭელი და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა), რის შესახებაც თავის დროზე და სათანადო ადგილას უკვე გვქონდა საუბარი.

დაახლოებით, ასეთ ვითარებას ჰქონდა ადგილი XVIII—XIX სს. ვაკე აზერბაიჯანში—დღევანდელი ბარდის, აღდამის, ხანლარის, კიროვადის და კასუმის-მაილის რაიონებში. აღნიშნულ რაიონებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ამ პერიოდში სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს უფრო მიწათმოქმედება წარმოადგენდა. როგორც ვაკე ქართლში, ისე ამ მხარის უმეტეს სოფლებში მესაქონლეობა მიწათმოქმედების დამხმარე მეურნეობად გამოიყურებოდა.

ჩვენ აქ აღარ შევხვებით აზერბაიჯანული ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებლის არქიტექტურას, მის ფორმასა და მოყვანილობას—ამის შესახებ სათანადო ადგილას უკვე გვქონდა საუბარი. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მისი ფართის განაწილებაში მთავარი ადგილი ეჭირა მიწათმოქმედებიდან მიღებული პროდუქტების სათავსოებსა და ჭურჭელს. ამ ზონის, ე. ი. ბარის აზერბაიჯანელთა საცხოვრებელი „ყარადამ“—„ყაზმადამ“ ერთსულემენტური სახლს წარმოადგენდა ან პროდუქტების შესანახი ჭურჭელ-სათავსოებიც უშუალოდ ადამიანის საცხოვრისის ფარგლებში იყო სეგმენტირებული. საცხოვრისის ფარგლებში იყო წარმოდგენილი ხორბლის შესანახი, თიხით შელესილი ორბო-ხარო, მოწიხული და შემდეგ აგრეთვე თიხით შელესილი დიდი ზომის ქინი—„სავთი“, ფქვილის შესანახი ხის „ქინი“ და ამბარი. ასევე საცხოვრისში, მცირე ზომის თი-

ხის ქოთან-ქილებში ინახებოდა მესაქონლეობიდან მიღებული ხორცისა და რძის პროდუქციაც.

აღნიშნულ პერიოდში აზერბაიჯანულ ყარაღამში საქონელი ადამიანთან ერთად იმყოფებოდა. მართალია, იყო შემთხვევები, როცა მას ცალკე მდგარი სადგომიც ქონდა, მაგრამ ეს მეტად იშვიათ, არადამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა. უმეტეს შემთხვევაში, XIX ს. შუალებშიაც კი ყარაღამ-ყაზმაღამში საქონელს ადამიანისაგან მხოლოდ საქონლისავე სიმაღლის ხის ტინარი გამოყოფდა და იგი ადამიანის მიერ უშუალოდ დაკავებულ ფართთან შედარებით თითქმის ორნახევარჯერ ნაკლები იყო. საერთოდ კი ამდროინდელ ყარაღამ-ყაზმაღამში აშკარად იგრძნობოდა მიწათმოქმედების უპირატესობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სომხეთში გავრცელებული ერდოიან-გვირგვინიანი სახლები ვერტიკალურ ზონალობაში თანდათან გავრცელების მიხედვით საქართველო-აზერბაიჯანის კუთარებიდან გარკვეულად განსხვავდებოდა. სომხეთში ასეთი სახლის გავრცელების ზონა პირდაპირ გარდამავალი ზოლიდან იწყებოდა, სადაც მეურნეობა წარსულში უმთავრესად სიმბიოზური ხასიათის ბატარბელი იყო. ეს უკანასკნელი გარემოება სომხურ ერდოიან-გვირგვინიანი ტიპის სახლებში სათანადოდ არც ასახული. მეურნეობის ორივე დარგს—მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას—ამ ზონის სახლებში თანაბარი ფართი ეკავა. აღნიშნული ვითარება კლასიკურად არის ასახული ჩვენს მიერ დაფიქსირებულ ნერკინ-გეტაშენელ მეღიქიანების კომპლექსში. „პაცატუნის“, „მარან“-ის, დიდი ზომის ამბრების, ბოსლის და „გომი ოთახ“-ის არსებობა ერთ ჰერქვეშ სწორედ ხსენებულ გარემოებაზე უნდა მიუთითებდეს. ყველა აქ ჩამოთვლილი სათავსოს მიერ დაკავებულ ადგილს—ფართს თუ პროპორციულად ვიანგარიშებთ, მაშინ უფრო აშკარად დავინახავთ, რომ მეურნეობის ორივე დარგისათვის ხსენებულ კომპლექსში ფართობი თანაბრად არის განაწილებული. მაგალითად, „პაცატუნს“, „ქილარს“ (ამ უკანასკნელში რძის პროდუქტებიც ინახებოდა) და ორივე ამბარს, ერთად აღებულს, 20 კვ. მ-ზე მეტი ფართი ეკავა. თუ ამაში ამბრების კუბურ მოცულობასაც გავითვალისწინებთ, მაშინ ეს ფართი უფრო მეტი გამოდის. მესაქონლეობისათვის განკუთვნილი სათავსოებიდან ბოსელს 20 კვ. მ ეკავა, ხოლო მის დამხმარე სათავსოს „გომი-ოთახს“, რომელიც ერთდროულად მესაქონლეობაზე გაპირიყენებული ადამიანის საზამთრო სამყოფელს და რძისა და ხორცის ზოგიერთი პროდუქტის შესანახ სათავსოსაც წარმოადგენდა—14 კვ. მ, ე. ი. ორივეს ერთად 34 კვ. მ ეკავა. როგორც ვხედავთ, ეს შეფარდება ნათლად მეტყველებს ზემოხსენებული ფართის განაწილების თანაფარდობაზე.

ახლოგიური ვითარება შეიმჩნევა აზერბაიჯანში, ყუბათლის რაიონის სოფელ დემირჩილარში, რომელიც გეოგრაფიულად და მეურნეობრივად გარდამავალ ზოლშია მოქცეული. აღნიშნულ სოფელში ჩვენს მიერ 1962 წლის ზაფხულში დაფიქსირებულ ერთ-ერთ ერდოიან-გვირგვინიან სახლში, რომელიც მარტივ კომპლექსს განეკუთვნება, ერთ ჰერქვეშ, ერთმანეთის გვერდზე წარმოდგენილია ადამიანის საცხოვრისი—„ევ დამ“ და საქონლის სადგომი—„მალ დამ“. ორივეს დამაკავშირებელს, გამაერთიანებელს მათ წინ არსებული კარაპანი წარმოადგენს. აღნიშნული კომპლექსიდან ბოსელს 22 კვ. მ აქვს დაკავებული. ამასვე უნდა დავემატოთ „ევ დამში“ არსებული ხორცისა და რძის პროდუქტების შესანახი თიხის, ხის და ტყავის ჰერკულეულობის მიერ დაკავებული ადგილი, რომელიც ფართით 4 კვ. მ უდრის. ე. ი. მესაქონლეობის ინ-

ტერესებით შეპირობებულ ფართს აქ სულ 26 კვ. მ უკავია. მიწათმოქმედების პროდუქტებისათვის „ეკ დამის“ ერთ კუთხეში ამოთხრილია ხორბლის შესანახი ორმო-ხარო. მის გვერდითვეა სამი მეტრის სიგრძის, მეტრნახევარი სიგანის და ზომით ამდენივე სიმაღლის სამგანყოფილებიანი ამბარი და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახი კუთრკლეულობა. ამ კუთრკლეულს, ერთად აღებულს, თითხმეტრიდევ კვ. მ უკავია. როგორც ვხედავთ, აზერბაიჯანის გარდამავალ ზოლში გავრცელებულ ერდოიან-გვირგვინიან სახლშიც მეურნეობის სიმბიოზურობა ტოლფარდოვნად არის ასახული.

ფართის განაწილებაში ანალოგიური ვითარება შეინიშნება დარბაზების გავრცელების საქართველოს გარდამავალ ზოლში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ ხსენებული ვითარება უფრო დიდი მასშტაბებით არის წარმოდგენილი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქსნის, ალგეთის და ხრამის ხეობების შუა წელის და მესხეთ-ჯავახეთის ის სოფლები, რომლებიც გეოგრაფიულად გარდამავალ ზოლში არიან მოქცეულნი. მაგალითისათვის ჩვენ სოფელ ბარალეთს ავიღებთ და კონკრეტულად ამ სოფელში შემორჩენილ გოჩაშვილების („გოჩიანთ“) დარბაზული საცხოვრებლის კომპლექსს განვიხილავთ.

ბარალეთში სოფლის მეურნეობის ორი ძირითადი დარგი—მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ისტორიულადვე საკმაოდ მომძლავრებული იყო. აქ დიდი რაოდენობით მოყავდათ ხორბლეული კულტურები. ასევე ფართო მასშტაბით იყო განვითარებული მესაქონლეობა. ეს გარემოება ზედმიწევნით კარგად ასახულა არა მარტო „გოჩიანთ“ სახლში, არამედ ბარალელთა სხვა სახლებშიაც. „გოჩიანთ“ სახლზე ჩვენ იმიტომ ვჩერდებით, რომ აქ, სხვასთან შედარებით, ყველაფერი უკეთ, თითქმის თავდაპირველი სახით არის შემორჩენილი. „გოჩიანთ“ დარბაზული სახლი რთულ კომპლექსს განეკუთვნება. აქ ერთმანეთის გვერდზე წარმოდგენილია დარბაზი, თაკარებიანი ოდა, ფურნე, მარანი ანუ საციო, საბძელი, ბოსელი და კარაპანი. უშუალოდ მესაქონლეობის მიერ შეპირობებულ სათავსოებს კომპლექსის საერთო ფართიდან, ბოსელს, საბძელსა და საციოს საერთო ფართის 20% უკავია. ხოლო მიწათმოქმედების პროდუქტების შესანახ სათავსო-კუთრკლეულობას—დიდი ზომის ხარო, ამბარი, მარანი (აქ ხორცისა და რძის პროდუქტებიც ინახება), სახელამბრე, მწნილის ქილები, ცერცვეულის კიდობნები—დაახლოებით 20%. ამაში ჩვენ არ ვანგარიშობთ ხაროს, ამბარის და სხვათა კუბურ მოცულობას. კომპლექსის დანარჩენი ფართი უკავია დარბაზს, თაკარებიან ოდას და კარაპანს. ფართის განაწილებაში ჩვენ არ შეგვაქვს პურის საცხობი, რომელიც ერთაიარად დამახასიათებელია სამივე ზონისათვის. მაშასადამე, „გოჩიანთ“ დარბაზული სახლის მაგალითზე საქართველოს გარდამავალ ზოლშიაც გვირგვინიან-ერდოიან სახლში სიმბიოზური მეურნეობა თანაბრად იყო ასახული. რაც შეეხება მის არქიტექტურულ ფორმებს ქართლის ვაკის ანდა ახალციხის ქვაბულის სოფლებში გავრცელებულ სახლებთან შედარებით. როგორც „გოჩიანთ“, ისე საერთოდ გარდამავალ ზოლში არსებულ სახლების უმეტესი ნაწილი რამდენადმე მარტივად, ნაკლებ სრულყოფილად გამოიყურებოდნენ. აქ პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ მისი ხის ნაწილები—დედაბოძები, თავხეები, საკედელ ძელები, რომლებიც შედარებით ნაკლები სინატიფით იყვნენ დამუშავებულნი. ასევე ითქმის ორნამენტირებაზე, შიდა საოჯახო მოწყობილობასა და ჰიგიენურ პირობებზე.

არქიტექტურული ფორმების მიხედვით და საყოფაცხოვრებო მოწყობილობის თვალსაზრისით, გარდამავალი, განსაკუთრებით კი მთიანი ზოლის ერ-

დოიან-გვირგვინიანი საცხოვრებელი საქართველოს პირობებში საგრძობად განსხვავდებოდა იმავე ტიპის ბარის სახლებისაგან. თუ საქართველოს ბარში შიდა და ქვემო ქართლის ვაკეში ანდა ახალციხის სოფლებში მრავლად შეიმჩნეოდა დარბაზული საცხოვრებლის სხვადასხვა მოდიფიცირებული ვარიანტები, მთაში პირიქით, იგი უფრო უნიფიცირებული და თანაც მარტივი ფორმის მატარებელი იყო. ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ ფორმათა ცვალებადობა ვერტიკალურ ზონალობაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სომხეთსა და განსაკუთრებით კი აზერბაიჯანში ნაკლებად იყო შესამჩნევი. თუ ეს სომხურ ვითარებაში ასე თუ ისე მინც შეიმჩნეოდა, აზერბაიჯანში უშუალოდ ადამიანის საცხოვრისი „ევდამი“ ინტერირისა და მისი გადახურვის ფორმის მიხედვით სამივე ზოლში ყოველთვის ერთი და იგივე სახეს ატარებდა. სწორედ ეს უქანასკნელი გარემოება წარმოადგენს აზერბაიჯანული ყარადამის ერთ-ერთ დამახასიათებელ, თუ შეიძლება ასე იტყვას, ნაციონალურ თავისებურებას. აზერბაიჯანში გავრცელებულ ყარადაში, ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, იცვლებოდა მხოლოდ მისი ფართის განაწილების ხასიათი მეურნეობის ცვალებადობასთან, მის წამყვანობასთან ურთიერთობაში. თუ ბარში ყარადამის ფართის უდიდესი ნაწილი, მეურნეობასთან ურთიერთობაში მიწათმოქმედებიდან მიღებული პროდუქტების სათავსო-ჭურჭლულს ქონდა დათმობილი, მთაში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფართის განაწილებაში პრიმატი უკვე მესაქონლეობას ქონდა მინიჭებული. აზერბაიჯანის მთიან საყარადამო ზოლში, დაშქესან-ქელბაჯარ-ლაჩინის მხარეში, ამ ვითარების გამომხატველი იყო ბოსელი, რომელიც ერდოიან-გვირგვინიანი სახლის აუცილებელ ელემენტს შეადგენდა. იგი ადამიანის საცხოვრისთან („ევდამი“) და ყარაპანთან („სეივანი“) ერთად ერთ ჭერქვეშ იყო გაერთიანებული. ხსენებულ მხარეში მესაქონლეობის ინტერესებს სახლის საერთო-ფართიდან დათმობილი ქონდა თითქმის ნახევარზე მეტი. ჩვენ ამაში, საერთო ფართში, ამ შემთხვევაში ყველა, სამივე ოთახს—ევდამს, მალდამს და სეივანს ვაერთიანებთ. ბოსლის გარდა, რომელიც მთიან აზერბაიჯანში 25 კვ. მ-ზე ნაკლები იშვიათად თუ მოიძებნებოდა, მესაქონლეობის ინტერესებს ანუ მეურნეობის ამ დარგიდან მიღებულ პროდუქტების შესანახ სათავსოებს (ხაროს, ხაჭო-ყველის შესანახ ტყავისაგან ნაკეთებ რუმბისებურ ჭურჭელს, ერბოს ქილებსა და დერგებს, ყაურმისა და ბასტურმის კოთხოებს) უშუალოდ ევდამშიაც ქონდა დათმობილი ადგილი.

დაშქესან-ქელბაჯარ-ქელბაჯარ-ლაჩინის მხარეში, მიუხედავად ინტენსიურად წარმოებული მემინდერეობისა, მეურნეობის ამ დარგიდან მიღებული პროდუქტი, უმთავრესად ხორბლეული, კონკრეტულად აღებულ ცალკეულ ოჯახს უკეთეს შემთხვევაში ექვსიოდე თვეს თუ ყოფნიდა. ამიტომაც იყო, რომ აქაური სახლების საერთო ფართის განაწილებაში ყველაზე მცირე ადგილი სწორედ მიწათმოქმედებიდან მიღებული პროდუქტების შესანახ ჭურჭლულს ქონდა დათმობილი.

სომხეთის და განსაკუთრებით კი აზერბაიჯანის წარსული ყოფისაგან განსხვავებით, საქართველოს გარდამავალ ზოლსა და მთაში, სადაც კი ერდოიან-გვირგვინიანი სახლები იყო გავრცელებული, მაგალითად, მესხეთ-ჯავახეთისა და თრიალეთის მოსახლეობა ოდითგანვე ბინადარ-საიალალო მესაქონლეობას მისდევდა. ამ რაიონებში იალღებიდან მობრუნებული მთელი საქონელი გამო-

საზამთრებლად, როგორც წესი, ყოველთვის სოფელში ჩამოყავდათ. აზერებმა კი ჯანსა და სომხეთის ზოგიერთ კუთხეში კი საქონელსა უკეტეს ნაწილს სოფლების მახლობლად გაშენებულ ყიშლებში გამოაზამთრებდნენ ხოლმე, სადაც ამ მიზნისათვის სპეციალური სადგომები ქონდათ მოწყობილი. უშუალოდ სოფელში კი ჩამოყავდათ საქონლის მცირე ნაწილი, უმთავრესად მეწველი საქონელი და თითო-ორთა უღელი ხარ-კამეჩი, რომლებიც სახლის კომპლექსში გავრთიანებულ ბოსელში ეყვნათ ბაგურ მდგომარეობაზე.

საქართველოს მესაქონლეობის რაიონში, მაგალითად, წალკის ველის მოსახლეობაში, ტრადიციულად არსებულ ბინადარ-საიალალო მხარეში, მეურნეობის აღნიშნული დარგის თავისებურების გამო, დარბაზული კომპლექსის მშენებლობის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ბოსლის კეთილმოწყობას, მის ფართსა და ჰაერტევადობას. ამიტომაც იყო, რომ წალკურ-თრიალეთური ბოსელი ყველა სხვაგან არსებული თანამომეგებისაგან სწორედ ამ ნიშნებით გამოირჩეოდა. იყო შემთხვევები, როცა აქაური ბოსელი ფართით ზოგჯერ 200 კვ. მ აღწევდა. გარდა ამისა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც თუ ასეთ იშვიათობას წარმოადგენდა ორბოსლიანი კომპლექსები. წალკური ერდოიან-გვირგვინიანი სახლები რთულ კომპლექსებს განეკუთვნებოდნენ, რის შესახებაც სათანადო აღვილას უკვე გვქონდა საუბარი. აქაურ კომპლექსში სხვასთან ერთად წარმოადგენილი ბოსელი ხასიათდებოდა ყოველთვის ფილაქნით მოგებული იატაკით ანდა ზღვეთი, რომლის შუაში მთელი ბოსლის სიგრძივ სანარწყული იყო გაყვანილი. ამ უკანასკნელის დასასრულს კედელში დატანებული, ნაკელის გადასაყრელი სანათურით. განსაკუთრებული, ზედმიწევნით დიდი ყურადღება ეთმობოდა ბოსლის გადახურვის მოწყობას. წალკური ბოსლის გადახურვა ძელების ერთ, ორ და სამ იარუსიანი-კვანტიანი კონსტრუქციით მომთავრებული და ყოველთვის ერთი ან ორი ერდოთი იყო განათებული. სიმაღლით ხშირად ოთხ მეტრსაც აღწევდა. ამ მხრივ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ძნელია სადმე მოიძებნოს წალკური ბოსლის ბადალი. მართალია, მესხურ-ჯავახური და მაღალ სომხეთში გავრცელებული ბოსლებიც, მაღალჭერიანი და ჰაერმტევი იყო, მაგრამ ისინი უმეტესად ერთ (მაღალი სომხეთი) და ორკვანტიანები იყვნენ, მაშინ, როდესაც თრიალეთში სამკვანტიანი ბოსელი საყოველთაოდ გავრცელებულს წარმოადგენდა.

წალკური ერდოიან-გვირგვინიანი სახლის კომპლექსში შედიოდა, აგრეთვე, დიდი ზომის საბძელი — საქონლის ზამთრის საკვები მარაგის შესანახი სათავსო, რომელიც ფართით საშუალოდ 50—60 კვ. მ უდრიდა. დარბაზულის კომპლექსშივე ცალკე იყო სეგმენტირებული ხორცისა და რძის პროდუქტების შესანახი სათავსო მარანი. ეს უკანასკნელი ფართით საშუალოდ 15—20 კვ. მ მერყეობდა. მესაქონლეობის ინტერესებით შეპირობებული, ჩვენს მიერ ხსენებული სათავსოები ერთად რომ ავიღოთ, საშუალოდ 150 კვ. მ გადაცილდება მაშინ, როდესაც მიწათმოქმედების პროდუქტების შესანახ სათავსოთა (ხორბლის ხარო, ფქვილის ამბარი, მწნილის ქილები, ცერცვისა და მუხუდოს ჩანახი და ხორბლის ამბარი) საერთო მაქსიმალური ფართი 15 კუბურ მეტრს უდრიდა. როგორც ვხედავთ, განსხვავება ფრიად დიდია. კიდევ აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ფართის სხვაობის დადგენისას შიგ არ შეგვაქვს პურის საცხობი—თორნე იქნება ის, თუ ფურნე.

რაც შეეხება უშუალოდ დარბაზს, მის ფორმებსა და შინაგან მოწყობილობას, იგი ბარში გავრცელებული ანალოგიური ტიპის სახლებისაგან საგრ-



ძნობლად განსხვავდება. მართალია, გვირგვინთა ნაირსახეობა აქაც შეიმჩნეო-  
 და, მაგრამ სამაგიეროდ დედაბოძები, ბანდუშები, თავხეები და ხის ზოგიერთი  
 სხვა ნაწილები არ გამოირჩეოდნენ მალამხატვრული დამუშავებითა და ორ-  
 ხამენტირებით, პირიქით, ყველა ეს ელემენტი გამარტივებული იყო და ნაკლე-  
 ბი სინატიფით ხასიათდებოდა. სამაგიეროდ აქაური ბოსლები შიდა და ქვემო  
 ქართლის ვაკის ბოსლებთან შედარებით გაცილებით სრულყოფილი იყო. რო-  
 გორც არქიტექტურულად, ისე სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით.

აქ მოტანილი ეთნოგრაფიული მასალის შუქზე აშკარა ხდება, რომ ვერ-  
 ტიკალური ზონალობის მიხედვით, მეურნეობის ხასიათის თანდათანობითი ცვა-  
 ლებადობა გარკვეულად აისახება ერდოიან-გვირგვინიანი სახლის ფართის გა-  
 ნაწილებაში. ასევე ითქმის ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებლის სამშენებ-  
 ლო ტექნიკაზე. ასეთი სახლი რაც უფრო მაღლა იწევს, მით უფრო მარტივად  
 შენდება. რაც შეეხება მის კომპლექსში შემავალ ბოსელს, პირიქით—გარდამა-  
 ვალ და მთის ზოლში გავრცელებული ბოსლები ბარში არსებულთან შედარე-  
 ბით არქიტექტურულ-სანიტარული თვალსაზრისით უფრო სრულყოფილად გა-  
 მოიყურება.

## მხაზვერული აზროვნების საკითხები უძველეს ქართულ მწერლობაში (V—XI სს.)

რ. სირაძე

(წარმოადგინა აკად. ალ. ბარამიძემ)

შესწავლას მოითხოვს ძველი ქართული ლიტერატურული აზროვნების უველა ფორმა. ამჯერად ჩვენ მიზნად ვისახავთ შევისწავლოთ და სისტემაში მოვიყვანოთ ზოგიერთი თეორიული შეხედულება ლიტერატურული პროცესის სხვადასხვა მხარის შესახებ, რომელიც მოგვეპოვება უძველეს ქართულ მწერლობაში (V—XI სს.).

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღვნიშნავთ, რომ ძველ ქართულ მწერლობაში ადგილი აქვს დაინტერესებას სხვადასხვა რიგის თეორიული საკითხებით: ნ. მარის, ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას, შ. ნუცუბიძის და სხვათა გამოკვლევებში გაანალიზებულია ფილოსოფიის, ისტორიოგრაფიის და ლექსთწყობის თეორიული საკითხები. ეს კი იმთავითვე მოსალოდნელად ხდის უძველეს ქართულ მწერლობაში ლიტერატურული პროცესის შესახებ თეორიული აზრის არსებობას. <sup>1</sup>შეუძლებელია არ მომხდარიყო გაცნობიერება და თეორიული განზოგადება მდიდარი შემოქმედებითი პრაქტიკისა, ლიტერატურული გამოსახვის იმ მრავალფეროვანი ხერხებისა, რომელიც ძველმა ქართულმა მწერლობამ შეიმუშავა.

<sup>1</sup>დღეისათვის მეცნიერებაში უკვე გამოიკვეთა ლიტერატურულ პროცესთან დაკავშირებულ საკითხთა რიგი, რომლისადმი ინტერესი გაჩენილა უძველეს ქართულ მწერლობაში (V—XI სს.). ესენია: 1. თარგმანის თეორიის საკითხები (კ. კეკელიძე, გ. გაჩეჩიაძე, მ. კახაძე); 2. ტერმინოლოგია აგიოგრაფიული და საისტორიო მწერლობისა (ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე), 3. მეტაფრასტიკის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის, საკითხები (კ. კეკელიძე), 4. ლექსთწყობის ტერმინოლოგიისა და თეორიის საკითხები უძველეს ქართულ მწერლობაში (კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა).

ძველი ქართული მწერლობის აღნიშნულ პერიოდზე სპეციალური დაკვირვება სარწმუნოდ ხდის, რომ შეიძლება კვლავაც გამოიყოს რიგი ლიტერატურული საკითხებისა, რომელთა მიმართ იმთავითვე განსაკუთრებული თეორიული ინტერესი გაჩენილა.

თეორიული მოსაზრებანი მოგვეპოვება თვით ორიგინალურ ქართულ აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში. აგიოგრაფიული თხზულებანი, როგორც ცნობილია, სინკრეტული ხასიათისაა (ასეთია არა მარტო ქართული, არამედ ზნება ქრისტიან ერთა აგიოგრაფიული ძეგლებიც). მათში „წმინდა მხატვრულს“



ვერდიტით ხშირად გვხვდება მწერლობის სხვა (არამხატვრულ) ქანთა ელემენტები. ამდენად, მით უფრო ბუნებრივია, რომ აგიოგრაფია—იმდროინდელი ბელეტრისტიკა (კ. კეკელიძე) შეიცავდეს თეორიულ მოსაზრებებს საკუთრივ მხატვრული ლიტერატურის, მის კანონზომიერებათა შესახებ, მართლაც, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოებები ხშირად სავსებით გამოკვეთილი სახით შეიცავს თეორიულ შეხედულებებს მხატვრული აზროვნების მნიშვნელოვან საკითხებზე. ეიმეორებთ, თეორიულ მოსაზრებათა ჭარბად შეტანა მხატვრულ ნაწარმოებში იმდროინდელი აზროვნების თვისობრიობიდან გამომდინარეობს და როცა ჩვენ არაბუნებრივად ვეჩვენება ეს, ვდგებით ლიტერატურის შეფასების დღევანდელ პოზიციებზე.

თეორიული მოსაზრებანი არსებობს იმპლიციტიური სახითაც. მათი წარმოჩინებისათვის უნდა მივმართოთ არაპირდაპირ გზებს. როცა ასახვის პრინციპი ნორმის ხასიათს ლებულობს, როცა ერთი და იგივე მხატვრული ხერხი სისტემურად მეორდება რომელსავე ავტორთან ან ავტორებთან, გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ საქმე გვაქვს წინასწარვე განსაზღვრულ კანონიურ (თუ სხვა რიგის) თეორიულ ამოსავალ პრინციპებთან, რაც სახელმძღვანელო გამხდარა შემოქმედებითი პროცესისათვის. მაგრამ ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა ამგვარად წარმოჩინებული პრინციპები თეორიული აზროვნების სფეროს განვსაუფნოთ? (მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ლიტერატურული შემოქმედების პრაქტიკა ხშირად „სტიქიურად“ გამოკვეთავს მხატვრული ასახვის მეთოდებს ისე, რომ შეიძლება არც კი მოხდეს მათი გაცნობიერება). რა თქმა უნდა, ყოველთვის, როცა მხატვრული ასახვის საშუალებანი კანონზომიერების სახეს ლებულობს, მათ თეორიული მოსაზრებებიდან გამომდინარედ ვერ მივიჩნევთ (შემოქმედებითი პრაქტიკა სხვაა და აზრი მის შესახებ—სხვა). მაგრამ გასათვალისწინებელია შემდეგიც: აგიოგრაფიული მწერლობა კანონზომიერებული მწერლობაა, იგი ნორმირებულია არა მარტო შინაარსეულად, არამედ მხატვრული აზროვნების ფორმებითაც. მაგალითად, ა. ჰარნაკი მიუთითებდა მრავალ პრინციპზე, რომლებიც სხვადასხვა ვარიაციით შესულა აღმოსავლეთის საქრისტიანოს მწერალთა ნააზრევში და რომლებსაც გავლენა მოუხდენია მათ შემოქმედებით საქმიანობაზე (История догматов, გვ. 243). ასეთი სახელმძღვანელო მოსაზრებანი შეიძლება უშუალოდ არ იყოს გამოქვეყნებული, მაგრამ იგულისხმებოდეს. მათი გამოვლენის გარეშე იმდროინდელ ლიტერატურულ შეხედულებათა სრულყოფილი დახასიათება შეუძლებელია. ზემოაღნიშნული თვალსაზრისით, შეიძლება პარალელი გაგვევლო აგიოგრაფიულ მწერლობასა და კლასიციზმს შორის.

კლასიციზტურ მიმართულებას, როგორც ცნობილია, ასახვის რეგლამენტირებული მეთოდები გააჩნია. ჩვენ რომ არ შემოგვრჩენოდა კლასიციზმის თეორეტიკოსთა (ნიკოლა ბუალო, ფრასუა დე მალერბი და სხვა) შრომები, თვით მხატვრულ ნაწარმოებთა ანალიზიც გვიჩვენებდა, თუ რა თეორიულ მოსაზრებებს ემყარებოდნენ მათი ავტორები.

ამრიგად, ჩვენ ძირითადად განვიხილავთ იმ თეორიულ შეხედულებებს, რომლებიც მოიპოვება V—XI საუკუნეების ქართულ პროზაულ ნაწარმოებებშია.

წინასწარის სახით შევეცდებით წარმოვადგინოთ პერიოდიზაცია თეორიულ მოსაზრებათა განვითარებისა ჩვენთვის საყურადღებო პერიოდში.

ძველ ქართულ მწერლობაში V—XI საუკუნეები გამოცალკეებულ მონაკვეთს წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ ამ დროს ქართულ მწერლობაში ერთადერთი მიმართულება იყო სასულიერო დარგი მწერლობისა (საერო ელემენტების არსებობა ამ მოსაზრებას არ ცვლის). ამ ნიშნით V—XI საუკუნეები შეგვიძლია შევუპირისპიროთ ქართული მწერლობის ყველა დინარჩენ პერიოდს. არსებითად ქართული ავთოგრაფის განვითარება დასრულდა XI საუკუნის გასულისათვის და შემდეგში თვისობრივად პრინციპიალურად ახალი მას აღარა მოუცია რა. ქართულმა ავთოგრაფიულმა მწერლობამ ამ პერიოდში გამოავლინა ყველა თავისი შესაძლებლობა თვით მეტაფრასტიკის მხატვრულ სიახლეთა ჩათვლით V—XI საუკუნეებში მხატვრული აზროვნება მოქცეული იყო სასულიერო მწერლობის შესაძლებლობათა ფარგლებში თეორიულ მოსაზრებათა შემუშავების დროს დაკვირვების ობიექტი იყო მხოლოდ სასულიერო მწერლობის ლიტერატურული ფაქტები. ამდენად, V—XI საუკუნეები თეორიული აზროვნების განვითარების თვალსაზრისითაც ერთიანი და თვისობრივად გამოცალკეებული მონაკვეთია აქედან პირველ ქვეპერიოდად წეიძლება გამოვყოთ V—IX საუკუნეები. ეს ხანა ლიტერატურულ საკითხებზე თეორიული აზროვნების დასაწყისი პერიოდია. ამ დროის თეორიულ მოსაზრებებს ჯერ კიდევ არ აქვს გამოკვეთილი სახე: მხატვრული აზროვნების საკითხები შერწყმულია თეოლოგიურ პრობლემატიკასთან. მოსაზრებები გამოთქმულია შემოქმედებითი პრაქტიკის კონკრეტულ მოვლენებზე. ავტორებთან უმთავრესად ადგილი აქვს თვითანალიზს, შესაბამისად განზოგადების დონე დაბალია.

ამ მხრივ აღნიშნულ პერიოდს მკვეთრად უპირისპირდება X საუკუნე, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, X საუკუნის ქართველ მწერლებთან საკმაოდ გაფართოვებულა თეორიული ანალიზის სფერო. სპეციალურ გამოკვლევებში ნაჩვენებია, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თარგმანის თეორიისა და ლექსთწყობის საკითხებს. სწორედ X საუკუნეში ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში სათავე ედება ისეთი ხასიათის მოვლენებს, რომლებიც გამოხატულია ეროვნული თვითშემეცნების წინსვლისა. ამ დროისათვის განმტკიცდა საკუთარი ეროვნული განმანათლებლის იდეა, ჩამოყალიბდა ფილოსოფიური მწერლობა. ეროვნული ლიტერატურის კანონზომიერებათა გაცნობიერება და მისი ანალიზი ეროვნული თვითშემეცნების ერთ-ერთი გამოჩატულებაა. ამდენად, X საუკუნე თეორიული აზროვნების განვითარების თვალსაზრისით, ცალკე ქვეპერიოდად უნდა გამოვყოთ. ჭასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული აზროვნება ამ პერიოდში ინტენსიურადაა დაკავშირებული ბიზანტიურ კულტურასთან და ამ ფაქტს მისგან გამომდინარე ყოველგვარი შედეგით დიდი მნიშვნელობა მიეცა ქართული თეორიული აზროვნების შემდგომი წინსვლისათვის.

მესამე ქვეპერიოდად უნდა გამოვყოთ XI საუკუნე. ამ დროის თეორიულმა აზროვნებამ, ერთი მხრივ, შეაჯამა ლიტერატურული აზროვნების აღრინდელი მიღწევანი და, მეორე მხრივ, ისეთ მოვლენებსაც დაუდო სათავე, რომლებიც შესაბამის პირობებში ჰუმანიზმის პოზიტიურ შინაარსად შეიძლება და ქცეულიყო. მწერლობის განვითარებამ ნიადაგი მოუმზადა ესთეტიკური პრობლემატიკის გაფართოებას. სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა „წმინდა ლიტერატურათმცოდნეობითი“ საკითხები, ამას წინ უძღოდა ის ფაქტი, რომ მეტაფრასული მიმართულების განვითარების შედეგად მხატვრული ლიტერატურ-

რა საგრძნობლად გაემიჯნა მწერლობის სხვა დარგებს. საბოლოოდ ჩამოყალიბდა ავთოგრაფიული მწერლობის ზუსტი ტერმინოლოგია.

\*  
\*  
\*

ხელოვნების ამა თუ იმ დარგის შესახებ თეორიული აზრის გაჩენა, ერთი მხრივ, თვით ხელოვნების თავისთავადი სრულყოფის შედეგია და, მეორე მხრივ, თეორიული აზროვნების წარმატებულ უშუალო გამოხატულებაცაა. სრულყოფა ხელოვნებისა ფორმისა თუ შინაარსის მხრივ ასახევს პოეზებს თეორიულ აზროვნებაში, რომელიც თავისი სპეციფიკით განსხვავდება მხატვრული აზროვნებისაგან.

ხელოვნების ნაწარმოების რაობას ჰეგელს ასე განსაზღვრავდა: „Форма этого знания в качестве непосредственной,—(момент конечности в искусстве),—с одной стороны, распадается на произведение имеющее характер внешнего, обыденно-о бытия—на субъект, его порождающий, и на субъект, созерцающий его и перед ним преклоняющийся“ (Энциклопедия философских наук, т. III, Соц., т. II, გვ. 344).

მაშასადამე, ჰეგელი მხატვრული ნაწარმოების რაობის გამოვლენას შესაძლებლად მიიჩნევს სამი მომენტის მთლიანობაში: შემქმნელი სუბიექტის, თვით ნაწარმოების, როგორც გარკვეული რეალობის და, ასე ვთქვათ, პოტენციური მკითხველის ერთიანობაში. ნაწარმოები თავისთავად კი არ წარმოადგენს რეალობას. უფრო სწორად, მისი რეალობა პირობითია, მის რეალობას „აღადგენს“ შემქმნებელი სუბიექტი. ეს რეპროდუქციკრებული რეალობა თავის მხრივ განსხვავდება ასახული სინამდვილისაგან, ხოლო „ხელოვნება არ მოითხოვს, რომ მისი ნაწარმოები მიჩნეულ იქნეს სინამდვილედ“ (ვ. ი. ლენინი). საზოგადოდ, ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიაში ცნობილია სხვადასხვა გზა ნაწარმოების სპეციფიკის დადგენისა. როგორც მ. ვერლი აღნიშნავს, თვით ლიტერატურის სპეციფიკის განსაზღვრა ხდებოდა ან შემოქმედებითი პროცესის ანალიზის მიხედვით, ან, სხვა შემთხვევაში, თვით ნაწარმოებთა თავისებურებებიდან ამოსვლით, ანდა, მხატვრული ნაწარმოების ფუნქციის ანალიზით და არა ამ მომენტების მთლიანობაში გათვალისწინებით (Общее литературоведение, გვ. 56—62). მაგალითად, იმთავითვე გამორიცხული იყო, რომ ქრისტიანულ მსოფლგაგებაზე დამყარებულმა აზროვნებამ ლიტერატურის სპეციფიკის ძიება აწარმოოს შემოქმედებითი პროცესის ანალიზით (ხელოვნება არაა მიჩნეული შემოქმედებად და ხელოვანი შემოქმედად. ეს თვისება მიეწერება მხოლოდ ღმერთს. ხელოვანი კი ქმნის „სული წმინდის შთაგონებით“). შემოქმედება ნიშნავს თვისობრივად ახლის შექმნას. ადამიანის აზროვნების ნაყოფი—ხელოვნება არ მიიჩნეოდა ამ თვისების მატარებლად. ყოველივე ზემოაღნიშნული მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როცა ძველ ქართულ თეორიულ აზროვნებას ვიკვლევთ.

V—XI საუკუნეების ქართულ ავთოგრაფულ ნაწარმოებებში გამოთქმულია მოსაზრებანი, რომლებშიაც შეიძლება დავინახოთ ცდა ლიტერატურის სპეციფიკის განსაზღვრისა.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ვისმინოთ მცირე ესე სიტყვსმიერი გამოხატვა ვრცელისა მის ფრიად საწადელისა ცხოვრებისა მისისა“ (კ. კეკელიძის გამოცემა, გვ. 149). ავტორი თავის ნაწარმოებს თვლის

„სიტყვსმიერ გამოხატვად“. „გამოხატვა“, „გამოსახვა“ გავრცელებული ტერმინებია ძველ ქართულ მწერლობაში და ისინი სინამდვილის სხვა სახის რეალობად გარდაქმნის აზრს შეიცავს.

ზემომოყვანილი გამოთქმა შემთხვევითი ხასიათის არაა. მას ტერმინოლოგიური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ავტორი სხვაგანაც მიმართავს სერაპიონს ასეთივე სიტყვებით: „შეიწირენ ჩემმიერი სათნობათა შენთა სიტყვთ გამოსახვანიო“. ამას პირდაპირ თუ არაპირდაპირ მხარს უჭერს სხვა მაგალითებიც: „ნიწყებს სიტყუად დასაბამსა ცხოვრებისაჲ“ (ბ. ზარზმელი). „მიზეზნი არიან აღმძვრელი სიტყუსა და სიტყუად მომხრობელი მიზეზთა“ (ი. ზედანზელის „ცხოვრება“, ილ. აბულაძის გამოც. გვ. 2). მაშასადამე, „სიტყუა“ გამოსახვის საშუალებაა. ნაწარმოების სინამდვილეს „სიტყუა“ ქმნის, რამდენადაც მისი შინაარსი ხშირად გატოლებულია ცნებასთან „წესი თხრობისაჲ“ (ბ. ზარზმელი). იგივე აზრს შეიცავს გამოთქმები: „საზღვარი სიტყუსაჲ“ (ბ. ზარზმელი), „სიტყუათა სარბიელი“ (გ. მცირე), „გზაჲ სიტყუსაჲ“ და სხვა. ამრიგად, „სიტყუს“ გარკვეული ტერმინოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება— იგი „გამოსახვის საშუალების“ შინაარსს შეიცავს.

გამოდის, რომ მწერლობა მიჩნეული ყოფილა სიტყვაზე დამყარებულ გამოსახვად (ბ. ზარზმელის მიხედვით, ადამიანის ცხოვრების გამოსახვად: „სიტყვსმიერი გამოხატვაჲ... ცხოვრებისაჲ“).

გვაძლევს თუ არა აღნიშნული განმარტებანი იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ მიგნებულია ლიტერატურის სპეციფიკური ნიშანი? ფორმალურად იგი ემსგავსება ლიტერატურის დღევანდელ განსაზღვრებებსაც კი. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ერთგვარია მათი შინაარსი. სიტყვა რომ ლიტერატურის მასალაა—ეს თავისთავად ცხადი, ემპირიული ფაქტია. სხვა საქმეა, მიჩნეულია თუ არა შემდეგი: ლიტერატურა რომ სიტყვას ემყარება, სწორედ ამაშია მისი სპეციფიკა. რათა ზემოდასმულ კითხვაზე დადებითად ვუპასუხოთ, საჭიროა დადგინდეთ იქნეს ორი გარემოება: პირველი, ადგლი ჰქონდა თუ არა ლიტერატურის გამიჯვნას გამოსახვის სხვა ფორმებისაგან და მეორე, რამდენად ესმოდათ ცნება „მხატვრული სიტყვისა“. პირდაპირ პასუხს ამ კითხვებზე ვერ ვპოულობთ. მაგრამ მაინც შეიძლება მივუთითოთ ზოგიერთ ფაქტებზე.

გვხვდება შემთხვევები, სადაც ლიტერატურული ნაწარმოების ზემოქმედების ძალა შედარებულია მუსიკისა და მხატვრობის ემოციურ ზეგავლენასთან. (ბ. ზარზმელი, გ. ათონელი). თუ ძველი ქართული აზროვნება ხელოვნების სხვადასხვა დარგებს შორის კონტაქტების დამყარებას ახერხებს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ არსებობს ზოგადი ცნება ხელოვნებისა.

სიტყვის ემოციური ძალის აღიარებად შეიძლება მიგვეჩნია ასეთი გამოთქმები: „სიტყუაჲ კეთილი“ (გ. მერჩულე). გ. მერჩულისავე აზრით, ავტორსავე ეუფლება თავისივე ნაწარმოების სიტყვის ძალა: „ვპოვო ორ-კერძოვე ლხინებაჲ სიტყუათა ამათ წერითა“. „სიტყუა“ ჩვეულებრივი „პროზაული“ შინაარსით არ უნდა იხმარებოდეს ასეთ გამოთქმებში: „მაღლი სიტყუსაჲ“ (გ. მერჩულე), „სიტყუსაჲ“, „მაღა სიტყუსაჲ“ (გ. მცირე), „სიტყუაჲ კეთილი“ (გ. მცირე), „სიტყუაჲ თაფლებრ დამატკობელი“ და სხვა.

„სიტყვის“ ესთეტიკური ძალის შესახებ აზრი იცვლებოდა წერილობითი და წინარე ლიტერატურის განვითარების კვალობაზე. სიტყვისათვის მაგიური ძალის მინიჭება, რაც მაგიის ერთ-ერთი გამოხატულება იყო, ქრისტიანობამ არ გაიზიარა, მაგრამ წამოაყენა „ლოგოსის“ ფილოსოფიურ-მისტიკური ცნება.

V—XI სს. ფარგლებში ქართულ აგიოგრაფიაში ვითარდებოდა სიტყვის განმარტების სახელობითი უნარი. ამის კვალობაზე იცვლებოდა თეორიული გაგება „სიტყვის“ მნიშვნელობისა. მეტაფრასულმა მიმდინარეობამ მიზნად დაისახა ძველ ნაწარმოებთა „გამშვენიერება“ „გარდაკაზმვა“ (ე. მცირე). ყურადღება გადატანალი იქნა ასახვის საგნიდან ასახვის საშუალებებზე. მეტაფრასტიკის საკითხებზე ეფრემ მცირის თეორიული მოსაზრებებიდან ვგებულობთ, რომ ამ მიმართულებამ იმდროინდელი ლიტერატურული გემოვნების შესაბამისად ემოციური ზემოქმედების როლი დააკისრა ფაქტებთან ერთად მხატვრულ სიტყვას. ამის შედეგად ჩვენში ჩამოყალიბებულა მოსაზრება დროის შესაფერისი „სიტყვის“ შესახებ. „მნებავს სიტყუაა შემსგავსებული ყამსა და ადგილსა“,—წერდა ვიორგი მცირე. ეს მოსაზრება ჩვენ თეორიულა აზროვნების მნიშვნელოვან წარმატებად მიგვაჩნია.

✦ ეფრემ მცირეს ერთ-ერთ ნაშრომში (შესავალი „დავითის“ კომენტარებისა. „ძვ. საქართველო“, ტ. III, განყოფ. 1, გვ. 264) აღნიშნული აქვს ნაწარმოებში აზრის გამოხატვის ორი სახე. ამის შესაბამისად, ეფრემის აზრით, არსებობს ორგვარი გზა ნაწარმოების შინაარსის წვდომისა: ერთი მხრივ, ეფრემის შეხედულებით, ადგილი აქვს აზრის უშუალო პირდაპირს სახით გამოთქმას, სხვა შემთხვევაში, ხდება აზრის „სახისმეტყველებითი“, ალეგორიული გამოხატვა<sup>1</sup>. ეფრემი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ დროს („სახისმეტყველებითი“ აზროვნების შემთხვევაში) ნაწარმოების ჰერმეტიკი აზრი ამოცნობილ უნდა იქნეს ტექსტუალური შინაარსის მიღმა. ეს შეხედულებანი ჩვენ საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ეფრემ მცირეს გაცნობიერებული აქვს მხატვრული აზროვნების ფაქტი (ეფრემის ამ მოსაზრებებს კავშირი უნდა ჰქონდეს ე. წ. არეოპაგიტულ წიგნებთან).

ძველ ქართულ მწერლობაში ვიპოვით მოსაზრებებს ნაწარმოების თემის შერჩევის თაობაზე. რა პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ თემის შერჩევისას? საკითხს ვერ ამოწურავს იმ ცნობილ გარემოებაზე მითითება, რომ აგიოგრაფია აღწერს სარწმუნოებისათვის თავდადებული პიროვნების ცხოვრებას. ეს აგიოგრაფიის მიმართ იმდენადვე ზოგადი შენიშვნაა, როგორც თანამედროვე მწერლობის მიმართ აღნიშვნა იმისა, რომ მწერლობა ასახავს სინამდვილეს. საკითხი ეხება იმას, თუ მოცემულ ფარგლებში რა პრინციპით ხდებოდა ამა თუ იმ მასალისადმი უპირატესობის მინიჭება. „უკუეთუ არა პოოს ხელოვანმან ნივთი შემსგავსებული საქმისა თვისისა, ვითარ გამოაჩინოს ბრწყინვალეება თვისი“; ამ სიტყვებით გამოთქვა თემის შერჩევის ძველ ქართულ მწერლობაში არსებული პრინციპები ე. მცირემ. ამ თვალსაზრისით, მასალა ავტორმა უნდა შეარჩიოს არა მარტო იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფაქტი თავისთავად, უპირველესად ავტორისათვის უნდა იყოს იგი „შემსგავსებული საქმისა თვისისა“. მასალადამე, ავტორი გამოდის წინა პლანზე და ამაზე მიუთითებს სურვილი—„გამოაჩინოს ბრწყინვალეება თვისი“ (საშუალო საუკუნეების შემოქმედნი ხელმძღვანელობდნენ ი. დამასკელის მოსაზრებით: „მე ჩემს შესახებ არაფერს ვიტყვი“. ისტორიას თავისი სახელი დაუფარა წარსულის არაერთმა ხელკაზმმა—მწერალმა, მხატვარმა თუ ხუროთმოძღვარმა. ძველი ქართული მწერლობა არ იცავდა ამ თვალსაზრისს. ამის გამოხატულებაა ისიც,

<sup>1</sup> შეიძლება დღესაც გამოვეყენებინა ტერმინი „სახისმეტყველება“, ნაცვლად „ხატოვანი აზროვნებისა“. სხვა რომ არა იყოს, ამ ცნებაში წინაუქმობას იწვევს „აზროვნება“. გარდა ამისა, მათ საყრდენ ტერმინოლოგიას დღეს „სახე“ უფრო გამოიყენება, ვიდრე „ხატი“.

რომ ი. ცუბრტაველმა თავისი თავი ნაწარმოების მოქმედ პირად გამოიყვანა (ასე იქცეოდნენ ალორძინების ხანის მხატვრები, რომლებიც ანტიკურ ან ბიბლიურ სიუჟეტებზე აგებულ კომპოზიციებში საკუთარ პორტრეტს ჩაახატავდნენ. ზოლმე). წმინდანის ცხოვრების ყოველი მომენტი უნდა ყოფილიყო ჭურავსაღები, მაგრამ თემის შერჩევასა ლიტერატურულ თვალსაზრისი გაუხლიათ ამოსავლად და არა კონფენსიური: „რაოდენიმე მოვლენით და სხუად იგი დავადადოთ, რაჟთა არა ფრიადი სიმრავლე წერილისაჲ იქმნას და საწყინო ექმნეთ მკითხველთა და მსმენელთა“ (გ. ათონელი). ასეთი შეხედულება ჩანს მეტად მძლავრობდა ძველ ქართულ მწერლობაში — იგი სხვადასხვა ფორმით განმეორებულა მრავალ ნაწარმოებში: ასურელ მამათა ცხოვრებებში, ი. საბანისძესთან, „კონსტანტი კახის მარტილობაში“, გ. მერჩულესთან, გ. მცირესთან.

V—XI სს. ავტორები ცდილობენ განსაზღვრონ ავთოგრაფიული მწერლობის ფუნქცია (ჩვენთვის საყურადღებოა ის შემთხვევები, როცა ისინი ვიწრო რელიგიურ—კონფენსიურ თვალსაზრისს შორდებიან). ბოლო დროის სამეცნიერო ლიტერატურაში სავსებით სამართლიანად უარყოფილია ემილ მალის შეხედულებანი, რომლის მიხედვით შუა საუკუნეებში «искусство было материализацией церковной мысли, а художники лишь ее краткими интерпретаторами» (Основы марксистско-ленинской эстетики, М., 1961 г. გვ. 25).

მართლაც, ქართველი ავთოგრაფი ავტორები არ ცდილობენ მწერლობის დანიშნულება დაფარული მისტიკური სამყაროს ჩვენებით ამოწურონ. გ. მერჩულის აზრით, ნაწარმოებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ახასიათებდეს სიბრძნე და „სიბრძნის სიღრმე“ (ნ. მარის გამოცემა, გვ. ბ). იგივეს იმეორებს „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“ (ი. ჯავახიშვილის გამოცემა, გვ. 13). მწერალმა უნდა გაიაზროს „მიზეზი აღწერისა“ და უნდა შეძლოს მისი ჩვენება. „რამეთუ მიზეზნი არიან აღმძვრელ სიტყვსა და სიტყუაჲ მომთბრობელ მიზეზთა, რომლისათჳს პირველ მივლენან საგრძნობელთა და მიათჳან მიმღებელსა და მიმღებელმან მისცის განმიკთხველსა“ (ასურელ მამათა ცხ., გვ. 2). ი. საბანისძის სიტყვით, მწერალი „მითხრობით ყოველთა ქადაგ ექმნეს“ (კ. კეკელიძის გამოც. გვ. 77). გ. მერჩულის აზრით, „ნათესავით ნათესავამდე მითხრობად ყოველთა“—იწერება ნაწარმოები.

გ. ათონელი წერდა: „სარგებელად კაცთა ნათესავისა“ უნდა დაიწეროს ნაწარმოებიო. ამასთანავე გათვალისწინებული ყოფილა სხვადასხვა მკითხველის ინტერესები: „სიმტკიცე და სიხარული ექმნების ჭაბუკთა მითხრობითა მით და სიქადულ და მხიარულებად მოხუცებულთა... და სასურველ მღვდელთა და ყრმათა მათ მოწაფეთათ“—წერდა ი. საბანისძე.

გ. მცირის მოსაზრებით თხზულება უნდა დაიწეროს „სახედ და ხატად სათნოებისა მომავალთა ნთესავითჳს“ (ათონის კრ., გვ. 283). ამდროინდელი აზროვნებისათვის ლოგიკური, ეთიკური და ესთეტიკური კატეგორიები გაერთმინებულნიანებულა. ამდენად, მწერლობა უპირველესად „სიბრძნისა ერთადარგი“. იგია სახე და ხატი სათნოებისა. მწერლისათვის „მომავალთა ნათესავთა“ წინაშე მოვალეობა ყოფილა ამოსავალი. თორემ „წინაშე ღმრთისა ყოველივე ცხად არს“ (გ. ათონელი).

ყად. კ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ ძველი ქართული „მწერლობის ტემპების ერთ-ერთი შემანელებელი მიზეზი ყოფილა ჩვენში თავისებური თეორია



.სიბრძნისა“ და სისულელის შესახებ. ეს თეორია გამოთქმული ყოფილა გიორგი მერჩულის პირით გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“ შესავალში. ლაპარაკი, გამოთქმა, რისიმე აღწერა ავტორს მიაჩნია „სულელობის“ მაჩვენებლად: ვინც წერს, ის სულელია. ვინც არაფერს ამბობს, ის ბრძენია. „ბრძნად მეტყუებობა ვერცხლი არს წმიდაჲ, ხოლო დუმილი ოქროა რჩეული“ (ეტი., II, გვ. 210). ჩვენ ეს მოსაზრება ლონგინის ფილოსოფიურ-ესთეტიკური თვალსაზრისის ქრისტიანიზებული ვერსიის გამოძახილად მიგვაჩნია. ლონგინი პირველი იყო, რომელმაც სიკეთისა და მშვენიერების ცნება ამაღლებულის ცნების ანალიზით მოიაზრა და მისი წვდომის საშუალებად მხოლოდ სულიერი მიახლოებების გზა დასახა. ამდენად, უარყოფილია მშვენიერების გასხეულების საჭიროება, თუნდაც მისტიკური სიმბოლიკის სახით. რადგანაც სახე—სიმბოლო ასე თუ ისე მაინც მატერიალურობისაკენ წარმართავს. ადამიანის ყურადღებას. ამაღლებულის განცდის ფაქტი ჩვენთვის ცხადყოფილი ხდება სიტყვით, მაგრამ ის მიიღწევა სიჩუმით. მამასადამე, გამოხატვა და განცდა გაიგივებულია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ შეხედულებათა გვერდით ძველსავე ქართულ მწერლობაში არსებულია საწინააღმდეგო მოსაზრებანი. მწერლური მოვალეობის შეგნება სხვადასხვა ავტორთან დასაბუთებულია აღმზრდელობითი, მორალური და თუნდაც მოქალაქეობრივი თვალსაზრისითაც. „ვითარცა სხვათა ყოველთა მცნებაჲ აღსრულებად,—წერდა გ. მცირე,— თანამდებ არს კეთილთა კაცთათვის, აგრეთვე ყამსა სიტყუსასა სიტყუაჲ“ (ათონის კრ., გვ. 283). გ. ათონელის აზრით, „რომელთა-ოი იღუაწეს და აღწერნეს ცხოვრებანი, კეთილად ქსენებულ არიან“. უფრო გვიან ამასვე იმეორებდა არსენ ბულმაისიძისძე: „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი საუკუნოდ, რომლისამე საქებელ ყოფად, ხოლო სხვასა განქიქებად“ (ქრონიკები, II, გვ. 109). უნდა ვიფიქროთ, რომ გ. მერჩულის ზემო ხსენებულ თეორიას ეკამათებოდა გიორგი მცირე, როცა წერდა: „არა ღირს არს დუმილი, არამედ ღირს (არს) ქსენებაჲ და შუენიერებაჲ აღწერისაჲ“.

მეღაენდება შეგნება მწერლური მოვალეობისა და ნაწარმოების თემის დაძლევის დროს. გააზრებულია წინააღმდეგობა სათქმელსა და „სიტყუას“ შორის. ასახვის საგანს ავტორები ახასიათებენ „მიუწვდომელად ჩუენგან დაწერილთა“ (გ. მერჩულე) და „ღირსად თქუმის“ სურვილს გამოხატავენ. არაიშვიათად ასეთი გამონათქვამი აღმსარებლობით თავმდაბლობას გულისხმობს. ასევე შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ გვაქვს გამოძახილი ღმერთის „უთქმელობისა“. მაგრამ საყურადღებოა, რომ იმავეს იმეორებენ ავტორები, როცა აღწერენ ბუნების სურათებს, რომელიც „დაბალ მატერიალ“ მიიჩნეოდა და ყოველივე გონებისეული მასზე მაღლამდგომად ითვლებოდა. „დაღაცათუ ფრიად განკვამრავლო სიტყუაჲ, ვერ მისწუთების გონებაჲ ჩემი ყოველსა მას უდაბნოთა მათ სიკეთესა“—ვკითხულობთ გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში“. ამასვე წერს გ. ათონელი თვით ქირისა და უკეთურების შესახებ: „არცა თუ შესაძლებელ არს ყოველისავე წარმოთქუმაჲ“. მართალია, გავრცელებული თვალსაზრისით, ნაწარმოების ღირსებას „სული წმიდის შთავონება“ განსაზღვრავდა, მაგრამ ამასთანავე არსებულია შეგნება მწერლურ შესაძლებლობათა განსხვავებულობისა: ზოგს „ქელ ეწიფებოდა ყმატებაჲცა და დაკლებაჲცა“, სხვას კიდევ ნაკლებად მოსდევდა „ძალი სიტყუსაჲ“. ამ აზრით მიმართავდა ი. საბანისძე აზოტფილელს: „მსგავსად ძალისა ჩემისა გაქებდევ“. „ვიწყო მე სიტყუაჲ ძალისა ჩემისაებრ“—ამბობს გ. მცირე.

\* \* \*

ლიტერატურის შესახებ ზოგად-თეორიულ მოსაზრებათა რიგში დგას შეხედულებანი პოეზიისა და არაპოეზიის ერთმანეთისაგან გამიჯვნის თაობაზე, რომელსაც ძველი ქართული მწერლობა იცნობს. იგი ბერძნული მწერლობიდანა შემოსული ჩვენში (ტერმინს „არაპოეზია“ ჩვენ ვხმარობთ მ. ვერლის მიხედვით, რუსულ თარგმანში „непоэзия“. იხ. მისი Общее литературоведение, გვ. 72). მიუხედავად ამ ტერმინის გარკვეულად მოუხერხებლობისა, მის მიავიწყებლად არ გამოგვადგებოდა „პროზა“. „არაპოეზია“ ისეთ ნაპროზებსაც ვუწოდებოდა, რომლებიც პროზად (მხატვრულ პროზად) ვერ ჩაითვლება. ე. ი. ამ ტერმინით ერთმანეთს უაირისაპირდება პოეზია (თუნდაც პროზის ფორმით დაწერილი) და ყოველივე არაპოეტური (მხატვრული და არამხატვრული პროზა. „არაპოეზია“ შეიძლება ლექსადაც იყოს დაწერილი).

რას ითვალისწინებს პოეზიისა და არაპოეზიის გამიჯვნის საკითხი?

გენეზისითვე პოეზია და ლექსი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ხემოძოყვანილი გამიჯვნის საკითხი მაშინ წამოიჭრა, როცა „პოეტურის“ გაგება დავიწროვდა და გაუტოლდა „ლირიკულს“ შინაარსს. გაგარკვევებულ თვალსაზრისით, პოეზიისა და ლექსის ცნება განუყოფელია. ისინი მხოლოდ თანმხვედრი ფაქტორები კი არ არიან, არამედ იგივეობრივი. ლექსშია ჩამარხული პოეზიის მთავარი ძალა და შესაძლებლობანი. ასეთი პოეზიიდან გამომდინარეობს აზრი, რომ პოეტური ნაწარმოების თარგმანა შეუძლებელია, რამდენადაც ლექსის ყველა თავისებურება, რომელიც ენის ბუნებრივ თვისებებს ემყარება, თარგმანში იკარგება. აქედანვე გამომდინარეობს ბგერწერის კულტივირება უორმალისტურ პოეზიაში („მუსიკა უპირველეს ყოვლისა“). მ. ვერლი ამ თვალსაზრისის ისტორიულ განვითარებას ლ. ბერიგერის სიტყვებით აჯამებს:

„Всякой литературное творчество, прозаическое по форме, представляет собой отклонение от сущности поэзии“ (М. Верли, დასახ. შრ., გვ. 73).

ამ საკითხის შესახებ ისტორიულადვე არსებობს განსხვავებული შეხედულება, რომლის მიხედვით, პოეზიასა და არაპოეზიას ლექსი როდი განასხვავებს. პოეზიას ქმნის წარმოდგენათა, „ხილვის სამყარო“; სახის პოეტურობას განსაზღვრავს განსაკუთრებული ესთეტიკური ფენომენი, რომელიც ნაწარმოების შინაარსის სფეროს მოიცავს. ლექსთწყობის მასთან დაკავშირება იმით აიხსნება, რომ პოეტურ შინაარსს სინესთეზურად უკავშირდება რიტმულ-მუსიკალური შეფერილობა. ჯერ კიდევ არისტოტელე კატეგორიულად გამოთქვამდა „პოეტიკაში“ აზრს იმის თაობაზე, რომ პოეზიის სპეციფიკას არ ქმნის ლექსი. სიანტერესთა გოეთეს მიერ გამოთქმული შეხედულება ამ საკითხზე:

„Я уважаю и ритм и рифму, которые одни лишь делают поэзию поэзией, но собственно глубоким и действенным по своей природе началом, началом образующим истину и ведущим вперед — является то, что остается от поэзии, когда ее переводят в прозу“ (Поэзия и правда).

ერთი სიტყვით, არსებობს საკმაოდ დასაბუთებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით პოეზიის დაყვანა ლექსის ცნებამდე (ე. ი. კატეგორიული და ნორმატიული კლასიფიკაციის გაიგივება)—შეცდომაა. ლექსი და პოეზია გაუთიშავი არაა ერთმანეთისაგან არათუ პრაქტიკულად, ემპირიულად, არამედ არსითაც კი. პოეზიას ლექსი არ ქმნი!

ე. წ. „მცხეთის დავითის“ ერთვის სატატია—„გამოკულევა ძალისა ფსალჟუნთაჲსაჲ“. სტატია თარგმნილია ბერძნულიდან. ეკუთვნის ცნობილ მწერალს ათანასე ალექსანდრიელს. მასში გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით: 1. „ყო-



ველნი წიგნი თქმულ არიან სარგებელად, ნიჭნი მოძღვრებისა სკოლის სულთა ჩუენთა“. 2. ნაწარმოებებს შორის არსებობს განსხვავება: „ძალი წიგნითა თითულად გუაუწყებს. მხოლონი თუსსა ოდენ სახესა მოგვთხოვნი“. 3. ამ თვალსაზრისით ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ფსალმუნი და ბიბლიის სხვა დანარჩენი წიგნები, რომლებიც „სხვა სიტყუათა მოგვთხოვნი“ (აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ამ წიგნების კითხვისას მათ ოცნებებს მკითხველი თავისად არ მიითვისს—სხვის ამბავს ეცნობა მხოლოდ). მათ შორისაც არსებობს. ასე ვთქვათ, შინაგანი განსხვავება. ისინი „ოდესმე ზრახვით იტყვიედ, ოდესმე წინაწარმეტყველებედ“ („ზრახვით“ თქმაში, რასაკვირველია, გამონაგონი არ იგულისხმება, გამონაგონის ფასეულობას არ ცნობს ამდროინდელი მწერლობა). 4. ფსალმუნი ამ ნაწარმოებებისაგან განსხვავებულია სწორედ ისეთი ნიშნით, რომელიც მის პოეტურობას ცხადყოფს. ეს კი შემდეგში მდგომარეობს: ფსალმუნთა მკითხველი „ვითარცა თუსით სიტყვთ რეცა თავისა ვედრებასა შესწირავნ“. ფსალმუნის თავისებურება იმაშია დანახული, რომ მისი საშუალებით „კაცი იგი ღმერთსა ჰზრახავს და ღმერთი კაცსა“ (შეენიშნავთ, რომ პოეტური ნაწარმოების საშუალებით ღმერთთან მიმართების გააზრება სულ ბოლოდროინდელ ლიტერატურასაც შემორჩა). ფსალმუნის ყოველი მკითხველი თავის განცდებს გადმოცემს მისი სიტყვებით. ამგვარად ხდება უშუალო მიმართება უმაღლესი იდეალისაკენ—მშენიერების იდეალთა სიმალეებისაკენ, ვიტყვით დღეს პოეტური ნაწარმოებების დახასიათებისას, რაც იმდროინდელი თვალსაზრისით ასე გამოითქვა: „რაჟამს ვინმე ფსალმუნებნ, არა თუ ვითარმცა ვინ სხუაჲ ვანრებულ არნ ან იტანეგბინ, გინა თუ ჰმადლობნ და ევედრებინ და აკურთხევენ. არამედ თუსით გონებით უგალობნ და ადიდებნ ღმერთსა და თუსი იგი სიტყუაჲ ამსახურის და წინასწარმეტყუელენ და ესრეთ მიწევენულ ყოველთა ფსალმუნთაგან უფროსსა გულისხმის—ყოფად აღძრად სულითა ჩუენითა და გონებითა... ესრეთ უფრავცხობთ, ვირამც ჩუენ ვართ“ (გვ. 446—447, მ. შანიძისული გამოცემა). ე. ი. ავტორის აზრით, ფსალმუნის, მაშასადამე, პოეტური ნაწარმოების კითხვის დროს ადამიანი თავისი სიტყვით, თავისი განწყობილებით უშუალოდ მიემართება იდეალისაკენ, ხოლო როცა სხვა ხასიათის ნაწარმოებებში იმავე განწყობილებებს ვეცნობით—სხვას თანავუგრძნობთ მხოლოდ. ამრიგად, ფსალმუნი ერთიანად დაპირისპირებულია ბიბლიის დანარჩენი წიგნებისადმი, არაპოეტური ნაწარმოებებისადმი, რომელთაგანაც ზოგიერთი მხატვრულობის მატარებელია, ზოგი კი არა. მაშასადამე, ერთმანეთისაგან გამიჯნულია პოეზია და. საზოგადოდ, არაპოეზია. მთავარი მაინც ჩვენთვის ამ მსჯელობის პრინციპული მხარეა: ავტორს სურდა ფსალმუნთა პოეტურობა დაესაბუთებინა და იგი დაეპირისპირებინა არაპოეზიისათვის. ეს მოხდა ისე, რომ ლექსითწყობა არ ყოფილა მისი საფუძველი. ამრიგად, პოეზიის არაპოეზიისაგან განმასხვავებლად ლექსითწყობა არაა მიჩნეული. ჩვენ ვითვალისწინებთ მოსალოდნელ შენიშვნას, რომ ეს სიტყვები შეეხება ფსალმუნის ბერძნულ ტექსტს. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ამ სტატიაში მოცემული მსჯელობა ვერ გავრცელდებოდა ფსალმუნის ქართულ ტექსტზედაც, მაშინ მისი თარგმნი (ყოველ შემთხვევაში, ზემომოყვანილი ადგილისა) უაზრობა იქნებოდა. ქართველ მთარგმნელს გაუთვალისწინებია ამ მოსაზრებათა საჭიროება. ქართული ფსალმუნის დასახასიათებლადაც. ქართული ფსალმუნის პოეტურობის წარმოსაჩენად, ქართული მთარგმნელის აზრით (ესაა ჩვენთვის საყურადღებო), საკმარისი ყოფილა მის მხატვრულ სახეთა პოეტურობის

წვდომა, ცხადია, თუ აქ ლაბარაკი არაა ქართული ფსალმუნის ლექსით წყობაზე. ეს გადაჭრით არ გამოირიცხავს მის არსებობას, მაგრამ გვაფიქრებინებს კი. მით უმეტეს. რომ ამ საკითხზე არსებობს პირდაპირი ცნობა, რომელიც ეკუთვნის დიდ ქართველ მეცნიერს ეფრემ მცირეს: „სისარულევან და ტკბილ ექმნების ყოველთა მუსხლელად იამბიკოდ შემოკლებითა სიტყუსაათა. რამეთუ უმარავლესთა ფსალმუნთა რიცხუდობაჲ და მარცულედობაჲ ცხად არს საფსალმუნეთა შინა ებრაელთასა. დადაცათუ სხუათა შინა ვერ დაუცავს თარგმანთა რიცხვ მარცულისაჲ“ (ძვ. საქართველო, გვ. 269). აქ, ცხადია, „სხუათა ენათა“ შორის ქართულიც იგულისხმება. ეფრემ მცირის აზრით, ქართულ ფსალმუნში არაა დაცული „რიცხვ მარცულისაჲ“ (ცნობილი მკვლევარი პ. ინგოროყვა ქართულ ფსალმუნში ლექსითწყობის თავისებურ სისტემას ხედავს, რომელსაც მან უწოდა „წყობილი სიტყუა რიცხუდით“). როცა ეფრემმა „რიცხუდობაჲ და მარცულედობაჲ“ გამოირცხა ქართული ფსალმუნის ლექსითწყობის საფუძვლიდან, მოსალოდნელი იყო აქვე ლექსითწყობის სხვა სისტემის არსებობა აღენიშნა, რომ ამის საფუძველი ჰქონოდა. გამოდის, რომ ეფრემი ქართულ ფსალმუნში ლექსს არ ხედავდა. იგი არალექსითი (პროზაული) სახის პოეტურ ნაწარმოებად მიაჩნია.

\* \* \*

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ერთ-ერთი თავი შეიცავს მოსაზრებებს, რომელშიაც ჩანს აგიოგრაფიის ქანობრივად დაყოფის შეგნება. აქ დასახულია, რომ „ცხოვრებებსა“ და „მარტვილობებში“ სხვაგვარადაა გადმოცემული ადამიანის ცხოვრება.

ცნობილია, რომ აგიოგრაფიულ ნაწარმოებთა (იქნება ეს „წამებისა“ თუ „ცხოვრების“ ქანრისა) ცენტრში დგას იმდროინდელი თვალსაზრისით უმაღლესი სულიერი თვისებების მატარებელი ადამიანი. ადამიანი ინტერესს იმსახურებდა არა თავისი ინდივიდუალური განუმეორებლობით, არა როგორც საინტერესო ამბის მოქმედი პიროვნება, არამედ იმდენად, რამდენადაც იგი უახლოვდება ადამიანობის იდეალს.

„ცხოვრებათა“ ქანრის ნაწარმოებებში უმაღლესი ადამიანური იდეალის მიღწევის გზა არსებითად განსხვავდება „წამების“ ქანრში დასახული გზებისაგან: ერთის მხრივ, უმაღლესი ადამიანური იდეალი მოიპოვება ამქვეყნიურ საზრუნავთა განხორციელებით, მეორე მხრივ კი, ადამიანს იდეალურ პიროვნებად ხდის მოწამებობრივი სიკვდილის დათმვნა.

ეს განსხვავებანი ვაცნობიერებულნი და თავისებურად გააზრებული ყოფილა ძველ ქართულ მწერლობაში. როგორც აღენიშნეთ, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოგვეპოვება შეხედულებანი, რომლებიც ამ საკითხს შეეხება. აქ გამოთქმულ შეხედულებათა ანალიზს შემდეგ დასკვნებამდე მივყავართ: 1. გააზრებული ყოფილა განსხვავებანი ამ ორი ქანრის პერსონაჟებს შორის. 2. „ცხოვრებათა“ ქანრი ადამიანს ამქვეყნიური საქმიანობით აიდეალებს, „მარტვილობაში“ კი ყურადღების ცენტრშია მხოლოდ ადამიანის აღსასრული. 3. აღნიშნული განსხვავება იძლევა ადამიანობის იდეალის მოპოვების ორ განსხვავებულ გზას.

აგიოგრაფიული მწერლობის ორ მთავარ ქანრს შორის ასეთსავე განსხვავებას პოულობს „კონსტანტი კახის მარტვილობის“ ავტორი. იგი ცხოვრები-



სა“ და „წამების“ ქანრებს ერთმანეთს უპირისპირებს. თავისი ნაშრომის შექმნისას ამბობს, რომ აღწერა „ცხოვრება და წამება კონსტანტისი“. აქ აღნიშნული ერთგვარად გარდამავალი ქანრის არსებობა.

ქანრების თეორიამ შემდგომი განვითარება პპოვა ეფრემ მცირესთან.



ქართული აგიოგრაფიული მწერლობის მხატვრული მეთოდების ყოველმხრივი შესწავლა დღესაც ამოცანად რჩება. ამისათვის საჭიროა სწორად იქნეს გათვალისწინებული, ერთი მხრივ, სინამდვილისადმი დამოკიდებულებისა და, მეორე მხრივ, ნაწარმოების შექმნის პრინციპები, გმირთა დახატვის გზები.

ჩვენ ამგზის გვანტერესებს, არსებობს თუ არა ამდროინდელ მწერლობაში თეორიული მოსაზრებანი, რომლებიც მეთოდის საკითხს შეეხება.

დავიწყეთ სინამდვილისადმი დამოკიდებულების პრინციპებიდან. ამ თვალსაზრისით, ერთ წამყვან ტენდენციას შევნიშნავთ: გამონაგონის დამაჯერებლობა უარყოფილია. დამაჯერებლობის ერთადერთ გზადაა მიჩნეული ის, რომ ნაწარმოებში გადმოცემული სინამდვილე მიჩნეულ იქნეს რეალობად. ამიტომ ავტორები ბეჯითად გვარწმუნებენ თავიანთ სიმართლეში მაშინ, როცა, ქართლაც, ისტორიულ ფაქტს გადმოსცემენ და მაშინაც, როცა „ნატყუარს“ ყვებიან (მაგალითად, სასწაულებს). ე. ი. მწერლობამ უნდა ასახოს მხოლოდ ხამდვილი ფაქტი, ნამდვილი—არა შესაძლებლობის თვალსაზრისით (ტიპიური), არამედ კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილე. ამ დროს თავისებურად იყო განმარტებული ასეთი სინამდვილის ცნება. მწერალმა რეალობიდან უნდა აიღოს მხოლოდ ღვთიურობით ნიშანდებული ფაქტები—იგია ჭეშმარიტი სინამდვილე. ნაწარმოების სინამდვილე მისაბაძია მკითხველისათვის, ამიტომ გამონაგონი—ადამიანის გონების ნაყოფი ვერ ჩაითვლება ამის ღირსად. აი, როგორაა ეს თვალსაზრისი განვითარებული ძველ ქართულ მწერლობაში: 1. გ. ათონელი წერდა: „ქელვყავთ მცირედთა ამთ სიტყუათა აღწერად, გარნა ურწმუნომცა ნუ ვინ არს, ჩუენ თავით თკით არა რაა აღვეწერია“ (ი. ჯავახიშვილის გამოც. გვ. 14). აღწერეთო, განაგრძობს გ. ათონელი, „რაა-იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან, რომელი-იგი უცხო იყვნეს ყოვლითურთ. ტყუელისაჲვან“. სამუელ კათალიკოსი წერდა ი. საბანისძეს: „ქელ ყავ გამოთქმუად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ იჲა იყო და ვითარცა თუთ უწყით“. მამასადამე, აღწერა ხდება ან „თანდახუდომილთა“ (ე. მცირე) მიერ, ან „სარწმუნო კაცთა“ ცნობებზე დამყარებით. 2. ამ მეთოდით აღწერა უპირისპირდება ხოტბას, რამდენადაც, ამდროინდელი თვალსაზრისით, „სიტყუახელოვნებით“ გამოთქმა გამორიცხავდა სიმართლეს. „არა თუ შეხსმისა გზაა გვიპყრიეს, არამედ აღწერად ცხოვრებისა მოსწრაფე ვართო“—ცვათხულობთ ერთ-ერთ ძველში (ათ. კრ. გვ. 70). 3. არსებულა შეხედულება, რომლის მიხედვით, აგიოგრაფიული მწერლობის აღწერის მეთოდი უნდა უპირისპირდებოდეს ზღაპრულობას, რადგან ეს უკანასკნელი გამონაგონ შინაარსს შეიცავს და, მამასადამე, მოკლებულია ჭეშმარიტებას. უარყოფილია გამონაგონის სიბრძნე. „ზღაპრობის სიბრძნე“—„სიბრძნე სიცრუისა“. „დავუტყვე მე... კაცთა კელოვნებითა შეთხუელი მჯული და ზღაპრობისა სიბრძნითა ღონისძიებული რწმუნებაა“—ცვათხულობთ „აბო ტვილელის მარტვილობაში“. 4. მიუხედავად ამისა, ძველი ქართული მწერლობა

ბისათვის ცნობილია გამონაგონზე დამყარებული აღწერა (სხვა საქმეა იმ, თუ შემოქმედებითი პრაქტიკა რამდენად მიჰყვებოდა ამ მეთოდს). „კოსტანტი კანის მარტილობის“ ავტორის აზრით, არსებობს ნაწარმოებები, რომლებშიც მოთხრობილი ამბები ავტორებს „არასადა ეხილვა, არამედ უწყებთა სულისათა წმიდისადა აღწერა იგი, ვითარცა თუ ა ლ ი თ ა ხ ი ლ უ ლ ი“. აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ის მომენტი, რომ გამონაგონი („სული წმიდის შთაგონებული“) „თუალითა ხილულის“ მსგავსი შეიძლება იყოს.

დასკვნა: ძველი ქართული მწერლობა (V—XI სს.) სინამდვილის ასახვის მეთოდის ერთ მხარეს ასე განმარტავდა: მწერლობამ ქეშმარიტება უნდა გამოთქვას (ქეშმარიტება, რა თქმა უნდა რელიგიური თვალსაზრისით). ქეშმარიტებას შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ნამდვილად მომხდარი, კონკრეტულ-ისტორიული ფაქტი. გამონაგონი („ნატყუარი“) მწერლობის თემად არ უნდა იქცეს.

ამ შეხედულებებს სოკი რამ საერთო აქვს არჩილის სკოლის ე. წ. რეალიზმის, „მართლის თქმის“ პრინციპებთან: 1. არჩილი მწერლობისაგან მოითხოვდა „მართლის თქმას“, რაც ნიშნავდა ნამდვილად მომხდარი ფაქტების ასახვას. მისი აზრით, „მხატვრულად გამოსახული პერსონაჟი, თუ ის კონკრეტულ-რეალურ პიროვნებას არ წარმოადგენს, გამონაგონია, შეთხზულია, ავტორის ფანტაზიის ნაყოფია და ამდენადვე ზღაპრულიც“. „მხატვრულადაც მხოლოდ ის არის ნამდვილი და მართალი, რასაც რეალურ-კონკრეტულ ვითარებაში ჰქონია ადვილი“ (ალ. ბარამიძე, ნარკვევები, IV, გვ. 17). არჩილის სკოლა ქართულ მწერლობაში სპარსული „ნაჭორი“ სიუჟეტების შემოტანას დაუპირისპირდა და ქართული ნაციონალური თემატიკის დანერგვა მოითხოვა. შევნიშნავთ, რომ ქართული ავოგრაფიული მწერლობაც ძირითადად დამყარებულია ისტორიულ-ნაციონალურ თემატიკაზე. არჩილის სკოლის „მართლის თქმის“ პრინციპი უპირისპირდება ხოტბას: „ვთქვი არა ხოტბა, არამედ მართალიო“ (არჩილიანი, II, გვ. 7). ადრესავე შეხედულებას გამოთქვამდა ი. თბილელიც (დიდმოურავიანი, გვ. 74). 3. „მართლის თქმა“ ეწინააღმდეგება ზღაპრულობას: „ზღაპრულ ამბავს ესევე მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავადო“—წერდა არჩილი“ (იქვე, გვ. 7). აქ იგივე მომენტია აქცენტირებული, რომ მწერლობის თემად არ შეიძლება იქცეს გამონაგონი. ამ თვალსაზრისით „ზღაპრულად“ ითვლებოდა „ვეფხისტყაოსანიც“. 4. ამასთანავე, არჩილის სკოლის წარმომადგენელს ფეშანგის გამოთქმული აქვს შეხედულება, რომ შეიძლება გამონაგონიც ჰკავდეს სინამდვილეს. ფეშანგის აზრით, მართალია, რუსთაველმა გამონაგონი ამბავი მოკვითხრო, მაგრამ მრუდიცა მართლად გამართა. ნახულთა დასადარიო“ (შაჰნავაზიანი, გვ. 5).

ამრიგად, არჩილის სკოლის ლიტერატურულ პრინციპებსა და V—XI სს. ქართველ მწერალთა თეორიულ შეხედულებებს შორის ბევრი საერთო მომენტი აღინიშნება. ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ მსგავსება იგივეობას არ ნიშნავს—ერთი და იგივე მოსაზრების კულტურულ-ლიტერატურული მნიშვნელობა ეპოქების მიხედვით განსხვავდებოდა.

ავოგრაფიული მწერლობის მეთოდებს რო? კსწავლობთ, უნდა გავითვალისწინოთ გმირთა დახატვის იმდროინდელი პრინციპებიც.

თეორიულად, იმვითავე გამონაკლისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, გამოვინებებს ძველი ქართული მწერლობა არ ცნობს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საერთოდ უცხო იყო გამონაგონი ამ მწერლობისათვის. იმდრო-



ინდელი რელიგიურ-ფილოსოფიური თვალსაზრისიდან გამომდინარე ღმერთებელი იყო, ასე ვთქვათ. გამონაგონის პროპაგანდა და მწერლებიც ერიდებან პირდაპირი სახით გამოგონების საჭიროების დასაბუთებას. მაშასადამე, ზოგადი მოსაზრებანი გამონაგონის შესახებ თითქმის არ მოგვეპოვება, მაგრამ არსებობს ცდა განზოგადების ცალკეულ საშუალებათა განმარტებისა. აგიოგრაფიის პერსონაჟები—კონკრეტულ-ისტორიული პიროვნებანი, დახატულია არა ინდივიდუალური განუმეორებლობით, არამედ ისე, „როგორც უნდა იყოს წმინდანი“. ეს ფაქტიც გაცნობიერებულია მწერლობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლებაოდა უძველესი ქართული მწერლობის მეთოდის ასეთი ფორმულირება: მწერლობის თემად აღიარებულია მხოლოდ რეალური (ან რეალურად გამოცხადებული) ფაქტები. კონკრეტულ-ისტორიული პიროვნება განზოგადებულ უნდა იქნეს ადამიანის იმდროინდელი იდეალის შესახამისი გმირის სახეში.

ამაშია იმდროინდელი მწერლობის თავისებურება. ვერც ერთ სხვა მწერლობას ვერ დავასახელებთ, სადაც მხატვრული სახე ისტორიულიც იყოს (ისტორიულად ნამდვილად არსებული) და, ამასთანავე, იყოს ტიპურიც (ტიპური არა საზოგადოებრივ-ისტორიული თვალსაზრისით, არამედ აპრიორული იდეალის მიხედვით).

აქვე უნდა შევეხოთ კომპოზიციური წყობის ზოგიერთ საკითხსაც. V—XI საუკუნეების მანძილზე ქართულმა აგიოგრაფიულმა მწერლობამ ამ მხრივაც მხიშენლოვანი ცვლილებანი განიცადა. ადრინდელი აგიოგრაფიული ძეგლები ერთპლანიან კომპოზიციურ წყობას იცავენ: ნაწარმოებში ამგები გადმოცემულია ცხოვრებისეული—ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით. მაშასადამე, კომპოზიცია პასიურად ასახავს (იმეორებს) სინამდვილეს. უფრო მართებული იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ კომპოზიციის მრავალი ელემენტი აქ საერთოდაც არ მოგვეპოვება, რამდენადაც ნაწარმოების სინამდვილის აგების ხასიათს ლიტერატურული პრინციპი არ განსაზღვრავს. „ვეფხისტყაოსანში“ მთავარი გმირის ტარიელის თავგადასავალი არაა შემოტანილი კომპოზიციაში „ბიოგრაფიული“ თანმიმდევრობის დაცვით. ქრონოლოგიური თანმიმდევრობა მოვლენებისა „დაშლილია“ და აგებულია ახალი სტრუქტურა სინამდვილისა—ესაა გამონაგონი სტრუქტურა. ნაბიჯი აქეთვე გადადგმულია V—XI საუკუნეების აგიოგრაფიულ მწერლობაში. მაგალითისათვის შეგვიძლია მივუთითოთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე“. აქ სწორხაზობრივობა დარღვეულია „მეორე პლანის“ კომპოზიციური ელემენტებით. რომლებიც ხშირად დამოუკიდებელ კომპოზიციურ ერთეულებს წარმოადგენენ („შუშანიკის წამებაში“ თითქმის არ არის არც ერთი პასაჟი, რომელშიაც მთავარი პერსონაჟი არ ჩანდეს). საყურადღებოა ავტორთა დამოკიდებულება ამ პროცესებისადმი. ამ დროის ქართველი ავტორები თითქოს უხერხულობას გრძნობენ, როცა თხრობის ძირითადი ხაზიდან გადახვევა უხდებათ, ცდილობენ აღადგინონ ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, ანდა სპეციალურად დაასაბუთონ აუცილებლობა ცალკეული «დარღვევისა». მათი შეგნებით, სწორხაზობრივი თხრობიდან გადახვევა დარღვევაა. ამრიგად, როცა X—XI საუკუნეებში მწერლობის შემოქმედებითი პრაქტიკა არღვევს ძველ კომპოზიციურ პრინციპებს, თეორიულად აზროვნება ჭერ კიდევ ჩამორჩება ამ პროცესს. თეორიულად V—XI

საუკუნეებში კომპოზიციური წყობის ძველ პრინციპებს იცავენ. შემოქმედებითი პრაქტიკა ნაბიჯს დგამს იქეთკენ, რათა გამონაგონი სტრუქტურა სინამდვილისა (გამონაგონი — მხატვრული მოდელი მოვლენათა ურთიერთმიმართებისა) ნაწარმოების შინაარსს ქმნიდეს, რათა იგი შემდეგ ესთეტიკურ ფენომენად იქცეს. ეს პროცესი დასრულებულია რუსთაველთან. „ვეფხისტყაოსანში“ გაიდელეზებულია გამონაგონი გმირი და გამონაგონი სიტუაციები. ეს ფაქტი ჩვენ ლიტერატურაში რენესანსული ჰუმანიზმის დამკვიდრების გამოხატულებად მიგვაჩნია: იდეალიზებულია ადამიანის გონების ნაყოფი, „ღვთიური მადლით მოსილი“ სინამდვილის ადგილს იჭერს ადამიანის ფანტაზიით შექმნილი სინამდვილე.

საინტერესოა „ადამიანთმცოდნეობის“ თვალსაზრისითაც ჩვენთვის საყურადღებო პერიოდის ქართული მწერლობა. აგიოგრაფია თავისი დროის იდეალური ადამიანის ამსახველი მწერლობაა. თუ არა იდეალური ადამიანი, ცხოვრებისეული ცალკეული ფაქტი მის მთავარ თემად ვერ იქცევა. ადამიანის ახალ იდეალს რომ ქმნიდა, აგიოგრაფიის წინაშე ორი ამოცანა იდგა: დაერჩილა ადრინდელი (ძირითადად, მითოლოგიური) გმირები და მეორეც, გამოეყენებინა თვისებანი ძველი გმირებისა, რომლებიც პოპულარული იყო საზოგადოებაში. ეროვნული ადამიანის იდეალის განვითარების ერთი საფეხური აისახა ქართულ აგიოგრაფიაში მის შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ „образ страдающего и оскорбляемого человека, — центральный в нем“ (Основы марксистско-ленинской эстетики, გვ. 262).

როცა ისტორიულად მოქმედების იდეა წარმატებას ვერ პოვებდა ქვეყანაში შექმნილი ძნელბედობის გამო, იდეა პრინციპთა შინაგანი შენარჩუნებისა (რომელმაც წმინდანობის იდეალში პოვა გამოხატულება) ისტორიულად გამართლებული იყო, ისევე როგორც სხვა ისტორიულ ვითარებაში რეალური ხდებოდა ბედნიერების ამა ქვეყნად მოპოვების იდეალი. საზოგადოებაც ხომ ისეთ ამოცანებს უნდა ისახავდეს გადასაჭრელად, რომელთა განხორციელება მას ძალუძს.

ამ თვალსაზრისით „წმინდანობის“ იდეალი, ერთა მხრივ, „წმინდა რელიგიურ“ მომენტს შეიცავდა და, მეორე მხრივ, ისტორიულ-ნაციონალური იდეალის გამომხატველიც იყო. ნებაყოფლობითი მარტვილობის იდეა, წინააღმდეგ აღმოსავლეთის საქრისტიანოს მრავალი ერის ლიტერატურისა, ქართულ აგიოგრაფიას არ უქადავია. ქართული მწერლობა მარტვილობის კონკრეტულ ეროვნულ და ისტორიულ მნიშვნელობას უსვამდა ხაზს.

ქრისტიანობამ ადამიანის სულიერი და ხორციელი ბუნება ერთმანეთისაგან გათიშა, ოღონდ შეინარჩუნა სულიერის პრიმატი. ანტიკურ საბერძნეთში შეხედულება— „ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულში“— მხოლოდ სასურველი შერწყმის აზრს როდი შეიცავდა. ე. ი. საქმე იმას კი არ ეხებოდა, რომ იდეალურია ადამიანი, როცა იგი სრულყოფილია სულითაცა და ხორციითაც. აქ იმ გარემოებას ესმება ხაზი, რომ ჯანსაღი სულის არსებობა მხოლოდ ჯანსაღ სხეულშია შესაძლებელი. აგიოგრაფიულ მწერლობაში კი ადამიანი ფასდება სულიერი შინაარსით, მიუხედავად მისი ხორციელი სრულყოფილებისა. შემდეგში, როცა ასეთი გაგება რელიგიური მისტიციზმისაგან განტვირთულ იქნა, მისი პრინციპული მხარე მისაღები გახდა ახალი დროს ლიტერატურისათვისაც კი. განსაკუთრებით X საუკუნიდან ქართულ მწერლობას დაეტყო ინტერესის გაჩენა ადამიანის მიწიერი საქმიანობისადმი. სულიერი და ხორციელი ბუნე-



ბის პარმონის იდეალი თანდათან იკვალავს გზას. ყურადღება ექცევა ადამიანის ხორციელ ბუნებასაც ჭერჭერობით იმ მოტივით, რომ არიან „მრავალნი შრომანი კეთილნი. რომელნი თვნიერ კორცთას. ვერ შესაძლებელ არიან“ (ასურელ მამათა ცხ., გვ. 36). შემდეგში კი თვალსაზრისი უფრო კატეგორიული სახით გამოითქვა გ. მერჩულესთან: ერთ-ერთი ერისკაცი ეუბნება გრიგოლ ხანძთელს: „ჩუენ თანა არს კორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი და ესე შევაზავხუა ურთიერთას“ (ნ. მარის გამოც., გვ. იდ).

ჩვენ განვიხილეთ ზოგიერთი იმ თეორიული შეხედულებებიდან, რომლებიც V—XI სს. ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებში მოგვეპოვება. ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ლიტერატურის საკითხებზე ქართულ თეორიულ აზროვნებას თითქმის ისეთივე დიდი ისტორია აქვს, როგორც ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობას. ყოველ შემთხვევაში, მისი დაწყება თუნდაც ეფრემ მცირიდან, არასწორი იქნებოდა. რასაკვირველია, საკითხების განხილვის სიღრმე, განზოგადების დონე ყველა ავტორთან ერთგვარი არაა, მაგრამ თეორიული აზროვნების ისტორიისათვის საყურადღებოა ყველა შემთხვევა, როცა საკითხის განხილვა იმ სფეროში შედის, საიდანაც მოჩანს ზოგად-თეორიულ პრინციპებამდე მისასვლელი გზები.

## СРАВНИТЕЛЬНОЕ ИЗУЧЕНИЕ ЭПИЧЕСКИХ РАССКАЗОВ И ЛИРОЭПИЧЕСКИХ ПЕСЕН

К. СИХАРУЛИДZE

(Представлено Инст. истории грузинской лит. им. Ш. Руставели Ак. наук ГССР)

Умелое применение сравнительно-исторического метода в фольклористике всегда имеет благоприятные результаты. Оно ярко показывает специфику сложного пути зарождения и развития народной словесности, раскрывает природу художественного творчества, выводит изучение каждого памятника фольклора за рамки узкой специализации и дает возможность определить его место в мировом фольклоре. В этом направлении немало сделано советскими учеными. Посвященные вопросам сравнительно-исторического изучения фольклора фундаментальные труды В. М. Жирмунского<sup>1</sup>, В. Я. Проппа<sup>2</sup>, Е. М. Мелетинского<sup>3</sup> и других нашли заслуженное признание в мировой науке. Изданная недавно монография маститого ученого П. Г. Богатырева, посвященная анализу словацких сказаний и песен «разбойничьего» или «збойничьего» цикла<sup>4</sup> — наилучший образец того, как нужно выводить изучение конкретного вопроса за рамки узкой специализации и на основе глубокого анализа, материалов дать теоретическое обобщение фактам. В построенной на богатом сравнительном материале книге Б. Г. Богатырева оригинальное решение получил широкий круг актуальных вопросов общей фольклористики. «Збойничьие» или «разбойничье» произведения — часть богатого раздела народного творчества — исторических произведений. Как правило определяет автор книги «Герой произведений этого цикла — «благородный разбойник», являющийся народным заступником, самый популярный персонаж устного поэтического творчества»<sup>5</sup>. «Благородные разбойники» — персонажи фольклора почти всех народов, которые стихийно или сознательно боролись за свое социальное и национальное освобождение. Вслед за словацким историком А. Гушавы, зарождение «разбойничьего» фольклора автор относит к XV в.<sup>6</sup>

В монографии дана краткая, но убедительная характеристика социальных корней разнообразных по жанрам, тематике или сюжетным мотивам произведений, отражающих антифеодальный протест в XVII—XIX вв. История собрания, издания и изучения словацкого «разбойничьего» фольклора представляет не эмпирическое изложение фактов, а

<sup>1</sup> Легенда о докторе Фаусте—издание подготовил В. М. Жирмунский, М.-Л., 1958; В. М. Жирмунский. Сказание об Алпамыше и богатырская сказка, 1960; В. Жирмунский, Народный героический эпос, 1962 г. и др.

<sup>2</sup> В. Я. Пропп. Исторические корни волшебной сказки, Л., 1946; М. Я. Пропп. Русский героический эпос, М.-Л., 1953.

<sup>3</sup> Е. М. Мелетинский, Герои волшебной сказки, 1958; Е. М. Мелетинский, Происхождение героического эпоса, М., 1963.

<sup>4</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические рассказы и лиро-эпические песни, изд. АН СССР, М., 1963.

<sup>5</sup> Там же, стр. 3.

<sup>6</sup> Там же, стр. 4.



существенную, критическую оценку чужих мыслей. Здесь дается оригинальное толкование теоретических вопросов, относящихся к устным рассказам и лиро-эпическим песням.

В центре исследования циклы произведений с народным героем «благородном разбойнике» Юрай Яношике, деятельность которого относится к концу XVII и началу XVIII вв. Он был казнен в 1713 г.<sup>7</sup> На фоне многочисленного и весьма интересного сравнительного материала автор определил место названного цикла в богатом фольклорном наследии словацкого народа. В книге цитированы польские варианты словацкого сказания об Яношике<sup>8</sup>, приведены аналогичные произведения разных народов — немецкая пьеса об атамане разбойников Шиндерганесе<sup>9</sup>, тюрингская легенда об атамане по кличке «Дикий Кабан»<sup>10</sup> и рассказ о Зонненвирте<sup>11</sup>; силезские (чешские) рассказы об Ондраше и Юраше<sup>12</sup>; произведения о бессарабском гоце Кудряне<sup>13</sup>, циклы сказаний о молдаво-румынских гоцах<sup>14</sup>, об украинском опришке Дзвбуше<sup>15</sup> и др. Для сравнения использованы циклы русских сказаний и песен об Емельяне Пугачеве и Степане Разине<sup>16</sup>. Кавказские «благородные разбойники», к сожалению, только в одном месте упоминаются по работе М. Горького<sup>17</sup>.

На основе анализа богатого сравнительного материала исследователь доказал, что создание образов «благородных разбойников» — заступников народа — у разных народов шло сходными путями. Автор должное внимание уделяет силе традиции в народном творчестве и, рассматривая композицию или же отдельные сюжетные мотивы рассказов о «благородных разбойниках», подчеркивает влияние на них других жанров фольклора<sup>18</sup>. Анализируя циклы рассказов о словацком герое Яношике, в книге использованы судебные акты о нем<sup>19</sup>. К письменным источникам автор подходит с ответственностью и, используя их, исходит из специфики устно-поэтического творчества. В его рассуждениях об яношиковском цикле четко сформулирована специфика исторических произведений. Так, например, в одном месте книги читаем: «Рассказы о Яношике передавались из уст в уста не только при жизни Яношика, но и после его казни. Они пережили несколько столетий и сохранили силу художественных произведений, призывавших к социальной и национальной борьбе»<sup>20</sup>. Интересные наблюдения автора над гиперболизацией физической силы любимого героя словацкого народа имеют значение для разрешения общих проблем исторической поэтики. По словам автора, «Эта гиперболизация силы во многих случаях ведет к созданию собирательного образа героя, в котором персонифицируются действия и поступки целого коллектива. Этот художественный прием широко распро-

7 П. Г. Богатырев, Словацкие эпические рассказы и лиро-эпические песни, стр. 12.

8 Там же, стр. 14—15.

9 Там же, стр. 14, 16.

10 Там же, стр. 14.

11 Там же, стр. 16.

12 Там же, стр. 14—15.

13 Там же, стр. 16.

14 Там же, стр. 19, 24 и др.

15 Там же, стр. 16.

16 Там же, стр. 30, 36 и др.

17 Там же, стр. 12.

18 Там же, стр. 16, 20, 21, 22 и др.

19 Там же, стр. 17 и др.

20 Там же, стр. 26.

странен в устном народном творчестве, он известен и по многим памятникам древней письменной литературы»<sup>21</sup>.

Перед исследователем возникает вопрос: «Кто распространял слухи о чародействе Яношика?». По мнению автора, такие слухи распространяли друзья героя. Не исключает автор того, «что и сам Яношик сознательно распространял слухи о своей сверхъестественной силе и чудодейственных предметах, которыми он якобы владел»<sup>22</sup>. Нам кажутся неправильными и постановка вопроса и его решение. По народным сказаниям и легендам, чародейство писуще почти всем историческим лицам. Как видно и по цитированным в монографии материалам, чародейством и колдовством наделены герои других национальностей, как, например, русские — Степан Разин, Емельян Пугачев<sup>23</sup> и Суворов<sup>24</sup>.

По многочисленным сказаниям и легендам, сверхъестественную силу имели грузинские национальные герои: Вахтанг Горгасали, Давид Строитель, царица Тамара<sup>25</sup>, Ираклий Второй<sup>26</sup> и др. Мы считаем, что это есть такой же художественный прием, как гиперболизация. Он основан на большой любви народа к своим заступникам, — на веру в их силу, деятельность и подвиги.

Правильно поставлен вопрос антагонизма или раздвоения образа героя. По цитированным в книге двум легендам, Яношик не народный заступник, а простой грабитель, жестокий и беспощадный<sup>27</sup>. Эти две легенды об Яношике, по правильному замечанию исследователя, «звучат диссонансом в массе рассказов и легенд, где он рисуется как подлинный народный герой»<sup>28</sup>. П. Г. Богатырев правильно объяснил существование легенд, рисующих Яношика в непривлекательном виде, и поставил вопрос правильной паспортизации народных произведений: «Часть этих легенд, рассказов и анекдотов о Яношике могли быть созданы и распространены той частью словацкого населения, которая не сочувствовала тому, за что он боролся»<sup>29</sup>. В работах, посвященных грузинской народной исторической словесности аналогичное положение выдвинуто нами по отношению антагонизма в образах национальных георев — Вахтанга Горгасали, царицы Тамары и Ираклия Второго<sup>30</sup>. Антагонизм в образе героя — характерная черта устно-поэтического творчества. В отношении цикла грузинских народных произведений о царице Тамаре о таком антагонизме писал А. Н. Веселовский<sup>31</sup>. П. Г. Богатырев подчеркивает, что «плохая паспортизация легенд о Яношике не позволяет нам определить, откуда исходили противояношиковские легенды и кто их

<sup>21</sup> Там же, стр. 28.

<sup>22</sup> Там же, стр. 37.

<sup>23</sup> Там же, стр. 24, 29—30 и др.

<sup>24</sup> Там же, стр. 30—31.

<sup>25</sup> Грузинская народная историческая словесность (на груз. яз.), I, изд. подгот. К. Сихарулидзе, 1961, стр. 57, 59, 65—67, 79—82, 85, 93 и след.

<sup>26</sup> А. Шанидзе, Грузинская народная поэзия (на груз. яз.), 1931, стр. 365.

<sup>27</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические рассказы и лиро-эпические песни, стр. 46—48.

<sup>28</sup> Там же, стр. 47.

<sup>29</sup> Там же, стр. 47.

<sup>30</sup> К. Сихарулидзе, Героико-историческая грузинская народная словесность (на грузинском языке), 1949, стр. 116, 173; К. Сихарулидзе, Грузинская народная историческая словесность, I, 1961, стр. 21, 26, 32.

<sup>31</sup> А. Н. Веселовский, Царица Тамара в народной легенде и у Лермонтова, газ. «Кавказ», 1898, № 6.



распространял»<sup>32</sup>. Такая постановка вопроса выходит за рамки изучения одного цикла и устно-поэтических произведений одного народа. Она относится к общей фольклористике. Беспорно наблюдение автора о том, что народ хорошо различает «благородных разбойников», от грабителей<sup>33</sup>. И это положение относится ко всем народам мира, где только было «разбойничье» движение против всякого социального зла.

За рамки народного творчества одной нации выходит также обстоятельный анализ художественной стороны «разбойничьих» произведений. Вопросы рефрена, рифмы, повторения, монолога и диалога, ретрадации, сюжета и содержания, мотивов и т. д. оригинально и удачно разрешены на основе анализа богатого материала. Все это имеет огромное значение для решения общих проблем исторической поэтики.

Весьма интересна и актуальна постановка вопроса отражения «разбойничьей» тематики в музыкальном и изобразительном народном искусстве.

В целом оригинальная монография П. Г. Богатырева затрагивает основные актуальные вопросы эпических рассказов и лироэпических песен. Правильное разрешение этих вопросов проливает свет на природу народных произведений не только «разбойничьего» цикла.

Главное достоинство монографии П. Г. Богатырева в сравнительном изучении проблемы. Сравнительно-исторический анализ словацких эпических рассказов и лиро-эпических песен цикла Яношика наглядно показал, с одной стороны, условия зарождения и пути развития устных произведений, показал специфику живого творческого процесса и, с другой стороны, место и значение поэтического творчества других народов в мировом фольклоре. Монография П. Г. Богатырева особенно привлекла наше внимание с точки зрения международного характера грузинского фольклора. Проанализированные в книге рассказы и песни цикла Яношика и богатый сравнительный материал чешского, польского, немецкого, венгерского, молдаво-румынского, русского и украинского фольклора еще раз показали большое значение грузинской народной словесности в изучении поэтического творчества других народов, — ее место в мировом фольклоре. Словацкие рассказы об Яношике и приведенный в книге сравнительный материал имеют множество аналогий и параллелей в грузинском фольклоре. «Разбойничье» движение известно во всей этнографической Грузии. «Благородными разбойниками» были жители Восточной Грузии в XVII в. беглецы, стихийные борцы против ордов Шаха-Абасса. В XVIII в. «благородными разбойниками», наряду с мужчинами, были и женщины. Таковые были: Майя из Цхнети (Цхнети) Тамара из Вашловани (Вашлованели), Тина из Цавкиси (Цавкисели) и др. Они боролись, с одной стороны, против крепостничества, с другой — против агрессоров — персов и татар. В грузинской народной исторической словесности значительное место занимают циклы, произведений об этих отважных женщинах<sup>34</sup>. В Западной Грузии, в частности Гурии, «благородные разбойники» в отличие от грабителей, назывались пиралами. Особенно сильное было «разбойничье» движение в

<sup>32</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические рассказы и лиро-эпические песни, стр. 47.

<sup>33</sup> Там же, стр. 48—50

<sup>34</sup> Д. Джанашивили, Исторические картины, ж. «Иверия», 1882, № 12; А. Гасеванишвили, Женщина-героиня по кличке Мате разбойник, газ. «Сакартвело» (Грузия), 1915, №№ 102—104; К. Сихарулидзе, Героико-историческая грузинская народная словесность, стр. 173—176; К. Сихарулидзе, Грузинские народные стихи о героях (на груз. яз.), 1952, стр. 13—16, 49—53.

Грузии в связи с развитием капитализма в XIX в. Циклы произведений о заступниках народа Арсене Одзелашвили, Миха Чучулашвили, Цицкие, Садаре Арабули, Мамуке Гогочури, Афрасионе Мерквиладзе, Симоне и Василий Дарчия, Датико Шевардиадзе, Симоне Долидзе и других до сих пор бытуют в Грузии. Песни исполняются под аккомпанимент народных инструментов — чонгури и пандури<sup>35</sup>. Некоторые песни о грузинских «благородных разбойниках» имеют даже свою собственную мелодию. Мы не намерены на этот раз дать анализ произведений названных циклов. Укажем лишь на сходные места очень популярной грузинской народной поэмы «Песнь об Арсене» и словацких и силезских рассказов об Яношике и Ондраше.

Заступника народа Арсена Одзелашвили приспешники великодержавия убили в 1842 г.<sup>36</sup> Приблизительно, в это же время могла создаваться названная поэма, которую во всей Грузии исполняли народные певцы мествире.

По сказаниям и легендам словак Юрай Яношик, силезец Ондраш, молдаво-румынские гоци и др. имели клады, которые хранились в различных местах<sup>37</sup>. По народной поэме любимец грузинского народа Арсен в скале хранил большую сумму денег. Умирающий герой к убийце обращается словами:

Ты убил меня, Георги,  
 Но сказать я слово должен,  
 У меня семьсот туманов<sup>38</sup>  
 В Каспи под крутой скалою.  
 Беднякам да неимущим  
 Все раздай ты на здоровье<sup>39</sup>.

Поразительное сходство имеют другие места «Песни об Арсене» с мотивами словацких рассказов об Яношике. По словацкому рассказу «Яношик у богатых брал, а бедным давал»<sup>40</sup> или же: «Таков вот был Яношик — у богатых отбирал, а бедным раздавал»<sup>41</sup>. По грузинской народной поэме, изменнически схваченный Арсен Одзелашвили произносит:

Если брал я у богатых,  
 Бедняков кормил я вволю<sup>42</sup>.

Народ такими же словами обращается к нему:

«Грабишь сытых, кормишь бедных,  
 Разве бог тебя обидит?»<sup>43</sup>

<sup>35</sup> М. Чиковани, Пиральский эпос в Грузии, ж. «За марксистское языковедение», 1934, стр. 109—141; А. Хинтибидзе, Грузинские пиралы (на груз. яз.), 1938; А. Глонти, Гурийский фольклор (на груз. яз.), 1937, стр. 78—96; К. Сихарулидзе, Грузинские народные стихи о героях, стр. 11—16, 23—35, 49—75, 80—81, 86—110; К. Сихарулидзе, Очерки (на груз. яз.), I, 1958, стр. 179—195 и др.

<sup>36</sup> Г. Какнашвили, Арсен в грузинской литературе (на груз. яз.), 1955, стр. 30.

<sup>37</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические рассказы и лиро-эпические песни, стр. 17, 18, 19—20 и след.

<sup>38</sup> Туман — десять рублей.

<sup>39</sup> Перевод с грузинского А. Чачикова. «Поэзия Грузии», М.-Л., 1949, стр. 53.

<sup>40</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические рассказы... стр. 16.

<sup>41</sup> Там же, стр. 19, 25, 40, 41 и след.

<sup>42</sup> Поэзия Грузии, стр. 49.

<sup>43</sup> Там же, стр. 51.

Арсену посвящены также строки поэмы:

Грабит сильных, дарит бедным,  
 Разве бог его накажет?<sup>44</sup>

По словацкому рассказу, Яношик забирал все у богатых, «а потом раздавал бедным. Полотно он мерил от бука до бука. Вот какие были аршины!»<sup>45</sup>. Аналогичный мотив имеется в поэме об Арсене:

Отнял у купчишки адли  
 И на шее крепко смазал:  
 «Не придержитесь адати —  
 Пусть труды погибнут ваши!..  
 Вы зачем идете в город,  
 Чтоб купить шелка пестрее;  
 А потом спешите в села,  
 Оседлав коней быстрее.  
 Вы живете лишь обманом  
 Вдов, невест, набавив цену».  
 Адли их совсем короткий  
 Не понравился Арсену.  
 Он сломал его и бросил:  
 «Тьфу! Ковач его проклятый!»  
 Из кизила срезал палку, —  
 Про нее «Длинна!» сказали.  
 Семь мткавели их отмерил:  
 «Хоть на малость кто обманет,  
 Отпуская этой мерой,  
 Горе мать того вспомянет!  
 Всем повырежу вам глотки,  
 Где бы вас, лжецов, не встретил!»<sup>46</sup>.

Нет оснований ставить вопрос о генетической связи словацких и сilesких, румынских и др. рассказов и грузинской народной поэмы. Этот пример типологического сходства. Социальные корни «благородного разбойничества» одинаковы, что послужило причиной сходства мотивов устных произведений отдаленных друг от друга народов. Типологическое сходство мотивов, в некоторых случаях, представляется в виде традиционной схемы, которая не должна ввести в заблуждение исследователя и заставить искать генетическую связь там, где ее нет.

Словацкие рассказы об Яношике и приведенные в книге для сравнительного анализа сказания и легенды разных народов имеют аналогии и параллели в произведениях других циклов грузинской народной исторической словесности. Отметим некоторые из них. По словацким сказаниям Яношик неуязвим. В книге приведены богатый сравнительный материал о неуязвимости героев. Этот мотив исследователь справедливо связывает со специфической чертой устно-поэтического творчества — гиперболоизацией<sup>47</sup>.

<sup>44</sup> Поэзия Грузии, стр. 51.

<sup>45</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические рассказы... стр. 41.

<sup>46</sup> Поэзия Грузии, стр. 47.

<sup>47</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические рассказы... стр. 30—31 и след.

В грузинской народной исторической словесности этот мотив встречается в сказаниях о национальном герое V—VI вв. Вахтанге Горгасали. Эти сказания для сравнительного изучения эпоса использованы выдающимися ученым В. М. Жирмуном<sup>48</sup>. Вахтанга Горгасали, также как лезгинского героя Шарвели<sup>49</sup> не брала стрела<sup>50</sup>. Он, также как киргизский Манас<sup>51</sup>, носил чудодейственный панцырь<sup>52</sup>.

По сказаниям словак Яношик, силезец Ондраш и молдаво-румынские гоцы тайно хранили своиклады в земле<sup>53</sup>. По сванской легенде клад царицы Тамары вместе с ее прахом тайно хранится в земле<sup>54</sup>. Привлекает внимание запрет копать клад. По молдаво-румынскому сказанию «копать этиклады молдаване не решаются так как «до срока»клады охраняются нечистыми духами»<sup>55</sup>.

По грузинской легенде мотив запрета имеет другой смысл. Он связан не с кладом, а с прахом царицы Тамары. По этой легенде и по верованию сванов, прах царицы Тамары имеет чудодейственную силу. От него зависит изобилие сванов. По этой легенде царица Тамара похоронена в Сванетии, в селении Ушгули. Боясь, чтобы не украли прах царицы, сваны тайно хранили местонахождение ее могилы<sup>56</sup>.

По венгерскому сказанию, Ференц Ракоци вместе с войском, запертым в горе, ждет времени, когда будет нужен венгерскому народу<sup>57</sup>. Это сказание напоминает грузинскую легенду, согласно которой царица Тамара спит в золотом гробу вместе с ангелами; она проснется тогда, когда понадобится грузинскому народу<sup>58</sup>. По верованию грузинского народа царица Тамара и Ираклий Второй живы. Они находятся у бога. Когда понадобится Грузии — помогут ей<sup>59</sup>. Как правильно подчеркивает П. Г. Богатырев, в сказании о Ференце Ракоци сохранилась память национально-освободительного движения XVII—XVIII вв. венгерского и словацкого народов<sup>60</sup>. Названная легенда о царице Тамаре и верование об Ираклии Втором, как уже отмечено нами, тоже связаны с национально-освободительным движением в Грузии. Легенда о царице Тамаре активизировалась в XIX в., когда особенно было сильно давление со стороны царского самодержавия на грузинский народ<sup>61</sup>. Таким обра-

<sup>48</sup> Viktor Schirmunski, Vergleichende Epenforschung, I, Akademie-Verlag—Berlin, 1961, стр. 71, 72; В. Жирмунский, Народный героический эпос, 1962, стр. 145—147.

<sup>49</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические рассказы..., стр. 30.

<sup>50</sup> К. Сихарулидзе, Грузинская народная историческая словесность, I, стр. 59.

<sup>51</sup> П. Г. Богатырев, словацкие эпические рассказы..., стр. 30.

<sup>52</sup> К. Сихарулидзе, Грузинская народная историческая словесность, I, стр. 57.

<sup>53</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические рассказы..., стр. 19, 20 и след.

<sup>54</sup> К. Сихарулидзе, Очерки I, стр. 394. Ее же, Грузинская народная историческая словесность, I, стр. 101.

<sup>55</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические рассказы..., стр. 20.

<sup>56</sup> А. С. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности. Выпуск первый. М., 1895, стр. 58—63, 281—292; К. Сихарулидзе, Очерки, I, стр. 394—395.

<sup>57</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические..., стр. 6.

<sup>58</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, т. 27, отд. III, стр. 40—42; Важа-Пшавела, Полное собр. соч. в пяти томах (на груз. яз.), т. V, 1962, стр. 129.

<sup>59</sup> А. Шанидзе, Народная поэзия, стр. 365.

<sup>60</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические..., стр. 5.

<sup>61</sup> К. А. Сихарулидзе, О сравнительном изучении народных исторических произведений. Вестник Отделения общественных наук АН ГССР, т. 3, 1961, стр. 154.





зом, и здесь имеем дело с типологическим сходством. Приведем один пример типологического сходства грузинского и венгерского сказаний. По цитированному в книге П. Г. Богатырева сказанию, «Ракоци, перевертывая подковы у коня, вводит в заблуждение своих врагов и заставляет искать его в противоположном направлении»<sup>62</sup>. По грузинским народным произведениям цикла взятия Бахтриони, связанного с событием XVII в., восставшие против ордов Шаха-Абасса перевернули подковы у коней, ввели в заблуждение врага и истребили его<sup>63</sup>.

Циклы словацких сказаний об Яношике имеют сходство с грузинским героическим эпосом. По словацкому сказанию, запрятанный в скале клад Яношика сторожит черный пес с орлиными глазами. Скала открывается в год один раз на св. Яна. Раз, когда открылась скала, шел туда пастух Мартин Смречек. Увидя страшного пса, пастух испугался. Дух Яношка подбодрил пастуха и велел ему взять деньги. Дух Яношика предупредил пастуха, чтобы он за деньгами приходил один. Разбогатевший Мартин женился на любимой ему женщине Анчике. Анчика берет любопытство, откуда Мартин берет деньги. Она заставляет Мартина выдать тайну и идет с мужем за деньгами. Они оба входят в скалу и когда собираются набрать деньги, земля начинает колебаться, раскрывается и клад падает вниз. По рассказу, «Из проласта выступил черный смрад и белое пламя. Мартин и Анчика вынуждены были бежать, чтобы не задохнуться. Вернулись они домой с пустыми руками»<sup>64</sup>. Эта легенда невольно напоминает эпизод древнейшего грузинского классического героического эпоса об Амирани. Прикованного к скале богборца Амирани охраняет собака. Она лижет цепь, которой прикован герой. Скала открывается в семь лет раз. Один раз, когда открылась скала, прошел туда пастух. Амирани просит пастуха доставить ему лежащую недалеко от него саблю. Пастух не сумел сдвинуть с места саблю. Амирани посылает его за ремнем, предупреждая сохранить тайну и молча выполнить поручение. Любопытная женщина заставила пастуха заговорить, вследствие чего скала закрылась<sup>65</sup>. Как видим, мотивы пастуха, собаки, периодического открытия скалы, любопытство женщины, нарушение условия и закрытие скалы имеются как в словацкой легенде, так и в грузинском сказании. Хотя не все эти мотивы выполняют одинаковые функции в произведениях грузинского и словацкого народов. Тут основное то, что словацкий народ в образе Яношика выразил свое отношение к угнетенному народу. В образе Амирани грузинский народ выразил свою любовь к свободе и призыв к борьбе за правду. По словацкой легенде, дух Яношика «велел Мартину взять деньги, сколько он хочет, но с условием, чтобы часть из них была роздана бедным»<sup>66</sup>. Этот мотив углубляет демократизм образа героя словацкого народа. По грузинскому сказанию, «Амиран взял у пастуха хлеб, который у него был в мешке, и выжал из него кровь; потом взял свой хлеб, выжал молоко и сказал: люди должны есть вот такой хлеб»<sup>67</sup>. В этом мотиве грузинского сказания символично выражен призыв к борьбе за свободу и правду. Мы и на этот раз не намерены искать генетическую связь между словацкой легендой и грузинским сказанием.

<sup>62</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические..., стр. 6.

<sup>63</sup> К. Сихарулидзе, Грузинская народная историческая словесность, I, стр. 130, 140.

<sup>64</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические..., стр. 17—18.

<sup>65</sup> М. Чиковани, Прикованный Амирани (на груз. яз.), 1947, стр. 272—278.

<sup>66</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические..., стр. 17.

<sup>67</sup> М. Чиковани, Прикованный Амирани, стр. 278.



Каждый из приведенных мотивов имеет свою собственную социальную почву в народах и странах, где они создавались и бытуют.

По замечанию П. Г. Богатырева, «Некоторые «благородные разбойники» в легендах связаны с нечистой силой». Таким образом был наделен волшебной силой и освобожден от смерти силезский герой Ондраш<sup>68</sup>. По грузинскому романтическому эпосу «Этериани», в вечный плен отдался дьяволу визирь Мурман, чтобы разлучить влюбленных — царевича Абесалому и красавицу Этери<sup>69</sup>. В этом случае аналогичные мотивы грузинского и силезского сказаний несут разные функции и не приходится говорить ни о генетическом, ни о типологическом сходстве. В обоих случаях использовано народное поверье о связи человека с нечистыми силами.

П. Г. Богатырев обратил внимание на тот факт, что «благородные разбойники» порой наделены свойствами сказочных персонажей. Исследователь справедливо поставил вопрос соотношения исторических произведений и сказок. Мотив нахождения сверхчеловеческой силы сказочного персонажа вне его, в каком-нибудь предмете, по замечанию исследователя, иногда связан с народным героем. Для примера Богатырев приводит фабулярную схему словацкой сказки «Волшебный листок»: «Мишко долго скрывает от сестры свою тайну, в чем скрыта его сила. Наконец, он поведал ей, что сила его в ноже. Сестра и ее любовник-разбойник хотят погубить Мишко. Узнав тайну, они связывают ему руки и ноги, а потом выкалывают глаза.

Его друзья, животные, исцеляют Мишко. Орел приносит ему из дома его лист, и Мишко убивает разбойника и сестру»<sup>70</sup>. Сказка, как видим, построена на международных мотивах, которые в многочисленных вариантах встречаются и в грузинском сказочном эпосе<sup>71</sup>.

Примеры аналогии и параллелей еще можно увеличить. Но и приведенный материал показывает большое значение монографии П. Г. Богатырева в деле изучения не только словацких эпических сказаний и лироэпических песен, но и поэтического творчества других народов, показывает международный характер и мировое значение самобытного грузинского фольклора.

<sup>68</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические..., стр. 27.

<sup>69</sup> Поэзия Грузии, стр. 10 и след.

<sup>70</sup> П. Г. Богатырев, Словацкие эпические..., стр. 22—23.

<sup>71</sup> См., напр., Народная словесность, т. V, под ред. М. Чиковани, 1956, стр. 192 и др.

## О НЕКОТОРЫХ АБХАЗСКИХ ИСТОРИЧЕСКИХ ПРЕДАНИЯХ

Ш. Х. САЛАКАЯ

(Представлено Институтом истории груз. литературы им. Ш. Руставели  
Акад. наук ГССР)

В античную эпоху территория современной Абхазии была заселена различными родственными в генетическом и этническом отношении племенами и мелкими этническими группировками, которые к началу нашей эры объединяются в сравнительно более крупные древнеабхазские племенные союзы, каковыми являлись апсилы, абазги, саниги и др., а эти племенные союзы впоследствии, в результате развития феодальных отношений и консолидации, образовали одну этническую общность — абхазскую народность<sup>1</sup>.

Разложение первобытно-общинного строя и развитие процесса классовой дифференциации являются характерными чертами античной эпохи. Правда, не во всех районах Абхазии развитие общественных отношений шло равномерно. Раннеклассовые, рабовладельческие, а затем и феодальные отношения сильнее были развиты в прибрежной части, тогда как во внутренних (горных) районах пережитки родовых отношений как в древнюю эпоху, так и в более поздние времена сохранялись почти без изменения и играли существенную роль в общественной жизни народа.

Начиная с античной эпохи, вплоть до образования независимого Абхазского царства местное население вело непрерывную борьбу с иноземными поработителями. Происходили частые кровопролитные столкновения, в результате которых массами погибали местные жители, но зато и подрывалась основа господства насильников в стране. Например, одно из таких сильных столкновений с римскими захватчиками произошло в Трахее (вероятно, в районе совр. Гагра или Н. Афона) в 551 году, которое хотя и кончилось поражением абхазов, но явилось показателем необычайной стойкости, храбрости местных племен и их готовности принести любые жертвы ради достижения заветной цели — освобождения из-под иноземного гнета.

Многовековая и упорная борьба, наконец, достигла своей цели — Абхазия стала на путь самостоятельного экономического и политического развития. Освобождение из-под чужеземного гнета еще не означало, конечно, для трудового населения освобождения от социального угнетения. Классовое угнетение и тяжелые последствия междоусобных войн и тогда, и после ложились тяжелым бременем на плечи трудового народа.

<sup>1</sup> Сведения об истории древней Абхазии заимствуются из работ: «Очерки по истории Абхазской АССР, ч. I.», Сухуми, 1960, а также из книги Инал-Ипа «Абхазы», Сухуми, 1960; З. Анчабадзе, «Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.)», Сухуми, 1959 и др.

Впоследствии Абхазия попала под протекторат султанской Турции (XVI—XVIII вв.), которая сыграла особо реакционную роль в исторических судьбах страны.

Какое же отражение получила в фольклоре борьба абхазского народа против иноземного владычества в античную и раннесредневековую эпоху?

Наряду с нартским эпосом и сказанием об Абрскиле, основы которых были заложены еще в период первобытно-общинного строя, но которые своим героическим характером отвечали задачам, выдвигаемым жизнью в эпоху непрерывной борьбы с иноземщиной, — возникает потребность в более конкретном отражении действительности, в конкретном художественном осмыслении исторической жизни народа. Особенно эта необходимость вызывалась возросшим самосознанием населения вследствие консолидации отдельных племен в одну этническую общность — в абхазскую народность.

К этому периоду и относится создание бытующего и поныне у абхазов народного предания об «апсха» — абхазском владетеле (или царе, т. к. у абхазов термин «ах» служит обозначением титула и царя и владетельного князя, а термин «ахэынтар» в значении «царь», «государь» позднего происхождения и заимствован из турецкого языка).

По преданию, апсха (царь Абхазии) был грек<sup>2</sup>. Он жил у себя, на родине, в Греции. Однако, одно несчастье преследовало его: у него не выживали дети. В первый же день рождения, ночью, как ни сторожили, ребенок таинственно исчезал. Это повторялось не раз, не два. Наконец, грек пригласил к себе почтенных стариков и старух и попросил у них совета. Ему посоветовали переселиться на необитаемую землю. Он так и поступил: поплыл морем на выдолбленной лодке в поисках необитаемой земли и пристал к берегам Абхазии, которая тогда, согласно преданию, сплошь была покрыта лесами, и нога человеческая еще не ступала на ней. Понравилась местность греку, поехал он обратно, захватил с собой имущество свое, семь дымов зависящих от него жителей как слуг, приехал с ними в Абхазию и поселился в местечке Алахадзы (на территории Гагрского района Абхазии). Через некоторое время жена его забеременела.

В это время некий Ачба с Северного Кавказа (иныхтэ — букв. с той стороны гор) охотился в горах Абхазии. Увидев с вершины горы море, он решил спуститься к этой «великой реке» (аз-ду) и не возвращаться, пока не найдет в ней брода. Он спустился к берегу, но где найдешь брод у моря! Блуждая по берегу, он напал на человеческие следы. Они и привели его к дому апсха. Хозяева приняли гостя радушно. Апсха рассказал своему гостю о причинах переселения его в Абхазию. К этому времени жена его (апсха) легла в ожидании родов. Гость, объявив, что ему пора отправляться в обратный путь, попрощался с хозяевами и ушел. Но, оказывается, он не ушел далеко, а скрылся где-то поблизости в лесу.

Ночью жена апсха родила сына. Ребенка омыли, уложили в колыбель, и родители спокойно легли спать. Утром просыпаются — а ребенка как будто и не было! Страшно опечалились родители, но что им было делать? Оказывается, ребенка похитил Ачба!

Этот Ачба жил со своими тремя братьями. Ребенка они воспитали сообща все четверо. Когда ребенок подрос, стал юношей, все четверо братьев со своим воспитанником, в сопровождении ста всадников, спу-

<sup>2</sup> Предание мы приводим по варианту, записанному нами от сказителя Пила Антона Хасановича в 1958 г. (с. Лыхны, Гудаутский р-н).



стились в Абхазию, к апсха. Ачба говорит апсха: «Вот этот юноша торого ты видишь, — твой сын. Когда я впервые гостил у тебя, ты рассказал мне, что у тебя не выживают дети (вернее, не остаются при тебе, исчезают). Я слышал раньше, что в таких случаях следует ребенка похитить и воспитать его в стороне. И лишь поэтому я и похитил твоего ребенка», — говорит он. «Но теперь дело вот в чем: ребенок воспитан всеми нами, четырьмя братьями, он не перенесет разлуки, и мы также не в силах разлучиться с ним. И поэтому мы хотим поселиться недалеко от тебя, на твоей земле», — говорит Ачба.

Апсха не соглашается, чтоб братья Ачба поселились на его земле. Однако, когда его сын воспитанный Ачба, объявил ему, что в противном случае он уедет со своими воспитателями, тогда апсха сказал им: «Завтра утром отправьтесь, и каждый из вас пусть облюбует себе место для поселения. Эти земли я вам и выделю».

На второй день один из братьев Ачба поехал и воткнул палку (т. е. отметил землю) за Сочи, второй — в селе Ачандара, третий — в селе Дыхны, а четвертый — в Абжуаа, в местности называемой ныне Чааркыт (село Ачбовых).

И стали жить они на этих землях. Вот эти Ачба и были первыми абхазами в Абхазии, а сам апсха, как известно (прим. сказителя. — Ш. С.) был грек, он со своим сыном и женой уехал обратно, к себе на родину, в Грецию. Уезжая, он оставил братьям Ачба одного из своих слуг. Братья Ачба совещались, какую же ему дать фамилию, и решили: «Он прислужник Ачбовых (букв. «он выращивает хлеба для Ачбовых). Хлеб по-абхазски «ача»), пусть его фамилия будет Чачба».

Поэтому говорят и до сих пор в народе: «Не скажешь Чачба прежде, чем скажешь Ачба» (бук. «Не сказав Ачба, не скажешь Чачба»).

Предание это бытует в различных вариантах. Здесь мы привели один из наиболее типичных на наш взгляд, и полных его вариантов.

Содержание предания изложено нами столь подробно по той причине, что оно пока почти не известно широкой научной общественности. Отдельные попытки исследования данного предания носят, на наш взгляд, спорный характер.

Несмотря на некоторое сказочное обрамление сюжета (мотив невыживания детей у апсха, что и явилось причиной переселения в Абхазию), в предании несомненна его реальная основа, а именно — приезд на абхазскую землю чужестранца, его обоснование на этой земле и изгнание его впоследствии с данной территории. Но эту реальную основу не следует представлять себе упрощенно. Здесь надо учитывать особенности отражения исторической действительности в народном творчестве, особенно на ранних этапах развития исторической словесности. Попытка отдельных ученых увязать образ апсха с именем первого абхазского царя Леона II нам представляется не совсем правомерной<sup>3</sup>. Правда, Леон II был первым абхазским царем, который завершил многовековую борьбу абхазского народа против византийского господства. На исходе VIII века, около 797 года<sup>4</sup>, Абхазия отложились от Византийской империи и Леон II объявил себя независимым абхазским царем. Тем не менее, отождествление образа апсха с личностью царя Леона ничем не оправдано.

<sup>3</sup> Ш. Д. Инал-Ипа. О содержании термина «апсха». «Труды Абхазского института языка, литературы и истории АН Грузинской ССР», вып. XXXIII—XXXIV, Сухуми, 1963.

<sup>4</sup> Акад. С. Н. Джанашия. Труды, т. II, стр. 333.

Если обратиться к самому фольклорному образу, то нетрудно заметить, что апсха — пришелец, выходец из страны эллинов, который, прожив определенный промежуток времени в Абхазии, удаляется или, вернее, вынужден удалиться обратно в свою страну.

Если исходить из общего принципа отражения в фольклоре исторической жизни народа в лице отдельных героев, созданных путем необычайно широкого обобщения, в особенности когда речь идет об эпических героях глубокой древности, — то обнаруживается перед исследователем предания об апсхе не жизнь конкретной исторической личности, а обобщенный образ, воспроизводящий в своеобразной художественной форме основные моменты истории завоевания края иноземными поработителями, борьбы местного населения с насильниками и изгнания последних из пределов Абхазии.

Приезд апсха из Греции в Абхазию со своей прислугой и поселение его в районе Гагр должны знаменовать собой греческую колонизацию нашего края, начало которой восходит к VI веку до н. э. и продолжается в течение многих столетий, причем с начала нашей эры главной силой здесь выступают римские, затем византийские колонизаторы. Мотив похищения ребенка и его воспитания с целью завладения территорией апсха символизирует борьбу местных племен за освобождение из-под гнета насильников, причем, интересно, что ребенок воспитывается не одним из братьев, а всеми четверьмя, тем самым еще раз подчеркивается, что в борьбе принимали участие не отдельные племена и отдельные области, но все близко родственные племена объединились против общего врага. Характерно, что апсха оказывает сопротивление братьям Ачба, не желая выделить им земельные участки на своей территории. Сопротивление это сломлено, но после раздачи местным жителям земель, дальнейшее пребывание апсха в Абхазии невозможно, так как он лишился экономической своей мощи, а следовательно — и политической власти.

Мотив освобождения абхазских земель от иноземцев, хотя реализуется в предании не в прямой борьбе против завоевателей с оружием в руках, а наполняется содержанием этно-бытового порядка (похищение и воспитание ребенка), указывает на окрепшее могущество народа, которому не в силах уже противостоять иноземцы. Уход апсха с его сыном и женой из пределов Абхазии, означает освобождение страны от иноземных поработителей.

Во времени первого знакомства греков с Черноморским побережьем Кавказа Абхазия представляла собой территорию, густо заселенную местными племенами, которые переживали последнюю стадию развития первобытно-общинного строя. Тем не менее страна, по преданию, не обитаема, так как обитаемость страны исключала бы возможность переселения апсха в Абхазию. В противном случае пришелец неминуемо должен был столкнуться с местными племенами, которые не уступили бы добровольно свою страну чужестранцу. Исторически известно, что, несмотря на самоотверженную борьбу местного населения, эллинам удалось укрепиться на территории Абхазии и держать под своим покровительством страну в течение многих столетий. Но согласиться с фактом поражения народное художественное сознание не могло и поэтому оно представляет страну необитаемой, тем самым оправдывая факт захвата территории чужестранцами.

Упоминание фамилий Ачба и Чачба в древнем предании не является случайным: они были наиболее могучими княжескими родами в феодальной Абхазии, причем, в ранний период развития феодализма владетели, по-видимому, выбирались, именно из рода Ачба. Не напрасно



ведь в народном сознании глубоко укоренилась мысль о превосходстве рода Ачба над Чачба. Идеализируя прошлое, народ противопоставлял поздний этап развития феодализма, когда владетельной княжеской фамилией становится Чачба, с ранней эпохой феодализма, когда страшной управлял, по народному преданию, княжеский род Ачба, утверждая, что «порочен век Чачба и что хороши были «законы» его предшественника Ачба»<sup>5</sup>.

По народному преданию, как видели выше, апсха является греком, переселившимся из Греции в Абхазию и покинувшим последнюю вследствие потери своих владений. Термин «апсха», как это доказано в науке (Н. Я. Марр<sup>6</sup>, Ш. Д. Инал-Ипа<sup>7</sup>) является сложным словом, состоящим из двух компонентов: «Апсны» и «ах», что в переводе означает «царь (или владетель) Абхазии».

В каком соотношении находится народное представление о национальной принадлежности «апсха» с исторической действительностью, т. е. как определяется в специальной литературе национальная принадлежность абхазских владетельных князей в ранний период развития феодализма в Абхазии?

По этому вопросу учеными высказывались различные мнения, поскольку в исторических источниках нет прямых указаний на национальную принадлежность абхазской династии. Одни предполагали, что абхазские правители, или как их называли «архонты», были греческими архонтами<sup>8</sup>, другие указывали на их связь с «династией Багратидов»<sup>9</sup>, третьи и вовсе отказывались от определения их национальной принадлежности, указывая лишь на то, что все они носили греческие имена. П. Ингороква выдвинул положение, согласно, которому абхазская династия была не абхазской, а лазской<sup>10</sup>.

В последнее время на вопросе о национальной принадлежности абхазских владетельных князей («архонтов») специально остановился доктор исторических наук З. В. Анчабадзе<sup>11</sup>. Решительно отвергнув предположение отдельных ученых о иноземном происхождении правителей абхазских племенных союзов, а затем и владетелей объединенного княжества, З. В. Анчабадзе утверждает, что «во главе абхазского объединенного княжества была поставлена династия прежних абазгских правителей в лице Леона II»<sup>12</sup>. Что же касается «архонтов» самой Абазгии, сыгравшей решающую роль в объединении различных племен Абхазии в одно княжество, то «нельзя считать признанным» их греческое происхождение, так как «византийское правительство могло утвердить «архонтом» Абазгии преданного ему человека из местной феодаль-

<sup>5</sup> Инал-Ипа. Очерки по истории барака и семьи у абхазов, Сухуми, 1954, стр. 39.

<sup>6</sup> Н. Я. Марр. Абхазско-русский словарь, Л., 1926, стр. 81—82.

<sup>7</sup> Инал-Ипа Ш. Д., О содержании термина «апсха». Труды Абх. института языка, литературы и истории, т. XXXIII—XXXIV, Сухуми, 1963.

<sup>8</sup> П. Уварова, Христианские памятники Кавказа. МАК, IV, 1894, М., стр. 8; Д. И. Гулиа, История Абхазии т. I, Тифлис, 1925, стр. 208.

<sup>9</sup> Латышев. К истории христианства на Кавказе, 1911, стр. 10—11.

<sup>10</sup> П. Ингороква, Георгий Мерчуле..., Тб., 1954, стр. 192 (\* — груз. яз.).

<sup>11</sup> З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.), Сухуми, 1959, стр. 76—80.

<sup>12</sup> Там же, стр. 72.

ной знати. Греческие же имена представителей этой династии могут быть объяснены их христианским вероисповеданием»<sup>13</sup>.

Предание об апсха не исторический документ в прямом смысле этого слова, а памятник народно-поэтического творчества, в котором своеобразно, по свойственным фольклору законам, отразились историческая эпоха. Мнение о местном происхождении владетелей Абхазии, которое выдвигается в специальной исторической науке, не противоречит народному представлению о греческом происхождении данной династии, т. к. для создателей фольклора, для народных масс важно было не национальное происхождение правителя, а направленность его внешней и внутренней политики. Поскольку этно-политические союзы, а затем и объединенное княжество абазгов и апсидов до поры до времени находились в вассальной зависимости от Византии, то и абхазские правители, несмотря на свое национальное происхождение, вынуждены были проводить политику своего заморского сюзерена. Конечно, степень зависимости местных племен, а затем и объединенного княжества от империи не во все времена была совершенно одинаковой, но в целом зависимость сохранялась в течение многих веков.

Греческое происхождение апсха в народном предании является, по-видимому, отражением проэллинской политики, осуществлявшейся на территории Абхазии владетельными князьями («архонтами»). А отъезд апсха из Абхазии обратно на родину означает освобождение страны от иноземного гнета.

Освобождение Абхазии от византийской зависимости произошло, как известно, на исходе VIII века, а появление рода Чачба в Абхазии относится, как полагают, не раньше, чем к XI веку. Следовательно, мы имеем здесь дело с явным анахронизмом. Но анахронизм присущ природе народно-поэтического творчества. Народ всегда безбоязненно сближает во времени важные события политической истории, которые в действительности могли быть отделены друг от друга не только десятилетиями, но даже целыми столетиями.

Помимо рассмотренного нами предания об апсха, в народе бытуют и другие сюжеты, обычно прикрепляемые к имени апсха, или вернее, к сестре апсха (по некоторым вариантам апсха — девушка), но они явно позднего происхождения, и не имеют прямого отношения к основному варианту предания об апсха. Одно из этих преданий повествует о сестре апсха (царя Абхазии), которая после смерти брата, переодевшись в его одежды, правит страной, не давая знать соотечественникам о смерти царя (или владетеля). Сестра апсха названа в предании Мартой. Один эпизод предания сюжетно сближается с грузинским преданием о царице Тамаре и о юноше, которого она губит из-за ястреба, а затем, пожалев, воздвигает в его честь святыню или крепость ჯობის ჯვარი ← ქობის ჯვარი.<sup>14</sup> В абхазском предании рассказывается о том, что царица Марта со своим мужем и управляющим именем (акъахиа) проезжала мимо озера Инкит (в селе Пицунда, близ Гагр). Акъахиа держала в руках любимую собачонку царицы. Вдруг пролетела над ними стая голубей. Муж Марты выстрелил и попал в голубя. Подбитая птица упала в самую середину озера. Собачонка, заметив случившееся, выскользнула из рук акъахиа и поплыла по воде к птице.

<sup>13</sup> Там же.

<sup>14</sup> К. А. Сихарулидзе, К вопросу о грузинском эпосе. В кн. «Вопросы изучения эпоса народов СССР», М., 1958, стр. 159.





Подплыла к ней, взяла в зубы и повернулась обратно, но силы ее иссякли и она стала тонуть. Тогда царица, не в состоянии скрыть свой гнев, сделала резкий упрек своему супругу. Тот бросился в озеро, не спешившись, верхом. Доплыл до собачонки, подхватил ее, повернул обратно свою лошадь и направился к берегу, но не дотянул до берега, утонул. Опечалилась страшно Марта, но что ей было делать — не смогла покончить с собой! В честь любимого мужа она воздвигла в Пицунде храм<sup>15</sup>.

В грузинском варианте сказания, «Тамара губит юношу, который из любви к ней преодолел бушующие волны реки, чтобы с другого берега достать царице ее любимую птицу»<sup>16</sup>. Юношу же она губит для того, чтобы ей не пришлось удовлетворить невыполнимое желание влюбленного. Но погубив, она не могла не пожалеть погибшего из-за нее, и увековечила его память храмом, специально воздвигнутым в честь юноши на месте его гибели.

По абхазскому варианту, в смерти супруга также повинна сама Марта, поскольку она имела неосторожность вслух упрекнуть его, хотя и не желала ему гибели. В остальном абхазский и грузинский варианты сходятся, если не учитывать, конечно, того момента, что действие по грузинскому варианту происходит у реки Мтквари, а в абхазском варианте — в Пицунде, у озера Инкит.

Предание о сестре апсха Марте, кроме выше приведенного эпизода, много чем напоминает эпоху царицы Тамары. Прежде всего здесь рассказывается о больших строительных работах, которые велись в пределах Абхазии. Правда, многие из храмов, строительство которых, по преданию, происходило в период царствования Марты (Тамары), в действительности строились намного раньше. Например, Бедийский храм был построен еще при царе Бограте III (X—XI в.), Пицундский — в XII веке, Лыхнинский в X—XI в., Моквский — в X веке. Здесь опять таки мы сталкиваемся с фактами анахронизма, когда крупные историко-культурные события в жизни страны увязываются с именами выдающихся деятелей, в данном случае — с именем царицы Тамары, выдающейся исторической личности средневековой феодальной Грузии, составной частью которой была и Абхазия.

Распространение по Абхазии своеобразного варианта сказания о царице Тамар (Марта) говорит о большой популярности грузинской царицы не только среди собственно грузинского народа, но и среди народов, входивших в состав единого грузинского царства, в том числе среди абхазского народа.

Что же касается других сказаний, увязываемых с именем сестры апсха, то они явно позднего происхождения и отражают уже абхазо-турецкие взаимоотношения (XVI—XVIII вв.). Сохраняя кое-какие общие мотивы со сказанием о Марте — сестре апсха — поздние сказания и сюжетно, и композиционно в корне отличаются от первого. В поздних сказаниях на первый план выдвигается мотив мести турецкому насильнику за похищение жены (мстит муж; ему помогает женщина, переодетая в мужское платье), иногда за убитого брата. Большой частью эти сюжеты не увязываются с именем сестры апсха, а просто повествуют о девушке, помогающей оскорбленному мужчине отомстить своим обидчикам — турецкому купцу (иногда сыну султана или паши) и своей бывшей жене, которая, как правило, в отсутствие мужа добровольно

<sup>15</sup> Предание записано нами 5/VIII 1957 г., в селе Тхина. Очамчирского р-на, Абхазской АССР от 75-летнего неграмотного старика Шамба Машиша.

<sup>16</sup> К. А. Сихарулидзе. Указ. раб., стр. 159.

бежит с турецким купцом в Турцию, соблазнившись его богатством. Из числа четырех известных нам записей, только один вариант выводит героиню сестрой апсха, а в остальных трех вариантах она не имеет никакого отношения к апсха. В одном варианте героиня именуется Шларба Чиримхан, а в других и вовсе не имеет собственного имени<sup>17</sup>. Эти сказания представляют собой образцы типичного позднефеодального народно-поэтического творчества с сюжетами авантюрно-приключенческого характера. Поэтому они в сюжетном отношении не имеют генетической связи с сказаниями о сестре апсха, несмотря на то, что в отдельных вариантах сказания героиня именуется сестрой апсха. Анахронизм и контаминация в данном случае могут быть объяснены чрезвычайной живостью образа апсха и его сестры Марты в народном сознании и обращением народа к традиционным образам в эпоху нового иноземного владычества (султанской Турции) в Абхазии, в решительную борьбу с которым вступает абхазский народ вместе со всеми другими народами Кавказа и в первую очередь — с братским грузинским народом.

Что же касается художественной формы данного памятника, то нужно отметить, что предание об апсха встречается лишь в форме прозаического повествования. Ни эпическая, ни какая другая песня об апсха на сегодня нам не известна, и нет никакого основания предполагать, что таковая когда-либо бытовала. Да и прозаическое повествование не представляет собой поэтически сильно обработанного произведения. Сюжет предания очень не сложен, нет здесь ни переплетаний событий, ни эпического развития действия, которые так характерны, например, для нартского эпоса. Это и понятно. Предание об апсха принципиально новое по своему методу отражения исторической действительности произведение по сравнению с нартским эпосом и Абрскилом. Но нужно заметить, что оно все-таки ближе стоит к ним, чем поздние историко-героические песни и сказания, которые уже отличаются исключительной конкретностью отражения действительности. Здесь широкое обобщение органически сочетается с исторической конкретностью отражения.

<sup>17</sup> Один из вариантов опубликован в сб. «Абхазские народные песни и сказания: Сухуми, 1956, стр. 90—98 (на абхаз. яз.); второй вариант содержится в рукописном фонде Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия АН Груз. ССР, ф. 2, оп. № 106; записи других двух вариантов принадлежат нам.

## გაიოზ რექტორის ქართული კულტურის გრამატიკა

კ. ნიკოლაიშვილი

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

გაიოზ რექტორი ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ანტონ კათალიკოსის უმცროსი თანამედროვე და მისივე ნამოწაფარი გაიოზი იყო თელავის სემინარიის პირველი რექტორი, დიპლომატი, სახელმწიფოებრივი და საეკლესიო მოღვაწე, მთარგმნელი და მკვლევარი. თანამედროვეთა დახასიათებით, ის ყოფილა „ქაცი ფრიად განსწავლული“, რომელიც „უამსა ამას ძვირფასობდა ქვეყანასა საქართველომასსა და ამის შემდგომად, ღმერთმან უწყის, დაშთებლა მძსგავსი ამისი მეცნიერი ქვეყანასა ჩვენსა“<sup>1</sup>.

გაიოზი დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდა საეკლესიო და საზოგადო საქმიანობას რუსეთის სხვადასხვა მხარეში. იგი გარდაცვლილა 1821 წლის 21 თებერვალს, — საფლავის ქვის წარწერის მიხედვით, 82 წლის ასაკში, ქ. ასტრახანში და იქვე არის დაკრძალული. ამრიგად, მისი დაბადების თარიღად 1739 წელი გამოდის. მაგრამ თვითონ გაიოზი 1774 წელს აცხადებდა, 28 წლისა ვარო. ამ ცნობის თანახმად, იგი 1746 წელს უნდა იყოს დაბადებული. სადაოა გაიოზის გვარი და წოდებაც. მაგრამ, სამაგიეროდ, უდაო და ნათელია გაიოზის მოღვაწეობის მრავალი მხარე, რომელთა მიხედვითაც მას საპატიო ადგილი ეკუთვნის XVIII ს. მეორე ნახევრის ქართული კულტურის მოღვაწეთა შორის<sup>2</sup>.

<sup>1</sup> მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, 1744—1840 წწ., თბილისი, 1906, გვ. 158. იხ. აგრეთვე, იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 192; მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუსის მიტროპოლიტისა, 1852 წ., გვ. 21, 111, 116—117.

<sup>2</sup> გაიოზ რექტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა მხარის ამსახველი საკმაოდ დიდი ლიტერატურიდან აღსანიშნავია: ნ. მთვარელიშვილი, თელავის სემინარია და პირველი მისი რექტორი გაიოზ ნაკელიშვილი (ეურნ. „ივერია“, 1881, № 8, 9, 10); **А. Чагарели**, Сведения о памятниках грузинской письменности, III, 1894, გვ. LII—LVII; **А. Хаханов**, Очерки по истории грузинской словесности, III, 1901, გვ. 276—284; **Н. Пальмов**, К сведениям о личности архидиакона Гаюза, впоследствии архиепископа Астраханского и Ставропольского: Христианский восток, т. II, вып. 1, 1913, გვ. 37—53; **კ. კეკელიძე**, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 353—357; **ალ. ბარამიძე**, საჯარო პეიქრობა თელავის სემინარიაში (სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, I, თბილისი, 1937, გვ. 51—65); **ტრ. რუხაძე**, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, XVI—XVIII სს., თბილისი, 1960; მისივე, გაიოზ რექტორი (დაბადებიდან 210 წლისთავის ვამო); **გაზ.** „სახალხო განათლება“, 1956, 26.IX. № 39; **შ. ხანთაძე**, გაიოზ რექტორის სიტყვა (რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულების დადების გამო); **ეურნ.** „დროშა“, 1959, № 5.

მართალია, გაიოზმა თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი საქართველოში გარეთ გაატარა, მაგრამ მუდამ ახსოვდა, რომ „არა არს ესრეთ ტკბილი, ვითარცა სიყვარული მამულისა“. რუსეთში მან გამართა ქართული სტამბა და დაბეჭდა არა ერთი წიგნი, თარგმნა უამრავი თხზულება რუსულიდან და ზოგიც ბერძნულიდან; მის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, ორიგინალური ნაშრომები და სახელმძღვანელოები, როგორცაა „ქრისტიანობრივი სწავლა“, საქართველოს ისტორია, ქართული ანბანის სახელმძღვანელო და სხვანი. მათ შორის დღეს ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა ქართული გრამატიკა, რომელიც ჩვენი ენის ერთ-ერთი პირველი გრამატიკათაგანია, დაბეჭდილი რუსეთში გაიოზისვე მიერ დაარსებულ სტამბაში.

როგორც ჩანს, გაიოზი თავიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გრამატიკას. ასე მაგალითად, 1783 წლის მაისის ბოლოს, თელავის სემინარიის გახსნის წლისთავზე, გამართულა საჯარო პაექრობა გრამატიკის მნიშვნელობის შესახებ. ძირითადი მოხსენება — „მოკლედ ცხადყოფისათვის საღრამატიკოთა ჰაზრთა სარგებლობისა“ — წაუკითხავს თვით სემინარიის რექტორს გაიოზს. მოხსენებასთან ერთად მას წარუდგენია პაექრობის „დადებულება“ ანუ თეზისები, შემდგარი თორმეტი მუხლისაგან. ამ თეზისების მიხედვით გაშლილა დისპუტი და ამ გზით შეუქმონებიათ სემინარისტთა წარჩინება<sup>3</sup>.

გაიოზი თავის მოხსენებაში ასე ახასიათებს გრამატიკის მნიშვნელობას: „ღრამატიკა არს ჰაზრი ფილოსოფოსებრი ყოვლისა კაცობრივისა სიტყვიერებისათვის და თვინიერ ამის ცნობისა რიტორი არს მოკლესიტყვა და ბნელ-მესტიზე, ანუ მოშირე ელამ და მრუდ, ფილოსოფოსი უსაფუძვლო, მეისტორიე უსიამოვნო და აღრეულ და დვთისმეტყველი საიჭო, ხოლო მსაჯული უსარგებლო თავისა თვისისა და სხვათაცა. და ვინადგან ღრამატიკასა შინა აქვსთ ყოველთა ცნობათა ესოდენი საჭიროება, ამისთვის დასაბამად ყოველთა ცნობათა დაუდვიესთ ბრძენთა, ვითარცა კარი ყოვლისა სიტყვიერებითისა ცნობისა“<sup>4</sup>.

6. მთვარელიშვილის ცნობის თანახმად, გაიოზს შედგენილი ჰქონია მცირე ქართული გრამატიკა, სულ ოციოდე გვერდის მოცულობით<sup>5</sup>. ასეთი წიგნი ჩვენს ბიბლიოგრაფიაში აღწერილი არ არის. ბიბლიოგრაფიის მიხედვით გაიოზის მოკლე გრამატიკად მიჩნეული წიგნი კი არც ისე მოკლეა, შეიცავს 143 გვერდს<sup>6</sup>. ამ გრამატიკის დღეისათვის ცნობილი ყველა ეგზემპლარი<sup>7</sup> უთავფურცლოა და მისი ზუსტი სახელწოდება ჩვენთვის უცნობია. შესაძლოა გაიოზს გრამატიკის ორი სახელმძღვანელო ეკუთვნოდეს — მოკლე და ვრცელი. თუ ასეა, ჩვენ ამჟამად ეს უკანასკნელი გვაქვს ხელთ. წიგნს ბოლოს აქვს ასეთი წარწერა: „დასასრული ღრამატიკისა. დიდება ღმერთსა სრულ-ყოფელსა“.

<sup>3</sup> ალ. ბარამიძე, საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში: სწავლა-აზრდის ისტორია საქართველოში; მასალების კრებული, I, თბილისი, 1937, გვ. 51—65.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 57. იხ. ხელნ. ინსტიტუტის H ფონდი, № 2291.

<sup>5</sup> 6. მთვარელიშვილი, თელავის სემინარია და პირველი მისი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი: ჟურნ. „ივერია“, 1881, № 10.

<sup>6</sup> ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, I, 1941, გვ. 74.

<sup>7</sup> ეს ეგზემპლარები დაცულია თბილისის კარლ მარქსის სახ. ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ქუთაისის მუზეუმში, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკასა (აქვე ითანე ბატონიშვილის კოლექციაში 268 ნომრით დაცულია გაიოზის გრამატიკის ხელნაწერიც, რომელსაც ჩვენ ამჟამად არ ვეხებით) და საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში.



ყოველთასა. წელს 1789 თოჭჭსა ოკდომბერსა 2, კრემენჩუქს. გაიოს<sup>8</sup>. როგორც ირკვევა, აქ მითითებული ყოფილა გრამატიკის დაწერის თარიღი და ადგილი და არა დაბეჭდვისა. ამ წიგნის დაბეჭდვის წელი ზუსტად არაა ცნობილი. იგი გამოცემული უნდა იყოს მოზდოჟში 1796—1800 წლებს შორის.

წიგნის ტირაჟი თავისი დროისათვის საკმაოდ დიდი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ 1804 წელს მთავარმართებელ ციციანოვის თხოვნით გაიოზმა გაუგზავნა მას თავისი ანბანისა და ქართული გრამატიკის 600—600 ეგზემპლარი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლისათვის<sup>9</sup>.

წიგნი მომცრო ფორმატისაა (19×12). ტექსტის ძირითადი ნაწილი დაბეჭდილია ნუსხახუცური შრიფტით, რომელშიაც საკმაოდ ხშირად ჩართულია მხედრულიც (მხედრულით აწყობილია მეტწილად სქოლიოები). ნაბეჭდი ზოგან გაურკვეველია, ზოგან სიტყვები მცდარადაა დაბეჭდილი.

გაიოზი ანტონ კათალიკოსის მოწაფე იყო, ისმენდა მის ლექციებს თბილისის სემინარიაში, სადაც ანტონი გრამატიკასაც ასწავლიდა. გაიოზი დიდხანს იყო ანტონთან დაკავშირებული პირადი ცხოვრებითაც. ცხადია, გაიოზის გრამატიკა ვერ ასცდებოდა ანტონის გავლენას. ეს გავლენა თავს იჩენს როგორც გრამატიკისა და მისი ნაწილების განსაზღვრაში, ისე ტერმინოლოგიაში, ცალკეულ საკითხთა გაგებაში და სხვ. გაიოზი პირდაპირ მიუთითებს ხოლმე: „იხილენ ვრცლად დიდსა შინა ღრამმატიკასა ანტონისასა“ (გვ. 141), „იხილე დიდი ღრამმატიკა ანტონისა“ (გვ. 143) და ა. შ. სხვათა შორის, გაიოზის დამოკიდებულება ანტონისადმი კარგად ჩანს მის გრამატიკაში მაგალითებად მოტანილი ასეთი ფრაზებიდანაც: „ანტონიმ განაშუჭნა ღრამმატიკაჲ“ (გვ. 91), „ვის განუშუჭნებოეს ენა ქართული? — ანტონის“ (გვ. 118) და სხვ.

მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გაიოზი ბრმად როდი მისდევს ანტონის გრამატიკას, — განსხვავდება მისგან როგორც აღნაგობით, ისე ცალკეულ საკითხთა გაგების მხრივაც. გაიოზის გრამატიკაში ბევრი ორიგინალური და საყურადღებო მოსაზრებაა, რაც ქვემოთ თავ-თავის ადგილას იქნება აღნიშნული. ამავე დროს, რაც მთავარია, ეს გრამატიკა დაწერილია გაცილებით უფრო მარტივად და გასაგებად. იოანე ბატონიშვილის გადმოცემით, თვითონ ანტონი თურმე „გაიოსს უწოდდა კარგსა მასწავლებელსა და მოძღვარსა და ადვილად ძნელთა განმმარტებელსა მოწაფეთადმი თვისთა“<sup>9</sup>. გაიოზის ეს უნარი კარგად ჩანს მის გრამატიკაში. პირველი მოკლე მიმოხილვა ამ გრამატიკისა ეკუთვნის ალ. ცაგარელს<sup>10</sup>, სპეციალური განხილვის საგანი კი იგი დღემდე არ ყოფილა.

\*  
\* \*

გაიოზის გრამატიკა შედგება შესავლისა (§§ 1—11) და სამი ნაწილისაგან:

1. თვს ვითარებითთა ცნობათა ნაწილთა სიტყუსათა საზოგადოდ (§§ 12—169);
2. თვს სინტაქსისა ანუ აღნაქტსისა (§§ 170—258); 3. მართლკითხუსა (პროსო-

<sup>8</sup> Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. II, Тифлис, 1868, გვ. 199; ე. თავნიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში (1801—1870), თბილისი, 1948, გვ. 261.

<sup>9</sup> იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 192.

<sup>10</sup> А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, С-Петербург, 1873, გვ. 35—36.

დისა) და წერისათვის (ორთოგრაფიისა) (§§ 259—283). თითოეული ნაწილი დაყოფილია თავებად და პარაგრაფებად<sup>11</sup>.

შესავალში (გვ. 1—4), პირველ ყოვლისა, გაიოზი იძლევა თვით გრამატიკის განმარტებას: „ღრამატიკა არს სწავლა მართლ-უბნობისა, წერისა, კითხვისა და გულისკმის-ყოფისა მათისა, თვისებისამებრ კმარებისა ენათასა“ (§ 1).

ეს განმარტება ანტონისაგან მოდის, რომელიც თავის მხრივ იმ დროს გავრცელებულ თვალსაზრისს ეყრდნობდა: „ღრამატიკა არს შემძლებლობა მართლ-უბნობად და წესიერ-წერად“ (ანტონი იქვე შენიშნავს: „განსაზღვრება ესე ჩუჴნი არა წინააღდეგების განსაზღვრებათა სხუათა ღრამატიკოსთა ძუ-ჭლთა, ანუ ახალთასა“)<sup>12</sup>. ამავე აზრს სხვადასხვა ფორმით იმეორებენ მომდევნო ხანის ქართველი გრამატიკოსებიც: ი. ქართველიშვილი, გ. ფირალოვი, ს. დოდაშვილი, პლ. იოსელიანი და სხვები, გრამატიკა მათაც მართლწერისა და სწორმეტყველების წესების კრებულად მიაჩნდათ.

გრამატიკის განსაზღვრებას გაიოზი ურთავს სქოლიოს (როგორც თვითონ წერს—„სხოლიოს“), სადაც განმარტავს, რომ ღრამა ბერძნულია და ნიშნავს „წიგნსა ანუ წერილსა ანუ ასოსა“. იქვე ავტორი აღნიშნავს, რომ უბნობა არის თავისი აზრის „კმითა ცხადყოფა“, წერა — იმავე აზრის ასოებით გამოხატვა, ხოლო კითხვა — ასოებით (ე. ი. წერილობით) გამოხატული აზრის „აღმოცნობა“ (გვ. 1).

გრამატიკის ძირითად შემადგენელ ნაწილებად, ანტონისდა კვალად, გაიოზს მიაჩნია წიგნი, მარცხალი, ლექსი და სიტყვა (§ 2). ისევე როგორც ანტონი, გაიოზიც ამ შემთხვევაში წიგნს ხმარობს ასოს აღსანიშნავად (თვით ასო კი ნიშნავს ბეგრას), ლექსი უდრის სიტყვას, ხოლო სიტყვა ნახმარია წინადადების მნიშვნელობით.

გაიოზი აღნიშნავს, ქართულ ენაში ორმოცი ასო გვაქვსო და იძლევა მათ მრგლოვან, კუთხოვან და მხედრულ დაწერილობას სახელწოდებებთან ერთად (§ 3). ძველი ქართული ანბანის 38 ასოს აქ ბოლოში ემატება ძ და ჯ. გაიოზი გრძნობს, რომ ეს ასოები ქართული ანბანის ორგანული ნაწილი არაა: ძ „ბერძულია“, ჯ კი ახალიაო, — აღნიშნავს ის, თვითონ გრამატიკაში თითქმის სულ არ ხმარობს ამ ასოებს, განსაკუთრებით ჯ-ს. საგულისხმოა, რომ ეს ასო მან ანბანის ბოლოში მოაქცია და არა ჯ-ს შემდეგ, როგორც ანტონს ჰქონდა. როგორც ჩანს, ანბანში ძ-სა და ჯ-ს შეტანით გრამატიკოსმა მხოლოდ ერთგვარი ხარკი მოიხადა თავისი მასწავლებლის — ანტონის წინაშე.

ბგერებში გაიოზი გამოყოფს სამ ჯგუფს: ხმოვნებს (ა, ე, ი, ო, უ), ორხმოვნებს (ჴ, ა, ჯ, ჰ, ჯ და ჴ) და თანხმოვნებს (§§ 4—6).

ასოების შემდეგ გაიოზი გვაცნობს სასვენ ნიშნებსაც, როგორიცაა მძიმე, წერტილი, ორი წერტილი, შემკაჭრელი (რკალი, რომელიც დეფისს უდრის), გარდასატანი (გადატანის ნიშანი), ფრჩხილი, ბრჭგუ, მახული, კლებული (პატარა წრე, იხმარება სუბიექტის აღსანიშნავად ფუძის სახით წარმოდგენილ საკუთარ სახელებთან), განსაკვრებელი (ძახილის ნიშანი), ქარავმის ნიშნები:

<sup>11</sup> ჩვენ უფრო მოხერხებულად მიგვაჩნია გრამატიკის მიმოხილვისას მივეუთითოთ პარაგრაფები, სქოლიოები კი დავიმოწმოთ გვერდების მიხედვით.

<sup>12</sup> ანტონი I, ქართული ღრამატიკა, თბილისი, 1885, გვ. 115. მის შესახებ იხ. ლ. ლ. ქაჯავა, თ. ბეროზაშვილი, ე. ბაბუნაშვილი, მ. მაკავარიანი, ანტონ პირველის გრამატიკა XIX ს. გრამატიკულ აზროვნებასთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი III, 1948, გვ. 24—55.

საუფლო, სასომთავრულო და საზოგადო. ამ ნიშანთა უმეტესობა ანტონის მიერ არის შემოღებული (მხოლოდ სახელწოდება არის გაიოზთან ზოგჯერ განსხვავებული). მათი მართლწერის წესები გაიოზის გრამატიკის ბოლო ნაწილშია წარმოდგენილი, შესავალში კი ავტორი მხოლოდ სათანადო პარაგრაფების მითითებით კმაყოფილდება: ამ ნიშნების მართლწერის წესებისთვის იხილეთ 265, 266, 267 და შემდგომი პარაგრაფები.

დასასრულ, შესავალშივე გაიოზი გამოყოფს მეტყველების ნაწილებს, რიცხვით რეას: „შემადგენელნი ნაწილნი სიტყვისანი არიან რტა: სახელი, ნაცუალ-სახელი, ზმნა, მიმღეობა, თან-დებული, ზმნისზედა, კავშირი და შორის-დებული“ (§ 10).

როგორც ცნობილია, მეტყველების ნაწილთა ასეთი დაყოფა ჯერ კიდევ დიონისე თრაკიელის გრამატიკიდან მომდინარეობს. ამ კლასიფიკაციის მიხედვით, სახელებში ერთადაა მოქცეული არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელები, ცალკე გამოყოფილი არაა ნაწილაკები, ცალკე მეტყველების ნაწილდაა მიჩნეული მიმღეობა.

\* \*

პირველი ნაწილი გაიოზის გრამატიკისა („თჳს ვითარებითა ცნობათა ნაწილთა სიტყვისათა საზოგადოდ“) გრძელდება მეხუთედან 89-ე გვერდამდე და შეიცავს მეტყველების ნაწილთა დახასიათებას მორფოლოგიისა და სიტყვაწარმოების თვალსაზრისით. მეტყველების ნაწილთა რაოდენობის შესაბამისად იგი დაყოფილია რვა თავად და თითოეული თავი ეძღვნება თითო მეტყველების ნაწილს.

### ს ა ხ ე ლ ი

სახელს გაიოზი ასე განმარტავს: „სახელი არს ნაწილი სიტყვისა, მნიშვნელი ნივთისა ანუ პირისა რაჲსამე დასახელებით. მაგალითად: უფალი. ცა, ქუჭყანა, კაცი, ბრძენი, ცხენი, თეთრი და სხვანი“ (§ 12).

როგორც ვხედავთ, ეს განმარტება მხოლოდ არსებით სახელს უდგება („მნიშვნელი ნივთისა ანუ პირისა“), მაგრამ მაგალითებში დასახელებულია ზედსართავიც („თეთრი“). მომდევნო პარაგრაფში ავტორი აზუსტებს კიდევ, რომ სახელში ზედსართავებიც იგულისხმება: „სახელი განიყოფების ორად: არსებითად და ზედ-შესრულად“ (§ 13). შემდგომში სახელთა შორის განხილულია რიცხვითი სახელებიც („რიცხობითნი სახელნი“), რომელთა შორისაც გამოყოფილია მარტივნი, ჰრთულნი და სხმით-გარდასლუთნი (გვ. 14; პირველი ორი ჯგუფი განსხვავდება ფუძის აგებულებით, სხმით-გარდასლუთში კი ნაგულისხმევია რიგობითი რიცხვითი სახელები). აღსანიშნავია, რომ ანტონი თავის გრამატიკაში რიცხვით სახელს არსად არ ეხება.

გაიოზის განმარტებით, „არსებითი სახელი არს იგი, რომელიცა თავით თვით, თვნიერ სხუსა რაჲსამე დამეტებისა, მოგუტყემს შემეცნებასა ნივთისა ანუ პირისასა“ (§ 14). ამ განმარტების ნეგატიურია ზედშესრულის განმარტება (§ 19).

არსებით სახელებში გამოიყოფა სამი ჯგუფი: საზოგადო, სათვთო ანუ კერძობითი (=საკუთარი) და შემკრებლობითი (=კრებითი) (§§ 15—18).

ზედსართავ სახელებში გამოიყოფილია სამი ზარისხი: დადებითი, შემსგავსებითი და უაღრესობითი (§§ 20—23).

შემსგავსებითი (ანუ დღევანდელი ტერმინით—შედარებითი) ხარისხის მნიშვნელად, მსგავსად ანტონისა, გაიზის მიჩნია **-ებრი** (სიმტკიცე ადამატებრი, ძალა ლომებრი) და **-ებრივი** (§ 22), ხოლო უპარესობითის ანუ აღმატებითის მაწარმოებლებად მიჩნეულია **უ-**, **უუ-** თავსართი და ბოლოში **-ესი**, დაემატება აგრეთვე **ყოვლად** და **ფრიად** ზმნისზედებო (§ 23). ამრიგად, ხარისხების გამოყოფას გაიზთან მორფოლოგიურის გარდა ლექსიკური საფუძველიც აქვს.

გადადის რა სახელის გრამატიკულ დახასიათებაზე, გაიზი გამოყოფს ექვს თვისებას ანუ მდევარს, დღევანდელი ტერმინი რომ ვიხმართ, გრამატიკულ კატეგორიებს, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ვცვალოთ სახელი. ეს მდევარებია: ნათესავი, ნაკჭითი, სახე, რიცხვ, ბრუნვა და ბრუნვა (§ 24).

ანტონს თავისი გრამატიკის პირველ რედაქციაში გამოყოფილი ჰქონდა ექვსი მდევარი, მეორე რედაქციაში გამოყოფილია ხუთი მდევარი, თანახმად ტრადიციისა, რომელიც დიონისე თრაკიელიდან მოდის. გაიზი ამ შემთხვევაში მოსდევს ანტონის გრამატიკის პირველ რედაქციას და გამოჰყოფს ექვს მდევარს (ცალკე მდევრებად მიიჩნევს ბრუნვას და ბრუნებას).

**ნათესავი** (=სქესი). გაიზის გრამატიკის მიხედვით, ქართულში გვაქვს ოთხი სქესი: მამრობითი, მდედრობითი, უმეწმითი და ზოგებითი (§§ 23—29). პირველ ორ ჯგუფს შეადგენენ რეალური მამრობითი და მდედრობითი სქესის არსებანი; უმეწმით სქესს ეკუთვნიან სახელები, რომელთაც რეალური სქესი არ გააჩნიათ (მაგალითად: ქუჩყანა, ქუა, ხე და სხვანი). თუ სიტყვა ისეთ საგანს აღნიშნავს, რომელიც მამრიც შეიძლება იყოს და მდედრიც, ის ზოგებით სქესს მიეკუთვნება (მაგალითად: კაცი, ძროხა, შვლი, კბო, მართაქ, ლეკვ და სხვანი).

ცხადია, ეს ჯგუფები ქართულში გამოყოფილია შინაარსის მიხედვით და არა გრამატიკული ნიშნებით. ამ მხრივ გაიზი ზუსტად მიჰყვება ანტონის გრამატიკას და იმეორებს მის ტერმინოლოგიასაც.

როგორც ცნობილია, სქესის კატეგორია ქართულისათვის უცხოა. იგი სხვა ენათა გრამატიკების გავლენით შემოიღო ანტონ კათალიკოსმა. შემდგომში ეს შეცდომა ანტონის მომდევნო გრამატიკოსებმაც გაიმეორეს. მათთან გრამატიკული სქესი რეალურ სქესთანაა გაიგივებული. განსხვავება სხვადასხვა სქესის სახელებს შორის სემანტიკურია და არა მორფოლოგიური.

**ნაკჭითი**. ამ „მდევარში“ ნაგულისხმევია ფუძის აგებულება. გარჩეულია მარტივი და რთული (კომპოზიცი) სახელები. გაიზი ქართულს უწოდებს ორი სიტყვისაგან შედგენილ სახელებს, როგორცაა: ღმრთის-მოუჭარე, ქუჭლის-მოჭმელი და სხვანი. თუ სახელი სამი ან მეტი სიტყვისაგან შედგება, იგი ზედპრთულია; მაგალითად: ღმერთ-მამა-კაცი (§ 32).

იქვე სქოლიოში აღნიშნულია, რომ კომპოზიტთა შემადგენელი პირველი სახელი არ იბრუნვის და წრფელობითის ან ნათესაობითის ფორმით არის წარმოდგენილი.

**სახე**. ეს „მდევარი“ გულისხმობს სახელთა გარჩევას წარმოქმნის, წარმოების მიხედვით. გაიზი განასხვავებს პირველ სახეს ანუ ძირულ სახელს (კაცი, ბრძენი, წმიდა); სხმით-გარდასლვთს ანუ წარმოქმნილ სახელებს, როდესაც „პირველ-სახესა დაესხმიან ანუ შეეცალებიან ანუ მიეჭლებიან მარცხუალნი რამენი და შეჰსცალებიან ვითარმე მნიშვნელობასაცა მისსა. მაგალითად: კაცება, სიბრძნე, სიწმიდე და სხვანი“ (§ 35) და მრჩობლ-





ს ხ მ ი თ-გ ა რ დ ა ს ლ ვ თ ს, რომელსაც შეადგენენ წარმოქმნილთაგან ნაწარმოები სახელები (კაცობრივობა, სიწმიდობა, სიბრძნეობა და სხვ. § 36).

წარმოქმნილი სახელები დაჯგუფებულია შინაარსის მიხედვით. სულ ათი ჯგუფი გვაქვს (ანტონთან მათი რიცხვი თითქმის ორჯერ მეტია): მოგებითი საერო, სამეფო, საჩემო, სასწავლებელი), ადგილობითი (ზეციერი, ქუ-წყნიერი, ქართუჭლი, მთიული, ჳეური), ნათესავობითი ანუ მამეულობითი (დავითიანი, ორბელიანი, ქართუჭლი), ქონებითი (გონებიანი, ჳმანი, გვრგვონიანი, თეთროსანი), აღმატებითი ანუ არსებითი (სიწმიდე, სიმშვედე, მშვედობა, საქმე, მწერლობა), წესებითი („რომელნიცა რიცხობითა ოდენ სახელთა დაესხმიან. მაგალითად: მეორე, მესამე და სხვანი“), კინობითი (ბრძენაკი, გლახაკი), უკუთქმითი (უსახური, უღმრთო, უწყალო), შეჳმსგავსებითი და უაღრესობითი. ჳედ-შესრულნი, ჳმნასხმითნი ანუ სახელ-ჳმნანი („რომელნიცა წარმოებენ ჳმნათაგან. მაგალითად: წერა, კითხუა და სხვანი“).

რიცხვი. სახელებში გაირჩევა ორი რიცხვი: მხოლოდითი და მრავლობითი (§§ 77—78).

ბრუნუა და ბრუნუჭბა. ბრუნვის კატეგორიას გაიოზი შემდეგნაირ განმარტებას აძლევს: „ბრუნუად სახელისად უწოდთ მას, ოდესცა ცუალებითა ანუ დამეტებითა უკანასკნელთა მარცუალთათა ჳსცუალებენ ვითარმე მნიშუნელობისა სახესაცა“ (§ 79). მომდევნო პარაგრაფში მოცემულია ბრუნების განსახლვრება: „ბრუნუჭბანი სახელისანი არიან ბრუნუათა შინა სხუა-და-სხუაობანი უკანასკნელთა მარცუალთანი“ (§ 80).

ამრიგად, ბრუნვას და ბრუნებას გაიოზი თითქოს დღევანდელი მნიშვნელობით ხმარობს, მაგრამ გაუგებარია — რატომ მიიჩნევს მათ სახელის ორ სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიად (თუმცა ეს გაუგებრობა ანტონიდან მოდის).

გაიოზს გამოყოფილი აქვს 8 ბრუნვა:

1. წრფელობითი
2. ნათესავობითი
3. მიცემითი
4. შემასმენელობითი
5. დაწყებითი
6. მოთხრობითი
7. მოქმედებითი
8. წოდებითი.

ამ მხრივაც გაიოზი ანტონის გრამატიკის პირველ რედაქციას მისდევს (მეორე რედაქციაში ანტონს ბრუნვათა რიგი ოდნავ შეცვლილი აქვს. მე-5—მე-7 ბრუნვები ასეა დალაგებული: 5. მოქმედებითი, 6. დაწყებითი, 7. მოთხრობითი, თუმცა პარადიგმებში ბრუნვათა თანმიმდევრობა კვლავ ძველებურა რჩება), წრფელობითით აღნიშნულია სახელობითი ბრუნვა (კაცი, კაცნი). შემასმენელობითის სახელით ცალკეა გამოყოფილი იგივე ფორმები (კაცი, კაცნი), როცა ისინი ობიექტს აღნიშნავენ. ამასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს: „გულის-ჳმა-ჳყავ, ვითარმედ ამათ შორის (ე. ი. ბრუნვათა შორის) წრფელობითი და შემასმენელობითი ჳმსგავსებენ ურთიერთსა და ჳმსგავსცა არიან, და ვარჩევასა მათსა მიიღებ სუნტაქსსა შინა“ (გვ. 11).

გარდა შემასმენლობითისა (ე. ი. აკუზატივისა), ცალკე ბრუნვადაა გამოყოფილი გან თანდებულიანი ფორმა სახელისა (კაცისაგან, კაცთაგან), ესაა დაწყებითი ბრუნვა. სამაგიეროდ, აკლია ვითარებითი ბრუნვა. როგორც შემდეგ, თანდებულთა განხილვის დროს ირკვევა, ვით. ბრუნვის ნიშანი -ად თანდებულებშია მოქცეული (§ 160).

გაიოზის აზრით, ყოველი სახელი ქართულში მისდევს ბრუნების ერთ ტიპს. „გარნა სხუაობენ უქუჭ ნათესავობითსა შინა ბრუნუასა“, სადაც ზოგი მიიღებს -ისა ან -ასა დაბოლოებას, ზოგი კი -სი დაბოლოებას. ამის მიხედვით ავტორს გამოყოფილი აქვს ორი ჯგუფი და ცალ-ცალკე იძლევა მათი ბრუნების პარადიგმებს. პირველ ჯგუფში გაერთიანებულია ყველა საზოგადო სახელი (ხმოვანზე და თანხმოვანზე დაბოლოებული) და თანხმოვანზე ან ი, უ ხმოვნებზე დაბოლოებული საკუთარი სახელები (§ 81). მაგალითებად აღებულია მ ა რ ი ა მ, ა რ ს ე ბ ა, მ ზ ე. მეორე ჯგუფში შეტანილია ბოლოსმოვნიანი საკუთარი სახელები (§ 82). საილუსტრაციოდ ნაბრუნებია ქ რ ი ს ტ ე და ი ო ა ნ ნ ე.

ბრუნვის ნიშნები შემდეგი სახითაა გამოყოფილი:

	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
წრფელობითი		ნი, ები		ნი, ები
ნათესავობითი	ისა	ისა	სი	ისა
მიცემითი	ს ანუ სა	ს ანუ სა	ს	ს
შემასმენლობითი	ი, ა	ი, ები	ა, ი	ნი
დაწყებითი	გან	გან	გან	გან
მოთხრობითი	მან	მან	მან	მან
მოქმედებითი	ითა	ითა	თი	ითა
წოდებითი	ო	ო	!	ო

(გაკვირვების ნიშანი)

ბრუნვის ნიშანთა გამოყოფის მხრივ გაიოზი უფრო სწორ გზაზე დგას ანტონთან შედარებით (მაგალითად, მას ბრუნვის ნიშნებში არ შეუტანია ანტონის მიერ ბრუნვის ნიშნებად მიჩნეული მთელი რიგი თანდებულები: მიცემითთან — მიმართ, -მდე; დაწყებითთან — გამო, მოქმედებითთან — მიერ, და სხვები), მაგრამ საერთოდ მის ბრუნების პარადიგმებში მაინც ვერ არის სრული გარკვეულობა. როგორც ჩანს, ამას ავტორი თვითონვე გრძნობს და შენიშნავს, რომ „მრავალსა შინა აღვილსა სახელნი განურჩევლად იქმარებიან ამათ ბრუნუჭებისა სახეთა შინა. მაგალითად: ოქროსა ანუ ოქროსი, პეტრესი ანუ პეტრესა და სხუანი“ (გვ. 13). ეს გაიოზს წესის დარღვევად მიაჩნია და იმით ხსნის, რომ „შუჭნიერ-სიტყუაობა ოდესმე ბარბაროსებს კანონთა ზედა ღრამატიკისათა, და ოდესმე კანონნიცა ჩუჭულებითა აღნაქუსთა ზედა ენათასა“. ავტორს შენიშნული აქვს ისიც, რომ საკუთარი სახელები იბრუნვიან მხოლოდ რიცხვში, მრავლობითში კი მათი ხმარება ხელოვნურია (თუმცა გაიოზი ამ შენიშვნას მხოლოდ უცხო ენებიდან შემოსულ სახელთა მიმართ აკეთებს).

### ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი

არსებით სახელთა მსგავსად. ნაცვალსახელებსაც ავტორი ყოფს ორ ძირითად ჯგუფად: არსებითად და ზედ-შესრულად (=ზედართავად), ხოლო თი-



თოეულ მათგანში გამოყოფს ქვეჯგუფებს: პირველ ჯგუფს შეადგენენ საკუთრივ არსებითნი (=პირის ნაცვალსახელები: მე, შენ, იგი, თვთ, ვინ და სხვ.) და ჩუქნებითნი (მაგალითად: ეს, ეგ, ის). მეორე ჯგუფში შედიან: მოგებითი (=კუთვნილებითი: ჩემი, შენი, მისი...), ადგილობითი (ჩემგანი, შენგანი, მისგანი...) კულამოღებითი (რომელი რა) და კითხვითი (ვინ, რა) ნაცვალსახელები. ანტონთან შედარებით, აქ ახალია ადგილობითი და კითხვითი ნაცვალსახელების გამოყოფა.

მსგავსად არსებითი სახელებისა, ნაცვალსახელებშიაც გაიოზს გამოყოფილი აქვს ექვსი თვისება ანუ მდევარი, ე. ი. ექვსი გრამატიკული კატეგორია: ნათესავი, ნაქუჭითი, სახე, პირი, რიცხვ და ბრუნვა (§ 86). როგორც ვხედავთ, აქ ცალ-ცალკე აღარაა წარმოდგენილი ბრუნვა და ბრუნვა (განსხვავებით ანტონისაგან), სამაგიეროდ, არსებით სახელებთან შედარებით, დამატებულია პირის კატეგორია. დანარჩენი „თვსებანი ანუ მდევარი“ არსებით სახელებსა და ნაცვალსახელებში საერთოა.

გაიოზის განმარტებით, ნაცვალსახელი იმავე ნათესავს (=სქესს) ეკუთვნის, რომელსაც მის მიერ შენაცვლებული სახელი ეკუთვნოდა. მარტივად თუ ავიღებთ, მაშინ კი ნაცვალსახელი „საზოგადო არს“ (ე. ი. ორივე სქესი აქვს — მამრობითიც და მდედრობითიც; ასეთებს არსებით სახელებთან გაიოზი „ზოგებითს“ უწოდებდა).

ნაკუჭით გამოყოფილია მარტივი (მე, შენ, თვთ) და კრთული (თვთ-მე, თვთ-იგი, რომელიმე) ნაცვალსახელები.

სახე არის ორი: პირველი სახეა — ჩემი, შენი, მისი; სხმით-გარდასლვითი — საჩემო, საშენო, სამისო და სხვ.

რიცხვ ორია: მხოლოობითი და მრავლობითი.

პირი ნაცვალსახელებთან სამია: პირველი პირია მოლაპარაკე — „რომელიცა უბნობს, მაგალითად: მე, ეს, ჩემი, ჩემგანი...“ მეორე პირია „რომლისადმიცა უბნობს, მაგალითად: შენ, ეგ, შენი, შენგანი“... და მესამეა, „რომლისათვისცა უბნობს, მაგალითად: იგი, ის, მისი, მისგანი“...

ნაცვალსახელის ბრუნვები იმდენივეა, რამდენიც სახელისაო (§ 92). მომდევნო პარაგრაფებში (§§ 93—97) ავტორს მოჰყავს ნაცვალსახელთა ბრუნვების მაგალითები, სადაც ბევრი შეცდომაა, მაგალითად: წრფ. მე, შენ, იგი—ნათ. ჩემი. შენი, მისი; ანდა: ეს, ეგ, ის—ამისი, მაგისი, მისი და სხვანი მიჩნეულია ერთი და იმავე ნაცვალსახელთა სხვადასხვა ბრუნვებად. მაგრამ ზოგი რამ კი სწორადაა მიწინააღმდეგებული. მაგალითად, ავტორი შენიშნავს, რომ ზოგი ნაცვალსახელი „სახეთა თვსთა არა ჰსკუალეებენ ბრუნვათა შინა (ე. ი. ფუქსს არ იცვლიან) და ჰმსგავსებენ ყოვლითურთ ბრუნვასა სახელისასა“ (§ 94). ამის ნიმუშად გაიოზს მოჰყავს ჩემი, შენი, მისი ნაცვალსახელების ბრუნვა. ასევე ითქმის ვინ კითხვითი ნაცვალსახელის შესახებ. ვინ კითხვითი ნაცვალსახელის ბრუნვა გაიოზის გრამატიკის ამ თავში ცალკე არ გვხვდება, მაგრამ სინტაქსში აქვს ნათქვამი: «კითხვითი ესე კერძობითი სახელი ვინ მოთხრობითსა ბრუნვასა შინა ჰმსგავსებს წრფელობითსა» (გვ. 117).

შემდეგ განხილულია -მე ნაწილაკდართული ნაცვალსახელების ბრუნვა (ამ -მე ნაწილაკსაც გაიოზი ნაცვალსახელად მიიჩნევს) და შენიშნულია, რომ მათი პირველი ნაწილი (ე. ი. საკუთრივ ნაცვალსახელი) „იბრუნვს ჩუქნულებისამებრ“, მეორე კი (ნაწილაკი) უბრუნველია. ამრიგად, გრამატიკითა

ნორმად მიიჩნევს ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა ბრუნების ძველ ტიპს, რომელიც დღეს შეუხორციებელი ბრუნების სახელითაა ცნობილი.

ზოგი რთული ნაცვალსახელისა ორივე ნაწილი იბრუნვისო, — შენიშნავს გაიოზი და ამის მაგალითებად მოჰყავს სხ უ ა რ ა ა მ ე, ზ ო გ ი ვ ი ნ მ ე და ყ ო ვ ე ლ ი ვ ი ნ „ნაცვალსახელთა“ ბრუნება (§ 97—98). „არსებითი ნაცვალსახელი“ თ ვ თ, გაიოზის განმარტებით, მესამე პირია. მას არც რიცხვი აქვს და არც ბრუნვა, პირის მიხედვით კი შეიძლება სამივე პირის ნაცვალსახელს შეეთანხმოსო (მაგ.: თვთ სიტყვთა შენითა გასაჯო შენ, თვთ უფალი იტყოდა). ასეთივე თვისება აქვს მოგებითს (=კუთვნილებით) ნაცვალსახელს თ ვ ი ს ი, ოლონდ მას რიცხვში შეთანხმების უნარიც აქვსო, მაგ. შეიყუარანა თქსნი ივინი ამას სოფელსა შინა და სხვ. (ბრუნვაზე გაიოზი აღარას ამბობს) (გვ. 20).

### ზ მ ნ ა

ზმნას გაიოზის გრამატიკაში ეძღვნება პირველი ნაწილის მესამე თავი. ეს თავი წიგნში ყველაზე ვრცელია (გვ. 21—78). კარგად იგრძნობა, რომ ზმნა ქართულში ყველაზე რთული და უმთავრესი მეტყველების ნაწილია.

გაიოზის განმარტებით, „ზმნა არს ნაწილი სიტყვსა, რომელიცა ჰნიშნავს ანუ ყოფასა, ანუ მოქმედებასა არსისასა“ (§ 99). ამის მიხედვით ზმნები ორად იყოფა: ა რ ს ე ბ ი თ ი (=დამხმარე ზმნას), როგორცაა, მაგალითად: ვარ, ვპვი, ვპყოფობ; და შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი (=მოქმედებითს), მაგალითად: ვჰსჭრი, ვჰსწერ, ვჰრბი, ვილოცავ და სხვანი (§ 100).

ყოველი ზმნა ან პ ი რ ო ვ ა ნ ი ა, ან პ ი რ ნ ა კ ლ ი. პიროვანს გაიოზი უწოდებს იმ ზმნებს, რომელთაც სამივე პირი აქვთ. პირნაკლს კი, რომელთაც აკლიათ პირველი ან მეორე, ან ორივე (პირველი და მეორე) პირი. ასეთ პირნაკლ ზმნებად ავტორს მიაჩნია მეტყვ, მეტყვს, გეტყვ, გეტყვს, ჯერ-არს, ჰშუჭნის (§ 101). იგი იქვე შენიშნავს, პირნაკლი ზმნება ქართულში იშვიათი საბოგნელიაო; საერთოდ კი ყოველ პიროვან ზმნას შეიძლება აკლდეს პირველი ან მეორე პირი და მაშინ იგი ბრძანებითი ან ვედრებითი სქესის (=კილოს) გადმოსაცემად იხმარებაო (გვ. 21).

გაიოზი ზმნებს ყოფს აგრეთვე კ ა ნ ო ნ ი ე რ ა დ და უ კ ა ნ ო ნ ო დ და იძლევა მათ საკმაოდ ზუსტ განსაზღვრას: „კანონიერნი ზმნანი არიან ივინი, რომელიცა განვიან ყოველთა შინა დროთა და ჰსქესთა უტუალეებლად, ხოლო უკანონონი ივი, რომელთაცა აკლს ანუ დრონი და ანუ ჰსქესნი რომელნიმე“ (§ 102). სქესს გაიოზი ხმარობს კილოს აღსანიშნავად. ამრიგად, იგი უკანონოს უწოდებს იმ ზმნებს, რომელთაც ყველა დრო და კილო არ მოეპოვებათ.

გაიოზი გამოყოფს ზმნის რვა მდევარს, ე. ი. კატეგორიას: ნ ა თ ე ს ა ვ ი, ნ ა კ უ შ თ ი, ს ა ხ ე, რ ი ც ხ ვ, პ ი რ ი, უ ა მ ი, ს ქ ე ს ი და უ ლ უ ლ ე ბ ა (§ 103). იგივე რვა მდევარი გვხვდება ანტონთანაც.

ნათესავი. ეს ტერმინი, როგორც ვნახეთ, სახელებთან სქესის აღსანიშნავად იხმარებოდა, ზმნებთან კი იგი აღნიშნავს სულ სხვა კატეგორიას — გვარს. გამოყოფილია სამი ნათესავი, ე. ი. გვარი: შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი, ვ ნ ე ბ ი თ ი და უ მ ე შ უ შ ო ბ ი თ ი (=საშუალო).

შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი (=მოქმედებითი) არის ისეთი ზმნა, რომელიც აღნიშნავს რაიმე მოქმედებას და ამავე დროს გულისხმობს ნამოქმედებს ანუ ვნებულსაც, ჩვენი თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, — ობიექტს: „რამე-



თუ ოდეს გავიგონებ კმასა ამას ვჰსჯი, მყისუჲ წარმოვიდგენ გონებას<sup>12</sup> ზინა — ვითარმედ მეტყუჲლი ამისი მოქმედებს ჰრასა და ჰსჯრის რაჲსამე, სადაცა ცხად-იქმნების მოქმედება ჰრისა ვაჰრილითურთ, ესე იგი არს ვნებულ-ითურთ, ანუ ნამოქმედებით“.

შემდეგ გაიოზი გადადის ვნებითი და საშუალო გვარის ზმნათა დახასიათებაზე: „ყოველი ზმნა ოდესცა ჰნიშნავს ვნებასა რაჲსამე მოქმედებითურთ, ითქმის ვნებითად. მაგალითად: ვიჰრები, რომელსაცა შინა ჰსჩანს მოქმედიცა, ვითარმედ იჰრების ვისგანმე, ხოლო უმეშტობითი ზმნა იგი არს, ოდესცა ჰსჩნდეს მოქმედება და — ვნებული არასადა, ანუ ვნება და მოქმედი არა. მაგალ. ვალ, რომელსაცა შინა თუმცა ჰსჩანს მოქმედება, გარნა ვნებული არა; ესრეთჲჲ ჰესტირი, რომელსაცა შინა თუმცა ჰსჩანს ვნება, გარნა მოქმედი არა“ (გვ. 22).

გაიოზის განმარტების თანახმად, ყოველი უმეშვეობითი ზმნა ან ხატ-შემოქმედებითია, ან ხატ-ვნებითი. ამ ტერმინებს გრამატიკოსი ანტონის მსგავსად ხმარობს თითქოს მედიო-აქტიურ და მედიო-პასიურ ზმნათა გასარჩევად. იგი მიუთითებს, რომ ხატ-ვნებითია ისეთი უმეშვეობითი ზმნა, რომელიც აწმყოს I პირში ინით ბოლოვდება (მაგ. ვრბი, ვჰსტირი და სხვ.), სხვა ასოთი (=ბგერით) დაბოლოებული ზმნები კი არიან ხატ-შემოქმედებითი (მაგ., ვჰგალობ, ვჰჰმობ, ვილოცავ და სხვ.) (გვ. 22—23).

ნაკუჭითი. ამ სახელწოდებით როგორც სახელებში, ასევე ზმნებშიაც აღინიშნება მათი აგებულების სიმარტივე-სირთულე. ფუძის აგებულების ანუ ნაკვეთის მიხედვით ზმნა შეიძლება იყოს მარტივი ან რთული. გარდა კომპოზიტი ზმნებისა, რთულნაკვეთიანებად მიჩნეულია ზმნისწინიანი ფორმებიც: „პრთულად ითქმიან მაშინ ზმნანი, ოდესცა მოეკიდებიან მარცხალნი ანუ ლექსნი (=სიტყვები) რაჲმენი. მაგალითად: ებოროტ-ვჰსიტყუაობ, განვჰსწმედ, გარდავჰსწერ, წარვიკითხავ, მართლ-ვჰკუჭთ და სხუანი“ (გვ. 23).

შემდეგ გაიოზი ჩამოთვლის იმ „მარცვლებს“ (=ზმნისწინებს), რომელნიც „მოეკიდებიან“ ანუ „დაესხმიან ზმნათა“ და ცვლიან მის ვითარებას; ესენია: აღ, შთა, გა, მო, ვამო, მე, მი, წარ, ქუჭ. გარ, და, გან (ამთგან მხოლოდ მე არაა ზმნისწინი. შენიშნულია ისიც, რომ ეს ზმნისწინები „უტროსად და საჰიროდ დაესხმიან ზმნათა ნამყოჲსა და მყოზადისა დროჲსათა, და უკეთუ ოდესმე მოეკიდებიან ზმნათა აწყოჲსა დროჲსათა, მაშინ მნიშვნელობასა მისსა ჰყოფენ მყოზადად“ (გვ. 23).

ამრიგად, გაიოზის ნაკვეთში ნაწილობრივ ზმნის უსრული და სრული ასპექტიც იგულისხმება. საერთოდ, ეს ნაწილი გაიოზის გრამატიკაში გამოირჩევა ორიგინალობითა და თავისი დროისათვის მაღალი მეცნიერული დონით, როგორც ამას საგანგებოდ აღნიშნავს ალ. ცაგარელი<sup>13</sup>.

სახე. ეს მდებარე გვიჩვენებს, როგორია ფუძე აგებულების მიხედვით. გაიოზს გამოყოფილი აქვს ზმნის სამი სახე: პირველი სახე, სხმით-გარდასლუთი და მრჩობლ-სხმით-გარდასლუთი (§ 106).

სხმით-გარდასლუთი დღევანდელი ტერმინოლოგიით შუალობით კონტაქტს ანუ კაუზატივს ეფარდება. გაიოზი შენიშნავს, რომ იგი იწარმოება თავში ა-

<sup>12</sup> А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, С.-Петербург, 1873, гл. 35.

და ბოლოს -ინებ აფიქსების (როგორც ის უწოდებს, — „მარცვლების“) შემთავებით (მაგალითად: ვაწერინებ, ვაჭრევიებ, ვიწერიებ, ვიჭრევიებ).

რაც შეეხება მრჩობლ-სხმით-გარდასლვით, მისი მაგალითები ხელოვნურია (ვაწერიებინებ, ვაჭრევიებინებ, ვიწერიებინებ, ვიჭრევიებინებ). ამ ხელოვნურობას გაიოზი კარგად გრძნობს. კერძოდ, მათი საწყისისა და მიმლეობის შესახებ შემდეგ შენიშვნას აკეთებს (უღვლილების პარადიგმებში): „მიმლეობანი და სახელწმინანი მრჩობლ-სხმით-გარდასლვითისანი იგივე არიან, რაცა სხმით-გარდასლვითისანი. გარნა შესაძლებელ არს იძულებით მოყჷანა მათი ამათ სქესთა შინა, რომელნიცა არასადა ქართულებრსა შინა წერილსა იპოვების, ნუჟუჟჷ მელექსეთა და მოშაირეთა დასჭირდესთ სადამე, დამეტებისათჷს მარცულათსა“ (გვ. 63).

**რიცხვი.** ისევე როგორც სახელებში, ზმნებში გამოყოფილია ორი რიცხვი: მხოლოდობითი (ვჰსწერ) და მრავლობითი (ვჰსწერთ) (§ 107).

**პირი.** ზმნას აქვს სამი პირი: „პირველი არს, რომელიცა იტყჷს, მაგალითად: ვჰსწერ. მეორე არს, რომლისადმიცა იტყჷს, მაგალითად: ჰსწერ, და მესამე არს, რომლისათჷსცა იტყჷს, მაგალითად: ჰსწერს“ (§ 108).

**დრო.** უმთავრესი დროები ზმნისა სამია: ა წ ყ მ ო, მ ყ ო ბ ა დ ი და ნ ა მ ყ ო; ეს უკანასკნელი ოთხი სახისაა, ე. ი. ოთხ დროდ იყოფა: ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი, რომელიც აღნიშნავს „მოქმედებასა ანუ ვნებასა... დაწყებულსა და შეუსრულებულსა“ (მაგალითად, ვჰსწერდი, ვიწერებოდი), ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი, იგი აღნიშნავს „საქმესა შესრულებულსა“ (მაგ. დავჰსწერე, დავიწერე), ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ე ს ი, იგი მიუთითებს ადრე შესრულებულ საქმეზე (მაგ. დამიწერიეს, დაწერილ-ვარ) და ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი, რომელიც გადმოსცემს „საქმესა ძეჷლსა“ (მაგ., დამეწერა, დაწერილ-ვიყავ).

ამრიგად, სულ ზმნას ექვსი დრო აქვს: 1. აწყო, 2. ნამყო უსრული, 3. ნამყო სრული, 4. ნამყო უსრულესი, 5. ნამყო უუსრულესი და 6. მყოობადი (§ 109). დღევანდელი ტერმინებით ეს იქნება აწყო, ნამყო უსრული ანუ უწყვეტელი, ნამყო სრული ანუ წყვეტილი, თურმეობითი I, თურმეობითი II და კავშირებითი II.

როგორც დროთა რაოდენობისა და ძირითადი დროების გამოყოფის მხრივ, ასევე მათი სახელწოდებების მხრივაც გაიოზი სავსებით მისდევს ანტონის გრამატიკას. ორივე გრამატიკოსის მიხედვით, დრო მოიცავს ძირითადად თხრობითი კილოს ფორმებს, კავშირებითის ფორმებიდან შემოდის მხოლოდ კავშირებითი მეორე, ისიც იმიტომ, რომ იგი ძველ ქართულში თხრობითი კილოს (მყოფადის) გადმოსაცემადაც იხმარებოდა. დროებში შეტანილი არაა მყოფადის მეორეგვარი წარმოება (ზმნისწინის მეშვეობით, — დღევანდელი მყოფადის მწკრივი), თუმცა, როგორც ვნახეთ, მას გაიოზი იცნობს (გვ. 28). ცალკე გამოყოფილი არაა აგრეთვე ხოლმეობითი. რაც შეეხება კავშირებითი კილოს ფორმებს, ისინი განხილულია კილოს კატეგორიაში, რომელსაც გაიოზი (ანტონისადა კვალად) სქესს უწოდებს.

**სქესი.** ამ ტერმინით აღინიშნება ზმნის კილო. ანტონი გამოყოფდა ხუთ სქესს ანუ კილოს. გაიოზს მათი რიცხვი ოთხზე დაჰყავს: სა ზ ლ უ რ ე ბ ი თ ი, ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი, ა ბ ო ტ ე თ ი კ ა ანუ ქუჭწყობილებითი და განუსაზღვრებელი (§ 110). ამთგან საზღვრებითი უდრის თხრობით კილოს. ბრძანებითი დღესაც ამ სახელწოდებით იხმარება; ნატვრითი (საწადისი ანუ აბოტეთიკა) და პირობითი (ვაბოტეთიკა ანუ თუობითი), რომლებიც ანტონს



ცალ-ცალკე „სქესებად“ აქვს გამოყოფილი, გაიოზს გაერთიანებულ სქესებზე წყობილებით ის ანუ საწადისის სახელწოდებით. დასასრულ, განუსაზღვრებელი სქესი, როგორც გაიოზი განმარტავს, „ჰნიშნავს მოქმედებასა უპიროდ და ურიცხოდ. მაგალ.: მისა ჯერ არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებად. ამისდაჲ აღირიცხვს სახელ-ზმნაცა, ვინადგან იგიცა უდროოდ და უპიროდ ჰნიშნავს მოქმედებასა. მაგალ. ჯერ არს ჰსწავლა მისი, სათანადო არს მოქცევა მისი“ (გვ. 26).

გაიოზი დაწვრილებით და საკმაოდ ზუსტად განსაზღვრავს, თუ როგორ არის მიღებული დამტკიცებითი (=დადებითი) და უკუთქმითი ბრძანებითის ფორმები II და III პირისათვის (გვ. 25). „ბრძანებითი აწმყოა ზმნა მეორე პირი დამტკიცებითი წარმოებს საზღურებითისა სქესისა სრულისა დროსაგან, და უკუთქმითი ანუ აწმყოა და ანუ მყოობადისაგან, და მესამე პირი მისიუჭ დამტკიცებითის სქესისა მყოობადის მესამეს პირისაგან, და უკუთქმითი ანუ აწმყოა და ანუ მყოობადისაგან“ (ე. ი. ბრძანებითი აქე, აქეთ, — ნუ აქებ, ნუ აქებთ, III პ. აქოს, აქონ, — ნუ აქებს, ნუ აქებენ, — ავტორს მიაჩნია ბრძანებითის აწმყო დროდ); რაც შეეხება მყოობადს, აქ კი, გაიოზის აზრით, ბრძანებითს „მყოობადი უკუჭ დროა აქუს საკუთრად თვისი. ვარნა იგიცა წარმოებს საზღურებითისა სქესისა (=თხრობითი კილოს) ნამყო უსრულისაგან, რომელსაცა ბოლოს განმკიდურე მარცუალი ი, დი ეცუალების დე-ზედა“ (გვ. 25). მაშასადამე, როგორც ჩანს, აქ იგულისხმება I კავშირებითის ფორმები, რომლებიც ჩვენს გრამატიკოსს ბრძანებითის საკუთარ ფორმებად მიაჩნია მყოფადი დროისათვის (აქებდე — ნუ აქებდე, აქებდეთ — ნუ აქებდეთ, აქებდეს — ნუ აქებდეს, აქებდენ — ნუ აქებდენ).

რაც შეეხება კავშირებითს, როგორც ზემოთ ითქვა, მისი ფორმები გაიოზს ესმის თხრობითი კილოს მყოფადად, ხოლო კავშირებითი კილო (გაიოზის ტერმინოლოგიით, — საწადისისა და ჰპოტეტიკის სქესი) მიიღება თხრობითი კილოსაგან ვაშათუ, უკეთუ, ნუთუ, ნეტართუმცა ზმნისზედების. ან რაათა, ვითარმედ და სხვა მიზეზობითი კავშირების დართვით (გვ. 25—26). მხოლოდ „საწადისა და ჰპოტეტიკასა ჰსქესისა აწმყოსა დროსა ზმნანი“ განსხვავდებიან თხრობითი კილოს ფორმებისაგან და იწარმოებიან „ბრძანებითისა მყოობადისა დროსაგან“. — შენიშნავს გაიოზი. ბრძანებითის მყოობად დროდ კი, როგორც ვნახეთ, მას მიაჩნია, I კავშირებითის ფორმები.

ამრიგად, სხვადასხვა კილოს ფორმათა ურთიერთობა გაიოზს ამ შემთხვევაში შებრუნებულად აქვს წარმოდგენილი. სინამდვილეში ბრძანებითი იყენებს კავშირებითის ფორმებს და არა პირიქით. მაგრამ თავისთავად მიიწე ამ სხვადასხვა კილოს ფორმათა ურთიერთობის აღნიშვნა იმ დროისათვის საეულისხმეო დაკვირვებას წარმოადგენს.

**უღვლილება.** ზმნის «მდევართა» მიმოხილვის შემდეგ გაიოზი გადადის „უღვლლებს“ სისტემის დახასიათებაზე. მისი აზრით, „კანონიერნი უკუჭ უღვლლებანი ზმნათანი არიან ექუს“ (§ 111). მათ გაიოზი განასხვავებს საზღურებითი სქესის (=თხრობითი კილოს) აწმყოს მიხედვით (გვ. 27—29). ანტონი პირველ რედაქციაში გამოყოფდა ხუთ „უღვლეს“, მეორეში — რვა (თხრობითი კილოს აწმყოს დაბოლოებათა მიხედვით). გაიოზი ავრთვე აწმყოზე დაყრდნობით გამოყოფს ექვს „უღვლეს“, მაგრამ მათ გასარჩევად იღებს არა აწმყოს დაბოლოებებს, არამედ პირის ნიშნებს.

I უღვლილების ზმნებს მოქმედებითი გვარის აწმყოში აქვთ I პირის ნიშნად („მაპიროვნებელად პირუჭლისა პირისა“) ვ, II პირის ნიშნად — მისი მომდევნო („შემდგომი მისი“) ა. III პირის ნიშნად კი — სუფიქსი („უქანასკნელი ასო“) ხ.

მრავლობითის ნიშნად (მამრავლად || მამრავლებლად) პირველსა და მეორე პირს ერთვის ბოლოში თ, III პირს კი „მაპიროვნებელად და მამრავლებელად“, ე. ი. როგორც პირის, ისე მრ. რიცხვის ნიშნად აქვს ბოლოში ნ.

ამავე უღვლილების ვნებითი გვარის ზმნებს, გაიოზის აზრით, პირველი პირის ნიშნად აქვთ ვ, ვე, მეორისა — ი და მესამისა — ხ ან ა სუფიქსი; მრავლობით რიცხვში I—II პირის ნიშნები იგივე რჩება და მრავლობითის ნიშნად ემატება ბოლოს თ, ხოლო მესამე პირს, მსგავსად მოქმედებითისა, ბოლოში მოუღდის ნ, რომელიც პირსაც და რიცხვსაც გამოხატავს.

(პირველი უღვლილების ნიმუშად გაიოზს მოჰყავს ზმნა ვ აქ ე ბ).

II უღვლილების ზმნებს მოქმედებითი გვარის თხრობითი კილოში აწმყოს მხოლოდობით რიცხვში აქვთ I პირის ნიშნად მ და II პირის ნიშნად გ პრეფიქსები („მაპიროვნებელად პირუჭლისა პირისა თავად მ, და მეორისა—თავად გ“), III პირისათვის კი — თავში ჰ და ბოლოს ხ, მრავლობით რიცხვში I პირის „მაპიროვნებელად და მამრავლებელად“ გვევლინება პრეფიქსი გჟ, II პირში—„მაპიროვნებელად თავად გჰ და მამრავლებელად თ“. ე. ი. პირის ნიშნად—პრეფიქსი გჰ და მრავლობითის ნიშნად—სუფიქსი თ, III პირში „მაპიროვნებელად ჰ და მამრავლებელად თ“ (ამგვარ ზმნათა ნიმუშად დასახელებულია მ ჰ ლ დ ა ვ ს).

როგორც ვხედავთ, მეორე უღვლილებაში გაიოზს მოქცეული აქვს ინვერსიული წყობის ზმნები. ავტორის მიხედვით, ამ ზმნათა ვნებითი პირველი უღვლილების ზმნათა ვნებითის მსგავსია („ვნებითნი ამისნი ჰმსგავსებენ მხოლოდობითთაცა შინა და მრავლობითთა პირუჭლისა უღლულებისა ვნებითთა ზმნათა“). ვნებითის შესახებ ეს განცხადება სხვადასხვა ვარიაციით გამოვლენილია ყველა მომდევნო უღვლილების დახასიათების დროსაც. ამრიგად, გამოდის, რომ სხვადასხვა ტიპის ზმნები უღვლილების დროს მხოლოდ მოქმედებით გვარში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვნებითი კი ყველას ერთნაირი აქვს.

III უღვლილების ზმნებად გამოყოფილია ისეთები, რომელთაც თხრობითი კილოს (აწმყოს) მოქმედებით გვარში I პირში აქვთ პრეფიქსი ვ, II პირში — ე, III პირში კი სუფიქსი ხ; მრ. რიცხვის I—II პირის ნიშნები იგივეა, რიცხვის ნიშნად კი ემატება თ სუფიქსი, III პირში — „მაპიროვნებელად და მამრავლებელად ნ“. მრავლობით რიცხვში იგივე სურათი მეორდება ყველა მომდევნო უღვლილებაშიაც. (მესამე უღვლილების ნიმუშად დასახელებულია ვ ე ს ტ რ ი).

IV უღვლილებას ავტორი მიაკუთვნებს ისეთ ზმნებს, რომელთაც I პირის ნიშნად აქვთ ვ, ხოლო „მეორესა შინა შემდგომი მისი ი, და მესამესა შინა — ხ“ (მაგალითად მოყვანილია ვ ი ქ მ).

V უღვლილების სახელით გამოყოფილია ზმნები, რომელთაც მოქმედებითი გვარის აწმყოში აქვთ „მაპიროვნებელად პირუჭლისა პირისა თავად ვ, და მეორესა შინა შემდგომი მისი უ, და მესამესა შინა პირისა ბოლოდ ხ“ (ნიმუშია ვ უ ბ ნ თ ბ).

VI უღვლილების ზმნები I პირის ნიშნად მიიღებენ ვ პრეფიქსს, II პირის ნიშნად — „შემდგომსა მისსა ჰ“, და III პირის ნიშნად ხ სუფიქსს (ნიმუშია ვ ჰ ს წ რ).



ულვლილების ტიპთა ამგვარი საერთო დახასიათების შემდეგ ავტორი იძლევა მათ მიმოხრას (პარადიგმებს) ყველა დროისა და სქესის (=კილოს) მიხედვით.

ულვლილების დროს ავტორი სქოლიოში აღნიშნავს, რომ მოქმედებითი გვარის ყველა ზმნა ნამყო უსრულესსა და უუსრულესში (ე. ი. I და II თურმობითებში) პირის ნიშნებად გვიჩვენებს იმ „მაპიროვნებელ ნიშნებს“ (=პირის ნიშნებს), რომლებიც მეორე ულვლილებას ახასიათებს.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მეორე ულვლილებაში გაიოზს გამოყოფილი აქვს ინვერსიული ზმნები. ამრიგად, მისი ზემოხსენებული შენიშვნა იმას გულისხმობს, რომ მოქმედებითი გვარის ყველა ზმნა III სერიის დრო-კილოებში ინვერსიული ხდება. რაც შეეხება ვნებითი გვარის ზმნათა ულვლილებას იმავე დრო-კილოებში, გაიოზი შენიშნავს: „ყოველნი ზმნანი ვნებითნი, ნამყოასა უსრულესისა და უუსრულესისა დროასანი, წარმოებენ ნამყოასა მიმღობისა და არსებითისა ზმნისა აწყოასა და ნამყოასაგან“ (ქებულ-ვარ... ქებულ-ვიყავ...) (გვ. 32).

იძლევა რა ქება ზმნის მოქმედებითი და ვნებითი გვარის ულვლილებას, დასასრულს ავტორი შენიშნავს, რომ „ჰმსგავსადღჷ მიმოიჭრიან“ პირველი ულვლილების სხვა ზმნებიც, რომელთაც ნამყო სრულში დაბოლოებულ მოუღდით ვ და მყოფადღში (=კავშირებითში) — ო (ჩამოთვლილია ოცამდე ზმნა: ვაბრალებ, ვაგებ, ვათბობ და სხვანი). ეს ზმნები ვნებითად გადაიქცევიანო, თუ აწყოას თხრობით კილოში ა-ს (რომელიც გაიოზს II პირის ნიშნად მიიჩნია) შევუცვლით ი პრეფიქსით და ბოლოკიდურადაც დავურთავთ იმავე ო-ს (ე. ი. იგულისხმება ასეთი ფორმები: ვაქებ—ვიქები, ვაგებ—ვიგები, ვაგდებ—ვიგდები, ვაწყობ—ვიწყობი, ვაბრალებ—ვიბრალები და სხვ.).

ასევე საკმაოდ დაწვრილებით განიხილავს გაიოზი ულვლილების სხვა ტიპებსაც და იძლევა მათ პარადიგმებს. აქ ყურადღებას იქცევს არა ცალკეული შეცდომები, არამედ ის მახვილკონიგური დაკვირვებები, რომლებიც გაიოზის გრამატიკაში ზმნის ანალიზისას გვხვდება.

წესიერ ზმნათა მიმოხრის შემდეგ ავტორი მიმოიხილავს „უკანონო“ ზმნებს, „რომელნიცა არა შეუდგებიან ზემო-წერილთა კანონთა და ვერ განვლიან ჰსქესთა შინა და დროთა სრულებით“ (§ 139). ასეთებში ავტორი გამოყოფს რამდენიმე ჯგუფს: 1) ზმნები, რომლებიც დანაკლისს სხვა ზმნებით ივსებენ. ასეთი ზმნებია: ვარ, ვიყო, ვაძლეე, ვიტყუ, ვიტყვ, ვჰსთქუ, ვამბობ, ვჰსტამ, ველი, ვალ („ეცეცა თუმცა არა ნაკლულევან არს დროთაგან, გარნა სხუა და სხუაობით განვლის მიმოჭრათა შინა“).

2) ზმნები, რომელთაც ზოგი დრო აკლიათ და დანაკლისი შეუვსებელი აქვთ. ასეთებად მიჩნეულია: ვიცი, ვესავ, ვჰვლობ, ვჰზი, ვჰსდგა, დამყავს.

3) ზმნები, რომელთა სხვადასხვა დროის ფორმები სხვადასხვა ულვლილებას განეკუთვნება. ასეთია, პირველყოვლისა, II ულვლილების ზმნები, რომელთაც აწყო და ნამყო უსრული აქვთ საკუთარი, დანარჩენ დროებს კი მეხუთე ულვლილების ან ვნებითი გვარის ზმნებით ივსებენო. მაგალითად: მრცხტუნის, მაქსოოს, მძინავს, მესმის, მღვძავს და სხვანი.

4) პირნაკლი ზმნები, რომელთაც ან I, ან II, ან ორივე (I და II) პირი აკლიათ. ასეთებად მიჩნეულია: მწერ, მწერს (აკლია II პირით), გწერ, გწერს (აქ იგულისხმება ალბათ, I პირი აკლიათ), მაგრამ იქვე ავტორის მართებული შენიშვნაა: „გარნა ესენი სრულებით განვლიან ყოველთა შინა სქესთა და დრო-

თა და ყოველისა უღელულებისა ზმნანი შესაძლებელ არიან ესრეთ პირ-ნაკლ-ყოფად“ (§ 143). კიდევ უფრო საინტერესოა ავტორის შენიშვნა 76-ე გვერდზე: „ყოველნი ზმნანი პიროვანნი შესაძლებელ არიან პირნაკლ-ყოფად, ვინადგან ქართულსა ენასა აქუს დიდად ნიჰად თვსება ესე, რომლისაგანცა სხუანი მრავალნი ენანი დაკლებულ არიან და ამისთვის ნეტართა მთარგმნელთა ჩუენთა უჭმარებიესე იგი უმეტეს ბრძანებითისა, ანუ ვედრებითისა ანუ აღთქმისა“ სქესსა შინა“. როგორც აქედან ჩანს, გაიოზის ეს პირნაკლი ზმნები ობიექტური წყობის ზმნებია.

აქვე უნდა გავისვენოთ ისიც, რომ გაიოზმა პირველმა შემოიღო უღვლილების ჩვეულებად დაყოფა პირის ნიშნითა მიხედვით და ცალკე უღვლილების ტიპად გამოყო ის ზმნები, რომლებიც მოქმედებითი გვარის აწმყოს I პირში (მხ. რ.) მ-ანით იწყება<sup>14</sup>. ამრიგად, გაიოზი გრძნობს ქართული ზმნის განსაკუთრებულ ბუნებას, მაგრამ ვერ ახერხებს ბოლომდე ახსნას იგი, რადგან ვერ ითვალისწინებს ზმნაში ერთდროულად რამდენიმე პირის აღნიშვნის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, მისი დაკვირვებანი მეტად საგულისხმოა ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმის შესწავლის ისტორიისათვის.

უღვლილების მიმოხილვას ავტორი ამთავრებს იმ ზმნებით, რომელთაც I და II პირი აკლია და ერთი ფორმა ითქმის სამივე პირისადმი: ჯერ-არს, ჰუჭყნის, შეჰვავს, საქმარ არს, სათანადო არს (ჩემდა, შენდა, მისდა).

დასასრულ, მოცემულია პარადიგმები ზოგიერთი „უკანონო ზმნის“ უღვლილებისა: ვარ (§ 144), ვალ (§ 145), მწერს (§ 146) დაგწერ (§ 147). ამით მთავრდება ზმნის მიმოხილვა.

### მიმღეობა

პირველი ნაწილის მეოთხე თავი ეხება მიმღეობას, რომელიც ასეა განმარტებული: „მიმღეობა არს ნაწილი სიტყვსა, რომელიცა სახელობით დაჰნიშნავს მოქმედებასა ანუ ვნებასა, ამისთვის სახელისაცა და ზმნისა აქუნ თვსებანი, მაგალითად: შემოქმედი, დამბადებელი, ცხოვნებელი, დასაწერელი და სხუანი“ (§ 148).

მიმღეობას აქვს ექვსი თვისება ანუ მღევარი: ნათესავი, ნაკუჭთი, სახე, რიცხვი, დრო და ბრუნუა (§ 149).

ტერმინი ნათესავი, როგორც ადრევე გვქონდა აღნიშნული, გაიოზს ნახმარი აქვს სახელებთან სქესის, ზმნებთან კი გვარის შესატყვისად. გაიოზის განმარტების თანახმად, მიმღეობას სახელის თვისებებიც მოუპოვება და ზმნისაც. ამიტომ მისი ნათესავიც ორნაირად განისაზღვრება: „ნათესავი მიმღეობისა სახელისამებრ არს საზოგადო... ზმნისამებრ არს ანუ შემოქმედებითი, ანუ ვნებითი“ (§ 150). ამრიგად, მიმღეობა სახელის მსგავსად საზოგადო სქესისაა, მიმღეობა ზმნის მსგავსად მოქმედებითი ან ვნებითი გვარისაა.

აწმყო დროის მიმღეობა მოქმედებითი გვარისაა და აფიქსებად აქვს („ნიშნანი არიან მარცულაკნი“) თავში — მე, მმ, მო, ბოლოში — ლი და ედი, (მეტყუჭლი, მმექმი, მორბელი), ნამყოსა და მყოფადის მიმღეობანი კი ვნებით გვარს განეკუთვნება. ნამყოს პრეფიქსად მოუღდის ნა, სუფიქსად — რი, ღი,

<sup>14</sup> არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? II, „ახალი სკოლისაქენ“, № 9—10, 1929, გვ. 57.

ლი ან ი (ნაქმარი, ნაწერი, ნამზადი, დაწერილი, ნამკი, ნახნავი); მყოფადის მიძღვრების მაწარმოებლებია თავში სა, ბოლოში — ი, ელი, ადი (საწერი, საქები, სანუკარი, სამღერელი, საცემელი, ქმნადი, სწავლადი...). აქედანვე ჩანს და ავტორი შემდეგ საგანგებოდაც აღნიშნავს, რომ მიძღვრებას აქვს სამი დრო: აწმყო, ნამყო და მყოობადი (§ 154).

ნაკუჭითი, სახე და რიცხვი მიძღვრებას იმდენივე და ისეთივე აქვს, როგორც სახელსა და ზმნას (§ 151—153); არის მარტივი: მეტყუჭლი, წერილი — რთული: წინასწარმეტყუჭლი, დაწერილი, აღწერილი და სხვ.; არის პირველი სახე: მოქმედი, მაწყინებელი — სხმითგარდასლვითი: მაწყინებინებელი, მოქმედებითი და სხვ., მხ. რიცხვი: მეტყუჭლი, ნაქმარი — მრ. რიცხვი: მეტყუჭლნი, ნაქმარნი და სხვ.

ბრუნეა მიძღვრებას იმდენივე აქვს, რამდენიც სახელს. მიძღვრება ავტორის განმარტებით, მისდევს I ბრუნებას (§ 155).

### თანდებული

თანდებული გაიოზს ასე აქვს განმარტებული: „თანდებული არს ნაწილი სიტყვსა, რომელიცა მოიკიდებს სახელსა ბრუნვთ და ჰყოფს ცუალეზულ მდგომარეობისა მისისა ვედრებასა“ (§ 156).

თანდებულები დაერთვიან სახელს წინ ან უკან და მოითხოვენ მისგან ნათესაობითს, მიცემითსა ან დაწყებით ბრუნვას (§ 157).

თანდებულებში, რომლებიც წინაც და უკანაც შეიძლება დაერთონ სახელს, მეტწილად ზმნიზედებია ჩამოთვლილი (გაიოზს თვითონვე აქვს შენიშნული: ზოგი თანდებული ზმნისზედადაც იხმარება); სამაგიეროდ, ნამდვილი თანდებულებია დასახელებული იმათ შორის, რომელნიც სახელს მხოლოდ ბოლოში შეიძლება დაერთონ: აღ, დამი, დმი, მღე, და, თანა და სხვ. (როგორც ზემოთ უკვე ითქვა, აქ თანდებულებს შორის მოქცეულია ვითარებითი ბრუნვის ნიშანიც).

თანდებულის მდევრებია ნაკუჭითი და სახე: ზოგი თანდებული მარტივია (წინა, აღ, დმი), ზოგი — რთული (წინარე...) ზოგი თანდებული პირველი სახისა (მაგ., წინარე), ზოგი — სხმით-გარდასლვითისა (მაგ., უწინარეს).

### ზმნისეღა

თავი მეექვსე ეხება ზმნიზედს. „ზმნისზედა არს ნაწილი სიტყვსა, რომელიცა მოიკიდების ზმნასა და განავითარებს მოქმედებასა ანუ ვნებასა მისსა“ (§ 162). გაიოზი აღნიშნავს, რომ ზმნისზედას აქვს სხვადასხვაგვარი „გარემოებითი დამნიშვნელობა“ და ამის მიხედვით გამოყოფს შემდეგ ჯგუფებს: ადგილობითი (=ადგილის ზმნიზედები): სად, სადამე, მუნ, მუნვე, სხუაგან, ქუშ, ქუშმო და სხვ. დროებითი (=დროისა): აწ, დღეს, გუშინ, გუშინწინ, ხუალ, ზეგ, მახეგ, სალამოს და სხვ. რიცხუობითი ანუ რაოდენობითი (მეტწილად შეიცავს ვითარების ზმნისზედებს: რაოდენ, რაოდენგზის, რაოდენცა, მეორედ, მესამედ, მკვიდროდ, სქლად და სხვ.), ვითარებითი: ეგრეთ, ესრეთ, სხუებრ, კარგათ, კადნიერად და სხვ. (ვითარების ზმნიზედები გვხვდება აგრეთვე მომდევნო ჯგუფებშიც); კითხვითი (ამ ჯგუფში შეტანილია კითხვითი ნაცვალსახელები: სად, რაოდენ, სადით, რაოდენგზის და სხვ.), მსგავსებითი (აქ შეტანილია კავშირიც: ვითარცა;

ორი სხვა მაგალითი ვითარებითი ზმნიზედისაა: ეგრეთ, ეგრეთცა), ჯ შ ი რ ბ ი თ ნ ი (ფრიად, ყოვლითურთ, უხუად, დიდად, მრავლად და სხვანი), მი-  
შ ა მ ბ ი თ ნ ი (მცირედრე, ნელა, ნელანელა და სხვ.), დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ი თ ნ ი  
ანუ დ ა ფ ი ც ე ბ ი თ ნ ი (პო, ნამდვლ, მართლა, უთუოდ, უსაცილოდ, ესე იგი  
არს, ჭეშმარიტად და სხვანი), უ კ უ თ ქ მ ი თ ნ ი ანუ დ ა მ ა ყ ე ნ ე ბ-  
ლ ო ბ ი თ ნ ი (აქ შეტანილია უარყოფითი ნაწილაკები: არა, არცა, ნუ; გარდა  
ამისა — ცუდად, უბრალოდ, არაოდენ და სხვ.), ი ჭ უ ნ ო ბ ი თ ნ ი (ნუუაქმ.  
ნუთუ და სხვ.), ჩ უ მ ე ნ ბ ი თ ნ ი (აპა, აპავსერა, ესრეთ), ს ა წ ა დ ნ ი (ნეტარ,  
ნეტარ თუმცა, უკეთუ...), გ ა ნ მ ქ ნ ო ბ ი თ ნ ი (პო, ეგარის, კარგად, კარგია,  
შაბაშ და სხვ.), შ ე მ კ რ ე ბ ე ლ ო ბ ი თ ნ ი (ერთად, გაურჩევლად, ერთო-  
ბით...), გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ ი თ ნ ი (განყოფილ, საკუთრად, ცალკე, კართიკარად,  
უბანდაუბან...), წ ე ს ე ბ ი თ ნ ი (უპირაჭმელს, უწინარეს, ყოვლად, უკანას-  
კნელ...) (§ 163).

როგორც ვხედავთ, ზმნიზედათა შორის გვხვდება სხვა მეტყველების ნა-  
წილებიც; მაგრამ ამას ავტორი თავისებურ გამართლებას აძლევს: „სახეთა  
შორის ზმნიზედათასა არიან კმარებულ თანდებულნიცა, კავშირნი და შორის-  
დებულნი, გარნა ოდესცა ცხად-ჰყოფენ ვითარებასა ზმნისასა, მაშინ არიან  
ზმნისა ზედანი“ (გვ. 85).

ზმნიზედის მდევრებია ნ ა კ უ მ თ ი (პირველსახე; ღამე, დღე; —სხმით-გარ-  
დასლვითი: საღამოს, დღისით) და ს ა ხ ე (მარტივი: თუთოდ, ცალკე; — პრთუ-  
ლი: თვითთვთოდ, ცალცალკე) (§ 164).

### კ ა ვ შ ი რ ი

კავშირი, გაიოზის განმარტებით, ერთმანეთს უკავშირებს სიტყვებს ან წი-  
ნადალებებს. კავშირები სხვადასხვა მნიშვნელობისანი არიანო, შენიშნავს გაი-  
ოზი და ჩამოთვლის მათ ჯგუფებს:

წ მ ა ს ვ ნ ი თ ნ ი, გ ა ნ წ უ ა ლ ე ბ ი თ ნ ი, თ უ რ ბ ი თ ნ ი ან უ პ ი რ ო-  
ბ ი თ ნ ი, გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ნ ი, პ ი რ ი ს პ ი რ ო ბ ი თ ნ ი ანუ გ ა რ მ ი მ-  
დ ე ო ბ ი თ ნ ი, მ ი შ უ მ ბ ი თ ნ ი, მ ი ზ ე ზ ო ბ ი თ ნ ი, კ ი დ უ რ მ დ გ მ ო ე-  
ბ ი თ ნ ი, მ ი მ ყ ო ვ რ ე ბ ი თ ნ ი.

სქოლიოში ავტორი შენიშნავს, კავშირებად თანდებულები და ზმნისზე-  
დებიც გვხვდებაო; როდესაც ისინი ერთმანეთს უკავშირებენ სიტყვებს („ლექ-  
სთა“) ან წინადადებებს („სიტყუათა“), მაშინ კავშირს წარმოადგენენო (გვ. 87).

კავშირებს მოეპოვებათ ერთი მდევარი — ნ ა კ უ მ თ ი: მ ა რ ტ ი ვ ი (მაგ.:  
ვითარ, ცა) და პ რ თ უ ლ ი (მაგ.: ვითარმცა).

### შ ო რ ი ს დ ე ბ უ ლ ი

დასასრულ, პირველი ნაწილის მერვე თავში განხილულია შორისდებულა.  
შორისდებულები მნიშვნელობით სხვადასხვაობენ. ავტორი გამოჰყოფს შემ-  
დეგ ჯგუფებს:

გ ა ნ კ ვ რ ე ბ ი თ ნ ი, დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ი თ ნ ი, ს ა ლ მ ო ბ ი თ ნ ი, ღ ა-  
ღ ა დ ე ბ ი თ ნ ი, წ ო დ ე ბ ი თ ნ ი, ქ ი რ დ ე ბ ი თ ნ ი, დ ა დ უ მ ე ბ ი თ ნ ი,  
შ ე უ რ ა ც ხ ე ბ ი თ ნ ი ანუ რ ი ს ხ ვ თ ნ ი.



შორისდებულთა შორისო, შენიშნავს ავტორი, არიან ზმნები ბრძანებულთა კილოსი და ზმნისზედებიც, რაჲლებიც საჭიროა შორისდებულთა მსგავსად გაევიგოთ, მისივე ნიშნით დაეწეროთ, მაგრამ მე სიმოკლისათვის აღარ მივიჩნევ საჭიროდ მათი ჩამოთვლაო.

შორისდებულთა მთავრდება გაიოზის გრამატიკის I ნაწილი.

\*  
\*  
\*

თავის გრამატიკის მეორე ნაწილში (გვ. 89—134) გაიოზი ეხება სინტაქსს, რომელსაც ის აღნიშნავს ქართული ტერმინითაც — აღნაქუსი. გრამატიკის ამ დარგს გაიოზი შემდეგნაირად განმარტავს: „სუნტაქსი ანუ აღნაქუსი არს ნაწილი ღრამმატიკისა, რომელიცა ასწავებს თანკმობასა შეწყობასა შინა ნაწილთა სიტყუსათა“ (§ 170).

ამ განმარტებაში ყურადღებას იპყრობს ის, რომ სინტაქსი მიჩნეულია გრამატიკის ნაწილად, მაშინ როცა შესავალში გრამატიკის ძირითად ნაწილებად გამოცხადებული იყო წიგნი, მარცვალი, ლექსი და სიტყვა (ე. ი. ბგერა, მარცვალი, სიტყვა და წინადადება). თუ შესავალში გაიოზი ზუსტად მიპყვებოდა ანტონს, ამჯერად იგი მეტ დამოუკიდებლობას ამჟღავნებს და სინტაქსის უფრო მკაფიო განსაზღვრებას იძლევა. ანტონის მიხედვით, „სინტაქსი არს განკარგუა წესიერ თანკმობითი ნაწილთა ხელოვნებითა ყოვლადსა შინა“<sup>15</sup>. როგორც ვხედავთ, სინტაქსისა და გრამატიკის ურთიერთმიმართებას ამ განმარტებაში გვერდი აქვს ავლილი.

ამრიგად, გაიოზის მიხედვით, სინტაქსი სწავლობს მეტყველების ნაწილთა შეთანხმებას. ეს განმარტება მოიცავს მხოლოდ მარტივი წინადადების სინტაქსს და არაფერს გვეუბნება იმაზე, რომ სინტაქსი წინადადებათა ურთიერთდაკავშირების წესებსაც შეისწავლის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს რთული წინადადების საკითხები გაიოზს საერთოდ უგულვებელყოფილი აქვს. ერთი მხრივ, წინადადებების სიმარტივე-სირთულე, მეორე მხრივ კი სტილისტური ნაირფეროვნება წარმოადგენს სწორედ იმის საფუძველს, რომ გაიოზს აღნაქუსი დაყოფილი აქვს სამ სახედ: 1) მარტივი, ანუ კანონიერი, ანუ საზოგადო; 2) ჯელოვნებითი, ანუ რიტორული; 3) უხუისიტყუაობითი, ანუ შუწნიერსიტყუაობითი.

სინტაქსის უპირველეს ამოცანად გაიოზს სიტყვათა მარტივი თანხმობის ე. ი. მარტივი წინადადების შესწავლა მიაჩნია.

მოკლე შესავლის შემდეგ ავტორი გადადის სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა შორის სინტაქსური ურთიერთობის დახასიათებაზე, რაც ცალ-ცალკე თავებად არის გამოყოფილი.

პირველ რიგში გაიოზს საჭიროდ მიაჩნია განხილულ იქნას ურთიერთობა სახელსა და ზმნას შორის.

ავტორის მტკიცებით, ყოველი პიროვანი ზმნა ერთმანეთთან აკავშირებს. „ათანაჟმავებს“ ორ სახელს. მათგან ერთი ზმნის წინ დგას, მეორე — შემდგომ მაგ. მართალი დაიმკვდრებს სასუფეველსა, კაცი ბედნიერ იქმნების სწავლებსაგან და სხვ. (§ 172).

პირველ სახელს, რომელიც ზმნის წინ დაისმის, ეწოდება «უფალი ზმნისა», მეორეს — ზმნის შემდგომს — „ძიება ზმნისა“. „პირუშლი იგი სახელი

<sup>15</sup> ანტონ 1, ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1885, გვ. 213, § 307.

არს მნიშვნელოვანი მოქმედისა და მეორე „ეა ნაიშნელო ვნებულისა“ (გვ. 91) ამრიგად, ავტორი მორფოლოგიური ცნებებით (სახელი, ზმნა...) იწყებს სინტაქსზე საუბარს, მაგრამ შემდეგ მინც იძულებულია ახალი, სინტაქსური ცნებები შემოიტანოს. „უფალი ზმნისა“ დაახლოებით სუბიექტს აღნიშნავს, „ძიება“ — ობიექტს (ანტონის გრამატიკაში იმავე ცნებებისათვის ნახმარია „უფალი“, „მყოფლებელი“ და „საძიებო“). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაიოზი არ მიმართავს ანტონის მიერ ნახმარ ტერმინებს არსებებს ანუ ქმედებებს და შესვენის (=შემასმენელს).

გაიოზი წერს: „ყოველი ზმნა შემოქმედებითი პირუშლისა უღლვლებისა მხოლოდითი აწყყოსა და უსრულსა დროსა შინა ითხოვს უფლად სახელსა წრფელობისა, ნამყოსა და მყობადსა დროსა შინა სახელსა მოთხრობითად ბრუნვლსა, და ნამყოსა უსრულესსა და უუსრულესსა შინა — მიცემითად ბრუნვლსა სახელსა, ხოლო მრავლობითი აწყყოსა და უსრულსა დროსა შინა ითხოვს უფლად სახელსა წრფელობისა და სხვათა დროთა შინა მიცემითად ბრუნვლსა“ (§ 173).

როგორც ვხედავთ, აქ აღნიშნულია ის გარემოება, რომ გარდამავალი ზმნის სუბიექტი I სერიის დროებში სახელობით ბრუნვაშია, II სერიასთან — მოთხრობითში და III სერიასთან — მიცემითში. მაგრამ ავტორის ეს მართებული მსჯელობა ვრცელდება მარტოოდენ მხოლოდობით რიცხვზე. მრავლობითში კი გაიოზი ალბათ შეაცდინა თანიანი მრავლობითის სახიარო ფორმაჰ. რომელიც II სერიასთან მოთხრობითს გამოხატავს, III სერიასთან — მიცემითს, გაიოზს კი აქაც და იქაც მიცემითად მიუჩნევია იგი.

ობიექტის ბრუნვათა შესახებ გაიოზი აღნიშნავს, რომ „ძიება ზმნისა“ აწყყოსა და ნამყო უსრულში მიცემით ბრუნვაშია, დანარჩენ დროებში კი — შემასმენლობითშია (ეს უკანასკნელი, როგორც ვიცით, იგივე სახელობითია).

ვნებითი გვარის ზმნებზე გაიოზი წერს: „ყოველი ვნებითი ზმნანი ყოველისა უღლვლებისანი ყოველთა შინა დროთა ითხოვენ უფლად წრფელობითად ბრუნვლსა სახელსა და საძიებოდ დაწყებითსა ანუ მოქმედებითსა“ (§ 175).

ამრიგად, გაიოზს შეინიშნული აქვს, რომ ვნებითი გვარის ზმნათა სუბიექტი („უფალი ზმნისა“) ყოველთვის სახელობით („წრფელობით“) ბრუნვაში დგას. რაც შეეხება ობიექტს, ცხადია, „ძიება ზმნისა“ ყოველთვის არ უდრის ობიექტს ჩვენი დღევანდელი გაგებით. ვნებითი გვარის ზმნებში „ძიებად“ იწოდება „ვნების“ გამომწვევი მიზეზი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, — მოქმედებითი გვარის ზმნასთან სუბიექტად წარმოდგენილი სახელი, რომელიც ვნებითში უბრალო დამატებად იქცა. სახელდობრ, გაიოზს მოჰყავს ასეთი მაგალითები: ირაკლი იდიდა სიმდაბლითა და სიმხნითა და იქებოდა სიბრძნითაცა; თამარ ქებულ არს ყოველთაგან; მოჰსწრაფე სწავლასა შინა იქოს მოძღურისაგან. ამ მაგალითებში „ძიებად“ მიიჩნევა სიმდაბლითა, სიმხნითა, სიბრძნითაცა, ყოველთაგან, მოძღურისაგან. სწორედ მათ შესახებ ამბობს ავტორი, რომ ვნებითი გვარის ზმნები საძიებოს დაწყებით ან მოქმედებით ბრუნვაში მოითხოვენო.

საუფლო და საძიებო სახელებისა და ზმნის ურთიერთობის დახასიათებისას გაიოზს აღნიშნული აქვს, რომ ზედსართავი სახელები და მიმღებოანი, ავრეთვე ნაცვალსახელები და სახელზმნები, იმავე ბრუნვის ფორმით „ეთანწყობიან“ ზმნას, რომელ ბრუნვაშიაც დგას „მათი“ არსებითი სახელი (გვ. 91); ბრძანებითსა და ნატვრით კილოებში ზმნები საუფლოსა და საძიებოს იმავე



ბრუნებში მოითხოვენ, რომელთაც იმავე დროის თხრობითი კილო მოიხსენიება (§ 174); ასეთივე შენიშვნას აკეთებს ავტორი სხვათაგანდასლვისა და მრჩობლ-სხვათაგანდასლვითან (კალხატურ ფორმებთან) დაკავშირებით (§ 177).

რაც შეეხება „უმეშტობითებს“ (ე. ი. საშუალო გვარის ზმნებს), ისინი სუბიექტისათვის („უფალი ზმნისა“) ისეთსავე ვითარებას გვიჩვენებენ, როგორსაც მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები, ხოლო „საძიებოდ შეხდომისამებრ ბრუნებათა“.

შემდეგ გაიოზი ეხება ზმნის რიცხვს რამდენიმე სუბიექტთან: „ოდესცა მრავალნი არსებითნი სახელნი დაკავშირებულნი ანუ უკავშირონი მოვალნი რა უფლად ზმნისა, მაშინ ზმნა მათი ჯერ არს, რათა დაიდუჟს მრავლობითად“ (§ 178). მაგალითად: ცხოვრება და სიკუდილი არიან ბუნებითი. იქვე აღნიშნულია ისიც, რომ „გარნა უკეთუ ზმნანი იგი დაიდუჟნენ მხოლოდობითად, არა აღრევენ ჰაზრსა“. მაგალ.: ცხოვრება და სიკუდილი არს ბუნებითი.

რამდენიმე სუბიექტთან დასმული ზმნა პირის მიხედვით შეეწყობა „უპატოსნესს“, სახელდობრ: „პირი პირუშელი უპატოსნეს არს მეორისა და მეორე მესამისა“ (§ 179). ამით გაიოზს იმის თქმა უნდა, რომ, როცა სუბიექტად I და II პირია, ზმნა I პირის ფორმით წარმოგვიდგება.

სუბიექტად დასმულ კრებით სახელთან ზმნა იმავე რიცხვშია, რომელიც რიცხვის ფორმითაც წარმოგვიდგება კრებითი სახელი: გუნდნი ანგელოსთანა განკვრდეს; მკედრობამან თამარისამან განვლო სპარსეთი (§ 181).

ეხება რა ზმნისა და მისი „უფლის“ რიცხვში შეთანხმების საკითხს, გაიოზს ჰგონია, რომ ზმნა ითანხმებს სახელს.

გარდა საუფლო და საძიებო სახელებისა, ზმნასთან შეიძლება დაკავშირებული იყოს კიდევ ერთი სახელიც, რომელსაც ავტორი „მეორე ბუნებითი ძიების“ სახელწოდებით აღნიშნავს: „ყოველთა ზმნათა შემოქმედებითთა და ვნებითთა გარდა საძიებოთა ბრუნვლთა სახელთა ძალუძსთ, რაათა მიიღონ ჟუალად მეორეცა ბრუნვლი სახელი ბუნებითს ძიებად“ (§ 183). ეს უკანასკნელი შეიძლება იდგეს მიცემითში (დაუნეცუშ მშიერსა პური შენი), თანდებულის ბრუნვაში (და გლახავი უსამართლონი შეიყუანენ სახლსა შინა შენსა), დაწყებითში (მეგობარმან დაჰვარა ჩემგან საიდუმლოთ), მოქმედებითში (შუშ-ნიერპყო ღმერთმან ცაა ვარსკულავითა და ქუშყანა აღავსო ცხოველითა). მეორე თბიქტი თანდებულთ გვხვდება ვნებითი გვარის ზმნებშიც. აქ „ძიება“ იმავე ბრუნვის ფორმით რჩება, როგორც იყო მოქმედებითში. მაგალითად: ვამხილე მას ცოდვსათს, იმხილა იგი ცოდვსათს და სხვანი (გვ. 95).

მაშასადამე, „მეორე ბუნებითი ძიების“ სახელით აღნიშნულ წევრს ვერ შევუფარდებთ ერთ რომელიმე ტერმინს, რომელიც დღეს წინადადების წევრთა აღსანიშნავად იხმარება. გაიოზის „მეორე ძიებაში“ იგულისხმება ხან ირიბი და ხან უბრალო დამატება, ხანაც ადგილის გარემოება და ა. შ.

მეორე თავში განხილულია „უფლისა“ და „ძიების“ ბრუნვები „უკანონო“ ზმნებთან. მათგან პირველ რიგში განხილულია „არსებითი ზმნა“ ვ არ და მისი „აღმავსებელი“ ვ იყავ. მათთან სუბიექტი („უფალი“) მუდამ სახელობით („წრფელობით“) ბრუნვაშია, ხოლო „ძიება“ ხან წრფელობითში დგას, ხან შემასმენლობითში, ხან მიცემითში და ხანაც სხვა ბრუნვაში (§ 190). როგორც მაგალითებიდან ჩანს, ვ არ-ვ იყავ ზმნათა „ძიებად“ გაიოზს მიჩნეული აქვს შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, რომელიც მართლაც სხვადასხვა ბრუნვის ფორმით წარმოგვიდგება.

შემდგომი თავი ეხება ზმნისა და სახელზმნის სინტაქსურ ურთიერთობის გაიოზის მიხედვით, როცა ორი ზმნა უკავშიროდ მოექცევა ერთად, მაშინ მეორე უპიროა და პირველს (პირიან ზმნას) დაუკავშირდება როგორც მისი „ძიება“. თავის მხრივ კი თვითონ ეს უპირო ზმნაც მოითხოვს „ძიებას“ (ობიექტს). გაიოზს მხედველობაში აქვს ასეთი მაგალითები: შეგუანდა აღსრულებად ყოველი წერილი, საქიროება დაადგინებს გამოცდად ყოველსავე, ჯერ არს დავიწყებად წყინებისა.

საწყისის ფორმით წარმოდგენილი ზმნის „ძიება“ შეიძლება იდგეს შემასმენლობითში ან ნათესაობითში; მაგალითად: ჯერ არს დავიწყებად წყინებისა ანუ წყინებად და სხვ. (გვ. 102).

ამავე თავში აღნიშნულია, რომ „მიმღეობა დაიქუსის სიტყუათა შინა მსგავსად ზედშესრულისა: სახელისა“. აწმყოს მიმღეობა ითხოვს თავის „საძიებო“ სახელისაგან ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, ხოლო ნამყოსა და მყოფადის მიმღეობა კი — მოქმედებითსა ან დაწყებით ბრუნვას (გვ. 103). მაგალითად, უფალი არს შემოქმედი ყოველთა, ღმრთისმშობელი არს მეოხი კაცობრივისა ნათესავისა.

ამით გაიოზი ამთავრებს სახელისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობის განხილვას და გადადის სახელთა შორის სინტაქსურ კავშირზე. სახელდობრ, IV თავში განხილულია ურთიერთობა („თანკმობა“) არსებით სახელებს შორის, არსებითსა და ზედსართავსა, მიმღეობასა, ნაცვალსახელს შორის.

არსებით სახელთა შორის სინტაქსური ურთიერთობის განხილვას გაიოზი იწყებს მსაზღვრელად გამოყენებულ არსებითსა და მის საზღვრულს შორის ურთიერთობით: „ოდეს ორნი არსებითნი სახელნი ანუ მეტნი დაუკავშირებულნი და დამნიშუნელნი ერთისა და მისჴმ პირისა ანუ ნივთისანი დაიდუნენ სიტყუათა შინა, მაშინ სათანადო არიან თანკმობად ბრუნვთა და რიცხვთა. მაგალითად, ქრისტე უფალი, ვახტანგ მგელ-ლომი, მდინარე მტყუარი, ქალაქი ტფილისი და სხუანი“ (§ 206).

ამრიგად, აქ ლაპარაკია ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებულ არსებით სახელზე, რომელიც შეეთანხმება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში. იქვე ავტორი შენიშნავს, რომ თუ ორი შეთანხმებული სახელი დაწყებითსა ან მოქმედებით ბრუნვაში დგას, ერთი მიიღებს ამ ბრუნვის დაბოლოებას, მეორე კი ნათესაობითის ფორმით წარმოგვიდგებაო. მაგალითად: კორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარამისაგან ქალწულისა (გვ. 104).

როცა ერთი და იმავე პირის ან ნივთის აღმნიშვნელი ორი ან მეტი სახელი უკავშიროდ არის შეერთებული (იგულისხმება მსაზღვრელ-საზღვრული), ამას გრამატიკოსთა მიერ „შეძინება“ ეწოდებაო, — აღნიშნავს გაიოზი და არჩევს შეძინების ორ სახეს: 1) მ ა რ ტ ი ვ ს, როცა მართო ერთი სიტყვა ემატება მსაზღვრელად (ქრისტე უფალი) და 2) ა დ ვ ს ე ბ ი თ ს (მაგალითად: ანტონი კათალიკოსი ყოვლად უსრულესი რიტორი) (გვ. 105).

§ 207 ეხება გენეტურ მსაზღვრელად გამოყენებულ არსებით სახელს. რომელიც საზღვრულის შემდეგ დგას. ამგვარი მსაზღვრელისათვის გაიოზი ხმარობს ტერმინს „განმათხვებელი სახელი“.

გაიოზს შენიშნული აქვს, რომ საზღვრულის შემდეგ მოქცეული გენეტური მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმასაც ინარჩუნებს და იმ ბრუნვის ნიშანსაც მიიღებს, რომელშიც დგას საზღვრული (მაგალითად: სიტყუასა



ღმრთისასა, სიტყუამან ღმრთისამან, სიტყუთა უფლისათა... მფრინჭმლნი ცი-  
 სანი და თევზნი ზღვსანი, ძეო კაცისაო, ძენო კაცთანო და სხვ.)

შემდეგ ავტორი გადადის არსებით და ზედსართავ სახელთა შორის სინ-  
 ტაქსური ურთიერთობის განხილვაზე. ისინი უნდა ეთანხმებოდნენ ერთმანეთს  
 რიცხვსა და ბრუნვაშიო, — აღნიშნავს გაიოზი (§ 210).

ზოგჯერ ერთ არსებით სახელს უკავშიროდ შეიძლება ერთვოდეს ორი ან  
 მეტი ზედსართავი სახელი (კაცი მდიდარი შემოსილი სამოსლითა ოქროსო-  
 ვილითა), ასევე შესაძლებელია რამდენიმე არსებითს ერთი ზედსართავი ახლ-  
 დეს, რომელიც ასეთ შემთხვევაში მრავლობითის ფორმით წარმოგვიდგება  
 (პეტრე და პავლე მოციქულნი ქრისტესნი).

ზედსართავები თავიანთი „განმათვისებელი“ სახელისაგან მოითხოვენ  
 ზოგჯერ მოქმედებით ბრუნვას (მაგ. ირაკლი არს ჩინებული სიმხნითა და ან-  
 ტონი მდიდარი სიბრძნითა), ზოგჯერ კი მოითხოვენ ნათესაობითს (ღამე ბნე-  
 ლი უმეცრებისა, დღე ნათლიერი მეცნიერებისა და სხვ.) (§ 211).

რაც ითქვა სახელისა და ზმნის ურთიერთობის შესახებ, იგი შეიძლება  
 გავავრცელოთ ნაცვალსახელზედაცო, — შენიშნავს გაიოზი. შემდეგ ნათქვა-  
 მია, რომ ნაცვალსახელი უნდა შეეთანხმოს იმ სახელს, რომელსაც იგი ცვლის,  
 რიცხვსა და ბრუნვაში, ხოლო ზმნას, რომელსაც იგი უკავშირდება, უნდა ეთან-  
 ხმებოდეს რიცხვსა და პირში (გვ. 108).

როცა ზმნის „უფლად“ გვევლინება ერთმანეთთან დაკავშირებული სხვა-  
 დასხვა პირთა ნაცვალსახელები, მაშინ ზმნა მათ მრავლობით რიცხვში შეეწ-  
 ყობა, ხოლო პირს ირჩევს „უპატიოსნებს“ (§ 214).

არსებითი, ჩვენებითი და მოგებითი (=პირის, ჩვენებითი და კუთვნილე-  
 ბითი) ნაცვალსახელები ეთანხმებიან სახელს რიცხვსა და ბრუნვაში. სახელთან  
 შეთანხმებული მოგებითი (=კუთვნილებითი) ნაცვალსახელები მუდამ ამ სა-  
 ხელის მსაზღვრელად („განმათვსებელად“) გვევლინება (§ 215).

მომდევნო თავში განხილულია თანდებულის, ზმნიზედის, კავშირის და  
 შორისდებულის ურთიერთობა სახელსა და ზმნასთან.

თანდებულები ერთიან სახელებს (არსებითებს და ზედშესრულებს), მიმ-  
 ლეობებს, ნაცვალსახელებსა და სახელზმნებს და ითხოვენ მათ მიცემითსა,  
 ნათესაობითსა ან წრფელობით ბრუნვაში (§ 223). არ არის შენიშნული, რომ  
 ზოგი თანდებული მოქმედებით ბრუნვას მოითხოვს. რაც შეეხება ვითარებითს,  
 იგი თვითონ თანდებულად არის მიჩნეული.

ერთ ზმნასთან დაკავშირებულ ორ უკუთქმით ზმნიზედას დამტკიცები-  
 თი ანუ დადებითი ზმნიზედის ძალა ენიჭება (მაგალ. „რამეთუ არა ვართ უკჭმ  
 ვითარცა მრავალნი არა სიწმიდით მქადაგებელ, ესე იგი არს: ვართ სიწმიდით  
 მქადაგებელ“ § 226).

წმასუნითი, განწჷლავითი, წინააღმდეგობითი და უკუთქმითი კავშირები  
 აკავშირებენ („გარდააბმენ“) ერთსა და იმავე ბრუნვაში მდგომ სახელებს და  
 ასევე ერთი დროის ზმნებს (§ 227). მაგ.: პეტრე და იოანე აღვიდოდეს ტაძ-  
 რად. ნუ სულმოკლეობ, ნუ მოუძღურდები, ნუცა დაქსნდები. იქვე ეს წესი  
 ფაქტიურად უარყოფილია: „ოდესმე წინააღმდეგომ ამისა იქცევიან კავშირნი,  
 ვინათგან არცა ჰმსგავსთა ზმნათა დროთა შინა და არცა ბრუნუათა გარდააბ-  
 მენ“ (გვ. 113). მაგ.: ვუწყი, ვითარმედ არარა მიქმნიეს ბოროტი შენთვის და არ-  
 ცა შემდგომად ვჰქმნა.

კავშირები რამეთუ, ხოლო, ამისათვის, უკეთუ იხმარებინა წინადადების დასაწყისში („დაისხმიან თავად სიტყვსა ანუ ჰაზრისა“: § 229) და ა. შ.

ცალკეულ მეტყველების ნაწილთა შორის სინტაქსური ურთიერთობის განხილვა მთავრდება შორისდებულებით, რომლებიც, გაიოზის აზრით, ითხოვენ ყველა ბრუნვას, გარდა დაწყებითისა და მოქმედებითისა (§ 230). მაგ.: ვაჟ, საიღუმლოდ მოქმედთა განზრახვსათა; ეჰა, მკნესა კაცსა; ოჰ! ცოდვსა სიდიდესა...

მომდევნო ერთი თავი ეხება კითხვა-პასუხის შეთანხმებას („თვს თანკმობისა კითხვსა მიგებისა თანა“). დასასრულ, უკანასკნელი ორი თავი („თვს კანონთა აღნაქუსთასა და პირაქშლად თვს ჳელოვნებითისა აღნაქუსისა“ და „თვს შეჭნიერებითისა აღნაქუსისა“) შეიცავს მარტივი და რთული წინადადების სინტაქსურ დახასიათებას.

გაიოზის განმარტებით, წინადადება ორგვარია — მარტივი და რთული: (§ 247). მარტივია წინადადება, რომელშიაც ერთი ზმნა და ორი სახელია (მაგ. უფალმან შექმნა კაცი), რთულია წინადადება, თუ ორი პიროვანი ზმნა უკავშირდება ერთმანეთს კავშირით, კჭლამოღებითი (=მიმართებითი) ნაცუალსახელით, ან სხვა საშუალებით (მაგ. მე ვჰსწერ და შენ აღმოიკითხე; იგი უჰმარ არს, რომელიცა თვთ თავსა თვსსა მისცემს სასჯელსა; ვითარცა დიდად ბრძენ იყუნენ ჳელმწიფენი, გარნა აქუსთ საპიროება შემწეობათა შინა).

წინადადების მთავარ წევრად გაიოზს ზმნა (ე. ი. შემასმენელი) მიაჩნია, „ვინადგან ზმნა თავით თვსით სრულ არს ჰაზრსა შინა და უპყრიეს ძალითად სახელნი, ესე იგი არს უფალი და ძიება“ (§ 248). „თვსებანი ზმნისანი, — განაგრძობს ავტორი, — ითხოვენ სხვათა და სხვათა ლექსთა სიტყვს ნაწილთასა განათლებისათვს ბუნებისა ჩუჭნისა და განმრავლებისათვს იდეათასა, რომელსაცა უწოდთ ჩუჭნ დაქუსად ლექსთა“. ეს „დაქუსა ლექსთა“ ანუ სიტყვათა შეწყობა ზმნასთან ხდება სხვადასხვაგვარად: ზმნას „დაქუსვის“ უფალი და ძიება (=სუბიექტ-ობიექტი), ზედშესრული (=ზედსართავი), მიმღეობა, განმათვსებელი (=მსახვრელი), თანდებული და ა. შ. სიტყვათა რიგის შეცვლა, რაიმეს დამატება ან დაკლება გაიოზს საზოგადო წესის დარღვევად მიაჩნია და ამიტომაც უწოდებს მას „ხელოვნებით აღნაქუსს“

„მარტივი აღნაქუსის“ სახეები („ნაკუჭთინა“) შემდეგია:

1) ძალითად ყოფა (ელლიპსის), ე. ი. ერთი ან რამდენიმე სიტყვის დაკლება-გამოტოვება და კავშირების გამოტოვება.

2) დამეტება (პლეონასმოს) — წინადადების გავრცობა. ამგვარი გავრცობის შედეგად მიღებულია ზოგჯერ მარტივი გავრცობილი წინადადება. ზოგჯერ — შერწყმული.

3) შეცუალება, ე. ი. სიტყვათა რიგის შეცვლა. აქვეა შეტანილი სიტყვათა განკვეთის ე. ი. ტემის შემთხვევები (როგორცაა: განსამეუჭუჭმევარდე-განგვარდე უკუჭ სამე); აგრეთვე მარცვლის დაკლება ან მომატება სიტყვაში (ამ უკანასკნელის მაგალითებად დასახელებულია ფორმები: ა, არი, არის, ხმარებული არს მეშველი ზმნის ნაცვლად) და სხვ. (§ 250).

რთული („პრთული აღნაქუსი“) ეწოდება ისეთ წინადადებას, რომელიც „იპყრობს თვს შორის ვპრცელთა და სავსეთა იდეათა“ (§ 252). იგი შედგება სხვადასხვა პერიოდებისაგან ანუ მუხლებისაგან. ეს პერიოდები შეიძლება იყოს ერთწევროვანი, ორწევროვანი, სამწევროვანი და უფრო მეტიც (§ 255).

გაიოზს მოჰყავს ერთ-, ორ- და მეტწევროვანი პერიოდების მაგალითები. შემდეგ კი განიხილავს „შუტწიერებით აღნაქჷს“. რომელსაც მისი აზრით მოეპოვება „კანონნი საზოგადონი და სათვთონი“. აქ ავტორი უფრო რიტორიკული თუ პოეტური მეტყველების წესების დადგენას ცდილობს, რასაც გრამატიკასთან უშუალო კავშირი არა აქვს, მაგრამ თავისთავად საინტერესოა, რომ გაიოზი განსაკუთრებით აქებს პეტრიწისა და რუსთაველის ენაშეგობას, ურჩევს მკითხველს, „სიტყუანი (=წინადადება), უკეთუ შესაძლებელ იყოს, ამს-გავსენ სიტყუათა პეტრიწისა, ეფრემისა და ანტონისთა“.

ერთი და იმავე ასოთა და მარცვალთა ხშირი ხმარება მოსაწყენიაო. — ისწავლება გაიოზი. საინტერესოა მისი ასეთი რჩევაც: „ნუ იტყვ, მე შემდგომად დავლიო, წარმოვიდე; არამედ: მე შემდგომად დავლევ, წარმოვალ, და სხუანი“ (§ 257). ჩვენი გრამატიკოსის აზრით, წინადადება უმჯობესია იწყებოდეს „ბრუნვლითა ლექსითა“ (=ბრუნვაში მყოფი სიტყვით), მრავალმარცვლიან სახელს უმჯობესია წინ უძლოდეს ერთმარცვლიანი სახელი (მაგალითად: ხე ნაყოფიერი, ცა ყოვლად შუტწიერი), არსებითსა და ზედსართავს შორის სასურველად მიიჩნევა ერთი ან რამდენიმე სიტყვის ჩართვა (დიდებულსა მის კაცისა შუტწიერ-სიტყუაობასა ვჰყუარობ მე). ზედსართავი წინ უნდა უძლოდეს არსებით სახელს, ზოგიერთი ნაცვალსახელი და რიცხვითი სახელები კი მოსდევნ მას. სრული წინადადება მეტწილად ზმნით ბოლოვდება, მაგრამ თუ ზმნასთან მრავალი სიტყვაა დაკავშირებული, მაშინ უმჯობესია იგი შუაში მოექცეს.

შინაარსის მიხედვით გაიოზი განასხვავებს შემდეგი სახის წინადადებებს: დამტკიცებითი, უკუთქმითი, კითხვითი, უკუთქმითი კითხვითი, განკვირებითი (§ 258).

ამით მთავრდება გაიოზის გრამატიკის II ნაწილი — სინტაქსი. ამრიგად, ამ ნაწილში გაიოზს განხილული აქვს წინადადება შინაარსის მიხედვით (დამტკიცებითი, უკუთქმითი და სხვ.), აგებულების მიხედვით (მარტივი და რთული), დახასიათებული აქვს სინტაქსური ურთიერთობა წინადადების წევრთა შორის. იგი წინადადებაში არ გამოყოფს სინტაქსურ ერთეულებს — ქვემდებარეს, დამატებას, შემასმენელს და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ მას მორფოლოგიური ცნებები ვადმოაქვს სინტაქსშიც და არკვევს ურთიერთობას მეტყველების ნაწილთა შორის (სახელსა და ზმნას შორის, სახელსა და სახელს შორის და ა. შ.).

გაიოზი არ იძლევა სინტაქსური ურთიერთობის სახეთა (შეთანხმება, მართვა, მიართვა) დახასიათებას, მაგრამ მისი მსჯელობისა და ტერმინოლოგიის მიხედვით მაინც შეიძლება განვასხვავოთ ორგვარი დამოკიდებულება სინტაქსურ წყვილთა შორის: ერთია შეთანხმება („ეთანხმავების“), მეორე — მართვა („დაექსაჷს“). რაც შეეხება მიართვას, სინტაქსური ურთიერთობის ამ სახეს ჩვენი გრამატიკოსი არ იცნობს.

\* \* \*

გრამატიკის უკანასკნელ (მესამე) ნაწილს შეადგენს მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები. მისი სათაურიც ასეთია: „მართლკითხვასა (პროსოდისა) და წერისათვის (ორთოდრაფიისა)“. ეს ნაწილი გაიოზის გრამატიკაში ყველაზე მოკლეა, სულ რვაოდე გვერდს მოიცავს (გვ. 135—143), შედგება ოთხი თავისაგან: 1) მართლკითხვასა, ესე იგი არს პროსოდისა, 2) თვის მართლწერისა (ორთოდრაფიისა) და პირაშტლად წერისათვის ასოთა ანუ წიგნ-

თასა, 3) თვს ნიშანთა სტრიქონთასა და ქარაგმათათვს, 4) თვს განყოფილებებისა წიგნისა.

მართლკითხვას გაიოზი ასე განმარტავს: „მართლკითხვა (პროსოდია) არს ნაწილი ღრამმატიკისა, რომელიცა ასწავებს ნამდვლსა გამოღებასა მარცჳალთასა“ (§ 259).

გაიოზს კარგად შეუნიშნავს ჩვენი ენის ძვირფასი ღირსება, რომ წერასა და მეტყველებას შორის სხვაობა არ არსებობს. და ამიტომ აცხადებს: «ქართულსა ენასა ბუნებითისა ძლით წმარებისა არა აქჳს საჭიროება დადებად კანონთა მართლგამოღებისა მარცჳალთასა, ვითარცა სხჳათა ენათა“ (§ 260). სხვა ენებშიო, — აღნიშნავს გაიოზი, — მარცვალთა თავზე ნიშნების დაუსხმელად ვერ მიხვდებით, თუ სად არის საჭირო ხმის ამალღება, ამასთანავე ბევრი სიტყვა ისეთია, რომ მახვილის მიხედვით თუ არ განასხვავე, მის ნამდვილ მნიშვნელობას ვერ გარკვევთ. ქართულში კი სიტყვებს მახვილი არ დაესმის და არც არის საჭირო, თუმიცა არასწორად ხმის ამალღება ყურისათვის უსიამოვნოაო. სწორი მახვილის ნიმუშებად ჩვენს გრამატიკოსს მოჰყავს: ღმერთი, მარიაჲ, პეტრე, ვაჳწერ, ვჳაღბებ („უგჳან არს და ურჩხ სასმენელთა შინა, უკეთუ ჳმა სხვათა გმოგინითა აჳკრას... მაგალითად: მარიაჲ, პეტრე, ვჳაღბებ და სხჳანი“).

გაიოზის შემდგომი შენიშვნა შეეხება გამოთქმის მკაფიობას: „მართლკითხჳასა შინა ჳერ არს დაცჳად, რაათა ასონი ურთიერთისა ჳმითა არა გამოიღებოდნენ, მაგალითად: ბ პარისა და პ ფარისა ჳმითა და ვ ნაცჳლად უ და ვესა, არამედ ყოველნი თვსითა საკუთარითა ჳმითა გამოიღებოდინ ბავით შესაბამითა მოძრაობითა და არა მჳირსედ და არცა მჳისედ“ (§ 260). ამასთან დაკავშირებით გაიოზი მიუთითებს, — იხილე დიდი გრამატიკა ანტონისაო.

გამოთქმის მკაფიობას ეხება მომდევნო პარაგრაფიც, სადაც გაიოზი მოითხოვს: „რაათა კითხჳასა შინა ლეჳსთა არა მოეჳჳებოდნენ მარცჳალნი და სხვსადმი ლეჳსისა არა შეერთდებოდნენ, რომელიცა მსმენლისა ჳაზრსა ყოვლითურთ აღრევს, მაგალითად: სიტყჳასა მოციჳულო მღრთისასა მსახურებდი, და არა — სიტყჳა სამოციჳულო ღმრთისასა ჳმსახურებდი“ (§ 261).

„მართლწერა ასწავებს კანონიერსა გამოხატჳასა წერით ასოთა, მარცჳალთ, ლეჳსთა და სიტყჳათასა“ (§ 262). აქ შედის მარცვალთა და სიტყვათა გადატანის წესები, სტრიქონთა და ქარაგმათა ნიშნები, წიგნის სხვადასხვა ნაკვეთების დაცვა და სხვ.

მართლწერის წესებიდან გაიოზი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ასომთავრულთა ხმარების საკითხზე: წიგნის მუხლები ან პერიოდები (=აბჳაცები), ხოლო ლეჳსის ყოველი ტაეპი უნდა იწყებოდეს ასომთავრულით (§ 263). ასომთავრულით უნდა იწყებოდეს აგრეთვე საპატიო პირთა („მაღალთა გჳამათა“) სახელები და მათი შემცვლელი ნაცვალსახელები, საერთოდ — საკუთარი სახელები (§ 264).

მომდევნო თავში განხილულია სასვენი ნიშნები და ქარაგმები და მოკლედ ჩამოყალიბებულია მათი ხმარების წესები. უჳანასკნელ — მეოთხე თავში აღნიშნულია, რომ წიგნი იყოფა ნაწილებად, თავებად, პარალრაფებად და მუჳლებად (=აბჳაცებად), განმარტებულია, თუ რას წარმოადგენს თითოეული ამთავანი (§§ 279—283).

ასეთია ზოგადად გაიოზის ქართული გრამატიკის საერთო სახე და იმ საკითხების წრე, რომელთაც იგი მოიცავს.

## რეალურ პრესტაჟის თხზულებათა ენის ზოგიატო თავისებურება

ლ. იორდანიშვილი

(წარმოდგინა აკად. ა. რ. ჩიქობავამ)

ზრომის მიზანია რ. ერისთავის თხზულებათა ენის შესწავლა. ვეცადეთ გვეჩვენებინა ის თავისებურებანი, რაც რ. ერისთავის ენას ახასიათებს სალიტერატურო ენასთან შედარებით და, აგრეთვე, გავევრკვია საიდან მომდინარეობს ეს თავისებურებები: დიალექტიზმია, არქაიზმი, თუ სხვა რიგის მოვლენა.

კვლევის შედეგად შევნიშნეთ ორგვარი დიალექტიზმები: ერთი რიგი დიალექტიზმები ავტორს ბავშვობიდან აქვს შეთვისებული მშობლიური კილოდან — კახურიდან და ბუნებრივია მისთვის. მეორე რიგი დიალექტიზმებს წარმოადგენს ქართულის სხვა კილოებიდან აღებული მასალა.

რ. ერისთავი დიალექტიზმებს მოხერხებულად იყენებს ენის გამდიდრების წყაროდ.

არქაიზმების ახსნისას დგება კითხვა მათი წარმომავლობის შესახებ. არქაიზმების ერთი წყება დიალექტურია. იგი მთის კილოებიდან — თუშ-ფშავ-ხევსურულიდან მომდინარეობს, სადაც სალიტერატურო ქართულისათვის არქაიზმად მიჩნეული ფორმები ცოცხლად არის შემონახული. ასეთი არქაიზმები გვხვდება პერსონაჟთა მეტყველებასა და ზოგჯერ ავტორის ენაში, კერძოდ კი ფშავურ კილოზე დაწერილ ლექსებში. მეორე რიგი არქაიზმებისა გვხვდება ისტორიულ პოემა „თამარიანში“. — ავტორი აღწერს რუსულანისა და ლაშა გიორგის ხანას და ცდილობს ამ ეპოქის შესაბამისად ძველი ქართული ენობრივი ნორმების დაცვას ლექსიკასა და გრამატიკულ წყობაში.

რ. ერისთავის თხზულებათა ენაში გვხვდება ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური დიალექტიზმები და არქაიზმები. უმრავლესობა დიალექტური ფორმებისა, რომლებიც რ. ერისთავის თხზულებებში შევნიშნეთ, დღესაც ცოცხალია სათანადო კილოებში.

### ფონეტიკური თავისებურებანი

რ. ერისთავის ენაში შეიმჩნევა მრავალფეროვანი ბგერითი ცვლილებები: ასიმილაცია, დისიმილაცია, ბოლოკიდურ მჟღერ თანხმოვანთა დაყრუება, ბგერათა დაკარგვა, მეტათეზისი, კომპლექსთა მონაცვლეობა, რედუქცია. ფორმათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზოგი ფონეტიკური მოვლენა ერთნაირად შეინიშნება როგორც ავტორის თხრობაში, რემარკებსა და კერძო წერილებში. ისე პერსონაჟთა მეტყველებაში.

**ასიმილაცია.** რ. ერისთავის ნაწარმოებების ენაში ასიმილაციას განიცდის როგორც ხმოვნები, ისე თანხმოვნები. ბგერათა დამსგავსება ძირითადად რეგრესული ხასიათისაა, იქნება იგი კონტაქტური, თუ დისტანციური.

**ხმოვანთა ასიმილაცია.** ხშირია ხმოვანთა რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის შემთხვევები. ვნებითის -ე- იმსგავსებს ზმნისწინისეულ -ა და -ო ხმოვნებს<sup>1</sup>:

სილა გვერტყა მწვაია II,52,20<sup>2</sup>; დეერეცენენ. ვით თხებს მგელი I,79,27; აწკეთორიე, თორემ ციზბირში ვიტუსამ თავსაო! III,129,1; მზევაბუე მუეხვევა სერგოს. III,101,14; ძლიერ რომ შეერევათ სენი, რას უხამთ? IV,196,25.

ზმნისწინის ხმოვნის ასეთი ცვლილება დადასტურებულია კახურში<sup>3</sup>, ქართლურში<sup>4</sup>, ფერეიდნულში<sup>5</sup>, რაჭულში<sup>6</sup>.

სხვა შემთხვევებში ფუძისეული -ა ბოლოხმოვანი ასიმილაციას განიცდის მრავლობითობის -ებ ფორმანტის ე-სთან მეზობლობაში

იქ რომ არ არის ამისთანა ენები III,125,15; რეებს შეუბნები? III,142,25; გკონია იმისი გარემოებებზე IV,401,3; ოქროს ლიფლიფანეები აქვს გაკეთებულა IV,394,4; შე აქ ვეგულები და ის კი დამურეებს დასდევს IV,384,4.

**თანხმოვანთა ასიმილაცია.** თანხმოვანთა ასიმილაცია გვაქვს ნაწილობრივიც და სრულიც. დამსგავსება ხდება წარმოების ადგილის მიხედვით. ხშირია სპირანტთა რეგრესული გამყდრება, ყრუს გამკვეთრება მეზობელი მკვეთრის გავლენით, სისინას მიერ შიშინას დამსგავსება და ა. შ.

ნაწილობრივი რეგრესული და კონტაქტური ასიმილაცია დასტურდება სიტყვებში:

რას აზდის კორიანტელი? I,72,4; მაგას უბედურება მოზღვესო ავტოგრ. 122; ვინ ეხვეწებოდა ეგ პირობა დაზღეო! IV,271,5.

გ-ს მეზობლობაში ყრუ თანხმოვანი ს მკლერდება:

ოტა მიმზგავსებოთ ავტ. 146; იმისი მზგავსი ბაღალი, აბა სხვა მეფე თუ არი? II,79,12; „თამარიანი“, 1887 წ.

<sup>1</sup> საანალიზოდ გამოვიყენეთ ავტოგრაფები (დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ევკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, რ. ერისთავის საარქივო ფონდში), ხოლო მითითებები წარმოდგენილია ობსტომეულის მიხედვით (რ. ერისთავის თხზულებათა ობსტომეული, შ. რადიანის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით: I ტ. „ლექსები“, 1935 წ.; II ტ. „პოემები“, 1936 წ.; III ტ. „მოთხრობები და სცენები“, 1937 წ., IV ტ. „დრამატული ნაწერები“, 1938 წ.).

<sup>2</sup> მითითებისას პირველი ციფრი აღნიშნავს თხზულებათა ტომს, მეორე — გვერდს, მესამე — სტრიქონს.

<sup>3</sup> არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956, გვ. 35.

<sup>4</sup> ე. თოფური, ქართლური, არილი, 1925, გვ. 131.

<sup>5</sup> არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტფილისის უნტ-ის მოამბე, VIII, 1927, გვ. 207.

<sup>6</sup> შ. ძიძიგური, ქართული ენის მთარაქული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიმკის მოამბე, II, 1938, გვ. 72.

მრავლობითი რიცხვის პირველი ობიექტური პირის პრეფიქსიული გ- და მხოლოდითი რიცხვის მეორე პირის ობიექტური პრეფიქსი გ- მომდევნო ყრუ ფშვინევიერებთან მეზობლობაში ქ-დ არის ქცეული:

ქ თ ხ ო ე თ მე მომცეთ IV,27,5; ცოლს ვინ მოქცე მსო! III,138,16.

სიტყვებში მოახწია (—მოღწია), მოახწევს (—მოაღწევს) დ ღრუე- დება წ-სთან მეზობლობაში და ხ-დ იქცევა:

ზუნება ჩვენამდინაც მოახწია III,180,23; სამი დღე უნდა, მანამ თბილისში მოახ- წევს. III,149,10.

რეგრესული ასიმილაციით არის მიღებული პტყლათ—ბრტ+ლათ- დან. სიტყვა ბრტყლათ-ში სონორი რ იკარგება, გვრჩება ბტყლათ, შემ- დგომ ბ ტ-ს მეზობლობაში მკვეთრდება, რის შედეგად ვიღებთ პტყლათ ფორმას:

შესაბა ხმა-პტყლათ IV,15,1; პტყლათ ლაპარაკობს ბატონო III,81,19; შენ თუ ვერ გააპტყელე III,52,17; მიწაში ჩაწყობილია პტყელი ქვები... ავტოგრ. 322.

გვხვდება სრული რეგრესული დისტანციური ასიმილაციის შემთხვევები: ძ—ც:

ისე მოექცა... როგორც მცარცველი II,142,25; ჩემი გამცარცველი IV,318,20 ძ—წ: თოვლ-ყაპში დაწარწიან I,138,8; დაწარწის ბნელში I,216,5; ხ—ც: ხელცა- ხოცი შუბლს წაუტრავს I,119,17.

დისიმილაცია. პროგრესული დისტანციური დისიმილაციის შემთხვევებ, რ ბგერაზე მოდის. ერთ ფუძეში ორი რ ვერ ძლებს და ერთი მათგანი ლ-დ იქ- ცევა ხოლმე, მაგ:

თრლი—ორ-ორი რ—რ—ლ: თითო-თროლა ყანში დალიეთ IV,162,5; სეკ- ლეტარმა მოგნათლაო IV,325,10; მე არაფელი მოზმე ვახლავართ III,180,17.

დისიმილირდება აგრეთვე ნ-ნ წყვილი, ჩვეულებრივ ლ-ს საშუალებით ნ-ნ—ლ-ნ:

ეს როგორი კალონი და სამართალი! III,127,22; ოსმალები არიან, თუ ლემენცე- ბი? IV,54,27.

მუდერთა დაყრუება სიტყვის ბოლოკიდურში. ხშირია სიტყვის ბოლოკი- დური ბ და გ მკლერი თანხმოვნების დაყრუება. ამ შემთხვევაში ბ თემატური ნიშნების -ებ, -ობ, -ის, ან მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი სუფიქსის -ებ- ის კომპონენტია: ა) თემატური ნიშნების ბ-ს დაყრუება: ებ—ეფ:

საპონს ავაქაფეფ! IV,54,22; ძალსაც ვერ ააყეფეფ III,148,14; ობ—ოფ; ხვალ შეიტყოფ! IV,294,10; ვერას გააწყყოფ! IV,270,29.

ბ) მრავლობითის სუფიქსის ბ-ს დაყრუება: ებ—ეფ:

ჩაპვარდნათ ხელში ზარაფებსა IV,393,5; ცხელ ქვეყნეფში კრეფა იწყობა მკათათვის ვასულს ავტოგრ., 160.

მსგავსი მოვლენა დასტურდება ქართლურში<sup>8</sup>, კახურში<sup>9</sup>, ქვემო იმერულში<sup>10</sup>.

**ბგერათა დაკარგვა.** რ. ერისთავის ნაწარმოებებში გვხვდება ბგერათდაკარგვის სხვადასხვა სახე. ბგერა იკარგება სიტყვის ძირში და მაწარმოებელ აფიქსებში. უმთავრესად იკარგება სონორი თანხმოვნები:

ვ იკარგება **ო** და **ი** ხმოვნებთან მეზობლობაში. ეს მოვლენა დასტურდება როგორც პერსონაჟთა მეტყველებაში, ისე მწერლის ენაში.

ვ იკარგება მამინ, როდესაც წინ უსწრებს **ო-ს**:

ვაზუმი, შე უ რ ც ხო! IV,274,12; რათ ავეყე შიშა ს ა ი ქ ს... II,42,32.

ვ დაკარგულია ი ხმოვნის წინ:

მე თ ი თ ო ნ მოვახსენებო... IV,237,3;... ივანე ათაბაგსაც ბერი გული გაუღიოთ! „თაბარიანი“, 1887 წ., II,107,20.

ვ არ იხმარება შემდეგ ხმოვნებს შორის:

ივო—იო: ქ ე რ ი ო ბ ა II,47,15.

ავო—აო: ი თ ა ო ს III,237,27 „ნინო“ ვარიანტები; პ ი რ შ ა ო IV,275,14.

ოვე—ოე: ა თ ხ ო ე ბ ს IV,386,20; გ ა თ ხ ო ე ბ ა IV,30,18; ვ ა თ ხ ო ე ბ IV,225,14.

ოვა—ოა: გ რ ო ა III,137,27.

უვა—უა: უ ა რ გ ა IV,311,9.

ოვო—ოო: უ დ რ ო ო თ III,10,14.

ვ დაკარგულია ნ, რ სონორებთან:

მკერვალი თუ გამოგზანა ვასომ IV,236,11; ძვირათ აფასებენ დალახრულები II,97,33.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ვ ქართულში არ არის მყარი ბგერა. იგი ხშირად იკარგება თითქმის ყველა კილოთქმაში, როგორც ბავისმიერთა მეზობლობაში, ისე სხვა ფონეტიკურ გარემოში<sup>11</sup>.

ბგერათა დაკარგვა ხდება უმთავრესად ისეთ ფონეტიკურ კომპლექსებში, სადაც რამდენიმე თანხმოვანია თავმოყრილი:

**ზრდ კომპლექსში** დაკარგულია ხან **ზ**, ხან **რ**:

შენ გარდას შედი ოთახში IV,334,16; შენმა გარდამა III „ნინო“ ვარიანტ. ზ დ ი და ანებიერებდა III,19,9; ჩემს გაზდილს ნატოზე ვლაპარაკებ IV,402,23.

**ბრძ—ბძ**: მიბძანე, რა გაწყენინე ბედშავმა! I,185,21; კოშკში აბძანდა ილია II,30,11; შენ ვაბძანდი აქედან! II,35,27; მობძანდეს ბიძია, მობძანდეს! IV,374,22.

**გრძ—გძ**: მოგრძო სკამეიკა დგას IV,5,7; მოიტა გძელი პერანგი IV,194,12; კნიაზი აღდეგძელი IV,237,11.

**ფრთბ—ფთბ**: ფთხილათ შამოიყვანე! IV,201,24; სტუმრები არ დაგიფთხენენ IV,173,7; სულს გააგაფთხობინებ IV,S5171a; ხალხი არ ჰყვანდეს დამთხალი I,205,6.

**ხრჩ—ხჩ**: მან ვანგიწესათ დახჩობა II,120,18; რაღაცა ახჩობს ნათლიას I,217,5.

<sup>8</sup> ვ. თ. ფურია, ქართლური, არილი, 1925, გვ. 137.

<sup>9</sup> არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, 1956, გვ. 52.

<sup>10</sup> ქ. ძოწენიძე, ქვემო იმერულის უხუთური მეტყველება, აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 55.

<sup>11</sup> არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 57.



ყრმ—ყმ: სიყმე ნუ მოგიკვდება! IV,73,14; მე და ჩემმა სიყმემ. IV,99,12.

მორ—მთ: მოგვეცე, უფალო, ჯანი, სიმთელე I,138,31.

ბრქ—ბჰ: აღებს... უქებენ ბჰყალბსა... I,169,24.

ღრძ—ღძ: ნათლიდედას ხელი ეღძო თონეში... I,212,18.

**რ დაკარგულია შემდეგ სიტყვებშიც:**

ყურიც არ შაიბეტყა! III,159,14; ორი ღღის ალო მერგება მე ჩემი ქინახული-სა ავტოგრ. 37. I,197,12.

თანხმოვანთა კომპლექსების გამარტივება რ-ს დაკარგვით დასტურდება კახურსა<sup>12</sup> და ქართლურში<sup>13</sup>.

**რ ბგერის გარდა, ზოგ შემთხვევაში იკარგება სხვა სონორები: ნ, ლ, მ.**

**ნ დაკარგულია -ლა ნაწილაკდართულ ვინ კითხვით სახელში:**

ალაზადე ვილა არის IV,394,9; ვილა დაგიტკობს მტკიანს სულს? I,253,4; ეს ვილა ოხერია? IV,388,20.

**ლ დაკარგულია შემდეგ მაგალითებში:**

მინდოდა ყიდვა მეწვრილ მანქები დგან... III,97,33; ასე ჩემო ღიდებულო ხემწიფე! IV,400,32.

**მ იკარგება სიტყვის თავში და შუაში.**

ღვდელს საწირავდ მიათვი I,173,9; მე ვაშვეენებ ყანასა I,236,6; შე გულ-კვდარო! IV,385,25.

ნშირია ბოლოკიდურ მ-ს დაკარგვა უფორმო სიტყვებში, კავშირებსა და ნაწილაკებში:

რომ—რო: ურმები რო შამოგაწერეს III,97,5; პურიც რო გვაქვს და ღვინოც III,74,7.

რატომ—რატო: რატო შენ ქალს არ მისცემ? III,84,4; თედუა რატო არ გაგზავნა? III,129,9.

**გ-ს დაკარგვა შეინიშნება „მაგრა“ კავშირში როგორც მწერლის, ისე პერსონაჟის მეტყველებაში:**

მარამ ვამე, ბეჩავს... III,55,6; მარამ, რათ მკლამს, ჩემს გულსა, ცეცხლი რაზედ ღარია? III,54,1.

**ს ბგერის პოზიცია კახურში შერყეულია. მისი დაკარგვის და დასუსტების პროცესები საკმაო სისრულით არის გამოსახული კახურსა<sup>14</sup> და ქიზიყურში<sup>15</sup>. ეს მოვლენა კარგად აისახა რ. ერისთავის ენაში:**

1. **ს დაკარგულია ვის ნაცვალსახელში -ზე თანდებულის დართვისას:**

ვიზედ იწერს ჯვარსა III,13,26.

2. **კომპოზიტში იკარგება პირველი კომპონენტის ნათესაობითი ბრუნვის ს თანხმოვანი:**

ნეტა თუ გუთნიღვდასაც ჩვენსავით ელხინებისა? I,228,25; კი ოჯახიშვილი იყო IV,227,22; ეს სიტყვები ბიძითქვენის ნაბანებია IV,373,22.

<sup>12</sup> არნ. ჩიქობავა, გარე კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, 1925, გვ. 69.

<sup>13</sup> ვ. თოფურია, ქართლური, არილი, 1925, გვ. 131.

<sup>14</sup> არნ. ჩიქობავა, გარე კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, 1925.

<sup>15</sup> არნ. ჩიქობავა, ს ბგერის შესუსტება ქიზიყურში, ენიშვის მოამბე, I, ტფილისი, 1937.

3. დაკარგულია მესამე სუბ. პირის ნიშანი ს ა რ ი ს ზმნაში:

ეს ვილა ა რ ი? IV,405,7; ე რ ოგ ო რ ა რ ი, ვერ მივხვდი I,178,3; ჩემი მკვლელი და მომ-  
რჩენის ა რ ი I,19,10.

რ. ერისთავის თხზულებებს შემოუნახავს დიდ დე და და დე ი და სიტყვების ევოლუციის ერთი საფეხური დიდი დე და და დე დი და ს სახით:

ერთი დე დი და გამომჩენია IV,42,3; დე დი და ვ. ჩვენ მეორე ოთახში გავიდეთ!  
IV,52,8; დიდი დე და მ არა ქნა... IV,82,14.

მთელ რიგ ნასესხებ სიტყვაში ხმოვნების წინ დაცულია მ. ასე, მაგალითად:

ალექსანდრეს ფიქრი და მ ა ზ რ ი აღარ ემსახურებოდნენ III,9,35; ახლა კიდეც მ ა მ-  
ფ ს ო ნ ე ბ ი გამოუნდნენ IV,392,17; შენც მ ი ნ ა დ ი გასწიე, უკაბზე შედექ IV,392,13; ზამ-  
თარშია მ ი ნ დ ო უ რ ი, ზაფხულშია აქაური I,116,8; ჯერ მ უ ნ ა რ ი ნაჩვენებ IV,231,2 მოვ-  
დივარ ჩემი მ ა მ ქ რ ი თ ა I,213,23.

რადგან ყველა ეს სიტყვა უცხო წარმომავლობისაა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ავტორი შეგნებულად ინახავს მ-ს ხმოვნების წინ.

**ბგერის განვითარება:** რ. ერისთავის ნაწარმოებებში დასტურდება სონორების მ, ნ, რ, ლ ან ზოგიერთი სხვა თანხმოვანი ბგერის განვითარება:

მ ე მ ც ხ ე ა რ ე ს წაყვები IV,224,9; ჩამოკიდებულია დ ი მ მ ლ ი პ ი ტ ო III,43,22; საქარ-  
თელოს ს ა მ მ ზ ღ ვ ა რ ი იყო ტ რ ა პ ი ზ ო ნ ა მ დ ის... ავტორ. 150.

ნ განვითარებულია შემდეგ მაგალითებში:

ან გ რ ე იყს IV,67,12; უნდა მოაცილოთ ქ ი ა ნ ყ ე ლ ე ბ ი ავტორ. 160.

ვ გაჩენილია ნ-ს მეზობლად:

ისე მტყიედ დეკონე, ვით ფთალო ჩ ა წ მ ა ხ ე ნ უ ლ ი! I,12,9; სტუმრები კ ი არ და  
გ ი ფ თ ხ ე ნ ე IV,173,7.

**თანხმოვანთა მონაცვლეობა.** მონაცვლეობენ ბგეროვნობით მსგავსი, ფი-  
ზიოლოგიურად მონათესავე წარმოების ბგერები.

კბილბაგისმიერ ვ-ს ენაცვლება წყვილბაგისმიერი მ სიტყვის ფუძეში:

ვ—მ:

დახე, ჩვენი ქალაქი... კინტოებით გამსილა IV,379,29;  
აქ კოკის ა ს ა მ ს ე ბ ი წყალი ვერსად გვიშოვნია... III,136,12;  
სა მ ს ე მ ი თ, ვაღდებრძელოთ კესარი! I,118,16; ავტორ. 94.

ამ მონაცვლეობის შედეგად ზოგ სიტყვაში მ იმდენად დამკვიდრებულა, რომ უკვე ფუძისეულად არის მიჩნეული<sup>16</sup>.

ვ-ს ენაცვლება მ ზმნის თემატურ სუფიქსებში:

დასწერენ, დაბეჭ და მ ე ნ... IV,97,10; მეზობელს ხელს არ გაუშარ თ ა მ თ III,98,15  
ერთმანეთს ენაცვლება ნაზალური თანხმოვნები: მ—ნ, ან პირიქით ნ—მ.

მბ—ნბ: ეს ა ნ ბ ა ვ ი არავინ იცოდა III,36,4; დიანბეგათ ვიყავი IV,70,33; ახალუხი  
ხამისაა, უ ბ ა ნ ბ ო თ შეკერილი ავტორ. 322; დ ა ი ნ ა ხ ს ო ვ რ ო ნ მნიშვნელობა იგავ-არა-  
კისა... იგავ-არაკ. წინასიტყ. 1881 წ.

ნო—მო: სა მ თ ლ ი ს ც უ ლ ი ხ ე ლ შ ი მიეცი III,154,10.

ნღ—მღ: „თქვენ ნახვას მ დ ო მ უ ლ ო ბ ს ო“ III,29,16.

<sup>16</sup> არ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ვარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, აპრილი, 1925, გვ. 65.



გვხვდება მედერი სპირანტების შენაცვლების შემთხვევები:

ზღ—ჟღ: დაიკარგე! ლაქლანდარავ: IV,49,14 „პარიკმახერისას“, 1880; ლაქლანდარები ყოფილხართ IV,50,4 „პარიკმახერისას“, 1880 წ.

**მეტათეზისი.** სონორული თანხმოვნები ადგილს იცვლიან, როგორც უშუალო, ისე შორეული მეზობლობის დროს:

ჭალათის ხ ლ მ ის მეტი ვეღარ იხსნიდა რა.. ავტოგრ. 121; რად ვარგანანო ეს საქრ-მოებში I,328,30.

მ-ს მეტათეზისის შედეგად მიღებულია ავად მ ყ ო ფ ი ს ავან—ავამ დ ყ ო ფ ი. ამ უკანასკნელში დ-ს ყ-სთან ნაწილობრივი ასიმილაციით მიღებულია ავამ ტ ყ ო ფ ი:<sup>17</sup>

აბა, ახლა ჩვენი ავამ ტ ყ ო ფ ი ვნახოთ... IV,201,16.

ღმთ ძირში მ-ს გადასმითაა მიღებული სამღთო—სადმთო—სადმროთ?<sup>18</sup>

საღმთო გინა საერო წიგნები ყველასა აქვს III,47,32.

იგივე ღმთ ძირში მ-ს მეტათეზისის და ვ-ს გაჩენის შედეგია: მღვთის—მღთის—ღმთის—ღმრთის—ღმერთის: ძეო მღვთისაო! II,119,4.

მეტათეზისი ახასიათებს ბგერა ვ-საც:

ჩემი მოწამელა მოინდომა IV,485,11; მიშხაშვენ სისხლსა, მიწამელენ, — ვით უძლე მათთა ძალეზსა? I,252,5.

ამ მაგალითებში ჯერ -ავ-ის ა ხმოვანია ამოვარდნილი, შემდეგ გადასმულია ვ მიწამელენ—მიწამელენ—მიწამლავენ.

ცნობილია, რომ ვ-ს მოსდის მეტათეზისი, ნარნარა ლ-სთან მეზობლობაში.

ვ-ს გადასმითა და ს-ს გამჟღერებითაა მიღებული მ ვ ზ ა ვ ს ი—მ ვ გ ა ვ ს ი—მ ს გ ა ვ ს ი—დან:

იმისი მ ვ გ ა ვ ს ი, ბადალი, აბა სხვა მეფე თუ არი? II,79,12; „თამარიანი“, 1887 წ.

ეს ხალხი არა არს მ ვ გ ა ვ ს ი არა რომელსამე სხვის ნათესავისა... ავტოგრ. 322.

რ. ერისთავის ნაწარმოებებში დადასტურებულია ბგერათკომპლექსთა უკვილებანი, რომელთაგან საყურადღებოა შემდეგი:

ვა→ო.

წაუხსომს ლოყებზედ პუღრს IV,55,6; უჟაცრაოთ, მეთხველნო! III,125,20; ერთი ბეწო დაგვადეთ... III,52,38; გადმოსო გოგონა I,137,5.

გვხვდება ისეთი მაგალითები, რომლებშიც ვა არ იძლევა ო-ს:

თვარემ გული ქართველისა... მალე პერილდება... ავტოგრ. 157; შიგნუ ჩავწვამთ, ცოდვა არის... I,125,6; ნათქვამია: „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო...“ III,127,14.

ვა-ს ო-თი შეცვლა განსაკუთრებით გავრცელებულია მთის კილოებში, აგრეთვე გვხვდება: ფერეიდნულში, ინგილოურში, ნაწილობრივ კახურსა და ქართლურშიც:

17 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 205.

18 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 96.

19 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 358.

ეა—ია:

მე კი პატარახან ვავალ და ისევ გიახლებთ IV,332,7; ეს ცნობა შალვას იამა... II,32,7; ათასი მანათი, რომ მოცათ... ისე არ მიამებოდა IV,260,25.

ეა კომპლექსის ია-დ გადაქცევა დადასტურებულია ძველ ქართულში<sup>20</sup> და აღმ. კილოებში კახურსა<sup>21</sup> და ქართლურში<sup>22</sup>.

შტ—სტ:

უდროთ სიყვარულის გამოცხადებამ ასე გაასტერა და გააბრუა III,10,14; გრიგოლ გასტერებულ ი... ავტოგრ. S5171 გ, IV,27,16; მარია კუთხეს დაასტერდებდა და გაიცინებს... ავტოგრ. S5171 გ.

სკ—შკ:

სამარეს მითხრი უძიროს, ქვეშენელში დასამალათა I,99,9 „თამარიანი“ 1887 წ. შენ თუ ვინდ ჯანი ვაგვარდნოდა!.. თუნდ ქვეშენეთ ვაგველო! IV,345,5; რა მაშკარათი გაუმართამო! IV,59,3.

შტ—სტ და სკ—შკ კომპლექსთა ცვლა შენიშნულია ქართლურსა<sup>23</sup> და კახურში<sup>24</sup>.

უფის შეკუმშვა. -ავ თემის წიშნაინი ზმნები მრავლობითი რიცხვის აწმყოში -ენ სუფიქსის დართვისას ჰკარგავენ -ავ-ის ა ხმოვანს:

რიგი მიაქვთ საძენ ურმით, რიგსა ჰლეწვენ სოფელშია I,120,6. შავნი სევდანი... მიშხამვენ სისხლსა, მიწამღვენ I,252,5, ავტოგრ. შპ.

ეს მაგალითები ლექსებიდანაა ამოღებული. ამიტომ ხმოვნის დაკარგვა შეიძლება მარცვალთა რაოდენობის დაცვის საჭიროებით აიხსნას.

ანალოგიური ახსნა ექნება რედუქციას შემდეგ სახელებშიც:

შალვასკენ შავი წამწმები დარაზმა II,37,30; ფარულადვე ჰღვრიდა ცხარს ცრემლსა! I,258,12; მე გაჩუქებო ქოფკის ლეკვებსო I,327,11.

თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმის მიხედვით სიტყვა „ქართველი“ ჩვეულებრივ არ იკუმშება (ქართველის, ქართველები), თუმცა ბოეზიაში გამონაკლისის სახით შეკუმშულადაც გვხვდება<sup>25</sup>. მაგ. „ქართველის დედა“ (ი. ჭავჭავაძე) რ. ერისთავსაც შეკუმშულად აქვს წარმოდგენილი:

ქართველის ჯარებსა... II,16,10; ქართველის ქალი... ისევ ჩვენზედ ივალაღებს II,17,19; გამრავლდეს ჩემი მკითხველი, მიგრძობდეს ქართველისა ერისა... I,205,23.

რ. ერისთავის მიერ სიტყვა „ქართველის“ შეკუმშულად ხმარება შეიძლება კახური კილოს გავლენითაც აიხსნას. როგორც ა. შანიძე აღნიშნავს: ქართლსა და კახეთში ჭერ კიდევ შეიძლება გაიგონოს კაცმა ისეთი ფორმა როგორიცაა „ქართველის“<sup>26</sup>.

<sup>20</sup> Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925, გვ. 58.

<sup>21</sup> არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, 1956, გვ. 50.

<sup>22</sup> გრ. იმნაიშვილი, არაგვის ხეობის ქართლური, იბერ.-კავკ. ენათმეც. ტ. IV, 1952.

<sup>23</sup> ვ. თოდუროია, ქართლური, არილი, 1925, გვ. 137, 138.

<sup>24</sup> არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

<sup>25</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის, 1941, გვ. 20.

<sup>26</sup> ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადულო, 1924, I—II, გვ. 8.



საანალიზო მასალაში, ზოგ შემთხვევებში მოსალოდნელი ფუძეკუმშული ფორმების გვერდით ფუძეშეუკუმშავიც გვხვდება;

ა არ იკუმშება:

თქვენზედ აპირებს ჯვარის წერას! IV,387,19; მიირთვი! ზოგი ყვარულია, ზოგი წინა დალური IV,455,19; არაყით სავსე ქვაბები III,77,7; ჩენი ბოსტანისაკენ III,129,28; იყურება ფანჯარიდამ IV,379,9 ავტ. რემარკა.

ე შეუკუმშავია:

მეზღვენე გახლავს... IV,107,12; ფშაველების თემი III, 77,5 ავტ. რემარკა.

ო შეუკუმშავია შემდეგ მაგალითებში:

კოკორები ამოუვა ავტოგ. 160; შემოდის გიგო სასაბონეთი IV,55,2.

აქ დამოწმებული სიტყვების ურელუქციო ფორმები ქართული სალიტერატურო ენისათვის ბუნებრივი არ არის<sup>27</sup>.

რ. ერისთავთან სხვა შემთხვევებში იგივე სიტყვები შეკუმშულია:

მიდის საყდრისკენა I,112,7; ჭინჭრითა და მხლით გამოვლივართ III,96,36; შენი ქმრის მორიდებით... III,148,13; იყურება ფანჯრისაკენ IV,5,22.

აღსანიშნავია, რომ რ. ერისთავი ერთსა და იმავე სიტყვას ხან კუმშავს, ხან უკუმშველად ხმარობს.

სიტყვა „ღმერთი“ ძველთაგანვე ფუძეკუმშვადია. ახალ ქართულში ფუძეკუმშული ფორმების გვერდით ფუძეშეუკუმშველიც ჩნდება<sup>28</sup>.

რ. ერისთავის ნაწარმოებთა ენაში შეკუმშული ფორმებია:

არას გვარგებს უღმრთოთ საქმე II,26,66; ღმრთისა მსაჯულო... I,16,2; ილოცოს სახელი ღმრთაებისა. I,4,4; დაილოცოს ღვთის თვალი! IV,45,10; ჩემი მოწამულა მოინდომა უღვთოთ IV,485,14.

ამრიგად, რ. ერისთავის თხზულებათა ენობრივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მასში შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ფონეტიკური თავისებურებანი, რაც აღნიშნულ ნაწარმოებებში ყოველთვის ერთნაირად არ დასტურდება. ამა თუ იმ ფონეტიკურ მოვლენას ერთსა და იმავე ბოზიციოში ხან შეიძლება ჰქონდეს აღვილი, ხან კი — არა.

#### მოწოდებული თამისაზრებანი

**არსებითი სახელი.** რ. ერისთავი არსებითი სახელის ბრუნებისას ჩვეულებრივი ფორმების გვერდით ხმარობს ზოგიერთი ბრუნვის თავისებურ ფორმას. ამ მხრივ საინტერესოა ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები. -ა, -ე, და -უ ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელებს სახელობით ბრუნვაში შერჩენილი აქვს სახელობითი ბრუნვის ნიშანი (-ა და -ი); ამ მოვლენას ვხვდებით ძირითადად ლექსებში:

<sup>27</sup> ვ. თოფურიძე, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I,1946, გვ. 72—73.

<sup>28</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 96.

მომტაცა დაა I,8,12; აუტირეთ დედაა I,29,15, ქალთა მეფაა I,8,3; დედის ერშია I,150,11; ფანდურის ქლერაი I,210,5; ჩვენთან ყოფნაი II,174,12; რიზაი სკობდა II,56,15 „თამარიანი“, 1887 წ. დედის ძუძუი I,124,1. ქსუი ყოფილხარ II,34,28 ცრუი და მაშენი IV,104,15; წარვიდა დღეი I,162,15; შენი მოძმეი II,10,11.

სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი დაცულია ხმოვანფუძიან სახელებთან ხეესურ პერსონაჟთა მეტყველებაში<sup>29</sup>.

თანხმოვანფუძიან სახელებს ზოგჯერ სახელობითი ბრუნვის ნიშანი ეკვეცება და ფუძის სახით არის წარმოდგენილი. ეს, როგორც ჩანს, ლექსის ზომით არის გამოწვეული, მაგალითად:

დაძმღერდის მთასა და ბარსა ან გელოზ გეგონებოდეს I,225,18; თვალ გადავალე მინდვრებსა, თვალ არ გადასწვდა განზედა I,199,8; ოთხ ფეხ ორფეხნი და პირმეტყველნი I,53,29; ოჯახს დედაბოძ წაიქცა I,225,9.

**მოთხრობით ბრუნვაში** ხმოვანფუძიანი სახელები წარმოდგენილია -მა და-ბოლოებით მაშინ, როდესაც ამ სახელების მოთხრობით ბრუნვას ჩვეულებრივ, -მ აწარმოებს. ეს ფორმები დასტურდება როგორც პროზაში, ისე ლექსებში. წინადადების შუაშიც და ბოლოსაც. პროზაულ ნაწერებში:

ასეთი კარგი ბიჭი მყავს შენთვისა, შენმა გახარებამა, რომ შენი მოწონებული! IV,51,26; მამიშენის საფლავის მზემა, თუ არ გამხიარულდები... III,14,17, ო, დედაშვილო ბამამ! სწორეს გელაპარაკები... IV,403,2.

ლექსში:

მაშინ სპილომა, დიდმა ბატონმა I,308,3; ხელმწიფეს მზემა, არ ვტყუი... I,105,26.

წინადადების ბოლოს პროზაში:

უნდა გაგათოხოო... შენმა დაბერებამამ! IV,51,16; შენი თავის გახეთქამამ! IV,66,17; გაბრწყინებულხარ, დედაშვილო ბამამ! III,98,3.

ლექსში:

ი დასაქცევმა სეტყვამა I,165,5; ყური აგვივსო შენმა ქებამ! ჩემი შვილების გახარებამამ! I,276,1.

-მა ბრუნვის ნიშნით გაფორმებულ ხმოვანფუძიან სახელებში დაცულია -მან ფორმანტის ევოლუციის გარდამავალი საფეხური. საანალოზო მასალაში უფრო ხშირად გვხვდება ჩვეულებრივი მ-ანიანი ფორმები:

ვერა, დედაშვილო ბამ, ვერ გასესხებ. III,98,12; ჩემმა სიყმემ... შენ იცი! IV,99,12; შენმა გაზდამ, ამ საქმეს ვეღარას უშველით... IV,319,6; ამთენმა ჯაფამ, ამთენმა ხალხმა გადამაყრუეს... IV,313,16; ძლივს დამშვიდა გლახული კეკლუძმა, ტურტამ და ნახმა II,37,25 „თამარიანი“, 1887 წ.

მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად იშვიათად არქაული -მან გვხვდება, ისიც ძირითადად, რელიგიური ხასიათის გამოთქმებში:

ღმერთმან ხომ იცის... IV,189,10; შეგინდვასთ თქვენა უფალმან აეტოგრ. 44; მთავარანგელოზმან შემოგივალაო... აეტოგრ. 161; ღვთის მშობელმან III,181,11; სალოცავმან აეტოგრ. 161; უწყალომან წუთისოფელმა აეტოგრ. 44; გულმან იწყო ძგერა I,211,5; მოხუცებულმან კაცებმან აეტოგრ. 322.

<sup>29</sup> მხიარულ ქალაი ყოფილა. IV,378,18. ე, ქალაი IV,378,13, რამისსო მიქვრიტანიი ყოფილა? IV, 378,7.

მოთხრობითი ბრუნვის სამივე სახეობა ერთნაირად არის წარმოდგენილი როგორც მწერლის ენაში, ისე პერსონაჟთა მეტყველებაში.

**მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და მიმართულებით** ბრუნვებთან გვხვდება მაგრცობი ა-ს ხშირი ხმარება.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ამ ა-ს მორფოლოგიური ფუნქცია დაკარგული აქვს, მისი დართვა მეტწილ შემთხვევებში სტილისტურ საქიროებას უპასუხებს, მაგრამ მისი ხმარება ზოგჯერ მაინც აუცილებელია:

1. ც (ა) ნაწილაკის დართვისას ეს ა უთუოდ ექნება<sup>30</sup>:

**მიცემით ბრუნვასთან:** სალსაცა გასტეხს პიტალსა... II,102,10; შეხვდენ ღმერთსაცა I,185,27; ქალესაც მოეწონების II,67,12; გიგოსაც ვთხოვ IV,46,21; მოხუცებულსაც აყოლიებდა III,9,1.

**მიმართულებით ბრუნვასთან:** სასაცილოთაც ავივადე IV,118,11; ფიქრათაც არ მოსვლია III,7,3; არავის აძლევენ საკითხავათაც III,47,26; სანადირთაც ვაგწევი... IV,140,23.

**ნათესაობით ბრუნვასთან.** ვიცი, რისთვისაც გინდა IV,361,15; ჯვარის წერამდინაც ეწყობოდა? IV,360,21; სახელები დასწერა: ბატონებისა, მსახურებისა და სტუმრებისაც III,33,37.

**მოქმედებით ბრუნვასთან:** ტიკითაც გამოატანეთ ღვინო IV,147,12; შეკადრება ჩამომავლობითაც IV,105,23; ამისთანა სასიძოს ფარნითაც ვერ იშოვიეთ! IV,158,20; ქალამნითაც არ მატარო! III,103,31.

2. წინადადებაში ა ერთვის და კავშირის წინ ერთ-ერთ ირიბ ბრუნვაში დასმულ სახელებს.

**მიცემით ბრუნვაში:** ლოთობასა და ძილსა... IV,66,25; ატეობდა სულსა და გულსა III,39,36; სმასა და სიმღერაში IV,162,9; ნესევებსა და საზამთროსა I,122,4.

**მიმართულებით ბრუნვაში:** კარგათა და კეკიანთ IV,93,27.

**ნათესაობით ბრუნვაში:** სირცხვილისა და ჭირის ოფლი IV,91,6; სანაცვლო ძმისა და დისა II,78,16.

**მოქმედებით ბრუნვაში:** ნაღვლითა და გესლით II,122,4; შიშითა და კრძალვითა III,23,16; შეჭურვილი ჩაჩქნითა და რკინითა I,50,27.

3. ჩამოთვლისას ა ყველა სიტყვასთანაა წარმოდგენილი:

**მიცემით ბრუნვასთან:** ვემსახურებით: ქვეყანასა, ჯარსა, ჯაამათსა, ცოლშვილსა III,142,18; იქ ვპოვებ მყუდროებასა, ნეტარებასა, სიტკბოებასა I,303,28.

**ნათესაობით ბრუნვასთან:** დროა დღებისა, ბარვისა I,158,11; მადლიერი ვარ ამინი, მხიარულისა, მარდისა II,78,17; თქვენ რომ წაწყმიდეთ საივით, დამწვრისა, დადაგულისა II,150,6.

4. წინადადების ბოლოში:

**მიცემით ბრუნვასთან:** უნდა მიპატრონოს მოხუცებულსა? IV, 311, 16; რაზედ ვიტყუებ ქმარსა? IV,362,18; ვინ დაუჭერდა ქალსა? IV,155,29.

**მიმართულებით ბრუნვასთან:** უმზერდა მედგრათა! II,49,12; გიყუროთ გულგრილათა! IV,91,6; წამომეცე ცოლათა! I,136,6 ეძინა ტკბილათა II,74,3.

<sup>30</sup> არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1950, გვ. 37.

ნათესაობით ბრუნვასთან: ნუ გვერძალება შუ რ ი ს ა II, 84, 10; რა გვეცოდინება რ უ ი ს ა IV, 56, 8; მოახსენა ი რ ა კ ლ ი ს ა II, 13, 18.

მოქმედებით ბრუნვასთან: უმზერდა შუ რ ი თ ა II, 72, 21; დაგვიხვდი ზ ო ნ ი თ ა II, 10, 7. ამაღლი ს უ ლ ი თ ა II, 71, 14. გიმაღლი გ უ ლ ი თ ა! II, 71, 15.

5. როცა ნათესაობითი ბრუნვა მსაზღვრელის როლში გამოდის და საზღვრულს მოსდევს - ა აუცილებელია; იგი ამთავრებს და ხშავს კონსტრუქციას<sup>31</sup>.

ნიბი კ ა ნ ო ნ ი ს ა IV, 71, 21; გახუმდი შენი ს უ ლ ი ს ა! IV, 272, 13; ორი დღის ალო მერგება მე ჩემი ჭ ი რ ნ ა ხ უ ლ ი ს ა I, 197, 12.

#### 6. სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის წინ:

მიცემით ბრუნვაში: შეილსა და ც ო ლ ს ა ო! I, 163, 19; მარისს მოვიტან ბ რ ო ლ ს ა ო! I, 163, 17; — „უჩრი მიუშვი ნ ე ბ ა ს ა ო, თვით შევეყრება ს ნ ე ბ ა ს ა ო!“ IV, 401, 18.

მიმართულებით ბრუნვაში: აღარა ვარ ა ვ ა თ ა ო! I, 76, 32; ის არ მინდა ს ი ძ ე თ ა ო! IV, 310, 8.

ნათესაობით ბრუნვაში: „მშვიდობით, ხ ვ ა ლ ა მ დ ი ს ა ო“... III, 11, 37; ამო არის ჩ ე მ თ ვ ი ს ა ო! III, 35, 8; „გარდა ერთი ყმაწვილი კ ა ც ი ს ა ო“ III, 11, 19.

მოქმედებით ბრუნვაში: „სწამლობს წ ე წ ვ ნ ი თ ა ო!“ I, 74, 10, მოეფინა ბ ე წ ვ ი თ ა ო! I, 74, 6.

7. ა აუცილებელია ორი ან მეტი თანხმოვნით დაწყებული ზმნის წინამავალი სიტყვის ბოლოში:

რ ა ს ა ს წ უ ხ ა რ თ? IV, 151, 1; ტ ო ლ ი ტ ო ლ ს ა ს დ ე ვ ს I, 127, 8; ხ ა მ ს ა ჰ ვ ე ვ ხ ა რ IV, 55, 7; ლ ა მ ა ზ ა თ ა ს თ ვ ა - და! IV, 115, 10; ა ლ ა რ ს ა და ს ჩ ა ნ ს? IV, 153, 2; ჩ ე ვ ნ თ ვ ი ს ა ზ რ უ ნ ა ვ ს IV, 225, 19; ვ ი ს ა ს ც ა ლ ი ა ნ IV, 154, 10.

რ. ერისთავის ნაწარმოებებში ო ხმოვანფუძიანი სიტყვის „დრო“-ს ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში ზოგჯერ დაცულია ბრუნვის ნიშნის ხმოვანი ელემენტი:

ნადირშაჰის დ რ ო ი ს ა I, 176, 2; მე ჩემი დ რ ო ი ს ა მ ბ ა ვ ე ვ ა მ ბ ო ბ III, 89, 26; ახლანდელი დ რ ო ი ს მიხედვით, კარგი სწავლულია III, 12, 30; მოვრეცხამ სამსახურითა, თუ დ რ ო ი თ ვ ა ნ გ ი ს ც ხ ე ბ ი ა II, 73, 4.

სხვა შემთხვევებში ო ხმოვანფუძიან ერთზემეტმარცვლიან სიტყვებში ბრუნვის ხმოვანი ნათესაობითში ხან დაცულია, ხან შეკვეცილი:

სფერა სა მ ყ ა რ ო ი ს ა IV, 421, 14; სა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ა ტ რ ო ნ მ ა II, 14, 13; ნულარა გვერა თათრისა, უ ს კ უ ლ ო ს ა ფ ლ ი დ ი ს ა! II, 12, 2; მოვიდა სამოსლითა სამ დ ვ დ ე ლ ო ს ა, ავტოგრ. 161, შდრ. საქართველოს შ ვ ი ლ ე ბ ი III, 166, 32. სა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს II, 87, 25.

ბოლოუკვეცელ სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებითნი ემფატკურ ა - პარალელურად - ი არის გამოყენებული.

ნათესაობითი ბრუნვა: აღარც სამხედრო სამსახურისა გცხელათ აღარც სა მ ო ქ ა ლ ა - ქ ო ს ი III, 165, 28; ვოგოს ჭირიმე, ვ ო ვ ო ს ი! I, 193, 3; კალმახი იცის ო ქ რ ო ს ი I, 200, 23.

მოქმედებითი ბრუნვა: ხელში სინი უჭირამს ლ ო ბ ი ო თ ი IV, 185, 2; ჩიბუხი აავსო თ ა მ - ბ ა ქ ო თ ი III, 42, 17, გაძღებინ ქ ა რ ქ ვ ე ტ ა თ ი III, 170, 36.

<sup>31</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1950, გვ. 037.



ანალოგიური მდგომარეობა დასტურდება ბოლოუკვეცელ ადამიანის სახე-  
ლებშიც:

ლაშაზი ნინოსი... III,12,6; სისხლი ქრისტესი 1,48,5; ერთგული ალექსან-  
დრესი III,4,3; მიდის თავის ქვეყანაში სოსანათი შინაყმებით II,152,5; თევდორე-  
თი ქალაქისაყენ გამოსწია III,27,33.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელებში  
წარმოდგენილი სრული დაბოლოება -ი მორფოლოგიურ და სინტაქსურ თვი-  
სებათა მიხედვით ემფატიკურ ა-ს ეტოლება<sup>32</sup>.

თუ ნათესაობითი მსაზღვრელად იხმარება და საზღვრულს წინ უსწრებს,  
ეს -ი ისევე ეკვეცება, როგორც -ა მაგ. კალმახი ოქროსი (შდრ. კალმახი  
მდინარისა), მაგრამ ოქროს კალმახი (მდინარის კალმახი) ან მდგომარე-  
ობა ნინოსი, მაგრამ ნინოს მდგომარეობა. ბოლოკიდური -ი  
ამ ბრუნვებში მეორეულია, ძველად აქაც -ა იყო<sup>33</sup>. ძვ. ქართული კალმახი  
ოქრო-სა-ა ახალ ქართულში ჯერ კალმახი ოქრო-სა-დ (კალმახი ოქრო-(ი)-სა),  
ხოლო შემდეგ კალმახი ოქროს-ი ფორმებით შეიცვალა<sup>34</sup>.

მოქმედებით ბრუნვას ძველი ქართული ვითარებაც შემოუნახავს. რ. ერის-  
თავის თხზულებებში იგი დაწყებითი ბრუნვის ფუნქციითაც არის გამოყენე-  
ბული:

ტახტით გადმობრძანდა II,108,17, აღმოსავლეთით დიდრა, II,26,19. გადმოიხე-  
და ზეცით I,33,31, მეფემ იხმო დიდებულნი... ქართლ-ქახეთით, იმერეთით II,106,12;  
რაქით რად მოხვალ? II,76,24, ქობულეთით მოსულეზსა II,106,14; სოროებით  
ამოძვრენ I,79,9.

დაწყებითი ბრუნვა რ. ერისთავს უმთავრესად ლექსებსა და პოემა „თამა-  
რიანში“ აქვს გამოყენებული. დაწყებითი ბრუნვა ამავე ფუნქციით შემორჩენი-  
ლია მთის კილოებში.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ უძველეს დროს  
ქართულ ენას უნდა ჰქონოდა ერთი ბრუნვა, რომელსაც -ივ აწარმოებდა. ეს  
ბრუნვა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი სახეობა მოქმედებითისა. მისი ფორმები  
ნაშთის სახითაა მოღწეული. ის ძველ სალიტერატურო ქართულშიც ნაშთია<sup>35</sup>.  
რ. ერისთავის თხზულებებში -ივ სუფიქსი ბრუნვის ნიშნად მხოლოდ ღვთივ  
სახელთან დასტურდება. ასე მაგ.:

მაპატიე, ღვთივ ცხებულო! II,138,18.

<sup>32</sup> არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარ-  
ტებითი ლექსიკონი, I, 1950, გვ. 040.

ამავე საკითხისათვის: არნ. ჩიქობავა, ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქ-  
მედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის, სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ  
ენებში, 1956, გვ. 240—262.

<sup>33</sup> არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტე-  
ბითი ლექსიკონი, I, 1950, გვ. 040.

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> H. Schuchardt, Über das Georgische. 1895. ამავე საკითხისათვის. ა. შანიძე,  
ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 76.

სხვა შემთხვევებში ასეთ მოქმედებითს ზმნიზედური გამოყენება აქვს:

მალა ხმივ იახხდა IV,373,20; მარცხნივ სარკე ჩანს IV,41,1; უეცრივ კარები გაიღო III, 18,16; საკუთრივ ჩემთვის ეანდერძებინა IV,471,26.

-ივ სუფიქსის ხმარება ხშირია უარყოფით მიმღობასთანაც:

უსვენებლივ გადაკრავს IV,78,6; წარმოსთქვა უსვენებლივ... II,38,21; დაუსვენებლივ წარმოსთქვა III,46,37; აუჩქარებლივ მოლაპარაკე... III,109,13.

რ. ერისთავის თხზულებებში მიმართულებითი ბრუნვა სხვადასხვანაირად არის გაფორმებული: გვხვდება -ად// -ათ და -ა ფორმანტები. ავტოგრაფებსა და ძველ გამოცემებში უმთავრესად თ-ს ხმარებაა გატარებული:

სახელათ რა ჭქვიან S5171 (პირადი წერილები); მწყრალათ გახლავართ S5171 (პირადი წერილები); შეიძინა ნახევარფასათ, ავტოგრ. № 147; საკითხავათ და სასწავლებლათ № 144 ავტოგრ.; უცბათ აენთა II,83,13; გლეხათ შობილი I,183,4; ურდულათ დიდი კეტია I,183,11.

მიმართულებითი ბრუნვის ნიშნად თ დაკუთლია ემფატიკურ ხმოვანთან:

ერთ გროშათა ღირს IV,25,18; მშათა ვარ... IV,375,25; იყავი ფრთხილათა I,130,2; რათა, ბატონო... I,185,18.

იშვიათად გვხვდება -ად დაბოლოება:

გვარად ერისთავის შვილია II,45,11; ჭეშმარიტად ქერივი მე არ მყვარებია I,226,3; მეტად იამა... I,210,6; მოლი აქვს ნოხად, სუფრადა I,135,11.

მიმართულებითი ბრუნვა ძველი ქართულის მსგავსად იკუთხება: კითხვას სად? და ადგილის გარემოებას გადმოსცემს. ამის მაგალითებია:

ჯარათ წასვლას ვეპირები I,77,16; ბარათ, რომ ვიყო... I,123,13; დალატად მოსულსა II,9,25; კატად (კატასთან) მეფის შოველ ელზი I,76,6.

მიმართულებითი ბრუნვის ნიშნად -ა-ს ხმარება წარმოდგენილია ზმნისართად ქცეულ ზედსართავებში:

კარგა დისწავლეთ IV,250,17; წყნარა-წყნარა შეეჭყოდა I,297,16; საშინელა დაუდევარი IV,259,7; ვისთან დარბის ასე დილა ადრიანა? IV,351,30; ჯარი შეიკრება ჯალალდინის საბრძოლველა II,133,3, „თამარიანი“, 1887 წ.

საანალიზო მასალაში გვხვდება ფორმები: ხელთ, ყურთ, თვალთ, ფეხთ და მისთ.:

თვალთ სდიოდა ცრემლის ღვარი II,104,1; ყურთ აღარ ესმის IV,160,9; ხელთ ვიგდე II,57,27; ფეხთ ჩაუვარდები II,81,17.

სიტყვები: თვალთ, ყურთ, ხელთ წინადადებაში ადგილის ზმნიზედებადაა გამოყენებული. მორფოლოგიურად ეს სიტყვები -თ ელემენტდართული არსებითი სახელის ფუძეებია. საკითხი ისმის თ ელემენტის წარმოშობაზე. შესაძლებელია, თ მომდინარეობდეს ნართანიანი მრავლობითის მიცემითი ბრუნვის -თა სუფიქსიდან. ამ აზრს ამტკიცებს ისიც, რომ ქართულში ჩვეულებრივია



მხოლოდითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის (ძირს, ზმინართად გამოყენება<sup>36</sup>. თავდაპირველად - თუნდა ღართოდა ისეთ სახელებს, რომლებიც ერთზე მეტ საგანს აღნიშნავენ, შემდეგ კი ანალოგიით სხვა სიტყვებსაც: ზურგთ, გვერთ:

ზურგთ არ მომიღო ცოდვანი! 11,55,4; გვერთ აღარაინა ჰყავს „ნინო“ 1857 წ., 243,33.

გვერთ სიტყვაში თანის ახსნის სხვა ვარაუდიც არ არის გამორიცხული. შესაძლებელია მიცემითი ბრუნვის სანი ღონს აყრუებს და თვითონ იკარგება: გვერთ—გვერთს—გვერდს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს საშუალო საუკუნის ძეგლებში დადასტურებული ფორმები მაგ.: „რუსუდანიანიში“ „გვერთს ახლდენ“, „გვერდსა უსხდეს“ და სხვა. აქვეა ნახმარი ისეთი ფორმები, რომლებიც კახურშიც გვაქვს: გვერთ დაუჯე, გვერთა დაუჯდა<sup>37</sup>.

**ადამიანის სახელები.** რ. ერისთავის თხზულებებში, ადამიანის სახელები თავისებურებებს გვიჩვენებს. თანხმოვანფუძიანი სახ. ბრუნვაში ძველი ქართულის მსგავსად უმთავრესად, ფუძის სახითაა წარმოდგენილი როგორც ლექსში, ისე პროზაშიც: ლექსში:

თამარ აენტო... 11,61,1; ვიდრე დავით გამეზარდოს... 11,108,12; რუსუდანი ჩაფიქრდა 11,86,25; იძლია ჯალაღინ 11,133,21.

პროზაში:

ელიზბარ დანიშნულია 11,121,7; ელისაბედ პირდაპირ უზის ქმარს 11,309,2; ლევან კი არსადა ჰსჩანდა 11,22,36; სამსონ წამოესარჩლა-ილიას 11,174,26; ამირან მოგებია სოფრომს 11,434,9.

ამგვარი ფორმების პარალელურად თანხმოვანფუძიანი სახელები სახელობითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებულიც გვხვდება:

დავითი შევიყვანე... 11,114,5; გაამეფეთ რუსუდანი 11,108,12; ეკარგებოდა თამარო... 11,110,16; ვიცით, სადაცა ბრძანდება ლევანი 11,25,21.

მოთხრობით ბრუნვაში ხმოვანფუძიანი ადამიანის სახელები ზოგჯერ -მადაბოლოებითაა წარმოდგენილი. ეს მოვლენა შეიძლება ლექსებში მარცვალთა რაოდენობის დაცვით იყოს გამოწვეული:

ჰკადრა შალვამა 11,34,19; ბრძანა ლაშამა 11,54,13;

სხვა შემთხვევებში მოთხრობითი ბრუნვა ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმითაა წარმოდგენილი:

შალვამ შვალო კარები 11,34,25; ლაშამ თავისი ბეჭედი ელიზბარსა ჰკრა გულში! 11,50,20.

<sup>36</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 602.

<sup>37</sup> არ. მართროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, 1956, გვ. 71.

**წოდებით ბრუნვაში თანხმოვანფუძიანი ასეთი სახელები ფუძის სახითა წარმოდგენილი:**

აჰა, ელიზბარ! II,50,24; თამარ გაფიცვბ II,59,17; რუსულ დან წავხდით, დავ-მარცხით! II,67,5; დავით, მომხმარე! II,111,18; კმარა, ჭაფარ! II,136,7; სოსან შე-ნა? II,143,23.

**წოდებითშივე გვხვდება ო ნიშნიანი ფორმებიც:**  
**პ რ ო ზ ა შ ი:**

თამარო!... ძალიან ამაღებთ! IV,117,1; თამარო, მივიხვდი II,62,29.

**ლ ე ქ ს შ ი:**

მშვიდობით, შვილო, თამარო! II,40,25; მოდი ლომისეულო... III,58,1; ბატონის შვილო ლევანო! ავტორ. 27.

**ა და ე ხმოვანფუძიან ადამიანის სახელებთან წოდებითი ბრუნვის ნიშანი ო რედუცირებულია ვ-დ. ეს მოვლენა დღეს ქართული ენის აღმოსავლურ კილოებშია დაცული:**

ბიჭო, დათიკავ! IV,171,19; ახ, შალვაე II,104,29; აღარა ვმკით გოგიავე! IV,162,4; რასა იქ, ზაქარიავ? IV,457,5; წამიყვანე სესიავე! III,137,24; ტეტიავე, სად ვოფილხარ? III,159,5; გიგლავე, გეყოფა სწავლა I,179,4.

სხვა შემთხვევებში ხმოვანფუძიან სახელებს წოდ. ბრ-ში თავისებურება არ ახასიათებს:

ბატონო პეტრე! IV,479,23; მშვიდობით, ნენე! IV,415,4; ოჰ, ზაქარია! IV,462,ა; ჩემო თევდორე! III,4,23; ალექსანდრე, ალექსანდრე, აქ მოდი! IV,336,12.

**კნინობითის წარმოება.** რ. ერისთავის თხზულებებში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ო ბოლოთანხმოვნიან ადამიანის სახელებზე კნინობითობის აღმნიშვნელი ა ნაწილაკის დართვა იძლევა უა-ს (ო+ა—ოა—უა):

ლირიტანთ თედუა III,129,9; რა თვალები აქვს კეკელუასა IV,83,11; თაჰ-რუა გოგოსა I,173,18; საბრუას სახლ-კარობა I,183,1; მოკითხვას ვუთელი ბერუას I,173,15.

ეს მოვლენა ო+ა—უა დადასტურებულია როგორც გარეკახურში<sup>37</sup> და მთიულურში<sup>38</sup>, ისე დასავლურ კილოებში<sup>39</sup>.

ანალოგიით საზოგადო სახელებშიც ოა დაბოლოება უა-დ ქცეულა: ძალუა (\*ძალო-ა მიღებულია წოდებითი ფორმისაგან, რომელიც სახელობითად ქცეულა (რ) ძალო-ა)<sup>40</sup> მსგავსადგეა ნაწარმოები ქალუა (III,20,3), ქმარუა IV,310,30, ლებუა III,141,26. ა-ფუძიანი სახელების კნინობით ფორმას

37 არნ. ჩიქობავა, გარეკახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, 1925, გვ. 64.

38 არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, ენიშკის მოამბე, 1937, II, გვ. 47.

39 ს. ელენტი, გურული კილო, 1936, გვ. 57. იხ. აგრეთვე, ამავე საკითხზე ქ. ძოწენიძე, ზემო იმერული კილოკავი, აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედ. ინსტ. შრომები, X, 1952—53, გვ. 75.

40 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 121.



აწარმოებს -ია სუფიქსი, რომლის დართვითაც ფუძისეული სმოვანი იკვეცება:  
თინა+ია—თინია, დათა+ია—დათია და სხვ.

თინიას მეზობელი III,96,22, დათია წამოდგა I,292,14; მოკითხვას ეუთვლ ითინიას და  
წინიას I,173,16.

თანსმოვანფუძიანი სახელების კნინობითი ფორმის წარმოება უფრო  
მარტივია; კნინობითის -ა უშუალოდ ფუძეს დაერთვის:

დაეთა II,19,4, ელისაბედა დაიბარა III,13,13, სოლომონა III,42,15.

**მრავლობითი რიცხვი.** რ. ერისთავის თხზულებებში წარმოდგენილია მრავ-  
ლობითი რიცხვის ორივე სახეობა: -ებ-იანი და **ნართან**-იანი.

-ა-ფუძიანებზე მრავლობითის ებ-ის დართვისას ბოლოხმოვანი ზოგჯერ  
დაცულია, ზოგჯერ კი ასიმილირებულია მრავლობითის ფორმანტის ე-სთან.  
დაცულია ბოლოხმოვანი:

თხზულებაები III,47,21; მოქმედებაები IV,124,11; იფრინდაები  
II,11,2; სიმღერაებს ავტორ. № 161; შეკრიბე გამოცანაები (ქართული გამო-  
ცანების წინასიტყვაობა).

ბოლოხმოვანი ასიმილირებულია:

გარემოებებებიც IV,401,3; ქლარუნეებს ავლარუნებს IV,388,9; ღამურე-  
ებს დასდევს IV,384,4; ჩურჩხელეები მოგართოთ IV,374,16; მურაბეებს აკეთებს  
IV,351,10; რაღაცებს გვითარგმნით III,104,26.

ნართანი მრავლობითი გვხვდება უმთავრესად ლექსებსა და პოემებში სა-  
ხელობითსა და წოდებით ბრუნვებში:

**სახ. ბრუნვაში:** ქართველნი მხიარულობენ II,19,16; კარნი ჩაეცეტ II,51,32;  
ღრონი მირზიან II,65,3; მრავალნი ყრიან I,79,33; ვადმოსდიან ნაკადულნი I,49,6.  
**წოდებითში:** დაძმანო, თვისნო და ტომნო I,40,20; დიდებულნო და ერთ-  
გულნო, დაიხსომეთ II,106,25; ქრისტიანნო I,25,36.

ნართან მრავლობითში არის წარმოდგენილი -ობა სუფიქსიანი აბსტრაქ-  
ტული სახელები, რაც სალიტერატურო ქართულისათვის არ არის დამახასია-  
თებელი: სცან ჩემი ვინაობანი II,43,21, ერთგულობანი II,43,22.

თანინი მრავლობითი ყველა მოსალოდნელ ბრუნვაშია წარმოდგენილი  
გავრცობილი და გაუვრცობელი ფორმით.

**მოთხრობითში:** იმხიარულეს დიდებულთ II,19,21; ოსმალთა იწყეს გლოვანი  
II,19,16; ტომრის ნახვრეტთა ამცნივეს I,79,1.

**მიცემითში:** თავვთ ვმუჭვირან I,78,4; ვაეკაცთ ცალ ხელში ჯვარი აქვთ II,5,18;  
იგი მოსულთ დაშტერდა II,143,23; მოხუცთა ჰკვლენ, ყრმათა სწვენ I,72,13.

**ნათესაობითში.** ქართველთა მიწა-წყალია II, 5, 15; თასთა წკრიალი II, 21, 26; თავ-  
გთა ნასაქმარი I,79,2.

**თანდებულიანი ბრუნვები.** -ვით თანდებული სამ ბრუნვას მართავს: სა-  
ხელობითს, მიცემითსა და ნათესაობითს<sup>41</sup>. ამ თანდებულს ყველგან ერთი და  
იგივე ფუნქცია აქვს. გამოხატავს მსგავსებას რამესთან.

<sup>41</sup> თ. შარაძენიძე, „ვით“ თანდებული ქართულში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის  
შრომები, ტ. X, 1939 წ., გვ. 145—149

რ. ერისთავის ნაწარმოებებში ეს თანდებული სამივე ბრუნვასთან დას-  
ტურდება:

სახელობითში თანხმობანფუძიანებთან:

ქარივით მოქანება II,15,7; გაქვავებულივით იქნება IV,287,6; მცობრ-  
ვით ნუ გამოშლაპარაკებით IV,75,8; თავი ჩაგივლია ჩამიჩივით IV,151,28.

მიცემითში ხმოვანფუძიანებთან:

ზღვასავით ლელა I,132,12. პანტასავით ცვივა მკვლარი II,18,26; მთვარე  
კაშკაშებს დღესავით I,170,10.

ნათესაობითში თანხმობანფუძიან და ხმოვანფუძიან სახელებთან:

გალია გლია მძოვრისავით, IV,149,12; ვიშ, ვიპ. ცხვერნო თვალნო... სიყრმი-  
სავითა შალნო! I,4,5.

გვხვდება -ზე თანდებულის სამივე სახე: -ზედა, -ზედ, -ზე.  
-ზედა ლექსში:

მრისხანე იყო მტერზედა II,45,12; მოვიდა გონზედა II,35,1; არ გავცვლი მე  
ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა I,123,7; ელიზბარ შასვეს ცხენზედა  
II,56,9.

პროზაში:

ტახტზედა ზის IV,309,1; კაი გუნებაზედა ხარ IV,47,13; ბეწვზედა ჰკილია! IV,109,15.

ზედ თანდებული ერთნაირად არის გამოყენებული ლექსში და პროზაში:

აილა წვერზედ I,137,5; უქროდა ტუჩზედ დიმილი I,155,14; სამ ნაბადზედ  
ხტებოდა I,51,7; ელისაბედზედ... უნდა აიღო ხელია II,57,1; შვილზედ მეტად  
ვეუყვარვარ IV,374,26; ერთს წელიწადზედ III,8,33; მზათა ვარ ყველაფერზედ  
IV,375,25.

რ. ერისთავი ყველაზე ხშირად -ზედ თანდებულს ხმარობს. შედარებით  
იშვიათია ამ თანდებულის -ზე სახეობა:

ლექსში:

შუბლზე გადისო ხელია II,35,1; კარზე მყავს ხარი I,183,23; წყლულზე მიმა-  
ტებ მე წყლულსა II,43,14.

პროზაში:

უარზე დადგა IV,225,11; სკამებზე სხედან III,111,28; სხვაზე ფიქრობს  
IV,351,15; გამოეჩქარე თქვენს სიმღერაზე IV,136,25.

-ზე ძველად ზმნიზედის ფუნქციას ასრულებდა. მისი თანდებულად ქცე-  
ვა შემდგომი საფეხურია<sup>42</sup>. ეს არქაიზმიც შემონახულია რ. ერისთავის ენაში:

<sup>42</sup> არ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიე-  
რება, I, 1946, გვ. 213—237.

ზე წამოღდა ჰკადრა თამარს II, 104, 21; შალვა ზე წამოაყენა II, 84, 20; ჯრმალი ზე გა-  
 დავიციდე II, 48, 14. „თამარიანი“, 1887 წ

-თვის თანდებულის პარალელურად (რომელიც დანიშნულებას გამოხა-  
 ტავს) გვხვდება -თვისა//თვის//თვისინ ვარიანტებიც:

-თვის ლექსა პურისთვის IV, 224, 10; შენი ხათრისთვის IV, 24, 11; თქვენ არ  
 გაგივდიოთ ქვერვისთვის? II, 54, 18; სულ იმ ამოსაგდების გულისათვის IV, 6, 24;  
 დახვალ სიგრილისთვის I, 241, 3.

-თვისა: ძელი იყო ამართული შალვასთვისა II, 120, 8; ფუტკარიც მოზუზუნებს  
 თაფლისთვისა II, 171, 26; ნათქომიც არის ამისთვისაო: „ძმამისთვისაო,  
 შავ-დლისთვისაო...“, I, 97, 27.

-თვისა თანდებული უმეტესად ლექსებში დასტურდება. მაგრამ -ა შე-  
 იძლება მარცვალთა რაოდენობის დაცვის საჭიროებით იყოს ნახმარი.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ -თვის თან-  
 დებულში -ინ ეწევა -ის მაგივრობას და რომ ეს -ინ მეორეულია. -ინ-ის მეო-  
 რეულობა დასაბუთებულია ამ -თვის თანდებულის მესამე ვარიანტით, რომე-  
 ლიც -თვისინ სახით გვხვდება<sup>43</sup>. -თვის თანდებულის ეს მესამე ვარიანტი  
 დასტურდება რ. ერისთავის ნაწერებში.

ეგ ტიპით ჩემთვისინ უფრო ძნელია II, 127, 17; მითამ წყალობა მრავალი ჩემ-  
 თვისინ ვაგიმეტია I, 153, 26.

რ. ერისთავის ნაწარმოებებში დანიშნულების გამოსახატავად -თვის თან-  
 დებულის გვერდით გვხვდება -და.

ჩემდა ნუ სტირი I, 227, 14; მისდა მიმჯდარა I, 202, 18; დუღუნებს თავისდა  
 I, 201, 12; დედას ჩამოგავს ცხონებულს, იმისდა უფრო მოველი! I, 153, 31.

-და თანდებული მხოლოდ ნაცვალსახელებთან შეინიშნება. დანიშნულე-  
 ბის გამოსახატავად თანდებული -და-ს ხმარება სალიტერატურო ქართულში  
 არქაიზმს წარმოადგენს. რ. ერისთავის ნაწერებში იგი დაცულია ფშაურ კი-  
 ლოზე დაწერილ ლექსებში და გურულ პერსონაჟთა მეტყველებაში.

სალიტერატურო ქართულში -კენ თანდებული ნათესობითი ბრუნვის ა-თი  
 გავრცობილ და გაუფრცობელ ფორმებს ერთვის და მიმართულებას აღნიშ-  
 ნავს. რ. ერისთავი ამ ფორმას ხშირად იყენებს:

მირბის ბატონისაკენ IV, 151, 16; მიდიან სახლებისაკენ III, 129, 27; გამოსწია  
 შინისაკენ II, 99, 3; მოქვთ საწნახლისკენ I, 121, 21; მცხეთისკენ წარმავალია  
 II, 28, 6.

მაგრამ რ. ერისთავის თხზულებებში -კებ თანდებული დასტურდება სიტ-  
 ყვაში: შინათკენ—შინათკენ ფორმით:

შინათკენ მიდიან I, 191, 5; შინათკენ მოვეჩქარები I, 169, 14; გასწი, ბიჭო, ში-  
 ნათკენა I, 108, 7; რა დაბრუნდა შინათკენა I, 335, 6.

ხშირად დასტურდება სოფლიდან, კოშკიდან ფორმები.

<sup>43</sup> არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, ენიშნის მოამბე, II, 1937, გვ. 50.

**შინათკენ** ფორმა დასტურდება ვ. ბარნოვის<sup>44</sup> და მელანიას<sup>45</sup> ნაწერებში.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, **-ებრ**, **-ებრივ** თანდებული ქართულში აღნიშნავს მსგავსებას და ზოგჯერ უდრის -ვით თანდებულს<sup>46</sup>.

რ. ერისთავის ნაწარმოებებში **-ებრ** დაერთვის მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებს, ან უშუალოდ ფუძეს:

**მიცემითი ბრუნვა:** ელვასებრ გუჯარა I, 11, 26; ევასებრ მშვენიერება II, 5, 6.

**ნათესაობითი ბრუნვა:** მომხედა მისებრ ურცხვად I, 155, 20; თამარი იჯდა მისებრივ დაღონებული II, 148, 16.

სხვა მაგალითები უშუალოდ ფუძეზე დართულ თანდებულებზე მოდის:

ვეკვებიო ვაქცაცებრ I, 30, 20; მხეცებრ ღმუიან I, 52, 19; მოგეჩვენე სიხმარებრ ავტოგრ. 144; უმანყო ანგელოზებრ I, 117, 22

რ. ერისთავი **-ებრ** თანდებულს ხმარობს პირის ნაცვალსახელების ნათესაობით ბრუნვასთან:

მე მიუვარს შენებრ თამაში და შენებრ გამბედავია II, 84, 25; მათ ჩემებრი ცეცხლი ჰგზნებია II, 36, 18; შენც მათებრ აჩქარებულხარ II, 61, 25.

**-გან** თანდებული მართავს ორ ბრუნვას: ნათესაობითს, რომელიც მიუგებს კითხვაზე: ვისგან? რისგან? მოქმედებითს, — კითხვაზე საიდან?

რ. ერისთავის ნაწარმოებებში **-გან** თანდებული ნათესაობით ბრუნვაზე დართვისას არავითარ ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდის:

დარდისაგან იყო ავთ III, 34, 6; სიხარულისაგან აღარ იყო III, 27, 7; სტუმარი ღვთისაგან მონაცემია II, 35, 13; გაერბოდი იმ მხეციისაგან I, 283, 24. მტრისაგანაც მოსაწონმა II, 14, 15.

მოქმედებით ბრუნვაზე დართულ **-გან** თანდებულის გელემენტისა და ბრუნვის ნიშნის თ ფორმანტის ურთიერთმოქმედების სამი საფეხურია წარმოდგენილი: სოფლითგან → სოფლიდგან → სოფლიდან.

პირველ საფეხურზე ასიმილაცია არ ხდება:

თვალებითგან წინწკლები წამომცვიდა III, 50, 16; ჩამოდის ზეითგან IV, 366, 17; რა გამოდის შენი ლექსებითგან III, 58, 13; ამიერსოფლითგან გასული III, 48, 26.

მეორე საფეხურზე თ გ-სთან ასიმილირებულთა, მაგრამ მათასიმილირებული ელემენტი გ შერჩენილია.

**პროზაში:**

გამომაცალახელიდგან IV, 143, 36; იმმამულიდგან IV, 73, 31; აბაზებიდგან მანათი გახდება III, 143, 19; შესცდებიან ქკუილგან IV, 198, 17.

**ლექსში:**

კოშკილგან მოესმა II, 33, 21, ხელსახოცი თვალიდგან მოიძრა, 41, 56, 16; შიგნიდგან, ხმა შემოესმა II, 33, 17; ვადვიხედე ფანჯარიდგან... I, 108, 13.

<sup>44</sup> კაცმა ვადაბიჯა ხარისხს და შინათკენ წაივდა (ფერად-ფერადი 183, 4).

<sup>45</sup> ვაისტუმრეს შინათკენ (ბნელო, 168, 5).

<sup>46</sup> არ. მართიროსოვი, თანდებული ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 227.



მესამე საფეხურზე მაასიმილირებელი ელემენტი გ დაკარგულია:

ამოვიღე ჟიბიდან III,89,11, ყელიდან ამოსდიოდა III,21,33, ეზოს მხრიდან არის ვილაყა. IV,49,4; სასწავლებლიდანაც დაითხოვეს III,19,15.

წარმოდგენილი სამი საფეხურიდან ერისთავის თხზულებებში ყველაზე ხშირად დასტურდება სოფლიდგან, კოშკიდგან ფორმები.

შეინიშნება -გან თანდებულის ხმარება პირის ნაცვალსახელებთანაც:

შენგნით გაშმაგდეს ბრძენია II,49,14; თქვენგნითა ვარ II,107,3; შენგნით შედგენილს საკითხავს წიგნს ავტოგრ. № 144.

პირის ნაცვალსახელებში -გან თანდებულს შეიძლება დაერთოს -ით სუფიქსი მოქმედებითისა: შენგნით—შენ-გან-ით, ჩემგნით—ჩემ-გან-ით.

ამავე დროს მოქმედებით ბრუნვასთან გვხვდება -დამ თანდებული. -დამ თანდებულისანი მოქმედებითი გადმოსცემს მოქმედების დაწყებას ადგილის მიხედვით:

გამოვიდა ბალიდამ III,7,29; ჩიბუხი ხელიდამ გაპარდა III,26,1; ადგილიდამ ველირ დაიძრა III,36,15; ამ დლიდამ III,30,6; ფანჯრიდამ ხმა გამოხდა III,16,27.

ასეთი ფორმები ხშირია აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ენაში და ზოგჯერ ერთადერთ ფორმასაც კი წარმოადგენს<sup>47</sup>.

-მდე/-მდის თანდებული სალიტერატურო ქართულში მიმართულებით ბრუნვას მართავს. ზოგჯერ -მდე თანდებულის დართვისას ვითარებითი ბრუნვის ნიშანი დაცულია. ეს მოვლენა ძველ ქართულს ახასიათებს<sup>48</sup>.

რ. ერისთავის ენაში -მდე/-მდის თანდებული უმთავრესად გვხვდება პირველი პერიოდის ნაწერებში, განსაკუთრებით ეთნოგრაფიულ ნარკვევში: „ბუნებისათვის ხევსურთა“<sup>49</sup>.

-მდე მუხლებამდე (№ 322) ავტოგრ. იდაყვამდე, ავტოგრ. 322 ფეხებამდე № 322, ავტოგრ. აღსრულამდე, ავტოგრ. 322.

სხვა მაგალითებში მიმართულებითი ბრუნვის ნიშანი დ დაკარგულია: უკუნისამდე I, 23,3; შვილამდე II,134,10.

ანალოგიურადაა ნახმარი -მდის თანდებულიც:

მხრებამდის III,3,7; ყურებამდის სწევება III,81,8; სადილობამდის ეძინა III,39,17; დღევანდლამდის I,226,3.

საანალიზო მასალაში გვხვდება -მდე/-მდის თანდებულის ვარიანტები:

-მდინა, -მდინ, -მდისინ:

-მდინა:

რა ვიყავი აქამდინა IV,140,3; კოქებამდინა სცემს! IV,83,15; წაასვენეს სარემდინა II,162,20.

<sup>47</sup> არნ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში, ენიმის მოამბე, I, 1937, გვ. 56.

<sup>48</sup> ა. შანიძე, -მდე თანდებულის გენეზისისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1942 წ., III, № 4, გვ. 367.

<sup>49</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, რ. ერისთავის საარქივო ფონდი № 322.

**-მდინ:**

მეყვარები სიკვდილამდინ! IV,117,10, საღამომდინ აღარ მოვლენ IV,45,15; უგუნურს ქცევამდინ მიმახწვეინა IV,376,22; ბაღამდინ სასახლეები გაუქიმამა III,87,13; ღვინო ცამდინ რომ აღვამალლებს I,47,13.

**-მდინ** თანდებულში **-ინ** ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსია, დღეს ეს სუფიქსი დარჩენილია სიტყვებში: გუშინდელი, აწინდელი, აგრეთვე სიტყვაში დღეინდელი, რომლის პირველი ნაწილი **დღეი-ინ** ისეა ნაწარმოები, როგორც **დღე-ის** (მაგ. დღეის იქით)<sup>50</sup>. **-ინ** ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსობას მხარს უჭერს ჩვენ მასალაში არსებული სიტყვა — **დღეისინდელი**:

დიდება დღესა დღეისინდელსა ავტოგრ. 322; დღეისინდელს დღეს II,81,11.

**-მდისინ**

პროზაში:

ვახშის გათავებამდისინ III,21,16; მანამდისინ მე ცოცხალი ვარ IV,100,23; აქამდისინ აქაურობა მიულაგებელი აქვს IV,173,5; ითამაშებენ საღამომდისინ ავტოგრ. 161.

ლექსში:

დრომდისინ არ ძალმიძს II,72,31; დღემდისინ არა სცოდნია II,148,1.  
სიკვდილამდისინ ვიტყვი III,57,5; რომ ევლო აქამდისანა... I,83,19.

**ნაცვალსახელი.** წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ ისეთ ნაცვალსახელებს განვიხილავთ, რომელთა ხმარების წესი ახალ ქართულში ნაცვალსახელთა ხმარების წესისაგან განსხვავდება. განსხვავებული ფორმები უმეტესად დიალექტობებია და პერსონაჟთა ენისათვის არის დამახასიათებელი. ასე მაგალითად, პირის ნაცვალსახელი **მე** წარმოდგენილია **მენა-ს** სახით:

მოსმინე მენა, I,176,19; ვერ მოვიცაღე მენაო I,191,14; მენა აქა მაქვს სახლ-კარი, I,185,31.

სავარაუდოა, რომ **მენა** ნაცვალსახელი რ. ერისთავს მთის კილოებიდან უნდა ჰქონდეს შეთვისებული. რ. ერისთავს წლების განმავლობაში უხდებოდა მთიელთა შორის ცხოვრება, ურთიერთობა ჰქონდა მათთან, აკვირდებოდა და სწავლობდა მათ ენას და მეტყველებას.

მსაზღვრელად გამოყენებულ ჩვენებით ნაცვალსახელებს სახელობითსა და მოთხრობითში პერსონაჟთა ენაში ეკვეცება თანხმოვანი და **ის, ეს, იმ**, ფორმათა ნაცვალად ვიღებთ: **ი, ე, ი** ფორმებს.

ი—ის: ი წყელი I,226,9; ი დასაქცივი III,137,13.

ე—ეს: ე პაწა I,130,7; ე გადაყრუებული IV,149,11.

ი—იმ: ი დალოცილმა IV,143,16; ი წყელმა. II,185,13.

რ. ერისთავის ნაწერებში ვხვდებით ისეთ შემთხვევას, როცა ის ჩვენებით ნაცვალსახელს, თუ წინ უსწრებს ჩვენებითი ნაწილაკი **აი**, ნაცვალსახელისა, და ნაწილაკის ი ხმოვანთა შერწყმით მიიღება ფორმები: **აის, აიმ**:

აის წიპრუა?! IV,52,7; აიმ ბებერს! IV,322,13.

<sup>50</sup> ვ. თ. ოფუჩია, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, II, 1—2, გვ. 192, 1941 წ.

ჩვენებითი ნაცვალსახელები გვხვდება რე ნაწილაკდართული:

ეს რ ე თ იტყვიან ავტორ. 322; ჩვეულა ეს რ ე თ ი გვაქვს 1,122,1; როგორც ამჯობინოთ, ის რ ე მოიქცით 1V,72,4; ხარ ე გ რ ე თ ლამაზი 1,22,23.

ნაცვალსახელი თვითონ გვხვდება ორი ფორმით: თ ვ ი თ ო ნ, თ ი თ ო ნ, თ ვ ი თ ო ნ:

თ ვ ი თ ო ნ აღარავის არ ჰყვარებია! 1,36,4; თ ვ ი თ ო ნ კ ი ვერ იძვრის 1,137,7.  
თ ი თ ო ნ:

„მე თ ი თ ო ნ მოვასხენებო...“ 1V,237,3, თ ი თ ო ნ გ ე იანგარიშოს 1V,374,28; თ ი თ ო ნ ა ც უძღურებს 1,189,11; თ ვ ი ც ა მოგთბრიან მოვყრიტურთ 1,97,25.

ხშირად ნაცვალსახელი ყოველი -ფერ ნაწილაკდაკადგული გვხვდება:

ყ ო ვ ე ლ ი ფ ე რ ი სიზმარივით წარმოდგა 111,6,1; მაღლიერი ვარ ყ ო ვ ე ლ ი ფ რ ი ს ა 1,254,8, ყ ო ვ ე ლ ი ს ფ ე რ შ ი დაცემულია 1,138,19.

სპორადულად გვხვდება ყველა -ყა ნაწილაკდართული:

ყ ვ ე ლ ა ყ ა მტრად მოეჩვენა 11,117,5; ყ ვ ე ლ ა ყ ა ს გვიჯობს, იმაზედ სრული მინ-  
ლობა 11, 87, 20; ცდილობს ყ ვ ე ლ ა ყ ა ს შორიდებასა 11, 93, 17.

ურთიერთობითი ნაცვალსახელი ერმანეთი ხშირად წარმოდგენილია არ-  
ქაული ფორმით:

ე რ თ მ ა ნ ე რ თ ს ექიშებიან 1,228,12; ვადახევივნენ ე რ თ მ ა ნ ე რ თ ს 1,334,22; წავიდ-  
ნენ ე რ თ მ ა ნ ე რ თ ი ს ლანძღვით ავტორ. 146.

ვინ და რა კითხვითი ნაცვალსახელების გამოყენებისას გარკვეული თა-  
ვისებურება დასტურდება -ღა, -ცა ნაწილაკის დართვისას, აქ რამდენიმე გან-  
სხვავებული შემთხვევაა აღსანიშნავი:

1. კითხვით ნაცვალსახელებს -ღა, -ცა ნაწილაკი ერთვის შებრუნებული  
რიგით ჯერ -ცა, მერე -ღა; ამის შედეგად მიიღება: ვინცაღა, რაცაღა, აქედან  
შუა ხმოვნის ამოღებით: ვინცაღა—ვინცხა, რაცაღა—რაცხა; მაგ.:

ვინცაღა გაწოლილია 11,89,20; ვინცხას იგლოვდა... 11,145,5; ტყეე შრიღებს  
და რაცღას ხარობს 1,171,12; ბაღე რაცხამ შეაქროლა 11,181,26; ნახე თამარ რაცღა-  
ფერათ... 11,125,10.

რ. ერისთავის ვინცაღა, რაცაღა ფორმები: „თამარიანსა“ და პერსონაჟთა  
ენაში დასტურდება. „თამარიანსი“ მათი არსებობა არქაიზმად უნდა მივიჩ-  
ნიოთ.

2. ვინ, რა ნაცვალსახელზე დართული -ღა, -ცა ნაწილაკს ჩაერთვის მი-  
ცემითი ბრუნვის ნიშანი:

რ ა ლ ა ს ა ც უყვფს 111,110,25; ვ ი ლ ა ს ა ც კოჩი მოუროშა 1,275,10.

3. -ღა ნაწილაკდართული ნაცვალსახელი რა მოქმედებით ბრუნვაში რი-  
დათი//რიღით ფორმით წარმოდგება, რაც სალიტერატურო ნორმის მიხედვით

არასწორ წარმობადაა მიჩნეული<sup>51</sup>. ასეთი ფორმა რ. ერისთავის პერსონაჟთა საუბარში საკმაოდ ხშირია.

ხელმწიფეს რილათი ვემსახურო? III,128,33; რილით ვარჩინო ცოლ-შვილი? I,146,14.

4. რ. ერისთავი რა კითხვით ნაცვალსახელთან -ც ნაწილაკს ზოგჯერ თავისებურად ხმარობს. ნაცვლად რა წამსაც, რა დღესაც გვერდით გვხვდება რასაც წამს, რასაც დღეს:

ის დღე დაიქცა „რასაც დღეს მე შენ განხეო!“ III,18,12; რასაც წამს დედა შეიტყობს... III,15,21.

ამ სტატიაში მორფოლოგიური თავისებურების განხილვისას სახელის ანალიზით შემოვიფარგლეთ.

რ. ერისთავის თხზულებათა ენისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებების გარკვეული ნაწილი დიალექტური წარმოშობისაა. მორფოლოგიაში, კერძოდ სახელთა თავისებურებებში, გამოვლინებული არქაიზმებიც უმეტესწილად დიალექტურია. რიგ შემთხვევაში გრამატიკული ხასიათის არქაიზმები რ. ერისთავის ენაში სტილისტური საჭიროებით აიხსნება.

<sup>51</sup> ვ. თოფურიძე, -მე, -ვე, -ლა, -ლაცა ნაწილაკიან სახელთა ბრუნება, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 133.

# ერთი ლათინური სიგყვა ბერძნული ფორმით ქართული ენის თუშურ დიალექტი

## თ. თუშუბაიძე

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

სიტყვა მილიონაჲნი თუშურ დიალექტში ხშირად იხმარება.

მილიონაჲნი ნიშნავს სვეტის მსგავს ქვის ყორეს; მას აშენებენ ბრტყე-  
ლი სიბი ქვებისაგან ლამ-კირის ხსნარის გარეშე. ეს სვეტი, ჩვეულებრივ, სიმა-  
ღლით მეტრზე დაბალი არ არის, უფრო მაღალი კი შესაძლოა: ზოგი მილი-  
ონაჲნი ორი მეტრიც კია. მილიონაჲს ზემოდან კვადრატის ან ოთხკუთხე-  
დის ფორმა აქვს და გვერდების ზომა დაახლოებით ნახევარ მეტრს უდრის.

მილიონაჲნი თუშურში რამდენიმე ფუნქციით გვევლინება: 1) მილიონაჲ  
ჰქვია ჯვარის<sup>1</sup> ანუ ხატის ყორეს, რომელსაც ზოგჯერ სარკმლისნაირი ნიშა  
ან ნიშები აქვს; 2) მილიონაჲს უწოდებენ სახლის სვეტსაც (სახლის მი-  
ლიონაჲნი); 3) მილიონაჲნი ჰქვია მთის წვერებზე აშენებულ ქვის სვეტებ-  
საც. მათა მწვერვალებსა და უღელტეხილებზე ამნაირ ყორე-სვეტებს შეხე-  
დებით არა მარტო თუშეთში, არამედ ხევსურეთში, ფშავსა და მთიულეთ-  
შიც, საერთოდ მთის კილოების გავრცელების არეალზე. მაშასადამე, მილიო-  
ნაჲს მესამე ფუნქციად უნდა ჩაითვალოს გზის მაჩვენებლობა. ზამ-  
თარში, ზურუსში და გაზაფხულზე, როდესაც თოვლი დნება და გადასასვლე-  
ლებს გზა აღარ ემჩნევა, ამ ქვის სვეტების მნიშვნელობა ძალიან დიდია.

სიტყვა მილიონაჲნი ქართული ენის სხვა დიალექტებში არ გვხვდება.

ზემოთ აღნიშნულ ყორე-სვეტებს მათი დანიშნულების მხედვით ხევსურ-  
რულში რამდენიმე სახელი აქვს, კერძოდ: ხატის ყორე-სვეტს, რომელიც  
შიდლებსა გადახურულიც იყოს, კოშკი ჰქვია, გზის<sup>1</sup> მაჩვენებელს—ლიგა-  
ნა, არის საწყვარაიც—ეს ბავშვების მიერ აშენებული სვეტია ვინმეს  
დაწყველის ნიშნად; მთიულეთსა და ფშავში მათა მწვერვალებსა და უღელ-  
ტეხილებზე აღმართულ ქვის სვეტებს ან დიდ ქვებს ქვაკაცას უწოდებენ,  
ხოლო ხატის ყორეს—ნიშს.

\* წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერ-  
ების ინსტიტუტის „საენათმეცნიერო საუბრებზე“ 1965 წლის 22 მარტს.

<sup>1</sup> ჯვარი თუშურ დიალექტში ორი მნიშვნელობით იხმარება: 1. ჯვარი ნიშნავს  
სალოცავს, კერპს, რომელსაც თავყვანს სცემენ; მაგ., არის ლაშარის ჯვარი (სოფ. ჩილო),  
შუამთის ჯვარი (სოფ. ჟველურთა) და სხვა მრავალი, 2) ჯვარი არის ქრისტიანობის ემბლე-  
მა (крест). თუშურ დიალექტში ბირველი ჯვარი არ იკმუშება (ჯვარის ყანა, ჯვარის კარ...),  
მეორე კი კმუშავდა (ჯვრის წაღება, „ჯვრის მიტანა“...).

ცნობილია, რომ ძველი რომის იმპერიაში მანძილი იზომებოდა მილიარუმი (milliarium), რაც უდრიდა 1000 რომულ ნაბიჯს (ე. ი. გაორმაგებულ ნაბიჯს); ეს ჩვენი საზომით უდრის 1,48 კმ-ს.

მეორე საუკუნის მეორე ნახევარში ქრისტეს წინ ხალხის ტრიბუნმა გაიუს გრაქმა რომიდან პროვინციებისკენ მიმავალ გზებზე თვითეული მილიარუმის ანუ მილის შემდეგ დაადგმევინა ქვის ბოძები, რომლებზეც აღნიშნული იყო გზის ბოლო პუნქტის სახელი, მანძილი ამ პუნქტამდე და ამშენებლის ვინაობა. მანძილი ათვლილი იყო ფორუმიდან. ფორუმზე აღმართა ოქროს მილიარუმი. იგივე გაიმეორა ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში. მან კონსტანტინეპოლში აღმართა, აგრეთვე, ოქროს მილიარუმი (milliarium aureum).

ცნობილია ისიც, რომ ბიზანტიის იმპერიის ოფიციალურ ენად იქცა ბერძნული ენა. ლათინური Milliarium ბერძნულში წარმოდგენილია როგორც τὸ μίλιον, ბერძნულ ენაში აქედან ზმნაც არის ნაწარმოები: „μίσχλιον ἰσμερπύτην ἐν (Ῥιμσκήν) μιλιάκῃ...“<sup>2</sup>.

მილიონს, როგორც მანძილის საზომ ერთეულს, კარგად იცნობს ძველი ქართული ენაც, მოგვაქვს ორიოდ მაგალითი:

„რომელი წარგექცევდეს შენ მძღუარად მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორიცა“ მ. 5, 41<sup>3</sup>;

„და წიად მივლეს რაჲ მდინარჲ იგი, მოვიდეს დასავლით მისსა ვითარ ორ მილიონ, ადგილთა ყოვლად ტყეთა და უვალთა კაცთა მიერ“<sup>4</sup>.

მამასადამე, მილიონი—მანძილის საზომი ერთეული—გვაქვს ძველი ქართულის როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ ძეგლებში.

თუშური მილიონაც დაიშლება მილიონ—და -აჲ კომპონენტებად. -აჲ კნინობის სუფიქსია. იგი მეტად გავრცელებულია ამ დიალექტში. თუშურის მილიონ—იგივეა, რაც ძველი ქართულის მილიონ, ბერძნულის τὸ μίλιον და ლათინური Milliarium, ოღონდ, განსხვავებით ძველი ქართულისაგან, ბერძნულისა და ლათინურისგან, თუშური მილიონაც არც მანძილის საზომი ერთეულია და არც მანძილის ასათვლელი ბოძი, მას ამათგან შემორჩა მხოლოდ ფორმა და სახელი. როგორც აღნიშნეთ, მილიარუმი ქვისაგან კეთდებოდა, ამაზე ბირდაპირ მიუთითებს მაგალითად, ინგლისური სახელი ამ ბოძისა—Mile stone „მილის ქვა“. თუშურში, როგორც ზემოთ ვნახეთ, მილიონაც-ის ერთ-ერთი ფუნქცია არის მოუთითოს ადგილზე, რომელზეც გზა მოდის. ამნაირი ფუნქცია მსგავს ნაგებობას მთის სხვა კილოებშიც შემორჩა. თუშურში, ჩანს, მილიონაც-ის ფუნქცია გაფართოებულია, იგი სახლის სვეტსაც ნიშნავს და ხატის ნაგებობასაც; მნიშვნელობის გაფართოება მოხდა ფორმაზე დაყრდნობით: როგორც სახლის სვეტი, ისე ხატის ყორე მილიარუმის ძოყვანილობისაა.

ვფიქრობთ, თუშურის მილიონაც ისტორიულად უთუოდ ლათინურ მილიარუმსა და ბერძნ. მილიონს უნდა დავუკავშიროთ.

<sup>2</sup> И. Х. Дверецкий, Древнегреческо-русский словарь, II, 1958.

<sup>3</sup> ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკაკი შანიძემ, 1945.

<sup>4</sup> ცხოვრებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი სოლ. ყუბანეი შვილის მიერ, გვ. 88.



გასარკვევი გვრჩება კიდევ ერთი საკითხი: ლიტ. ქართულში და კერძოდ თუშურში ეს სახელი საიდან შემოვიდა—უშუალოდ ლათინურიდან თუ ბერძნული ენის მეშვეობით.

ძველი ქართლისა და თუშური კილოს ფორმები ამ სიტყვისა ნათლად მიგვიჩვენებს მისი ბერძნული ენის გზით შემოსვლაზე ჩვენში.

თუშურ დიალექტში მილიონაც ქვის ყორე-სვეტის მნიშვნელობით წიგნის გზით ვერ შევიდოდა იმიტომ, რომ ამ მნიშვნელობით იგი ლიტერატურულ ქართულშიც არა გვაქვს, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ქვის ბოძები საქართველოშიც ყოფილა, ხოლო ამ ბოძების ბერძნული სახელი გვაგვარაულებინებს, რომ ასეთი ბოძები ჩვენში უნდა გავრცელებულიყო არა რომაელთა პირველი ლაშქრობის დროს, არამედ უფრო გვიან, IV—V საუკუნეებში ქრისტეს შემდეგ, რომის ძველი იმპერიის დაშლისა და ბიზანტიის აღორძინების პერიოდში.

გამორიცხული არ არის ისიც, რომ ასეთი ქვა-სვეტები საქართველოში ეხმარათ სწორედ მთიანეთში გზებისა და უღელტეხილების მისანიშნებლად და არა მანძილის გასაზომად, ოღონდ სახელი აგების წესისა და ფორმის კამო დარჩათ მანძილის ნიშნისა—მილიონი, თუშური გაფორმებით მილიონაც.

## ЛАТИНСКОЕ СЛОВО В ФОРМЕ ГРЕЧЕСКОГО ЯЗЫКА В ТУШИНСКОМ ДИАЛЕКТЕ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Т. УТУРГАИДЗЕ

### Резюме

Слово *მილიონაც* (*miliona'*) засвидетельствовано в тушинском диалекте грузинского языка. В других диалектах и литературном грузинском языке оно не встречается.

Слово *მილიონაც* (*miliona'*) обозначает столб, построенный из каменных плит без известкового раствора, одним из назначений которого является указание на место перевалов в горах. Подобные же столбы, но с другим названием, встречаются на всей территории распространения горских диалектов грузинского языка.

В форме *მილიონაც* (*miliona'*)—*აც* (*a'*) является уменьшительным суффиксом.

Тушинское *მილიონაც* (*miliona'*) связывается с латинским *milliarium* и греческим *τό μίλιον* „милевой камень“. Судя по форме, слово *მილიონ* (*-milion-*) заимствовано из греческого языка и, надо полагать, устным путем, так как в древнегрузинских текстах *მილიონი* (*milioni*) употребляется лишь в значении меры длины

## უარყოფის გავავისათვის კვლ ინლოთვი

### პ. ალექსიძე

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა)

უარყოფის ასახვა ენასა და აზროვნებაში, მათი ურთიერთდამოკიდებულება, ყოველთვის იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. უარყოფა აზროვნებაში გამოითქმის მსჯელობით, რომელიც ასახავს საგანში ამა თუ იმ ნიშნის არ არსებობას, და რომელშიაც ქვემდებარის მოცულობა მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხულია შემასმენლის მოცულობიდან. ასეთია S არ არის P ტიპის მსჯელობა, წმინდა ლოგიკური უარყოფა, რომელიც ენაში სპეციალური სიტყვებით ან ნაწილაკებით არის გადმოცემული.

უარყოფა ენაში, ე. წ. გრამატიკული უარყოფა არის სიტყვა ან ფრაზა, რომელიც აღნიშნავს ან თვით საგნის, ან საგანში რაიმე ნიშნის უქონლობას, მოქმედების ან მდგომარეობის არ არსებობას. უარყოფა ენაში შეიძლება გამოითქვას აგრეთვე უარყოფის სპეციალური ნაწილაკის გარეშე, ფორმით დადებითი და უარყოფითი შინაარსის მატარებელი სიტყვით.

მეორე მხრივ, უარყოფის კვლევა ითვალისწინებს საკითხს იმ საფუძვლის შესახებ, რომელსაც ემყარება უარყოფა, ესე იგი იმას, რაც განაპირობებს როგორც უარყოფით მსჯელობებს, ისე უარყოფით სიტყვებსა და გამოთქმებს. უარყოფის საფუძვლის შესახებ საკითხის გადაწყვეტა ენათმეცნიერებაში ძირითადად ორი მიმართულებით ხდება—სუბიექტივისტურით და ობიექტივისტურით.

მკვლევართა მთელი რიგი უარყოფის სემანტიკას ენაში უკავშირებს ადამიანის სულიერ განწყობილებას ამა თუ იმ ფაქტის მიმართ: ზიზღს, სიძულვილს, აღშფოთებას, დაუთანხმებლობას და სხვა<sup>1</sup>. ესე იგი, აქ უარყოფის საფუძვლად მიჩნეულია არა გარკვეული სახის ობიექტური ვითარება, არამედ მხოლოდ სუბიექტის უარყოფითი დამოკიდებულება ობიექტის მიმართ. ამ თვალსაზარისების მიხედვით, სუბიექტური დამოკიდებულების უარყოფითობა რაიმე ობიექტური ვითარების მიმართ სრულიად საკმარისი საფუძველია უარყოფის ყველა სახის ასახვას. აქ არც კი ისმის საკითხი უარყოფის შესაძლებელი ობიექტური განპირობებულობის შესახებ, რომელსაც თავის მხრივ შესაძლებელია თვით სუბიექტის უარყოფითი დამოკიდებულების ახსნაც უზ-

<sup>1</sup> იხ. მაგ. J. van Ginneken, Principes de linguistique psychologique, Paris 1907, გვ. 200; W. Havers, Handbuch der Erklärenden Syntax, Heidelberg, 1931, გვ. 158—159; J. S. Speyer, Sanskrit Syntax, გვ. 319; A. Meillet, Linguistique, historique et linguistique générale, II, Paris 1938, გვ. 4; O. Jespersen, Negation in English and other Languages, Copenhagen, 1917, გვ. 53; Ш. Балли, Общая лингвистика и вопросы французского языка, М., 1955, გვ. 238.



რუნველყო. ცხადია, რომ ამგვარი თვალსაზრისები სუბიექტური მიკეობი-ბულობით ხასიათდებიან.

საწინააღმდეგოდ ამისა არსებობს ობიექტივისტური აზრი, რომელიც ამავე დროს მატერიალისტურია და ყველაზე უფრო სრულყოფილად მარქსისტულ თეორიაში არის წარმოდგენილი. ეს არის აზრი, რომლის მიხედვითაც უარყოფის საფუძველი არის არა მოლაპარაკის სუბიექტური შეხედულება, არამედ ის გათიშვა საგანთა შორის, რომელიც ობიექტურად არსებობს რეალურ სამყაროში და აისახება ჩვენს აზროვნებაში. «Если истинное утвердительное суждение связываем то, что связано в действительности, то истинное отрицательное суждение разъединяет то, что разъединено в самой действительности»<sup>2</sup>.

რამდენადმე განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს უარყოფა ინდოეთში. საერთოდ, ძველ ინდურ ფილოსოფიაში უარყოფითი სიტყვები და გამოთქმები მეტად ჭარბად არის გამოყენებული: *nāstika*, *āstika*-ს საწინააღმდეგოდ. ის, ვისაც არ სწამს ვედების, იმქვეყნიური ცხოვრების. ეს გავრცელებული ტერმინი აერთიანებს ცნობილ ინდურ ფილოსოფიურ სკოლებს: ჩარვაკას, ბუდდისტებსა და ჯაინისტებს: *adrṣṭa* უხილავი საწყისი, რომელიც მოქმედებს მორალურ პრინციპებზე. *ātman* საკუთარი მე, ყველა არსის მთლიანი, განუყოფელი მატერია, განსაზღვრულია, როგორც *aśabdām*, *asparśam*, *arūpam*, *avyayam* „უხმო, ხელშეუხები, უფორმო და განუყოფელი“, *anādy anantam* „დაუსაბამო და უსასრულო“.

უარყოფითი გამოთქმები *neti...neti* „არც ისე და არც ასე“ იხმარებოდა, როგორც წესი, ნივთთა პოზიტიური არსის გამოსავლენად. გავრცელებული იყო, აგრეთვე, რაიმე მოვლენის მთლიანობის, ტოტალობის გადმოსაცემად დაღებითი და უარყოფითი სიტყვების ერთად ხმარება, ე. წ. დიამეტრალურად საწინააღმდეგოდ სიტყვათა წყვილები: *kṣaram akṣaram ca vyaktāvvyaktam*, *Śvetāśv. Up. 1,8*. „ღმერთი მფარველობს ყველაფერს იმას, რაც არის შეერთება ცვალებადისა და უცვლელის. გამქლავებულისა და გაუმქლავებელის“.

ყველაფერი უცნობი და მიუღწეველი ინდურ ფილოსოფიაში გადმოცემულია უარყოფითი ფორმით, პოზიტიური აზრის თითქოს და კონტრასტული შტიციებისათვის: „ასეა, კაშიაპა, ის, რასაც უწოდებენ მარადიულს, არის ერთი ბოლო (უკიდურესობა); ის რასაც უწოდებენ არამარადიულს, არის მეორე ბოლო; ყველაფერი, რაც ამ ორის შუაა მოქცეული—შეუცნობელია, გადმოუცემი, აღუქმელი და გაუმქლავებელი. ასეთია, კაშიაპა, არსებობის ჭეშმარიტი შემეცნება საშუალ გზაზე“<sup>3</sup>.

საინტერესოა ამ მხრივ ინდური თვლის სისტემა. ინდოელისათვის ყველა რიცხვი, რომელიც შეიცავს ცხრას—ცხრამეტი, ოცდაცხრა, ოცდაცხრამეტი და ასე შემდეგ არის ერთი ნაკლები ოცი, ოცდაათი, ორმოცი და სხვა: *ekōnavi-*

<sup>2</sup> К. Бакрадзе, Логика, Тбилиси, 1951. გვ. 200.

<sup>3</sup> *Kāśyapa-parivarta*, 6: *nytyam iti Kāśyapa ayam ekonta: I anytyam iti Kāśyapa ayam dvityonta: I yad etayor dvayor nytyanytyayor madhyam tad arūpi anidarśānam anabhāsam avijnaptikam apratiśtham aniketamiyam ucyate Kāśyapa madhyama pratipad dhārmānam bhūta pratiavekśa*

ncati ან unavinçati-19, unatrinçat — 29 და ა. შ. გამოკლება ასეთ შემთხვევაში გამოხატულია ზედსართავით una—(დაკლებული), რიცხვითი ერთეული çka (ერთი) კი აუცილებელი არ არის. იგივე una იხმარება ერთზე მეტი რიცხვითი ერთეულების გამოკლების დროსაც: pañcānani çatam-95.

ცნობილია, რომ ინდური აზროვნება (ეგრეთწოდებული დასავლურისაგან განსხვავებით) იჩენს მთელ რიგ თავისებურებას. თავისებურად აისახა, აგრეთვე, მასში უარყოფაც. ასე, მთელი რიგი სიტყვებისა, რომლებიც ინდოელისათვის იხმარება დადებითი მნიშვნელობით, მისივე მეზობელ მონათესავე ირანულში გადადის უარყოფითი მნიშვნელობით; დევა—ინდური ღვთაება, ყოველივე დადებითისა და კეთილისგანმასახიერებელი, ირანულ მითოლოგიაში დემონური და ავი ძალის აღმნიშვნელია (დაევა, შდრ. ქართული დევი); და პირიქით, nāsatiya, ინდური nāstika-ს „ურწმუნოს“ შესატყვისი, ერთი უმთავრესი ღვთაებაა ოთხი არიული ღვთაებიდან<sup>4</sup>.

ინდური აზროვნებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ის ფაქტი, რომ მთელი რიგი უარყოფითი სიტყვებისა (სიტყვებისა, რომლებიც გაფორმებულია უარყოფითი პრეფიქსით) იხმარება ინდოელის მიერ იქ, სადაც დასავლელი სმარობს დადებით ტერმინს. აქ ჩვენ ჩამოვთვლით რამდენიმე მაგალითს ასეთი ხმარებისა ინდურ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში:

ahimsa, რომლის მრავალი განმარტებიდან ყველა დადის ერთ მნიშვნელობამდე—სიკეთე, არაბოროტება, თანაგრძნობა ყველა ცოცხალი არსების მიმართ“ (ahimsan sarvabhūti).

amṛta — უკვდავი, უკვდავება, განთავისუფლებული სიკვდილისა და ხელახალი დაბადების მარადიული ციკლიდან<sup>5</sup>.

abhaya — უშიშროება, მშვიდობა, ის, რასაც არ ახლავს შიში.

adroha — ის, ვისაც არ შეეხება ბოროტება, ვისი გონებაც სიკეთისკენაა მიმართული.

anūna — მთლიანი, სრულქმნილი.

avikala — მთელი, ხელშეუხებელი და სხვ.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ხშირად ინდურ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში დადებითი აზრის მატარებელი სიტყვა გაფორმებულია უარყოფითი პრეფიქსით, რომელიც გამოხატავს უარყოფითი აზრის მატარებელი სიტყვის საწინააღმდეგოს. ასე, ჯანმრთელს სხვა ენაში სანსკრიტში შეესაბამება a-roga — არა-ავადმყოფი (ავესტურთ abanta).

ასეთი შედგენილი სიტყვები უარყოფითი პრეფიქსით „აღნიშნავენ არა რაიმე თვისების ან უნარის უქონლობას, არამედ ამტკიცებენ მდგომარეობას, რომელიც გამორიცხავს ამ თვისებას ან უნარს“<sup>6</sup>.

<sup>4</sup> A. Christensen, Essai sur la démonologie Iranienne, kopenhavn, მიტაჰნის მეფის არქივში დაცულია დოკუმენტი, დათარიღებული 1380 წლით ჩვ. წ., რომელიც შეიცავს ოთხი უმთავრესი არიული ღმერთის სახელებს: Mitra-ს, Varuna-ს, Indra-სა და Nasya-ს.

<sup>5</sup> პალიური ფორმა ამ სიტყვისა amatadhātu „უკვდავი მდგომარეობა“. სინონიმი ნირვანასი, საბოლოო ნეტარებისა და მარადიული სიმშვიდის მდგომარეობისა ბუდისტურ ფილოსოფიაში, რომლის დროსაც წყდება განუწყვეტელი ციკლი სიკვდილისა და დაბადებისა და მასთან დაკავშირებული ტანჯვისა.

<sup>6</sup> L. Rénou, BSOS, X, გვ. 15.

სპეციალისტები ხსნიან უარყოფითი ფორმების ასეთ ხმარებას შორეულ წარსულში ადამიანის მუდმივი შიშით ბუნების ძალთა მიმართ. მისთვის ჯანმრთელობა არის მდგომარეობა ავადმყოფობის გარეშე, სიკეთე, ის, სადაც არ არის ბოროტება და სხვა<sup>7</sup>. ჩვენი აზრით, უარყოფითი ფორმის სიტყვების დადებითი მნიშვნელობით ხმარება შეიძლება აიხსნას აგრეთვე ლინგვისტურა კანონის მოქმედებით, რომლის მიხედვითაც ორმაგი უარყოფა გვაძლევს დადებით მნიშვნელობას. მართლაც, ყველა ასეთი გამოთქმა კომპოზიტია, რომლის მეორე კომპონენტი უარყოფითი მნიშვნელობის შემცველია (ბოროტება, სიკვდილი, დასასრული, შიში და სხვა). ასეთი მაგალითები გვხვდება, აგრეთვე, არაფილოსოფიურ ლიტერატურაშიც: *apramādaśca kartavyah putri satyavataḥ pathī, Mahāb., Sāvitrī, 4, 28* „ნუ იქნები უყურადღებო (იყავ ყურადღებიანი), შეილო ჩემო, სატიავანის მიმართ გზაზე“. აქ *apramāda* — არა-უყურადღებო, გამოხატავს დადებით აზრს — ყურადღებიანს.

თავისებურად ესმოდათ, აგრეთვე, ძველ ინდოელებს ორმაგი უარყოფა (უარყოფის უარყოფა) ფილოსოფიაში. ასინი აიგივედნენ მას ლინგვისტურ ორმაგ უარყოფასთან, სადაც ორი უარყოფითი ნაწილაკი გვაძლევს დადებით მნიშვნელობას. მათი აზრით, ეს არის გზა (მობრუნება) ძველი, უარყოფილი მდგომარეობისაკენ, და არა დიალექტიკური განვითარება, გადასვლა ახალ მდგომარეობაში, რომელსაც წარმოადგენს დიალექტიკური ორმაგი უარყოფა. ინდურ აზროვნებაში ორმაგი უარყოფა გაიგივებულია ნაგულისხმევ უარყოფასთან. ინდოელისთვის ყოველი დადებითი ფაქტი შეიცავს ნაგულისხმევ უარყოფას. ასე, პატანჯალის განსაზღვრით, იმ საკმელის განსაზღვრის დროს, რომელიც ვარგა შესაქმელად (*niyama*), იგულისხმება აკრძალვა (*pratiśedha*) იმ საკვებისა, რომელიც არ ვარგა შესაქმელად. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ამა თუ იმ სახეობის შინაური ფრინველი ვარგა შესაქმელად, ნათქვამში იგულისხმება, რომ ამავე სახეობის გარეული ფრინველი საკვებად უვარგისია.

ინდურა აზროვნებისათვის დამახასიათებლად აღნიშნავენ, აგრეთვე, იმ გარემოებას, რომ მისთვის თითქოსდა უცნობია წინააღმდეგობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს დებულება ეხება მხოლოდ ზოგიერთ ფილოსოფიურ სკოლას და არა მთელ ინდურ ფილოსოფიას. უფრო ზუსტად, წინააღმდეგობას არ ცნობს ვედანტიკის ლოგიკური სისტემა *mīmāṃsā*, რომელსაც აქვს თავისი გრამატიკული წყობა *vāka-mīmāṃsā* და *pada-mīmāṃsā* წინადადებისა და სიტყვის კვლევა. ამ სისტემისათვის დამახასიათებელია, რომ არისტოტელესა და საერთოდ დასავლური ლოგიკისაგან განსხვავებით, ის განიხილავს არა პოზიტიურ და ნეგატიურ წინადადებებს, არამედ დადებითსა და უარყოფით ვედურ შეგონებებს (*vidhi* და *niśedha* ან *pratiśedha*). განსხვავება ჩვეულებრივ გრამატიკულ უარყოფასა და ლოგიკური სისტემის *mīmāṃsā*-ში არსებულ

<sup>7</sup> J. Gonda, Why are Ahimsa and Similar Concepts often Express ed in a Negative Form, Four Studies in the Language of the Veda, Hague, 1959 გვ. 103.

უარყოფას შორის შედგენდება ძირითადად იმაში, რომ გრამატიკას, როგორც აღწერით სისტემას, საქმე აქვს წინადადებებთან, რომლებიც დაწერილია ძირითადად თხრობით კილოში, მაშინ როდესაც *mīmāṃsā*-ს, რომელიც განიხილავს ვედურ შეგონებებს, რომლებიც უპირატესად ობტატივის ან ბრძანებითა კილოს ფორმებშია მოცემული, აქვს ეგრეთწოდებული შეგონებითი ფუნქცია. და მაშინ როდესაც სხვა ინდურ გრამატიკებსა და ლოგიკურ სისტემებში (*mīmāṃsā*-ს გარდა) მოქმედებს წინააღმდეგობის კანონი, *mīmāṃsā*-ს სისტემაში, სადაც უარყოფა სახეზეა, წინააღმდეგობა გამოიხატულია. სპეციალისტები ხსნიან ამ ფაქტს იმ გარემოებით, „რომ წინააღმდეგობის კანონს აქვს ძალა არა იმ სფეროში, რომელიც უნდა დამტკიცდეს (*sādhya*), არამედ იმ სფეროში, რომელიც უკვე დამტკიცებულია : (*siddha*)“<sup>8</sup>. სხვანაირად რომ ვთქვათ, წინააღმდეგობის კანონს ძალა აქვს წინადადებებში, რომლებიც დაწერილია თხრობით კილოში, მაშინ როდესაც ობტატივით გაფორმებულ შეგონებებში, ან ბრძანებითი კილოს ფორმებში ის არ არის აუცილებელი. ამრიგად, წინააღმდეგობას არ სცნობს მხოლოდ ვედანტის ერთ-ერთი სისტემა *mīmāṃsā*, მაშინ როდესაც იგივე ვედანტის სხვა სისტემები *uttara-mīmāṃsā* და *Advaita* უარყოფენ *mīmāṃsā*-სეულ გაგებას ყველა ვედური წინადადებისა, როგორც შეგონებისა, რომელიც უნდა შესრულდეს ადამიანის ნება-სურვილის მიხედვით. მათი აზრით, ყველა ვედური შეგონება უკვე დადგენილი წინადადებაა, რომელიც დამოკიდებულია არა ადამიანის შეგონებისგან, არამედ ასახავს ობიექტურ სინამდვილეს, და ამრიგად, წინააღმდეგობის კანონი მათთვის დასაშვებია.

უარყოფის ობიექტივისტური გაგება ყველაზე ნათლად ჩანს ძველი ინდოეთის მატერიალისტურ სკოლებში, შანკარას ფილოსოფიაში: „ობიექტური კეშ-მარიტება დამოკიდებულია თვით ამ ობიექტზე“<sup>9</sup> და აქედან გამომდინარე „ყველა ფაქტი შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი, მაგრამ განსხვავება მათ შორის დამოკიდებულია არა ადამიანის წარმოდგენაზე ამ ფაქტის შესახებ, არამედ თვით ამ ფაქტზე“<sup>10</sup>.

როგორც ვხედავთ, ძველი ინდოეთის მრავალ ფილოსოფიურ სკოლაში არსებობს უარყოფის მრავალგვარი გაგებაც. მაგრამ იქაც, ისევე როგორც დასავლეთში, ყველა ეს მიმართულება შეიძლება ძირითადად ორად დაჯგუფდეს: სუბიექტივისტური გაგების გვერდით (*mīmāṃsā* სსკოლაში) არსებობს უარყოფის ობიექტივისტური, მატერიალისტური გაგებაც (*uttara-mīmāṃsā*-სა და *advaita*-ს სკოლებში).

ამ მხრივ განცალკევებით დგას ბუდდისტური სკოლა. ბუდდისმს უწოდებენ აზროვნების სისტემას, დაფუძნებულს უარყოფის ლოგიკაზე<sup>11</sup>. მას უწოდებენ, აგრეთვე, ეგრეთწოდებულ ნეგატიურ რელიგიას, უარყოფებზე, აკრძალვა-

<sup>8</sup> J. F. Staal, *Negation and the Law of Contradiction in Indian Thought*, BSOAS, XXV, გვ. 61, 62.

<sup>9</sup> *Vastutantra*. იხ. J. F. Staal, BSOAS, XXV, გვ. 62.

<sup>10</sup> შანკარა, VIII საუკ. იხ. J. F. Staal, იქვე, გვ. 62.

<sup>11</sup> H. Sasaki, *The historical Evolution of the Concept of Negation: Nekamaand Naiskranya*, JAOS, vol. 83, № 4, 1963, გვ. 477.

ზე აგებულს<sup>12</sup>. მაგრამ თვით ბუდდისტები უარყოფენ ამას. ყოველ ნეგატიურ შეფასებას, ამბობენ ისინი, ახლავს თავისი პოზიტიური მხარე—„ყოველ უარყოფას აქვს თავისი საფუძველი და ეს საფუძველი არის დადებითი (პოზიტიური)“. ოოდესაც ჩვენ ვამტკიცებთ, შესაცნობი დოქის არყოფნას (არ არსებობას), ჩვენ ვამტკიცებთ ამავე დროს ამ მოვლენის პოზიტიურ მხარეს: ცარიელი ადგილის არსებობასა და მისი შემეცნების ფაქტს<sup>13</sup>. არ უნდა მიაყენო ტყვილი ცოცხალ არსებას და ამავე დროს უნდა დაეხმარო მას, ამაშია ამ ნეგატიური პრინციპის პოზიტიური მხარე<sup>14</sup>.

ბუდდოზმის მიხედვით, მუდმივია მხოლოდ მარადიული ციკლი დაბადებისა, სიკვდილისა და ხელმოვრედ დაბადებისა. ყოველ არსებაში, არსებობის ყველა ფორმაში არის მუდმივი კონფლიქტი, წინააღმდეგობა—იმას შორის, რაც გვაქვს და იმას შორის, რაც გვსურს. ეს კონფლიქტი იწვევს ტანჯვას, მწუხარებას (*dukkha*), რომელიც თან ახლავს ყველა არსებობას—ეს არის პირველი ჭეშმარიტება ცნობილი ოთხი უდიდესი ჭეშმარიტებიდან, რომლის აღმოჩენასაც მიაწერენ ბუდდას. ხსნა ამ მუდმივი ტანჯვისაგან არის აღიარება იმისა, რომ ყველაფერი წარმავალია და შეგუება მასთან. ბუდდოზმს ადარებენ, აგრეთვე, დასავლეთის ნიჰილიზმს. გვიანდელი ბუდდოზმის ერთ-ერთი სკოლის წარმომადგენელი, მაღჰაიკეები (*mādhyaṃika*) უარყოფენ ყოველგვარი რეალურის არსებობას, იქნება ის სულიერი თუ უსულო. მათი აზრით, ყველაფერი სიცარიელეა (*śūnya*). ამიტომ მათ უწოდებენ ნიჰილისტებს (*śūnyāvaḍin*). აღსანიშნავია, რომ მაღჰაიკეები უარყოფენ არა ყოველგვარ რეალობას, არამედ მხოლოდ იმ სამყაროსას, რომელსაც ჩვენ აღვიქვამთ. სხვაგვარად ესმით, აგრეთვე, ტერმინი *śūnya* თვით ბუდდისტებს. მათი ვაგებით, ეს არის არა სრული სიცარიელე, არამედ არსებობა დროისა და სივრცის გარეშე.

თავისებურად ესმით ინდოელებს, აგრეთვე, ნირვანა—საბოლოო ხსნა ბუდდოზმის ფილოსოფიის მიხედვით, ხშირად ამ მდგომარეობას უწოდებენ უკვდავებას, მაგრამ ეს უკვდავება თვით ბუდდისტებისათვის არის არა მარტო სიკვდილის უარყოფა, არამედ გაცილებით მეტი. დასავლეთში ნირვანას განმარტავენ ნეგატიური გზით—ეს არის მდგომარეობა, რომელშიც არ არის არც დაბადება და არც სიკვდილი, არც მწუხარება, არც ბედნიერება, არც უბედურება, სადაც არ არის არც წყალი, არც მიწა, არც ცეცხლი, არც ჰაერი, ბუდდისტისათვის ნირვანა პოზიტიურია. ეს არის სრული სიმშვიდე, მდგომარეობა, რომლის დროსაც წყდება მუდმივი კონფლიქტი ჩვენს შიგნით; ნირვანა—უმადლესი ჭეშმარიტების შემეცნებაა (ხილვა, გამოცხადება, прояснение), ნივთების აღქმა იმ სახით, რომლითაც ისინი არიან სინამდვილეში, ცხოველური წყურვილის, გაუმაძღარი სურვილის, რომელიც არის მიზეზი ყველა ტანჯვა-მწუხარებისა, ტრიშნას

<sup>12</sup> არ მიაყენო ტყვილი ცოცხალ არსებას, არ მოიპარო, არ მოისურვო მიუწვდომელი, არ მოიტყო, არ გააკეთო არაფერი ისეთი, რაც ხელს შეუშლის შენს ნათელ აზრადნებას; არ დალიო მივარი სასმელები, არ მოსწიო ოპიუმი და სხვა დამაბრუნებელი, არ გადაიტვირთო გონება. აი მთავარი პრინციპები, რომლებსაც ქადაგებდა ბუდდა.

<sup>13</sup> Ph. Stecherbatsky, *Buddhist Logic*, Bibliotheca Buddhica, XXVI, Ленинград, 1930 გვ. 80.

<sup>14</sup> პროფ. მაღალასეკერას ქ. მოსკოვში 1959 წელს წაკითხული ლექციებიდან.

(*tṛṣṇa*) დაძლევა. *nirvāna* აღრინდელ ბუდდჰიზმში, (*hīnāyāna*-ში) არის მდგომარეობა, როდესაც დაძლეულია ყველა ცხოველური ძალა (*saṃskāras*) და შექმნილია უმოქმედო მდგომარეობა. გვიანდელ ბუდდჰიზმში კი (*mahāyāna*-ში), *nirvāna* გამოირიცხულია არსებობის სფეროდან და გადატანილია ემპირიულ არსებობაში<sup>15</sup>.

უმაღლესი ჭეშმარიტება, რომელიც შეიცნობა ნირვანაში, ამბობენ მაღვიამიკები, შეიძლება აღიწეროს მხოლოდ, როგორც უარყოფა იმისა, რაც ცნობილია ცდის შედეგად. საზოგადოდ, ბუდდჰიზმისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ხშირად სიტყვის უკან არის მეორე, ნაგულისხმევი მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს გაცილებით უფრო ფართო და ღრმა აზრს, ვიდრე ეს ერთი სიტყვა. ხშირად ბუდდა ეუბნებოდა თავის მსმენელებს, რომ მათ უნდა იფიქრონ არა მარტო იმაზე, რაც მან თქვა, არამედ იმაზეც, რაც მან არ თქვა და რაც იყო ნაგულისხმევი. სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს უარყოფის თავისებური გაგება ბუდდჰიზმში. ბუდდჰისტური უარყოფის მიზანი არის არა მარტო უბრალო უარყოფა, როგორც ასეთი, არამედ პოზიტიური მიზანი აბსოლუტის ჩვენებისა. აბსოლუტი მოახლოებულია უარყოფის ლოგიკით<sup>16</sup>. საზოგადოდ „უარყოფა ინდური თვალსაზრისით გვაძლევს გამოხატვის მრავალგზის შესაძლებლობას“<sup>17</sup>.

სპეციალისტები აღნიშნავენ ბუდდჰიზმისათვის დამახასიათებელი თერთმეტი სახის უარყოფას. ერთ-ერთი მათგანი (მეშვიდე სახეობა) შეიცავს დადებით ფაქტის მტკიცებას უარყოფის გზით. ასე, მაგალითად, უარყოფითი გამოთქმა: „აქ არ არის საკმარისი პირობა სიცივისათვის“ შეიცავს პოზიტიურ შინაარსს: „იმიტომ რომ აქ არის ცეცხლი“<sup>18</sup>.

ამრიგად, უარყოფა ბუდდჰიზმში არის უარყოფა უკვე ცნობილი (ცდით დამტკიცებული) ფაქტისა და პოზიტიური გამოხატვა იმისა, რაც ცდილება ცდის უარგლებს, ცდის ფარგლებში მყოფის უარყოფის გზით. უარყოფის ამ ორი მნიშვნელობის ჩამოყალიბება ნათლად ჩანს ბუდდჰიზმის განვითარების ისტორიაში. აღრინდელი ბუდდჰიზმისათვის დამახასიათებელია უარყოფის პირველი სახე, ხვეულებრივი უარყოფა ცდის ფარგლებში მყოფი რეალური მოვლენებისა, რომელიც გამოხატულია პრეფიქსებით *n-* და *vi-*. გვიანდელ მაჰაიანა ბუდდჰიზმის ტექსტებში კი ჩვენ ვხვდებით პრეფიქსებს *nir-*, *vi-* და *sama-*, რომლებიც დამახასიათებელია მეორე სახის უარყოფისათვის. ასე, მაგალითად, *nekkhamma (a-kāma)* სიტყვასიტყვით სურვილის არ მქონე, იხმარება ხშირად ბუდდჰისტურ ფილოსოფიურ ტექსტებში გაცილებით გაფართოებული მნიშვნელობით: „დამშვიდება მდგომარეობაში სურვილების გარეშე“, (*nekkhamme cittena pakkhanti*): მისი სინონიმებია *svutthita*, *svimutta*, *visamyutta*, რომლებიც აღწერენ ერთი და იგივე სულიერ მდგომარეობას—სურვილების არ ქონებას, სურვილებისაგან განთავისუფლებას. როგორი მნიშვნელობითაც

<sup>15</sup> Ph. Stecherbatsky, *Buddhist Logic*, გვ. 191, 241.

<sup>16</sup> H. Sasaki, *JAOS*, vol. 83, გვ. 477.

<sup>17</sup> B. Heimann, *Significance of Negation in Hindu Philosophical Thought*, BC., Law Volume, part II, Poona, 1946.

<sup>18</sup> Ph. Stecherbatsky, *Buddhist Logic*, გვ. 95, 96.

არ უნდა გვგვდებოდეს, ეს სიტყვა ყველგან გამოხატავს ბუდღპიზმის საბოლოო მიზანს, მასში მოცემულია პოზიტიური შინაარსი. **nekkhamma** სპოზიტიური შინაარსი შეიცავს არა მხოლოდ **kāma**-ს (სურვილის), არამედ საზოგადოდ ყველაფერი ცუდის უარყოფას. **Buddhaghosa** — პალის კანონის ცნობილი კომენტატორი აღნიშნავს აგრეთვე **nekkhamma**-ს სხვა სახესხვაობებს, რომლებიც ნაპოვნია **dharmapada**-ში და შეიცავს პოზიტიურ შინაარსს. ესენია: **anagāmin**-ის, ვინც არ დაბრუნებულა, ვინც გასცდა დაბადებისა და სიკვდილის ძუღმივ ცვლას, ვინც შევიდა ნირვანაში, **pabbajja**-ის ვინც ეწევა ასკეტურ ცხოვრებას და **nibbana** — საბოლოო ხსნა, სიმშვიდე, **nirvāna** გვიანდელ სანსკრიტში.

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა მის მეორე, ნაგულისხმევ მნიშვნელობას, რომელიც ვრცელდება ყველა ამქვეყნიურის უარყოფამდე, შეიცავს რა მისი პირვანდელი მნიშვნელობის **kāma** უარყოფასაც. ლოგიკური უარყოფიდან ადრეულ ბუდღპიზმში უარყოფა იქცევა მაჰაიანას პერიოდში ცდის მიღმა მყოფის პოზიტიური გამოხატვის საშუალებად. იგი აღნიშნავს პოზიტიურ შინაარსს უარყოფით ფორმაში. როგორც აღვნიშნეთ, სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით დაუქმყოფილებლობა დამახასიათებელია სწორედ **mahāyāna**-ს ბუდღპიზმისათვის.

ამრიგად, უარყოფა ბუდღპისტური თვალსაზრისით ორმხრივია: ცდის ფარვლებში მყოფის უარყოფა და ამავე დროს დადასტურება იმისა, რაც სცილდება ცდის ფარვლებს (**nirvāna**) და ამითაა გამოწვეული მისი თავისებური გაგებაც.

დასკვნა: ძველ ინდურში უარყოფა იჩენს მთელ რიგ თავისებურებებს:

1. ინდური აზროვნებისათვის დამახასიათებელია, რომ მთელი რიგი სიტყვებისა, რომლებიც გაფორმებულია უარყოფითი პრეფიქსით (**ahimsa**, **amṛta**, **abhaya** და სხვა) შეიცავს ინდოელისათვის დადებით აზრს: სიკეთეს, განთავისუფლებას, მშვიდობას და სხვა.

2. ზოგი ინდური ფილოსოფიური სკოლა არ ცნობს ლოგიკური წინააღმდეგობის კანონს. ამ გარემოებას სპეციალისტები ხსნიან იმით, რომ მათ საქმე აქვთ ვედურ შეგონებებთან, რომლებიც უმეტესად გადმოცემულია ოპტიკით ან ბრძანებითი წინადადებებით, ესე იგი, იმით, რაც დასადგენია (**sadhya**), მაშინ როდესაც წინააღმდეგობის კანონს ძალა აქვს იმ სფეროში, რომელიც უკვე დადგენილია (**siddha**) ანუ წინადადებაში, რომლებიც თხრობითია;

3. თავისებურად ესმით მათ, აგრეთვე, ორმაგი უარყოფა (უარყოფის უარყოფა). მათი აზრით, ეს არის მობრუნება ძველი, უარყოფილი მდგომარეობისაკენ, და არა დიალექტიკური განვითარება, გადასვლა ახალ მდგომარეობაში;

4. მიუხედავად ყველა ამ თავისებურებისა, რომლებსაც ძირითადად იჩენს ძველი ინდოეთის ცალკეული ფილოსოფიური სკოლები, ისინი ისევე, როგორც დასავლეთში, ძირითადად იყოფა ორ ჯგუფად (უარყოფის გაგების თვალსაზრისით). ერთნი უდგებიან უარყოფას სუბიექტური თვალსაზრისით და უკავშირებენ უარყოფას ადამიანის ნება-სურვილს, მეორენი კი, თვლიან რა, რომ უარყოფა დამოკიდებულია არა ადამიანის შეგონებისგან, არამედ ასახავს ობიექტურ სინამდვილეს, ასახვენ ობიექტივისტურ მიდგომას უარყოფის მიმართ. მათ რიცხვს ეკუთვნის ინდური მატერიალისტური სკოლებიც;

5. ცალკე დგას ამ მხრივ ბუდდისტური სკოლა. მეტად თავისებურია უარყოფის გაგება ბუდდისმში. უარყოფა აქ აღნიშნავს არა მარტო უბრალო უარყოფას, არამედ შეიცავს, აგრეთვე, ამ ფაქტის აბსოლუტურ პოზიტიურ არსს. ამიტომ ამბობენ, რომ აბსოლუტი ბუდდისტურ ლოგიკაში მოახლოებულია უარყოფის გზით. ამრიგად, უარყოფა ბუდდისტური თვალსაზრისით ორმხრივია: ცდის ფარგლებში მყოფის უარყოფა და ამავე დროს დადასტურება იმისა, რაც სცილდება ცდის ფარგლებს. სწორედ ამითაა გამოწვეული მისი თავისებური გაგებაც.

## К ПОНИМАНИЮ ОТРИЦАНИЯ В ДРЕВНЕЙ ИНДИИ

Э. АЛЕКСИДЗЕ

### Резюме

Отрицания и отрицательные выражения характерны вообще для древнеиндийского мышления (системы *māhāvākyā*, употребление отрицательного выражения *neti...neti* «не так и не этак» для выявления позитивной сущности вещей; распространенные в индийской философии сочетания положительных и отрицательных выражений для выражения тотальности).

Индийскому мышлению присущ ряд отличительных черт по сравнению с Западным. Это своеобразие выявляется и в понимании категории отрицания:

1. В восприятии отрицательных по форме слов (как положительных (*ahimsa*, *amṛta*, *abhaya* *adṛoḥa*, *anīla* и другие). Отрицательные составные слова такого типа встречаются наиболее часто в философской терминологии древней Индии для определения всего неизведанного, непостижимого, невыразимого, невоспринимаемого, как неделимое, единое позитивное явление. Специалисты (J. Gonda) объясняют это вечным страхом древнего человека перед силами природы, и его инстинктом самосохранения. Для него «здоровье» — «отсутствии болезни» и так далее. По нашему мнению, восприятие отрицательных по форме слов, как положительных, можно объяснить также действием лингвистического закона двойного отрицания, дающего положительную стелень, так как в большинстве из этих отрицательных составных второй компонент выражает отрицательное понятие.

2. В понимании закона двойного отрицания, как недиалектического перехода к старому, отрицаемому состоянию, а не как диалектического закона развития, перехода к новому состоянию.

3. В непризнании некоторыми философскими школами древней Индии закона противоречия. Отсутствие закона противоречия в логической системе *mīmāṃsā* специалистами объясняется тем, что *mīmāṃsā* имеет дело с ведийскими предписаниями, написанными большей частью при помощи форм *Optativ'a* или же повелительного наклонения то есть с тем, что должно быть установлено, тогда как закон противоречия имеет силу в области того, что уже установлено, то есть в предложениях, написанных в изъявительном наклонении или же в именных предложениях.

4. Свообразно также буддийское понимание отрицания. Буддисты различают два вида отрицания: отрицание уже известного, и второе, позитивное выражение сверхэкспериментального посредством отрицания того, что находится в пределах нашего опыта.



## შენიშვნები ერთი ნატილის გეგმ

ლ. ანდლუაძე

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1964 წ. 7 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ს. ჭიჭინაძის წერილი „ალექსანდრე ჭავჭავაძე ვეფხისტყაოსნის მთარგმნელი“. მოგვყავს ეს წერილი.

„ახლახან, ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და საჯარო ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების კოლექციაზე მუშაობისას, სხვა საყურადღებო მასალებთან ერთად ჩვენს მიერ მიკვლეულ იქნა ალ. ჭავჭავაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობის დაქტები, რომელთაგან ამჯერად ვაჭყეყნებთ ცნობას იმის შესახებ, რომ რუსულ ენაზე უთარგმნია ვეფხისტყაოსანი და სარედაქციოდ გადაუცია თავისი თანამედროვე პოეტისათვის ს. გვეგეკორისათვის, აგრეთვე იმ ლექსს, რომელიც ამ უკანასკნელს თარგმნისადმი მიუძღვნია. იგარაუდებია, რომ ალ. ჭავჭავაძემ თარგმანი 1819 წელზე უფრო ადრე დაასრულა. საჭიროა, მოიძებნოს ალ. ჭავჭავაძისეული პირველი რუსული თარგმანი ვეფხისტყაოსნისა.

ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართული ხელნაწერების კოლექციაში დაცულია ერთი მოზრდილი კრებული, რომლის პირველ გვერდზე თეიმურაზ ბაგრატიონის ხელით მიწერილია: „ესენი შევაკრვენიე, საერო ლექსნი არიან, ზოგნი ძველნი და ზოგნი ახალნი, ზოგნი სალალობელნი და ზოგნი სააშვიონი და რჩელნი. ნომბრის 14-ს ქს დბ 1819, მეფის ძე თეიმურაზ“.

ამ კრებულის 280 გვერდზე იგივე თეიმურაზის ხელით სწერია: გვეგეკორისაგან ალ. ჭავჭავაძესთან პასუხად, როდესაც ალექსანდრეს ეთხოვა წერილი ლექსად, რომ შეეწიოს ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანისათვის ზოგიერთ ლექსთ განმარტებაში“.

გვაქვს რამდენიმე შენიშვნა ამ წერილში გამოთქმული მოსაზრებების მიმართ. უპირველეს ყოვლისა, ექვცის ქვეშ ვსვამთ სათაურს. თ ა რ გ მ ნ ა თ უ ა რ ა რ უ ს უ ლ ე ნ ა ზ ე ა ლ . ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ „ ვ ე ფ ხ ი ტ ყ ა ო ს ა ნ ი “ ?

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურულ მოღვაწეობაში ორიგინალურა შემოქმედების გვერდით თანაბარი ადგილი უკავია მის მთარგმნელობით მოღვაწეობას. შესანიშნავად იცოდა რა რუსული, ფრანგული და სპარსული<sup>1</sup> ენა, მის მიერაა გადმოღებული ქართულ ენაზე პუშკინის, ოდოევსკის, კრილოვის, ვოლტერის, კორნელის, ჰიუგოს, ლაფონტენის, რასინის, ეზოპესა და გარას შე-

<sup>1</sup> უშუალოდ სპარსულიდან უთარგმნია პატარა ლექსი „ჰე, თავო ჩემო“.

მოქმედების ნიმუშები. ალ. ჭავჭავაძემ გაამდიდრა ქართული ლიტერატურა უცხო ენიდან ნათარგმნი ნაწარმოებებით, მაგრამ ჯერ არცერთ შემთხვევას არ ვიცნობთ, რომ, პირიქით, ქართულიდან ეთარგმნა უცხო ენაზე.

საზოგადოდ, როდია გამორიცხული შესაძლებლობა ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებიდან კიდევ რაიმე ახალი, უცნობი ნაწარმოების აღმოჩენისა. სწორედ ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ეს უფროა მოსალოდნელი; მისი შემოქმედება მისსავე სიცოცხლეში არ ყოფილა შეკრებილი, გამოცემული და შესწავლილი. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში (ტ. 1, 1956 წ., გვ. 71) წერია: „...პირველი წერილი, რომელიც პოეტს მიეძღვნა, ნეკროლოგი იყო“.

ამიტომ დიდი მადლობის გრძნობით ვკითხულობთ, რომ პუშკინის „ყვავილი“, თარგმნილი ალ. ჭავჭავაძის მიერ, აღმოჩნდა პლატონ იოსელიანის ქალაქებში, მიუთითა თამარ მაჭავარიანმა; ლაფონტენის „თხისა და მგლისათვის“ ავტორაფს მიაგნო იოსებ გრიშაშვილმა; „ახლით განჩხრეკილი კაცი“ აღმოჩნდა ყოფილი საეკლესიო ფონდის ხელნაწერებში— A—701; ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ალექსანდრე ჭავჭავაძეს უთარგმნია „მერობა“ და „მაჰმადი“; გივი მიქაძის მიერ მიგნებულია „ველოქსია, ასული ველოზარიონისა“ თარგმანის ტექსტი და ახსნილია, რაში მდგომარეობდა „შეწვევა“ იოანე მეფის ძის ბაგრატიონისა, რომლის წიგნთსაცავის კატალოგშიც ინახებოდა ეს ცნობა; რომ ი. გრიშაშვილის მიერ აღმოჩენილია ალექსანდრე ჭავჭავაძის 40-მდე ლექსი, თარგმანების ჩათვლით, რომ ვოლტერის „ალზირა ანუ ამერიკელი“, რომელიც ტრიფონ რუხაძის მიერ გამოქმული მოსაზრების გაზიარების გამო<sup>2</sup>, კ. კეკელიძემ თავის კაპიტალურ გამოცემაში<sup>3</sup> აღარ შეიტანა, როგორც ალ. ჭავჭავაძის თარგმანი, გივი მიქაძემ აღადგინა თავის უფლებებში<sup>4</sup>, რომ საქართველოს მუზეუმის თანამშრომელმა ს. ჭიჭინაძემ ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის დროს ი. გრიშაშვილს აჩვენა ერთი თაბახი ქალაქი, სადაც ალ. ჭავჭავაძის ლექსებია ჩამოთვლილი<sup>5</sup>.

უმეტეს სიხარულს გამოიწვევდა ს. ჭიჭინაძის სწორედ ეს უკანასკნელი აღმოჩენა, რომელსაც ჩვენ გამოვეხმაურეთ. სათაურითვე გვამცნობს რა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს უთარგმნია ვეფხისტყაოსანი რუსულად, სტატიის ავტორი მოგვიწოდებს, რომ „...საჭიროა, მოიძებნოს ალ. ჭავჭავაძისეული პირველი რუსული თარგმანი“.

საჭიროა, უდაოდ საჭიროა, თუ კი იგი არსებობს.

რომ არაფერი ვთქვათ ცალკეულ მოგონებებს და წერილებზე, რომელშიც არსად არ მიინიშნება ალ. ჭავჭავაძისეული ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანის არსებობაზე, მოვიყვანთ ოფიციალურ საბუთს:

სოლ. ყუბანეიშვილმა ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების პირველ ტომში გამოაქვეყნა დოკუმენტები ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმანსა და გამოცემასთან დაკავშირებით. ამ საბუთებში პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალ. ცაგარელი, რომელიც

<sup>2</sup> ტ. რ. რუხაძე, ქართული თეატრი და დრამატურგია, 1949, 284, გვ. 284.

<sup>3</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1958, 700 გვ. 700.

<sup>4</sup> გ. მიქაძე, ვოლტერის „ალზირა ანუ ამერიკელი“ ქართულად. შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის 1964 წ. XXIV სამეცნიერო სესიის თეზისები.

<sup>5</sup> ი. გრიშაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, 1940, გვ. XVII.

<sup>6</sup> ზუგდიდის ისტ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, გვ. 283.

შუამავლობს გრიგოლ დადიანს განათლების მინისტრ დელიანოს წინაშე,<sup>7</sup>

«Издание в русском переводе этого классического памятника грузинской литературы вполне желательны и полезно для русской литературы, с каждым годом обогащающейся переводами классических писателей Востока и Запада. Такая попытка была сделана еще в 1846 году, а именно в „Иллюстрации“ появился перевод, к сожалению, только первой главы упомянутой поэмы, в стихотворной форме, размером подлинника. Я вполне разделяю мнение Генерал-адъютанта Свелейшего князя Г. Л. Дадияни, большого знатока грузинского языка и литературы о пользе русского перевода поэмы».<sup>8</sup>

აქედან ჩანს, რომ ალ. ცაგარელი იცნობს ვეფხისტყაოსნის ერთ თარგმანს. გამოქვეყნებულს 1846 წელს; იზიარებს გრიგოლ დადიანის აზრს ახალი თარგმანის შექმნაზე და არცერთს, მით უფრო გრიგოლ დადიანს, არ ახსენდება ვეფხისტყაოსნის ალექსანდრე ჭავჭავაძისეული თარგმანი, რომლის რედაქტორობაც მას მიეწერება ს. ჭიჭინაძის აზრით. რომ არსებულებო ალ. ჭავჭავაძის თარგმანი, ასეთ შრომას მოუხსენებლად გრიგოლ დადიანი არ დატოვებდა. თუ ენდობოდნენ ახალგაზრდა ი. მეუნარგიას ძალებს ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმანში და მას ასახელებდნენ ამის შემსრულებლად, ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების მიმართაც ვერ იქნებოდნენ უმადურნი. ჭავჭავაძისეული ვეფხისტყაოსნის თარგმანი არ არსებობდა და იგი ვერავის მოაგონებოდა.

ს. ჭიჭინაძის ცნობით, ალექსანდრე ჭავჭავაძეს მის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი ვეფხისტყაოსანი სარედაქციოდ გადაუცია ს. გეგეჭკორისათვის.

ვინ არის ს. გეგეჭკორი?

ლექსს ალ. ჭავჭავაძისადმი, რომლითაც თხოვენ მას შეწევნას ვეფხისტყაოსნის თარგმანში, აწერია: „გეგეჭკორისაგან მიწერილი ალექსანდრე ჭავჭავაძისთან, ოდეს თხოვა მან შეწევნა ვეფხისტყაოსნის თარგმანში“. აქ ნახსენებ გეგეჭკორის ლიტერატურათმცოდნეობა იცნობს, როგორც იოანე გეგეჭკორს და არა როგორც ს. გეგეჭკორს.

თუ ეს კორექტურული შეცდომა არ არის, მაშინ პირველი შემთხვევა არაა გეგეჭკორთან დაკავშირებით მისი სახელის აღრევისა. „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის“ (I ტ.) 496 გვერდზე იოანე გეგეჭკორი იოანე დადიანად არის ნახსენებო; პ. გუგუშვილის „ქართულ ეურნალისტიკაში“ (გვ. 107, 122, 473) ლექსის „არეს“ ავტორად გიორგი დადიანია მიჩნეული. ყველა ეს—გრიგოლი, გიორგი, იოანე დადიანი თუ გეგეჭკორი თავს იყრის ერთ პიროვნებაში—გრიგოლ ლევანის ძე დადიანში<sup>7</sup>, რომლის პირველი ხანების ლიტერატურული ფსევდონიმია „იოანე გეგეჭკორი“<sup>8</sup>.

<sup>7</sup> გიორგი ლევანის ძე დადიანი ძმა სამეგრელოს მთავრის დავით დადიანისა, პოემა „რუხის ბრძოლის“. ავტორი, ეურნალ „ციკრის“ მულმივი თანამშრომელი და მოამაგე, ვეფხისტყაოსნის პირველი რუსული თარგმანის შესრულების მონაწილე.

<sup>8</sup> იოანე გულას ძე გეგეჭკორი—მსახურია დავით დადიანისა. მისმა უფროს და ტრაგიკულმა გარდაცვალებამ დიდი გლოვა გამოიწვია. საყვარელი მსახურისა და ყრობის მეგობრობის სახელის უკუდავსაყოფად ახალგაზრდა პოეტს გრიგოლ დადიანს პოემა „რუხის ბრძოლა“—ს. ჭეშუ მისი სახელი მოუწერია და თავის ლიტერატურულ ფსევდონიმად უქცევია

ს. ჭიჭინაძე გვეცნობებს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს მის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანი სარედაქციოდ გადაუცია თავისი თანამედროვე პოეტისათვის ს. გეგეჭკორისათვის.

საინტერესოა, რატომ წარმოადგინეს (ს.) გეგეჭკორი—იგივე გრიგოლ დადიანი ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანის რედაქტორად. შეეძლო თუ არა მას ამ საქმის შესრულება 1819 წლისათვის?!

როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ფრანგულიდან ნათარგმნი „ვედოქსია, ასული ველიზარიონისა“ იოანე ბაგრატიონის ხელით ნასწორები და გადაწერილი ნახეს, არაფერი იყო გასაკვირი. იოანე ბაგრატიონმა კარგად იცოდა ფრანგული ენა და გ. მიქაძის მითითებით, პეტერბურგში, პაუთა კორპუსში ყოფნისას ბაგრატიონისავე დავალებით უნდა ეთარგმნა იგი ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

მართალია, გრიგოლ დადიანს იცნობდნენ როგორც „პოზიით გულსავსეს“ (მაია გურიელი), „Большого знатока грузинского языка и литературы“ (პროფ. ალ. ცაგარელი), „სასიქადულო კოლხიდელს“ (დ. ყიფიანი), „სახელოვან პატრიოტსა და პოლიტიკურ მოღვაწეს“ (ალ. ხახანაშვილი), „საინტერესო კულტურული ჰაბიტუსის მქონე მოღვაწეს“ (ს. ჯანაშია) და რომელსაც მიეძღვნა ლექსი და ქება ავ. წერეთლის, რაფიელ ერისთავის, უფლისწულ თეიმურაზის, ნ. დადიანის, ივანე კერესელიძის, დ. ჩუბინაშვილის, მოსე ჯანაშვილის, ზ. ჭიჭინაძის და სხვათა, რომელიც მიაჩნდათ ლექსის და განსაკუთრებით პროზის ჩინებულ წამკითხველად. იმისათვის, რომ ალ. ჭავჭავაძის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი ვეფხისტყაოსანი სარედაქციოდ მიეღო, უპირველესად, რუსული უნდა სცოდნოდა კარგად, ალექსანდრე ჭავჭავაძეზე უკეთ. ჩვენ მოგვეპოვება იონა მეუნარგიას ცნობა, რომ „რუსული მწერლობაც საკმაოდ ისწავლა დადიანმა პეტერბურგში, თუმცა რუსული წერა იმისათვის სამუდამოდ დაუძლეველი დარჩა“<sup>9</sup>. ამასვე ამბობს მურავიოვი თავის წიგნში „Грузия и Армения“: „Дяднани... передал ему (იგულისხმება ბარტდინსკი—ვტ“. მთარგმნელი) мысли и слова на языка русском, не совсем ему известном“<sup>11</sup>.

არ შეიძლება, არ ვერწმუნოთ ი. მეუნარგიასა და მურავიოვს. ორივე გრიგოლ დადიანის თანამედროვე და პირადად ნაცნობი იყო.

თუ, იონა მეუნარგიას თქმით, გრ. დადიანმა პეტერბურგში ყოფნისას შესწავლა რუსული ლიტერატურა და ეს 1834 წლიდან დაიწყო<sup>12</sup>, მაშინ 1819 წლისათვის, როცა ის უფრო ნაკლებად იქნებოდა დაუფლებული რუსულ ენასა და ლიტერატურას, მათ უფრო გვიან გაუწევდა რედაქტორობას ალ. ჭავჭავაძისეულ ვეფხისტყაოსანის რუსულ თარგმანს.

საზოგადოდ, 1819 წლისათვის გრ. დადიანი მხოლოდ 5 წლისაა, რადგან ყველა თანამედროვისა და ბიოგრაფიის მიხედვით, იგი დაბადებულია 1811 წელს. ვერც თეიმურაზ ბაგრატიონი მიიღებდა გრ. დადიანის ლექსს ალ. ჭავჭავაძისათვის.

<sup>9</sup> გივი მიქაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან, ლიტ. საქართველო, 1964 წ. 31/1, გვ. 2.

<sup>10</sup> ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. I, გვ. 302.

<sup>11</sup> Муравьев, Грузия и Армения, 1848, т. III, გვ. 235.

<sup>12</sup> გრ. დადიანი 1834 წელს პირველად ჩავიდა პეტერბურგში.

ვაძინადმი 1819 წლამდე, რათა მას თავის კრებულში მოეთავსებინა, რომელსაც მისივე ხელით აწერია:

„მეფის ძის თეიმურაზის მიერ, რათა არ დაიბნეს ფურცელნი, ამად გარდაიწერების და შეიკვრის კარგად წელს 1819. ნოემბრის 14. ქორონიკონს ფხსანკაპეტერბურგს“.

თეიმურაზ ბაგრატიონის კრებულს პირადად არ ვიცნობთ. გამოკვლევის „ალათოკლეს“ ქართული თარგმანებისათვის“ ავტორი ამ კრებულს „ხელნაწერთა შეკვრას“<sup>13</sup> უწოდებს.

თითოეულ ხელნაწერს თავისი პაგინაცია ჰქონია, შემდეგ კი ერთი ხელით მთლიანადაა დანომრილი. ჩანს, 280 გვერდის თავისუფალ ადგილზე არა 1819 წელს, არამედ შემდეგ, თ. ბაგრატიონს გეგეჭკორის ლექსი მიუწერია.

გეგეჭკორის ლექსის თარიღის შესახებ მოსაზრება გამოთქმული აქვს ს. ჯანაშიას:

„საყურადღებოა ამ ამბების ქრონოლოგია. გეგეჭკორის ლიტერატურულ ურთიერთობისათვის ბუნებრივს და, ალბათ, აგრეთვე აუცილებელს პირობას შეადგენდა ჰავჭავაძის მოყვრობა სამეგრელოს მთავართან. დავითმა აღექსანდრეს ასული, ეკატერინე, ნ. ბარათაშვილის ტრფობის საგანი, შეირთო ორმოციან წლების დამდეგს. რადგანაც სრულიად შეუძლებელია, რომ დადიან-ბარდტინისკის თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ გეგეჭკორის დამოუკიდებელი თარგმანის შესრულება ეცადა, ...უშეშველია, რომ ლექსი დაწერილია მიახლოებით 1843—45 წლებში...“<sup>14</sup>.

ს. ჰიჭინაძე გვაცნობებს, რომ მის მიერ ლენინგრადში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში მიკვლეულ იქნა ალ. ჰავჭავაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ფაქტები, რომელთაგან ამჟერად აქვეყნებს ცნობას, რომ ალ. ჰავჭავაძეს რუსულ ენაზე უთარგმნია ვეფხისტყაოსანი და ლექსის მიძღვნილს ამ თარგმანის აღნიშვნა.

ეჭვთივე თაყაიშვილი (რომელმაც პირველმა მიუთითა ამ ლექსზე, ლექსი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ფ. S—3723), ს. ჯანაშია, სოლომონ ცაიშვილი, ტრიფონ რუხაძე, სარგის ცაიშვილი და ჩვენც, ლექსის შინაარსს ვხსნით ისევე, როგორც ამას სიმონ ჯანაშია გამოთქვამს: „ლექსის სათაურიდანაც აშკარაა, რომ საქმე ეხება შოთას თარგმანს. „გეგეჭკორისაგან მიწერილი ალ. ჰავჭავაძესთან ოდეს თხოვა მან შეწევნა ვეფხისტყაოსნის თარგმანში“. თუმცა ბუნდოვნად არის აზრი გამოთქმული, თუ ვინ არის შემწე, მაგრამ, ალბათ, მართალი იყო ეჭვთივე თაყაიშვილი, როდესაც ფიქრობდა, რომ მთხოვნელი გეგეჭკორია. მართლაც, რა დახმარება უნდა ეძია გეგეჭკორისაგან ჰავჭავაძეს? ჰავჭავაძისაგან კი შემწეობას, რა თქმა უნდა, რუსული ენის მხრივ მოელოდნენ, რადგან მას საუკეთესო რუსული განათლება ჰქონდა მიღებული“<sup>15</sup>.

გეგეჭკორის ლექსის მიჩნევა ალ. ჰავჭავაძისეული ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანისადმი მიძღვნილ—შეცდომაა.

<sup>13</sup> გ. მიქაძე, „ალათოკლეს“ ქართული თარგმანებისათვის, ფილოლოგიური ძიებანი, 2, მატე, 1964, № 6, გვ. 219.

<sup>14</sup> ს. ჯანაშია, ვეფხისტყაოსნის პირველი თარგმანის გამო, ლიტერატურული გაზეთი, 1935 წ. 30/1, გვ. 3—4.

<sup>15</sup> ს. ჯანაშია, ლიტერატურული გაზეთი, 1935 წ., 30/1, № 5, გვ. 3—4.

განცხადება „ალ. ჭავჭავაძე ვეფხისტყაოსნის მთარგმნელი“—დაუსაბუთებელი და შეუმოწმებელია. არც მასალა, რომელმაც ეს განცხადება გააბედვინა ავტორს, არაა უცნობი და ახალი.

სამწუხაროდ, არა გვაქვს საძებარი ალ. ჭავჭავაძისეული ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანი.

ვეფხისტყაოსნის პირველ რუსულ თარგმანად ითვლება 1846 წელს გაზ. „Иллюстрация“-ს № 6—7-ში გამოქვეყნებული ვეფხისტყაოსნის ერთი თავის თარგმანი, შესრულებული რუსი პოეტის იპოლიტე ბარტდინსკის მიერ.

თარგმანი შესრულებულია გრ. დადიანისა და დ. ჩუბინიშვილის უშუალო დახმარებით.

გრ. დადიანის ლექსით ალექსანდრე ჭავჭავაძეს ეთხოვა შემწეობა სწორედ ბარტდინსკისეულ თარგმანისათვის. თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ მისი კრებული 280 გვერდზე ნაწერიც: „გეგეჭკორისაგან ალ. ჭავჭავაძესთან პასუხად, როდესაც ალექსანდრეს ეთხოვა წერილი ლექსად, რომ შეეწიოს ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანისათვის ზოგიერთ ლექსთ განმარტებაში“—ისევე უნდა იქნეს გაგებული, როგორც ეს ზევით აღვნიშნეთ.

**ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბერძენიშვილი**

გარდაიცვალა გამონენილი ქართველი ისტორიკოსი ნიკოლოზ (ნიკო) ალექსანდრეს-ძე ბერძენიშვილი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ნიკო ბერძენიშვილი დაიბადა 1894 წელს სოფელ გოგოღვისუბანში (ჩოხატაურის რაიონი). მოწაფეობის წლებში ახლოს იდგა რევოლუციურ მოძრაობასთან, რამაც გავლენა იქონია მომავალი ისტორიკოსის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ხალხის სიუვარულმა ნიკო ბერძენიშვილს სული მოაკიდებინა ქართველი ერის მდიდარი ისტორიის შესწავლისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის წლებში ნიკო ბერძენიშვილმა ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გაიარა ისტორიკოსის დიდი სკოლა, აღიჭურვა ისტორიული კვლევა-ძიების მეცნიერულ-კრიტიკული მეთოდოლოგიით.

ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო სარბიელზე გამოსვლა დაემთხვა იმ წლებს, როდესაც ნიპილისძის წინააღმდეგ, მარქსიზმის გამჟღავნებულ-გულისკარისხატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში გზას იკაფავდა მარქსისტული ისტორიოგრაფია. ივ. ჯავახიშვილის ნიჭიერი მოწაფე ნიკო ბერძენიშვილი სიმონ ჯანაშიასთან ერთად ამ მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა. სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა ქართული ისტორიული მეცნიერება განვითარების ასალ, მაღალ საფეხურზე აიყვანეს, წინ წასწიეს და ახლებურად, მარქსისტულად გააშუქეს ქართველი ხალხის გპირული წარსულის საკვანძო საკითხები.

ივ. ჯავახიშვილთან და ს. ჯანაშიასთან ერთად ნ. ბერძენიშვილმა დაწერა „საქართველოს ისტორია“, რომელიც იყო მარქსისტული სახელმძღვანელოს შექმნის პირველი წარმატებითი ცდა. ამ წიგნზე აღიზარდა ჩვენს სკოლებში მთელი თაობა და იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში შევიდა როგორც განსაკუთრებული მოვლენა.

განსვენებულის კვლევის სფერო მეტად ფართო იყო. არ არის ისტო-



ნიკოზ ბეკასიძე  
1894 — 1965



რიული მეცნიერების თითქმის არც ერთი დისციპლინა, რომელსაც არ შესწობდეს მისი მაღლიანი კალაში, დიდია ნიკო ბერძენიშვილის დამსახურება არქეოლოგიის, წვაროთმცოდნეობისა და განსაკუთრებით ისტორიული გეოგრაფიის დარგში.

ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ ნ. ბერძენიშვილი სათავეში ჩაუდგა საქართველოს ისტორიულ ფრონტს. იგი არ იმურებდა ძალასა და ენერჯიას ისტორიკოსთა ასალგაზრდა თაობის აღსაზრდელად. მან გამოზარდა ქართველ ისტორიკოსთა მთელი თაობა, რომელიც დღეს წარმატებით სწავლობს ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს; მისი ინიციატივით და მის მიერ დასახულ იდეებზე იწერებოდა და იწერება მეცნიერული ნაშრომები საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან საკითხთა გამო; მისი სელმძღვანელობით შეიქმნა საქართველოს ისტორიის უმაღლესი და საშუალო სკოლების ახალი სასელმძღვანელოები.

დამაბულ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად ნიკო ბერძენიშვილი წლების მანძილზე ეწეოდა ჰედაგოგიურ მუშაობას — კითხულობდა ლექციებს თბილისის სასელმწიფო უნივერსიტეტსა და რიგ ჰედაგოგიურ ინსტიტუტებში; სელმძღვანელობდა ანჰირანტებს. განსვენებულმა დიდი მუშაობა გასწია მეცნიერების განვითარების საქმეში. მისი სახელი განსურელად დაკავშირებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, რომლის წევრადც იგი აირჩიეს 1944 წელს. 1951—1957 წლებში ნიკო ბერძენიშვილი იყო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. 1946—1956 წლებში ნ. ბერძენიშვილი განაგებდა თბილისის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის, კათედრას. იგი იყო ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საზოგადოების შექმნისა და მისი პირველი თავმჯდომარე.

ნიკო ბერძენიშვილი დაუსწრომლად იბრძოდა საქართველოს ისტორიის შესწავლის ფართო საზოგადოებრივ საქმედ გადაქცევისათვის. მან დიდი ამაგი დასდო ქართული ისტორიული წვაროების ჰუმლიკაციის, ძეგლთა დაცვის საქმეს, ეველაფერს, რაც დაკავშირებული იყო ქართველი ხალხის გშირული წარსულის პროზაგანდასთან.

ნიკო ბერძენიშვილი დაჯილდოებული იყო მჭერმეტყველების უნარით, ცნობილი იყო როგორც ფართოდ ერუდირებული და განათლებული მეცნიერი. იგი იყო უადრესად გულისხმიერი აღამიანი, შესანიშნავი მეგობარი და აღმზრდელი და იმავე დროს მკაცრი და მომოსოვანი, პრინციპული და შურეიგებელი მეცნიერების გამჟღებებლებისადმი. ნ. ბერძენიშვილი დაუსწრომლად იბრძოდა მარქსისტული ისტორიოგრაფიის სიწმინდისათვის, მისი მაღალი იდეურობისათვის.

პარტიამ და მთაერობამ ღირსეულად დააფასეს ნიკო ბერძენიშვილის ღვაწლი და დაჯილდოვეს იგი ორდენებით. ამას წინათ ქართველმა საზო-

გადგობრიობამ ფართოდ აღნიშნა ნიკო ბერძენიშვილის დაბადების 70 და ჰედაგოგური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი. მეცნიერის ცხოვრების ეს ღირსქესანმნავი თარიღები, მისი დამსახურება მეცნიერებისა და ხალხის წინაშე აღინიშნა შრომის წითელი დროშის მესამე ორდენით.

დღეს დამწესრებული ქართული ხალხი ეთხოვება თავის ვალდებულ მეცნიერ-მეისტორიეს, რომელმაც იუანე ჯავახიშვილთან და სიმონ ჯანაშიასთან ერთად თავის მსრებზე გადაიტანა ახალი ქართული ისტორიოგრაფიის შენების მთელი სიმძიმე.

ნიკო ბერძენიშვილმა დიდი ღვაწლი დასდო ქართული ერის ისტორიის შესწავლას. მადლიერი ხალხი მის ნეშტს მთაწმინდის მიწას აბარებს.

საპარტვილოს სსრ მაცნიერებათა აკადემია  
 საპარტვილოს სსრ მაცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ  
 მაცნიერებათა განყოფილება  
 თბილისის საელაზიფიფო უნივერსიტეტი  
 იმ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა  
 და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი  
 საპარტვილოს ისტორიის, არქეოლოგიის,  
 ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საზოგადოება.



იოსებ ზარიშვილი  
1839 — 1965

იოსებ გრიშაშვილი

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა; 3 აკეიტოს საღამოს 6 საათზე სანგრძლივი აუადმოყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი და სასოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო ჰოეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო ჰრემიის ლაურეატი იოსებ გრიშაშვილი (იოსებ გრიგოლის ძე შამულაშვილი). ჩვენს რიგებს გამოაკლდა სწეტაკი და კეთილშობილი ადაძიანი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება უანგაროდ მოახმარა ქართული მწერლობის განვითარებას. შეწუდა მკზნებარე გულისცემა ბრწუინვალე ჰოეტისა, ქართული ჰოეტური კულტურის ერთ-ერთი უნიტიერესი ოსტიტისა.

იოსებ გრიშაშვილი ფართო ერუდიციის შემოქმედი იყო. იგი ეკუთვნოდა ჩვენი საუკუნის მწერალთა და მოღვაწეთა იმ სახელოვან ჰლეადას, რომლითაც ასე ამაუობს ქართველი ხალხი. არ ეოფილა ეროვნული კულტურის თითქმის არცერთი სფერო, რომლის გამდიდრება-განვითარებაშიც მას ფასდაუდებელი წვლილი არ შეეტანოს. იოსებ გრიშაშვილმა ქართული ჰოესია მრავალი უკვდავი ქმნილებით გაამდიდრა და შთამაგონებლად უმღერა სამშობლოს თავისუფლებას, მის აუეაუებას, ახალი, ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრებას. იოსებ გრიშაშვილი მსოლოდ ჰოეტი როდი იყო. სამოცი წლის მანძილზე იგი დაუდალავად ემსახურებოდა ქართულ თეატრს, მეცნიერის კეთილსინდისიერებით იკვლევდა ქართული ლიტერატურისა და თეატრის წარსულს, აშუქებდა მოძმე საბჭოთა ხალხების კულტურული ურთიერთობის რთულსა და საინტერესო ჰრობლემებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იოსებ გრიშაშვილის დამსახურება მთარგმნელობითი კულტურის განვითარებაში. მისი თარგმანები უჭკნობ შედეგებს წარმოადგენენ და საოველთაო აღიარება ჰპოვეს.

იოსებ გრიშაშვილი დაიბადა 1889 წლის 22 აპრილს, თბილისში სელონის ოჯახში. წერა-კითხვა შინ შეისწავლა და შემდეგ სწავლა თბილისის ქართულ გიმნაზიაში განაგრძო. ნიტიერმა და ბეკითმა მოწაფემ მალე მიიქცია მასწავლებელთა უურადლება. მაგრამ მამის სიკედილის გამო მომავალი ჰოეტი იშულებული გახდა გიმნაზიისათვის თავი დაენებებინა. მიუხედავად ამისა, შემლო გიმნაზიის მთელი კურსი დამოუკიდებლად დაესრულებინა.

ი. გრიშაშვილის ცსოვრება და მოღვაწეობა მკიდროდ არის დაკავშირებული ქართულ თეატრთან, სადაც იგი მუშაობდა როგორც მოკარნახე, მსახიობი და რეჟისორი. თეატრში მუშაობის წყალობით მან კარგად შეისწავლა ქართული, რუსული და ევროპის დრამატურგია.

ლიტერატურული მოღვაწეობა იოსებ გრიშაშვილმა ადრე დაიწყო. 1906—1907 წლებში გამოვიდა მისი ლექსების პირველი ორი კრებული, სადაც სატრფიალო ლექსებთან ერთად დაბეჭდილია რევოლუციური ხასიათის სიმღერები, პოეტი მოუწოდებდა მშრომელთ უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად, მოუწოდებდა ძაღლა აღმართათ წითელი დროშა.

იოსებ გრიშაშვილის პოეტური ნიჭი მთელი ძალით მომდევნო პერიოდში გაიფურჩხა. 1907 წელს ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო დაწერილმა ლექსმა სწრაფად მიიპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება.

იოსებ გრიშაშვილმა განავითარა ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციები და ლექსის ფორმა ასაღ სიმაღლეზე აიყვანა. შემთხვევითი როდი იყო, რომ მეოცე საუკუნის დიდმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ სწორედ ამ პერიოდში ორი ლექსი უძღვნა იოსებ გრიშაშვილს. ლიტერატურის ისტორიაში იშვიათი შემთხვევაა, რომ სამწერლო სარბიელზე გამოსვლისთანავე პოეტს საღსის სიუვარული და საუოველთაო აღიარება მოეპოვებინოს, როგორც ეს იოსებ გრიშაშვილს მოიპოვა.

1914 წელს გამოვიდა იოსებ გრიშაშვილის ნაწარმოებთა პირველი ტომი, რომელშიც მსოლოდ რჩეული ლექსები შევიდა.

იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი ინტერესები მსოლოდ ლექსებითა და თეატრში მუშაობით როდი ამოიწურებოდა. მას ეკუთვნის აგრეთვე მთელი რიგი სერიოზული მეცნიერული გამოკვლევები ლიტერატურათმცოდნეობის დარგში. ი. გრიშაშვილის პირველი კაპიტალური მონოგრაფია, რომელიც გამოიცა 1918 წელს, მიეძღვნა დიდ აშულ საიათნოვას, რითაც საფუძველი ჩაეყარა საიათნოვას შემკვიდრობის მეცნიერულ კვლევას.

საქართველოში საბჭოთა სელისუფლების დაპყრობის შემდეგ იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა უფრო ნაუოფიერი გახდა, სრული ძალით გამოვლინდა და აუღვარდა მისი მრავალმხრივი პოეტური ნიჭი.

1922 წელს გამოვიდა იოსებ გრიშაშვილის ლექსების მეორე ტომი, ცოტა ხნის შემდეგ კი მას მოჰყვა პოეტის ახალი ლექსები, რომლებშიც ჩვენი ეპოქის სადადაუ, საღსის ფიქრები და მისწრაფებანია გამოხატული. არ უოფილა არც ერთი ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ცსოვრებაში, რომელსაც პოეტი გულწრფელად და მთელი სმით არ გამოხმაურებოდა.

დიდი სამამულო ომის წლებში მთელი თავის ნიჭს პოეტი მტერთან ბრძოლის საქმეს ახმარდა. გამარჯვების რწმენით გამსჭვალული მისი ნაწარმოებები აღაფრთოვანებდნენ საბჭოთა ადამიანებს ახალი საგმირო სა-

ქმეებისათვის. გამარჯვების შემდეგ ზოეტი შთამბგონებლად უძღვროდა მუშებისა და კოლმეურნეების თავდადებულ შრომას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის აშენებისათვის მონაწილეულ გამარჯვებებს.

ი. გრიშაშვილის კალამს ეკუთვნის თვალსაჩინო გამოკვლევები: „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, „ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“, „უაზბეგი როგორც მსახიობი“, „ასიკო ცაგარელი“, „შიო მღვიმელის რევოლუციური ზოეზია“, „ოსტროვსკი საქართველოში“, „ქართული მექსიკიდან და ივანე მანაბელი“, „გაბრიელ სუნდუკიანი“, „ღერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში“, „გოგოლის „რევიზორი“ ქართულ სცენაზე“, ა. წერეთლის თხზულებათა შესამე და მეოთხე ტომების შენიშვნები, „მეჩვენო და საქართველო“, ოვანეს თუშანიანის, მირზა ფატალი ახუნდოვის ნაწარმოებთა საუცსო თარგმანები და სხვ.

იოსებ გრიშაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში. შიო მღვიმელის შემდეგ მწვლია დავასახელოთ მეორე ზოეტი, რომელიც ასეთი სიუვარულით სარგებლობდეს ნორს მკითხველებში,

იოსებ გრიშაშვილის სასელი დიდი ხანია გასცდა მშობლიური ქვეყნის ფარგლებს. მისი ლექსები თარგმნილია საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა სალხის ენებზე.

იოსებ გრიშაშვილი დიდ ზრატკიკულ მუშაობას ეწეოდა მწერალთა კავშირში, როგორც მისი გამგეობის უცვლელი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც ის განმარტებითი ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში, რომლის გამგეობის ზრეზიდუმიც წევრი იყო დაარსებიდან უკანასკნელ ვრილობამდე.

იოსებ გრიშაშვილის ღვაწლი ღირსეულად დაფასეს სალხმა, კომუნისტურმა ზარტიამ და საბჭოთა შთავრობამ. მას მიენიჭა საქართველოს სასალხო ზოეტის მაღალი წოდება, სასელმწიფო ზრემიის ღაურეატის წოდება, დავიდლოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და არსეული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ქართველი მწერლები, მეცნიერები, კულტურის მუშაკები, მთელ ქართველ სალხთან ერთად, დიდი გულისრკვილით ეთხოვებიან საკვარელ ზოეტსა და უანგარო საზოგადო მოღვაწეს, კეთილსა და სათნო ადამიანს.

მისი ხსოვნა მარად იცოცსლებს ქართველი სალხის გულში.

საქართველოს სსრ მწერალთა კავშირი  
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი  
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი  
მეცნიერებათა განყოფილება  
საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოება

ზინაარსი

ა. თეთრაული, საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის აღწარმოების საკითხისათვის	3
ბ. ჯიქია, საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მუშათა მდგომარეობა და საგაფიცო მოძრაობა	21 ✓
გ. ნადარეიშვილი, „სისხლისა“ და სასჯელის ცნების ურთიერთდამოკიდებულება ქართულ სამართალში XI—XII საუკუნეებში	46
დ. ბარამიძე, ჯვაროსნულ ლაშქრობასა და ანტიოსმალურ კოალიციებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ	59
ე. ლაბაჯიძე, თუშეთის ისტორიიდან	67 ✓
ვ. მახაუაძე, საქართველოში ვენეციური ოქროს დეკატების მიმოქცევის საკითხისათვის	85
თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიული გვირგვინიან-ერდოიანი სახლის კლასიფიკაციისა და მის ვერტიკალურ ზონალობაში გავრცელების შესახებ	115
ი. სირამიძე, მხატვრული აზროვნების საკითხები უძველეს ქართულ მწერლობაში	127
კ. სინხარულიძე, ეპიკური თქმულებებისა და ლირიკულ-ეპიკური სიმღერების შედარებითი შესწავლა	143
ლ. ხალაშაია, რამდენიმე აფხაზურ ისტორიულ გადმოცემათა შესახებ	152
მ. ნიკოლაიშვილი, გაიოზ რექტორის ქართული გრამატიკა	160
ნ. იორდანიშვილი, რაფიელ ერისთავის თხზულებათა ენის ზოგიერთი თავისებურება	186
ო. უთურბანიძე, ერთი ლათინური სიტყვა ბერძნული ფორმით ქართული ენის თუშურ დიალექტში	210
პ. ალექსიძე, უარყოფის გავებისათვის ძველ ინდოეთში	213

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ა. ანდლუაძე, შენიშვნები ერთი წერილის გამო	222
ბ. ბარამიძე, [ ]	228
გ. გრიშაშვილი, [ ]	231

## СО Д Е Р Ж А Н И Е

	Стр.
А. Тетраули, К вопросу о воспроизводстве совокупного общественного продукта и национального дохода Грузинской ССР . . . . .	3
В. Джиква, Положение рабочих горнорудной промышленности Грузии и их забастовочное движение (1900—1917 гг.) . . . . .	21
Г. Надареишвили, Взаимоотношение понятий «сисхли» и наказание в грузинском праве XI—XII вв. . . . .	46
И. Берадзе, Об участии Грузии в Крестовом походе и антиосманских коалициях . . . . .	59
В. Лагазидзе, Из истории Тушети . . . . .	67
Р. Кебуладзе, К вопросу об обращении венецианских дукатов в Грузии . . . . .	85
Т. Чиковани, О классификации закавказского жилища со ступенчато-венцеобразным перекрытием и о его распространении в вертикальной зональности . . . . .	115
Р. Сирадзе, Вопросы художественного мышления в древнейшей грузинской литературе . . . . .	127
К. Сихарулидзе, Сравнительное изучение эпических рассказов и лиро-эпических песен . . . . .	143
Ш. Салакана, О некоторых абхазских исторических преданиях . . . . .	152
Е. Николаяшвили, Грузинская грамматика Гайоза-ректора . . . . .	160
Л. Иорданияшвили, О некоторых особенностях языка сочинений Рафиеля Эристави . . . . .	186
Ф. Утургаидзе, Латинское слово в греческой форме в тушинском диалекте грузинского языка . . . . .	210
Э. Алексидзе, К пониманию отрицания в древней Индии . . . . .	213
<b>КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ</b>	
Л. Андгуладзе, Замечания по поводу одной статьи . . . . .	222
<span style="border: 1px solid black; padding: 2px;">Н. Бердзенишвили</span> . . . . .	228
<span style="border: 1px solid black; padding: 2px;">И. Гришашвили</span> . . . . .	231



რედაქციის მისამართი: თბილისი, ძერცინსკის ქ. № 8  
ტელეფონი: 9-03-52

---

შეკვ. 1043

შე 07425

ტირაჟი 1500

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.8.1965; ქალაქის ზომა  $70 \times \frac{1}{16}$ ;  
ნაბეჭდი თაბახი 21,00; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 18.34;  
ფასი 1 მან.

---

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5  
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе 3/5